სათნესათი



2019 №2 (32)

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალ-პროფილიან საერთაშორისო აკადემიასთან არსებულ ჟურნალ ,,ათინათის" ყველა ნომერი გამოდის ამაღლების ეკლესიის წინამძღვრის მამა ამირან ამირანაშვილის ლოცვა-კურთხევით.მამა ამირანი ყოველ წირვაზე ლოცავს აკადემიის წევრებს. მეტი ყურადღება ეთმობა სკოლებთან ურთიერთობებს.

„მერცხალი“ – ახე ქვია ანსამბლს, რომლის ხელმძღვანელია ქალბატონი ლეილა ჭიუკაძე-ონიანი, ქალბატონ ლეილას თბილისის 159-ე სკოლაში ორი ჯგუფი ჰყავს ჩამოყალიბებული – დიდები და პატარები, დიდებს „ლალე“ ჰქვია. ყურნალ „ათინათის“ ღონისძიებაზე ორივე ჯგუფი მეავდა მოწვეული. ორივე ჯგუფმა მაყურებლის აღფრთოვანება გამოიწვია. ყურნალ „ათინათის“ პატარა ანგელოზი იოანე მახარაშვილი დაინტერესდა, რომ ორივე ჯგუფი გაეცნო და ახეც მოიქცა.

პატარებმა საერთო ენა გამონახეს და გადაწყვიტეს, რომ „ათინათელებთან“ იმეგობრებდნენ.

UDC(უაკ) 050(479.22) ISSN 2233-3312
ა-376

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია

ათინათი

2019 / 2 / (32)

თბილისი
2019



უწმინდესი და უნეტარესი,
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II

მუხლმოდრეკით გულანთილი,
ლოცვით ხვდები განთიადს,
რამდენი გყავს მონათლული
გურამი და ნათია.

მდინარეთა ხმაურს უსმენ,
ებრძვი უკუ დინებას,
მინდა ღმერთმა რომ მოგასწროს
ერის გამობრწყინებას.

ლამზირა შეყილაძე

მამა გაბრიელი

მოვედი მადლი გამომყვა
ლექსი მალამოდ შემომფენია
გული მტერთანაც დამოყვრდა,
სული ცის ანაფერია.

გულნაზ ხარაიშვილი

წმინდა პეტრე და პავლე
ხატმწერები: **გიორგი** და **ხატია ლარიაშვილები**

წმინდა იოანე ნათლისმცემელი
ხატმწერები: **გიორგი** და **ხატია ლარიაშვილები**



მეფე ვახტანგ გორგასალი
ხატმწერები: **გიორგი** და **ხატია ლარიაშვილები**



მამა მერაბი

ეს ხატი ოჯახის მფარველია,
ეს ხატი რწმენით მავსებს მამავ,
ეს ხატი შენი შექმნილია და
ეს ხატი მომევლინა წამლად.

გულნაზ ხარაიშვილი

ხატმწერი: **თეა კანდელაკი**



„დიდი ხანია კანკელს ვერ ვანთებდი, მალევე ქრებოდა... დღეს ძალიან მომინდა კიდევ მეცადა, რადგან ჩემს მაცხოვრის ხატთან ყოველთვის ჩაუქრობლად ენთო კანკელი... ჩამოვხსენი და ასეთი ლამაზი ყვავილი დამხვდა, ავანთე და ისე გიზგიზებს გულს უხარია ☺ ☺ დაგლოცოთ უფლის მადლმა და ძალამ ყოველგვარ კეთილ საქმეში“

სიკეთის წყარო
(მამა ამირან ამირანაშვილს)

მამა ამირან, სიკეთის და იმედის წყაროვ,
დაბადებულხარ გაზაფხულზე 24 აპრილს.
მოხდა წყალობა, ზეიმია, თბილა და დარობს,
ზღვის ტალღას მისდევ, მწამს გააღწევ
        სიკეთის ნაპირს.
მზის პეწი დაკრავს იმ განვლილ წლებს,
        დროთა გაცვეთილს,
აზეიმდა და აფაქიზდა, ციურ ნათებად,
თქვენ შეისწავლით შეუცდომლად,
        უფლის გაკვეთილს,
ამზიანდები, აბრწყინდები, ათინათებათ...
მყავდა მეუფე მირიანი სულის მკურნალად,
გამოჩნდი მაშინ, ის როდესაც გარდამეცვალა,
ლამის გაქციო „ათინათის“ ლამაზ ჟურნალად,
როს შემოფრინდი, გაზაფხულის ლამაზ მერცხალად.
მამა ამირან, დას მიწოდებ, გმადლობ ამისთვის,
ბედნიერი ვარ, ამ სიმდიდრეს გაუფრთხილდები...
ქვის ნატეხი ვარ, გამიძლია დროთა-ჟამისთვის,
მიხმე მამაო, თუ ოდესმე მეც დაგჭირდები!

გულნაზ ხარაიშვილი



„ათინათო“

„ათინათო“ ზაფხულია, ხომ არ გცხელა?
მადლი მინდა საუკუნით ანათელო,
გაიზარდე, ცის მნათობის მთვარის ხელა,
ნისლშიც გაძელ, გააბრწყინე საქართველო!
წმინდა ნინოვ, ყველას მინდა მფარველობდე,
დამილოცე, საქართყელოს პატარები,
გულშიც მომწვდი, გულიც მინდა მთაველობდეს,
მომიშუშე, დარდი ჩუმად ნატარები!

გულნაზ ხარაიშვილი
ჟურნალ „ათინათის“ მთავარი რედაქტორი
ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა
მრავალპროფილიანი საერთაშორისო
აკადემიის პრეზიდენტი

პოეზია

ჯგუფი ზღვარი

სერგი ლომაძე

ზღვაზე

არ ვიცი – რა მსურს.
ქსოვს ღამე სილას.
ვიგონებ წარსულს.
ვმაისობ. თბილა.
ვმაისობ. თბილა.
ვიგონებ წარსულს.
ქსოვს ღამე სილას.
არ ვიცი – რა მსურს.

* * *

ახალგაზრდა ხელოვანი,
რომელმაც ვერაფრით
ვერ დამიყოლია პოეტურ
პაექრობაზე

პოეტი არის მისივ ლეგენდაც,
პოეტი მხოლოდ ნაწერი არ არის,
ლეგენდის შექმნა თუ არ გაქვს ბედად,
ტყუილად დაღლი ფურცელს და კალამს.
რომ მეუბნები – "შენზე უკეთ ვწერ!"
ძალიან რომ გსურს ჩემთან შერკენა,
შენ აწევ ჩემი ყოფნის ჯოჯოხეთს?!
სისხლის ცრემლებთან თუ გაქვს შეხება?!
გსურს პოეტობა ჯვარცმა – კი არა,
მაინც მისწორებ თვალთა კუნაპეტს,
უბრად ვარ შენთან, თუმცა არ მზარავ,
ჩემს გულს შენებრნიც უნდა უყვარდეს.
ხარ ახალგაზრდა და ხარ ამაყი,
ეგ მზერა იტევს გიშრის ოკეანს,
მე გავიარე ეგ დრო, ახლა კი,
სამყარო ჩემთვის რაგნაროკია!..
მეფე რომ ვიყო, დავთმობდი გვირგვინს,
და გადმოგცემდი ოქროვან კალამს...
ვარ მგზავრი ვინმე, ყველაფრის იქით
მივდივარ, და გზას სასრული არ აქვს...

სხვა პოეზია

გაცრეცილ ამინდს
გაცრეცილი მუსიკა ავსებს.
თვალების წყალი
არის ცრემლი, და შენ ღონდები.
გაგახსენდება ჯგუფი "ზღვარი',
გიტარის ხმაზე,
გაგახსენდება
სიფარფატე ჩემი სტროფების...
სადა ხარ ახლა!
თუ ფოთლები კვლავ სულში ცვივა,
თუ ბანალური გახდა დღენი
და სტრიქონები,
მაინც გახსოვდეს,
რომ მე ერთი ნაბიჯით წინ ვარ,
რადგან სიყვარულს დავატარებ
გულით, გონებით.
თუმც ჩემს სიყვარულს
ვერ ვუწოდებ მიწიერ განცდას,
ცაშია იგი
და არაფრით აქ არ ჩამოდის,
ამიტომ არის,
რომ ორივეს მოგვიწევს დაცდა
მთელი ცხოვრება...
სიკვდილამდე... დიდ საღამომდის...
იმ დიდ ღამემდის
იხუჭება როდესაც თვალნი,
და როცა სულნი
ვარსკვლავების თვალში ერთდება...
მთელს სამყაროში
ერთადერთი შენა ხარ ქალი -
ვისაც ეძღვნება
პოეტ-მკვლელის შემოქმედება.
და თუ სიკვდილი
გვიწერია პოეზიაში,
და თუ სიცოცხლე,
სხვა სიცოცხლე, სტრიქონში არსობს,
მაშინ ნუ ტირი,
უდიდესი სევდის წინაშეც
ნუ გაფითრდები საყვარელო,
ღვთისმშობლის მსგავსო...
გაცრეცილ ამინდს
წვიმისფერი მუსიკა ავსებს...

ერთ ქალს

ეს მე ვარ – სერგი,
და სხვა რა გითხრა,
მე შენი მზერის
სტროფებით ვტკბები,
სიტყვების იქით
არის გულისთქმა,
მაგრამ შენ, ამას,
ვერაფრით ხვდები.

და მაინც –
თუკი მოგსურდეს ფრენა,
თუ კი ზეცისაკენ
მოგწყურდეს გზები,
მე ნამდვილ ტრფობას
გასწავლი შენა,
და თავისთავად
გექნება ფრთები!..

ადამიანი-პოეზია

არაფერი ვარ, გარდა პოეტის.
და ნატყვიარი გული – გამხელა
ამბობს – ტკივილი დამაქვს რამხელა.
არაფერი ვარ, გარდა პოეტის.

თუმცა რა არის იყოს, რომ, მეტი,
რაა, ეს სიტყვა რასაც ვერ იტევს,
ის ჯვარზე გაკრულს, მაგონებს, ქრისტეს,
გულ-სისხლით, სულით, მე ვარ პოეტი.

ხვალინდელი დრო ისე მადარდებს
ვით დღევანდელი და ვით წარსული.
ვლოცულობ, როგორც ეფრემ ასური.
ფიქრი ირეკლავს რუსთველურ განცდებს.

ვატარებ, აქ, ცდებს, სიტყვათა არსზე.
და ნატყვიარი გული-გამხელა
ამბობს – ტკივილი დამაქვს რამხელა,
და ჩემს ნაწერებს, ეს, უფრო ფასს სძენს...

არაფერი ვარ, გარდა პოეტის...

კახა ბაციკაძე

რეალობის უარმყოფელი

ერთ ულამაზეს ქანდაკებას
უსმენს, დღედაღამ,
ვინმე შეშლილი ჯადოქარი,
და არ მოიწყენს,
ასე იძახის, –
აქ მუსიკის ტკბილი ხმებია,
სხვა ადგილას რომ
ვერასოდეს, ვერვინ მოისმენს...

პოეტური გრძნობა

ხვალ, როცა დილა გათენდება, –
მზე რომ ამოვა,
მთელი სამყარო დაინახავს და წაიკითხავს
მზის ტანზე ღამით დაწერილ ლექსს,
ჩემს ლექსს, სევდიანს.

მერე, როდესაც ცა მოიქუფრება, –
გამოჩნდება ამაყი ღრუბელი,
მთელი სამყარო დაინახავს და წაიკითხავს
ღრუბლის ტანზე დაწერილ
ჩემს ლექსს, სევდიანს.

მერე კი მოვა ლექსების წვიმა, –
თვითონ ლექსები წამოვა წვიმად,
ფერად წვიმად – მთელს სამყაროში, და მაშინ,
ადამიანებს, საგნებს... ყველაფერს დაასველებს
ჩემი პოეზიის საბრალო სევდა...

ყველაზე მეტი
(ეძღვნება სერგის)



მეფე მეფეა, ღამეები მუხლს მოიყრიან...
ის დაიბადა, რომ ყოველ წამს ცისთვის ემზირა...
მეფე მეფეა და მიტომაც სხვანაირია,
არ გამოდგება ამ სამყაროს პირფერ ვეზირად!..
გული გულია, ის სისხლისფერს ვერ უღალატებს,
მერცხლების ფრთების სიცახცახით
გრძნობებს წარმოქმნის,
ეძებს სხვა გულებს, პოეზიით დაუღალავებს,
მის ფანტაზიებს თვით სამყაროს სივრცე არ ჰყოფნის...
ცრემლი ვერასდროს მიატოვებს თვალთა კალაპოტს,
უნდა ზღვასავით წრიალებდეს, უნდა ღელავდეს...
სიტყვების სხივი ჯოჯოხეთის უფსკრულს გააპობს
და პოეზიით განათდება ირგვლივ ყველა დღე...
წარსულთან აწმყოს შეაერთებს გრძნობების ხიდი,
ყველას ვიხილავთ: გვენატრება, ვინაც გვიყვარდა...
მახსოვს: ოცნებით, ზეცისაკენ, ხელებს ვიწვდიდით,
სულის ტალღები ლექსად ქცეულთ გამოგვრიყავდა...
და არც შეცვლილა არაფერი, ისევ ვაგრძელებთ
უდიდეს ძმობას ერთმანეთთან, ლექსთან, სიტყვასთან!...
მეფე მეფეა, ღამეები მუხლს მოიყრიან...
ის დაიბადა, რომ ყოველ წამს ცისთვის ემზირა...
მეფე მეფეა და მიტომაც სხვანაირია,
არ გამოდგება ამ სამყაროს პირფერ ვეზირად!...

გიორგი ზუბზაია

მარტოობის განმერთება

ტკივილს მარადის ფიქრი უძღვოდა.
მოლოდინისგან გრძნობა გამუქდა.
ვიჯექი ზღვასთან, და საუბრობდა
ცისფერი შუქი იისფერ შუქთან...
საკუთარ თავთან ვიგრძენი მტრობა.
გულს ოცნებებმა დიდხანს სდიესო.
ვიჯექი ზღვასთან, და მარტოობა
ვიდოდა წყალზე, როგორც იესო...

ლექსები და ადამიანები

მე ვხედავ ზეცას შეშლილს და ეულს,
მერე, ფიქრისკენ, ბოლომდე წავალ.
ვიღაც ქვისაგან ქმნის ძვირფას სხეულს.
ვიღაც ფერებში დაახრჩობს ტანჯვას.
სამყაროს იტევს ეს თავის-ქალა,
მაგრამ ცხოვრება უფრო ავდება,
ვიღაც ღალატით აშენებს ქალაქს,
ვიღაცა წამით კლავს უკვდავებას.
სიტყვა ითქმევა ბედით და ენით,
ერთხელ სიგიჟე იქნება ჩვენსკენ,
მე კი ნერვებით, ნერვების მელნით,
ვწერ ტკივილიდან გადმოსულ ლექსებს.
მე ვარ პოეტი და ვერ მიშველით,
რადგანაც ჩემში ღმერთს აღარ წავშლი,
მე ვცვლი სამყაროს, როგორც ფრინველი,-
როგორც ფრინველი დაფრინავს ცაში.
მე პოეტი ვარ და არც ვმალავდი,
ეს ყველაფერი არის ნაწერი,
და ვცვლი სამყაროს, როგორც ჯალათი
სიკვდილმისჯილის კისერს დასცქერის...
მე მხოლოდ გულის განცდა მებადა,
და გაგიჟება, გულის, მელოდა,
და ვსაუბრობდი უკვდავებასთან,
ვით ჩვილი ბავშვი – ანგელოზებთან.
მე ვწერდი ლექსებს, ბედის წამშლელებს.
სული არასდროს იცვლიდა იერს.
ვიღაც მკლავებით ტაძარს აშენებს,
ვიღაც სიბრმავით აპურებს მშიერს.
და ლურჯი ზეცა – ეს არის ენა,
ვიღაც აჩუმებს სილურჯეს ახლა,
მე კი არაფერს ვაკეთებ ქვეყნად,
მე ვწერ ლექსებს და გულს ცოცხლად ვმარხავ.
და მიწის ყველა ნამცეცს განვიცდი,
მე ვსუნთქავ სევდით, არა ჰაერით,
და მე ვმდუმარებ, რადგან არ ვიცი
ლექსების გარდა სხვა არაფერი!..
ვხედავ ლექსებს და ადამიანებს –
სამყარო არის ომი მათ შორის!!!

ლექსის მონოლოგი

არსებობს გული, არ არსებობს ამქვეყნად შიში,
მე ვარ ლექსი და ცოტა ხანში იტყვიან სადღაც,
მიწაზე ყოფნა ახლა ნიშნავს ყოფნას შენს ფიქრში,
სისხლით და სულით ვგრძნობ, თუ როგორ მიგონებ ახლა.
არასებობა არ არსებობს, შეიგნეთ, გვედრით!
არის პოეტი, და ლურჯი ცა გრძნობას მიჰყვება.
შენ მე წარმომთქვამ, და მე, ენას ვგრძნობ, როგორ ვწყდები,
მიწაზე ყოფნა ახლა ნიშნავს ყოფნას სიტყვებად.
და ფურცელია და მელანი ფიქრთა მესია,
რადგან სისხლივით დავედევნე მზის პირველ სხივებს,
შენ მლაპარაკობ, შენ მჩურჩულებ, და მე ლექსი ვარ,
საოცარია, როცა ლექსად წარმოგთქვამს ვინმე!
და გიხარია, რომ შენ არვინ არასდროს წაგშლის,
რომ უსასრულო, ვარსკვლავიან სივრცეს ეფინე,
და გიხარია, რომ შენ, ერთხელ, ვიღაცა ბავშვი,
ნიშანის გამო, სამუდამოდ დაგიზეპირებს.
რომ სამყაროთა დასასრულის იქით მიდიხარ,
სინათლეს შენი ჟღერის განცდა რომ კვლავ ეღირსა,
ან სიკვდილის წინ ჯარისკაცი რომ წაგიკითხავს,
შეიმსუბუქებს, შენით, ტკივილს განშორებისას.
შენ გიხარია, რომ აპურებ გამოწვდილ ხელებს,
და არ მოელი არასოდეს იმედს უკეთესს,
ან-როს ვიღაცას დასცინებენ, ქუჩაში, ერთხელ,
ის მოვა სახლში, წაგიკითხავს და მიუტევებს.
სამარადისოდ, სიყვარული, ჩემი, დარჩება,
რადგან ლექსი ვარ, ფიქრი არის ჩემი სიცოცხლე,
ყველაზე მეტი არის ქვეყნად ლექსად გაჩენა,
მადლობა უფალს, რომ შენ ერთხელ გამომიგონებ.
არსებობს მთები, არ არსებობს ამქვეყნად შიში,
მე ვარ ლექსი და საუკუნოდ შენს გულში ვსახლობ,
მიწაზე ყოფნა ახლა ნიშნავს ყოფნას შენს ფიქრში...
პოეტო, მზად ვარ! შეგიძლია ამომიძახო...

ედუარდ უგულავა

***

როგორც კი გული სევდით ევსება,
შოთას აფორიზმს ამბობს რიხიანს.
ცდილობს ცხოვრებას ვაჟას წესებით,
როგორ გამოსდის, სხვა საკითხია...
მუდამ მომავლის იმედით სავსე,
სამშობლო ჩვენი - ლექსთა საუფლო,
გინდა ისე თქვი და გინდა ასე,
გალაკტიონის ენით საუბრობს.

ზარი

ჩუმად ვუცქერ,
არც კი ვიცი, რა ვთქვა,
როგორ ცდილობს თურმე შვილის შველას,-
სამი დღეა სოფლის ნასაყდრალთან
დედა თოვლში მიდის ფეხშიშველა.
ღმერთო ჩემო, სიგიჟეა სრული...
სახლის კარი დილით მხვდება ღია.
სამი დღეა დედის ნაფეხური
ახალ თოვლში იებივით ყრია.
ის კი ტოტზე დაკიდებულ ზართან
მიდის და სულს იიმედებს ლოცვით.
აბა, დედამ ლოცვის გარდა რა თქვას?!.
ცერზე იწევს და თუჯის ზარს კოცნის.
ცივი ქარი ფიფქს სახეში აყრის
და უქერცლავს გალურჯებულ მერქანს.
ფეთქავს ზარი, როგორც გული საყდრის,
ზარი ბოლო იმედივით ფეთქავს.
და ფიქრითაც შემზარავი არის,
ხომ დაკარგავს ამ ერთადერთ იმედს,
ნასაყდრალთან რომ არ დახვდეს ზარი,
ერთ დღეს ზარი რომ ჩამოხსნას ვინმემ.
ვაკვირდები ალალსა და მართალს,
თურმე როგორ დაიბრიყვეს წლებმა.
სამი დღეა მიდის დედა ზართან,
პირჯვარს იწერს და მუხლებზე დგება.

მზე

მზემ უძილობას მოუსწრო სულზე,
მოუღო ბოლო ბნელით წვალებას;
თითქმის მოხუჭულ თვალებით ვუმზერ,
იმედით სავსე მის ბრწყინვალებას.
სიცოცხლის ნიჭით აავსოს კაცი,
აქვს ამის ძალა შუქის მთოვარეს,
მაგრამ, რატომღაც, როგორც კი მსგავსი
რამე ღვთიური აღმაფრთოვანებს,
წამსვე იღვიძებს ხსოვნაში ჯვარცმა,
ველარ ვიშორებ ცოდვას უშორესს...

რაც უნდა სუფთად იცხოვროს კაცმა,
მზეს თვალებს მაინც ვერ გაუსწორებს!

***

სარკმელთან ქარი იცინის ცივად,
მზემ ოთახიდან შუქი გაზიდა.
სულისშემძვრელი სიმშვიდე ცვივა
ხეების დახრილ სილამაზიდან.
შენ ისევ ჩემი მზერისგან შეცბი,
იფარებ ხელებს შიშველ მუხლებზე,
ზიხარ სარკმელთან და თმიდან ვერცხლი
გეყრება მხრების სიმსუბუქეზე.
რა უცნაურმა შეგიპყრო სუსხმა,
ახლა რომ ყინვით გივსებს იარებს...
შენს ფერმკრთალ ყვავილს წყალს არვინ უსხამს
და სულს არავინ არ გინიავებს...
აწვალებ ბეჭედს, გაბზარულთვლიანს
და ელოდები სასჯელს უვადოს...
შენი ნერვების შეუწყვეტ შრიალს,
სხვებმა რად უნდა მიაყურადონ?!.
როგორ დაღლილხარ ტკივილის თმენით,
როგორ გემღვრევა თვალის გუგები...
ჩუმად ხარ, მაგრამ სხეულის ენით
მაინც გულღიად მესაუბრები:
რომ ახლა ბედსაც შესაწირს სწირავ, –
მაგრამ ეს მსხვერპლი არის საჭირო?!.
იქნებ შევძლოთ და სიკვდილის პირას
მყოფი იმედი გადავარჩინოთ...
ღამდება. ქარი ფრთას ახლის მინას...
ისევ ღრმავდება სულში სამსჭვალი
და ბნელში ცრემლის ის წვეთი ბრწყინავს,
რომლის დამალვაც ვერ მოასწარი.
თითქოს ვიღაც დგას მიხურულ კართან
და ეღვენთება ხელში სანთელი...
მე კი მიყვარხარ და ამის გარდა
სხვა არაფერი დამრჩა სათქმელი!..

სოფელი

რა უცნაური შეგრძნება არის,
ერთხელ გახედა სივრცეს ჯიქურად,
დროებით ვერც მან მოხურა კარი
და სამუდამოდ გამოიხურა.
წავიდა ისიც და სახტად დავრჩი
და, ალბათ, მისიც უნდა მესმოდეს,
როს ყელში სევდის ბურთულაგაჩრილს
მიაქვს იმედი ბოლო მეზობელს.
სიჩუმე მალე ყველაფერს დაღლის
და ასდის სოფელს სუნი სამარის –
მამლის ყივილი და ყეფა ძაღლის
სხვის ეზოებში აღარ გადარბის.
მზე ფანჯრებს
ახლაც რა თბილად კოცნის,
მაგრამ დუმილი წამსვე აობებს.
სოფლის წყაროსთან ქალები სოფლის
არ სხდებიან და არ ჭორაობენ.
აღარ დაადგა იმედს საშველი
და სინანული კვებავს ისევე.
ახლა უბეებს ცელქი ბავშვები
მოპარულ ხილით აღარ ივსებენ.
ნეტა, ფიქრადაც თუ ვინმეს ყოფნის,
რა ამოავსებს ამ დიდ დანაკლისს.
არ დარჩა ქალაქს იმედი სოფლის
და, მით უმეტეს, სოფელს – ქალაქის.
ჩამივლის გვერდით, თითქოს და ვერ მცნობს
და უხილავი წყდება სიმები...
გადაავიწყდა ღიმილი ჩემ ცოლს,
მეც, რა ხანია, არ ვიღიმები.
ვარ ავსებული უმძიმეს სევდით,
თვალებში ცრემლი დგება ადვილად.
კვლავ იმ ტალახს ვზელ, რომელსაც ვზელდი
და სოფლის მთავარ გზაზე გავდივარ.
მაინც სხვაგვარად ხმაურობს სისხლი,
გულს ეს ხმაური ძგერად უღირდა:
ჩემი სახლიდან ბავშვის ხმა ისმის,
ამოდის კვამლი ჩემი ბუხრიდან...

ცყვე ჯარისკაცი

მესმის, როგორ მეძახიან ბიჭები,
ომის ცეცხლში დაკარგული ძმები.
დაჭრილი ვარ და სისხლისგან ვიცლები,
საკანში ვარ, ვსუნთქავ გაჭირვებით.
ვიღაც სულზე მექაჩება სამსჭვალით,
მედარდება და ვერაფერს ვამბობ:
აფხაზეთი — სისხლის ზღვაში ჩამხრჩვალი,
ცრემლით სავსე — ჩემი სამაჩაბლო...
ალბათ, მალე გააღებენ საკეტებს,
დამავლებენ ხელებს და ტყვე ქართველს
გამიყვანენ და ძაღლივით დამხვრეტენ,
მე, არც პირველს და არც უკანასკნელს.
ტყვიის გარდა, არც არაფერს არ ველი,
არ იყოფა აზრი ჩემი ორად,
თუმც ლოდინი არის აუტანელი
და დამღლელი, თანაც განუზომლად.
ვცდილობ, მაგრამ შიში ვერ მოვიცილე,
ვერ ვერევი უსაშველო კანკალს.
ხორცში ძვრება შემზარავი სიცივე,
სისხლს მიყინავს და ძვლებამდე ატანს.
ასე ყოფაც, არის, ალბათ, ღალატი
და სიბრაზე შეუცნობლად მოდის.
უკვე ვიცი, რომ ვერც ერთი ჯალათი
სისასტიკით ვერ ჯობია ლოდინს.
როგორ ვშიშობ, უკეთურმა სურვილმა
(ახლა არა, ოღონდ არა ახლა),
არ დამძალოს და სიცოცხლის წყურვილმა
არ გამიშროს სისხლიანი ხახა.
უკვე ისე დამეძაბა ნერვები,
რომ გარდაცვლილ დედას ცხადად ვხედავ,
თვალებს ვიფშვნეტ დაგლეჯილი ხელებით,
ისევ ვახელ და ვჩურჩულებ — დედა!
— აქ ვარ, შვილო, აქ ვარ, ჩემო სიცოცხლე,
რა დღეში ხარ... თურმე, როგორ წვალობ.
არ შეშინდე, შენს გვერდით ვარ, იცოდე,
გაუძელი, დედა გენაცვალოს!
რომ მოდიან, ალბათ, უკვე მიხვდები,
მტრები ახლა შენს წინ დგანან, შვილო!
— ვგრძნობ ყველაფერს... მაფხიზლებენ წიხლებით...
აი, ფეხზე წამოდგომას ვცდილობ.
არ ვიშორებ, მგონი, არვის მუშტებით,
მე ვერ ვხვდები... შენ მითხარი, დედა?!
საკნის კარსაც აღარ ვებღაუჭები,
მივაბიჯებ... ესე იგი, მხნედ ვარ...
მეღიმება და მტრებს უფრო ვიმტერებ,
აფთრებივით მეხვევიან მტრები
და ძვლებს ისევ კონდახებით მიმტვრევენ,
ვეცემი და მაინც ფეხზე ვდგები.
მეღიმება, თითქოს სიკვდილს არ ველი
და არ მოვა ვარდისფერი ნისლი...
ისევ ვივსებ ფილტვებს სუფთა ჰაერით,
ახლა უკვე სხვა სიცხადით ვიცი,
თუ რა ძალით მენატრება საცოლე
და სიცოცხლე რა სიგიჟით მიყვარს...
მაინც ვთქვი და სისხლიც ამოვაყოლე, —
საქართველო!!! — ამ დალოცვილ სიტყვას...

ნათია დაშნიანი

* * *

სხეულში უმიზნოდ ვბორიალობ,
ქარს მოაქვს ქვითინი როიალის,
სიცოცხლეს სჩვევია გაკერპება,
გაცვეთილ ფიქრებთან ლოლიავი.
გარეთ წვიმს, წვიმა კი მშიერ ბავშვებს
ქაღალდის ნავებით ათამაშებს,
ვერ ბედავს მზე მათთან მიტოლებას,
გაწვდილი ხელები იტბორება.
ცოტაც და მისწვდება ცას ღრიალი,
–ფრთები ვერ შეუსხამთ იმათ რაშებს,
მამა ზის სარდაფში ნაღვლიანი,
თავს ეკლის შოლტებით იმათრახებს.

მაგნოლია

ყვავილებით მომეგებე მაგნოლია,
მზესაც ერთად გავუღიმოთ ადრიანად,
სიჩუმეა, სიმარტოვის აგონია,
უშენობამ გული დამიდარდიანა.
დედამიწას ბალახების სუნი ასდის,
სხვა სიმდიდრე არ იყო და არც მქონია,
მზისფერ ყვავილს შევხედე და ღრუბლებს ავცდი,
ამ ყვავილებს რად მიმალავ მაგნოლია?
ან ვინ მოგცა ეს ღვთიური სილამაზე,
იქნებ ქარმა ციდან შენთვის მოიპარა,
აქ, სიკვდილის და სიცოცხლის გასაყარზე
შენს რტოებთან მზემაც მუხლი მოიყარა.
ყვავილები მომაგებე მაგნოლია,
რომ სიცოცხლე შევისუნთქო ადრიანად.
სხვაგან წასულს ფრთები აღარ გამყოლია,
უშენობამ გული დამიდარდიანა.

წერილი ძმას

არ გენატრება ჩვენი სახლი თოვლში ჩაფლული?-
ულამაზესი ხეივნებით , თეთრი ბაღებით...
ან ის ვაზები, შომოდგომის მტევნებასხმული,
კანშემომსკდარი ბროწეულის მწვანე თაღები?....
კაკლის ხის ძირას ვთამაშობდით ცელქი ბავშვები,
ჩვენ ქვაც გვიყვარდა იქაური, ხავსიც, ეკალიც...
უკვე დიდები, მოგონებებს ვეთამაშებით,
აწმყო გვაშინებს გაზრდილ ბავშვებს ავად მყეფარი.
სახლი და თოვლი... ცარიელი სახლი და თოვა...
ეს მერამდენედ ამომხადეს სული ფიქრებმა-
ჩვენ იმ მიწაზე ველარ შევძლებთ საფლავთა მოვლას
და ცოტა ხანში არაფერი აღარ იქნება.
დაფარავს წყალი ყოველივეს, ძველსა თუ ახალს,
ო, რა ძნელია ამ ტკივილზე ფიქრის აგება,
სახლი კი არა, წინაპართა ძვირფასი ძვლები
და მათთან ერთად თვით ბავშვობაც დაგვეკარგება!

ცას ვგავართ

ზამთრის ცას ვგავართ ახლა მე და შენ,
სახეს ვიფარავთ ღრუბლის ფთილებით,
დროგამოშვებით წვიმით ვსაუბრობთ,
უხმო სიჩუმით გადაღლილები.

ქარიშხლიანი დღეები ვიცით,
უცხო თვალისთვის მზის მორიდება...
წუხელ დათოვლილ იმედის მავთულს
ზურგი აქციეს სველმა ჩიტებმა.
ზამთრის ცას ვგავართ ახლა მე და შენ....

***

სიცილის სიღმეში
  დამალულ ცრემლებით
ჩემს ჯვარზე ღმერთივით
ათასჯერ ვევნები.
ფერდს ლახვარნაკრავი
-საწუთროს საკლავი,
მთებიდან ჩამავალ
მზეს დავედევნები
მაგრამ ჯერ სუნთქვაა,
ფეთქვაა გულის და
ძილშიაც ჩამესმის
ხარხარი სატანის,
არ ვტირი, ზეცა რომ
არ გამიგულისდეს -
ადამის მოდგმის ვარ,
სიკვდილის ამტანი!

***

ბუნება არ იცვლის დადგენილ კანონებს,
მოკვდავნი ყოველთვის რაღაცას ნანობენ,
როდესაც ნაკლიც და ღირსებაც გროვდება,
საცნობად დადებულ სამარის ლოდებთან.
მტკივა და რატომღაც უცხოა სრულიად
სიცოცხლე, რომელსაც სიკვდილის სუნი აქვს.

***

გარდაიცვლება შემოდგომა ნოემბრის ბოლოს
და ფოთლებივით გაცრეცილი დარდიც ჩაივლის...
შემოიხევენ თანდაყოლილ ძაძებს ყვავები,
მოედებიან გაშიშვლებულ კლდეებს ჩხავილით.
გაფრინდნენ წლები, აღარ რჩება დრო დაფიქრების,
მშიერი მიწა ძვლებით მუცელს ამოიყორავს,
ამოვარდება ქარიშხალი თეთრი ფიფქების,
ამოვარდება, ბოლო სუნთქვას ამოიყოლებს.

***

ვხარობ ატმების აელვარებით,
სივრცეს ნისლების სევდა ამშვენებს.
დღეს შენზე ფიქრებს არ ვემალები,
მოდი, იმედი შემომაშველე.
კვირტი გაშალეს ბაღში ვაშლებმა,
შენ სანუკვარი გრძნობა გამანდე,
ამ გაზაფხულის პეიზაჟებმა,
რომ მიგვაცილონ ტაძრის კარამდე.
ანგელოზები ფრთების შრიალით,
ეჭვის შხამიან ეკლებს მაცლიან...
მივდევ ბილიკებს მზის თავშლიანი
და მარტისფერი კაბა მაცვია.

***

კოწახურებს შესევიან ჩიტები,
დეკემბერსაც გაუვიდა ვადა.
სევდამ გულზე დამაცალა მჭიდები
და ვნატრობდი მაგ ტუჩების ბადაგს.
ცივ სივრცეში ფარაფტებენ ფიფქები,
(მაღალ ნაძვებს ცა შობისთვის
რთავდა).
რიგრიგობით მიმოდიან ფიქრები,
უძილობით დამძიმებულ თავთან...
კოწახურებს შესევიან ჩიტები.

გურა-ანგურა
(გურამ გედევანიშვილი)

ჩვენ, ადამიანები, ხილვების სამყაროში მოარულებსა ვგავართ და გვსურს იქ ნანახი და გაგონილი აღვწეროთ. ჩვენ ვუბრუნდებით ჩვენს ბავშვობას და ამით თითქოს დაბადების ჟამს ვესწრებით და შემოქმედთან ერთად ვართ მარადიულ ქმნადობა-ცვალებადობაში, გარდაცვალების წრე-ბრუნვით მრავალფეროვნებას ნაზიარებნი. უტყვი ბუნება გვესაუბრება მრავალსახებითა და მდუმარებით იმ სიტყვებით, რომელთა ძალმოსილებით შექმნა უზენაესმა ეს სამყარო; ამოულეველი, უკიდეგანო, უსასრულო, ყოველნით განფენილი, დაუსაბამო. ძალგვიძს კი, ადამიანებს სრულად შევიმეცნოთ და გამოვხატოთ მარადიულად ცვლადი არსი ჩვენი არსობისა? რა თქმა უნდა, ეს შეუძლებელია, მაგრამ მცდელობა, გავაკეთოთ ეს ნაწილლობრივ მაინც, ჩვენი ვალია.

„არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისათვის არა იზრუნოს.“
(ნ. ბარათაშვილი)

მაშ გაუმარჯოს ჩვენს უზენაესს, ჩვენს უფალს – სიტყვას.

მჭირვალ პეპელათ ფრთათ მინებიდან

ოქროს თაველით სავსე ყანები წყალში ცურავენ,
როგორც ქალწულის შიშველი ტანი,
მზედალალებით გადმოშლილი მთრთოლვარე მხრებზე...
და როდი იყვნენ, როდი იყვნენ ამით უარზე,
ცისფერ ნიავთან გაემართნათ ვნების როკვანი,
ტირიფის ხეთა ჩამორხეულ გრძელი მკლავებით,
სად მდუმარების ჭალაკების მშფოთვარი თვალი
მჭირვალ პეპელათ მინებიდან დამზერს სამყაროს
და მწუხრ დაისებს ელოდება მთვარესთან ერთად.
მთებში ჩაუწნავს ვარსკვლავებად ღამის იანი,
საყურეებად უწმინდესი პირთეთრათ ცვარი
და კერატებად პირიმზეთა ცხელი ალმური.
მო, საყვარელო... ის გეძახის შორი ძახილით,
შორი ძახილით სიყვარულებს რაკრაკებს წყარო,
მკერდი აევსო ტყეში ძახველს და ვნებით თვრება,
დილა გალობის გადმოაფრქვევს კენკეშათ ციმციმს,
ვით უთეთრესი გედის გუნდები სჩანან ღრუბელნი
და მოდის ბინდი ჩანავლული ცისკრის რიჟრაჟით.
ო, ტყის ქალწულო, დიოფალო, ალო გრძნეულო,
ო, ტყაშმაფაო, ოქროსფერო, მე გულწასული
დავეკონები შენს უნაზეს და მოქნილ სხეულს
ვით ამაოთა სივრცეებში დროთა დინება.

❖

ცრემლი მძიმეა

სიხარულისგან მიქვითინია;
ცრემლი მძიმეა,
ცრემლი ძვირია.
მიღაღადნია,
მიმდუღარნია,
კვლავ ცოცხალი ვარ?..
გასაკვირია.

❖

ბალახმა გამთელა

პოეზიის ღმერთთან ბრძოლა...
აი, ჩემი განგება...
ღმერთმა ვერც კი, შემამჩნია,
ან, ეგების, განგებად.
შთაგონების ჭალად ვიყავ,
ჭალის დათვმა დამბეგვა,
პანტამ მცემა, ზღმარტლმა მირტყა
და ბალახმა გამთელა.

❖

სტვენს გაშმაგებით სიმი ჭიანურის

სტვენს გაშმაგებით სიმი ჭიანურის,
მე კი ღმერთს ვეძებ...
შორს, ჩემს სოფელში, სურნელი პურის
ჩრდილებს აღვიძებს;
ჩრდილებს წიფელათ ფოთოლი დასდით,
ლურჯ საკენკელას
გადახვევია წრფელ ნანინით
ნაზი კენკეშა.
აქ კვირაცხოვლის
უნაყოფო ქვები სტირიან,
ეჰ, განა მართლა,
ტირილია, ჭიანურია...
სტვენს, გაშმაგებით, გაშმაგებით
ცოდვილი შაშვი
ზეცაო ნამი დაგვაპკურე, წყაროვ
ნუ, დაშრი.
ვინც, მერე მოხვალთ,
ამოივლით უხილავ გზებზე,
შენიშნეთ სული ჭიანურის,
მე, კი ღმერთს ვეძებ.

❖

უკვე დადუღდა ცოლიკური

აჭრეს, აჩალეს სიმინდის ყანა,
დააჩენგელეს კინილ–კინკილად,
ცივმა ამინდმა გადიქანქარა
და ჟამ–დროებამ გადაირბინა.
უკვე დადუღდა ცოლიკური,
ჰა... შემოდგომაც გადაფერადდა,
მთვარე შემოჯდა თავის კანტურით
და ჩამოიცვა ღამე პერანგად.
გადაძახილი – გადმოძახილი,
ბუს მოწყენილად ჭოტმა გასძახა,
ლელქაში, წყლისკენ თავებდახრილი,
იხვებს ალერსით შეელაქლაქა.

❖

მე, ათას ქალში ვეძებ ღვთაებას

მე, ათას ქალში ვეძებ ღვთაებას,
მომკილ ნამქერალ ნამჯის ყანაში,
ოკეანის ქაფს, ნისლთა ქანებას
და არას ვითხოვ, შრომა-გარჯაში,
მხოლოდ სასწაულს, მხოლოდ სასწაულს,
დიად ოცნებით და გაოცებით,
ტკივილიან ცრემლს, მზერას ცად წასულს,
მოღლილს, ჩუმიერ წრფელი ლოცვებით,
ვნებიერ სუნთქვას, ტბის გარინდებას,
იდუმალ ტევრთა თავდავიწყებას,
სამზეოს იქით სწრაფვას მიღმეთი,
სად ყოველი ქრება და კვლავ იწყების;
უდაბნოს სუნთქვას, ზურმუხტის ტალღებს,
მოცელილ ღამეს, დამათვრალ ციაგს,
რომ ვარსკვლავეთით მიმღეროს რამე,
რასაც ლაჟვარდის მთებზე ავიტან.
ჰანგს ვეძებ, ჰანგებს, მძივებს სულისას,
ქარვის სხმულებით სამყაროს ფეთქავს,
დროებს... სივრცეთა დასასრულობას,
სატრფოს ერთადერთს და ღვთიურ დედას.
მწამს სიყვარული მარადის გალობს,
მარადის წყარო, ცოდვითა მთნევი,
ანკარა წყნარად სხივ-მოწანწკარობს,
როგორც ჰანგები, ნელიოდ მჟღერი.
მე, ათას ქალში ვეძებ ღვთაებას
და მკლავს წყურვლი მათთან შერწყმისა,
სული მტრედივით ამოვარდება,
როგორც სიტყვები დიად ღმერთისა.

გულს უყვაოდა წითლად ძახველი

ტყე იყო ჩიტი, ცისფერ ზეცაზე,
გულს უყვაოდა წითლად ძახველი.

❖

ძველი მოტივებიდან

სთქვა მეფემ: შეიარაღდით,
აბჯართ სიშმაგე..., ცხენი...!
სთქვა მეფემ: ფარზე მამკვდარი
ვაჟკაცს გმირობა შვენის..!
ციხე-ლოდები-ძვლები...
ტახი, აფთარი, გული,
დროშა – ქართული ლემი,
მთები, მტრისათვის მტრული.

დარტყმა, ღალატი, მკერდი,
ტაო, მესხეთი, გური,
ჯვარი – სიწმინდე მკვეთრი,
კლდე – ციხე, ანანურის.
სთქვა მეფემ შეიარაღდით,
ორბი, არწივი, ფრთები!
არ დავუმონოთ არავის
მამული ერთადერთი!

მხიბლავდა ქარის სეირნობა ღამის ქალაქში

მე, ვაჰანგებდი ჰანგიერი ჰანგების ჟღერას,
მბჟუტავ ვარსკვლავთა ჩუმიერად გადაძახილებს,
კომეტათ ქროლვას, ნაწილაკთა უეცარ ცვენას,
გედთა სიმღერას და წეროთა ცაში ნაკივლებს.
მხიბლავდა ქარის სეირნობა ღამის ქალაქში,
მისი წიოკი, იმპულსური შემოყივნებით,
გაბრწყინებული პროსპექტები შუქზე მხარგაშლით,
ველთა დუმილი და მდინარის ტბორთა ბინდები.
მესმოდა ცრემლის დაბადება, წუხილის შემდეგ,
თვალთა თვალებთან ბაასები, გულთა გუგუნი,
მწველი ვნებების, საოცარი ნდომით როს ჟღერდნენ;
ტყეთ მშფოთვარება მძვინვარ ცეცხლით გადაბუგულის.
დამშვიდობება, სამუდამოდ, შვილის დედასთან,
მარადიული შეხვედრები, გაყრის წუხილი,
უფლის ლოცვანი, გულმხურვალედ, დაბადებასთან
და გალობანი სუმბულისთვის, კვდომა ბულბულის.

ყაზახთ ლურჯი თვალები მხიბლავს

ყაზახთ ლურჯი თვალები მხიბლავს
და მათი წრფელი ჩურჩულიც მავსებს,
დაბლა ეშვება მთებიდან დილა
და ღამის ზღაპარს უყვება ხავსებს.
შემდეგ ყაზახა საყვარელს ეძებს
და ჰა, ნიავი შეახებს მკლავებს,
მკლავებს გარუჯულს აღმოსვლის მზეზე
და სულს უმწიკვლოს ფერებში დალევს.

რას ჩურჩულებდა ნეტავ ყაზახა,
ალბათ, სიცოცხლის მარადისობას,
ღმერთმა სამყარო როგორ დახატა,
გასაოცრად და გასაკვიროდა.
ჩამოგიჯდები ჩემო, ყვავილო,
სულო ობოლო, სულო მცინარავ,
რომ დილის ცვარი თავს გადავივლო,
შენ რომ ყოველთვის ასე გიყვარდა.

❖

ველნი გარბიან

დაჯდა გალობად,
ჰანგით წყალობად,
ნაირფერობა,
ლექსთ განქიქებად,
ხმა ნიმფებად,
ზღვათა ერობა,
თქვეს: ან – ბან – დონი,
სულთ ცოდონი,
შავი ყვავილით,
არ მოსაწონი,
ყურთ საცობი,
ლექსის ხავილი.
მე, კი, მეგონა
ლექსებს ვსწერდი
ჩემი სულიდან,
ბან-გან-თან-იდან,
ენ-ვინ-დონ-ი-დან
სი და მო-ნი-დან;
როგორ მოვიდა
დღე წარსულის –
უტყვი მონება,
მიმ-ფარ გორიდან,
მო – თოვიდან,
მზით მოგონება.

მე, რა ვიცოდი
სამიწონის
გადაქვავება,
ნაპრალთ ვიწრონით
უბიწონის
დგომა ქანებად,
შარავანდედით შავრდენი,
ლოცვა
უთხოვართ,
ფლოქვზე ნაბდებით
ეკალ-ბარდებით
დრო გაურბოდათ.
ვთხოვე ეცლია,
მთვარეს მერცხლიანს
ვარსკვლავთ ციმციმი;
გულში ცეცხლია
ხმაში ვერცხლია,
დრონი სისინის
მსურდა დევივით
ქვე წამექცია
ურა კვიციეით
ველნი გარბიან,
ცანი მესხმიან,
სივრცე იცინის.

❖

სადაც სამყაროს სხვა სივრცეა გადასახედი

მე, თქვენ გეკუთვნით სულით და გულით,
მე, თქვენ გეკუთვნით,
როგორც ამ კუთხით და ცით ნაკურთხი
გამოვლინება,
კოსმიურ გზებით, ნისლეულით
შემონაბერი,
დე, ეს იცოდნენ, წვიმის ღვარად
წამოშლილებმა.
დე, ეს იცოდნენ სასწაულის მაუწყებლებმა,
როგროც ენება ღვთაებრივსა, ისე დამაწყო,
წრფელ მელოდიდად გადმომფანტა, ათას ფერებად.
და მოწყალების შემოქმედი ხელი დამადო.
არც რას ვიგონებ, არცა რას ვთხზავ,
არც რას ვარაკობ,
მხოლოდ დამათრო გრძნეულებამ
მრავალსახეთი,
ვიცი, იმ გორით გამიტყვილებს,
სადაც დამათოვს,
სადაც სამყაროს სხვა სივრცეა გადასახედი.

❖

დღეო, ფერწასულო!

ძველო მოგონებავ ფითრდები,
მზეო, გულწასულო, მიქრები,
ნუ, იქმ, ნუ-ნუ, შენი კვნესამე,
დღეო, ფერწასულო, მესამე.

❖

ო, ძმაო, ჩემო

ო, ძმაო, ჩემო,
გლოვის ნიშნად თმები გამიშლია,
თმები გამიშლია
და ზეცაში მიფრიალებენ.

❖



ნახატი: გურამ გელოვანისგან გადაღებული ფოტოდან.



ვიოლინოზე ლაჩრუნელი
ნახატი; გაუმარ ვეფხვიაშვილისა.

ქალი, ბავშვი და ფეიერი (ფაფუკა ოჯახი)
ნახატი: ფაფუკას ბებერვაზეიმეფილოსი.

ოცნება

ძველი ფერი
ძალი ოცნება

„ეაძნი, თეთრ ჭორზე
აძგერდ რეკლამანი."
(ქართული ხალხური
ზღაპრიდან)

ნახატი: გაბრიელ გელოვანი-ჭვილოსი.

„თვალთა ბაჟაჟანი, ეზე ნაბუნკვილ,
ყოკლთან ჭელოსტელი,
ვალესვ�და ეთავოსეთ
ბუკი ხოლოვლი.“ /ვაჟა-ანგაფა/ ნახატი: ვაჟას ვალდებულებაა.


„ᲛᲝᲜᲐᲮᲔᲚᲘ ᲛᲔᲠᲪᲮᲚᲘᲡ ᲛᲘᲜᲐᲠᲔᲑᲘ“.
ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ: ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲛᲝᲡ�წᲐᲕᲚᲔᲑᲘ.

– ეშმაკი

ზღვიდან ამოსული ჭვიანის ჯიში
(ათინოს ი.დან)

ნახატი: გაგრაში მეფეთევანი ჭვილისა.

ატლანტები ვიდოდნენ ციკლოპური ლოდებით

აქ, ფაფრების შრიალით
ურა კვიცნი დარბოდნენ,
ზეცა დანაბზრიალი
სთავაზობდა ტატნობებს,
მიღმიერი სამყაროს
უხილავი ლანდებით
ეხებოდნენ მთები ქორს,
ქართა შემოძახებით.
ვარდებოდნენ ხევები
კანიონთა ღრმულებში,
ტყენი ანახევები,
ველნი გაყურსულები.
რა, ხდებოდა, ვინ იცის,
ოდეს მრუმე ხარებით
შენისლული ცისკიდით
სტვენდნენ იხტოზავრები.
ატლანტები ვიდოდნენ
ციკლოპური ლოდებით
და ფიქრობდნენ იმ დროზე
ქრობის და დაღონების;
ალბათ, ურა კვიცებზე,
ალბათ, არყის ხეებზე,
ლურჯ ფერებს როს მინებდნენ,
ქვების სიმარტოვეზე,
იმ ნიავთა ქროლვაზე,
ხევს მოარულ დევებზე,
აწმყოს წარმავლობაზე,
ჩიტთა გადაფრენებზე.

❖

მზე, თუ მზე არის

მზე, თუ მზე არის
        დედავ, დედაო...
უდაბნოს ლომი დაფეთდებაო,
        ტყეში გამიშვი,
        ფრთები ქარიშხლის
        სულს მიაქანებს.
.....
ყველა მდინარე ზღვაში მძინარებს,
ზღვაში ტანჯვათა ნაკადს ერთვისო,
        სისხლით მძვინვარე
        სვავნი მყივარებს...
        „სული ღმერთისო“...
უბეში, ლურჯი მტრედებისათვის,
        სდუმს სანადიმოდ,
ხედავ არ იშლის ნაპირს გაიშლის,
        თიხად ბაბილონს.

❖

დგას საუკუნე გარდამავალი

აზავთებულა ზვავთა ზვირთები,
აღელვებულა ზვირთი ზღვაურის,
რაც იყო, იყო, არ დაბრუნდების,
მანქანა, მიჰქრის გადაკარგული.
რა ყიჟინაა რა ჟრიამული,
ჟამი უჟმური დასდევს ქარიშხლებს,
აღარ მოისმის გზებზე ურმული,
და წარსულ სევდას აღარ გვანიჭებს;
აღარც, ტოროლის ხმა მოწკრიალე,
აღაც, ღალღების ფრენა ტალღური,
ავტო-მოტოთა ხმები გრიალებს,
კოსმიურ გზებზე გადახლართული.
ვგავართ ჭინჭველთა, ბმულნი ჯაჭვივით
და მოყიყინე ბაყაყთა ხოროს,
ფუტკრების ამქარს ქარი გაჰკივის,
კოსმოსისაკენ!.. ბოლოს და ბოლოს.
როკავს მსოფლიო, იხსნის ბორკილებს,
ყოველ აკრძალვის საზღვარ-სამანის,
მთვარე დალაშქრეს, მარსი მოხიბლეს,
დგას საუკუნე გარდამავალი.

❖

მარმარილოს ქანდაკნი იდგნენ

ნისლში გახვეულ მოტანტალე კლდის წვერზე ვიდექ
და შევსცქეროდი ედემის ბაღნარს,
შორს საჭვრეტელად მარმარილოს ქანდაკნი იდგნენ
და მოეჩითა მდელოები მათ ცრემლთა ღვარღვალს.

❖

ნადიმს გადუფრენს ღვინის სასმისი

იქ, იქ, რა გელის, დუმილის ზღვაში?
ოკეანური ვნების სამუმით,
სივრცენი გრძნობენ ამ გარდაქმნაში
იქნება დიდი აურზაური.
იქნება დიდი მითქმა და მოთქმა,
ო, რა ტანჯვები, ო რა გაძლება,
მრავლი სევდა, ცრემლი და ოხვრა
და სადღაც ალბათ, გამოდარება.
ქალურ საწყისთა დიადი ჰიმნით
შეენივთება გველს ქაოსები,
ბედუინები მირაჟში მიჰქრის,
გადაკარგულნი წრფელ გაოცებით.
დაესვენება ხმლები ქვიშაზე,
დადუმდებიან ქვემეხთ ექონი,
მოვა სამყაროს დიდი სინაზე,
როგორც პირთეთრათ სავსე ბექობი.
დავემსგავსებით ფუტკართა საძმოს,
უცხო თენებით, უცხო საწყისით
და არ დაგვტოვებს არავინ მარტოდ,
ნადიმს გადუფრენს ღვინის სასმისი.

❖

მეც მზე ვარ

მივდივარ, რა დალევს ბილიკებს,
დილის მზე გრძნობებით მეხვევა,
კლდისთავზე ცახახებს პირიმზე,
კლდის ძირში ციცინებს პირთეთრა.
ამოდის მიწიდან ბალახი,
თავდახრით, მადლობის მწირველი,
იზარდეთ, იხარეთ, განახლდით,
ცა ყუჩობს-ცისფერი ფრინველით.
მთის წყარო მოდის და ლიკლიკებს,
იტლიკინეთ ქვიქვირა კვიცებო,
ანთია ლურჯ მთებზე ცის კიდე
და ფიქრობს მიწას რა მივსცეო,
მანანა-ცის მარგალიტები,
გვრიტები, ქედნები, მწყერები,
ციყვები, ზამბახნი, ტიტები
და ყვავილთ ათასი ფერები.
დაჰქრიან ფეხმარდა ნიავნი,
ქვიანი რიყენიც ფიქრობენ,
ო, ჯერაც არ არის გვიანი
ქალთევზათ გუნდები გვინდოდეს.
მღერიან სიმღერას ფშანები,
შვავები ტალღებმა გარიყეს,
გალობენ შაშვები შავები
და ზესკნელს ეხსნება კარბიჭე.
მივდივარ რა დალევს ბილიკებს,
დილის მზე გულმკერდზე მეხვევა,
კლდის თავზე კაშკაშებს პირიმზე,
მეც მზე ვარ, მეც მზე ვარ,
მეც მზე ვარ!..

❖

ბილიკი ხევში ჩაკიდული იმალებოდა

ბილიკი ხევში ჩაკიდული იმალებოდა,
გამოჩნდებოდა და იძახდა ჭიტა-ჭიტაო.

❖

მხოლოდ ქარები თარეშობენ

აქა, ვინც იყვნენ, აწ მარადის სახე წაშლიათ,
სახე წაშლიათ და ქვიშაში მიმობნეულან,
მხოლოდ ქარები თარეშობენ, მხოლოდ ქარები
და გლოვა-ურვა წარსულებზე არ დაუშლიათ.

❖

ძეწნა ლურჯზე-ლურჯი ფონით

იგი არის მოტირალი,
ფშანის პირად მარტო მდგარი,
ხე ძენძილი, ხე ფესვგრძელი
და სიმწვანეს გადამკვდარი.
ძეწნა ლურჯზე-ლურჯი ფონით,
ხევთა შფოთით, ველთა რბოლით.

❖

ო, ჰანგი ქმნიდა საოცრებას

ქართული ჰანგის ჟღერადობით მზე დავიჭირე,
მზე დავიჭირე, მზე დიადი, როგროც ფიალა,
იცხოვრე, როგორც გილხინდეს და როგორც გიჭირდეს,
და არა სცვლიდე ჭაობებზე, გაშლილ იალაღს.
წრფელი გალობით მე ვუმღერდი მცინარა ყვავილთ,
აღვსილი დიად სიყვარულით, ყოფის სიკეთით,
ცელქ ნიავივით ხელგაშლილი ვიყავი ლაღი
და სივრცეების გაოცებით შორში მიმზერი;
სადაც ქაოსის არარიდან ამოულევლად
სპირალის ხაზზე მოძრაობენ ნისლეულები
ფერხთით ვუჯექი მოალერსე დედაბუნებას
და ბროლის კლდენი იხსნებოდნენ დამარხულები.
ო, ჰანგი ჰქმნიდა საოცრებას, სიცოცხლის საწყისს,
გინახავთ ხეთა გაკვირტება მეწამულ ფონზე,
მაშ, გაუმარჯოს, ვინც ფიალას ბოლომდე დასცლის
ტანჯვის გაძლების, სიცოცხლისაც, ჰანგით რომ რბოდეს.

❖

ცივ ნოემბერს წითლდებოდა ძახველი

ცივ ნოემბერს წითლდებოდა ძახველი,
დაზამრთდა და უცნაურად წახვედი,
მე, გიმზერდი სულთ თვალების გახელით,
მიყვარდი და ვმალდი, არას ვამხელდი.
გულს მეფინა ვარსკვლავეთის გუნდები,
საკვირველი, სპირალური ბრუნდებით,
ფერში ვიყავ გახსნილ-ჩანახუტები,
ჰანგში ბგერა, ბგერას შენატყუპები,
გაღმერთებდი, სულ გეძებდი ღვთაებრივს,
ნიავებში და ეთერში ნაერთი
მოდიოდი, ტყის ჩურჩულთა ამბორით,
ვალერსობდით და არაფერს ვამბობდით.
ვინ ვიყავით, განა ვინმემ უწყოდა,
დავემსგავსეთ პეპლებს უწონ-უწონადს,
გვალაღებდა წყარო, წნორთა შრიალით
და დრო ჩუმი მდუამრების მდინარით.
ახლა, სად ხარ, სიხარულის სხივებო,
სიყმაწვილის ლაჯვარდს შენატიებო,
ო, ლელწებო — მარად ჩემზედ მტირებო
თუ, რამ გცოდეთ, ღმერთო! გვაპატიეო.

❖

ასე ვსაუბრობდი სამყაროსთან

როგორ ჩამოშლილა დალალებად
დრონი გაფიქრებით მაცქერალნი,
სივრცემ უსრულობით დამანელა,
ფშანმა განმაცვიფრა საფირონით.
ჩიტმა გაზაფხული მიგალობა,
მიწამ ენძელების იავნანა,
იამ სული წმინდა დამაფიცა
და სთქვა სიმღერები სევდისთანა.
ქვები ზეცისაკენ გამიფრინდნენ,
ლოდთა საფლავები მიატოვეს,
ცანო, თქვენი ცრემლით განმაბანეთ,
კვამლო, ბუხრის ზღაპარს მიამბობდე.
კლდენო, ბროლის მკერდი გამიხსენით,
მფეთქავ გულის მტრედთან ჩამახუტეთ,
ქვესკნელს დაგმანული კარიბჭენი
ფარავს გოლიათებს დანაყუდებს.
მინდა გვერდს მომისხდნენ მეგობრები,
ორბნი, სულღუმნი და ფასკუნჯები,
სულთა მოცაურნი შემომფრენნი
აზრთა შორსგამჭვრეტი დაუნჯებით.
მითხრან რა ვუშველოთ დედამიწას,
მზის სვლას გარინდების საუფლოში,
შობას, აკვანებში რომ გადაირწა,
ნანა ფერადოვან მარაოში.
ასე, ვსაუბრობდი სამყაროსთან,
მწუხრი ამშვიდებდა შენივთებას,
სულთა ღვთაებასთან გარდამოსვლას
ნისლთა მორევები ადინჯებდა.

❖

და არავის არა სურდა მიტოვება წამის

მე, არარა არ მამშვიდებს,
ფორიაქობს სული,
მივყვებოდი ქარ-ქარ შინდებს
ქორი გაბასრული...
ყვითლად აჰანგებულიყო,
გაზაფხულის პირად
იყო, მერე არა იყო
საღამო და დილა.
გზები მიედინებოდა
გრძნეულ მონახაზით,
სივრცე მგლობდა, ირემობდა
დრონი უსურვაზის,
ფშანის წყალი მოდიოდა,
რუკრუკებდნენ რუნი,
ღრუბლის ქულა მოტივობდა
ცაში დაკარგული.
აქ, არავინ არ ფიქრობდა
მოვლინების არსზე,
ნიავთ ჩუმი მოქნილობა
ჰქსოვდა ფიანდაზებს,
მდუმარება დაჰყვებოდა
პეპელთ მჭვირვალ ღრუბლებს,
იდუმალი სამზეოდან
მდელოდ შეფანტულებს,
აქ ეძინათ, სულ მცინარა,
გამონასკვნილ კვირტებს,
უხილავად სულ ცისანა
თრთვილებს უნატიფეს,
შეუცნობადს აპკურებდა,
ჯამი, ჰქროდა ჟამი
და არავის არა სურდა
მიტოვება წამის.
იყო განუყოფელობა,
გამქრალიყვნენ დრონი,
ძეწნა ქვანტებს უმღეროდა,
მოვლინებულთ შორით.
ვინ უწყოდა დასაბამის,
ანდაცა დასასრულის,
კლდედ რა იყო დამარხული,
ბროლის სასწაულით.
არაფრიდან როგორ იშვა
დღეთა გარინდება,
რომ ვიქცევით წყლად და ქვიშად
რატომ გვავიწყდება.

❖

მოგონება ზაფხულის მზისა

ძახველი ისე წითლად ღვიოდა,
ვით მოგონება ზაფხულის მზისა.

❖

სალამურების ამოოხვრა ჩვენს არსობაზე

საფლავის ქვები ამსუბუქდნენ, აჰყვნენ დინებას
და ჩიტებივით გაფრინდნენ ცაში,
სული ამ ხილვა-საოცრებას თროლვით მინებდა,
იმ, უხსოვრიდან, ეხლაც და მაშინ.
სასწაულები ასე ხდება, ჩემო ძამიკო,
უცნაურობად ნუ ჩამითვლით ამ რეალობას,
ამქვეყნიური ზეციერმა ასე წარიღო,
ასე დაგვტოვა, დაგვამწუხრა და დაგვაობლა.
ნელი სიმღერა თუ, გაგიგიათ სასაფლაოზე,
წყნარი ჩურჩული, სიოს ქროლვა, სივრცის დუმილი,
სალამურების ამოოხვრა ჩვენს არსობაზე,
ხსოვნის მარადი ნისლეულით შმოსუდრული.

❖

მისტერიული მხიბლავდა ხანა

მე მოკლებული ვიყავი ტრფობას,
კორიანტელში, ვნებების ქაფში,
ასე დამიდგა წინ შემოდგომა
უსიერ ტყეში, წარსულის ლანდით.
მისტერიული მხიბლავდა ხანა,
ვინ-ვის ეძებდა, ვინ-ვინ იპოვნა,
თრობა ვნებისგან ვინ-ვინ იკმარა,
ვინ დაიღვარა სისხლად ღვინიდან.
ველად დარბოდნენ ალნი, სიშიშვლით,
წყვდიად ღამეთა მანათობელნი,
ო, რაოდენი იყო ღიმილი,
მაკვდინებელად დამათრობელი.

❖

გაზაფხულის ხმაძლიერი შეხება

ხმა ხმიანობის ხანგამძლე და ხნიერი,
ხელეურიც ხელდახელად იკვრის,
ეს, ცხოვრება მსრბოლი, წამისმიერი
ხანმოკლეა და ეს მეტად მიკვირს.
ხე იზრდება, ხვიარები გვეხვევა,
ხელისგულზე ფეთქავს ხვითოს გული,
გაზაფხულის ხმაძლიერი შეხება,
არსობაა წრფელად შენასკული.
ხიბლნაყური ჩქერალები ხვივიან,
თეთრ ჩაფხუტებს ჩამოეხათ კალთა,
ჭიუხები მეცხრე ცაზე ჰკიდია,
არა, ძმაო! უფრო, უფრო მაღლა.
რა მხარგრძელი ხეობები გვქონია,
ხელთუქმნელი, ხუროთმოძღვრის ძალით,
ცად ლივლივებს ვნება, თუ ძელქორია,
აპა, რავა! ჰყეფს დროების ქარი.
ხეკორძულას ხელადები ივსება,
სვეტიცხოველს წვეთს მირონი წმიდა,
ხმა დაირის ბროლის ცვარად იმსხვრევა
და სიცოცხლე ამისათვის გვინდა.
ხეივნების დახვავებას ვუმზერთ,
ფერხისებით ხვიხვინებენ დრონი,
დავიძახოთ, კაცი-კაცი ქუდზე,
სიკეთისთვის, სიკეთისთვის ბრძოლნი.
ეხის ჭალას ხითხითებენ დევნი,
მაჭახელას ჭახჭახებენ შაშვნი,
სალაღობოდ დაუკარი ერთი...
და მომგვარეთ ცეცხლოვანი რაში.
ხელთ მომეცით ქნარი, ქნარის სიმზე
დავახვავო სიმღერების წყება,
ვინმე მესხი სიმღერებით გვიმზერს,
ჯვარს ევედრა დაიჩოქა მცხეთას.
საქართველოვ! — ღაღადებდა ბერი,
ცრემლი-ცრემლი ნიაღვრებად სჩქეფდა,
აღმიდგინე ჯიში-ერი, ერი!
კვლავ ერთობით მარადისში ღმერთთან.

❖

ბინდის ნელი დაისური სიმთეღერა

რა მინდოდა აქ მოსვლისას, არ ვიცი,
ქარს მიჰქონდა ხმელზე-ხმელი ფოთელი,
ცა და მიწა, ქაოსი თუ, საწყისი
მარად იყვნენ ასე განუყოფელნი.
ბინდებიდან აჩრდილები მეწვივნენ,
დაცლილები სოფლიური ყოფისგან,
სხვა დილებით, ნამსგავსებნი მზეწვიებს,
არმსურველნი სახეთ წარმავალობისა.
გვერდს მომისხდნენ, საუბარი გამიბეს,
დღე მონისლეს ვარდისფერი ვუალით,
მთავაზობდნენ მიღმიერის კარიბჭეს,
მეც დავთანხმდი, არ მეთქმოდა უარი.
მათ მოსწონდათ, თურმე ჩემი ცრემლები,
არავისგან, არნახულად ნადენი,
შევიცანი კაცთა ბედის მწერლები
და მათ ნებას უნებურად დავყევი.
მომიწონეს ფიქრთა წყნარი დინება,
დაძინება გვირილათა სამოსით,
ღიღილოთა ლურჯად ჩაბიბინება,
პირთეთრათა მღერა იავნანოსი.
ბილიკებით შორს მავალი სიმღერა,
ლაჟვარდ ფერის მდელოებში მიმოსვლა,
ბინდის ნელი დაისური სიმთჟღერა
და ჩურჩული ლელწს ჩახვეულ სიოთა.

❖

არ მოგვიკვდეო..!

კორტოხის თავზე შრიალა ვერხვი ქარმა დაძენძა,
შრიალა ვერხვი გადურჩა ქარებს,
შრიალა ვერხვმა ტანთ სამოსი წამოიხადა.
თეთრი სხეული ცისფერ ფონზე იხატებოდა,
ფშანი გოდებდა, წყარო კვნესოდა, ხევი ღმუოდა;
არ მოგვიკვდეო, არ მოგიკვდეო, არ მოგვიკვდეო!

❖

ნაბდის ნაჭერზე ამოქარგეს ორი ბოკვერი

ტკბილი ოცნების ჟრუანტელი ახურავთ ნაბდად
მრავალტანჯულებს, უპოვართა, ღარიბ-ღატაკებს,
მზის ქალწულებთან ორგიები, ნადიმთ გადახდა,
ტბათა ლელწებში მთვარეს დახვდნენ და ტანთ გახადეს.
შიშველი მთვარე წყლის ზედაპირს ნაზად შეეხო
და ცურვა-ცურვით ლელქაშებში გადაიბლანდა.
ნაბდის ნაჭერზე ამოქარგეს ორი ბოკვერი,
თეთრი, ქათქათა, ციაბროლა ცაგუნიები,
გაიზრდებიან...? ალბათ, ალბათ, ალბათ ლომებრნი
დაგლეჯენ მთვარეს, ფოლადივით დაძაგრულები.

❖

წვიმა რომ გულზე მეცემა

წვიმა რომ გულზე მეცემა,
წვიმა რომ მკერდზე გადამდის,
თითქოს მე ვიყო ენძელა
დასაწყისიდან, მარადის,
ანდაც წარსული დინების
დრო ვიყო, ჟამთა მედინი,
როგორც ხარლაღი ირემი
მიწიდან ამოფრენილი.
მზე რომ ძარღვებში მეღვრება,
მზე რომ მტევანში ფუვდება,
გრძნობა სისხლივით დედდება
და ყურძნის წვენად ბრუნდება.
ყანა ვარ მაშინ თავთუხის,
შრიალა ქარის შეხებით,
რად მემუქრება დაღუპვით
ცელი, ჭრად მონახეთქები.
კევრი, ფიწალი, არნადი,
ნამტვრევი კოხის პირები,
დედას ჯეჯილად დავყავდი,
მზის სხივით განაცვიფრები.
დამწვიმე ცვარო, დამწვიმე,
გამავსე, გამატიალე,
ვაიმე დედო, ვაიმე,
ხევ-ხევში დავიღრიალებ.
მივლეწ-მოვლეწავ არტახებს,
ავაბურთავებ ლოდებსა,
დევის ძალს დამანათლავდე,
უკუღმად ვსდგამდე კოტებსა,
ცივ ზამთარს დამაძინებდე,
გამიცივებდე სხეულსა,
კლდისას პიტალო პირებზე,
ჭინკათ გასწევდე ფერხულსა,
გრძელ-გრძელ სიმღერას მეტყოდე,
ზარ-ზარით დამიტირებდე,
ზვავთ ჩამოცილდი ფერდობთა,
ნისლთ როგორ დამაწიოკეს,
ბურუსთა როგორ წამლეკეს,
ჯანღებმა როგორ მიყელეს,
წყლად ქცეულს ნეტავ დამლევდე
ტყეო მღერალო ლილეზე.
ქარო, ქარიშხლის მშობელო,
ქარ-ქარბორბალის მადლითა
ზეცაში ამიტაცებდე,
ბროლის უწმინდეს ტახტითა...
და ისევ გადმომისროდე
ჩემს ტანჯულ დედამიწაზე,
რომ სიმღერა ვთქვა დილებზე
და მზეზე დასაფიცარზე.

❖

ერთსა გთხოვ, ცრემლი მაპკურე...!

წყეულო, რა ლამაზი ხარ,
ქალავ, ლელწივით, ღვთიანო,
მთრთოლვარ აშოლტილ ვერხვს ჰგავხარ,
ჩრდილს მაფენ, სხვისთვის მზიანობ.
ცისფრად გიშუქან თვალები,
ცანი შიგ იყურებიან,
კლდეები ნაღვლიანები
პირთეთრით შემოგვხვდებიან,
დილის ცვარს შემოგაფრქვევენ
ყვავილთ მცინარა ბაგენი,
ხანდისხან მენაც დამხედე,
ლოდი ვარ გრძნობითჲ ნაგები.
ერთ დროს ხარ ლაღი ვიყავი,
რქებით მიწასა ვჩხვერავდი,
მესმოდა გაღმა მზვრის წყალთა
ჩქერალთ რუკრუკა მღერანი.
ბუერათ ნელი დუდუნი,
წნორთა საამო შრიალი,
ტყე მწვანედ გადაბურული
ზღაპარს მეტყოდა ტიალი.
ჩამიქროლებდა ქედანი,
ჩამომიფრენდა ალალი,
შველი, მგლით დანაფეთარი
გადამირბენდა ქარაფით.
ნაზ ხელებს შემომახვევდა
რბილი ნიავი მთებისა,
ერთსა გთხოვ; ცრემლი მაპკურე,
შამწყალევ, დანანებისა.

❖

ნაირა ნიჟარაძე

ქუთაისი რაინდების ქვეყანაა

„მშობლიურო ქუთაისო“,
ხარ ცისა და დედა-ღვთისო,
ხარ გმირების გამომზრდელი,
მოღუღუნე რიონისო.
ხან ია ხარ, ხან აია,
ათასი წლის მეტი ხნისო!
რომ გაუძელ ამდენ გრიგალს,
დიდების და ქების ღირსო!
ზოგი ცუდი, ზოგი კარგი,
პურმარილით ყველა გიცნობს,
ისეთი ხალხის მშობელი ხარ,
არ დაჯაბნი არავისო.
მიწა ბევრი წაგიწიწკნეს,
მიტომ დარდობ ყველაფერსო,
კვლავ ზეცამდე აიზრდები
ყველაფერის კარგის ღირსო.
მორთულო და მოკაზმულო,
ჩიხტისკოპით მანდილისო,
მწვანე ყვავილს მოგვაგონებ,
წყაროს ჯაბნი ქადილითო.
აქვე ჭომა გვერდით დგომა,
თამარ მეფის გეგუთია,
დოლ-გარმონით გელოდება,
ზეიმი თუ ფეხბურთია.
წყალტუმპოში ქრიან ქარნი,
ფეხმორთხმული ხარობს ია...
გვერდს გიმშვენებს საყვარელო,
გეგუთი და სათაფლია.
ღმერთმა ბრძანს: – ამ დალოცვილს,
ოჯახს, ძვირფასს ტოლს და სწორსო,
სიყვარული, სიხარული,
არ მოაკლდეს არასდროსო!

პოეტ [ლადო ასათიანს]

ქუთაისი სიჭაბუკის წლები,
რიონი და დაქარგული მთები,
ციდან ცვივა პოეტების საზრდო,
მცხუნვარე მზე ცივ ყინულსაც ადნობს.
რა დრო იყო, დღე, თაფლივით ტკბილი,
მზის სხივებით არემარე თბილი,
ლადოს დედას გაჰკრეს მწარედ კბილი,
არ აცალეს მას ქმარშვილთან ძილი.
წაიყვანეს ქალი ციმბირს იქით,
დამნაშავე; წააწერეს ფურცელს,
დააობლეს ოჯახი და ფუძე,
დედის ცრემლებს პოეტი ვერ უძლებს.
ქუთაისო, გახსოვს სუსტი ლადო,
თეთრი მთები და რიონი ფართო,
ლადო მისწვდა ვარსკვლავების ერდოს,
პოეტს ბედი უნდა დაებადოს!

ძმები ბალანჩივაძეები

/ჯორჯ ბალანჩინი/
დაბადებიდან 150 წელია

რიონის პირას გაზრდილი ძმები,
და ჯაჭვის ხიდზე მავალნი ლხენით,
ქუთაისს ახსოვს მათი ნაბიჯი,
ქუთაისს მათი სახელიც შვენის.
ძმები ანდრია, თეთრი გიორგი,
გამოიარეს გზები ხრიოკი,
ანდრიამ შექმნა ბევრი სიმღერა,
და ბანს აძლევდა დიდი რიონიც.
მამა – მელიტონ ბალანჩივაძე
მუსიკას სწერდა ცაცხვის ნიავზე,
მაგრამ სხვა იყო კოხტა გიორგი,
ჯორჯ ბალანჩინი – შვილი რიონის.
შემოიკრიბა ტურფა ქალები,
ამერიკაში შექმნა ბალეტი,
ორთავე ძმები სახელოვანი,
ქუთისლების პურის მთა-ველნი...
ჯორჯი მოფრინდა ამერიკიდან,
– ხომ კარგად ხართო – წყნარად იკითხა,
მოინახულა მამის საფლავი,
„მწვანე ყვავილის“ იყო მნახავი.
არ დართეს ნება ევლო ვენახად,
და ეკლესია პაპის ენახა.
მან სთქვა: ჩემს გულში დღეს მაისია,
ჩემი სამშობლო ქუთაისია!

დები იშხნელები

(1905)

ქუთაის ახსოვს ლამაზი დები,
მათი სიმღერა ნაზი და სათნო.
თერთმეტი შვილი გაზარდა დედამ,
იავ-ნანინა ახლაც რომ გვათბობს.
ბელურებივით შემოსხდებოდნენ,
და გასაოცარ ხმებით მღეროდნენ,
სიმღერისათვის დაბადებულნი,
იმ დებ იშხნელებს ყველგან ელოდნენ.
ბაგრატის ტაძრის მახლობლად ზრდიდნენ,
და საქართველოს ვარსკვლავს ადრიდნენ,
ხმაშეწყობილნი, როგორც ბულბული,
ახლაც ვიხსენებ იმ ხმას ადრინდელს.

რიონის დუდუნს ჰფენს ეს ბგერები,
ზეცამ აპკურა ვარდის ფერები,
სირინოზების ხმათა სიამეს,
ჩემი ამ ლექსით ყველას გიამბეთ.
ჩემს ქუთაისის ლამაზმა სცენამ,
ამ გოგონებით აიდგეს ენა.
ქალაქს ამშვენებს იშხნელთა ქუჩა,
გულის დარდი რომ მეც გამიყუჩა.
სულის ყვავილო, ჩემო სულიკო,
სიმღერა გულში ჩაქარგულიყო...
და საქართველოს ცათა სულებით,
გაჟღენთილია ქართლის ველები!

– უქიმერიონ –

ქუთაისის მაღალო მთაო,
გახსოვს ბესიკი?...
და ლექსები ტანო-ტატანო?
არ შეიძლება ქუთაისიდან
გამოქროლებულს ქარს გაატანო!
გორს გაბაშვილი შემოუნახავს,
ასეთ მშვენებას სხვაგან სად ნახავ?
გესმის რიონის წყნარი დუდუნი,
ცაცხვზე ბყლბულის ტკბილი ღუღუნი,
ის მომღერალი სიყვარულისა,
სილამაზის და მშვიდობისა.
მას ქუთაისის გულთბილ მიწაში,
დასაფლავება რომ არ ეღირსა.
მთვარე ტატნობზე ისევ მიგორავს,
ვინ დაივიწყებს მდივან მწიგნობარს,
ბესიკს მომღერალს „ტანო-ტატანოს“
არ შეიძლება ქარს გაატანო,
იმერეთის მზევ სხივ მომფინარო,
ჩინარო, ვაზო, ჩეროს მფინარო,
ყველა ქართველი მთების სადარი,
ტკბილი ჰანგებით ღმერთმა გატაროს!

ისევ

ისევ აყივლდა ჩემი მამალი,
ისევ მოზღვავდა სიო ახალი.
ისევ ინთება ზღვისფერი ზეცა,
ისევ შევხარი ფარჩხალა მზესა!

აღარ მჭირდება ცრემლის ღვარღვარი,
წინ მელოდება მთები მაღალი,
აღარ შეფერის ღიმი – ღაზღაზი,
არადა მინდა ვიყო ლამაზი.

მეცვას შარმაში, კაბა ქამხასი,
სულში მომედოს მისი ხასხასი,
მომხვიოს ხელი ისევ ღვარცეცხლით,
არ დამიკარგოს ლექსი არცერთი...

მე ვინც მიყვარდა მაჩუქოს მძივი
და მწვავდეს მისი სითბო და სხივი!
კვლავაც მიყვარდეს კაცი მაღალი,
მისი ბადალი არსად არ არი!

შორენა მამალაშვილი

გედის სიმღერა

როცა ხეები მოისხამენ ოქროსფერ ატლასს,
მე და ცა ცრემლის ნაკადულად ჩამოვიცლებით,
ეს ბოლო წასვლაც არ იქნება უბრალოდ წასვლა,
გედის სიმღერას გიმღერებ და გარდავიცვლები.

როცა სიჩუმე გამეფდება დეკემბრის ღამის
და გაყინულ ტბებს დატოვებენ თეთრი გედები,
მე, როგორც ფრთებზე მეოცნებე მიჯნური მთვარის,
ხელებს გავშლი და გედის ფრთებით დაგედევნები.

გარდავიცვლები, როგორც თოვლში დამზრალი ვარდი,
და ჰა, ფურცლებად მცვივა ლექსის მარგალიტები,
უკანასკნელად მოგიყვები, როგორ მიყვარდი,
უკანასკნელად გიმღერებ და გარდავიცვლები...

გაზაფხული

მზეს ემოსა სადედოფლო კაბა,
ცის მაყრიონს მოუძღოდა მთვარე,
ღრუბლის თეთრად დაქარგული ფატა,
უგზო-უკვლოდ გაეტაცა ქარებს.

გაზაფხულით გათქვირული მიწა,
ითვრებოდა თვალჟუჟუნა წვიმით,
ხის რტოებზე ლურჯი დილა იწვა,
  და ძარღვები ევსებოდა კვირტით.

მარტის ვნება ახელებდა ზეცას,
არისხებდა წვიმასა და ელჭეს,
ქარი ტყემლებს ასწავლიდა ცეკვას,
მოკრძალებით უკოცნიდა ტერფებს.

სიხარულის ცრემლებს ღვრიდა ვაზი,
ლაჟვარდისკენ აეზიდა ბწკალებს,
ქალღმერთივით ამაყი და ნაზი,
ალვებისკენ აპარებდა თვალებს.

ისე მორცხვად აზმორებდა მიწას,
გაეღეღა მკერდი მსხმოიარე,
ღამით საბნად იხურავდა ცის ნამს
და სველ დალალს უვარცხნიდა მთვარე.

უჩვეულო აღტკინებით შემკრთალს,
ყვავილები ეღვრებოდა წვიმად
და თვავადაც ვერ გაეგო ბეჩავს,
როგორ იქცა ორსულ დედამიწად.

მთვარის პილიგრიმები

ცამ შეიბნია ვარსკვლავები, როგორც ღილები,
სრა სასახლეში საარაკო ამბებს ყვებიან...
და ეს ჩიტები, როგორც მთვარის პილიგრიმები,
ცის ბილიკებით ოცნების გზებს მიუყვებიან...

მთვარის კიბეზე ვეზიდები ფიქრის საზიდარს,
ამ ფიქრთა ფიქრში უთვალავი წელი დავხარჯე,
ზოგჯერ მგონია კვლავ ბავშვივით ვეძებ ნატვრისთვალს
და ამ ძებნაში, უკვე ყველა ნატვრა დავკარგე.

შორეულ ცაზე შეფენილი ლურჯი ჩიტები,
სამხრეთის თბილი კალთებისკენ ეშურებიან,
რატომღაც ვფიქრობ, ეს ფრთოსანი პილიგრიმები,
ოდესღაც ჩემგან გაფრენილი ოცნებებია.

ჩემიდან ცამდე, ანუ შენამდე ...

ერთხელ მითხარი შორს არისო,
ცა უსასრულოდ თვალუწვდენელი,
მაგრამ მას შემდეგ,
რაც შენ გახდი ცის ბინადარი,
აღარ გიჯერებ!
ჩემიდან ცამდე, ანუ შენამდე
რჩება ხელი გაუწვდენელი...
და როცა შენს ხელს, ჩემი ხელი ჩაეჭიდება,
ვიცი ერთბაშად ფერს დაკარგავს
ზღაპრის სიჭრელე.

ჩემიდან ცამდე, ანუ შენამდე
არის მხოლოდ ერთი ნაბიჯი,
ერთი ნაბიჯი სიბნელიდან-
ანდა ხიდიდან...
და როცა წამში გაქვავდება ათასი ფიქრი,
ჩუჩულით გეტყვი,
რომ არც ისე შორს ხარ მიწიდან!

***

მითხარი ღმერთო,
ქარვისფერი ქარების ქროლას,
რად ეწირება ჩვენი ქვიშის პირამიდები,
ან რად ელიან უსასრულოდ წვიმების მოსვლას,
მწყურვალ ტალღებით
ალოკილი ზღვის ნაპირები?...

მითხარი ღმერთო,
რა იქნება მოქცევის მერე,
საით წამიღებს ბედისწერის მღვრიე მორევი?
ღამის უკუნეთ სიბნელეში ვაცეცებ ხელებს
და ხსნას უფალო,
ისევ მხოლოდ შენგან მოველი!

***

ხომ დამთავრდება ეს სეზონი დელგმა წვიმების
და ეს ხილვებიც ხომ ოდესმე აგვიხდებიან,
მოგვაკითხავენ იმავე დღეს გარდაცვლილები
და იმქვეყნიურ სასულეთში წაგვიძღვებიან.

რადგან სრულდება ყოველივე დასაწყისშივე,
ანდა იწყება დასასრულის დასაწყისიდან,
წარმავალია ეს წვიმებიც და ეს სიცივეც,
მზე ამოხდება ცის მაგივრად ერთხელ მიწიდან.

ხომ მდიდრედებიან უბედური მებადურები,
როს ბადეები ოქროს თევზით აივსებიან,
მაგრამ იმ დღიდან კიდევ უფრო უბედურები,
გადასარჩენად ისევ ზღვასთან გაიქცევიან.

ეს წვიმიანი ამინდებიც ბოლოს მთავრდება,
ხოდა ილოცე, ოცნებები რომ არ აგვიხდეს,
რადგან ყველაზე გრძელი ღამით მაშინ ღამდება,
როცა სიბნელის მოლოდინში შიში წაგვიღებს...

ზეინაბ ასისტიშვილი- ქინიძე

მშობლის ვალს

მშობლის ვალს, შვილი ვერ გადაიხდის,
ხშირადა თქმულა ასე,
შვილებს უყვარვართ; ჩუმად, ფარულად,
გულს სიყვარულით ავსებს.
თვითონაც გრძნობის ვერ გაუგიათ,
გავა დრო ამას ხვდებიან გვიან,
მშობელი დიდი იმედი არის,
მას უკვდავების წამალი ჰქვია.
სანამ მშობელი იმედით გავსებთ,
ნუ დაინანებთ სიტყვას თბილს, შვილნი.
მშობელი მშვიდად იცხოვრებს მაშინ
სიბერეს ეტყვის რომ შენ ხარ ტკბილი.
შვილებისა და შვილიშვილების,
სიხარულია, მშობელისთვის ძალა;
თქვენ კარგად იყოთ, დაგენაცვლებით,
თქვენი ყურება გულს სრულად კმარა.

წითელ ვარდებს

წლები; კარებს უცქეროდა თვალი,
ირგვლივ იყო ბურუსი და ნამი,
ამ ლოდინში დაკეცილი დღენი,
თმებზე თეთრი ფანტელები ბევრი.
ამ ლოდინში წლები როგორ წასულა,
გამოვფხიზლდი, რამდენი დრო გასულა,
იქნებ მითხრა, შემომიხსნი კარებს?
თუ ლოდინში დავხუჭავ მე თვალებს.
გაზაფხული გვიან მაინც თუ მოვა,
იქნებ დადნეს დათოვლილი მთები,
შენს ლოდინში შევერცხლილა თმები,
მაგრამ მაინც, ისევ გელოდები.
ვიცი ერთხელ შემოაღებ კარებს,
შემიმშრალებ ამ ცრემლიან თვალებს,
გამიღიმებ, მოვედიო მეტყვი,
იცოდე რომ საყვედურს არ გეტყვი.
შენ მოხვედი, როგორ გამახარე;
დამავიწყებ, ცრემლშერეულ ღამეს,
გამიფანტავ შემორჩენილ დარდებს,
გამომიწვდი ლამაზ წითელ ვარდებს...

ბედნიერი ბავშვობა

(პატივცემულ ქალბატონს,
ლიანა ოსიაშვილს)

ოცნებებით დაპყრობილი მწვერვალი,
ჩვენი სოფლის სიყვარული მუდმივი.
ვერ შესცვალოს, ვერაფერმა ვერავინ.
ბავშვობიდან ჩაგესმის,
მრავალ ხეთა შრიალი.
მოჩხრიალე მთის მდინარის,
სიმღერა და ტრფიალი.
ახალსოფლის მთა-ველი,
ბევრჯელ დაგვილაშქრია,
ჩვენი სოფლის ტყუპისცალი
მსოფლიოში არც კია.
ჩვენი ფეხთა ნატერფალი,
მთის ნაბერი ჰაერი,
ერთნაირად გვიყვარს სოფლის,
გოჯიცა და მტკაველიც.
სალამურის ხმაში დარჩა,
ოცნებები ნეტარი,
ჩვენი ტკბილი ბავშვობა,
დაგვიბრუნდეს ნეტავი.

ლიანა ოსიაშვილსა და მე, ზეინაბ ასისტიშვილს,
ერთი დროის ბავშვობის ბედნიერი დღეები,
ერთი სოფლის ძლიერი სიყვარული
გვქონდა და დღესაც გრძელდება იგი.

თეთრი იები

მთიდან მომართვი ხალიჩა იის,
იის ხალიჩა მრავალფერია,
დიდხანს იცოცხლე, ჩემო ნინიკო!
შენ ხარ კეთილი, ნაზი ფერია.
ნაზი ხელებით მოკრეფილ იას,
ნაზი სურნელი თან მოჰყოლია,
ვისაც უყვარხარ ღმერთმა გიცოცხლოს,
დიდხანს იცოცხლე, ჩემო ფერია;
თეთრი იები მომართვი კარგო,
ამით ვიგრძენი ყველაფერია,
სითბოს რომ აქსოვ იის კონაში,
ეს არის ჩემთვის ყველაფერია.
ღმერთმა გაზარდოს. შვილები შენი,
შვილები შენთვის ყველაფერია,
მრავალ გაზაფხულს, ოჯახთან ერთად,
გაგთენებოდეს კარგი დღენია.

ვუძღვნი რძალს, რომელიც
ძალიან თბილია, ყურადღებიანი,
იმსახურებს დიდ სიყვარულს.
ვეფერები დედამთილის და...
ანუ № მე-2 დედამთილი.

* * *

ცხოვრება წამით ნაჩუქარია
სულ სიმღერაში გათენდეს დილა,
დარდისთვის აბა სადა მცალია,
ვერც გავჩერდები და ვერც მოვიწყენ,
ცხოვრება წამით ნაჩუქარია.
გულოვ! ილხინე, გვილხინდეს ყველას,
ნეტავ დარდისთვის სადა გვცალია,
გულს არ უხდება დარდი და ფიქრი,
ცხოვრება წამით ნაჩუქარია.

სოფელო

სოფელო! შე მადლიანო,
შენი ძალა სხვაგვარია,
შენი ბაღი, შენი ყანა,
საოცარი ზღაპარია.
მადლიანი მიწის სუნთქვა,
დაცვარული მწვანე,
მოჩხრიალე წყალი წმინდა,
გულოვ, გაიხარე;
ჩიტუნები მოჭიკჭიკე,
შესეული ბალზე,
ველ-მინდვრები ყვავილებით,
მღერიან ტკბილ ხმაზე,
კრიახია ქათმების,
ძროხა ბღავის კუთხეში,
საახალწლოდ ღორსა ვზრდით,
არ ვიქნებით ცუდ დღეში.
აქ ფხალია, ჟოლო, მოცვი,
უამრავი კენკრა,
შავთვალება მაყვალი,
ჩამოვკრიფოდ ერთად.
კაკალი, თხილი, წაბლი,
ხილი ათასგვარი,
დახუნძლული ხეები,
ლაღად მომღიმარი.
აკინძული ყურძენი,
ჩურჩხელებით ჯოხები,
სიმინდი და ლობიო,
ჩამოთვლას ვერ მოვრჩები.
შემოდგომით უჭირს მარანს,
მოსავალის შენახვა
რას არ ნახავს ჩვენი თვალი,
ნეტავ ყველას გენახათ.
მოსავალი მოიყვანე,
გული ბედნიერია,
განა მარტო ოჯახის,
ყველას გადამრჩენია.
მარტო ოჯახს? მოკეთესაც,
ძღვენს მიაწვდი როცა,
ბედნიერი, მადლიანი,
ყველა გულით გლოცავს.
შიმშილი სადღაც წასულა,
სოფელს ააქვს შველა.
ქალაქელებსაც ხომ გიყვართ,
მე ამისი მჯერა.
მე კი სოფელს გავიზარდე,
ჯადოსნური ძალით,
ისე მიყვარს, ყველა კუთხეს,
ვეფერები ღამით.
ქალაქში ვარ, მაგრამ მინდა,
სულ სოფელში ვიყო,
შენი ია-ენძელები,
ბევრჯერ მინდა ვკრიფო.
მე სოფლიდან ჩამოვდივარ,
ყვავილებით მუდამ,
ის სურნელი, თან დამყვება,
ჩემს გულს ასე უნდა.
მალე მოვალ, მუდამ შენთან,
ჩაგეხვევი სოფელო,
ჩემს სიყვარულს, შენ გაჩუქებ,
ჩემო ტკბილო, მშობელო.

ლამარა ასისტიშვილი-ჯამასპიშვილი

მამაკაცებო!..

ნუ გაგექცევათ სხვისკენ თვალები,
არ იოცნებოთ სხვაზე!
თქვენ დააფასეთ თქვენი ქალები,
იფიქრეთ მხოლოდ მათზე!
უყურეთ მეუღლის ნაოჭებს შუბლზე,
და დატკბით ყურებით მათით!
ქალ-ვაჟები რომ გამოგიზარდეს,
მუდამ რომ გედგნენ მხარში...
ნუ გეჩვენებათ თქვენი მეუღლე
უშნო და მოსაწყენ ქალად,
თქვენ გამოძერწეთ ისინი წლების წინ...
სხვას ნუ დაადებთ ბრალად!.
გთხოვთ დააფასოთ თქვენი ქალები,
იფიქრეთ მხოლოდ მათზე,
ნუ გაგექცევათ სხვისკენ თვალები,
ნუ იოცნებებთ სხვაზე!.

ქართველ შვილებს



დიდხანს სიცოცხლეს გისურვებთ,
ერთგულ სამშობლოს შვილებო!
ცოცხლებმა დიდხანს იცოცხლეთ,
ნათელში იყავთ გმირებო...
გვეყო, რაც უკვე დავკარგეთ,
აღარ გვაქვს დასაკარგია...
სამშობლოს თუ ვერ დავიცავთ,
სიცოცხლე რაში გვარგია...
გავერთიანდეთ ვიბრძოლოთ,
წართმეულ უკან ვიბრუნოთ,
თორემ პატარა სამშობლოს,
სულ ნაწილ ნაწილ დაყოფენ.,
ქართველს აღარა დარჩება
სხვადასხვა ერი გაყოფენ!..



ბალი

დაბლა დახრილა ტოტები,
დამწიფებულა ბალი.
ბავშვები შესცქეროდნენ და
ველარ მოსწყვიტეს თვალი.
დათა, ანანო, გიორგი,
აცოცდნენ ხეზე მაღლა,
რომ დაბლა ჩამოუყარონ,
ბარბარესა და საბას,
რადგან ისინი ხეზე
ვერ ავიდოდნენ მაღლა.
თვითონ კი ჩაიტკბარუნეს,
გემრიელ ხილით პირი,
მერე ძირს ჩამოვიდნენ და
ერთად გამართეს ლხინი...

ლექსი ეძღვნება ჩემს მეუღლეს, გურამ ჯამასპიშვილს, (წვერას).. როდესაც კუპონი შემოვიდა და რუსული ფული გაუფასურდა, მაგრამ მაინც უპირატესობა რუსულ ფულს ენიჭებოდა, ხალხში კი რუსული ფული არ იყო. ამიტომ ტრანსპორტის მოძრაობაც შეზღუდული იყო.

(დეკემბრის სუსხიანი დღე გურჯაანის ავტოსადგურში.)

***

ავტობუსის მოლოდინში, დაეღალათ გულები,
ისევ სახლში აპირებენ წასვლას გაყინულები.
ავტობუსი მოდის მგონი... შიგ არავინ არ ზიან
და ჩამოდგა ლურჯი ლაზი, ეს ხომ წვერას ლაზია!
მარტო მძღოლი მიგიზიდავთ, შეხეთ რა ლამაზია?!
შეესივნენ მგზავრები და პასუხს აღარ უცდიან,
„თბილისში ხომ მობრძანდებით“? თანაც სწრაფად ადიან...
„თუ რუსულ ფულს გადამიხდით, მაშინ ყველა დაბრძანდით.
ათასხუთასი მომეცით, სადაც გინდათ ჩაბრაძანდით.
კუპონებზე აღარ დავალ, აბა რისთვის, რა მსჯისო,
კუპონი რომ მივიტანო, სახლში ცოლი დამსჯისო...
ცოლის დასჯას თუ გადვურჩი, რა მომელის არ ვიცი...
ბაწაშვილსაც ფული აწყობს, კუპონები რა ვიცი.
წამალიც ვერ მიყიდია ატკივებულ თავისთვის.“
– ზოგი თანახმა გაუხდა, „კი ბატონო, გადვიხდით“,
ზოგი კიდევ ქოლგით ეცა, ზოგიც კიდევ საფულით.
„შე ოხერო, ფული სად მაქვს, ხელფასს კუპონს მაძლევენ,
გაგიხეთქავ მაგ თავს ახლა, თუ კუპონზე არწახვალ,
ერთი მითხარ თუ კაცი ხარ, ცოლის ჭკვაზე რას დახვალ?“
– გაგვიბრაზდა ჩვენი წვერა, ხალხო ხომ არ გაგიჟდით?
კარგით მაშინ დასხედით და კურსის მიერ გადიხდით!
მეტი რა ვქნა, რა ვიღონო, აღარ ვიცი აღარა.
ამ გზავრების ყატი-ყუტმა, წვერა ძლიერ დაღალა...
ზოგი კურსის მიერ უხდის, ზოგი უხდის ნახევარს.
ზოგი საერთოდ არ უხდის, თავი გახდა რამხელა...
აღარ იცის რა ქნას წვერამ, ვის გაუგოს ამჯერად...
ციტრამონი გადაყლაპა, თითო აბი სამჯერად.
მაგრამ მაინც არ ეშველა, წვერა გახდა ავადა,
და ლასლასით საწოლისკენ მიდის თავის თავადა.

ვრა რა მინდა ...

მე არავისი არაფერი მშურს,
მე არავისი არა რა მინდა.
ღმერთო, მომეცი ძალა იმდენი,
სიკეთე ვთესო ყოველთვის მშვიდად.
დამიფასებენ თუ არა, რა ვქნა,
მე მაინც მინდა სიკეთე ვთესო.
მხოლოდ ჯანმრთელად მიმყოფე ყველა,
და ბედნიერი, მაღალო ღმერთო!

მე არავისი არა რა მინდა,
სიკეთის ნაცვლად არაფერს ვითხოვ,
მხოლოდ ღიმილს და თბილ სიტყვას ველი
მტკივნეულ გულზედ მალამოდ, ღმერთო!..
ვინც მაბადია, ვინც გულს მაბია,
ყველა მიცოცხლე, უფალო, შეგთხოვ,
მე მათი ცუდი არასდროს ვნახო,
მათ სავალ გზაზე შუქი სულ ენთოს.



გერონტი მესხი

* * *

ღმერთს მე უნდა ვუმადლოდე,
შენ რომ გაჩნდი ფარულ ნებით.
მშვენება ხარ უბადლო და
პირის ჩასატკბარუნები.
გიმზერ,
თვალს მჭრი,
ვით მზე ცაში,
ალმასივით ბრწყინავ თითქოს.
ვნება დაძრწის გონებაში
და ბორკილის მსხვრევას ითხოვს.
1994წ.

* * *

ხან მწერალი ვარ და ხან-პოეტი,
ხან ინჟინერი მქვია "საწყალი".
ნუთუ წყალ-ღვინოდ ქვეყნად მოვედი?!
იქნებ, არც ღვინო ვარ და არც წყალი.
მღვდელს იცნობენო, უთქვამთ,
ჭილოფშიც...
აქეთ მზე იწვის, რითმა-სხვა მხარეს...
სანთლით დავძვრები ლექსის ღიობში
და გულის ჭიას ამით ვახარებ.
არავითარი პოეტი არ ვარ,
რაც გულს დევს, კალამს ის ეწერება
და დაფრქვეული ნოტების ქარვა
რჩება ფურცელზე რითმულ ბგერებად...
2007წ.

ანსამბლი "ლიახვს"

(საიუბილეოდ)

მონუსხულია თქვენი ხმისაგან
გადაპენტილი ირგვლივ მაისი.
თქვენს ჰანგებში კი ლიახვისა და
ფრონის ჩუხჩუხის ხმები გაისმის.
ჩაივლის არც თუ საკმარი ხანი,
ცხინვალი გულში ჩაგიკრავთ ისევ.
...დღეს კი მტკვრის პირას ნათქვამი ბანი
აჩუქეთ "გაღმით" ცხინვალს თუ დისევს...
1 მაისი, 2015 წ.

* * *

ქვეყანა გემს მოჰგავს გზასაცდენილს,
თითქოს მეჩეჩებზე დავიფშვენით...
ღმერთო, გვამყოფინე განსაცდელი,
ვინძლო, გვაპოვნინო თავი ჩვენი.
ცაზე ოცნებების დრეიფია,
ცისკრის გაბრწყინება კვლავ წინ არის.
ირგვლივ ქუდისსროლა ქეიფია,
ქოჩრებს აჩრდილობებს საწვიმარი...
ღმერთო, რა შეგცოდეთ ამისთანა,
ნერვს რად არ ატოკებს სხვათა ჭირი.
...ყელში იბუშტება ლამისყანა,
ქართლის წარსული და გასაჭირი...
2015 წ.

* * *

ჩიტუნიავ, აფრენილო ფრონის პირას,
გიხილე და ვეღარ ვირჩენ იარებს.
შენ მზე ხარ და მე ვარ შენი მზესუმზირა,
მიზიდავ და შენს გარშემო ვტრიალებ.
მარტის თოვლი შემოდნება ნება-ნება,
ორთქლის სახით ზანტად ავა ზეცაში.
მზის სხივებით თოვლზე კვალი წაიშლება,
გულზე კვალს კი ვერაფერი ვერ წაშლის.
უარს ეტყვი, თავს ჩაჰკიდებს, ალბათ, ვინმე...
ყინულს ალხობს სულში შენი ხსენება.
შენი ეშხი ჩამოდენის ბარად ირმებს,
ანდამატი ხარ და ფრონის მშვენება.
ტოროლაც კი, ცას რომ ეტრფის, წესად იცავს, –
წრეს ურტყამს და სამიჯნუროს წკრიალებს.
შენ მზე ხარ და მე კი– შენი დედამიწა,
შენს გარშემო ციბრუტივით ვტრიალებ.
წლებს გაჰყვება ჩვენი ფრონის ნაკადებიც,
მოგონება არც ფრთებს გვთხოვს და
არც ფართობს...
გავა დრო და როცა ბავშვით დაკავდები,
მე ორივეს
ლექსის კითხვით
გაგართობთ...
ჩიტუნიავ, შენი სოფლის მზესა ვფიცავ,
ჩამივარდი გულს და მიჩენ იარებს.
შენ მზე ხარ და მე ვარ შენი დედამიწა,
შენს გარშემო ორბიტაზე ვტრიალებ...
1967წ.

* * *

შუბლზე სიყვარული გახატია
პირმშვენიერო და თვალხატულავ!
ჰო, ეს გული შენი სახატეა,
შიგ შენი ფრესკები ჩახატულან.
აჩრდილებს არა აქვთ მორიდება,
მიწიდან ჩემს ტანზე ცოცდებიან.
ფარვანა შენს სახედ მოფრინდება
და... ჩემი ფრესკებიც ცოცხლდებიან...
2014წ.

* * *

მე შენი თავი ზეცამ მაჩუქა,
ჩამოგიტყუე ციდან მიწაზე.
ახლა ვარსკვლავად შერჩი ამ ქუჩას,
ანგელოსობა უკვე ვიწამე.
შემოდგომაა, ნავარდობს ქარი,
დაცხრილულ ციდან წვიმს თავაშვებით.
ხელაპყრობილი ფიქრებით ჩქარით
შენს გამჩუქებელს ვებაასები.

1977წ.

ბებოს

თმაში ფრთხილად შეგპარვია ვერცხლისფერი,
კიკინებთან თითქოს წუხელ გათოვდა.
ქარმა იმ ჟამს მოაწმინდა რუხი მტვერი,
როცა მხოლოდ ჩემზე ფიქრი გართობდა.
დღეს საფიქრალს ველარ იტევს სკივრი ფიქრის,
და ალერსად თავზე აწვიმთ პატარებს.
გეჩვენება, რომ დრო უფრო სწორად მიქრის,
შვილიშვილს თუ გულში ჩაკრულს ატარებ.
სიყვარული, პაწიებს რომ დაჰფოფინებს,
ღვთივბოძებულს, ყოველ წელს და ახლიდან,
თუ გადაგრჩეს, სულ მცირედიც მამყოფინე,
მერე ფეხსაც არ გავადგამ სახლიდან...

პაპა, გერონტი მესხი, 2015 წ.

* * *

რიკულებიან აივანთან იმტვრევა ქარი,
წვიმის წვეთებში დაბანაობს ხატება შენი.
და, როგორც სოფლის მოხუც ტაძარს პეწს აძლევს ზარი,
შენს ღაწვებს წვიმის ნაპკურები იმგვარად შვენის.
იმ ძველ ტაძართან ის ტირიფიც
ჩემსავით ტირის-
უკანასკნელი შენი ღიმი ვიწამეთ ერთად...
ღვთის გვერდით გსურდა?
ჰკითხე ტირიფს,
მოტირალ ტირიფს,-
უსიყვარულოდ შეიძლება აღმოჩნდე ღმერთთან?!

1984 წ.

* * *

ქარს დავდევ, გავცდი ქარაფებს,
რა გზა გამოვვლე, ვინ ითვლის.
მოვალ, არ გეტყვი არაფერს,
ისე გაკოცებ ჟინისკვლით.
დღეები ისევ ივლიან,
გზა-კვალიც რომ არ უჩვენო...
ეგ ბაგე ისე ტკბილია,
თითქოს თაფლს სცხებენ უჩემოდ.
კიდევ გაკოცებ... მერე, რა!..
თაფლით ეს ბაგეც გაერთოს...
ისე, კოცნა თუ გებევრა,
აღარ გაკოცებ, საერთოდ...

1992 წ.

ბათუმიდან თბილისამდე

სიმშვიდეა ზღვიდან ცამდე,
უფრო მშვიდი ცაა თავად.
ბათუმიდან თბილისამდე
მთვარემ ღამე ჩაათავა.
ეს ზაფხულიც გადახუნდა
ნაჩუქარი ხალათივით.
ღამეს მთვარე აღარც უნდა,
ბნელს უშიფრავს ღალატივით.
დრო კი ფიქრებს ფიქრში ურევს
გაკვალულს თუ გაუკვალავს.
უკუნეთის სიბინძურეს
მნათობს ვერც ის დაუმალავს.
ვარსკვლავთა ჯგრო ფეხებს ითრევს,
ღრუბლის მთები სადღაც გაქრა.
მტვერი უცვლის ფერებს ფითრებს,
ხეს რომ ამკობს, ვით გემს-აფრა.
ვნება ჩნდება წარსულიდან
და სულს სერავს განდაგანა:
ზღვად ირწევა ქალწული და
ზღვა ღელდება თანდათანა.
გუდას პირის მოხსნა უნდა,
ვნებას ისევ მზერა ფილტრავს...
უმალ იქცა კოცნის გუნდად
ზღვას შერთული სერაფიტა.
ზღვა-ქალს, ქალი კი-ვაჟს, ავსებს
ყალყზე შემდგარ საქოჩრეთი.
...სერაფიტას კოცნის მსგავსებს
დღესაც ეძებს საკოცნეთი...
...მერე თეთრ გემს გაჰყვა ზღვაში,
ბიჭი დარჩა ზღვისპირადა.
და ინატრა ვაჟმა მაშინ,
ქცეულიყო ზღვის პირატად...
...აჩრდილს ფანტავს მთვარე რამდენს,
უაჩრდილო ზღვაა თავად...
ბათუმიდან თბილისამდე
მთვარემ ღამე ჩაათავა...

2015 წ.

მზია ელიაძე

ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილს

04.05.19; 21[00]

როს დანისლავს ჩრდილოეთით ლანდებს
შემოდგომით მონაბერი ქარი,
უიმედო ფიქრ-ოცნებათ ბადებს
უმალ ფანტავ მხიარული ზარით!..
ყველას უყვარს გაღიმება თქვენი,
ეხ, ტკივილსაც ვინაწილებთ ყველა...
თქვენს უბეში ასულნი და ძენი
ყვავილთ ვგავარ მიმობნეულთ ველად!...
თქვენი მადლით, ვქარგავთ მამულს კალთებს,
რომლის მსგავსი, დარი არსად არის!
თქვენით ვასხამთ ფრთებს, ვაქვეყნებთ ლექსებს
ღვთის საუნჯეს, ფრქვეულს უხვად ჩვენზე!..
განძს, სიმდიდრეს-მუზას, რითმას ვეტრფით,
ხორცშესხმულნი რომ ხარობენ ტანით.
მშობელი ხართ, მართლა დედა! – გეტყვით,
დაგილოცავთ იუბილეს კრძალვით!..
დიდი სიყვარულით გილოცავთ
დაბადების დღეს!

ჟამთა ბორგვა

12.05.19

დრო მირბის, მიჰქრის ისე უეცრად,
ვერ დაეწევა ტატოს მერანიც...
ზოგს ჟამი ბორკავს და გზას უეკლავს;
მისთვის სამყარო ხდება ვერაგი....
ზოგს სიტყვა უჭრის, ისე უელავს,
ფურცელზე რჩება ლურჯი მელანით!
ზოგიც, კაცთ მოდგმას გულ-გონს უწეწავს,
ეშმას ახარებს, ხდება მეძავი!..
თუ ფრთამოტეხილ არწივს, ვაჟაის
ყვავ-ყორანთაგან ნაკორტნს და ნაჯიჯგნს
სურს წამოდგომა, მტრისთვის ვაგლახი!
ვაი, ერს შევრჩით არწივ ნასიტყვი...
დრო მირბის, მიჰქრის ისე უეცრად,
ვერ დაეწევა ტატოს მერანი...
ხვალ, რა იქნება, საღ გონს უებარს
ვის არგებს, ანდობს ღმერთი მესაჭის?!.
ერეკლეს ხმალი დღესაც უელავს
მცხეთად – ღვთის კვართთან,
როგორც მესაყდრის!
ჩიქილას იქნევს, მტერს გზას უხერგავს
დედა ცხრა ძმათა – გმირის, მედგარის!..
დროშას მიაფენს უღმრთოთ უმეცართ
თევდორეს შესთხოვს – ღმერთის მესანთლის!
... დრო მირბის, მიჰქრის ისე უეცრად,
ღმერთო, ერს მოგვეც სული, მედგარი!!!

*უეკლავს – აქ, ეკლიანი, გაუვალი გზა
*ნასიტყვი – აქ, ნათქვამი სიტყვა
*თევდორე – მოვდელი

ოქრონარევ აბრეშუმის ძაფში

01.05.19

ოქრონარევ აბრეშუმის ძაფში ჩახლართულა ვერცხლი დიდი გრძნობით
და სამშობლოს ნაქარგს უფლის კვართში ამჩნევია საუკუნე მხნობით!..
მზე ჩამდგარა წმინდა, სპეტაკ კვალში და სამყაროს ესიტყვება ცნობით;
იბერთ გენში, მოდგმაში და გვარში განირჩევა ღვთის მსახური ნდობით.
ოქრონარევ აბრეშუმის ძაფში ჩახლართულა ოჰ, სამსჭვალი წლობით!..
ღვთისმშობელიც თვის სამოსელ კვართში დაჩოქილა ძის წინ ლოცვა-თხოვნით:
– დაინდეო, მამულიო ჩემი, მიუტევე ცოდვანი ულევი!..

სულთა გარიჟრაჟზე

(აღდგომის ორშაბათი) 29.04.19

ალიონია; გაყრა დღე-ღამის, ზეცამ მოირგო თეთრი სუდარა,
გამტრედისფრებულ ფერთა სამოსით მძივად ნაფენ ნამს გზავნის მუქარად!..
დაბნეულია ქორფა ბალახი, თვალმარგალიტით მორთული, ტურფა
გავარვარებულ ბურთს, ამოწვერილს ქვევიდან შესცქერს და უჭირს სუნთქვა.
მზე კი ტაატით, ზმორებ-ზმორებით ცა-მიწას ჩვეულ სხივებით ნუსხავს;
მთათ ფერდთ, ლილისფერ სამოსით მორთულთ, ცისარტყელისთვის უშლიათ სუფრა!..
მთვარეც გადმოცსქერს ვარსკვლავკალთით, ვერცხლს სირმიანს იქნევს ჩიქილას;
– აქეთ, აქეთო! – მიწა ეძახის, – იქით რა გინდა, მთვარევ, იქით რა?!
ჩიქილა არის ოქროთ ნაქარგი ლალ-მარგალიტის, მარჯნების ნუსხა...
ნამი მცვრეული და დაბნეული გზა-კვალს ვერ იგნებს, ალმასად ცქმუტავს...
მიიფეხვება ბორძიკ-ბორძიკით, ღამე შავბნელი ცრემლად იღვრება,
ჯგუფ-ჯგუფ ლატანნი, კუდქიმიანნი ვარსკვლავნი ზეცად თრთიან, კრთებიან!..

*ვერცხლი – აქ, ჭაყარა
*ლატანი – წვრილი და გრძელი

ეული ვერხვი

03.05.19

თითბრისფერი მთვარე, ცაზე მჯდარი
იალ-ციალ ჩნდება ღრუბელთ დასში.
მყინვარწვერნი დიდრონ წვერ-ულვაშით
ო, შესტრფიან, მკერდს უშლიან ბურთს დიდს...
დუმს სამყარო იდუმალი შიშით
თითქოს, სუნთქვა შეაჩერეს მოკვდავთ...
ყინვა სირმებს ცა-მიწას შორს ხლართავს
ექო არღვევს: – ჭახ! ჭახ! – ტოტი გმინავს!
თითბრისფერი მთვარე, ცაზე მჯდარი
გულცივ მზერით იყურება ქვევით
ნახატსა ჰგავს, ხელთუქმნელი ფუნჯით
ყინვა გვრგვინავს, ყინვა მეფობს ეშხით!..
ფლატის პირზე კვნესის ეული ვერხვი,
შიშველ ტოტებს ყინვა უმსხვრევ-ლეწავს.
მზის ლოდინით, მზის იმედით მდგარი
გულს იმაგრებს, ამბობს: – შევძლო უნდა!..

*თითბრისფერი – თითბერი – მოყვითალო ფერის ლითონი (სპილენძისა და თუთიის შენადნობი)
*ფლატე – მდინარის, ხევის ჩანგრეული ნაპირი

გვიანელი შემოდგომის ფოთოლივით

16.05.19

შემოდგომის გვიანდელი ფოთოლივით
ხეს შერჩენილს, ქარი ტანს რომ უწიოკებს
ურცხვ, უზნეო, უხამს ქცევას ნანობსავით
ეტმასნება, ეუბნება: – გიხუტებ მკერდს!..
მკერდს კი არა, ბოღმით უცემს გული მკერდში,
ჭკვას გადადის მისი ხეზე კონწიალით:
– რატომ შერჩი გათიშული ხეს თუნდაც ერთი
ვერ მოგაშთე, მოგაშორე, ვკვდები ბოღმით!..
შემოდგომის გვიანდელი ფოთოლივით
ხეს შერჩენილს ქარი კაბას უწეწს, უგლეჯს,
საწყალ ფოთოლს იბრალებს და ნანობსავით
შიშველ დედას ტანს ახეთქებს, აწიოკებს:
– ვერა ხედავ, არ გიხდება ტორღიალი;
ჩამოვარდი, სანამ დროა, მოწყდი დროზე!
აღმა-დაღმა ფარფატით და ბორიალით
ნუ გგონია, რომ დაგტოვებ მშობლის მკერდზე!

განა მამულს

(ბატონ ანზორ ჯაფარიძეს)

29.03.19

განა მამულს, ღვთისგან ნაქარგს მოერევა ქვეყნად რამე?
ტკბილ მომავალთ, ნეტარ ნაგრამთ დღე ექცევათ ნუთუ ღამედ?
არა, მტერო, გაუხარო, ვერ გაავლებ ხნულში სწორ კვალს;
შენ, სიდიდემ არ დაგჯაბნოს, დაგიბრმავებთ მაგ ორთავ თვალს!..
თამარ ქალის ნაფერ მიწას, გიგანტ შოთას დიდ გენიას,
უტას მოჭრილ მკლავ-მარჯვენას არ დაგითმობთ, არვის, ვაგლახ!!!
არა, მტერო, გაუხარო, რაც გვჯიჯგნ-გვკორტნე გეყოს, კმარა!
ღვთისმშობელი არ დაგინდობს, ამოგანთხევს გესლ-ვარამად!
გასწი, გადი, შორს, შორს ჩემგან, სპეტაკ სიმს სისხლით ნუ ღებავ!
თევდორეს, პაატას გენ-ჯვარს რომ იგებენ, ყველა გვლოცავს!..
მცირეაო?! ჩემზე ვინ თქვა? მომერევით, განა ვინმე!
ჰაი, გიდი, არაგველთა მტერს კუდით ქვა ასროლინეს!..
ვაჟას დაჭრილმა არწივმა ყვავ-ყორანი ჩალალა ხევს!
ჩალალა რა ჩალალა, აწყევლინა გაჩენის დღე!..
თვალთ სინათლე დაუბნელა, მზე ჩაუქრო სამუდამოდ!
შენ, კი, მტერო, გაუხარო, რის იმედით ლაღობ, ხარობ?!.
ქართველთ გენი არ გაწყდება, ჯავრს მიწაში არ ჩაიტანს!..
ვერც კი ხვდები უფლის ძალას, დიდი ტანით მრავალთ ზაფრავ!..
განა მამულს, ღვთისგან ნაქარგს მოერევა ქვეყნად რამე?
... საღი გონი ღვთის განძია, რომელიც რომ შენ არა გაქვს!..
ჩვენს მომავალთ – ასულთ, ვაჟკაცთ დაემცვრევა მადლი თავზე!
შენ კი ვაი, მტერო, ვაგლახ, როდემდე გსურს გესლს ანთხევდე?!.

თეა კანდელაკი

ქუჩა-ქუჩა, ტაძარ-ტაძარ

ქუჩა-ქუჩაქუჩა-ქუჩა, ტაძარ-ტაძარ, დაგეძებდი უფალო
შენ კი ალბათ ჩემი ცქერით, როგორც უწინ მწუხარობ,
რა ვიცოდი, რომ, ჩემს გულში დიდი ბინა გეკავა
სხვაგან ძებნით გადაქანცულს, გული ხელით მეკავა
სად არს თავი მოიდრიკო, ბოროტს რომ განმარიდო,
შენგან ქმნილი ეკალ-ბარდს და უფსკრულს, რომ ამარიდო
რა ვიცოდი, შენს სიყვარულს ზღვარი რომ არ ჰქონია,
ხელთ აყვანილს მატარებდი- ეს კი გამიგონია
ბევრი შემხვდა ქვა და ღორღი, ბევრმაც ვარდი მიფინა,
ბევრჯერ მტკვარი მოდუდუნე შემაგება თბილისმა,
შენს კალთებზე მიმობნეულ ტაძარ-ტაძარ უფალო,
დაგეძებ და ჩემებურად შენს სიწმინდეს ვუგალობ.
ხან, დუდუკი ავაკვნესე, ხან ზურნა, ხან დაირა,
ხან, მეწყერად დავიშალე, წვეთ-წვეთ მთათა ზვავიდან,
გადავევლე ვით ნიავი მინდვრებს, შენით მოქარგულს
დაგეძებდი ისევ სხვაგან, ვგავდი სიზმრად მოარულს...
ახლა მივხვდი ყოვლის მპყრობელს ჩემში რა გზით გიტევდი
ფუნჯით ქმნიდი შენს ხატებას, ხან კი სტრიქონს მიწერდი,
შენი ნებით მატარებდი ნათელ სხივთა მფენია,
სინდისის ხმა, რითიც მწვრთნიდი- თურმე, ჩემი ღმერთია!.

1/10/2017, აშშ, ნიუ-იორკი, ბრუკლინი

ანანკე ΑΝΑΓΚΗ
(ბედისწერა)

სადღაც ბნელ კუთხეში – კოშკის ქონგურიდან თვალს მიკრავს – „ანანკე“!
ცეცხლმა გაახვია დედა ღვთისმშობელი... მანდილიც აფაკლეს...
თაღებთან შავ ჩრდილებს აქა-იქ აელვებს ტკარცალა კოცონი,
ცხრაას წლის მინავლულს, ნოტრ-დამთან დემონი საზარლად ხარხარებს...
სამსჭვალიც აქვეა...
– ის ეკლის გვირგვინიც – თავზე რომ დაადგეს ...
ახლა, ამ საწუთროს უფალი კი არა – ეშმაკი განაგებს...
ტაძრის სამრეკლოდან გუგუნებს ჟამთასვლა!.. ზარს რეკავს საწადელს!..
და სადღაც მაცხოვარს გოლგოთის გარეშე მეორედ აწამებს ...
მაგონებს საწუთრო – შეუვსებ ბარძიმთა პირსავსე საწნახელს
და ცრემლის მაგივრად სისხლი ეკიდება დახუჭულ წამწამებს...
„სახეს ნუ უყურებო ლამაზო ქალო, გულში ჩაიხედე,
გული ლამაზი ჟაბუკისა ხშირად გონჯია“...
... და ეს საწუთროც, ამ ლამაზი ნიღბის გარეშე
ვფიქრობ ჯოჯოხეთს სულ არაფრით არა სჯობია...

...მე კი კვლავ წყვდიადში დავეძებ იმ ვარსკვლავს ცისკარს რომ ანათებს
სადღაც ბნელ კუთხეში კოშკის ქონგურიდან თვალს მიკრავს – „ანანკე“!..

05/16/2019, აშშ, ნიუ-იორკი

ზოგჯერ, ყველაფერი გაქვს

ზოგჯერ, ყველაფერი გაქვს
ამ ქვეყნიურ ბოგემად,
სილამაზე სხეულის,
თუ, სულის საცხონებლად...
გინდა შარას გაყვები
მოფარფატე პეპელად
გინდ, შველივით დამფრთხალი
იკეკლუცებ ზედმეტად,
თუ გინდ მწვერვალს დაიპყრობ
ემსგავსები იალბუზს,
ჩანჩქერად დაეშვები
მიწამ რომ არ იავდროს...
გინდ ქარიშხალს გაჰყვები
ვნება დაუოკავი,
თუგინდ სიოს სალბუნით
გაახელე მოკვდავი
კაცი...
თუ გინდ მზე იყავ,
თესლის გასაღვივები,
რომ ამ ქვეყნად არ გაწყდეს
ვაზი დასაღვინები
გინდა წყარო იყავი
გრილი, წმინდა, რაკრაკა,
მწყურვალს რომ დაუამო
პეშვით, თქმულო არაკად
გინდ არწივი იყავი
და სისავსის მეუფე
გინდ ვით თევზმა შესცურე
ზღვის სამეფოს ეუფლე
აიშალე იალქნად
ტალღა შორს რომ გააპო
არ ემონო არსად რას
სიმდიდრეც რომ განახონ
ზოგჯერ, ყველაფერი გაქვს
ამ ქვეყნიურ ბოგემად,
სილამაზე სხეულის,
თუ, სულის საცხონებლად...
სიცოცხლის მოტრფიალეც
უცილობლად მოკვდება
მისი სუნთქვის ამყოლი
გვერდს თუ არ ეყოლება
ღმერთო ყველას მიეცი
თავის სულის შემფერი
სილამაზე რომ დაჰყვეს ყვავილს
მინდვრად შეფენილს

02/03/2017, აშშ

გალაკტიონის გარდაცვალება

საუკუნის მინავლულს დღესაც ისე გაწვიმდა,
როგორც უხმოდ გაფრინდი პოეზიის ტაძრიდან...
ისე მიუსაფარი, შემოგრაგნილ სახვევთა,
გაცრეცილი პერანგი ახლაც მოსჩანს საკნიდან…
თალხი, მიუსაფარი, მარტოსულის ვედრება,
ღმერთო! ვის რა უნდოდა?! ღმერთო! ვინ ვის ედრება?!
თითქოს არ სცნობს საწუთროს თავმომწენე მწერლობა
ზურგშექცეულს მოუხმობს ცათა ტალავერები…
შენგან, ისე შორია, გზა – ყველგან და არსაით,
მხოლოდ დედის ცრემლი ჩანს შენს თავს დანაღვენთები.
ჩამქრალ შუქთა ლამპიონს მსუბუქ ლანდად დაუყვა
თბილისიდან-სურამის თეთრი ბაირაღები...
ეშაფოტზე აყვანილს მელნის ნაკვალევიდან
ჩემს სულს ფრთხილად ეხება შენი ნაიარევი...
ახლაც ისე გაწვიმდა საუკუნის მინავლულს
როცა მაშინ, ტაძართან... მაგრამ, იქნებ იავდროს?!
პოეზიის ლაბირინთს უცხო ფრთებით მიჰყავხარ
მეფის მძიმე გვირგვინით ახლა ზეცა კიაფობს
საუკუნეს გაჰყვება რითმა, რომ არ იავდროს,
ისევ გაზაფხულდება მოვა მშვიდი საღამოც...
მიწას – უხმოდ მიაყრის მესაფლავეც სამარეს
შენ, კი, ალბათ, ჩვენგან შორს, ღმერთი სხვა გზით გატარებს...
მერიც კვლავ ჯვარს დაიწერს, სადმე, უცხო ტაძართან,
მოგონებად გაგყვება იისფერი ფანტელიც...
შენი კითხვა – საათზე, ისევ იმ დროს ინახავს
ასე მარტოდ შთენილი – მეფე...არსად მინახავს...

დეკემბრის 2018, აშშ ნიუ-იორკი

ნაირა უგულავა

მზე ამოხდა

მზე ამოხდა დიდებული ამ დილით,
ათინათით მწვანე თასი აავსო,
გადმოსახა ჩემს ბაღებში არილი,
აზარფეშით დამიცალა ყაყაჩო,
მერე ცაზე ცეცხლის ალი აანთო,
ოქროს ზოდად გადაადნო სამყარო...

გრიგალი შეცვლის ჩვეულ განედებს

სანამ სიკვდილი – ჩაგვავლებს ბრჭყალებს,
შევქმნით და დავდებთ ჩვენს ისტორიას,
ყველა ჩვენგანი თავის წიგნს დაწერს
და დავასრულებთ ამ მისტერიას.
აქ – ჩვენს ადგილას – მოვლიან სხვები,
გადაფურცლავენ წიგნებს – ნაკალმებს,
გადახედავენ ყასიდ სტრიქონებს
და ამოშლიან ცრუს და ნაყალბევს.
წლები ეპოქებს დააფარდაგებს,
დაიზნიქება სამყაროს ხიდი,
გაიხსენებენ ყველა ნასაქმევს,
რასაც უსულოდ – გულგრილად ვქმნიდით.
გრიგალი შეცვლის ჩვეულ განედებს,
ამოიხვევა გორგალის წვერი,
დააფასებენ რჩეულ პწკარედებს,
ხანდახან, სისხლის წვეთით რომ ვწერდით.
გაიხსენებენ უღვთო მანევრებს –
როცა ჩვენს წიგნებს ვწერდით და ვქმნიდით,
დაასადაგებს – ყველაფერს იტყვის,
გულდაგულ ვინაც – ნაბიჯებს ითვლის...

ჩირაღდნით ხელში

ჭეშმარიტებას ვერ აუგებ
შესაფერ ტაძარს,
ვერ გაუმართავ თვალთა მზერას
მის ბრწყინვალებას;
ვერ გაუზომავ საწყაულით
უმართავ ძალას,
და ვერ მოირგებ ძალისხმევით
მის დიადემას...
ჭეშმარიტება ძვირფასია
და ერთადერთი, –
შეიცნო კაცმა – ნათელია
წყვდიადის – ბნელის:
აღოღებული, წუთისოფლის
ჭრიალა ეტლით,
დაეძებს გზა-გზა ანთებული
ჩირაღდნით ხელში...

ქარს

ხანდახან მინდა, მოვარდნილ გრძნობებს
ავყვე და გავყვე ღრუბლებში მარტო,
ნუ დამიფანტავ ლამაზ ოცნებებს,
ხელს ნუღარ მიშლი, ნუ დამსდევ ქარო!..
ზოგს, იქნებ, მართლაც ნიავით ართობ
ან, იქნებ, სევდის გაქრობას ლამობ,
თუმც პირველობას არავის ანდობ,
ხანძრის ჩაქრობას არასდროს ჩქარობ.
ხან გრიგალი ხარ, ხანაც ხარ სათნო,
მიმართულებას ნუ იცვლი, ქარო,
ასეთ უპიროს და არა სანდოს,
მითხარი, გული როგორ დაგანდო?..
თუ ქარიშხალში დამტოვებ მარტო,
თუ გამოაცლი ამ გრძნობებს საზრდოს,
მაშინ, ატეხე განგაში, ქარო,
და ინავარდე ღრუბლებში მარტომ!..

ცრის

მზემ სხივები დახარა,
აჩის მიესალამა:
თვალი გამოახილე,
გაიღვიძე პატარავ,
მინდა გულით მოგიძღვნა
ყვავილების კალათა,-
დედამ – მზის და მთვარისამ
შენთან გამომატანა.

მზეჭაბუკი

ამ დედამიწას, ეს მზეჭაბუკი,
როგორც ყვავილი ისე ამკობდა,
ბოროტ მზვაობას, ვნებას და ღალატს,
ცილსა და ზაკვას იგი არ ფლობდა.
ის დადიოდა ფრთხილად, მსუბუქად
და ზეციური ფრთები დაჰქონდა;
ბოღმას და ტკივილს, გაუტანლობას,
ვით ხორციელი, ისე არ გრძნობდა;
სხივდაფენილი მისი თვალთამზე,
მზერას და ღიმილს ოქროდ ალღობდა.
სძლევდა ნირვანა და გარინდება,
ნერგილეს კვამლში ფიქრებს ართობდა...
სურდა თუ არა წუთისოფელი,
ამას სიტყვებით ის არ ამბობდა...
ის მიაგავდა არამიწიერს
და ზეციური ფრთები დაჰქონდა,
სამყაროს მზესთან იყო ახლოს და...
ამქვეყნიური ვნება არ ჰქონდა...

ასწლოვანი ცაცხვის ხე

ჩემს ერწოზე საუკუნის
დიდი ცაცხვი ჰყვავის,
მის ფოთლებში შრიალია
ზურმუხტის და ქარვის;
საკურნებლად სნეულთათვის,
ზენაარსის მადლით,
თიბათვეში გამოაჩენს
ამარტისფერ ყვავილს.
როს მის მკერდში დაირხევა
ანცი ნიავქარი,
ამოაფრქვევს სურნელებას
და მინდვრებზე გაშლის, –
ცაცხვი ფუტკარს მოფუსფუსეს
ღვთის მოსავალს აწვდის;
ქრისტეშობას, ზამთრის სუსხი
როცა ტანში გასცრის, –
მაღალ უფალს შეავედრებს
კვირტებს ცაში აწვდილს;
იანვარში, შესუდრული,
სიზმრებს თეთრად აშლის,
ო, რამდენის მოწამეა
საუკუნის ცაცხვი...
ამ მიდამოს ისე შვენის –
ვით ფოლადის თვალი, –
(მენანება მის სიმდიდრეს –
ვერ აფასებს ხალხი).
ვინმე თუ არ გამოჩნდება
კაცი მუხანათი,
კიდევ დიდხან იშრიალებს
ასწლოვანი ცაცხვი.

დ უ მ ი ლ ი

სულს სიმარტვილე რარიგად ამკობს,
როცა მის წიაღს ნათელი მოსავს,
ზოგჯერ, დუმილი უფრო მეტს ამბობს,
არც ერთი სიტყვა არ იძვრის როცა.
გულისთქმა ზრახვებს არავის ანდობს,
თავისთვის იღწვის, შფოთავს და როკავს,
რამდენი ბოღმას – დუმილში ახრჩობს, –
აუტანია უსიტყვო ძრწოლას.
დუმილი მოჰგავს ვულკანთა ნაშობს,
სიწყნარის ჭერქვეშ ხმაური ბორგავს;
როცა სიჩუმეს არასგზით არ თმობს,
მაშინ დუმილი ყველა ხმას ახშობს.
უნაზეს ტრფობას სხვა სხივი ახლავს, –
რა შეედრება უსიტყვო ამბორს;
როცა დუმილი თავის ხმას კარგავს,
მაშინ ხომ იგი ყველაფერს ამბობს...

კაცის ღირსებები რადგან გაიწირა

სული სიმწარისგან ისე
დამიმცირდა,
ჩემი სათნოება, ვგრძნობ,
რომ დამიმწირდა,
კაცის ღირსებები რადგან
გაიწირა –
ჩემი კიდობანი რადგან
ჩაიძირა!..
გულმა ჭრილობები ვეღარ
დაიმშვიდა,
მტერმა იმედები ისე დამიმიწა,
მხედარს დავემგვანე –
მორთულს ბრძოლის წინათ,
მძიმე საჭურველი მხრებზე დამიმძიმდა...

ლიანა ჯანეზაშვილი-თათანაშვილი

* * *

„ცისარტყელა შვიდფერია,
მზეა კიდევ ცხრათვალა,
სიყვარული უძიროა,
მიტომ ვერვინ დათვალა“.

* * *

„იმედია – ცხოვრება ლამაზი და გრძელია,
გიყვარდეს და მშვიდად იყო,
ეს ნამდვილად ძნელია!“

ეფრემ II

ამ სოფლის მიწას დალოცვილს წმინდას,
სულით მწყემსავდა პატარა გიგო.
იცავდა უფლის წმინდანთა დასი
ერის სამწყემსად რომ გაზრდილიყო.
გზა გაიკვალა დიდი მიზნისკენ
ყრმობის აკვანში პირჯვარს იწერდა,
სულს დაუსახა მიზნად ბერობა
და ღმერთს შესთხოვდა ქვეყნის შენდობას.
დიდ აიაზმას ჯვრის ძალით წმენდდა,
მირონს აცხებდა ქვეყნის მომავალს,
საკმეველს სუფთა გულით აკმევდა,
ცოდვისგან წმენდდა ღმერთთგან წამავალთ.
აქ გაიზარდა დოესში გიგო,
წმინდად ტკეპნიდა მშობლიურ მიწას.
ზეცად წასული ეფრემ მეორე
იქიდან იცავს ამ სოფლის მიწას.
ბევრ დაბრკოლებას მედგრად დაუხვდა,
გამოუვლია პატიმრის ნარი,
უფალმა მადლის გზებით ატარა
არ დაამჩნია მის სიბრძნეს ბზარი.
ყრმობის აკვანში გზა გაიკვალა,
დიდი მიზნისთვის სურდა ბერობა,
სულს დაუსახა მიზნად ოცნება
ამიტომ სთხოვა უფალს შენდობა.
ლოცავდა მიწას შავბნელ წლების ჟამს,
კვერთხის მოქნევით შეაფრთხო მტერი,
საკმეველს წმინდა ხელით აკმევდა
გადაუწმინდა ქვეყანას მტვერი.

ბავშვობის ექო

ვდგავარ მწვერვალზე, დავცქერი მიწას,
კლდის ნაპრალებს და ჭაობის ციცახვს,
მიწის სურნელი მათრობს ქვევიდან
ვგრძნობ, დღესაც ისევ ბავშვობა მიცავს.
იყო დრო-ჯამი ბრწყინავდა ზეცა,
მზე სხვანაირად ათბობდა მიწას.
კვლავ გუშინდელი ხმაურობს ექო,
ბავშვურ ჟრიამულს ყურს ვუგდებ ღმერთო.
ამ ზეგანიდან გავცქერი სივრცეს,
გადაშლილ სოფელს და კლდეთა ბექობს,
ბილიკთა ჩრდილში, დაცლილ შუკებში
ჩემი ბავშვობის სილაღე მეფობს.
ის ხმა ჩამესმის, მაყრუებს ექო.
მტკვრის პირზე ბავშვთა ხმაური მეფობს,
კლდის ქვაბულებში კი ექო შეფობს.
აივსო ჭალა სხივთა ციაგით,
ჭალას კი ფაფარს უშლის ნიავი,
ციხის ძირი კი ვერხვთა შრიალით
მაბრუნებს უკან ბავშვურ წიაღში.
მეფის ნაფეხურს ვეალერსები,
მიწის სურნელი ძველებურ მათრობს,
კლდეთა ქვაბულებს აყრუებს ექო,
ჩემი ბავშვობა აქ ისევ შეფობს.
მწვერვალზე ვდგავარ, გავცქერი სივრცეს,
მზითა და მიწით გადაწნულ თაღებს,
იქ კვირაცხოვლის კალთას ავკალთავ,
აქ უფლისციხის კარიბჭეს ვაღებ.
მწვერვალზე ვდგევარ, გავცქერი სივრცეს.

თეთრი იასამანი

შემომყურებს ფაქიზად
თეთრი იასამანი,
შევხედე და მომნუსხა
გულს დამასო სამანი.
შემომყურებს ღიმილით
ფეხი ვეღარ გადავდგი,
სისხლი ტკბილად ადუღდა
თითქოს შევსვი ბადაგი.

ხელის გული შევახე
გადავლახე სამანი,
თავადაც მომეფერა
თეთრი იასამანი.
მიყვარდა და ვუყვარდი
ვერ მაკავებს სამანი
ვიცი, მხოლოდ ჩემია
თეთრი იასამანი

ბოლო მოსახვევი

ვერ შეაჩერებთ –
უკანასკნელი ჰპოვა სავანე,
ყველას ხომ გესმით
უკანასკნელი ზარის წკრიალი,
სადაც გამოჩნდა
საცალფეხო მძიმე ბილიკი
ჩვენს უნებურად
დაწყებული ბოლო სავალი.
სული ნელ-ნელა
მიისწრაფვის სადაც ელიან,
იქ დაივანებს
დამქანცველი სოფლის სავალი,
ის სოფლის ბოლო
უკანასკნელი მოსახვევია
და უკანასკნელი
ბოლო სავალი.
და მოტეხილა
გზა ერთადერთი –
ღმერთო,
ჩამოჰკრა ბოლო ზარმა
და არც კი ვფიქრობთ,
რომ არსაიდან
არ იძებნება გამოსავალი.
ვერ შეაჩერებთ –
უკანასკნელი ჰპოვა სავანე

აბზინდა

ააყვავილებს მთა-ბარს აბზინდა,
ააბიბინებს ჯეჯილის ყანას.
მზე მცხუნვარებით ისე გაბრწყინდა
გაათბობს უმალ ამ ცივ ქვეყანას.
მზის სითბომ თითქოს ცაში აზიდა
ატალღებული თავთავის ყანა,
გააკაშკაშა, გააცისკროვნა
მიძინებული ცივი ქვეყანა,
ოქროსფერ ჩადრში გამოახვია
ძირს თავდახრილი თავთავის ყანა.
ააყვავილებს მთა-ბარს აბზინდა,
ააბიბინებს ჯეჯილის ყანას,
მზის სხივმა ცაში ორთქლად აზიდა,
ცრემლი შეუშრო მტირალ ქვეყანას.
ააყვავილებს მთა-ბარს აბზინდა,
დილის ცისკარი ცივ ნამს შეუშრობს,
მე ფშუტი ყანა სულაც არ მინდა,
ცხარე მზის სხივი თუ ფესვს გაუხმობს.
ააყვავილებს მთა-ბარს აბზინდა,
ააბიბინებს ჯეჯილის ყანას,
მზე მცხუნვარებით ისე გაბრწყინდა
გაუთბობს გულსაც ამ ცივ ქვეყანას.

ლალი ასაბაშვილი

ბედის ირონია

მუდამ ვემდუროდი, მუდამ ვუჩიოდი ბედს.
ჩემს თავს ვადარებდი, ტბაში მოფარფატე გედს..
ბევრჯერ გავექეცი, ბევრჯერ დავემალე ხვედრს..
ამ ცხოვრებისაგან, არასდროს ვითხოვდი ბევრს..
ბევრჯერ მიღალატეს... ბევრჯერ გულს ლახვარი მცეს..
ჯერაც ფეხზე ვდგავარ, გული სიყვარულით ძგერს..
ყველამ მიმატოვა...მარტოდ მივუყვები გზებს..
ბედის ირონია, კვლავაც ფეხდაფეხა მსდევს..

დავით გარეჯი საქართველოა

დ-ავით გარეჯი მესიზმრა წუხელ,
ა-მაყად მდგარი.. შვენოდა ჯვარი..
ვ-ელზე ყვაოდნენ ყაყაჩოები,
ი-მედის სხივებს სჭარბობდა ჯავრი..
თ-ავს იწონებდა უდაბნო მშვიდი,

გ-ული მღეროდა სევდიან ჰანგებს..
ა-რ მშორდებოდა სამშობლოს დარდი,
რ-ომელსაც ჩემი სული განაგებს ..
ე-რი და ბერი უხმობდა ყველას,
ჯ-ამს ივსებოდა ქვევრიდან ღვინო..
ი-ესოს ერთხმად შევთხოვდით შველას,

ს-ანთლებს ვუნთებდით ხატებთან ნინოს..
ა-მქვეყნიური რეკდნენ ზარები,
ქ-არტეხილები იფსკვნიდნენ ღილებს..
ა-მ წუთისოფლის ეკალ-ბარდებით,
რ-ატომ და რისთვის გვიკოდავთ გულებს..
თ-ვალს ვერ ვაცლიდი, ამ სილამაზეს,
ვ-ნატრობდი გულში ბევრჯერ ვიხილო..
ე-რთხელაც მოვალ აღდგომის ტაძარს,
ლ-ავრის კარებთან ვნახავ ღიღილოს..
ო-ღონდ სამშობლოს ჰქონდეს მშვიდობა,
ა-მას გავედრებ ჩემო უფალო ...

ხალღობო..

ყელ მოღერებულ ყაყაჩოს,
უცბად შამოვხვდი გზადაო..
ისე ამაყად მიცქერდა,
ჩემი მოხიბვლა სცადაო..
ყელს უმშვენებდა ხალები,
თვალებს ნაბავდა ნელაო..
მის სილამაზემ დამდაგა,
გულს დარდი შამეყარაო..
ვერ შავძელ ხელის კარებაც,
ღმერთმაც არ მომცა ძალაო..
თავს უძლურება შამეტყო
და თვალთაც დამიბნელაო..
იქნებ არ ჯობდა მეხილა,
იქნებ მეპოვნა ძალაო ..
მისი სიტურფის ხილება,
ასე რად მამეძალაო..
ხვალაც – იმ გზაზე ჩავივლი,
თვალს გავუსწორებ თანაცო..
ეს ჩემი სულის კივილი,
იქნებ გაიგოს მანაცო..

მერამდენე გაზაფხული...

მერამდენე გაზაფხული გავაცილე,
მერამდენე ვარდობისთვე ვიხილე..
გაზაფხულის ბილიკებზე, რა არ ვნახე,
შური, ბოღმა, ვერსად ვერ ავიცილე..
მერამდენე გაზაფხული დამრჩა გულში,
მერამდენედ ვეგებები აისებს..
მერამდენედ დამედინა თვალზე ცრემლი,
და რამდენჯერ გავუღიმე მაისებს...

ემიგრანტის ფიქრები...

სამშობლოზე მონატრებულს, შორს მიხდება ყოფნა,
ყველამ ვიცით, რა ძნელია, ემიგრანტის ყოფა.
მენატრება კახეთი და დალოცვილი გრემი,
ღმერთო! – მუდამ დაიფარე, დაუმარცხე მტერი.
ძალზე ხშირად მესიზმრება, გერგეთი და ზარზმნა,
მოზღვავებულ სურვილებსაც, ვერ ვშველივარ, რა ვქნა..
მიყვარს მცხეთა, მიყვარს ჯვარი, ამღვრეული მტკვარი,
უთბილისოდ გული დამაქვს, უცხო ქვეყნად მკვდარი..
ვფიქრობ – ახლა მოვივლიდი, დმანისსა და სიონს,
როგორ შვენის, თეთრი წვერი, ბებერ კავკასიონს.
ჩემს სამშობლოს, ძირძველ მიწას უფლის კვართი ფარავს,
საქართელოს, ემიგრანტებს, ყველას დაგვიფარავს.
ქართვლის დედა ფხიზლადაა უდარაჯებს თბილისს,
ღმერთო! – გული ვეღარ უძლებს, უსამშობლოდ ტკივილს.
ჩემი ლოცვა, ჩემი ფიქრი, მიიწევდა ცამდე,
ემიგრანტად არ დავრჩები, მინდა ყველას გწამდეთ..

გაზაფხულით ანცობა...

გაზაფხულის ბილიკებს,
ყვავილები ათოვდა,
მზე კი – მდელოს ველ-მინდვრებს,
თანასწორად ათბობდა..
აპრილობდა აპრილი,
სევდის ბაღებს არ სცნობდა..
ჩემი გული დაღლილი,
გაზაფხულით ანცობდა..
უხაროდა ბუნებას,
ხის ფოთოლთა შრიალი,
და მერცხლების ჭიკჭიკი,
ცაში ორომტრიალი..
გაიღვიძა ყაყაჩომ,
მინდორ-ველებს ამკობენ..
ჩიტუნები ჭიკ-ჭიკით,
ათას რამეს ამბობენ..
ბაღში იასამნები
დაკინძულან კვირტებად..
ყვავილების ქორწილი
ნურვის გაგიკვირდებათ..

ჩემი ბაჭია

ერთი ციდა გოგო ვარ, მეტ-სახელად პაწია..
იცით? – ჩემმა დედიკომ ჩამახუტა ბაჭიას.
არგეგონოთ ერთია .. ყველა ერთად ექვსია..
მათი სიყვარულები, გულზე შემომესია..
მიყვარს მათი ფერება, ფაფუკები თბილები..
სტაფილოსაც არ ჭამენ, ჯერ არა აქვთ კბილები..
შუბლზედ ვეამბორები, ყველას გული გავუთბე..
მათი სიყვარულები, არავის არ დავუთმე..

ხათუნა ჩიტაძე

სიზმარი

ტყის ვარდებზე ვანანავე დართან,
ვეჩურჩულე პეპელას და დათვრა!
გამიღიმა, გაფრინდა და გათბა,
როგორც იქნა, როგორც იქნა დათბა!
მე კი ველი,
როდის მოვა ფრთაჭრელი,
მოციმციმე-მოელვარე ბანზე,
საიდუმლოს ფრთა-ხალებით დამჭერი,
ლექსს მოიტანს სიზმარეულ ქალზე...

2010წ.

მზიანი წვიმა

მზის ქუდი

ახლა აქ, უცხო ქვეყნის შუაგულს,
ვერ ეგუება ჩემი მზის ქუდი!,
აეტმასნება მდუღარე ქარი,
სხვისი მიწისა და მზერის ქურდი.
განა ალათა არტყია მზის ქუდს?
ჩვენ ვარონინებთ ხალასს, ხასიათს,
აქ, საქართველოს სიმღერა მოჰქუხს
და უხარია ჩემს ქუდს, ბაბთიანს!
სიშორე სევდად მეხვევა წელზე,
თუმცა ვიცი, რომ ეს დრო მცირეა...
აქედან ყველას გიხუტებთ ყელზე, –
უცხო ქვეყნის ცა ისე ცივია.....
მამულო ჩემო!
მალე, სულ მალე,
შენს ნიავს აფრად გავუფენ მზის ქუდს!
ამ მონატრებულ, ცრემლიან თვალებს,
შემოაგებებ ნეტავი ვის გულს?
...დღეს კი ამ უცხო ქვეყნის შუაგულს,
ვერ ეგუება ჩემი მზის ქუდი...

2010წ.

ყყყაჩო

ვიცი, ვიცი მე ყაყაჩოს
ხვედრი, დარდი, ნაფიქრი,
კი, სიყვარულს დაარქმევენ,
მერე?
-მერე დაფიქრდით.
ისე უცბად მოცელავენ,
ღიმილს არც კი აცლიან,
უსათუთეს, წმინდა გრძნობას,
ერთ წამში გააცლიან!
პურის ყანას ეწირება,
სისხლისფერი სინაზე,
დიდი დრო არ უწერია,
როგორც წყლის წვეთს მინაზე.
ეს იყო და არა იყო ,
სიმღერაა, არია,
სულ მგონია, რომ ყაყაჩო
მარტოსული ქალია!

2010წ.

წინსწარმეტყველება

ვიღაცასთან ფოთოლცვენა მეფობს,
სულშიც, ალბათ, მზემ აუგო ბინა,
ვიცი, ვიცი, ჩემო სულის მეო,
ეგ სათქმელი და თვალების მინა!
ცა შავ პერანგს ცისარტყელას უხსნის,
ეს მირაჟი არ დამტოვებს, ვიცი,
განა ყველაფერი სათქმელს უღირს?
არ მჭირდება მატყუარას ფიცი!
მედარდება, რომ ერთ დღესაც, ავბედითს,
ჩემს ბილიკებს ვერ მოხატავს ფოთოლი,
მერე როგორ დავიჯერო ბედის?
-ხომ ვიქნები ობოლი!
არც რა გესმით?
ზენა ქარი სხვაა...
დროში სადღაც გადამიცვდა კენჭები,
განდეგილი წლების მთელი ზღვაა,
-ვგრნობ, თუ როგორ ვკენტდები!
ვიღაცასთან ქარი ჩუმად ღრეობს,
სულშიც, ალბათ, სხვამ მოუთბო ბინა,
არ მოტყუვდე, ჩემო გულის მეო,
არ შეუშვა ეგ ქარბუქი შინა!

2010წ.

იარებს

მზის სურნელია, ჰაერს რომ ერწყმის,
ისე უბიწოდ ზეცა კრიალებს,
გაზაფხულივით მიღიმის ლექსი
და ვერ დამატყობს კვალს, ნაიარევს!
ვერ დავახატე ჩემი სინათლე,
გრძნეულ ჯადოქარს, უცხოს და უბირს!
შემოვიფარე ლბილი სინაზე,
დავტოვებ მარტო უღირსთან უღირსს!
გაზაფხულია ახლა ჩემი დღე,
(მე დავიღალე, სხვაც დაიღალოს!)
მარტო დარჩენილს უცხო ბუნაგში
ტყვია-ტყუილი გულს დაიხალოს!
ხო! ახლა მარტი მეფოფინება,
აპრილი დგას და ამაყად იცდის!
სხვას თავის სევდა ემყოფინება,
ჩემი გული კი ტკივილებს იცლის...
გაუფერულდა რადგან სიმღერა,
ვერ შევასწავლე ანი და ბანი,
როგორ მეგონა, რომ დაიმღერა,
ბედნიერებამ პატარა ქნარით!
წაბილწეს ყველა თეთრი ოცნება,
უფრთო ფიქრი და კეთილი სენი!
ვერსად ვიხილე მე გამოწვდილი,
მართალი კაცის, ძლიერი ხელი!
აი, ესაა ჩვენი ცხოვრება,
გამოცანა და მხოლოდ ტყუილი...
მიტომ არ მოდის უფლის ცხონება, –
რჩება ტკივილი და მგლის ყმუილი!
...მაგრამ, ახლა რა მოსატანია,
ამ გაზაფხულზე ტვირთი და ვიში!
მზის სხივი ჩემთვის ხომ საფარია,
ნავსაყუდელი კი კიდევ ვისში!...
მზის სურნელია ჰაერს რომ ერწყმის,
ისე უბიწოდ ზეცა კრიალებს...
მე დავიკარგე ისევ ჩემს ლექსში...
მე დავუბრუნდი ისევ იარებს!.....

2011წ.

ვრჩევანი

ისევ სიშორე, –
ჩემს სარკმელთან გადარჩეული,
ისევ სიზმარი, –
ამრეცილი და დარბეული,
ისევ სიმძიმე, –
ჩავლილ ღიმილს გამოქცეული,
ისევ იმედი, –
უიმედო და დარბეული!
ისევ ჩერო და,
მზე მწველი და
მოუჩრდილავი...
ვინ ვარ?
ეს მე ვარ,
და აქამდე არც კი ვიყავი!
ისევ კალამი,
უტყვი სულის გამოძახილი!
ამოძახილი!
ჩემი ფიქრის ამოძახილი!
მთვარეს შესეულ ვარსკვლავების
ციალ-ციალი...
ყოველ გაზაფხულს ამძიმილებს
ქარი! ტიალი!
ისევ იმედი,
რჩეულ გრძნობით გადარჩეული,
ფიქრი – ჭიანი!
ფიქრი – საღი
და არჩეული....
ისევ სიმძიმე,
ჩავლილ ღიმილს გამოქცეული,
არის მირაჟი,
მიქცეული,
არ მოქცეული!

2011წ

მასწავლებელი

მამულს გვირგვინად აჩნდება
მასწავლებლისა ტვირთი;
რამდენი შვილიც გაჩნდება,
ნათელ ღიმილით ითვლის.
თეთრად დაფენილ ფიქრებში,
იმედის სხივი მღერის!
მასწავლებელო! უთვლელი
სამადლობელი გელის!

2011წ

ირმა ცხინვალელი

*

და ყოველ ღამე
სხვებს ესიზმრებათ
ცხადად,...
დაისაკუთრეს
უკვე
რადგან
ჩემი
სიზმრები...

*

და ახლაც,
სადღაც,
შორსა თუ ახლოს,
გრძნეულ სიზმრებში
იძირება
ახალი მთვარე
და აკრთობს
წამებს...

[illegible] ურდება
მისი გრავიტაცია...
და ოქროსჯაჭვიან
საქანელაზე
ტანების
რხევით
დაქანაობს
ბოტიჩელის
ოთხი გრაცია...

2019 წ.

ოთხი გრაცია

ერდხელ სიზმარში,
ისე ვით ცხადში,
ღია სარკმელთან
ვიდექი მარტო...
მე მიზიდავდა ღამის
იდუმალება...
თითქოს შეხებაც
კი არ ჰქონდა
დროსთან
უცნაურად გაწელილ წამებს...
და უეცრად,
"ამ დროს"
ძირს დაეშვა
და, რატომღაც,
ჩემს სარკმელთან
გაჩერდა
ძალიან
ახლოს
ცივი,
ალმასივით
მოელვარე,
ახალი
მთვარე...
დავლანდე
იქვე,
რომ მის უბასრეს
ქიმზე
ჩამოკიდებულ, ოქროსჯაჭვიან
საქანელაზე
დაქანაობდა
ბოტიჩელის
"სამი
გრაცია",
ჰაეროვანი,
უნატიფესი,
მყიფე,...
ოდნავ
არხევდნენ ტანებს...
უცებ სამივემ
მოულოდნელად,
სინქრონულად
ექვსივე
ფეხი
ისე
ნაზად
და ისე
გრაციოზულად
ასწია,
რომ მე ამ სცენის
ხილვამ
შეძრა,
თავბრუ დამხვია,...
აღტაცებულს, სულმა
წამძლია,
შევისხი
ფრთები,
ავფრინდი
და მათ შევუერთდი...
ვერ ვუჯერებდი
საკუთარ
თვალებს...

ისევ იხსნება პალიმპსესტი

-ისევ იხსნება
დავიწყებაში
ჩამარხული,
უძველესი
პალიმპსესტი
ერთმანეთში
ჩაკირული
ასევე
ტექსტით,...
დასაბამიდან მომდინა-
რე
ცნობიერების
უსასრულო მდინარეს
ერწყმის...
ამ ყოვლივეს
წამლეკავი,
ბნელი
დინების
უწყვეტ
ნაკადებს
გადახსნილი მკერდით
აკავებს...
და ხელახლა
უდებს
სათავეს
სულდგმული,
ერთი...
და ახლა
უკვე
თეთრი
დინება
კაცის
სხეულში
მიედინება...
თავად
სხეული
გადაქცეულა
ლაბირინთებად,...
საკუთარ
თავში
გაუკვალავ
ხაზებს მიჰყვება...
დაუსრულებელ ეპოქა-
თა
მიწიერი
პარადიგმებით
გაჯერებულა
მუდამ
მშიერი,
მისი ფილტვები...
და ასე სუნთქავს
"ზეკაცი",
ერთი...
-და ვინ არს?... ღმერ-
თი?...

2017 წ.

"MEMENTO MORI"-ებიდან
(რემინისცენციები)

კედლის თაროზე შემოდებულ,
კვლავაც
„ერთგულ
ძმას და
მეგობარს“ “
-ადამიანის თავის ქალას-
ე. წ.
ნივთს, უსულოს
და უგრძნობს,
ლორდი-
ჯორჯ გორდონ
ბაირონი,
როგორც
ცოცხალს,
ყოველ ღამე
უხმობს...
მონოლოგებით ესაუბრება...
და მთელ საათებს
უთმობს...

და ასე,
გულსავსე
მარტოობით
ტკბებიან ორნი,
ვით ერთარსება...
მერე კი უცბად
თავის ქალა
გადაიქცევა
ნატიფ ჭურჭლად-
-სიფრიფანა
თასად,...
თავისთავად
აივსება
სუფთა,
მაცდუნებელი ღვინით
და მისი
ხიბლით
თვრებიან ორნი -
„გახევებული“, „მკვდარი“

მეგობარი,
როგორც
სასმისი,
და პატრონი
მისი,
ჯერაც
ცოცხალი
ლორდი-
-ჯორჯ გორდონ
ბაირონი,
ამ დროს
სრულიად მარტო,
ყლუპებით რომ ეტანება
საზიარო
სიკვდილს...

2018 წ.

ღურჯი მისტერიები

(ეძღვნება ჩემს ერთგულ მეგობარს ნ. ლ.-ს)

მე ყოველ ღამე
ვაკვირდები
ემბრიონის საკუთარ პოზას...
და როცა
ოდნავ
დაბინდულ თვალებს
აამღვრევს
უცებ
იდუმალების
სველი
სილურჯე,..
ვხვდები,
თურმე,
არ ვგავარ მოკვდავს,
სიცოცხლეში
ერთხელ რომ კვდება...
მე ყოველ ღამე
მეზმანება,
ჩემი სნეული,
დაქანცული,
უცხო სხეული
წყვდიადში ცოცხლად
იფერფლება,...
უკვალოდ ქრება...
მე მეზმანება

დამძიმებული
სულის
ჩუმი
გარდაცვალება
მოცახცახე
ღამესთან
ერთად....
მკვდრეთით
აღდგება
უკვდავი ღამე
ო, ისე მალე,...
ჩემზე ორსული,
ჩემს ჩანასახს გამჭვირვალე
მუცლით
ატარებს,...
აკივლებული
გულისწასვლამდე
ელოდება
განთიადის პირველ ნათებას
და პირველ წამებს,
ჩემს ახალ სხეულს,
ეულ
არსებას
ზედ რომ დაადნეს...
მე ვიბადები

ცისკართან ერთად
ო, ისე ადრე...
და ყოველ დილით
შევიგრძნობ, ვხედავ,
ჩემს მთვლემარე
და ზრდასრულ სახეს
ახალშობილის
ღიმილი
და უმანკოება
მალულად როგორ დასთამა-
შებს...
მე ისევ ვხვდები,
არ ვგავარ მოკვდავს
ჩემი მრავალი დაბადებით,...
გარდაცვალებით
სულაც არ ვკვდები...
„ასიათასჯერ"
განვიცდი ასე
მეტამორფოზას...
ამიტომაც
ნურასოდეს
მიწოდებთ
მოკვდავს!..

2017 წ.

ეკატერინე ციცქიშვილი

მოხისი

როს სისხამზე შემაფხიზლებს
გუგულქედის ნიავი,
სული ზენას მივაფიცხე,
მწიწკნის ფეთქვა იარის.
ცისარტყელამ გაულიმა
მოხისის ვრცელ იალაღს,
ერთ დროს ბატონს გაუჭირდა,
აქ რომ ესვა ფიალა.
კიბორჩხალებს აგოგმანებს
სურამელას ნაჩქერი,
ამ უდღეურ თავკომბალებს
არ დაადგათ საშველი.
ზოგჯერ მკაცრად გადმოგვხედავს
გულზვიადი არწივი,
სალოცავის წმინდა სვეტთან
წინაპრის ძვლებს დავსტირი.
გულმდუღარედ გადავკვეთე
სოლოვეთის ლავიწი,
აქ დარჩენის სასავედრებ
განშორებას განვიცდი.

გაუფასურდა

როს მოთმინების ფიალა
ესალბუნება იარას,
ნასათუთარი თაკარა
უსაზღვროებას გაჭვალავს.
გაუფასურდა წუწუნი,
განახლდა მტრედის ღუღუნი,
მზეს მიეფიცხა კალია,
გაფხორვა მისი ვალია.
ზვარში ურმული დასჭექეს,
ელვა ასხვისებს ნაპერწკლებს,
ალღოს აღების წინარე
უხერხულობას წირავენ.

წრფელი ნაფიქრი

ამ გაავდრების მსუსხავს ქარბუქი,
მოშურნეთ თვალში ვეჩოთირები,
გავითავისე კვნესა თავთუხის,
გულს აიმედებს ლოცვა ნიმფების.
ვერ ვუმკლავდები წინსვლის დილემას,
მომძლავრდა ვარსკვლავთ კრთომა ნატიფი,
ვერ ვაპეტიშებ გამოცდილებას,
გაუფასურდა წრფელი ნაფიქრი.
ამ ბარიერის ვცდილობ დაძლევას,
რომ მოვაპკურო ცრემლი იარას,
ცრუ წუთისოფლის თმენის გაძლებას
ციური მრწამსის მადლი მიფარავს.

უთავბოლოდ

ისევ აეტუზა ბექობს
ნაწრთობ განტევების ვაცი,
ბრიყვი უთავბოლოდ ყბედობს,
თასში საჭაშნიკეს ჩავცლი.
სივრცემ აითვისა მყისვე
სანთელ-საკმეველის მადლი,
სული ნასათუთარ ძირძველ -
მრწამსის სათნოებას ბარდნის.
მაინც შემომაწვა სევდა,
ანცობს წარმოსახვის ხვითო,
მხრები აეჩეჩა კენტავრს,
ეშმა უცაცხანებს მითოსს.
ისე ჩამიქროლა ახლოს -
ჩემი ანგელოზის სითბომ,
ირგვლივ გაწბილება სახლობს,
ვენდე გასაძლისის სინდრომს!

მოლოდინი

დაისადგურა უიმედობამ,
აუკუღმართებს ჟამი შარაგზას,
მავნებლობას და ამდენ მუხთლობას
მიუჯახუნა დელგმამ დარაბა.
იმედით ვუმზერ ცის აღტკინებას,
გაიპწკიალა მთვარის ღვთაებამ...
ცისკრის ვარსკვლავის ამობრწყინება
დღის ჰემისფეროს შეეხამება.
ტრამალს ანაზდად ეპკურა ცვარი,
მიმოზა შროშანს ეთვალთმაქცება,
არ განესაზღვროს მოლოდინს ზღვარი,
შვება მომგვაროს კვარის ანთებამ.

ვარდის სიამე

თვალებში სევდა ისე ციალებს,
ვით ვნებამ მორწყა ვარდის სიამე,
მიმოაკვნესა ქორბუდამ ღელვა
ისიგრძეგანა კესანემ ელვა.
და რაიც ესე ედელვაისობს,
აფურჩქნულია მწველ სამაისოდ,
განწყობას ისე ვედიდგულები,
მრწამსს მოვაფრქვიე თქორი ულევი.
ეს იმ ოცნების ხვაშიადია,
როს მზის სხივები ერწყმის განთიადს,
სიზმარში რომც არ შემომეფეთო,
ამ წამის პეწი მაინც სეფეთობს.
მაგრამ მე მაინც ცხადის მწადია,
როს განტევების სილას მაწნიან,
მიმოიფრინა სიამის ქროლვამ,
ღვთიურ შენდობის ვიკმიე თოვა.

უფალს შევთხოვ

როს ცხოვრების ალიყური
დააბრმავებს ღვარძლიანთ,
დაუნდობლად, გამიზნულად
შხამს სხეულში ჩაცლიან.
დელგმამ სახე ჩამორეცხა
დაკოჭლებულ სიავეს...
ჯოჯოხეთის სარეწებთან
სიპირქუშე იალებს.
დანაწყევარ, მბურძგლავ ერთ დროს
მშვილდი ამოდ მოზიდეს,
უფალს შევთხოვ, გადმოხედოს
გზააბნეულ ცოდვილებს.

დაე

აეწვათ ნასეტყვი ბიბილო
ნამთვრალებ ღამურებს...
მოკვდავი ამაოდ ქილიკობს,
ჩაწყდა გზა საურმე.
გაისმის ჭირვეულ სულდგმულთა
უსასო გნიასი,
გათოშილ მასების უკუსვლამ
აძვირა ხმიადი.
ბუნებავ, ასე რად დაოსდი -
ვარდებს ნუ გათელავ,
დაე, ეს ბარბაცა ქაოსი
აენთოს სანთლებად!

ძნელად

რადგან წლების სიმრავლემ
თვისებრ წაიფორხილა,
ტვირთსაც ძნელად მივათრევ,
ვიმუხტები მორჩილად.
აღარ ვეპაექრები
ცალკერძ ზურგის შექცევას,
ჩამზრალია ფესვები,
ლაჟვარდს ფერი ეცვლება.
აბა როგორ ვაბარტყო -
ეს ნაგვემი სიმართლე,
სასულეთის სახატოდ
ვიშველიებ წინაპრებს!

ვერ ვაჭიატე

ნაზად ათოვდა ვნების კარიბჭეს,
მიაფერმკრთალა ყინვამ სალი კლდე,
ეჰ, გაწბილება ისე მაფიქრებს,
გული გაცივდა, სული ავიკლე.
ვერ გამოვკვეთე ხიბლი განწყობის,
ვერ ვაჭიატე სიკეთის დვრიტა...
დოგმების აღლუმს მაინც არ ვცნობდი,
დაბედებია უკუსვლა წინსვლას.
ბექობს დააცხრა ჯერი ნისლების,
გატრუნულია ქარი თავნება,
ჩახლართულია სიმი სიზმრების
უდღეურია ფლიდი ზმანება.

არ მიმართლებს

ჩამოსცილდა სარბიელს
იდუმალი აზრები,
შინაგანად მაციებს,
არ მიმართლებს, არ ვცხრები.
მაინც ამეკვიატა
უცნაური ზმანება,
გაწბილებამ იმატა,
ვერ მივენდე ღვთაებას.
ჩაიმუხლა მზეწვიამ
სამხილეთის კრედოსთან,
ის, რაც დასახვეწია,
ღირდა მისი შეცნობა!

გიორგი კამკამიძე

სიმამაცე

ავიჭრები, ბილიკს ცაში მივუყვები...
და ვბუტბუტებ თუ ვით თრთიან ქნარის ხმები,
დანანებით ბანს მაძლევენ ვარსკვლავები,
მომტირალი ღრუბელს ცივად მივუწვები.
სახეცვლილი, ჩათხრობილი გულის დარდით,
გასრესილი გარშემორტყმულ სულთა დასით,
საამყოფოს, ვერ შემსმელი რწმენის თასის
მირაჟებზე ჩამოღვენთილ ურვას ვბარდნი.
ავადქმნილი შავი ნისლი ეუფლება არემარეს,
მთვარეული ველარ ვამჩნევ ნაფეხურებს,
მიეთუთქა ნაკრძალები ეულ მხარეს,
ჩავეჭიდე ნაგრიგალებ ნაცეცხლურებს.
უკუნეთის ჩამიჩუმი ჩემს სახებას ეამბორა,
ტარტაროზმა მდუმარების კამათელი გააგორა,
სულში აღსდგა ჯვარნაწრთობი კვართის თორა
და იესომ სიმამაცე დაგვათქორა.

ღარ ენდობიან

აზრის გაელვება ათას ფერში მჩენი,
მკვეთრი შეძახილი მასის დასაყრდენი,
მიწყივ შეტაკება სიმწრის განაჩენი,
ღვთიურ ასანთლული გრგვინვა ქარაფების.
მარად ასვეტილი სხივის ათინათი,
ხევში ჩამეწყრილი წიფლის ტკაცა – ტკუცი,
ხტუნვით აზარფეშა ციყვმა ხვაშიადი,
ბარტყი ფერიების ნანას უცდის.
ღაწვი შეჭკნობია მთვლემარ იასამანს,
აღარ ენდობიან ცოდვის მამამთავარს,
ქვეშ – ქვეშ ჩაღიმება ოხვრას მიაგავდა,
ეშმა დაიმუხტა სიმწრის სამართავად.

რექვიემი

როს გრძნობების ფორიაქი
გაგიყრუებს სმენას.
წამგებიან აქიაქის
ჩაიღვენთა ბგერა.
გაუცხოვდა მოძალებულ
მომღიმართა დასი,
ხოდაბუნში ამღერებულ
კოინდარებს აწვიმთ.
ემოციის მენტორად რომ
აჟღერდება რექვიემი,
მიმწუხრის ჟამს, ყოველ ამ დროს
ვისაუბრებთ ერთი ენით!

უფრო მეტი

უფრო მეტი განტევება
წუთისოფლის ხვედრთან,
უფრო მეტი შეხამება
გაქუფრებულ ფერთან!
უფრო მეტი გაღიმება
შეცბუნებულ ძმებთან,
უფრო მეტი მოკრძალება
გაწბილებულ ბრძენთან!
უფრო მეტი შეყოვნება
სათნოების კართან,
უფრო მეტი შეგონება
საუფლისო მრწამსთან!

რა გინდ

რა გინდ უნდა ვიჯახიროთ,
რა გინდ უნდა ვაწრთოთ ნება,
ვერ ავცდებით სანაპიროს
საჭილყვაო მიმოქცევას.
რა გინდ უნდა ვნავარდობდეთ
გული უნდა გონს მონებდეს,
უნდა ხვაშიადი კრთოდეს,
გუმანი არ გვღალატობდეს.
ფასკუნჯი რომ ახირდება
საფიცხელო სიმი კრთება,
საუფლისო აღტკინება
შეეწევა შემართებას!

უარყოფის განცდა

როცა საჩოთიროდ გიხმობს
დარდით ჩათვლემილი კვნესა,
კანი აეწვება სინდრომს,
დელგმა ეკალბარდებს წეწავს.
ო, ამ უარყოფის განცდა
ცელქობს კულისების მიღმა,
მგზავრი ორღობეებს ჩაცდა,
ნისლში აედევნა იღბალს.
ძნელად ააორთქლებს შხეფებს
ნაღვრემ განთიადის სხივი,
ციყვი საკნატუნოს ეძებს,
ტურას აუწითლდა ცხვირი.

რაა დასამალი

ისე დაგოგმანებ, ვით ჭალის ხოხობი,
შენგან მოვლენილმა მზერამ დამაბნია,
გული ამითრთოლდა, ვითარც რტოს კოკორი,
ვნების სილუეტი სულში ჩამხატია.
ვითარც უგუნური, ვითარც ნამთვრალები,
ხარბად მივუყვები შენსკენ ნაბილიკარს,
თუ არ გამიმართლე სიმწრით გავქვავდები,
რაა დასამალი, სრულად გახსნილი ვარ.
როცა ინაზები ჩუმ – ჩუმ მომღიმარი,
ცოტა გამოვფხიზლდი, სული დავიოკე,
ჰოდა, შევიგრძენი მრწამსის საფიცარი,
მწამს, რომ ამ სიამეს აღარ დამიობლებ!

ჩავიმუხლე

წუთიერად იწრთობოდეს
სული ღვთისგან ბოძებული,
გაცისკროვნდეს – რაიც მოგვდევს
სიავკარგედ წოდებული.
ჩავიმუხლე და შევთხოვე
უფალს მადლის მონიჭება...
ცინიკოსი და მედროვე
მხარში ურცხვად მომიდგება.
მოეფინოს რწმენა სივრცეს
ფხიან გენის შემართებად,
გაუსაძლის კიდით – კიდე
თანაგრძნობა მენატრება!

ვეაჯები

როს ნანატრი სიამე
საცოდვილოდ მიხმობს,
მოსახდენის წინაშე
ვაიგივებ სინდრომს.
ისე უფასურდება
ნაცად ხერხთა ზმანება,
სულის გასათუთება
აღარ მეცარგვალება.
საწყის შეხმატკბილების
განშტოებამ იხაროს,
მისაგზლისოს მთიები -
ვეაჯები იკაროსს!

გიყვარს

გიყვარს, ეს განცდა მარადისია,
ათრთოლებს აფრებს კიდით – კიდემდე,
გიყვარს, იცოდე ეს საწყისია,
რომ აზვირთებულ ტალღას მისდევდე.
გიყვარს, სიხარულს სევდა გაკენწლავს,
ამოტვიფრდება ბორცვი ქარაფად,
გადაუჭირებ სახრეს სახედარს,
არ აძიძგნინებ ყვავებს სალაფავს.
გატრუნული ხარ სატრფოს წინაშე,
უხერხულობის გბურძგნავს შეგრძნება,
თავდავიწყების მოსჩქეფს მდინარე,
გიყვარს, ხო, მალე შემოთენდება!

თავის დახრა

ხედავ, რა ნაზად იფურჩქნება
სიასამური...
ასე ადვილად არ ყუჩდება
ოხვრის ზღვაური.
ხედავ, ფიქრები მოგეძალა
ცინცხალ ზმანებად,
გულწრფელ განწყობას თავის დახრა
არ ენანება.
ხედავ, გაჭირდა სიახლოვის
განზომილება...
რადგან ვეროდეს მიგატოვებ
სვე მომწიფდება!

გარდასახვა

როცა სანახებს ნისლი მოედო,
მაკრთობს ნანატრის პირდაპირობა...
ეჰ, რაღა გითხრა მიეთ – მოეთო,
როს უთავბოლოდ იწყებ გზირობას.
ამდენ ფიქრების ორომტრიალში
ვერ ვითავისებ გასამხელ საგრძნობს,
არ მოისვენებს ეშმა ტიალი -
შენს აურაში ბოღმა თუ სახლობს.
ეს აღტკინების იალ – ციალი
გარდაიხასა ცრემლების თქორად...
და საუფლისოს თანაზიარი
შეხმატკბილება შეამკობს მორალს!

ხათუნა ელიაშვილი-ჩიმაკაძე

იგავი სოლომონისა

რადგან ლამპარია ანდერძი
სიცოცხლის გზა კი სინათლე
სამხილებელი გონება
გვიწინამძღვარებს სიმართლეს.
ძვირფასი სულის მფლობელი
სიბრძნეს მეგობარს უწოდებს
გონიერების ხმაზედა
მაღალ მწვერვალებს იმონებს.
ღია კარებში მღერის ხმა
სიმართლის მთქმელი ბაგეთი
ჭეშმარიტებას აცხადებს
ენა თვალებით საქები.

სოლომონის სიბრძნე

სულის სიბრძნე, იდუმალი ზრახვების მოწმე
მგალობელი და მეთვალყურე ბგერების ძალა
შემიყვარეო, შემიცანი შენ სულის სიგრძევ
და წრფელი გულის სიკეთეშო ჰპოვებდე მარადს.
უკვდავებისა ძლიერებას ამხელდე მუდამ
მაცოცხლებელი სული წარმტაცი უნდა
მარად ნათელი ფიქრი აღავსებს გრძნობას
სიბრძნე ნამღერი გულით ქადაგებს ხოტბას.
ნეტარდებიან დრონი დამცველნი დღეთა
ამაღლებაში მოვალთ მსახურნი ღმერთთა
გულში ჩაგვიკრავს ყველას ნათელი მზეში
დღის დადგომამდე ძალას შევივსებთ მკერდში.
ლამაზ გვირგვინში მორთავს სწორ ბილიკს გზაზე
შენარჩუნდება ცოდნა, ლამპარი ცაზე
სინათლის სჯულის სხივი, ყვავილი ღმერთის
სიბრძნით ნაშენი სახლი, გაშლილი სვეტი.
გზა სიყვარულით სავსე მჩქეფარე მოლზე
რვთის მგალობელი ბრძენი, მართალთა მცოდნე.
სათავე არის უფლის, სიწმინდის ლოცვა
საგანძურია ძალა, უკვდავად ყოფნა
გული ბრძენი და სული გონებას ავსებს
კურთხეულ უფლის ძალას სოლომონს არქმევს.
სიღრმევ ინახე მარად მთავარი გრძნობით,
რადგან სიცოცხლის ძალა ამ სიბრძნით მოდის.

ეი გამოანა(სოლომონის სიბრძნე)

სიღრმევ უსასრულოვ
თვალსაზრისს შენ ქმნიდი,
საწყისთა ძალებთან
თვალისჩინს ეძებდი,
შენაძენს უკეთესს
აღვიძებ მუდმივად
ძარღვი ხარ ძლიერი
მკვებავი სულისა.

დროა ვარსკვლავური,
ბროლის მისია
უნდა გარდაიქმნას
ღმერთი ხომ მზისია
შენ ხდები მთესავი
დროის ამოცანა
მისი გამკლავება
ყველას გამოცანა.

გულის გახსნა
(სოლომონის სიბრძნე)

არსებობისთვის ბუნების განუყოფელი ძალითა
დაუსაბამო ღმერთიდან დასაბამია არსისა
სიტყვავ, ძლიერო უნარო ნაყოფო ქვეყნის ძალისა
ჯვარცმულის დედის გულშიც კი, მაინც მოყვარე კაცისა.
ზედად მოვლენილ ზესულებს, თანაარსი და ზნეობა
ღვთაებრივ რეალობაში, ფიზიკურ სხელს დღეონა
დათესილ ცოდნას მოვიმკით, მოაზროვნეთა სულები
დასახულ მიზნის მიღწევით შევიმცნობთ დავილოცებით.
კაცი ნეტარი უფლისა მიმყოლი ღმერთის გონების
მუდამ რჯულშია მაღალი დანერგილ ხესთან იზრდების
ნაყოფს დაიფენს წყალობის, ფოთოლი მისი წესია
დაუჭკნობელი იმედი ღმერთს მისთვის გაუმწესია.
ხილულ სიკეთეს შევიმცნობთ, შეცნობა გულის წესია
ცის მნათობების სამყარო დედამიწისთვის ფესვია.

ისმინე ცაო(ბიბლია)

ისმინე ცაო! ყური მიუგდე მიწას მადლიანს
გაზარდე შვილი სიკეთეში, ღმერთის განძია,
მეწამულ ცოდვებს თოვლმა თეთრი ფანტელი მისცა
სიმართლე სავსე, სიმართლეშივე სიყვარულს მისწვდა.
აღიმართება მწვერვალებზე სითყვა უფლისა
ყოველთა მაცნეთ, ვით სახელი იაკობისა.
ვიაროთ მუდამ ამ ნათელში ციცაბო გზებზე,
რომ დავიმკვიდროთ უფლისა ძალით დღე მუდამ მზეზე.
ყოველ მაღალ მთას, აზიდულსა მწვერვალით ცისკენ
სიკეთის ძალა აიზიდავს უსასრულობად
მიწის ნაყოფთა ღირსებაა ამაღლდნენ მზისკენ
ამ ცხოვრებაშ მიზანია სიწმინდე მტკიცე.
ადგილს ყოველსა მზე ანათებს ამა სოფელში
ყოველ დიდებას აღასრულებს სივრცე სურნელით
მთელი სამყარო უმაღლესი აზრის მშობელი
ჭეშმარიტ ძალად მოგვევლინა წუთისოფელში.

მზიური დათიაშვილი-აფ-ციაური

მე დავიბადე იქ...

I

მე დავიბადე იქ, სადაც კლდეთა მოისმის გრიალი,
მტკვარი ქარაფთგან გადმოქუხს, ვეფხვ-ლომთა ისმის ღრიალი,
მღვიმეთა შიგან მთათ ხეთქავს, ცვივა ნამსხვრევნი ფრიალით,
ეხმაურება დიდ კავკასს ენგურით და დარიალით...
სად თავკვეთილას ტრფიალი-ნათლისმცემელის სისხლი წვეთს, –
ამ ქვეყნის ორომტრიალი მტკვრის ტალღებივით მოიწევს...
სადაც სამყარო მოგვითხრობს: ძველი მუშქთა შუბთა ტრიალი,
უმაღლეს გონმა გარდაქმნა, მნათობთა დიდი ციალით...
და მოავლინა შედევრნი სამცხისა, გულის ჩქრიალით,
ომები გარდაიხადა ლომგულთა ხმალთა ბზრიალით,
მუშქთა მიწიდან წარმოშვა მესხეთი ჩემი ტრფიალი –
ცვრიან ბილიკებს ჩაკრული ფეხისგულების წრიალი...

II

(თქმულება)

ქორსატეველას მღვიმეში ჭაბუკმა ორბი განგმირა
გადაარჩინა სიცოცხლე, არც კი წარმდგარა ის გმირად,
მტაცებელს ყრმა თან მიჰყავდა მართვეთა მოსაპირავად
ბევრჯერ უნახავს იქ ორბნი, ლაჟვარდში მსრბოლნი ირავად...
თოხარიკ ცხენზე ამხედრდა, ბაგირს კლდით ჩამოეკიდა,
ბავშვის სიცოცხლე ჭაბუკის მთელ სისწრაფეზე ეკიდა
გადაარჩინა პირმშო და... რა ნახა ჩვილთა ნეკნები,..
მართვეთ დაეხრათ... შეწუხდა,.. საცოდაობით მეც ვკვდები...

III

მას შემდეგ „ქორსატეველა“ ვარძიად გამოიკვეთა,..
ჯაყელთა ხელით... თამარის დროს, დიდმეფისა იბერთა...
ტაძარი ხატმწერთ მოხატეს, „ჭარელი“ ვინმე ყოფილა
ამ საიდუმლომ ქვეყანას მისი სახელი მოჰფინა...
და ვეფხისტყავად დაგებულ, მესხურმა გონმა ისეთმა, –
ამ რენესანსის ეპოქამ – „ვეფხისტყაოსნით“ იფეთქა...
სად ოქროცურვილ ქალაქში – „ვარძია“-ს თამარ იქო და...
ძლევამოსილი, თან ქალი – მეფედ, თამარი იყო და...
განა ამაყი არა ვარ? – ამ მიწით მე ფეხადგმული,
ამ დიდ სიმდიდრემ წარმოშვა ქრისტიანული მამულის...
დიდი სიმტკიცე ნაგრამთა, კულტურა შემონახული,
ის, მესხთა ტანჯვით დაგული, „შვიდრავანტაა“ დაცული, –
მთათა ფერდობი ტერასად, დიდ სავენახედ ნაგული,
მკვიდრი „ძირგულას“ ცრემლებით ავსილი სურა ქართული...
...და დავიბადე მესხეთში, დიდი კულტურის აკვანში,
თმოგვის ციხის და ხერთვისის, ვანეთის ქვაბთა „საკანში“...
„ტრფობაწამებულ“ მეფისა, ერთ ფურცელს კვლავ რომ გადაშლის,
„საფარას“, „ზარზმას“, „ხვილიშას“, ქედნების, ხოხობთ კაკანში
„ივლიტის“ ტაძრის სიწმინდე, რომ ჩამყოლია აკვანში...
„ასპინძის ციხის“ „ბუტბუტი“, რომ გამჯდომია ამ ტანში,
მათით ვიზარდე, ავმაღლდი... დღეს ვიმყოფები ამ რანგში...

ნაწყვეტი პოემიდან
„დროთა მსხვერპლი“

დროთა მსხვერპლი IV

47
დროთა მსხვერპლს სწირავს ბუნება თვითონ,
რჩეულთა ცდა ხომ მისი ხვედრია,
რამდენად სწირავს შემქმნელი შექმნილს,
მათი სწრაფვანი ერთურთს ედრიან.

48
...და მოთმინება რჩეული მსხვერპლის?
მისი დათმობა უფრო მკვეთრია,
თუნდ უარყოფა უარყოფისა,
უმზეოდ ყამარ გრიგალთ „ღმერთია“.

49
საგანძურივით მოჰყვება დრო-ჟამს,
სახეცვლილება არსთა დიადი,
ეპოქები შობს ახალ თაობებს
რომ აისრულონ თვის ხვაშიადი.

50
მაგრამ ზოგი კი ღვთის მოშიშობით,
შრომობს მიიღოს ერთი ხმიადი,
დრო გაჭიმულა დინოზავრივით:
ზოგთათვის რაში, დევი ზვიადი...

51
ერთურთს დევნიან მოდგმათა ცვენა,
როგორც ნადირი ტყეში დევნილი –
მონადირეთა ამტყდარი სტვენა...
ჯიხვი კბოდეზე გადავარდნილი...

52
...და შეგაძრწუნებს ველზე, მოკვდავთა,
მხეცთა და ფრინველთ სრა დაცვენილი,
ჰმ, უბრწყინვნალეს ველურ ფარჩაზე,
ხოხობი მსხვერპლად წამოფენილი...

53
თითქოს გამქრალა წმინდა ტრფიალი,
ველურ ექოთა ხმები შთენილი,
და აღრეულა ლეშთა ხროვაში
უტურფესთა ფრთა გადაფენილი..

მუსიკა V

54
მოკვდავ ბუნებას რა საოცარი,
ვირტუოზული მოსდევს მუსიკა:
შტრაუსის ვალსი, ბახი, მოცარტი,
ფალიაშვილი მართლად უსიტყვოდ...

55
შუმანის დიდი გამოელვება
და ბეთჰოვენის ნაზი ფიფქთცვენა
ძალა ყოფაში უნდა იკითხო,
ევროპის მეჯლისს გაუწყებს ვენა...

მაგრამ ამაყი და წუთიერი,
განცხრომის მსგავსი, მაინც, რაღაც მწამს:
– ელი მეფური სუფრის მოლხენას –
დიდებას ჩრდილავს რაღაც სულის წვა...

56
რიტმი სიცოცხლის მინელებული,
ხორცის განცხრომის არეალშია,
სული ბობოქრობს, როგორც ყინული,
რახმანინოვი ჰანგთა კვალშია...

57
დაუოკებელ სურვილთა ღელვა,
მომსკდარი ტალღის მგრგვინავ ჭავლშია,
და სიცხოველე უტიფარ „ლეშის“
გაჩაღებული ხანძრის ალშია...

58
ვინ იცის ვისი? – სიტყვა შებედონ,
მძლეველთა სული განცხრობაშია,
ხედავენ, როგორ ილევა მიწა
როგორი სულის მუდმივ ცვლაშია...

59
ბაბილონივით აუშენებელ
დაკიდებული ბაღჩის სჯაშია,
ქვეყნიერების უსუსურობა
გაუთვლელ აზრთა დიდ განსჯაშია...

60
მუსიკა ბადებს სიცოცხლის საგზურს,
უპირველესი არსთა არსშია,
ირგვლივ დიდებულ სიმშვიდეს ავსებს
ეს კი პირდაპირ არეალშია...

ლეილა გაფრინდაშვილი

გაზაფხულის მანტია

გაზაფხულმა დაჰფინა ჭრელარშია ხალიჩა,
აამღერა ბუნება, ფარჩის კაბაც ჩაიცვა.
მიჯნურობას ვნებიანს კარის გახსნა აუწყა,
ვაჟმა გოგოს შეჰბედა, სიყვარული აუხსნა!
გულმკერდგადაღეღილმა, ყელხატულამ, მზისთვალამ
გაბუტული წყვილების შერიგებაც ითავა!

გრძნობებსა და გარემოს მხატვრის ხელი ატყვია,
სიყვარულმა მოისხა გაზაფხულის მანტია!

სიტყვა და პოეტი

ჩემო ანბანო, სიტყვის სხეულო,
მუსიკალურო, ჟღერარჩეულო,
სიტყვავ, სტრიქონზე გადახვეულო,
დინჯო, ჭკვიანო, გადარეულო...
პოეტს სჭირდები, როგორც საგზალი,
ხან ჩოხას გაცვამს, ხან მანდილს გხურავს,
მისთვის ხარ ფარი,ხმალი, აბჯარი,
დაფი, საყვირი, ჩონგური, ქურა...
ოცნებისფერად ფრთებს შემოგასხამს,
ცისარტყელების ფერთა გამაში
გმოსავს,დაგისვამს ხელისგულზე და
გგზავნის ზეცაში, უფლის ალვაში!

სტრიქონო, სიტყვის მძივთა კრებულო,
პოეტის სულის ჩანაწერებო,
მგოსანის ჩანგზე ამღერებულო,
სტროფში შერწყმულო და ნაფერებო.

ანო და ბანო, განო, დონო, ზენო და თანო,
სიტყვათა წყობავ, მომღერალო ბულბულის ჰანგზე,
ატოკებულო სისხლის ძარღვო, შფოთვავ, სიმშვიდევ,
მოგეახლე და...შუბლზე ცვარი გადავიწმინდე...

საქართველოში სიტყვა მღერის პოეტის ხმაზე,
პოეტი სახლობს მზესთან ახლოს, ცის კამარაზე!

სოფლის გზაზე

სოფლის გზაზე, გარუჯილი, თვალცელქება,
მოდის გოგო, ლაღი, კაბაშრიალა,
აზვირთებულ მკერდს ასკდება ნაპერწკალი,
გრძნობის ალმა ვაჟი ააბრიალა.

ვნებამ სუსტმა, თავნებამ და უმართავმა,
მოამწყვდია ქალი, ვაჟის მკლავებში...
ვინ განსაზღვრავს, ყმაწვილობის ქარბორბალა
სად გაგაბავს სიყვარულის მახეში!

ლექსდარდიმანდო!

შლეგი ქარივით შემოიჭრა სხეულში სუსხი,
ცდილობს გაგლიჯოს არტერია, სისხლით დამცალოს,
ქირქილებს ეშმა, ბოროტების მნე და მპყრობელი,
სკივრი სიკეთის სურს ხელიდან გამომაცალოს.
საკუთარ სულში ავფათურდი, ვით მთვარეული,
ვეძიე გზები შვებისა და გადარჩენისა,
მომითათუნა ლექსმა ხელი დაცვარულ შუბლზე,
დამიღიღინა მელოდია ჭირთათმენისა!
შენ გაგიმარჯოს ლექსდარდიმანდო,ძალაწყლიანო,
ახლა რა დამღლის, მწვერვალები გადავიარო!

ტკივილი

ერთი ფურცელი დღეს კიდევ ტკივილით გადაიშალა,
კალამს სიმშვიდე ვურჩიე, წრიალი არ დაიშალა.
სხეულში წყენა დაბორგავს, სევდიან-თვალცრემლიანი,
სახლში სიჩუმე ხმაურობს,სიჩუმე მუქჩადრიანი.
ხმაურიანი სიჩუმე, მუჭში კრებს გულის ნაფლეთებს,
თავშეკავება-თმენაში სისხლი ასკდება საფეთქლებს.
ერთი ღრიალი სჯობია, ამოიყოლოს ნაღველი,
გრძნობა კრავს დარდის თაიგულს,თაიგულები, ამდენი?!
სატელეფონო ზარს მოჰყვა, სიტყვის ტყვიების გრიალი,
პასუხად გავეც სიჩუმე, სიჩუმე ხმაურიანი...

* * *

არ მივცეთ თავსა უფლება ვარჩიოთ გზა კეთროვანი:
„სჯობს სოცოცხლესა ნაზრახსა, სიკვდილი სახელოვანი“.

თავი ხელში აიყვანე, შეერკინე გასაჭირსა:
„ჭირსა შიგან გამაგრება, ასრე უნდა, ვით ქვიტკირსა“.

ღმერთის რწმენა გადაგვარჩენს, დრო არ არის განრისხების:
„რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქნების“.

არ დამორჩილდე ცდუნებას, შეგიძულებს სოფელია:
„უმსგავსო საქმე ყოველი,მოკლეა, ვით ოხერია“.

კაცი ერთგული, მოყვასი, ღვთისგან გაწვდილი ხელია:
„ვინც მოყვარესა არ ეძებს, იგი თვისა მტერია“.

კაცი ბოროტი შეიცან, ვინც მოგაყენებს ზიანსა:
„ვგმობ კაცსა აუგიანსა, ცრუსა და ღალატიანსა“.

ენამწარე, ავყიობით სხეულზე გაგავლებს მუსრსა:
„ავსა კაცსა ავი სიტყვა, ურჩევნია სულსა, გულსა“.

სიკეთეს თბილი გული აქვს და ცისარტყელას ფერია:
„ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“.

ვერ მომერია მომხვდური, ძმამ გადმიგრიხა ხელია:
„მოყვარე მტერი ყოვლისა, მტრისაგან უფრო მტერია“.

მატყუარა, ფლიდი კაცი,მოგიშხამავს ტკბილსა გულსა:
„სიცრუე და ორპირობა, ავნებს ხორცსა, მერმე სულსა“.

თბილმა სიტყვამ შეარიგოს,მოსისხლე და მოჩხუბარი:
„გველსა ხვრელით ამოიყვანს, ენა ტკბილად მოუბარი“.

მრავალსიტყვაობას სჯობნის, ერთი ციცქნა ფრაზა, ვარგი:
„გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამად კარგი“.

სიკეთე დაუმახსოვრე, კაცს ერთგულსა და ჭკვიანსა:
„არ დავიწყება მოყვრისა, აროდეს გიზამს ზიანსა“.

სიტყვას მიეც გზასავალი, თუკი საქმე არ შავდების:
„ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“.

ანზორ ჯაფარიძე

მუზა! მუზა! მუზა!

მაშ, შენ ხარ მუზა?
შენ – ცისკრის ბავშვი?
შაბაშ, შენს ღონეს,
შენს ძალას ვაშა!
მაშ, შენ მეწყრავდი
ყველა გზას ფშავში,
რომ ზედ ბუხართან დაგება ვაჟა?

ი. აბაშიძე

მაშ, შენ ხედნიდი აწყვეტილ რაშებს?
ტატოს მერანი შენ დაგიბია?
ემხვარს აეშვა თურმე ულაყი
და არზაყანი გადაირია.
ვით ქარიშხალი ველზე გასული,
აკაკი მღერის, თვით იდილია,
დიდი სიბრძნე და დიდი იმედი,
მუზავ, გხედნიდა დიდი ილია.
ვის რას ჩაჰბერე, ვის რა ჩაუდგი,
ვის დაურღვიე მყუდრო ძილია,
მუზავ, როდესაც თავს დაგვტრიალებ,
თითქოს ვიხილეთ უცხო ხილია...
ჩვეულებრივად ბევრს ვერსა ვიტყვით,
სიტყვის ჩაგრეხვა არ ადვილია,
მუზა რომ მოვა, მოგიალერსებს,
უთქმელის თქმაც კი მეტად ტკბილია.
რას ბუბუნებდა კახელი გოგლა,
ან რას გვმოძღვრავდა ნონეშვილია,
გალაკტიონი ვარდებს მოჰფენდა
მუზა როს ჰქონდა აღერღილია...
არ დაგასვენებს, მიდგრეკს და მოგდრეკს,
თუნდ დაკუმულიც გქონდეს პირია,
ისე ჩაგისვამს პირში მარგალიტს –
სულ აღარ გახსოვს, მგონი, ძილია.
როს რუსთაველი სტრიქონს ქარგავდა,
თვით იყო ღმერთის ჩამოქნილია,
მუზა კი თავზე დასტრიალებდა –
არ მისდგომოდა რამე ჩრდილია...
მუზავ ერთი ხარ ლექსის მშობელი,
უშენოდ შექმნა არადვილია,
შენ უნდა გლოცონ დიდ პოეტებმა,
უშენოდ გული დაკოდილია.

12.03.11.

უწმინდესს

დავიღალე, დავიღალე,
მოდი ჩემთან, უფალო,
ქართველო ხმა ამოიღე,
უსულგულო ნუ ხარო.
უწმინდესი რატომა სწუხს,
ერთი შვება უთხარო,
შენთვის თავი გაუწირავს –
მხნედა ვართქო, უთხარო!
შენზე დღედაღამ ლოცულობს,
შეისმინე, უფალო...

უწმინდესო, ჩვენ შეგფიცავთ,
დაგვეხმარე, უფალო!
უგუნურები ვიყავით,
გონს მოვეგეთ, უფალო,
უწმინდესი დაგვილოცედ,
გევედრებით, უფალო!
უწმინდესი მხნედ გვიმყოფე,
დაგვეხმარე, უფალო,
ღმერთთან წასვლა ჯერ ადრეა,
ერს სჭირდება, უფალო!
სიცოცხლე და ჯანმრთელობა,
შეარჩინე, უფალო!
ქართველ ხალხს ხომ ქოლგად ადგას,
ნუ წაიყვან, უფალო!..

P.S. დღეს უწმინდესის დაბადების დღეა, სიონის საკათედრო ტაძარში დიდი წირ-ვა-ლოცვა აღევლინება.

04.01.10.

მოძღვარი

მამა ამირან ამირანაშვილს

ერისკაცობა ხომ არის მძიმე,
ჩვენი გზა ეკლით დაფარულია,
მიმოფანტულა გლოვა, ვარამი,
სამშობლოს ჭირი ერის წყლულია.
სად რა ბობოქრობს, საით რა გვიტევს,
ომის არის თუ მტრობის შურია,
სიკეთეს სთესავ, მადლს გააკეთებ,
ბოროტი გიღრენს, გწყდება გულია.
დაუნახავ და უგულო კაცებს
არ ედარდებათ ერის სულია,
დღეები მიდის უაზროდ, მძიმედ,
ცხოვრობენ როგორც სოფლის მდგმურია,
ერში ბევრი გვყავს გულ-მამაცები,
ვისაც მამულის წინსვლა სწყურია,
აღუმართიათ მხნედ მათ მახვილი,
გული მტრის ზიზღით აღუჭურვიათ;
მაგრამ ღვთის მსახურთ ვერ შეედრება
ერის კაცების მთელი დუნია.
ხიდად გაიდნენ ღმერთს და კაცთ შორის,
სიკეთის თესვა, მადლი სწყურიათ!
მძიმე გოლგოთის დამდგარან გზაზე,
თან სახე მშვიდი, საამური აქვთ,
უფალს შესთხოვეს ტვირთი, უღელი,
მძიმე ჯვრით ხელში მტკიცედ უვლიათ;
ვერ შეედრება მათ თავდადებას
ერისკაცების სამსახურია,
სულიერება ქვეყნის ხსნა არის,
ამპარტავნობამ მოსპო გულია;
მე ბავშვობიდან ღმერთის მოშიში,
თაყვანისმცემი, მონანური ვარ,
პირჯვრის წერაში, ღვთის კანონებში
უვიცი, ბრიყვი, უგუნური ვარ...
არა მცოდნია წესი ცხოვრების,
ჩემს მამა-პაპას როგორ უვლიათ,
რაც მკარნახობდა გულის სიღრმიდან
მხოლოდ მით ვიყავ მონუსხულია.
თუმც, რომ შევხედავთ: ჩემი ცხოვრება –
სუყველა ღმერთის მოცემულია,
ბევრი შეეჭვდა ჩემს ქმედებაზე
წმინდანის ყოფით მათ რომ უვლიათ.
სულის განკურნვა მეტად ძნელია,
მას მოფერება, სითბო სწყურია,
ნაზია მეტად გასახარებლად
და მოსავლელად უფრო რთულია.
მე გავიარე მეტად მძიმე გზა,
წარსულს არა ვარ მონატრულია,
თუმც კი სიკეთე — რაც კი ვაკეთე,
სუყველა ღმერთის ბოძებულია.
უგუნურობით და უვიცობით
მღვდლის მიმართ ვიყავ უმადურია,
არა ვიცოდი მათი ცხოვრების,
რით არსებობდნენ, როგორ უვლიათ...
დღეს ამეხილა თვალები ფართოდ,
ღვთის მოშიშობა როგორ რთულია,
მე უგუნურმა კი არ ვიცოდი,
ქვეყნად ვიდოდი უმადურია.
მე მოძღვარი მყავს საღი, მართალი,
მთელი ცხოვრება ლაღად უვლია,
მაგრამ შეუდგა ღმერთის სამსახურს,
ცხოვრება დათმო, გათბა სულია;
ჩვენ ყველამ ვიცით ეს გზა, ეს ტვირთი
მეტად მძიმე და მეტად რთულია;
ყველას არ ძალუძს მისი ტარება
მისი მტვირთველი ერთეულია.
რთულია – ვთქვი მე – სიტყვა უკმეხი.
სუყველა მოძღვარს – ეს გზა უვლია,
გვერდზე გადადეს ერისკაცობა,
უფალს მიაყრდნეს მშვიდად გულია,
ჩემს მოძღვარს მინდა გავესაუბრო,
მისკენ მიმიწევს წრფელი სულია,
მხოლოდ მან მომცა ამ ქვეყანაზე
რაც კი რამ მაკლდა, რაც კი მწყურია,
ჩემო მოძღვარო, მამა ამირან,
ნათელ სხივად ხარ ქვეყნად მოსული,
სულით, სხეულით, შეხედულებით –
ბუნებისგან ხარ უხვად მორთული,
ხმა ბარიტონი, ცეკვა ქართული,
ყველაფერია ერთად ჩართული,
დაუბერტყია კალთა ღმერთს შენზე,
შთამბეჭდავია ეს მეტად ჩვენზე;
მე ხომ ვამაყობ შენით, მამაო,
არ ჩამითვალო ცუდად, ამაოდ,
მე ბევრს ვერ ვხედავ კაცს შენებრ შემკულს
ღვთის და ერისთვის შეწირულთ, ერთგულთ.
მამა ამირან, შენ ერთი მყავხარ,
ვინც მოაბრუნა ჩემი გულია,
ღმერთის მოშიში მუდამ ვიყავი,
მაგრამ ვიყავი მეტად რთულია...
მე არ ვიცოდი მღვდელი, მოძღვარი,
გაქვავებული მქონდა გულია,
თვით უწმინდესი შენ შემაყვარე,
ამის გამხელაც უხერხულია;
რომ წარმოვიდგენ შენს ნაღვაწ-ნაშრომს,
შენი წარსული როგორ რთულია,

სიონის ტაძარს შესწირე გული,
მას მიუძღვენი შენი სულია;
შენ დესპანობდი, თუკი რამ იყო,
ჩვენი რწმენა და საგანძურია,
შენ მოიხილე სივრცე და გზები,
ჩვენს მამა-პაპას რომ გაუვლია, –
ბევრს მიაწვდინე ხმა მისაწვდენი
მართლმადიდებლურ-მშობლიურია,
ლაღად მოჰფინე ჩვენი საუნჯე,
შენ არაფერი დაგიშურია!
მამა ამირამ, შენ ერთი იყავ
ვისაც გავუღე ჩემი გულია,
აღსარებას მე არვის ვანდობდი,
და აი, მოხდა სასწაულია!
ერთი შეხედვა, თვალის შევლება,
თითქოს გამეხსნა ძველი წყლულია,
წამს დავიფიცე, აი, მოვიდა,
ჩემს ცხოვრებაში სასწაულია!
და როს წარმოვდექ აღსარებაზე
რომ გაგიხსენი ფართოდ გულია.
ვამპირივით მე ცოდვებს ვაფრქვევდი,
შენ ღებულობდი, უცნაურია!
შენს სახეს მოვკარ წამიერ თვალი,
რაღაც ვიგრძენი, გათბა გულია,
ჩემსა ცოდვებსა რომ განიცდიდი
მე თავს ვუწოდე უგუნურია.
აქ შევიგრძენი, რომ ცოდვილი ვარ,
შენ მოახდინე სასწაულია.
მტკიცედ დავრწმუნდი, რომ თქვენს სამსახურს
კაცთა მოდგმისთვის მადლი სწყურია.
თვალს ცრემლი მოსწყდა, ღაწვზე დაცურდა
სანთლის ნაღვენთსა ჰგავდა ნათელი,
რამდენი ტკივილი, დარდი გაქვს ნათქვამი,
რამდენი რამა გვაქვს, ვინ იცის, სათქმელი.
მე მკაცრიც გიხილე ლომივით ფრთასხმული,
კაცურად შემართული მაღლა მთის წვერზე,
ლმობიერიც გნახე, გულჩვილი ბავშვივით,
გეფერებოდი და კაცურად გკოცნიდი მკერდზე,
სულიერ შვილებს საზრდო გაგვიჩინე,
მოგვეც თბილი ბინა, ჩაგვისვი გულში,
ერთურთიც შეგვაყვარე, ფიცით შეგვკარი და
ძმებად დაგვაყენე დრო და ჟამს რთულში.
შენს მრევლს გვენატრები, გულწრფელად
გვიყვარხარ,
რაღაც სითბო იღვრება სულში,
წირვაზე მოსულნი საუბრით ვინუსხებით,
თბილი ნეტარება იღვრება გულში.
შენ მაგალითი ხარ კაცური ცხოვრების,
ვამაყონ, სითბო მიდუღს სულში,
ვფიქრობ-ვაკვირდები ახლანდელ ჩემს ყოფას,
არარაობა ვყოფილვარ თურმე გუშინ.
ერთი ამოსუნთქვით რაც მსურდა, გითხარი,
ბევრი რამ დავიტოვე ჩემთვის გულში,
მე შენ შემასწავლე გულწრფელი საუბარი,
ჭეშმარიტება შემოიჭრა ჩემს სულში.

08.10.09.

სულიერი ხაძმო!

კაცის ცხოვრება, ჰეე, ძმებო,
თურმე ჩირადაც არა ღირს,
გაირბენს წუთისოფელი,
აქ არ დაგვტოვებს არავის.
ვიბრძვით, ვბობოქრობთ დღედაღამ,
გზად ჩვენ არ ვინდობთ არავის;
სიკეთე ვთესოთ სჯობია,
მადლი მოვისხათ მაღალ ღვთის.
უნდა ვეცადოთ, ვიღვაწოთ,
გულით, გრძნობებით ვიცხოვროთ,
არაფერი არ დავიკლოთ,
უფალი ღმერთი ვილოცოთ.
რამდენი მწარე დღეები,
რამდენი მძიმე ღამეა,
ამდენმა ფიქრმა და დარდმა,
ნეტავ, რად არ გადამრია!
ცხოვრებაში ვინ არ ვნახე: –
ქალი, კაცი თუ ბავშვია,
ვერ ამოვწურე ეს თემა,
თუმც არც მწყურია, არც მშია.
რამდენი ვნახე კაცები
მეგობრობას რომ ფიცავდა,
თუმცა პატარა საფრთხე და
მხოლოდ თავის თავს იცავდა.
ბევრი მინახავს მაფიცნი
მეგობრობის და ძმობისა,
როს გამიჭირდა, რას ვხედავ,
ვინ რომელ მხარეს ცოხნისა.
ერის კაცობა კარგია,
ლაღი ხარ, შეუპოვარი,
ასე გგონია, მუდმივად
ვერას დაგაკლებს მსტოვარი.
თურმე ცხოვრება სხვა არის,
მუდმივი, მიუსადაგი,
ღვთის მოშიშობა გვიფარავს,
საქმე არა ვქნათ სადარდი.
თუ გინდა სული გაათბო –
არ შეგვეშალოს არავის,

ხელში გვეჭიროს სანთელი,
ღმერთს ვლოცულობდეთ მარადის.
პირადად ჩემი ცხოვრება
რაღაც წესებით ვიარე,
მაგრამ ერთ დღეს კი დავფიქრდი,
მწარედ შევეხე იარებს:
გამოჩნდა კაცი ნათელი,
ზნე წმინდა, კეთილშობილი,
სულში სხივი შემოიჭრა,
განვაგდე ეშმა გმობილი!
უფალ ღმერთს კი ვლოცულობდი,
ნათელ სანთელსა ვანთებდი,
მღვდელი არ მწამდა ამ ქვეყნად,
ჩემ სულს ჯურღმულში ვაგდებდი.
ახლა შევიცან დიდება
უფალი ღმერთის მსახურის,
ხიდია ღმერთს და კაცთ შორის,
დიდია ეს სამსახური.
მამა ამირანს ვფიცავართ,
გვფარავს თავისი ქოლგითა,
როს ლექსის წერა დავიწყე,
მე მისი ნახვა მომინდა;
მან ამიხილა თვალები,
გამაცნო ღმერთის მსახურნი,
რომ ჩავიხედე მათ გულში -
სირცხვილისაგან გავხუნდი.
თურმე ყველაფერს სწირაენ
უფალ ღმერთს, ევედრებიან...
თავის მრევლის და ერისთვის
გვემას არ ერიდებიან.
ერთ დროს მამა ამირანმა
ერის კაცობით იცხოვრა,
არც აქ დაინდო მან თავი
თავის განწირვა იცოდა.
შემოიარა მსოფლიო,
ქვეყნის სახელი გაჰქონდა,
სადაც კი გამოჩნდებოდა
მის ხმას გუგუნი გაჰქონდა.
რა არ აჩვენა ცხოვრებამ: –
გაჭირვებაც და ლხინიცა;
ვინ იცის, რა არ გადახდა,
ვერ გაუძლებდა გმირიცა!
ბოლოს დაუდა მას ის დროც –
სულის სადაგი დღეები,
ეკლესიის კარს მიმართა,
ცაში აღაპყრო ხელები.
უფალ ღმერთს ცრემლით მიმართა: –
შენს სამსახურში მოვედი,
დავტოვე ერისკაცობა,
განცხრომას აღარ მოველი.
მუხლმოდრეკილი ვედრიდა: –
მიმიღე შენს კარს, უფალო,
უარვყავ ჩემი ცხოვრება,
წარსულს უარი ვუთხარო.
ჩვენც სიონის ჯვარს შევვედრით,
იქ გავიცანით მოძღვარი,
ერთ მუშტად შეგვკრა ჩვენ ძმები,
გავხდით ჩვენ მისი მლოცავნი.
ნამდვილი ძმობა ვიგრძენი,
სულის და გულის გამთბობი,
თუკი ცხოვრებამ რამ მომცა
თქვენთვის ყველაფერს დავთმობდი.
სულიერი სხვა ყოფილა –
ფიცი ანთებულ სანთლითა,
საძმო შევიკართ, შევფიცეთ,
დიდი უფალის მადლითა.
მოძღვარს ჩვენ ფიცი მივეცით,
თავს გამოვიჩენთ მართლითა,
მაღლიდან ღმერთი დაგვყურებს,
მამაო გლოცავს სანთლითა,
ჩვენმა ზურაბი ჭყონიამ,
სტიქაროსანი რომ გახდა,
მადლი შესწირა უფალ ღმერთს
მისი ოცნება რომ ახდა.
ოჯახიც შემოაფარა
მოძღვრის მადლიან კალთასა,
იტყვიან ბრძენი კაცები –
არა ხვდებაო მთა-მთასა.
ღმერთის დიდებას ფიცავენ,
დღედაღამ ლოცვას ამბობენ,
სულში ნათელი ჩაიდგეს,
მოძღვრის დიდებას ნატრობენ.
მე ძმადნაფიცით შეკრული
ასეთი სხვა არ მიგრძვნია;
რაც კი ამ ქვეყნად კარგია
ყველა ამათთვის მიძღვნია.
ამირან კალანდაძე მყავს
სიდარბაისლით განთქმული,
საუბარი აქვს მას ტკბილი,
სუფთა, ნათელი, ქართული.
სულში სინათლე გიღვივის
შენ, ძმაო, ჩემო ამირან,
შენს აუგს ვერვინ ვერ იტყვის,
რომ თქვან, მე მას ვერ ავიტან!
შენ მოუვლინე ქვეყანას
სამი ვაჟკაცი ალალი,
ნეტავი გვყავდეს სხვა კიდევ
ერში შენსავით მართალი.
ჩვენ ერთი პროფესორიც გვყავს –
კუბლაშვილია მურმანი,
ლექსებს კითხულობს ლამაზად,
ამავ დროს არის გურმანიც.

მურმანთან ლხენას რაღა სჯობს,
სიცოცხლე დაუღალავი,
ცეკვა, სიმღერა, ლექსები,
მას არავინ ჰყავს ბადალი;
მურმანი გენიოსია
ჯიშით, ჯილაგით განთქმული,
მეცნიერებას შეჰმატა
სიდარბაისლე ქართული.
ჩვენ კიდევ პაწიები გვყავს
ციცქნა-ლამაზი ქალები,
დღედაღამ მათზე ვლოცულობთ,
ალბათ გაგვიგებთ გამგებნი...
ჩვენს საძმოს ერთი სვანიც გვყავს
ზურაბი ზურებიანი,
ძმობას, სიყვარულს ინატრებთ,
კაცია მეტად ფხიანი,
ნუთუ იმ სითბოს, ზაური,
შენს სულს და გულს რომ ედება,
ქვეყნად კიდევ რამე სჯობს,
ანდა მას რამე ედრება?
ჩვენსა მოძღვარსა, ზაური,
განსაკუთრებით უყვარხარ,
კეთილი შურით შეგყურებთ,
გამორჩეული რომ ყავხარ.
შენი ლამაზი ოჯახი,
შენი ნათია, ქალ-ვაჟი,
ჩვენც გულში გვიზის იცოდე,
ოქროსებრ გააქვს კაშკაში.
შენს ბაღნარში რომ მოვილხენთ,
სუფრას რომ გაშლით ლხენითა,
ნარნარ სიმღერებს გვიმღერით
ველარა ვძღებით სმენითა.
ახალგაზრდებსაც გაგაცნობთ:
ჩვენს პაატას და რომანის,
სანთელივით რომ იწვიან,
ბევრი ჰქონიათ რომანიც...
ორიივემ ოჯახი შექმნა,
ვერ გააჩერებთ რომანის –
გერმანიის გზა გაცვითა,
ლექსის თქმაც იცის ხმოვანი...
გოგლასავით რომ დაიწყებ –
ბუბუნებ, ხარ გულოვანი...
როგორ იხსომებ ამდენ ლექსს,
კაცი ხარ სახელოვანი.
პატიკო, ჩვენო პაწიავ,
მძიმე წარსული გატყვია,
ასე არ უნდა ხდებოდეს,
თუმცა უფლის გაქვს მადლია;
შენი ქეთუშა ლამაზი
შენს გულში გიზის მალამოდ,
ჩვენ შვილობილად მიგიჩნევთ,
აბა, მეტი რა გაამოთ.
ახლა შევეხოთ ზურიკოს,
გავაშელია გვარადა,
ჩვენს ძმობას შემოუერთდა,
დამკვიდრდა მტკიცედ, მყარადა.
მეც მყავდა ერთი ზურიკო,
მისი გვარისა მფლობელი,
თუკი საფიცი რამე მაქვს,
მინდა მიუძღვნა ყოველი!
მომიკვდა ჩემი ნაფიცი,
დიდხანს ვიყავი მგლოველი...
აი, კვლავ შემხვდა ზურიკო,
თითქოს გაცოცხლდა ყოველი.
ზურიკო, შენ არ გეწყინოს,
შენ შემიცვალე წარსული,
ჩემი ზურა გამიცოცხლე,
დაწყნარდა მბორგავი სული.
ახლა, ძმებო გთხოვთ, მისმინოთ,
გვყავს მონადირეც მაგარი.
თენგიზი ზანგურაშვილი
კაცია, როგორც ზღაპარი.
ერთხელ სიონის ტაძარში
ჩვენი მოძღვარი სწირავდა,
იდგა ანთებულ კელაპტრით,
განსაკუთრებით ბრწყინავდა;
უცბად მოგვმართა ჩვენს საძმოს,
თითქოს ის იყო მთხოვნელი,
მსურს ერთი ძმაც შემოგმატოთ
დიდი ვაჟკაცი ფხოველი.
მუხთალი არის ცხოვრება,
ვის რა მახესა გვიგებსა,
თენგიზიც მაგრად გაწირეს
მის ტანჯვას ჩვენც ხომ ვიგებთა.
უფალი გფარავს შენ, ძმაო,
გახსოვს, მითხარი მართალი,
მამა ამირანს რომ ვუსმენ
ჩემს გულს გააქვსო ფართხალი.
მოძღვარი გლოცავს, იცოდე,
კაცი ხარ წრფელი, მართალი,
ჩვენს გულში ჩაჯექ შენ მყარად,
გჯეროდეს ჩვენი ნათქვამი,
აბა, მეგრელსაც ვუსმინოთ,
ოდერი კვარაცხელიას,
ძროხების მოვლა უარყო,
ვენახს მოკიდა ხელია.
მე კახეთში ვარ გაზრდილი,
ვიცი ვაზისა მადლია,
მაგრამ მაჯობა ოდერიმ –
დიდი ჰქონია ყადრია.
უცხო რამ შექმნა სამყარო
კვარაცხელიას ხედვითა,

მეჯოგეები ხომ იყვნენ
გამორჩეული ქვეყნითა.
ახლა ვაზს ეალერსება,
განაწყო რიგი მრავალი,
კაცი თვალს ველარ მოსწყვიტავ,
სანახავია მაგარი.
ნეტავ, გაჩვენათ, ოდერი
ვაზს როგორ ეალერსება,
გულგრილი როგორ დარჩებით,
მიტომ გადვიქეც ლექსებად.
ჩვენო ოდერო, შენს მარანს
ადევს მეგრული პეწია,
მისსა მნახველსა ჩვენს გულებს
ბედნიერება ეწვია.
შეგყურებთ, დაუღალავო,
ჩვენ ხომ ერთად გვაქვს ნაღვაწი,
წარსული სულ დაგვავიწყდა,
თუმცა ის გვქონდა ლამაზი,
წითელ პინოს მე გთავაზობ,
შენ თეთრითა ხარ ქებული,
ვამაყობთ შენით, ოდერი,
მეგრელი ვგყავხარ ერთგული!
ჩვენ ხომ კიდევ გვყავს ერთი ძმაც -
წერეთელია გვარადა,
დავითი ქვია სახელი,
არ დავივიწყებთ მარადა.
ცხოვრება მუხთალი არის,
რა მახეს გვიგებს ტიალი,
ბედი თუ შეგვიბრუნდება
არ უნდა შევხვდეთ მტირალი.
შენ, ძმაო დავით, ხომ იცი,
ჩემი განცდა და გრძნობები,
მეც შვებას ველოდებოდი,
მაგრამ ვერსაით ვპოვებდი.
დღეს დრო დაგვიდგა სასტიკი,
დაუნდობელი, ვერაგი,
ყველას რაღაცა გვატკინა,
ერთურთსა ვშველით ვერავინ!
ვისაც კი რამე შეგვეძლო,
არ დაგვიზოგავს თავია,
ჩემი ვალები, განცდები,
გმადლობთ, რომ გულზე გაბიათ!
და თუკი მეტი ვერ შევძელთ,
მტერი გვყავს ავი, ვერაგი,
მე თქვენი ლოცვებიც მყოფნის,
ვერ მომერევა ვერავინ.
ძმებო, გულები მივყუდოთ,
მაშ, დავდგეთ ერთად ყველანი,
ვერსაით ვერ გავექცევით,
რაც დაგვყოლია წერანი.
ჩვენ ყველას უფალი გვფარავს,
დღე-ღამ ლოცულობს მოძღვარი;
მყარად იმედით მივეყრდნოთ,
ჩვენც მისი ვიყოთ მლოცვარი.
ასაკით ყველაზე დიდი –
მეც თქვენთანა ვარ, ანზორი,
ვეცდები არ შეგარცხვინოთ,
არ ვიყო თქვენი „პაზორი“.

ირაკლი ფარჯიანს

ჩემი საქმე, ჩემი ღმერთია.
ვიცი სიბერეს ვერ მოვესწრები
ი. ფარჯიანი

დედეშ, დედეშ ირაკლი!
დედეშ, ვოი, დედეშ!
დედეშ, ის გვა სიგარ ხოდას?
დედეშ, ვოი, დედეშ.
სვანი დედის მოთქმა

ცაში გატყორცნილ მწვერვალებს
ბინდი ებურვის, ზარები!
მოგვიკვდა დიდი ვაჟკაცი –
ტირიან სვანის ქალები.
სვან ვაჟკაცებმა გიგლოვეს,
თალხი ჩაიცვეს შავია,
სვანური ზარი მოგიძღვნეს-
გულის პერანგი დახია!
სვანეთის მიწამ გაზარდა
მესტიას შენაყვარები,
შენ ხომ სამშობლო გიყვარდა,
არ დაიტოვე ვალები.
ლეგენდად დარჩი ამ ქვეყნად,
ჩაგღამებია თვალები,
არა და რა ხედვა გქონდა-
არწივსა შეგადარებდი.
უფალმა გულში ჩაგიდგა
უცხო რამ, შეუდარები,
ამას იქა-აქ თუ ხსნიან

კარგად ნაწრთობი თვალები.
შენ თვითონ იყავ ირაკლი,
ზვიადი, მიუკარები,
არაფრით გსიამოვნებდა
შენს ნიჭს თუ გრძნობდა თვალები...
გინდოდა იდუმალება
იყავ ბუნებით თავნები,
თითქოს არავის უმხელდი-
გულს ჩაგსახვოდა სვანეთი.
მთამ მოგცა თუ რამ გაგაჩნდა
ანდერძად დანაბარები,
ყველას ხედვისთვის არ ქმნიდი
და არც ბევრ რამეს ამხელდდი,
შენს თითო შედევრს ირაკლი,
ჭირდება კარგი გამგები.
შენი შტრიხები უცხოა,
შენსავით ლაღი, თავნები,
შენ არ გეგონა ირაკლი,
თუ შენებრ ვინმე ხედავდა...
მიტომ თვით მეგობარიც კი...
შენს ქებას ვერა ბედავდა.
თკი შეიცნეს ის შენი,
ჩანაფიქრები თუ ხვდები-
უმალ შავ შტრიხით წაშლიდი,
თითქოსდა იყო ზედმეტი.
ირაკლი სვანი იყავი,
ტრადიციებსაც იცავდი,
განსაკუთრებით გიყვარდა,
გეხატა გულის ფიცარზე,-
ორნი-ალეკო, ანზორი-
კაკაბაძე და მიქაძე!
რამდენს ამბობენ ისინი,
შენს ადათსა და წესებზე,
ბოლომდის შენთან არიან,
ფიცს ასრულებენ ძველ წესზე.
ძმობის ფიცს არა სტეხავენ ,
შენს ოჯახს ეფერებიან.
ასმათს სოფიკოს პაწიას ,
სიცოცხლეს ეფიცებიან..
ირაკლი სენი შტრიხები
და შენი ფუნჯის ნაკვალი,
მსოფლიოს მიმოეფინა ,
ღრმად გაიკვალა გზაკვალი.
დღეს იხსენებენ ირაკლი,
შენი ცხოვრების წესებსა,
შენ ბუმბერაზი იყავი,
ვფიცავარ მაღალსა ღმერთსა...
გრძნობდი რა მოახლოვებულ
იმ ქვეყანაში მივლენას.
წუთს არ კარგავდი, ჩქარობდი,
თავს აყენებდი ზიანსა.
ისე წახვედი იმ ქვეყნად
ფუნჯი, რომ ხელში გეკავა,
შენი ხმალი და მახვილი,
ირგვლიეთს წყვდიადს კვეთავდა.
დატოვე დიდი ნაშრომი,
ერის, სამშობლოს დიდება.
შენი ნაღვაწის სიდიდე,
უფრო და უფრო იზრდება.
რამ მოგცა ასეთი ხედვა,
ნუთუ სვანეთის გენიამ...
სამწუხაროა ირაკლი
დღენი რომ შემოგელია.
რაც ვერ მოასწარ ირაკლი,
სასუფეველში აგრძელებ...
სიკვდილი რას შეგაკავებს,
შენ მადაც რა მოგასვენებს
აქ, ხომ შექმენი სამყარო,
შენი ნიჭით და ხედვითა,
სამოთხე არის შენი გზა,
იქნები უფლის წესითა.
რაც რომ რამ გქონდა გეგმები,
ან მხატვრობაზე ნაფიქრი,
ნუ გეშინია აქ არის,
მისი დამცველი ვიქნებით.
შენი ოცნება ასმათი,
შენი ვაჟი და გოგონა,
თავს მხნედა გრძნობენ იცოდე,
იმედად გყავრან, მომგონად...
ასმათიმ ჩვენო ირაკლი,
უხვად მოგიძღვნა ვარდები
ღმერთი შენს შვილებს დალოცავს,
შენით რომ ააქვთ დარდები.
ასმათი სვანი არ არის,
შენთან სვანივით იცხოვრა,
სვანური გლოვით გიგლოვა,
არა დააკლო შენს ხსოვნას.
ყველგან სუყველა მხარეში,
ძეგლი დაგიდგა უკვდავი,
მსოფლიოში წარგადგინა,
შენს სახელს ფარვს უფალი.
ასმათის ცრემლი, ალერსი,
თან გაგყვა სურნელ მალამოდ,
ცოტათი მეც მოგეფერე,
იქნებ ცოტათი გაამო!

დედას

რამდენი თქმულა შენზე სიმღერა,
შენს ნატვრით გული როგორ მაისობს,
თვით სიტყვა დედის ხსენებაზეც კი
გულს უხარია, გული ხალისობს.
რით ამოვწუროთ თემა დედაზე,
რამდენი თქმულა, რა არ გვითქვია,
ხელის გულზე ხომ გული დაგვიდო,
პატარძალისთვის რომ მიგვერთმია.
წამით შეტოკდა შვილის სხეული,
წაიბორძიკა, გული შეირხა,
ფრთხილად შვილო! დედა გვეძახის,
მას მოეფერა, კი არ შერისხა.
პატარძალმა რომ მჭადები ჯვრებით
ძაღლებს მიუგდო, გულქვად, ამაყად,
განრისხებული ქმარი წამოდგა
და ცოლს განშორდა იმწამს, მარადჟამს...
გულში დედაზე წრფელი ფიქრების
ჯერ საწყაული არ აგვივსია,
ვერც აივსება გული ვერასდროს,
უდედოდ ყოფნა რა ხალისია!
დედა აღარ გყავს? უკვე დაბერდი,
კარს მოგდომია ჰე! დაისია!
ამდენი დარდით, ამდენი ფიქრით
გულის პარკუჭი შხამს დაუსვრია.
ვინ ამოწურავს თემას დედაზე,
ანდა ამ ქვეყნად ვის აუვსია...
დედამ რამდენი ღამე გვითია,
რამდენი ფიქრი, დარდი გწვევია...
ვინ შეაფასოს შენი წვალება,
აკვანი ნაზად დაგირწევია,
გვედექი თავზე ოცნებით მწველით,
დაგვატარებდი რუდუნით ხელით.
შენი ფიქრები ჩვენ გვეხებოდა,
ჩვენი ტკივილი გულზე გვხვდებოდა!
დედი, არ ვიცი როგორ გეფერო,
რით გადვიხადო მე შენი ვალი,
არავინ მიყვარს მე შენზე მეტად,
შენ ამიხილე ამ ქვეყნად თვალი,
ვფიცავ მე, დედა, შენს ლამაზ სახელს,
ახლაღა ვამბობ, ახლაღა ვამხელ,
თუ ჩემს გულს ხვდება – შენზე ფიქრია.
შენს გარდა სხვაზე არ მიფიქრია,
თუ რამე მქონდა – შენთვის მინდოდა,
თუმცა პრობლემა მრავალი მქონდა,
მე თვით ვცხოვრობდი გასაჭირშია,
შენსკენ მოქროდა ჩემი ფიქრია,
მე აქ ვცხოვრობდი ქირით, მოწყენით,
შენ მანდ გიგებდი სახლ-კარს მოლხენით,
შენს ამოსუნთქვას წამსვე ვხვდებოდი,
თუ რამ გიჭირდა – ტყავში ვძვრებოდი.
მაინც ვერ შევძელ იმდენი, დედი,
შენ მე რომ მომეც, გულით გიძღვნია.
რამდენი ღამე თეთრად გვითიე,
რამდენი ფიქრი შენ მოგიძღვნია!

19.01.12.

თემურ გოგსაძე

ღვთის ნაწილაკი

„... კოსმიურ ქაოსსა და მტვერში, ღვთის ნაწილაკითა
და სიყვარულით იშვა – სიცოცხლის მარადისობა“

არა, რაც უნდა ოსტატურად
ვძერწო სტრიქონი,
ვერ გამოხატავს ჩემი სულის ფერთა პალიტრას!..
ჩემს დროს ვერ იტევს
წუთისოფლის ქორონიკონი
და სინანულის ცრემლი რჩება ღვთის მარგალიტად!!!

ვართ ღვთის სახიერ...
თუმცა თან გვსდევს ცოდვა და ნაკლი,
ასე ინება არსთ – გამრიგე მაღალმა ღმერთმა –
გარდმოავლინა, საიდუმლო –
ღვთის ნაწილაკი...
სული და გონი, მარადიულ არსს – შეუერთა!!!

ჰოდა, რაც უნდა შიში კლავდეს,
ახლა სამყაროს,
ის ნაწილაკი, მტვერთაშორის ჩამოესობა!!!
სიცოცხლის არსად გარდიქმნება, ისევ აყალო
და დაივანებს სიყვარულის მარადისობა!!!

მიტოვებულთან – მივალთ ღმერთთან...
და მოვალს ღმერთიც!..
მწარედ ვინანებთ, ამდენი ხნით უიმისობას!...
გარდაიცვლება და აღსდგება –
სამყარო მკვდრეთით,
რადგან არსშივე, აღთქმულ იყო –
მარადისობა!!!

და აწ, მე ღვთისა, სულ იქნბა ჩვენს შორის მდგომი,
ღვთის ნაწილაკი, ზეარსიდან ჩამოისობა!..
რადგან ვერასდროს ვერ იქნება, დრო ღვთის საზომი,
ჭეშმარიტებას ადგენს – თვითონ მარადისობა!!!

2000 წ. მეცნიერებათა აკადემია.

მონატრება

მკლავს მონატრება უნაზეს დღეთა –
ნარიყალაზე თეთრონით ასვლა,
როგორ მიყვარდა! –
ჩურჩული კლდეთა.
შენი თითებით
სულში გადასვლა!!!
აწმყოს წარსულზე მწყურია გაცვლა,
უკვე განცდილით სულია სავსე
და უკაცრიელ დღეების ნაცვლად,
მარადისობის ბარათებს ვავსებ!..
სული შეხებას ამგვარად ლამობს,
გიგზავნი ლექსებს მონანიებად
და სიყვარულის სიწმინდის გამო,
ჩვენ განშორებაც გვეპატიება!!!
გადამეხლიჩა წუთისოფელი
მარტო და ერთად განცდილ წამებად...
მომნატრებია – ქუჩები სველი
და სიყვარულით
სულის წამება!..

1999 წ.

ხატწერა

დასრულდა ხილვა...
და ჩემმა სულმა
შენი მშვენება გადაიხატა!...
ახლა ეს ცოდვაც
უფალს უნდა ავაწონინო!
მარადიულად დაიტია
რადგანაც ხატმა...
შენი სახება,სიყვარული
და წმინდა ნინო!!!

შენი დღიურები

არასოდეს წამიკითხავს
შენი დღიურები,
და მაინც ვიცი, რომ იქ
ჩემი სულია!!!
სამყაროს გადაღმა
რწმენით ვიყურები...
მომავალს ისა შობს
რაც გარდასულია!
შევიგრძნობ ფიქრებს და
ცრემლიან სტრიქონებს...
იქ წმინდა ალერსის მზე...
ჩასახულია!...
სხვა დროში ჩვენს ყოფნას,
ტკივილით ვიგონებ,
და ისიც ვიცი, რომ
წინ გაზაფხულია!!!

* * *

წვიმს...
საოცარი სიყვარული მეწვია მე დღეს.
ვით წვიმის წვეთი,
ჩემს ბაგეზე შესდექ ანაზდად,
მერე მოსწყდი და სიყვარულად ჩამომეღვარე.
ათრთოლდა გული,
გაზაფხულის წვიმა განაზდა,
შენი თვალების ფერი გახდა ეს არემარე.
წვიმს...
გასაოცრად გაზაფხულის წვიმა განაზდა,
სულის კარებთან სიყვარულად
შესდექ ანაზდად.

* * *

შენ მხატვარი ხარ...
გაექეცი მიწიერ ცოდვებს...
და განშორებაც გარდასახე
ლამაზ ფერებად...
მე დავრჩი მარტო...
ვდგავარ ახლა გზის გასაყარზე
სიცხიანივით ჩუმი თხოვნა
ისევ მაბოდებს...
შენი თვალები დამიხატე
სულის ლურჯ ცაზე!...
გულს როცა უნდა მოეფერება!...

პარადოქსები

დიდთა პოეტთა ინტენპრეტაცია

ჩაიღვრებოდა ფიც-ვერცხლი ჯამში,
„ლექსები ბოდლერ!
„ლექსები ბოდლერ!
ერთიც არ იყო გამგები მათში
და მაინც ლექსის წაკითხვას თხოვდნენ?!“
ის მეგობრების დარჩა ერთგული,
ცრემლიც და სისხლიც ბევრჯერ დენია!...
გადაუხლიჩეს რამდენჯერ გული,
აუგი, მაინც არ დასცდენია!...
სამშობლო არის უპირველესი,
თუმცა ვღალატობთ, ერთურთს არ ვინდობთ,
ჩაჟანგდა ხმალი, ძველთა ნალესი,
მხოლოდ სუფრასთან, ვგმირობთ – ვრაინდობთ?!
სიყვარულია კაცთა საზრისი,
სიძვის კარებთან მაინც დატოვენ!...
არავინაა სიწმინდის ღირსი
და მაინც, უფალს, სიყვარულს სთხოვენ!.
ღმერთი, ვერავის აითვალწუნებს-
ფარისევლებიც ტაძარს გალობენ,
ერთიც არ არის ნამდვილ მორწმუნე,
უფალს კი სთხოვენ –
დაგვამწყალობენ?!
პარადოქსია წუთისოფელი,
არ გვეშველება, არასდროს, თითქოს,
კაცი ხვთის მგმობი,
უარყოფელი
აღდგომას ისევ უფლისგან ითხოვს?!...

მანანა ზაზიკაშვილი

ჩარგალში

მოქუფრულიყო მიდამო,
ბნელი სწვეოდა არესა,
შავი ღრუბელი შალივით
წამოეხურა მთვარესა.
ელვამ ქამანდა გამოსდო
ჯერ ღრუბელს, მერე –გზაწვრილსა,
ბუნების რისხვას ველოდი,
მაგრამ უბრალოდ გაწვიმდა.
ქარი რომ ჩადგა, ღრუბლებში
ცისკარმაც გამოანათა,
ჯოყოლა შემხვდა გზაწვრილზე,
გზაზე შემომხვდა სანათა,
მხარზე კომბალი გაედო,
მარწყვით აევსო კალათა.
მიმაცილებდნენ ვაუამდე
კვირია, ლელა, ლუხუმი,
თან მომყვებოდა ჩარგლურას
წყალი სულ გრუხუნ-გრუხუნით.
მთაზე არწივი ყიოდა
ნაბრძოლი, ნაგანგაშარი,
ნამი ჭრილობას უბანდა,
თავს დამნათოდა ლაშარი.

გიორგი ცაბაძეს

შენი სიკვდილიც სიმღერას ჰგავდა,
გარდაცვალება გერგო გედური,
ყვავილებში რომ სული გაფრინდა,
ალბათ, ძვირფასო, ბედს არ ემდური.
კონცერტზე დაჰკარ ბოლო აკორდი,
ყვავილთა ზღვაში ცრემლი გდიოდა
და სიყვარული შენი ერისა
გულზე სიმღერად გადაგდიოდა.
საქართველოში სანამ ქართველი
ღვინოს დალევს თუ ლექსს მოიგონებს,
ვერც დაივიწყებს, ბატონო გოგი,
შენს „უკანასკნელ მეფაიტონეს“.

რას ვინატრებდი?!

რას ვინატრებდი?! ცხვრის ფარას,
თეთრი ბატკნების ჯარს,
ვაუკაცს სიმართლის მოყვარეს
მტერს არ შეაჭმევს ჯავრს.
მთელ დედამიწას უმიჯნოდ,
მთაში ირმების ჯოგს,
ბარში ვარდებს და გვირილებს
ერთიმეორის მჯობნს.
ოცნების კოშკებს ზეცაში,
მიწაზე სახლებს დიდს,
გასასვლელ-გამოსასვლელად
კონტინენტებზე ხიდს.
მშვიდობას ყველგან, ყოველთვის,
ატომისათვის ატომს,
ავაცილებდი სისხლისღვრას
ქვეყნად ჩემსავე გვარტომს.
ვიმყოფინებდი ლუკმა პურს,
თქვენ დაგითმობდით მწვადებს,
ოღონდ მამულში მშვიდობა
და სიყვარული მწვავდეს.

ამოდიოდა ენძელა

ამოდიოდა ენძელა ტყეში,
ქორწილი ჰქონდა
ტირიფს ბარადა,
ძია ნიკალა თოვლიან
ვენახს,
ცალფეხა კაცი
მარტში ბარავდა.

ქორბუდა ირმის
ვუსმენდი ყვირილს,
მზე ჰორიზონტზე
ქარგავდა ნეშოს,
მოსარკულ ტბასთან
ისხდნენ იხვები,
კონცერტს მართავდა
მწვანე გომბეშო.

ნიკო ბაღაშვილი

ცეცხლად ავენთე

ვერ მოვისვენე, ვიწრიალე ცეცხლად ავენთე,
და ჩემი კოცნა მოგონებას ისევ ატყვია
ნუ დამიჩრდილავ, ამ შუადღის დარდით ნაფერებს,
და ნუ გამკალავ, რომ სიყვარული არ შემიძლია.

მეც გადავიქეცი დონისგან ტრამალის მგელად,
და მარტოობა მითენდება, სულის ყმუილით...
სასოწარკვეთა მღრინავს შვებად, შენს სახეს ვხედავ..
გაგიორკეცდა ნაღველი და სულში ტკივილი.

აჰა, ეს გული, ჰა სხეული რაც მაბადია,
შენთვის ავაგე ცად მოწვდენილი ბროლის კოშკები,
და ნუ დამინგრევ აუხდენელ ნატვრას და ოხვრას,
ყოველ დილით რომ მირეკამ და თითქოს მიღიმი,

მზეთუნახავი თუმც მე არ ვარ, მეფე რაინდო,
წვიმს წვეთებად გეპკურები, მაგ წმინდა სულში,
ათინათებით გაგიკვალავ შენ სათნო ღიმილს,
თეთრი ვარდებით გაიპენტავ, ისევ სიცოცხლეს...

შორენა თალაკვაძე

მე მაპატიეთ

რა სალვადორი, რაღა მონე, რისი გოია,
ჩემი მუზები დედამიწას ფეხით მოიარს,
ასე ფერადად ვის აჩვენა ტილო ბოკაჩომ,
როცა მაწვება ფერთა გამა ლამის მომახრჩოს,
თითქოს აუხსნეს ექსკურსანტებს პოზა დავითის,
ან სილაჟვარდეს გაუტოლეს მზერა დავინჩის,
ვინ შეაჩერა დეგას თეთრი ბალერინები,
ალბათ აიკლო მოედანი მთვრალმა გინებით,
უტიფარ, აშარ ლამაზმანებს ქმნიდა რუბენსი,
როცა იაფად უფეთქავდა გული უბეში.
რა სალვადორი, რაღა მონე, დუმდნენ ყველანი,
ამ შთაგონებას გაუტოლდეს ქვეყნად ვერავინ.
არც იოცნებოს ფიროსმანმა მთხოვოს ფუნჯები,
მე მაპატიეთ, სიყვარულთან ყველა ვმუნჯდებით!

თამარს, ჩემს მეგობარს

ცხინვალი-ერედვი-თბილისი)

წავა – წამოვა ჟამი უნიათო,
უნდა გაგიმეტოს – გულით უვლიათო,
ჯერ სად უვლიათო, ჟამო ჯავრიანო,
გულმა სიტყვაძუნწმა აღარ ჩაგრიაო,
თო...რეემ რამდენია კიდევ გასავლელი,
ზოგი აშვებული წუთი ნეტარი და
ზოგი დასაბმელი... როგორც მხედარიდან
რაში მოწყვეტილი, ურჩად მონავარდე,
ჟამო უნიათოვ, ველარ დაეწევი,
წამებს სიკეთიანს ვერსად გაექცევი!

2008

* * *

მერე რა, რომ წლები აღარ დაბრუნდება,
რომ ჭაღარა გაგვერია თმაში,
 რომ არასდროს არ იქცევა წკაპუნებად
შენი მძიმედ სატარები ქოში,
რომ სურვილი ვეღარაფერს აუტეხავს
ბნელ ქვევრებად დამიწებულ – მინდას,
რომ აღარ ღირს ხასიათის გაფუჭებად
ის, რაც ადრე გეგონა, რომ ღირდა.
მერე რაა, რომ ფარდებია დასაშვები
დარბაზი თუ დაქუხდება ტაშით,
რომ ამისთვის აღარაფერს დაეძებდი,
გეგონება... გეგონება მაშინ!

* * *

გავლილს – გამოივლი, ჩავლილს – ამოივლი,
ნათქვამს დაიბრუნებ სიტყვას,
უკან გზაჯვარდინს ისე მოუხედავ
თითქოს არჩევანი ღირდა,
ალთას გაიხედავ, ბალთას დაინახავ
მხოლოდ იმიტომ, რომ გინდა!
...ბოლოს მიხვდები, რომ ყოფნა მულაჟებში
ერთი წუთითაც არ ღირდა!

* * *

პატარა ქუჩა,
ძველი უბნის
სახლები ძველი,
ფანჯრიდან მოსჩანს
როგორ წვება ქალაქზე მტვერი,
ანათებს ღამეს ლამპიონის მბჟუტავი შუქი,
ფერები არა... მხოლოდ ერთი და მხოლოდ მუქი!
რა გინდა მეტი...
დროს და სივრცეს თუ არ ნებდები,
და თუ ღმერთი გწამს, ნუ წუწუნებ
– როგორ ვბერდებით!

2018

დრო

რას დაეწევი დროს, გამეტებით –
მიქრის წუთებად ქცეული წლები,
ისევ ბერდება და არ ნებდება
არავის სურვილს სამყარო ძველი...
თითქოს საამო, მაგრამ, გაამოს?
არ დაიჯერო... ტყუილად ელი,
შეჩერდეს წამი, გაგიჟდე ლამის,
მაინც წაგართვა ლამაზი ჟამი,
ისევ ტრიალებს და... დასტრიალებ
უკვე სიბერეს უძლური ჯანით,
არ დაიჯერო, სადმე... ოდესმე,
თუნდ ერთი წუთით შეჩერდა წამი!

2015

* * *

თუ წვიმის ხმაური - უხეში ფონია,
დაღლილი ქუჩების - აჰყვები ფორიაქს,
დღე - ხელში ყინულის ნატეხი გგონია...
და ხელის გული რომ გულის ტოლია,
...თუ ასე გგონია...
შენი გზა გულამდე... ძალიან შორია.

...გალაკტიონი

...გალაკტიონზე ამბობდნენ: - ურჩი იყოო,
გამგონე მხოლოდ ღამის და თბილისის,
არ აწუხებდა ივლისის გახურებული დუქანი,
თავზე ადგაო უფალი.
ვინ დაინახა, ვინ იცის,
რამდენხანს იჯდა იმის წინ,
სანამ წერდა და ამკობდა,
რასაც უფალი ამბობდა.
მერე შრიალით ფურცლავდნენ
ამ ნაკარნახევს ქუჩები,
ყინვისგან დასუსხულები იმეორებდნენ ტუჩები:
მოდარაჯე კაცის მზერით წუხდებოდა მესაფლავე,
თიბათვეში მზერა მერის ათენებდა მხოლოდ ღამეს
და მტვრიანი ყვავილების სურნელება ისევ იდგა,
იმ ქუჩაზე, სადაც ბავშმა წეღან ფეხი წამოიკრა.
ურჩობდა... მარტო წუხდა დარჩენას,
მადლობა უფალს და მის გაჩენას!

2015

მონატრება

...როცა წლები გაიხურავს კარებს,
მონატრება ემსგავსება სუროს,
რომ ვიხსენებ მაგ თაფლისფერ თვალებს,
გული მტკივა, სევდა ისევ მსტუმრობს,
მაგონდება დარდიანი სახე,
შენი დიდი სულგრძელობის ხანა
სიყვარულით გამოწვდილი ხელი,
მზრუნველობით დაუღლელი ჯარა.
თბილი სიტყვა, გაღიმება შენი,
უღალატო, ანთებული გული,
მოფერება, დაყვავება მხსნელი
და თვალებზე უკიდები რული,
შევავედრებ ყველა წმინდა სანთელს,
გაგინათოს, გაგინათოს გზები,
თუ სავალი მიეცემა სათქმელს,
დაგეწევა ალბათ სიტყვა ჩემი,
რომ მიყვარხარ ისევ ისე ძლიერ,
თურმე რასაც უკვდავება ჰქვია,
შენი სულის ნათელ ფერებს ვადრი
და ამას კი - გეუბნები გვიან!

2016

* * *

ფეხაკრეფით გავიარე ტირიფების შრიალში,
კორდი, ქვები ხავსიანი, მდინარე და გვიანი
ენძელების სურნელება ბადაგივით მათრობდა,
არაფერი მაფიქრებდა და არავინ მახსოვდა.
მთები, ხმები გაზაფხულის, ალიონის ცვარ-ნამი,
ისე ნაზი და საამო, როგორც ხმები გალობის,
ხალხი თბილი, კრიმანჭულის გაბნეული მარაგით
ჩიჩილაკის ნაზამთრალი მოტანილი ბარაქით,
კერიაზე შემოდგმული მოთუხთუხე ჩახანით,
კეცის თავზე მობნეული ნაკვერჩხლების გაგანით,
ორღობეში ჩამოვლილი კრუხ-წიწილის კაკანით,
მომეგება გაზაფხული ამ საოცარ მხარეში,
დედაჩემის გულისცემა ირეოდა ღამეში,
მომაძახა... გავიგონე – „ნეტავ, სულ არ გამეშვი“
სადაც უნდა ვიყო, დედა, ჩემი გული შენია
აბა მაგის მოიმედეს, სხვაგან რა დამრჩენია.
სიზმრად ვხედავ რიჟრაჟს ბარში,
შებინდებას მთებისას,
ნარინჯისფრად მილეულ ცას, ვისაც ნახვა ეღირსა
ამ სიყვარულს გაიყოლებს
საგზლად მთელი ცხოვრება,
გურიაში სადღეგრძელოც, არის... დიდი ცხონება!

2015

ანა კალანდაძეს

მეც რომ შემხვდა, შავტუხა და თმებგაშლილი,
თვალთ ვარსკვლავებს დაუთვლიდი ანთებულს,
მეზღვაური არსად ჩანდა... ბოშა ქალი
სანაპიროს მიჰყვებოდა მარტო... სულ,
ავედევნე შეუმჩნეველ ნაბიჯებით,
არ ჩამოვრჩი სანაპიროს ბილიკებს,
მსურდა, თვითონ განმეცადა რასაც გრძნობდი,
მისი ნახვით ასე რომ მოიხიბლე...
– "და რა ქალი, ხელის გულით სატარები" –
"ელვის-ცეცხლით" ანათებდა ქვაფენილს,
მართლაც მისი არ ყოფილა სადარები,
ქარი დალალს უწეწავდა დაფენილს,
ეგ თამამი, ამაყი და თავმდაბალიც,
ბოშა ქალის ბროლის კბილთა ღიმილებს –
უბრად როგორ ჩაუვლიდა მეზღვაური,
არ ეთხოვა - "მაკოცეო ჭირიმე!"...
ნახვად ღირდა, მოხდენილად სიტყვა-კაზმულს,
სიყვარულსაც დაარქმევდი თუ იყო...
თორემ ამ ძველ სანაპიროს ბილიკებზე,
თვალხატულა ბოშა-ქალი სულ იყო!

2016

ავთო ხარაიშვილი

* * *

არ ხარ მარტო, მღერის ქარი,
გული კიდევ სხვას ამბობს.
მოვისმინე მისი ქნარი,
რა სიტყვებით არ მამკობს...
ვიცი, ახლა დავშორდებით,
ბედი შენს თავს არ მანდობს.
მოგონებებს დავჯერდები,
ახალს ვეღარ გაგანდობ.
არ ხარ მარტო, მღერის ქარი,
გული კიდევ ბევრს ამბობს...
მოვისმინე მისი ქნარი,
მომავალი სხვას მანდობს.

ჩემი გული და სისხლი

ჩემი გული და სისხლი
ცას შეერწყმის მგონია.
თავში ტყვიას დავიხლი
ჩემგან გაგიგონია?
რადგან ღამის წყვდიადი
სულში კვლავაც თარეშობს.
ზეცას კიბე მივადგი
შენი ხმა, რომ გამეგო...

3.06.2018

* * *

ხმაური არღვევს ფიქრებს,
ტრიალებს ფერი ოხვრის.
ცხოვრება მზერა მითრევს,
მჯერა სიამეს მომგვრის.
ახლა გავცქერი საათს,
დღეს ექვსი არის რიცხვი.
დრო კი მაგონებს ჯალათს,
რომელიც წარსულს მიჭრის...

6.05.2018

მირაჟი

სისხლის ფერ ყაყაჩოს დააკლდა სიწითლე,
ზღვის თავზე მზე ბრწყინავს წითლად.
ამინდი ნოტიო, ნესტი და სისველე,
გემებმა გაბედეს მისვლა.
ღრუბლები სიღრმეში ჩაეშვნენ ბგერებად,
მარჯნებმა იცეკვეს ერთად.
გემებმა აფრები გაშალეს ხელახლა,
და ღმერთს მიესალმნენ მზესთან...

30.04.2018

* * *

ახლა არის მაისი,
ირგვლივ მწვანე მოლია.
ამნაირი ხალისი,
უწინ მე არ მქონოა.
მაგ თვალების დანახვა,
სულში ისე მამშვიდებს.
მინდა იყო თანახმა,
სანამ ქარი წაგვიღებს.
მალე მოვა ივნისი,
გზა შენამდე ერთია.
მდუმარების სავანის,
გამსაჯველი ღმერთია.
წუხელ დუმდა ქალაქი,
სიჩუმეში გიწამე.
და სიშორემ ძალათი,
ვერ გამიხსნა მიწა მე.
ახლა არის მაისი,
ირგვლივ მწვანე მოლია.
ამნაირი ხალისი,
უწინ მე არ მქონია...

*

შენამდე მანძილი მცირდება,
ამინდიც თანდათან იდარებს.
გულმოსულს სიცოცხლე მინდება,
სიშორე ვერ დამაგვიანებს...

*

სულთან ჭიდილში დავმარცხდი,
ტვინში ვალაგებ ამინდებს.
სადაც სიძნელეს წავაწყდი,
ყველგან ყულფები დამიდეს.

გზა შენამდე შორია

გზა შენამდე შორია, ვიწრო და უსახელო.
ცა სილურჯის მოლია, ფართო და უსაშველო.
თუ, სიყვარულს შევძლებდი, წუხილს არ ვიწამებდი.
გაჩნდებოდა ნდობის და იმედების სამეფო.
ახლა, როცა მოგელი, გზა შენამდე შორია.
ჩემთვის დაგვიანება, თვითმკვლელობის ტოლია.
ხსნა, სიცოცხლის წადილი, მონატრებულს მფარველობს.
და შენამდე მანძილიც, ურცხვად ვეღარ თავნებობს.
ახლა, როცა მომელი, გზა შენამდე შემცირდა.
იმედების სავანე მე, სიყვარულს შემპირდა...

ღმერთო მაპატიე!

ღმერთო, მაპატიე რამეთუ გენდური,
არ ვარ სატანა და არც ბრმად ერთგული.
ვწუხვარ, ვერ გიხილე როგორც მეგზური,
და მაინც დამითმია შენთვის მე გული.
ახლა, ალიონი არის გარინდული,
ირგვლივ ნაცრისფერი ჯარი დათარეშობს.
მწვანე ტყეებია ისიც არიდული,
მისი სილამაზე ვეღარ მატარებს შორს.
ღმერთო გევედრები ცოდვილს მომიტეო,
არ ვარ გოეთე და არ ვარ ამადეო.
სულის სიღრმეში კი ის რაც მაბადია,
ერთი რვეული და ძველი კალამია...

7.05.2018

ნათია გურგენიშვილს

ნ-აზია ცა და სფეროს სხივები,
ა-მინდი თბილი სულის მძივები.
თ-ქვენ დაგვიჩემეთ, როგორც შვილები,
ი-ა ვარდები და გვირილები.
ა-ხლა მანძილი ჩვენში მეტია,
გ-ულის სიღრმეში ღმერთი ერთია,
უ-სასრულო, ხომ არაფერია,
რ-ადგან დაგტოვეთ ჩვენო ფერია.
გ-აცდა საზღვრები კედლებს სკოლისას,
ე-ჰ, განშორება ისე ძნელია.
ნ-ამი დაედო თვალებს, როდესაც
ი-გრძნო სიშორე თუ რა მწველია.
შ-არშან ჯერ კიდევ ერთად ვიყავით,
ვ-იხსენებ სახეს თქვენსას ფერიავ.
ი-სე დაგვიდგა დრო გავიყავით,
ლ-აღი გზა მხოლოდ ვარდისფერია,
ი-ს ჩვენ გაჩუქეთ ახლა თქვენია...

* * *

გონება დაბინდული,
დავდივარ მთვარეული,
ქუჩაა გარინდული,
ხეებიც არეული.
ფიქრში მაქვს გაწერილი,
ანდერძი ხელთუქმნელი,
ჯიბეში კვლავ წერილი,
შენდამი ჯერ უთქმელი.
გზებია დარდიანი,
ბილიკი ანგრეული,
ადგომა ადრიანი,
კალამი და რვეული.
მჭირდება სიყვარული,
გრძნობები დარიანი,
შენს გვერდით სიარული,
სიცოცხლე კვლავ მზიანი.
შეხვედრა უშედეგო,
ღიმილი წამიანი,
ვეცადე, რომ გამეგო,
წახვედი ადრიანი.
გეძებე! დერეფანი,
შემომხვდა ჩახერგილი,
გულს დარდად მივაბი,
ანდერძი დაწერილი...

გაგიშვი

გაგიშვი, ფიქრები ამოვშალე თავიდან,
გრძნობები გაორგულდნენ გონების გარედან,
მომწყურდი, წამები უწყლობით გავიდა,
რა მემართება?! არვიცი რა მინდა.
ღამეა, მთვარე ჩემსავით მთვრალია,
ალკოჰოლიკი არაა, წამლები დალია,
ცხოვრება წლებია, ერთი დიდი რალია,
რომელიც გარდაცვლილმა უკვე განლია.
გაგიშვი, ცხოვრება დავიწყე თავიდან,
შენზე ფიქრები ამოვუშვი გონების კარიდან,
ძალაუფლება მოვიხვეჭე ყოველი წამიდან,
მიუხედავად განვიცდი, არ ვიცი რა მინდა...

* * *

ნისლიანი დღის ადრიან დილას,
ფანჯრის რაფაზე ჩამოჯდა ჩიტი.
ბედნიერების სულ მცირე მისხალს,
ვერ ვამჩნევდი და ვუცქერდი რიდით.
ახლოდან სურათს ფერი აქვს რუხი,
ალბათ სატრფომ თუ, იგი დატოვა.
ფიქრობს განვლია დრო-ჟამი უხვი,
და ბედისწერამ ხელით დატორა.
ფანჯრის რაფაზე თავს იკლავს ჩიტი,
ახლა სიკვდილი არც თუ ძნელია.
მე მაგონდება მისი ჩივილი,
და ეს ტკივილი გულის მწველა...

ლეილა ვადაჭკორია

ყველას ვფიცავ

რომ შემეძლოს ყველას ვფიცავ,
სულ მოვივლი დედამიწას,
თაყვანს ვცემდი წმინდა ადგილს,
მუხლს მოუყრი ყველა წმინდანს.
იქნებ ხელი მომემართოს,
სამეგობრო გავდო ხიდი,
არც არავინ დავამციროთ.
ერი ყველა არის დიდი.
ნირს შეუცვლი ომის ღმერთებს,
დავარწმუნებ, დავამშვიდებ
და მშვიდობას ასე ძვირფასს
კიდით – კიდე დავამკვიდრებ.
ავაშენებ სიყვარულის,
მეგობრობის, ძმობის სახლებს
და სუყველა ჯიშს და ჯილაგს
იმ სახლებში დავასახლებ.
რომ შემეძლოს ყველას ვფიცავ,
სულ მოვივლი დედამიწას,
სამშვიდობო ზარს შემოვკრავ,
შევავედრებ ყველა წმინდანს.

ღალატი

ეჰ, მერამდენედ იცვალე ფერი,
მზეობდი,
წვიმდი,
ქარობდი,
თოვდი.
ხან იფიცებდი ერთს თუ
მეორეს,
ხან გამეტებით ზედიზედ
გმობდი.
მთის ერთგულია პატარა დეკა
და მთის ღალატი
აზრად არ მოდის.

ვერ დაგინახე

როგორ ვცდებოდი, რა მითებს ვქმნიდი,
რამედნი ღამე გამითევია,
თურმე ყასითი გქონდა ღიმილიც,
მე კი გსახავდი კეთილ ფერიად.
ვერ დავიანხე ნამდვილი სახე,
ვიდრე ღალატი ვიწვნიე შენი,
როგორაც უნდა დაგხატონ ახლა
შენ მაინც შენი ღალატი გშვენის.

ნათელი ღამე

ო, რა ნათელი იყო ის ღამე
ლამპის ლიცლიცა, ნაზი ალი და
შენს სილამაზეს თვალს ველარ ვწყვეტდი,
გარეთ კი უხვად თეთრად ბარდნიდა.
ახლა კი ბაცი კედლების მიღმა
ილუზიები ცეკვავენ ტანგოს,
მივენდე ფიქრებს და ბებერ ჭერზე
ვსახავ სილუეტს დღემდე რომ მახსოვს.

ჩვენი ფესვები

მაშინ ქვეყანას ემოსა თალხი,
დარდმა გატეხა უკურნებელმა,
და დაკარგული გულის ნაწილი,
ლოცვად ეფინა საკურთხეველთან.
მის შემდეგ ხანი გამოხდა დიდი,
ზეცამ რამდენჯერ იცვალა ფერი,
ჩვენ მონატრების წყურვილი გვკლავდა,
თქვენ ოცნებაში გეწვოდათ დღენი.
და გადაცემდით შვილს და მომავალს
სამშობლოს ამბებს, როგორც არაკებს
არ დალეულა ძველ გურჯისტანში
ქართულ ენაზე მოლაპარაკე.
შემოგვაბერდა დროება ხელში,
განკურნებულან ავი სულები,
ათას ჭირ-ვარამ გადახდილები
ისევ ფეთქავენ ჩვენი გულები.
ჩვენი ფესვები ისევ სუნთქავენ
ისევ მწვანობენ ჩვენი ყლორტები,
რაც უფრო მჭიდროდ ჩავკიდებთ ხელებს
მით უფრო მეტად დავიტოტებით.

მზე თუ მიხსნის

იმედგაცრუება დამჩემდა ბოლო დროს
თუმცა ძველებურად ვებრძვი ქარაშოტებს,
იქნება ავი თვალი შემეყარა,
ქარი არხეინად ისევ დააბოტებს.
ფანჯრიდან გავცქერი მზის სხივებს და
კაცის ჭაჭანება აღარ ისმის
გულის ხმას მინდობილი კენტი ვარ
ისევ გულის ხმა და მზე თუ მიხსნის.

ფარხმალს ნუ დაყრი

გადაუქროლა ქარბორბალამ მინდვრის ყვავილებს,
და ღვთის ნახატებს აუწენა თავსაბურავი,
ცაში ეულად, მოფარფატე გვირგვინის ფურცლებს
არ დასცდენიათ მაინც ოხვრა და სამდურავი.
დაცხრა ქარბუქი, გაიფანტა ცაზე ღრუბლები,
კვლავ მოიჩითა ყვავილებით მინდორი – ველი,
ხეებზე ახლად ამოქოჩრილ ნაზ ყლორტებს სიო
ეალერსება და სიცოცხლეს სიშლეგე შვენის.
ჩიტები ისევ ჭიკჭიკებენ და ფრნენ ლაღად,
თვალს ვერ ვუსწორებ, ძველებურად მზე ჩინჩხლებს მაყრის,
წაიბორძიკო იქნებ აღმართს დაღლილმა მაგრამ,
მაგრამ ძვირფასო, ნურასოდეს, ფარ-ხმალს ნუ დაყრი.

ამ ქუჩას ახსოვს

ამ ქუჩას ჩემი ბავშვობა ახსოვს,
ყველაზე სუფთა გრძნობებით სავსე,
უყურებ სახლებს, ბავშვობის ნახატს
და სიამაყით ვივსები წამსვე.
ბედნიერი ვარ რომ მეც ვიყავი
ამ ქუჩის ერთი პატარა მკვიდრი,
და მეც ვცხოვრობდი მის სათუთ გულში,
ჩემი ბავშვური აზრით და ფიქრით.

ქუჩაზე ბებერ ჭადრის შრიალი
ახმოვანებდა ოცნებებს ჩემსას,
დაკოჟრილ ტანზე ჩემი ბავშვობის,
ჩემი ბავშვობის თიკუნიც ესვა.
ამ ქუჩას ახსოვს ტკივილი ჩემი,
ჩემი ფერადი დღეებიც ახსოვს,
და ერთიანი გრძელ, ხსოვნის ჯაჭვში
ეხმიანება დღევანდელს, აწმყოს.

ლამზირა შეყილაძე

ერის ღირსეული შვილს

ბატონ თემურ გოგსაძეს
საქართველო შენი ცხელი გულია

სამშობლოს მზე გულში გეძვირფასება,
მასში შენი სიყვარული ანთია.
საქართველოს ბედ-ილბალი გაღელვებს,
ვითარც საბას სამშობლო და ტანძია...
ითავსებ შენი ერის საზრუნავს,
გძაგს ორგული და მგელივით ტაცია.
დიდ აკაკის ცა ფირუზი გახურავს,
ვაჟას მთები ქალამნებად გაცვია.
სატევარი ხელში მარჯვედ გიჭირავს.
მხრებით მოგაქვს სისხლის-ფერი წარსული.
კავკასიის მწვერვალები გიზიდავს...
და სამშობლო ქრისტესავით ჯვარცმული.
საქართველო შენი ცხელი გულია,
მისი დროშა გულში მზედ ჩაიხატე.
კაცხის სვეტი შენი სალოცავია,
იმერეთი შენი სულის სახატე.
ილიასებრ სიტყვა გიჭრის კაზმული,
მისი სიბრძნე სიცოცხლისებრ გწყურია.
ლურჯი მთები სისხლით გადანამული,
შენი გულის წმინდა საგანძურია.
გულს გიმხნევებს გაზაფხულის სიჭრელე,
გულწმინდა და სიცოცხლისებრ ნათელი.
ღმერთმა მრავლად მოგვივლინოს მამულში,
შენებრ ბრძენი, ღირსეული ქართველი.

2019 წ.

ბრმა ცხოვრება უსამართლო

ჩემს საკანში სიცივეა,
გარეთ მზე კი კოცნის ვარდებს.
აქ, სიცოცხლის სიმცირეა,
მით ვიღრმავებ გულში ბზარებს.
ვარ ამ მიწის მომცრო თიხა,
ტვირთი მღუნავს უმძიმესი.
ზეცის სული ერთი ციცქნა,
მღლის ბუნების განაწესი.
მხრებზე მადევს მძიმე ჯვარი,
ძლივს მივყვები გრძნეულ აღმართს.
მახსენდება ქრისტეს ჯვარცმა,
ვგმობ და ვწყევლი ყველა წარმართს.
არ მთავრდება ეს გზა-წვრილი,
ბრმა ცხოვრება უსამართლო.
წუთისოფლის დრონი მწირი,
საპყრობილე უსინათლო.
გზას მივიკვლევ სულის გვემით,
სისხლიანი ფეხშიშველი.
დემონები მომყვებიან,
ხორხოცით და ღრიანცელით...
მღლის საწუთროს ულმობლობა,
ცრუ ცხოვრებით განაწამებს.
ვინც შუქს უქრობს ქრისტეს მცნებას,
ის, უვიცი მასამართლებს.
წუთისოფლის სტუმარი ვარ
წლები განვლე ცრემლს და დარდში.
აკრძალული ხილი ვჭამე,
ამიტომ ვარ მუდამ ვალში.
ახლა ვზივარ ცივ საკანში,
გარეთ ნისლი მთაზე წვება...
ღმერთო!.. სადმე წამიყვანე,
სადაც ვერვინ ვერ მომწვდება.

2019წ.

რად მეჩვენები შორად

მუდამ შენთან ვარ ფიქრით,
ცრემლების ტალღა მახრჩობს.
უბე სავსე მაქვს სისხლით,
ვიღაც შენს ღიმილს მართმევს.
მძულს უშენობა ქვეყნად,
ფიქრი არ მტოვებს წამით.
როცა შენ, არ ხარ ჩემთან,
გული მევსება შხამით...
მივბობღავ ბეწვის ხიდზე,
გაყოფილი ვარ ორად...
არც მიწადა ვარ, არც ცად,
რად მეჩვენები შორად.
არა მგონია მეტად,
სხვა ჩემს საწუხარს სწუხდეს.
ახლა მიზეზიც კი გაქვს,
მწარე სიცოცხლე მძულდეს.
ვებღაუჭები ნისლებს,
კვლავაც შენთან ვარ ფიქრით.
ნეტავ სიცოცხლე თუა
ამ ცივ საწუთროს იქით?

ძველი ლექსებიდან

საფლავის გზას გამოვყევი

რაც დრო გადის მონატრება,
უფრო, მეტად მატულობს...
გული მეწვის, სული მტკივა,
სიზმრადაც ვერ განახულობ.
საფლავის გზას გამოვყევი,
არეული ფიქრებით...
მე, იქ ყოფნა მირჩევნია,
სადაც ერთად ვიქნებით.
როგორ მიჭირს, რომ იცოდე,
შენს საფლავზე ამოსვლა.
შენს გულ-მკერდზე დამხობა და
მერე... უკან წამოსვლა.
ჯოჯოხეთის ცეცხლში ვიწვი,
აქ ვერავინ დამიცვა...
როცა მოვალ შენს საფლავზე,
ხელი აღარ გამიშვა.
ცრუ... საწუთროს დავემდურე,
აწის ვერსად წამიყვანს.
სიკვდილს მთელი გულითა ვთხოვ,
ამ ტანჯვისგან დამიხსნას.

არ მინელდება

მკლავს, უშენობის წყურვილის გემო
და უშენობით სული მელევა.
არ დაგიჯერე ძვირფასო ჩემო,
ეს სადარდელი არ დამელევა.
ნეტავი მაშინ არ წავსულიყავ,
ოცნებებიდან არ გაგქცეოდი.
ჩემს ჯიუტ გულში შემოსულიყავ,
და შენც ჯიუტად შმომხვეოდი.
წამომწეოდი ვით ქარიშხალი,
ჩამოგელეწა ურჩი რტოები,
გულში ჩაგესვი ვით ნატვრის თვალი,
დასალიერში წამოგყვებოდი.
და კვლავაც შენსკენ მეძახის ფიქრი,
შენზე ოცნება არ მინელდება.
გაყინული მაქვს ძარღვებში სისხლი
ისე მწყურია შენი შეხება.
მე, უფრო მწვავს და უფრო მახელებს
ჩემს ფიქრებს როცა ეჯიუტები
წუხელ სიზმარში თრთოლვით გეძებდა.
ჩემი თავნება მწეველი ტუჩები.
თუ, დამიჯერებ, გულის კედელზე,
შენი სურათი ისევ ჰკიდია...
და ჩემი სულის ცვრიალ ფერდობზე,
ორი აჩრდილი მზისკენ მიდიან.

2012 წ.

ვერ ვარქმევ სახელს

უეცრად ცამან, დაჰკარგა შუქი,
ჩამოეფარა ძაძები ზეცას.
დამძიმდა დედის წამი და წუთი,
ხელში ჩამაკვდა სიცოცხლე დედას.
გულს მიკლავს შენი ქვეყნიდან წასვლა,
დამსხვრეულ იმედს მიქექავს ქარი...
მე, რაღად მინდა სიცოცხლე ქვეყნად,
როს მონატრებით გული მაქვს მკვდარი...
შენს შემდეგ ბინდში დავეხეტები,
ეკალბარდებით დაბურულ ტყეში.
მწარე ცხოვრების ურჩი დარდები,
გველის შხამივით ამომდის ყელში.
არ ვიცი, როდის თენდება დილა
და არც ის ვიცი, ღამდება როდის...
შენზე ლოდინი ადრე არ მღლიდა,
ახლა კი ბოლო არ უჩანს ლოდინს.
სულგაძარცვული დაგეძებ თრთოლვით,
აცახცახებით შევყურებ კარებს.
სული მევსება ყინვით და თოვლით
და შეშლილივით ვაცეცებ თვალებს.
უაზრო ტვირთი კვლავ მხრებზე მადევს,
ყოველი დილა მწუხრისფერია.
ჩემს ყოფას ახლა ვერ ვარქმევ სახელს,
როცა სიცოცხლე სატანჯველია.
ნეტავ სადა ხარ, რომ ვეღარ გწვდები,
შენი შეხება მწყურია მხოლოდ.
რაც შენ წახვედი ყოველდღე ვკვდები.
მე, ეს სასჯელი მომიღებს ბოლოს.
და ვინ რა იცის, რა ტკივილს ვზიდავ,
რა სატკივარი თუხუხებს გულში.
გთხოვ, გეხვეწები მიმიღე ზეცავ.
რომ შვილს ჩავხედო უძირო სულში.

2019წ.

იოსებ ტაბიძე

მარხის წვიმიანი დღე

პოეტური ჩანახატი

გარეთ დილიდანვე ჟინჟღლავდა, რის გამოც ქუჩაში გასვლა დამეზარა და შინ მყოფმა გული წარსულის გახსენებით ვიჯერე... მერე საწერ მაგიდას მივუჯექი და სარკმელს გავხედე, ისევ ჟინჟღლავდა. ეზოში დარგული ხის ფოთლებიდან წვიმის წვეთები მიწაზე საამოდ იღვრებოდნენ. სარკმელთან აყვავებული იასამნის ბუჩქიდან მეწამული ფერის ყვავილი ცეცხლივით ანათებდა რომელსაც მე „ფერშალი რუსიკო“ შევარქვი. ჩემს ეზოში ასევე, თექვსმეტი ძირი ხეხილი და სამი ვაზის ტალავერი ხარობს. მიწა მწვანე ალივით ბიბინებს აქა-იქ, წითელ-ყვითელ ყვავილებს ბავშვებივით ამოეყოთ თავები. ეზო (I – ძმობის ქუჩა) ქალაქის შემაღლებულ ადგილას მდებარეობს, საიდანაც დასავლეთისკენ საამური ხედი იმზირება. თბილისის ზღვა, აქედან სამ კილომეტრშია, და დილა ჩიტების საამური ჭიკჭიკით იწყება. რობიზონ კრუზოსი არ იყოს, აქ, ხშირად წერისა და ხელსაქმის ხასიათზე ვარ ხოლმე, მითუმეტეს ახლა, როცა საკუთარი ავტომობილი აღარ მყავს, სამაგიეროდ მყავს, ზოლებიანი „ვეფხვი“ – ფისო, რომელსაც მე, „პარასკევა“ დავარქვი. ოღონდ ეს არის, რომ ჩიტებზე ნადირობა ვერ მოვაშლევინე, ხოლო, თაგვები კი, სულ გააქრო. ძაღლი არ მყავს, ვთვლი, რომ ძაღლის ადგილი ქალაქში არ არის. ისე მართალი უთქვამთ, ხელოვანი ბუნების წიაღში უნდა ცხოვრობდესო. ვერ შევეგუე კორპუსებსა და საერთო ეზოს.

P. S. გარეთ ისევვ წვიმდა, რის გამოც ქუჩაში ვერ გავედი, სამაგიეროდ დღეს ერთი კარგი არაკი დავწერე, აი ისიც:

კავკასიის დიდ ტყეში

ახლა მე შენ გეტყვი არაკს შენ კი გამოიცანი,
დაუკვირდი ვინ, ვინ არის, შინაგანად იცანი.
გულუბრყვილო გავაბრთხილო, არის ჩემი მისია.
კარგად უნდა დაუკვირდე, „ნაღდია“ თუ ნისია!

❋

კავკასიის, დიდ ტყეში, დათვი ზის და თამადობს:
– ხოხბისა და მამალის, ქორწილს მსურს გაუმარჯოს! –
ცხოველებიც ეთანხმნენ, სადღეგრძელო დალიეს
და ქორწილი თანდათან, სულ სიმღერით გალიეს;
– ოდელია-დელია, პატარძალი შენია,
ვიქეიფოთ, ვილხინოთ, წელს ხომ მამლის წელია.
ოდელია-დელია, არ გაფრინდე ფერია.
მიდი მიუალერსე, პატარძალი შენია! –
მაგრამ, როცა ქეიფი, ყველა საზღვრებს გადასცდა,
ღრეობა და ხორხოცი, როცა აღარ გათავდა.
– ახლავ, მე თქვენს დედებსო! – დათვმა დაიღრიალა,
და იმისმა კბილებმა მჭახედ გაიხრჭიალა...
სუყველანი დაფედნენ, გაცლა იწყეს სუფრიდან,
ხოლო, მეფე, დედოფალს, ჩაეხუტა უკნიდან.
ვხედავ ყველა გარბიან, არავინ დგას ქებული.
დედოფალიც გაფრინდა, სიძე დარჩა ეული.
და ფიქრობდა მამალი: – „იაღლიში“ მომსვლია,
რაც არ უნდა პატივ-სცე, ბოზი მაინც ბოზია...

❋

აქ დასრულდა ეს არაკი, როგორც ალეგორია.
შევასრულე ის მისია, მიხვდი ასე მგონია,
დათვი ყველგან დათვი არის, ღორი ყველგან ღორია,
ხოლო მე კი მთა „ყაზბეგი“ „ხევისბერი“ მგონია.

2019 წ.

მაგული კუჭაშვილი-კურტანიძე

ავფეთქდი მუსიკად

ავფეთქდი მუსიკად, საოცარ ჰანგებად,
ვინ უწყის, ვინ იცის, ჩემს სულში რა ხდება,
ელვისებრ სისწრაფით როკავენ კლავიშები,
ვროკავარ, ვროკავარ მე თავდავიწყებით,

სივრცეში ვტრიალებ ცეცხლოვან ენებად,
ხან სევდად, ხან კიდევ საამო ჰანგებად,
არ ვიცი, რად სჭარბობს ეს გიჟური ვნება,
რა ძალით მაბორგებს დღეს ჩემი განგება.

ვყვირივარ, ვკივივარ ხმით, მთელი ძალითა,
ჩემს ნალოლიავებ ნერგს არ მოაქვს ნაყოფი,
ცრემლები, ფარულად დაღვრილი ცრემლები,
ხანგრძლივი ტროა და ხანმოკლე მარტყოფი.

ვროკავარ, ვროკავარ თქეშში თუ მზის ჭავლში,
რა დროა, სადა ვარ, ამიხსნით რა ხდება?
რად კორტნით,
                    რად კორტნით ერთმანეთს მითხარით,
უფოთლო, უფესვო ხეები გახმება.

ვერ ვიტყვი ყველაფერს რომ ჰქონდეს საზღვარი,
და მაინც, საზღვარი რად მხიბლავს უსაზღვრო,
აგორდა ფიქრები, წამკიდა ხანძარი,
არ ვიცი, ვინ უწყის, ვბორგავარ უაზროდ.

ავფეთქდი მუსიკად, საოცარ ჰანგებად,
ზეცაში ავიჭერ ცეცხლოვან ტალღებად,
ძნელია, ძნელია დღეს ამის გაგება,
რა ძალით მაბორგებს მე ჩემი განგება.

მერის თვალებით

ფერთა ზეიმი ვერ შევიგრძენ
ფერისცვალებით,
გულში კვლავ სევდა დაისადგურებს,
ბოლო იმედიც გავაცილე მერის თვალებით
და სადგურები ცვლიან სადგურებს.

ვინ დამიფასოს ესოდენი
სევდა და დარდი,
მე მსტოვარი ვარ სხვა გალაქტიკის,
გვალვით დაბზარულს ჩამომექცა
თავზე ლაჟვარდი,
ყინული მაძევს სულს ანტარქტიდის.

თუ ბედისწერა დამტრიალებს
ესოდენ ავი,
ვერ გამანაზებს ნიავი დილის,
გალაკტიონის სტრიქონებში
ჩავიხრჩო თავი,
ეს მირჩევნია ყოველგვარ სიკვდილს...

და სიმფონიას ამიჟღერებს
ჯუზეპე ვერდი,
მაცდურად მიპყრობს ჩემი ქიმერა,
ყელაღერება ვერ ვისწავლე
ლამაზი გედის,
ვერც დავასრულე ბოლო სიმღერა...

ვახტანგ გაჩეჩილაძე

ხაკინძე

თუ საკინძეს შეიხსნი,
გულს მზის სხივით მოგიწნავ,
ბაღებს გავშლი ხეივნით,
შადრევნებით მოგირთავ,
ვნების ტალღებს ავუშვებ,
სიყვარულის აჩრდილებს,
ფარშევანგებს მოგიყვან,
ლამაზს გულის ყაწიმებს.

მიყურებდი ლამაზად
ისე თვალ მოჭუტული,
ვდგავარ როგორც ავაზა,
მომეძალა ჟრუტული,
მინდა მოგეალერსო,
გულში გამოგამწყვრიო,
გთხოვ სიცოცხლე მაღირსო,
და ფიქრებით არ გდიო!

* * *

და მაინც მარში
ხალხი ქუჩაში,
მქუხარე ტაში,
ყალბი და ფარში,
მე ვდგევარ ქარში,
და სამუდამოდ
მოვტყუვდი მაშინ,
როცა სიმართლემ
გამხვია შარში.
მლიქვნელები კი
დადიან მარშით.

უბრალო კითხვები

ისე უბრალოდ ვუთხარი,
თორემ არც უნდა მეთქვა.
სად არის გული, მითხარი?
ის დაიბნა და ვერ თქვა...
ისე უბრალოდ ვუთხარი
როგორ ვიკადრებ მეთქვა;
გუთანი თუ გინახია?
გამწევს „ნიკორა“ ერქვა.
ჩეროში, დაღლილს, ლამაზად,
მჭადი თუ გაგიტეხია?

ან შენი სიტყვა იაზმად,
ვინმეს სულს თუ მოფენია?
ისე უბრალო კითხვები,
რაღაც ხომ უნდა მეთქვა?
მე ყმა ვარ და ყმა ვიქნები,
რა გაუხარდა ნეტავ?
ისე უბრალო კითხვები
კადრებად არც კი ღირდა
აბა მე თუ არ ვიქნები
„მეფობა“ როგორ გინდა?

მანანა თარაშვილი

თამარ მეცრეველს

მესაზღვრედ უდგახარ ნიქოზის სანახებს,
იქ, სადაც შენს შვილებს ფეხი აქვთ ადგმული,
შორ-ახლო ცხინვალი გულ-მკერდსაც განახვებს,
მალულად შველას გთხოვს ქართველებს ნატრული.

ქალობ და რას ქალობ, მართლა რომ თამარობ,
ეშხით დანამშვენი კოპწიად დადიხარ,
სიტყვაში, საქმეში ყოველთვის თამადობ,
შრომაში გართული ბოლომდე ქალი ხარ.

ხარკს უხდი ოჯახსაც, სახნავსაც, სათესსაც,
დასეტყვილ ქლიავსაც დასტირი ცრემლებით,
ქართული სუნი სდის შენს ყველა საცეცსაც
და მთელი არსებით ყველას ზედ ევლები.

ნაჯაფი ხელებით გიჭირავს ყალამი,
პოეტის მანტიით დავარცხნე რითმები,
სადაც გამოჩნდები, ნათდება წკვარამიც,
ვით ასწრებ ყველაფერს, მე შენზე ვგიჟდები.

მგონია, გუშაგობ ცხადშიც და სიზმარშიც,
რომ აღარ დავკარგოთ კვლავ მიწა, გოჯიც კი,
თუ ვერ შეგეხიდეთ მამულზე ზრუნვაში,
გთხოვ, რომ მოგვიტევო, გულწრფელი ბოდიში.

გულნაზ ხარაიშვილი
(ცისკარელი)

რაა სიცოცხლე

==========

ლექსი ეს ჩემი სულის არეა,
ქარი ვერ წაშლის მის ნაფეხურებს,
ჩემი ბედი კი ო, რა მწარეა,
დარდის თავშალი მით მოვიხურე.
იმედი მაინც გამოჩნდა ცაზე,
როცა მერცხალი სახლში მოფრინდა,
რაა სიცოცხლე, ლამაზ-ტკბილ ხმაზე,
სიმღერას კაცი თუ მოერიდა.
მადლი თან დადევს ამ ჩემს ნაწერებს,
ხან მშობელია, ხან მეგობარი...
სულის საამოდ თუ ვერ დავწერე,
მაშინვე შესვით შესანდობარი!

უფალო დამილოცე ყველა

უფალო, დამილოცე შვილნი,
დაბლაც და მაღლა ცაშიც,
შეუღლებულნი წყვილნი,
არსად მომიხვედრო ქარში.
უფალო,დამილოცე ერი,
შეწყდეს ომები და ვიში,
ვარდებს დაენაცრათ მტვერი,
სისხლი შერევიათ სხვისი!
უფალო, დამილოცე დედა,
აქაც და შორს წასულნიც,
ყველას გაყოლია სევდა,
ყველაა დარდმოსხმულნი...
უფალო, დამილოცე მტერიც,
ვინაც ამიხანჯლა გული,
მისი მე არ მიდა მტვერიც,
უკვე მყავს დაკარგული...
უფალო, დამილოცე მიწა,
მიწა დაჯიჯგნული ტყვიით!
მუდმივ დარდის ნაწნვს ვიწნავ,
გულს ვერ ამოვიძვრე ხიჭვი!
უფალო, დამილოცე ურჩიც,
მეტი არ ესმის და რა ჰქნას,
მასთან მიტომ ვხდები მუნჯი,
უყი მიწა მინდა დავხნა.
უფალო, დამილოცე, ციცქნა,
წუხელის დედიკომ რომ შობა,
მიყვარს,მტრისიც იყოს ვფიცავ!
მიყვარს, თამარიც და შოთაც.
უფალო, დამიბრუნე ჩემი,
მიწა, სამაჩაბლოს ია...
თორემ ჩამომიდგა გემი,
საფლავს მომეხვევა ხვია.
არ გთხოვ, ბრიალნტს და ოქროს,
ფინჩხიც მე არ მინდა სხვისი,
სიყვარული დამქვს „ლოგოდ“
ესა მაქვს დედის მზითვი!

* * *

ყვლა თამარს აქვს მზის პენი,
მშვიდი, მთვარის ეშხით...
არ მოცილდეთ ქარით ბენვი,
გრნობით გული ენვით!
დაიფარე ყველა ერთად,
ჰქონდეთ მშვიდი დღეო,
ყველა დედას მათზე ეთქვას,
არის ჩემი მზეო...

მტკივა

ტყვიით დაჭრილი ისე არ მტკივა,
როგორც სიტყვების ნაისრ-ნაკორტნი,
კეთილმა გულმა კვლავ გაპატივა,
ეშმაა შენი სულის პატრონი.
მოასწარ აქეთ ყოფნა თორემ იქ,
ჯოჯოხეთშია შენი ადგილი...
უფალი ყველას შენც მოგაშორებს,
გაგახსენდება სამი აპრილი..

ლექსით ვცოცხლობ

ლუკმას ვყოფდი ნაწილ-ნაწილ, შუა-შუა,
ჩემთვის ნამცეცს არ ვტოვებდი ქვაბში,
მაინც ყვავმა დამჩხავლა და დამაყრუა,
ნასიცხ მიწას დავემგვანე-გავშრი...
გაოვოგნდი და ...ჰაი, ვერც კი შეუყვირე,
ისე სწრაფად დამიპორტნა გული...
იმ დედის დღეს, ჩემ თავს თვითონ დაუყვავე...
ყვავით დავრჩი ნაისრ – დაფატრული!
ის კი ფრინავს, აღმა-დაღმა, როგორც უნდა,
ან რა მოკლავს, 100 წელი ცოცხლობს,
მეკი ფიქრმა, დამახრჩო და გამომგუდა,
ლქსით ვცოცხლობ. ჩემი ლექსით მხოლოდ!

ივანზე

ბაჯბაჯებდა მტრედი დილით აივანზე
და კენკავდა მზით გამხმარ პურს
ნამცეც-ნამცეც...
აფრთხიალდა, ნეტავ ხომ არ გავაბრაზე,
მოვიდეს და არასოდეს ხმას არ გავცემ.
თითქოს მიხვდა რას ვამბობდი, შემომხედა,
რა საყვარლად გამიყარა თვალი-თვალში...
შემაჟრჟოლა მტრედის უხმო გამოხედვამ,
წავიდა და შეერია უცხო ხალხში...
თითქოს გულში ამომგლიჯეს, ერთი ძარღვი,
სული არის, ნეტავ, ჩემგან რა ეწყინა?
მოვეფერე, გულს ისევე დარდით დაღლილს,
და შორიდან მტრედმა თითქოს შემომცინა.
გამეხარდა, ოი, როგორ გამეხარდა,
ერთის ნაცვლად, დავინახე შვიდი მტრედი,
შეყვირებით ლამის ჭერი ამეხადა....
ეს მე ვიყავ, ვერ მიცანი განა დედი?

* * *

ახლა ისეთ ხასიათზე დავდექი,
მინდა მივწდე უსასრულო ზეცას.
მე ჩემს მომავალს თუ არ გამოვადექი,
მაშ პოეტი რატომ უნდა მერქვას.

კეთილი ვარ

ჩამოუშვებს ციდან ღმერთი, მზის ხელებს და..
შემოათბოს მხურვალებით ჩემს გულს...
არ მასვენებს მტერი მაინც მახელებსდა,
ქიშპი-შური, არავისთან არ მსურს!
განა ვშიშობ?კეთილი ვარ უსასრულოდ...
მადლის კაბას გულს-სიწმინდით ვაცმ
ეგებ მტერმაც ქიშპაობა დაასრულოს,
ვდუმვარ, პასუხს არასოდეს გავცემ!

თქვენ არ გეცკინოთ

მე, მეცოდება უტყვი ფურცელიც,
ჩემს გულს რაცა ღრნის მასაც ვუმალამ...
ჩუმად მგორდება ცრემლის კურცხალი,
რომელიც უხმოდ სხეულს უწამლა.
ჰოდა არ ვიტყვი, ლოცვად ვიქცევი,
ვლოცავ, მოყვრებსა და ვლოცავ, უგულოს...
ციდან უფალი ყველას უცქერის,
მე მინდა ყველას თბილად ვუყურო.
გარდამეცვალა, ქმარი და შვილი,
ნათესავების მთელი არმია...
გარდამეცვალნენ მამიშვილნიც და..
გხსენებები... ძალზე მწარეა...
ბედის წისქვილთან ამიტომ ვბრძოლობ,
და შვილმკვდარ დედებს ვესათუთები...
ჩემს ამ სიკეთეს არ უჩანს ბოლო,
ახალგაზრდებთან განსაკუთრებით!

გიორგობა

საქართველოს მიულაცავ, გიორგობას,
ერთი ათად გამიმრავლდით ქართველებო..
აღარ შეგხვდეთ შუღლი, მტრობა, ომობანა,
გაიხარეთ, სადაცა ხართ რაჭველებო!
გიორგობას მოგილოცავთ, მეგრელებო,
დიდოვ ნანით აღზრდილებო, ცირა ,გია,
არ მოგაკლდეთ დედის პური, ყველი- ერბო,
აფხაზეთს კი საქართველოს გული ჰქვია!
გიორგობას მოგილოცავთ იმრლებო,
დადრდის ალში გამომწვარი თქვენი შვილი,
გულის წევრნო და ყველაზე ახლობლებო,
მოგილოცავთ დიდი დედა ტკბილზე-ტკბილი!
გიორგობას მოგილოცათ ქართლელებო,
მართალ სიტყვის მთქმელებო და მებრძოლებო,
ომის ცეცხლის გამძლებო და ამტანებო,
ხან ფოლადო, ხანაც ნაზო ენძელებო!
გიორგობას მოგილოცავთ კახელებო!
ძირძველ მიწის ქომაგნო და გულის ველო,
თუ დასჭირდათ ყველა კუთხის მშველელებო,
ამ ლამაზ დღეს მოგილოცავთ ქართველებო!

მეოცნებე ბავშვი

ჩიტის ბუდე ისევ იქ ჩანს,
ჩიტი გუნდად გაფრენილა,
გადაყვითლდა მწვანე ფარჩაც,
თავთავებიც ჩაცვენილა.
სოფლებს მგლები შესევია,
ცხვრებს და ბატკნებს გაკრეს კბილი,
მთა მთის გულზე ასვენია,
ღრუბლის ფთილით დაფლეთილი.
რით ვუშველო ღობე-ყორეს,
ვერ ვპატრონობ სახლს და კერას,
კუთვნილ მიწას დამაშორეს,
ჩემიც აღარავის სჯერა.
ბუდეს გვერდი ჩამოშლია,
ჩიტიც სადღაც კენკავს ნამჯას,
ვნატრობ სიმინდს ულაშიანს
და ვისინჯავ ხელის მაჯას..
ფეთქავს, მაგრამ სულ ნელი-ნელ,
.ვაყურადებ გულის წიკწიკს,
თვალს მოვავლებ მწვანე ველს და...
გავაგრძელებ ნაბიჯს წინ-წინ.
რწმენას რწმენით ჩავეხუტე,
სიცოცხლე კი ღმერთს მივანდე,
წარსულს სულ მთლად გავებუტე,
გამყინა და უნდა დავდნე.
დაუქნიე ასაკს თითი,
გავაწანი სილა ყბაში.
მე ლექსი ვარ, ლექსის მითიც,
ცას დავფრინავ ლექსის რაშით...
შეიმოსა ჩიტის ბუდე,
ბალახით და ბუმბულებით,
დარდი მუჭში გამოვგუდე,
ბედით გამონაგულები.
ხელმეორედ დავიბადე,
მომეშველა ლექსის რაშიც,
ფიქრს იმედი დავაბედე,
გავხდი მეოცნებე ბავშვი!.

დაო ანერ

ჩემი სითბო როგორ მოგაწვდინო,
მონატრებავ, გულის დაო, ანერ...
არ მინდა, რომ ცრემლლი დაგადინო,
გიკვირს ალბათ როგორ ვუძლებ ნამქერს...
ღმერთი მშველის, ცის შვილები ყველა...
წასულები შორშორს მიღმის იქით,
ჩვენ გვჭირდება, აქ სუყველას შველა,
ცის ვაგონი სიმსუბუქით მიქრის.
ჰოდა ვცხოვრობ, იმ წარსულის ეშხით,
როცა ერთად ვკლასაობდით დაო...
რომ ვიყავით სულიერათ ერთნი,
თავს გვეხურა, სიყვარულის ცაო...
მაპატიე ვერ ვნახულობ ჩვენს დას,
მის უტყვ ცრემლებს ვერ გაუძლებ ანერ...
ფანტაზიის, ია-იებს ვრგავდა...
„ოლია“ კი მხოლოდ უფალს ვანდე!

კაბას შეუცვალე ფერი

კაბას შეუცვალე ფერი,
ლურჯი შეუხამე სევდას...
ობოლს გამომიცხვეს კვერი,
რადგან აღარ მყავდა დედა.
ძმების იმედებად დავრჩი,
ქმარიც გამიფრინდა ცაში,
ბედი შავ სამოსელს მაჩრის,
ჰოდა, გადავყარე მტკვარში,
სკივრი გადავხსენი ძველი
ჭრელი მოსაცმელი ვნახე,
ისიც ცრემლით იყო სველი,
ბედმა სხვაც დამიგო მახე!
მახე, სეტყვის კაკლით სავსე
ყველა ტკივილებზე მწარე,
ასეთს ვერ იხილავთ მსგავსებს,
ნეტავ მოვეკალი ბარემ.
მერე შემეცოდნენ ირგლივ,
გული,გამოვკვერე გრდემლში...
ვივლი თოვლიანი იღბლით,
ბედს კი გამოვგუდავ ცრემლში!
მიტომ მოვისროლე,სევდის,
შავი რაც კი მქონდა სახლში,
გავხდი, ყველას დიდი დედა,
ბედთან აღარავარ ვალში.

ხელი არ ახლოთ

არ შეგეშინდეთ დარდის სამოსის,
სულს,რომ ტკივილად შემომჯინჭრია,
გულს კვლავ ახალი კვირტი ამომდის,
სიტყვებსაც ვუძლებ ბევრჯერ ჭინჭრიანს.
ქარი -ბოროტი სიავით დარბის,
ცუდი რა არის ვერ გაარჩია,
არ ვარ სიმდიდრის წუწკი და ხარბი,
ვაძლევ ყველაფერს რაც გამაჩნია,
ფარჩაფურჩები, ოქრო და ვერცხლი,
წაიღოს ყველა, მას ჰქონდეს ხალხო!
ლექსი ჩემია, ეს გულის ცეცხლი,
წაიკითხოს და ხელი არ ახლოს!

ზის მკლავებში

მზის მკლავებით ავაშენე, მადლის სახლი,
ეკლებს ვკაფავ, ბაძაძგნარში ჩემი ხელით,
ომში? ვომობ, ქალი ვარ და ხარის ძალით,
მშრომელი ვარ, უფრო მეტად რწმენა მშველის.

დამიჯერეთ

სიყვარული, გამოხატეს ყვავილებმა?
ნეტავ მართლაც სიყვარული დაგებედოთ..
.გაიხარეთ საქართველოს ყმაწვილებმა,
გოგონებთან მოტყუება არ გაბედოთ....
სიყვარულის ელექსირი თუკი შესვით,
გაიყოლეთ სულის საზრდოთ,მოგზაურად...
სიყვარული არის გულის განაწესი,
ყმაწვილებო, მოექეცით შოთაურად!
სიყვარული, უფალია ყმაწვილებო,
განა ხორცის ჯიჯგვნა არის ნაწილებად,
დამიჯერეთ, ჩემი სულის ნაწილებო...
დამიჯერეთ, შემორჩებით არწივებად!

მარტოობის კუნძული

ქარის კრუსუნმა,
ბუხარში სიცივე დამარხა,
ამაკანკალა...
შევაფეთე თვალები ყინვას.
ოჰ, რა დღეშია, ჩემი სული ნეტავ განახათ,
მარტოობის კუნძულთან დგას და გმინავს.

***

ყველაზე დიდი სასაფლაოა გული...
(ბეჟან ხარაიშვილი)

რა სიბრძნეა ძმაო, ბეჟან, შენს სიტყვებში
რა ტკივილი, ცის და მიწის ხელა,
წახვდი და ცრემლის ბილიკს მეც მოვყვები,
ვერ გეწევი გზა თუ შემეშალა!

* * *

უფალო, დამილოცე პატარები,
ანგელოზების ბუდე,
დალოცე, იყვნონ ამტანები,
კალთა დამიფარე, ხუნდებს...

ნიკოლოზობის გილოცავ

მე კი ასე ვლოცავ ნიკოს,
ნიკოს ალალსა და მართალს,
მუდამ ღმერთთან ახლოს იყოს,
თორემ ქარბორბალა შთანთქავს!
არ სვამს მაინც დადის მთვრალი,
ჰყოფნის ერთი ლუკმა შოთის,
ვაი, დედის გულის ბრალი,
დედას შვილით რომ აქვს შფოთი.
დედა მოგიშუშავს დაღებს,
დედა სულიერი დედა,
ვწუხარ ფიფქივით არ გალღვე,
დე-ს არ მოუმატო სევდა!

გული

გული, გამიხურდა როგორც თონე,
გული, დარდის ცრემლში ალესილი,
ვშრომობ... ვერაფერიც ვერ ვიშოვნე,
ვშრომობ, ბედისწერით დანისლული.
გული, ჯერ დაიჭრა,დასნეულდა,
მერე მოიხარშა დარდის ცეცხლში...
მაინც არასოდეს დაბნეულა,
მაინც არ გამხდარა სხვისი ლეში!
გული, გრძნობის ცეცხლშიც გახვეულა,
ოდეს ბავშობაში აბა რაა..
მკვახე, მსხალი ქარით დარხეულა,
მწიფე შეუსანსლავს ვიღაც სხვას!
გული,დარჩენილა ანაბარა,
...და ბედს შეერკინა ხარის ძალით,
სახე, მლაშე ცრემლით დაიბანა,
მაინც არ დატოვა სუსტი კვალი!
გული,ჩემი არის, ჩემს ხელშია...
ისე თბილი არის, ყინვას ადნობს,
ახლა გართულია, ლექსებშია,
ლექსებს საიდუმლო უნდა ვანდო!

========== მაცაცუნა========

უნდა მოგწვდე მატატუნა,
გულში შემოგეფაქიზო,
ფიქრი შენთან გაიტრუნა,
ყოველი დღე მალხაზისობს.
რა უნდა ვთქა შენნაირზე
მაზლიშვილის საკადრისი....
საყვარელო პირიმზე და....
ბიცოლა გყავს ავდარისი...
დარდიანი მაგრამ მაინც,
მოვახერხებ შენს დალოცვას,
შენ გნატრობდი ჩემს ხუთ მაისს,
ჩაუტარე გულს გამოცდა...
მომინდა, რომ შენც გეხილა,
პოეზის წარმატება,
ლექსი ამომიჯეჯილდა,
და ლექსით ვწერ მონატრებას...
=შ ე მ ო გ ე ვ ლ ე=

რეალობაა

არ შეგადარებ მაიკო არავის ...
ჩემი შვილების ნაწილო....
მზიაა შენი სულის კარავი,
გულიც გსურს გაუნაწილო...
შენა ხარ ამ ქვეყნად ყველაზე ჭკვიანი,
მებრძოლი, სათუთი და სუფთა,
შენი „ჰერიო“, ნაზი და ხმიანი,
იყო მოსასმენად სულ სხვა
შენახარ, ამ ქვეყნად ყველაზე თბილი და..
ჰო, სიტყვა რათ დავზოგო,
მებრძოლი, კეთილი, მაზლიშვილი და.
როგორ მოგეფერო, გოგო..

ეს რეალობაა, {მაია სხირტლაძე, ჩემი მაზ-ლიშვილია) მადლობელი ვარ უფალის, ჩემი ვინც მყავს ხარაიშვილების ნაშიერნი, დიშვილ ძმიშვი-ლები, მართლაც და გამოირჩევიან, ნიჭით, სიძლი-ერით... ერთი სიტყვით შენი-შენია.თითქმის ჩემი სულის ამოახილია, მაზლიშვილები და მულიშვი-ლები. უთბილესები, ერთმანეთის გამტანები და ჭირისა და ლხინის გამზიარებლები. და მაინც ყვე-ლასგან განსხვავებულია, ჩემი მაზლიშვილი (მაია სხირტლაძე)

მაინც კარგია

მაინც კარგია სიცოცხლე, რადგან...
დარდების შემდეგ, ამას ვინატრებ,
გათოშილ ხეებს მზის სხივი ადგას,
მუხის ტოტები ალბათ იბარტყებს...
ბალიც მწიფეა, შეესევიან,
ჩემი და სხვისი შვილიშვილები,
ჩემი სიმდიდრე სულ ესენია,
თუ მომრავლდა შვილთაშვილები.

როგორც პოეტი მიუალერსებ...
მინდვრის ყაყაჩოს, ღორღს და ლელიანს,
თუ მაინც მკერდზე დანა ალესეს,
მაშინ ლექსები ბრძოლის ველია...
თუ დვმარცხდები, გამეხარდება,
თუ ქართველია, გადავეხვევი.
ჩემს გულში აღარ გაავდარდება,
როგორც მოკეთეს ისე შევხვდები!

ჰ რ ი ზ ი

პრიზი უნდა დავაწესო სიყვარულის,
ვინც მომავალს გულით ესათუთება...
გულში რომ აქვთ, გრძნობა ჩუმად მოპარული,
ახალგაზრდებს შენახული ფუთებად...
პრიზი უნდა დავაწესო ერთგულების,
გამიმრავლდეს იის-კოკორ ვარდები.
არვინ იყოს დარდით გამონაგულები,
ფრთხილად! კლდეზე ნუღარ გადავარდებით!

ჩასძინებიათ

ჩასძინებიათ თხმელის ხეზე ნიბლია ჩიტებს,
ციცინათელა კი ანათებს იდუმალ ჭალას....
მდინარის ტალღა შიშველ ხეებს მოატივტივებს,
უთენია კი გლეხი ჩეხავს გადამხმარ ჩალას...
ბუმბერაზ ტყეზე ნისლი ჩაწვა, ტყე დაიფარა,
დაიფარება ამ ბურსში ყვავილის ღეროც,
ასეთ ამინდში ცხვარიც გარბის, იშლება ფარა,
ბუნება ელის, სამხრეთიდან მოფრენილ წეროს
სევდიან ამინდს გამიახლდა ტკივილის განცდა,
და მაინც ვცდილობ, თბილი ლექსი ისევ დავწერო!..

ღრუბელი

რაც არუნდა მოეფერო ღრუბელს,
ღრუბლია, გულში ლაქას სტოვებს...
ჰოდა, მიკვირს რამდენ დარტყმას ვუძლებ,
როცა უნდა მაშინ დამათოვებს....
მოისარკა, აფერადდა ზეცა,
საქორწინოდ ემზადება მთვარე,
მზესაც ოქროს სამოსელი ეცვა,
მე ჩემს ლექსებს თავი შევაფარე.
მზე და მთვარე ჩემებია ნაგრამ...
ეშინია შავი ღრუბლის მათაც,
გულში ვლოცავ ჩემს ჯიშსა და ნაგრამს,
ღრუბელი კი მზეს და მთვარეს მართავს!

დედა ენის ძეგლთან

დედა ენის ძეგლთან ახლოს მდგარი,
ვუყურობდი ქანდაკებას მშვიდათ,
შემოგფიცავთ, ფიცი არის მყარი,
მშვიდობა და სიყვარული მინდა.
რას შესქერი მაღლა ქანდაკებავ,
რა მადლი აქვს, იაკობის მელანს.
ამდენ ომში სული გვიკაჟდება,
და მზის შუქად გვეფინება ყველას.
დედაენავ, გადამრჩენო ერის,
ხმლით და შუბით გიცავ შემართული,
ლექსებს ვამბობ თუ ქართულად მღერი,
გალობაა ის შენ ლოცვად თქმული!

დ ე დ ა ო ს

(დედაო იოანას)

თითქოს მღერიხარ, სიტყვით ჩაკრულოს,
რა ტკბილი არის შენი დალოცვა...
ერის სიმშვიდეს მუდამ ნატრულობ,
შენ ჩაგიტარა ღმერთმა გამოცდა.
ახლა ლოცვაა დარდის გამქრობი,
შვების მომცემი მინანქარია,
მეც ამ ცრემლიან თვალებს ვაშრობ და...
ამიტომ შენთან მომიხარია....

დედაო, იმდენ დარდებს ვატარებ,
ისეთ დიდსა რომ ზეცის ტოლია,
კვლავ ვეფერები დიდს და პატარებს,
სითბო გულიდან გამომყოლია.
მე მოვალ, შენთან წლების გასხვლამდე,
გ ე ტ ყ ვ ი – დარდები გააპრილდება,
გესაუბრები, გულის დაღლამდე,
თორემ ძალიან გამიჭირდება!

ე მ გ რ ა ნ ტ ე ბ ო !

ემიგრანტებო, საქართველოს შვილნო, ტკივილნო,
მომენატრეთ და ჭრილობები თქვენით გამეხსნა,
ჩემო იებო, ვარდებო და სულის ყივილნო,
რაც თქვენ წახვედით, ქართვლის ვაზი მტერმა გამისხლა.
ჩუმად ვტიროდი, როცა სათქმელს ფურცელს ვანდობდი,
რით დავამშვიდო, ჩემი გული, ან სხვას რა უთხრა,
რა კარგი იყო, თქვენს ეზოში აქ რომ დარბოდით,
დამილოცნიხართ და გიგზავნით ლექსით მოკითხვას!



ხვანის მთების უსასრულო ჩურჩუღმა

ნამდვილი ამბავი

პოემის გაგრძელება (დასაწყისი იხილეთ „ათინათის“ №1(31)-2019)

ახლა „ნანის“ მოვიკითხოთ ამბავი,
გრძნობის გოგო გურამს სახლში ეწვია.
მოიკითხა ჰქონდა ამის საბაბი,
მივიდა და გულზე შემოეხვია.
იმედის მზემ სხვა ელფერი შემატა,
სიხარულმა გულში შემოანათა,
ღვთის სიკეთემ, ღვთის ოჯახი მონათლა,
გურამის ბედს მეგობრებმა შენატრა.
მეორე დღეს როცა ზარმა დარეკა,
ყველა ერთად შეიკრიბა სკოლაში,
სიხარულმა დარდის კარი ჩაკეტა,
დღე დამთავრდა კვლავ გრძნობების
თრთოლვაში.
საღამოთი გაიმართა შეჯიბრი,
და სპორტული პაექრობა დაიწყო,
გურამია ყველაფერში ბეჯითი,
მან ჭადრაკში მწვერვალები დაიპყრო.
გახალისდა გამოცოცხლდა ყველანი,
თბილი გახდა საზეიმო განწყობა,
ლექსს ჰყვებოდა ბიძინა და ჯემალი,
ლია ამდროს სულ სხვა გეგმებს აწყობდა.
გადიწვინეს მზის სხივები მკლავებზე
და ტყეებმა იწყეს ჩუმად ჩურჩული,
სეირნობდნენ მწვანე სიოს თარებზე,
ჩაესმოდათ ტკბილად გლეხის ურმული.
როს დაბრუნდნენ ჯგუფი სულით ძლიერი,
ტაშსს უკრავდა ქარი ტოტის ხელებით,
აცილებდა, ახალგაზრდა, ხნიერიც,
აცილებდათ ტყე ბუჩქი და ხევები!...
გზად მიმავალთ ავარია მოუხდათ,
გადავარდა ხრამში ავტომობილი,
რა მწარეა, ვისაც შვილი მოუკვდა,
მისთვის არის ცა, ცით ჩამომხობილი!
შეიკრიბა ხალხი ახალდაბასთან
და სასწრაფოც მოდის კივილ- კივილით...
დარბის ხალხი, არის დავიდარაბა,
დაეკარგათ ყველას სახის ღიმილი.
აიყვანეს ზევით გულწასულები...
სისხლიანი ქვა-ღორღებით დაჭრილი,
არ არჩევდნენ მართალს, მტყუანს, სრულებით,
მათ საშველად, გულით გამოსულები.
ცოცხალ მკვდარში ერთი ლუკაც ერია,
ბოროტების ერთი დიდი ნაწილი,
სამწუხაროდ მისახედად ბევრია,
მათი გმინვვა ცაში იყო აჭრილი.
და ეს უკვე საუკუნის ჯვარცმაა,
ნარკოტიკებს ეწირება მრავალი,
სულ უაზროდ სუფთა სულის ძარცვაა,
წამალია შვების გამოსავალი.
მიმდევარნი, ჩაიძირნონ ზღვაში და..
შინაური გარეული ერთია,
აუღიათ მათ სიკვდილის საშვი და...
ეწირება ოთარი და ბერდია.
ლია კლდეზე ჩახუტვია ფერდობებს
ტანსაცელი ტანზე შემოხევია,
ცოდვიანი დაავიწყდათ მეგობრებს,
მოტეხოდა ცბიერს ერთი ხელია..
ლუკა სუნთქავს ღმერთო, იქნებ გადარჩეს,
ხეიბარიც დარჩეს ოღონდ იცოცხლოს,
ბედი თვითონ გამოუტანს განაჩენს,
სიკეთისკენ იქნებ გადმოინაცვლოს.

ლია კლდეზე მიჯაჭვია დიდ მუხას,
მოდის სისხლი ხელი კანს უკავია,
ამ დიდ ტკივილს კალამი რას აღნუსხავს,
ლიას სახე ყორანივით შავია.
მზე გამოჩნდა, ყველაფერი დალაგდა,
ექიმებმა ლიას ხელი მოკვეთეს,
ლუკას ყველა მიეშველა ალალად,
სიცოცხლისკენ ისიც გამოაკეთეს!
„ნანი“ მართლაც სასწაულად გადარჩა,
განაკაწრიც არსად არ ემჩნეოდა,
სიკეთეა მისი სულის ზარდახშა,
სიმდიდრეა, მისთვის მარტოდ ზნეობა,
არავინ ხარ! როცა ცდილობ დაჩაგრო,
„ნანი“ მუდამ მტერშიც ხედავს მოკეთეს,
გული უნდა მზის სხივებით მოქარგოს,
გზას ამცდარნი ცდილობს გამოაკეთოს!
ასე შერჩა „ნანის“ ფსევდო სახელი,
ღვთის სიკეთის მარცვლად გადაქცეული,
მძიმე, როგორც სავსე პურის მთა-ველი,
მეგობრებში მუდამ გამორჩეული.
– ლიამ გურამს დაურეკა საღამოს,
გურამ, ახლა ვინანიებ ჩემს ცოდვებს,
ხელი არ მაქვს ვტანჯობ აღარ მაწამოთ,
ვერ ვისვენებ, ღამე ძილშიც მაბოდებს.
ეს ამბავი ვაჟმა „ნანის“ აუწყა,
ლია ითხოვს პატიებას ცოდვების,
შენ ხომ გახსოვს მე რა დღეში ჩამაგდო,
რად ვიწამო მისი მონაბოდები.
გურამ ცდები, აპატიე შეუნდე,
სიკეთის გზა მაინც უნდა არჩიო,
ტყის ჩურჩულსაც ბევრჯერ ყური მიუგდე,
უხმო ძალამ იქნებ რამე გირჩიოს.
მე კი ვფიქრობ ლიას ახლა ვჭირდებით,
ბოროტება ჩვენს სულში არ დავანდეს,
მას თბილ სიტყვებს რომ შევაწევ გპირდები,
იქნებ ლია კვლავ სწორ გზაზე დაადგეს!
გურამი და„ ნანი“ ლიას ეწვია,
„ნანიმ“ ლიას თკბილეული მიართვა,
ლია არის სულით ალი წეწია,
თუმც საუბარს თავი კარგად გაართვა.
უცებ ცრემლი გადმოყარა თვალიდან,
შეიფერა მან თვისება კეთილის,
ერთი თვეა უკვე თითქმის გავიდა,
ლუკას იმედს არ იძლევა ექიმი.
„ნანიმ“ გურამს მიანიშნა წავიდეთ,
სიკეთის გზით, ახლა გურამს ვეწვიოთ,
უფალს ვთხოვოთ, რომ ჯანმრთელი გავიდეს,
იქნებ წამალს ისიც გადაეჩვიოს...
ლუკას სახე ჰქონდა ნაიარები,
ერთი ფეხი ნამსხვრევებად ქცეული,
ეს აშარი ბიჭი დროსნატარები,
ბევრი ფულით იყო გადარეული.
ჩააფიქრა ლუკა ნანის იქ მისვლამ,
შინაგანად გულმა ღელვა დაუწყო,
ჭკუას ვკარგავ, სისულელეს ვიზავ და...
კვლავ თავის თავს დამშვიდება დაუწყო.
აწრიალდა, აიშმუშნა საწოლზე,
და ბალიში ხელით მისრის-მოსრისა,
თუმც სიცოცხლე ისევ ჰქონდა სასწორზე,
კომპლიმეტი უნებურად წამოცდა.
რად შეწუხდით, რატომ მომინახულეთ,
თქვენი ცოდვა უნდა ვზიდო გზადაგზა,
მაპატიეთ მწარედ გაგიზაფხულეთ,
მე სასჯელის მოსახდელად მზადა ვარ.
არ გიჩივლებთ და შენ თვითონ განსაჯე,
ნარკოტიკმა აგირია თავზარი,
შენნაირი ვინაც ციხით დასაჯეს,
სული შერჩათ საწამლავით ნაზავი.
არ გაკლია სილამაზე ზრდილობა,
წამლავ სხვას და თავიც არ გეცოდება,
მოიწვიეთ მეგობრული ყრილობა,
რომ არ იქცეთ საუკუნის ცოდვებად.
ქართულ ადათს ბევრმა ზურგი აქცია,
პლანს არა სჯობს ღვინო სუფთა კახური,
ქართლის დედას სევდის კაბა აცვია,
დედის რძეს ჰგავს ღვინო ალადასტური.
ან რად გვინდა თქვენთვის ვიღაც მსაჯული,
თქვენნაირი სიკვდილს უნდა ნატრობდეს,
სული რომ გაქვთ საწამლავით ნარუჯი.
ნარკოტიკი სიზმარშიაც გაბოდებთ.
მოვედით, რომ გაგინათდეთ გონება,
ერის სენი გწვავდეთ, კიდეც გტკიოდეთ,
რომ არ ვიქცეთ საწამლავის მონებად,
დედებს ცრემლი აღარ ჩამოდიოდეს.
ტკივილები ლუკას გადაავიწყდა,
ანგელოზი ჩამჩურჩულებს,მარიგებს,
ფიქრით ლუკა თავის თავსაც გაუწყრა,
დაუჯერებ ახლა აზრთა გამრიგეს.
„ნანის“ ხმაში უცხო ხმაა ჩართული,
გოგო გახდა ჩემი სულის ხატება,
სიცოცხლე ხომ არის უფლის ნათლული,
ჩემში დარჩა გრძნობის ანდამატებად.
ლუკა „ნანის“, ჩუმად გულში იფიცებს,
რა ნაზია მებრძოლი და კეთილი,
ნარკოტიკზე არასოდეს ვიფიქრებ,
გულიდან მაქვს უკვე ამოკვეთილი.
ფიქრით მიწვდა ამერსა და იმერსაც,
„ნანის“ სახე ანგელოზად აღწერა.
საწოლშივე შემოძახა სიმღერა,
და წარსულმა ძალზე გაანაწყენა.
ჩემს ხელშია,სიცოცხლეც და სიკვდილიც,
მზე ჩავა თუ მზე კვლავ გამოანათებს,
რომ დამჭირდეს შორ-შორ გზებზე სირბილი,
გადავგზავნი სიყვარულის ბარათებს.

აღარ მინდა აღარც ავტომობილი,
აღარც ჩემი მოწამლული სხეული,
ახლა არის ბედიც ჩამომხობილი,
აღარ ვივლი წამლით გადარეული.
წავალ სოფლად, მოვხნავ კიდეც დავთესავ,
მოვიშენებ ცხვრებს,ფრინველებს ,კამეჩებს,
შევირიგებ, ჩემს დაკარგულ ნათესავს,
სათითაოდ ახლა ყველას დავეძებ.
აქვითინდა ლუკა თოთო ბავშვივით,
და გიჟივით მოუმატა ღრიალსაც,
მოეჩვენა ვილაც გარბის მანქანით,
მოეჩვენა ხრამში გადატრიალდა.
რეალობა, მოჩვენება, ყვირილი,
მიეშველეთ მოუხმობდა სუყველას,
მედდამ უთხრა; რას გიშველის ტირილი,
ნარკოტიკმა სულ მთლად გაგასულელა.
იმკურნალე, აღსარება გაანდე,
დაფიქრდი და რამე გამოიგონე,
ბოროტება ფიქრიდანაც გააგდე,
მაგ ლაყბობით ყველა ნუ დაგვაღონე.
ლუკამ ისევ გადაწყვიტა ვაჯობებ...
და მზის სხივებს ტანზე წამოვიფარებ,
ახლა ვჩხუბობ, სიზმრად კიდეც ვაბოდებ,
სიგარეტსაც, პირში არ გავიკარებ.
განკურნება არ აღმოჩნდა იოლი,
მაგრამ, გრძნობამ ცხვრის ბატკანად აქცია,
ექიმი ჰყავს მეგობარი სიმონი,
მეგობარმა წამალს გადააჩვია.
გადაწყვიტა, სწავლით წინ წაიწიოს,
მეგობრად კი ისევ გურამს აირჩევს,
გრძნობის ტოტი უნდა ჩამოვიწიოს,
შევეცდები, არავისთან ჩავიჭრე.
დრო გავიდა, განიკურნა სენისგან,
ლუკამ ყველა გააოცა, წინსვლებით,
გალამაზდა, ბედმა ველარ შენისლა,...
მოიცილა, თავზე ღრუბლის ნისლები!
წიგნი გახდა, მისი არიალი და...
გააოცა, ლია, ნანი, ნათელა,
მოიარა ფეხით დარიალი და...
მოწამლული სული გაინათელა.
გურამი და „ნანი“ ამით ხარობდნენ,
ყოველ დილით ღმერთს სწირავდნენ მადლიბას...
ლიაც გატყდა, ჩაცხრა აღარ დაობდა
და გურამი ითენებდა აღდომას.
ადრე ლუკას სულ სხვა გოგო უყვარდა,
თაკო იყო მისთვის გულის წამალი,
ახლა სულ სხვა გრძნობის ცეცხლში ჩავარდა,
ეტრფის ახლა გრძნობას, ჩუმად, დამალვით...
შეადარა წარსული და „ნანიკო“,
ის წარსულიც ძალზე მწარედ ახსოვდა,
შეეცილა, თბილისელი ვალიკო,
გაახსენდა, ვალიკოს რომ ახრჩობდა.
ახლა ბომბი, ბომბი, გულში ჩავარდა,
უცხო გრძნობამ ნაწილ-ნაწილ დაშალა,
აწრიალდა ღამით კარში გავარდა,
დიდი გრძნობა, ცის ვარსკვლავებს ახარა!
ლიაც უკვე შეეგუა თავის ბედს,
ცალი ხელით ან რა უნდა აკეთოს,
ყველაფერი წარსულს უნდა ჩაბარდეს,
ცდილობს ლია სხვებიც გამოაკეთოს.

გაგრძელება იქნება.

წმინდა ნინოს საგალობელი

ანზორ ჯაფარიძე

წმინდა ნინო

მოდიოდა წმინდა ნინო, მოდიოდა
განა დიდი ლაშქარითა და ჯარით,
განა ხმლით და იარაღით, -
წინ მოჰქონდა თმით შეკრული ჯვარი.
ჯვარი ვაზის რქისგან ნაკეთები,
ასეთI ხომ ჯერ არსაით არის,
უფლის რწმენას წმინდა ნინომ გვაზიარა,
შეგვაყარა ვაზის წმინდა ჯვარით.
მოვდიოდით იმ დროიდან ღვთის შვილები,
თვალწინ გვედგა მადლმოსილი ქალი,
ქართველთათვის ძვირფასი და სალოცავი
ვაზის რქისგან თმით შეკრული ჯვარით.
ჩვენს სამშობლოს ესეოდა ყვავ-ყორანი,
უთვალავი ურდოთი და ჯარით,
ჩვენ ვიდექით შემართული სალკლდესავით,
თავს ვიცავდით მახვილით და ჯვარით.
გვეხვეოდნენ, არ გვზოგავდნენ, ვერა გვშლიდნენ,
სივდებოდნენ ბოღმითა და ჯავრით,
ღვთისმშობელი, წმინდა ნინო გვმფარველობდა,
გადავრჩით და არ ვემონეთ არვის!
დღეს კვლავ გვიჭირს, დაუდევრად მოვიქეცით,
შეგვიბილწეს ეკლესია, ჯვარი,
ღმერთო, ეს რა გვემართება, ეს რა მოგვდის,
ლამის მოვკვდეთ ბოღმითა და ჯავრით;
სექტანტები მოგვისიეს მრავლად, ურცხვად,
ათასგვარი რჯულისა და გვარის!
არ გვზოგავენ სისხლსა გვწოვენ,
ლამის გასკდეს გული მწარე ჯავრით.
წმინდა ნინოს ჯვარსა ვფიცავ,
მტერს აღვუდგეთ, ქართველებო, ჯარით!
ღვთისმშობელს ვთხოვ, გული ისევ გაგვირკინოს,
უფალსა ვთხოვ, მტერი გაწყდეს ჯავრით!

15.04.09.

არდავიწყება მოღვაწეთა



მეუფე თადეოზი
(მირიან იორამაშვილი)

წმიდა გიორგისადმი

იდიდოს შენი სახელი
ყოვლთა ბოროტთა მლახვრელი

წმიდავ გიორგი, ჰფარავდე
კეთილსა ქვეყანასაო,
გულდაწყლულებულს ჰკურნავდე,
თვალს აუხელდე ბრმასაო,
დააჯერებდე მოკვდავთა –
მთაზე შეადგამ მთასაო,
ვინც ვერა იცნას კეთილი
დააბრალებდეს თავსაო.
სიკეთის ზღვაში კეთილად
დააცურებდე ნავსაო,
ჭეშმარიტება მაღალი
გაგვინათებდეს გზასაო,
წმიდავ გიორგი, ჰფარვიდე
ქართველთა ქვეყანასაო.

1973წ.

* * *

მამაო ჩვენო, ცათა შინა მყოფო სუფევით,
წყაროვ ცხოვრების, სიყვარულის, თავისუფლების,
წმინდაა მარად სახელი და დიდება შენი,
ყოვლისმყრობელო, უკვდავების ნათელი გშვენის.
მამაო ჩვენო, საკვირველად მსუფევო ცაში,
მოველ ამ ქვეყნად სურნელოვან ვარდების გაშლით,
ჰყავ გული ჩვენი ანგელოზებრ უმაკნო ბავშვის,
ესაა ფრთები და ამ ფრთებით იფრენენ მაშინ
სასუფეველის სიხარულში და დიდებაში.

დიდებული უწმინდესს

გულთა მცნობელო, გულთა მხილავო,
წმინდა ჭურჭელო სული წმინდისა,
მამულზე ლოცვით ღამეთ მხმილავო,
გამფანტველი ხარ სოფლის ბინდისა.
შენთა საქმეთა მოთვლა ძნელია
რამდენს იღწვი და რამდენს მუშაკობ...
შემწე დიდი გყავს – წმინდა ელია
შენ საქართველოს მფარველ-გუშაგო...
ჭეშმარიტების მადლით მოცულო,
ღირსო დიდების – ტკბილად „აქსიოს“...
ერი კი, შენი, შენზე ლოცულობს,
მარადისობის მზედ რომ გაქციოს.
დიდ წინაპართა ნათელში ბრწყინავ,
ქართვლის სიწმინდის დროშად ქცეული...
საქრისტიანოს მიუძღვი წინა,
გლოცავს მესამე ათასწლეული.

მოკრძალებული და შვილური სიყვარულით
25. 12. 2012.

* * *

ო, ღმერთო ჩემო, ღმერთო დიდო, ღმერთო მაღალო,
რომელმაც შეჰქმენ ცა და მიწა, სრულად სამყარო,
შემიწყალებდე არა ღირსსა, შესაწყალებელს,
სული და ხორცი ჩემი ოდეს ერთურთს გაჰყარო...
შენი სიცოცხლე ერს უხარია

დე, ყვავილობდეს მართალი რწმენა
უწმინდესს

ღვთივკურთხეული სიცოცხლის ენა
და სხივკამკამა მარგალტები...
დე, ყვავილობდეს მართალი რწმენა,
იყავით მცველად ჭეშმარიტების.
მოგაგებს სამწყსო სამაგიეროს,
რა სიყვარულით თქვენ გიყვართ იგი...
ოღონდ ცით მადლის შუქმა იელვოს,
არ მოგვეშალოს წესი და რიგი...
დე, წმინდა ცრემლი ერის წყლულს ჰბანდეს,
გვლოცავდეთ მარად წმინდა ხელებით
და თქვენს ცრემლიან ღიმილში ჩანდნენ
ნუგეშმცემელი ცისარტყელები.

ამინ.

2001წ. 1 აპრილი

* * *

კურთხეულ იყოს ეს დღე, ეს წამი,
ცით ჩამოსული ნათლის ჩქერები,
დღეს მწუხარების ხუნდებს ლეწავენ
და ცის მოხილვას აგვაჩქარებენ –
ძალნი ცისანი – უფლის წყალობით
საკვირველნი და ელვიანები...
და უცნაური მაინც ის არი,
რომ მიწის მკვიდრნი აგვიანებენ,
ამ წამის ყოფა წუთისოფელში
თითქოს მარადის ვიყოთ დამრჩენი...
ღმერთო, შენ იყავ ჩვენთვის მოწყალე
და არ ღირს დარდად სხვა დანარჩენი.

სად ყვავილი სამოთხის

სად ყვავილი სამოთხის
ლამაზ თვალებს ახელს,
ზეცის წიგნი სიცოცხლის
ჩაწერს უკვდავ სახელს.
იგი მარადისია,
ზეცის წიგნი ტკბილია,
სხვა ვინ თქვენებრ ღირსია,
უწმიდესო ილია.
უწნიდესო ილია,
ცით ნაკურთხო მეუფევ!...
ლოცვა აღვლენილია,
მამულს მადლი შეუქე...
ქართველს შვილად მოსულხართ,
იმის სინდის-ნამუსად,
ხატებრ ეალერსებით,
ენასაც და მამულსაც...
შუქი ოქროფენილი, –
მამულის მთებს აანთებს,
თქვენი სიბრძნის წერილი
მომავლის გზებს ანათებს.
წუთისოფლის სიმძიმე,
თქვენი ღვაწლით ძლეულა,
დაგიბრუნებთ უფალი
ნაღვაწს ათასეულად...
... ხამდა ქება ციერთა,
არა ცოდვილ ენითა,
ჟამი განათლიერდა,
თქვენი დიდი რწმენითა.

მთები

მე ჩემი პაპის
პაპის პაპების,
პაპის პაპები
მგონია მთები.
ჩემო წმიდა ხატო
შენ ხარ ჩემი მზე და ჩემი სიხარული,
შენი მზე მათბობს და მიჩრდილებს ჩერო,
ჩემო წმიდა ხატო, რწმენავ, სიყვარულო,
ტკბილო სალოცავო – მამულო ჩემო.
შეხე შენს იარებს, რა გზებით იარე,
მაინც არ გატყდი და სიმაღლეს ჩემობ.
სიმღერით ირჩენდი ნახმლევ-ნატყვიარებს,
იმედით ცოცხლობდი – მამულო ჩემო.
დღე იყო დარით თუ ავდარით დამთვრალი,
სუსხი იანვრისა თუ ხვატი მკათათვის,
აკვანში გეწვინა ბევრი მზე და მთვარე,
ნანას ღიღინებდი ცეცხლოვან ყრმათათვის.

1973 წ.



ბეჟან ხარაიშვილი

ნაცვრა

და როგორც ლოთი, ლუდის ჯიხურთან
ფულით ამოვსილ ძველისძველ ჯიბეს,
ისე ვინატრებ შორენა გერქვას,
ცერზე წითელი მიმინო გეჯდეს.
და ვაშენებდე გაღმა-გამოღმა,
ორივე მკლავის დასაჭრელ კედლებს,
რომ სამოთხეში, გინდ ჯოჯოხეთში
თავთან დაკლული სიკვდილი მედოს,
ანდა ვაჟაის მთაში ჩამმარხა,
ხმელი წიფლისთვის სანედლო ფესვად,
ო, როგორ მინდა შორენა გერქვას,
ცერზე წითელი მიმინო მესვას!

რუსთავი

ამ დღეს ელოდი,
დუმდი, დუმდი ასეულ წლობით,
ველარ გადურჩი
ათას მომხდურს, ათას ურჯულოს
მეც შენთან ვიყავ,
იმ გრიგალებს მეც გავუძელი...
ვკოცნი ყვავილებს,
ქარ-წვიმიდან გამობღუჯულებს.
წამოიწევენ გორაკები შუბლნათურებით,
რომ მეც თანდათან მიმაზიდონ
ახალ პირიმზეს.
ფერფლზე ამოსულ
იმ ჭადრის ხეს ვექართულები,
ფესვი ხელახლა რომ გაუდგამს
მტკვირს ნაპირებზე.
და სტრიქონებიც
მერცხლებივით ცასთან შეხლილან, –
თითქოს ქოჩორზე გადამისვა ხელი თამარმა
დღეს შემიძლია დავიჭექო მტკვართან
მეხივით,
ბებერ მდინარეს
დავადევნო სიტყვა თამამად
მტკვარო, იყუჩე,
შენც გეყოფა წარსულზე ოხვრა,
სისხლო, იდუღე,
ნუ ჩადგები ძარღვებში მდორედ,
ხარო, იბღავლე,
პაპის გუთნით სხვა ბელტებს მოვხნავთ,
ფიქრო გამიძეხ, –
სადაც მიცდის მწვერვალი შორი!

რატომ გამიფრინდი?

ტყემლების თეთრი ფიფქი,
შენს ბაღში რომ თოვდა,
ნიავს გაზაფხულის
სუნთქვა შემოჰქონდა.
მათრობდა და მწვავდა
მაგ თვალების კრთომა,
მკერდი სავსე გქონდა,
როგორც შემოდგომა.
შენთვის ავირჩიე
ყვავილების კონა,
გვიღიმოდა არე
სხივით დაქარგული,
რატომ გამიფრინდი,
როგორც ჩიტბატონა,
ნუთუ ნაადრევად
მოდის გაზაფხული?

სხვაობა

მაგნიტოფონი მივიწყებულ სიმღერას იწერს, –
გულის ძარღვები მამულის სუნთქვას,
მაფნიტოფონი ჩანაწერის გადაშლას იწყებს, –
გულში ჩანაბეჭდს ვინ ამოთუთქავს?!
მაგნიტოფონი უცხო მიწის მსმენელსაც იწვევს
...მამულის ბედზე ვის უნდა უთხრას?!

გახსენება

გახსოვს? – მოდინახე,
ღვინო ალისფერი,
მთვრალი მგზავრები და შორი გზები...
წამომელანდები კლდეზე შემომდგარი
და ხელს გამოგიწვდი მორიდებით!
სიო ჩაიყურებს წამწამთ სიშავეში
შენ კი მთებს გაჰყურებ ნისლიანებს,
თრთოლავს გიტარა და მწვანე მოლზე
ღვინით სასმისები ივსებიან!
გახსოვს? – მოდინახე...
მზეი ჩამავალი,
გულთა იდუმალი ბგერის გადაცემა,
ხედავ? – ჩავჩურჩულებ და მთის ნაპრალიდან;
ქალაქს გადმოვხედავთ ალმაცერად.
ეკლებს გაურბოდი, წუხდი დამკაწრავსო,
თმები შინდის რტოზე დაგეწეწა,
ვკრეფდი ფურისულებს
ახლად დაჩიტულებს
მერე იმედივით გიწოდებდი,
ნისლში ირწეოდა მთიდან მონადირე,
ჟამთა ნასეტყვი და ნაწვიმები,
...დავრჩით ხელგაწვდილი მთის მწვერვალზე,
დავრჩით ასაფრენი არწივები!

შუმოდგომით

ფოთლის ცრემლში ტყის ლოცვათა ციმციმი,
ცვრიან მთაზე ცხვარის გადათოვლება,
ყვავილისკენ გადახრილი ყვავილი
და პასუხად კოცნის არ დაყოვნება...
მიყვარს ხოლმე ჩემი სოფლის ჭალაზე
სიმინდებში მთვარის ჩანამგალება,
კლდის ქვებიდან გადმომდულარ ჩანჩქერის
თვალით შესმა და წყურვილის წვალება...

მიყვარს ხოლმე ხევსურული ჩოხისებრ
გაშლილ ცაზე გადაწინწკვლა ვარსკვლავთა,
თავთუხებზე ხოხბის ფერთა ფენაში
უშენობა დაჭრილივით ჩავა და...
ვდგევარ ხოლმე... და ვიხსენებ იმ ღამეს
მტევნების თვე მიმაწურე ბაგეზე,
ფოთოლ-ფოთოლ გადაივლის ყვითლობა
შენ კი ისევ სიცოცხლეზე მაქეზებ.

გამოთხოვება

დათვის ჯვარს ვეფხვის ფერი დაჯაბნის
და სიმწვანეში ჩასთვლემს ხახმატი,
ნახვამდის ხევის მჟავე წყლის შხეფო,
მიწის მზექალო, შენაც ნახვამდის!
რა დამავიწყებს ბეწინას წისქვილს,
არაგვის ტალღის ქვებთან ხუმრობას...
მიყვარს ეგ მთა და ეგ ქალიც მიყვარს,
მაგრამ შევძლებ კი მაგ ხევსურობას?



მუხრან მაჭავარიანი

ჭეშმარიტად, - აფერუმ!

კვლავაც რომ ხარ ომახით
ალიკვალი ლომეკი!
ხმალ-დარაკას რომ არ ყრი, –
ხარ რომლითაც ამაყი!
ჭეშმარიტად, – აფერუმ! –
ქართულ დამღადასმული! –
ქართულ მზეს რომ ნატრულობს! –
ზედმიწევნით ქართულო –
ყველავ და ყველაფერო!

მე ბზიფთან ერთი ვიცი ურთხელი

მართალი გითხრა, –
ხე ყველა მიყვარს! –
მაგრამ ურთხელი, –
განსაკუთრებით! –
ის ვინაიდან,
ქვეყნად, ხეთაგან,
ყველაზე დიდხანს
ცოცხლობს, გეთაყვა!
მე ბზიფთან ერთი ვიცი ურთხელი, –
შოთა რომელსაც ახსოვს რუსთველი!

მკვთვთვის შუადღე ვრგვეთში

საცაა
მიწას აუვა ბოლი;
ზეცაა ლურჯი.
მზეა კაპრაში.
შავად ლაპლაპებს,
ვენახის ბოლოს,
ნაშთი ყორისა, –
ხვლიკების პლაჟი.

ვაჰმე!

ზოგმა დამკარგა!
ზოგი მომიკვდა! –
მეგობართაგან
შემრჩა ორითა!..
– სად ხარ?! – არ ჩანხარ! –
სხვა, – როგორა ხარ?! –
მესმის ხანდახან –
ცალყბად-შორიდან!..
ვაჰმე! – რა ხალხმა!
/ყველამ ჰა და ჰა!/ –
ვაჰმე! – რა ხალხმა
იჩონჩორიკა!
ღამეა ბნელი.
მონატრებით ნამყოს გავცქერი
/ფოთლებზე წვიმის მესმის თქარუნი/...
გულს მივსებს სევდით
/ვით შემთხვევა ჩემთვის საწყენი/
ამბავი, –
ჩემთვის
უაღრესად სასიხარულო.
ვარ მოწყენილი, –
სიხარულს ვწუხარ!
– რატომ წუხარო?! –
იმიტომ ვწუხარ, –
ეს სიხარული
ვინმეს რომ ვუთხრა, –
ვიცი, –
არავინ
მიიტანს
გულთან!
ღამეა ბნელი.
მონატრებით ნამყოს გავცქერი
/ფოთლებზე წვიმის მესმის თქარუნი/...
ახლა ცოცხალი ყოფილიყო
რომ დედაჩემი, –
ელირებოდა,
აი, როდის,
ეს სიხარული!

ანი

რა მნიშვნელობა აქვს ჩემთვის ანი:
წვიმაა თუ მზე?!
დღეა თუ ღამე?! –
ერთიც კი როცა არ შემრჩა კაცი, –
რო მივახარო, –
რაც გამახარებს!

აუ! – რას წვიმს!..

ქუხს და ელავს.
წვიმს და ელავს.
ბნელა.
ბნელა.
ბნელა.
ბნელა.
წყვდიადს ელვამ
არემარე
გამოსტაცოს
წარამარა.
ქუხს და ელავს.
წვიმს და ელავს.
– აუ! – რას წვიმს!...
ნენა!
ნენა!

ბიჭვინთა

წითლად განიხვნა ზეცის
კარიბჭე;
ხმელთით
ავარდა
ცად
ევკალიპტი...
ერთი
კარგი
დღე
/ვით არაერთხელ/, –
დღეს,
ერთხელ კიდევ
ჩა–
მო–
ყა–
ლიბ–
და!

ქარსაკუთარი თრთის მხდალი ვერხვი

ნათელყო დღემა, –
რაც ღამემ ბნელყო;
კაკალმა ტყემალს
ესროლა წენგო.
ემჩნევა ბექობს
გზა საცალფეხო.
ჩანს ბიჭი სერზე, –
არ ჰქვია სესე! –
არადა, ესეც
ქვებს
ესვრის
მერცხლებს.
ქარსაკუთარი თრთის მხდალი ვერხვი! –
არ იძვრის ძმერხლი, –
როა
მის
ფერხთით.

ნეცა

ჩამოეთრა ფეხად ზეცა;
გაილუმპა შრიალეთი...
ახლა,
ნეტა,
დამსვა მე და
მომცა
კარგი
წიგნი
ერთი!

* * *

ცისად ისეთი აღავლინა
შაშვმა მუდარა! –
ენა გაკმინდა
თვით ვერხცვმაც კი, –
ქარსაკუთარმა.

* * *

ღამე გაწყალდა, – გაილია, – გასიფრიფანდა, –
გამოიხელა მაყვლის ჩირგვი წახრილ იფანთან...
მზემ მეწამული ბეღლის კედელს სწყვიტა ლიბარ-
და, –
სიბნელე როცა მთლად განიფანტა.

* * *

თავისას წერას გაექცევა ამქვეყნად ვერვინ! –
ვერანაირი სიკვდილმისჯილს ვერ იხსნის ცრემ-
ლი!
თავს ჩემს ადგილზე წარმოიდგენს როს ჩემი მტე-
რი, –
ყველაზე დიდი დამცირება ესაა ჩემი!

* * *

ყოველნაირი სიხარული სევდისკენ მიდის! –
შენთვის უსაზღვროდ სახარული, –
ზრდაა შენი შვილის! –
შენს და მას შორის,
სამწუხაროდ, ზრდაა მანძილის!

* * *

ჭასთან, – თავისით ამოსული, – კოხტაობს იფნი.
იქვე მოხუცნი რაღაცაზე ბჭობენ ტირიფნი.
გალობს ბულბული / კაკალზეა, მე მგონი, იგი /!
კაკალქვეშ სამნი პატარათი ვჭუკჭუკებთ ჭიქით...
გალობს ბულბული...
– აი, – მესმის! –
იფ! – იფ!
და საიდანღაც /ილიასი/ ნაზი ბულბული
სტვენდა სიყვარულს /მაგონებდა!/ გაგიჟებული.

მაშინაც

ჭვრეტ შენსას როცა წინასწარ ბოლოს
/ხალხი ეძახის რასაცა სიკვდილს/, –
დიდად ვერაა სასიამოვნო! –
თუმცა,
ღვთის წინაშე,
ვერც იმას ვიტყვი, –
მცირე არ ეცხოს მას რაღაც ხიბლი, –
ანდა
ხიბლივით:
ყანა ზღვასავით კვლავ ილივლივებს!
კვლავ იბრჭყვიალებს მზე იაგუნდებრ! –
მაშინაც, –
ყალიონს რო მიაყუდებ!

გუშინაც რომ ხალხი იყო მამაცი

შენი რუსთველი,
შენი აკაკი,
შენი ფშაველა,
შენი ილია, –
დღეს რომ ხალხია, –
არა ამ ხალხის
(თავისი ჩრდილის რომ ეშინია!), –
გუშინ რომ ხალხი იყო მამაცი, –
იმ დალოცვილი ხალხის შვილია!



ივანე ნუცუბიძე

პოეტი ივანე ნუცუბიძე („გოჩაჯიხაიშელი“), 1876 წელს სოფელ გოჩა ჯიხაიშში (ხონი) გოგავების უბანში დაიბადა. მან წერა-კითხვა შეისწავლა მოძღვრისა და ცნობილი პედაგოგის ლუკა ჩომახიძის სამრევლო სკოლაში, შემდეგ კი თვითგანვითარებით გაიკვლია გზა. იგი ოცდაოთხ წლისა იყო, როცა მისი პოემები, ლექსები და მოთხრობები იბეჭდებოდა.

ხანმოკლე იყო პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების გზა. იგი 1899 წლის 20 იანვარს 23 წლის ასაკში ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. დაკრძალულია გოჩა ჯიხაიშში, თუმცა, სამწუხაროდ, მისი საფლავი დაკარგულია...

1895-1897 მისი ხუთი პატარა წიგნი გამოიცა, ხოლო 1900 წელს – დრამა-პოემა „შეშლილი“...

დრამა-პოემა „შეშლილი“, პოეტის გამოუქვეყნებელი ლექსები და რამდენიმე დრამატული ეტიუდი ინახება მისი შთამომავლის ივანე რეზოს ძე ბახტაძის ოჯახში...

***

გესმის ჩემი, სიცოცხლეო,
შენთვის ვრბივარ მინდორ-ველად.
ღმერთმან რისთვის გაგაჩინა,
ჩემი გულის დასაწველად.
შენი ეშხი შორიდანაც,
გულს მიდაგავს, მაგონდება.

გლეხო

იტანჯე, გლეხო, მუდამ შრომითა,
მანამ გისუსტებს მკლავი, მარჯვენა.
იყავ ერთგული შენი მამულის,
არ დაივიწყო სამშობლოს ენა!

სჭამე ალალი, სხვისი ნუ გინდა,
ოფლით იშოვე, ძამიავ, პური.
იყავ მნერგველი მუდამ სიმართლის
და შორს განდევნე სიბნელე, შური.

დე, ამ ქვეყნადა ყველამ გაძაგოს,
საიმქვეყნიოდ იყავ მართალი.
იქ გამოგვკითხავს ყველას ცოდვებსა,
თვით შემოქმედი, ღმერთი, უფალი.

თვალწინ მიდგას შენი სახე,
სადაც წავალ, არ მშორდება.
დავუძლურდი, რადგანაც რომ
შენთან არ მაქვს მოსვლის ნება.
მოდი, ტკბილად მესაუბრე
და მაღირსე განკურნება!

***

გასწით, გამშორდით სევდებო,
გული ისედაც დუღსაო.
თქვენ მაინც ჩამომეხსენით,
ბედისგან შენაწუხსაო.
გასწით, გამშორდით სევდებო,
თვალი სავსე მაქვს ცრემლითა.
გულ-მკერდი სისხლით ამევსო,
შეურყეველი გრდემლითა.
თქვენ კიდევ რაღას მეძალვით,
მწარედ რად მიჩხვლეტთ გულსაო
და ისეც გამწარებულსა
წყლულზე მიმატებთ წყლულსაო.
მეყოფა აწი, მაკმარეთ
ტანჯვა-ვაება მწარეო...
გულითა სევდის მზიდველი,
სამშობლოვ, მიმიბარეო!

***

პოეტის საფლავზედ

მუდამ ჟამს მემახსოვრება,
მოხუცო, შენი ჭაღარა.
მერწმუნე, ჩემმა თვალებმა
შენზედ ცრემლები დაღვარა.

ჩახველ საფლავში, დაობლდა
უშენოდ შენი მხარენი
და შენის მოგონებითა
ცრემლიც ცვივდებათ მწარენი.

უკუნის ძილმა შეგიპყრო,
დღესა ხარ მისვენებული.
უყურებ შენსა ქვეყანას
შორიდან თვალმინაბული.

არ დაგივიწყებთ არასდროს,
მოხუცო, შენის ჭაღარით.
ჩქარა გეწვევით ჩვენც მანდა,
ჩვენის დაფით და ნაღარით.

ხაბავშვო განყოფილება

ნაირა ნიჟარაძე

ყვავილების გამოფენაზე

ყვითლად ღაღანებს ალალი,
ბაბუა წვერა-კეთილი,
ოქროსფერია დაბალი,
სამკურნალოა მთავარი!
აბუმბულდება გაქრება,
ქარი წაიღებს ველადო,
ისევ ამოვა პაწია,
ყვითლად და ოქროს ფერადო.
მისი ფითლები სავსეა,
ვიტამინების მარცვლებით,
მდელოზე ბაღვენახებით
და ოქროსფერი ხავსებით.

ენძელა – ყველგან ცნობილი,
თავს ხრის ელვარე მზის სხივში,
მოლურჯო არს, ქათქათა,
თითქოს ბალახში იცინის.
რა ტურფა სანახავია,
ეს გაზაფხულის მაყრები...
ია, ენძელა,ტყის ფრინტა,
სულის პოეტთა მაყრები!

ყოჩივარდებო, – როგორ ზიმზიმობთ,
თქვენ გაზაფხულის ლამპიონებო,
ტყის პირას შენი ხალიჩებია
გალაღებული როგორ იცინით.
მიდის ზმთარი ტირილით,
ყოჩივარდების ხანძარით,
ჰოდა დადნება მიწაზე,
ეს ცივი თოვლის საფარი.

ჭყანტა – ხედავთ ჩასკუპულა,
ბალახებში როგორც კატა,
მოყვითალო სანთელივით,
ზოგჯერ მზისკენ სახეს ხატავს,
ტბებისა და ნაკადულებში,
ნახავთ არის ხავსიანი,
  არ მოწყვიტოთ ძირიანად
იგი არის შხამიანი.

ცისთვალა – გამოიღვიძებს
ბალახში ცისფრად ციმციმებს,
ის ხომ ზარმაცი არ არის
და გვიან ღამით იძინებს.

ფურისულები – აქ სხედან,
ტურფანი, გასახრები,
მწანეში ჩაბუდებულან
დაუჭყეტიათ თვალები.
ყვითლად მოისხამს მანტიას
ზოგს თეთრი კაბა აცვია,
სასარგებლოა მკურნალი,
კაკლის ოდენა არც კია,
ტყის პირას მოედებიან,
ვიტამინებით სავსენი,
დასუსტებულებს უხდება,
სასარგებლოა სავსებით.

გვირილა – გადაპენტილა,
საამო სანახავია,
უხვი ცვარნამის ლოდინში
,ფრთაგაშლილები არიან.
ყვითელ გულებით შემკობილს,
თეთრი არშია ასხია,

წვიმა თუ ბევრი დასცვივდა,
ქათქათა ყვავილს არ სცივა.
მოედებიან ველ-მინდვრებს,
ბავშვები გლეჯენ სირბილით,
ქსოვენ და ეფერებიან
თავს მოირთავენ გვირგვინით!

მიხაკი – ალისფერია,
ტანწერწეტადა მაღალი,
ჰოლანდიაში, რიგაში,
ჩინეთში მოჰყავთ ახალი,
ზოგი ხვთაებრივს უწიდებს,
დიდხანს არ ჭკნება ლამაზი,
ქორწილში ლხინში, საფლავზე,
ბრწყინდება როგორც ალმასი.
პოეტ ტიციანს უყვარდა,
გულზე იბნევდა სიამით,
არასდროს არავისათვის,
მოუტანია ზიანი.

გიორგინაა – ნარნარი,
წითელ-ყითელი ფერითა,
მისი სამშობლო მექსიკა
ჩანს ოკიანის გაღმიდან.
მეფს მიართვეს თესლები,
და განა ერთი ცალია,
დათესეთ გაახარეთო,
მეფმ უწოდა“ დალია“.
ბოტანიკოსის სახსოვრად,
ტურფას დაარქვეს“ გიორგი,“
– რა ლამაზია, – შეამკეს,
ნაზია როგორც პიონი.

თეთრია ნაზი მცენარე,
იქნებ ყველა ქალს უნდოდეს,
სილამაზისთვის პატარას,
მას“ გეორგინა ‘’უწოდეს!

გუგულისკაბა-ჯადვარი
წითლად იისფერ ყვავილით,
ნაზად შეარხევს ნიავი...
მიმზერის როგორც მკურნალი,
არავის ავნებს სიავით.

ნარგიზი ვარ კავკასიას,
ვუძღვნი ყველას სალამს...
და ვამზადებ მოყვრებისთვის
გაზაფხულის ატამს.

ხმალა – ზოგან წითლად, ზოგან ყვითლად,
ტანშიაც აქვს ალბათ ძალა,
აღმართულა ტანწერწეტა,
ამიტომაც ჰქვია ხმალა,
იშლება და თან ნაზდება,
ლამაზი აქვს მას ბოლოა,
აფრიკინდან მობრძანდება,
ძლიერების სიმბოლოა.

დუმფარა
ფართო ფოთლით, თეთრქათქათა
ტბაში ცურავს დუმფარა,
ზედ ბაყაყი შესკუპდება,
ფეხსაც წყალი უფარავს.

სვინტრი
სვინტრი მეტად მაღალია,
ორ-ორი თეთრი ყვავილით,
ყუნწებზე ჩამოკიდულა,
თითქოსდა არის დაღლილი,
მისი კენკრები ლურჯია.
შხამიანია ბოროტი,
ერთი მელუკა მოწამლა,
სიცხე აქვს თანაც ორმოცი.

ხარისთვალა-გყვავს ლამაზი,
შავი კენკრა აქვს ფარითა,
შხამით ავსია ბურთულა,
ძირში მოჭერით ბარითა.



ლენცოფა-იქნებ გეცნობა
შხამიანა ცუდია,
სუნიც მყრალი აქვს მოშორდით,
საშიშარს გვერდით უვლიან.

კესანე
ყვავილების ხალიჩად
დაფენილა კესანე
,ლურჯთვალებით მზირალი,
ლამაზი და ფერსავსე.

ღვინა
მთამაღალზე ხარობს ღვინა,
ღვინისფერად წევს და ძინავს,
გათენდება გაიშლება
მზის სხივების გულზე ფრინავს.

ლალა –
ეკლიან ბუჩქში იზრდება,

ლალა-იორდასალამი,
მუდამ ლალისფრად ანათებს,
თითქოსდა გვითხრა სალამი.

ქრიზანთემებო – ფერადო,
მზიან ამიდში ღელავდით.
ველს კელაპტარები აანთეთ,
თითქოს იყავით ჟღერადი.

– **ყვავილები** –
სხვაც ბევრი ხარობს ყვავილი
საქართველოა ედემი
ვარსკვლავით მოჭედილია,
ჭალა მინდორი ქედები.

ეს ჩვენი მიწა გულუხვი,
ყვავილმაც უნდა დაიცვას,
არ მიიკაროს მტრის ხელი,
ეკალ ჯავშანი ჩაიცვას.

ვისაც უყვარს და უვლის ყვავილებს,
ის უსათუოდ დიდხანს იცოცხლებს.
სიმშენიერეს მოტრფიალენი,
ცუდს არ ჩაიდენს უნდა იცოდეთ!

ნარცისი – ყვითლად დგას და ირხევა,
ტანწერწეტაა მაღალი,
არის ლეგენდა, რომ მოსწონს,
არის ზაფხულის შუამავალი.
რომში ახალ წელს, ყოველ ოჯახში,
უდგათ ნარცისი, როგორც ნაძვის ხე,
შვეიცარია დღესასწაულობს,
რწმენის სიხარულს უხვად არიგებს.
ამბობენ ,იყო ერთი ყმაწვილი,
უყვარდა მხოლოდ თავისი თავი,
ლამაზი ვარო, როგორც ნარციცი,
მზეც ჩემს წინაშე არისო შავი.



– იასამანი –
სპარსეთიდან მობრძანდება,
იასამნის ბუჩქი,
თვალწარწამტაცი მიმზიდველი,
მხატავს მხატვრის ფუნჯი.
შვილებს ვიზრდი უხვადო,
დიდ ფესვებზე ნყოფის მაქვს
ამაზე ნუ სწუხართო.
ავავსებ ბაღებს ყვავილით,
გავალამაზებ მხარესო,
ახალ სურნელით მოვხიბლავ,
ჩემს მზიან-არემარესო!

პიონი ახლოს წითლად ღაღანებს,
ბაღსაც და სახლსაც ძლიერ უხდება...
ფურცლები ქარით აქვს დაწეწილი,
და ეჯიბრება ფუნჯით ნახატებს,
პიონი თურმე ექიმს ერქვა და...
ის მკურნალობდა სიბრძნის მოწაფეს,
მასწავლებელმა შურით მოწამლა,
და ვერ უშველა კარგმა მოწაფემ,
თქმულება არის ღმერთმა უშველა
გადააქცია ლამაზ ყვავილად,
და ამის შემდეგ ის ხარობს ყველგან

სხვა ყვავილებზე უფრო ადვილად!

ვარდი, ტიტა დაზამბახი
თავს ხრიან დიდის ამბებით,
აფრქვევენ სურნელს, სიტურფეს,
არ უნდათ ლითირამბები!

ბულბული

– ნუ საყვარელო, ნუ კრთები, –
– ბულბულო, ჩაიღიღინე,
აქ, სამოთხეა ყვავილთა,
ღამე მთვარესთან იძინე.
მზე სათაყვანო ვიდრეა,
არ შეგაშფოთოს ყინვებმა,
თოვლი სხივებით დალღვება,
თუკი ბუნებამ ინება.
ამას შეჰყურებს თამამად,
საქრთველოში თალასი,
სავსეა ყვავილნარებით,
სასარგებლოა ბალახიც.
ვაზები როგორ ხარობენ,
გადახუნძლულნან მტევნებით,
ქვემოთ ხასხასებს იონჯა,
მარცვლისგან მონაშენები.
ჩვენთან იფრინეთ ფუტკარნო,
აქ, მშენიერი მხარეა,
ვარდებს მოწუწნეთ გულღვირძლი,
ტკბილია განა მწარეა.

ასეა საქართველოში,
ხარობს ყვავილთა ედემი,
ქალივით მოკაზმულია,
ჭალა, მინდორი, ქედები.
მაგრამ მტერი ჰყავს ამ მიწას,
დიდდ გზიდან გადმომავალი,
ვიცი დაიცავს ყოველთვის,
ეს ჩვენი შთამომავალი!

გულნაზ ხარაიშვილი

ქეთინო ნიკურაძე

1 ივნისი - ბავშვთა დაცვის დღე მირზა გელოვანის სახელობის ბიბლიოთეკაში

მირზა გელოვანის სახელობის ბიბლიოთეკაში ჩატარდა ღონისძიება პირველ ივნისს, ბავშვთა დაცვის დღეს. ღონისძიება გახსნა ბიბლიოთეკის დირექტორმა ქალბატონმა ქეთევან ნიკურაძემ.

თბილისის 179-ე სკოლის ბავშვების ღონისძიება ძირითად შინაარსობრივად უკავშირდებოდა ანბანის გაცილებას. მეოთხე დ) კლასის მოსწავლეები ანბანის თითეულ ასოზე შექმნილ ლექსებს ზეპირად და მხატვრულად წარმოთქვამდნენ, ტექსტი ეკუთვნოდა ამავე კლასის პედაგოგ ქალბატონ მზია ელიაძეს. აღსანიშნავია პედაგოგის დიდი ნიჭი. იგი პოეტი გახლავთ და ამავე დროს არის ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის წევრი.

ღონისძიებაზე მოწვეულები იყვნენ აკადემიის წევრები: პოეტი ლამზირა შეყილაძე, პოეტი ხათუნა ელიაშვილი. შემაჯამებელი სიტყვა წარმოთქვა ბიბლიოთეკის დირექტორმა, ქალბატონმა ქეთევან ნიკურაძემ და პატარებს გზა დაულოცა.

ნატალი
გაფრინდაშვილი

მარიამ
ბეგლარაშვილი

მათე
დათუკიშვილი



ელენე
ლემონჯავა

გიორგი
ფაცურეიშვილი

ანა
სააკიანი



ნიკოლოზ კაკულია

ელენე შავშიშვილი

ლიკა გარნოვი

დავით გეგლარაშვილ

ბარბარე
ნოზაძე

ცოტნე
მამისაშვილი

მარიამ ჭიხორია

ემილი ჯავახიშვილი

გოჩა
ჩუთლაშვილი



მარიამ
სალუქვაძე

ანი ახვლედიანი

სანდრო გოგოქური



მარიამ
გრძელიშვილი

ნიკოლოზ
აბრამიშვილი



ნინო ბერიძე

ნიკა ხერგიანი

ქეთი ჯალაბაძე

მარიამ ზარანდია

ნატალი
გაფრინდაშვილი

მარიამ
ბეგლარაშვილი

ელენე ლემონჯავა

ანა სააკიანი

ელენე შავშიშვილი

ლიკა მარნოვი

მარიამ ჭიხორია



მარიამ სალუქვაძე

ანი ახვლედიანი

ლია ბეჟანიშვილი

ბებოს კაბა

ბებოს კაბა აჩვენა,
გუშინ ლიზას ტასომ,
– ძველებური მოდაა,
დღესაც ძვირად ფასობს.
მოსვენება დაკარგა,
აფუსფუსდა ლიზა,
– არავის ვეკითხები,
ახლა რასაც ვიზამ.
გვერდებს ჩავუვიწროებ,
დავუმოკლებ ბოლოს,
სახელოებს რა ვუყო,
ეს არ ვიცი მხოლოდ.
თუმცა ამას რა უნდა?
სულ წავაჭრი ძირში,
მაინც დამეთხუპნება
ტალახსა და ფქვილში.

გულმოკლული ციყვი

– საახალწლო გოზინაყი-
თავს იკლავდა ციყვი,
– შესანახად სხვენში
ავდგი,
არ ვიყავი ბრიყვი?!
თაგუნებმა შემისანსლეს,
გამოუღეს წირვა.
დედა თაგვს რომ
მოვახსენე,
ისე გაიკვირვა,
ვითომც გემო არ ენახა,
დავაყარე მეხი,
ჩემთან მოსვლა
ავუკრძალე,
ავუკვეთე ფეხი!

გულიანი მომვლელი

ბაღში ვინ შეიპარა,
ვინ დაჩხვლიტა ნესვები?!
ვინ ითავა ექთნობა,
გაუკეთა ნემსები?
ამას ვინ ჩაიდენდა? –
უსათუოდ მურია,
ის და მისი ლეკვები,
ბაღს გულდაგულ უვლიან.

ყოჩაღი ვასილი

ხვალ სათიბში მიჰყვება
თედო პაპას ვასილი,
მთელი ღამე ფხიზლობდა
სიხარულით აღვსილი.
ადრიანად წამოხტა,
წყლით აავსო ხელადა,
გზას გაუდგნენ, ვიდრე
მზემ
ცხრა მთა შეაფერადა.

ციცო და მურა

– ფუნთუშა რად
შემიჭამე?!
ცრემლებსა ღვრის ციცო,
–
– გაგებუტე მურიკელა,
დღეიდან არ გიცნობ!
– მაპატიე, საყვარელო,
თუ ვიწუწკებ კიდევ,
მაშიმშილე, ოღონდ
თვალზე
ცრემლს ნუ დაიკიდებ!

მოსიყვარულე

– გამარჯობა, მამალო, –
მიესალმა ლეკვი,
– ჩემთან ახლოს მოიწი,
მაგ ღობეს რას ეკვრი?!

იცი, როგორ გიხდება
ეგ წითელი დეზები?
სულ შენთან ვითამაშებ,
ვიდრე არ მოგბეზრდები.

შველი

მიშა პაპამ მომიყვანა,
თვალხატულა შველი,
გრძელკისერა, ხალიანი,
ჩვენი ეზოს მშვენი.
ორი დღეა არ ხალისობს,
მოენატრა დედა,
თვალები რომ აეცრემლა,
განა ვერა ვხედავ?!
ისევ ტყეში წაიყვანოს, –
უნდა ვთხოვო პაპას,
მისი ცოდვით ჩემს
საყვარელ,
ნაყინსაც ვერ ვყლაპავ

ბებოს პირობა

– ვინც პირველი პირს
დაიბანს,
მას შეხვდება ტაფამწვარი.
ფისო უკვე ილუკმება:
– რა ვქნა, ბავშვებს
დავასწარი.

სიხარული

ხვალ სოფელში მივდივარ,
ოდელია-დელია,
ბებია და ბაბუა,
რა ხანია მელიან.
თვალწინ მიდგას ორივე,
ჩემზე ფიქრში გართული,
ბაბუ კართან დამხვდება,
ჯოხით წელგამართული,
სოფელში დამხვდებიან,
ქაქუცა და ჯოყოლა,
აუ, რამდენ ამბების
მომიხდება მოყოლა!

პატარა მხატვრებს

დახატეთ, ყველამ
დახატეთ,
ყანები, მინდორ-ველები,
გულს ჩაიკარით ყვავილნი,
მზისაგან მონაფერები,
დახატეთ მურა, ბაჭია,
თვალებხატულა მამული,
ბალახ-ბულახი დახატეთ,
ხასხასა, გადანამული...

დახატეთ, კიდეც წაშალეთ,
ისევ დაიწყეთ თავიდან,
ციცქნა ხელებო იჩქარეთ,
სანამ ბავშვობა გავიდა.

თარგმანები

მაყვალა გონაშვილი

პოემა

მარ ბაჯიევი

დიადი ლაშქრობა ჩინეთზე

(გაგრძელება)

პოემის დასაწყისი იხილეთ
ანთოლოგიის №№ 3-7 ტომსა და ჟურნალი
„ათინათის“ №№ 18-31 ნომრებში

ნუთუ შედრკით ყირგიზებო,
გიყურებთ და არა მჯერა,
თავს დავესხათ და გავკოჭოთ
სანამ ბუნაგშია მელა.
მტერზე ერთად გავილაშქროთ,
მე ვიქნები ალამდარი,
შინ მშვიდობით დავბრუნდებით
ოქრო-ვერცხლით და ნადავლით.
ვინც თავს ომში ისახელებს
მშობელ მიწას ვინც დაიცავს,
ორ ცხენს მივცემ სანაქებოს,
თითოეულს, თენგირს ვფიცავ!“
ერ-მანასის სიტყვამ ყველას
გაუღვივა ცეცხლი გულში,
ახლა უკვე თვით სიკვდილსაც
არ აგდებენ აინუნში.
აჩოჩქოლდნენ მეომრები,
დაიძახეს: „მანას, ვაშა!
გაგვიძეხი გმირთა გმირო
დიდ ჩინეთზე გასალაშქრად.
თავის ერთგულ ხალხს მანასი
ცრემლიანი თვალით უცქერს,
ხელი აღმართა ბელადმა
გაირინდა ჯარი უცებ.
– წინ რთული და გრძელი გზაა
და სასტიკი გველის ბრძოლა,
ერ-ბაკაის, ჩვენს აღსაკალს
ვნიშნავ ჯარის წინამძღოლად.
თქვენ რას იტყვით ჩემო ხალხო?
ასეთია ჩემი ზრახვა“,
„მამაცია ერ-ბაკაი“,
ყველა მანასს დაეთანხმა,
ჯარებმა რომ მიაღწიონ
ჩეტ-ბეიჟინს, ჩინურ ქალაქს,
ყველა კუთხეს კარგად იცნობს,
ჯარს გაუძღვეს, ვთხოვოთ ალმას.
ალმანბეტმა კარგად იცის
ჩინეთის კუთხე-კუნძული,
ყველა ქალაქს, ყველა სოფელს
მიაგნებს თვალდახუჭული“.
„რაცა ბრძანე, მართალია,
იყოს ასე!“ – უთხრეს მანასს,
თუმცა ექვსი დიდებული
რაღაც კუშტად უმზერს ალმას.

. . . .
ირიჟრაჟა, ნათელმა მზემ
გაუღიმა მიწას ციდან,
შუბებსა და მუზარადებს
თითქოს ცეცხლი წაეკიდა.
გმირთა-გმირი ერ-მანასი
იურტიდან გამოვიდა,
მიესალმა მამაც ლაშქარს
და უფალი განადიდა.
ცისკენ აღმართა ალამი
მეწამული, სისხლისფერი,
გაახელოს მეომრები,
შიშით დააჩოქოს მტერი.
მეორე ხელში უჭირავს
ბასრი ხმალი აჩ-ალბარსი
შეძახილით ჯარს ამხნევებს
გმირთა-გმირი ერ-მანასი.
როგორც მთიდან ნიაღვარი
გზებს აბნელებს, მოდის ჯარი,
თითქოს უკვე დაავიწყდათ
საფიქრალი, საწუხარი.
ყველა ხუმრობს, მხოლოდ ერთი
ერ-მანასი არის უბრად,
ალმანბეტმა უთხრა: ძმაო,
სახე რატომ მოგეღრუბლა?
ვიცი, გულს რა დარდი გიღრღნის,
შენს ხვაშიადს კარგად ვხვდები,
ან რა დაშავდება ამით,
ცოლს თუ დაემშვიდობები?
არვინ იცის, წინ რა გველის,
წამო კანიკეი ნახე!

ამ სახელის ხსენებაზე
ერ-მანასს გაეხსნა სახე.
მეომრებმა გაიცინეს: –
„შეეცვალა ხასიათი,
მართლაც დიდი მექალთანე
არის ჩვენი გოლიათი“.
აკ-ორგოდან[1] გამოვიდა
კანიკეი – თეთრი გედი,
თან მხევლები მოჰყვებიან,
როგორც მთვარეს ვარსკვლავედი.
და ორმოცი ლამაზმანი
მოკრძალებით თვალებს ხრიდა,
მათ ნახვაზე მეომრები
ჩამოცვივდნენ ცხენებიდან.
ერ-მანასი იცინოდა,
„ვერ გავიგე აქ რა ხდება,
უძლეველი ჩემი ჯარი
დაამარცხეს ლამაზებმა.“
კანიკეიმ უთხრა მანასს:
„მუდამ დაგელოცოს გზები,
როგორ გაგვაბედნიერე,
ხანო, შენი მობრძანებით.
სალამს გიძღვნით გოლიათებს,
გიმასპინძლებთ ყველას გულით...
და ქალის ხმა რაკრაკებდა,
როგორც წმინდა ნაკადული.
ტულპარს ხელი გადაუსვა,
ემორჩილებოდა რაშიც.
მშვენიერმა ერ-მანასი
შეიყვანა იურტაში.
გოლიათი გააბრუა
არაყმა თუ ქალის სითბომ,
თითქოს მოხვდა სამოთხეში,
დრო გაჩერდა წამით თითქოს,
კანიკეიმ უთხრა მხედრებს: –
„ვიცი რთული გიხმობთ გზები,
თურმე ჭიანჭველებივით
ფუსფუსებენ ჩინელები.
ლომგულებო, ვიცი, რომ მტერს
გამარჯვებით შეებმებით,
ჩვენ ვილოცებთ, ლაშქრობიდან
დაგვიბრუნდეთ გამარჯვებით.
შეგიკერეთ ბუშმეტები
მტერი რომ არ მოგერიოთ,
იცნოთ თანამებრძოლები
და სხვაში არ აგერიოთ.
აჰა, თავზე დაიხურეთ
თეთრი თავსაბურავები,
ეს ქუდები სიმბოლოა
ჩვენი თოვლიანი მთების.
დაარიგეს სამოსელი
ბრძოლაში ფასდაუდები,
მშვენიერ ქალთა სიკეთემ
მოაჯადოვა მხედრები.
ვით ფერიებს, ციდან მოსულთ,
უცქერიან შიმუნვარებს,
ცრემლს იკავებს კანიკეი,
ალმანბეტს დარდს უზიარებს. –
თავი ვეღარ დავაღწიე
შავბნელ ფიქრებს, დარდის მორევს,
რასაც გეტყვი ალმა, ძმაო,
გთხოვ, კარგად დაიმახსოვრე.
სასიკვდილო გელით ომი,
არვინ იცის რა იქნება,
ვინ დარჩება ბრძოლის ველზე
ცოცხალი ვინ დაბრუნდება,
ჩემს ქმარს ვთხოვდი, თავს არ ედო
ჩინელებთან მძიმე ომი,
არვის უსმენს ერ-მანასი,
მძვინვარეა, როგორც ლომი,
ერ-მანასის სიყვარული
და სიცოცხლე, სხვა რა მინდა,
მეშინია, რომ უშვილოდ
არ წავიდეს ამ ქვეყნიდან.
მეც ხომ მინდა ერთი ვაჟი
ნაზად ჩავიკონო მკერდში,
ვერაფერი შევასმინე
მანასს, ბრძოლის ჟინით შეშლილს.
ქელეხები, ნადიმები,
ბრძოლა ძალაუფლებისთვის,
ნუთუ ეს არის ცხოვრება?
ვიბადებით ნეტავ რისთვის?
გავთავდი მუდამ ლოდინით,
ქმრის ალერსს დანატრებული,
უშვილო ქვრივად არ დავრჩე,
მე ამაზე მწყდება გული.
ერ-მანასის სამი ცოლი
ერთი ბედით ვართ შეკრული,
ერთი კაცის სიყვარულით
სანთელივით ანთებული.
დღე და ღამე, მუდამ ველით
ჩვენს მბრძანებელს სამი ქალი,
მესამე ვარ, სიყვარულის
წყურვილი ვერ მოვიკალი.
შორს არის ჩემი სამშობლო,
სპარსელი ვარ ბუხარადან,
როცა ამ სოფელს დავტოვებ,
რომ არ ჩამყვეს საფლავს დარდად,
ალმანბეტო, ჩემო ძმაო,
მსურს ანდერძად დაგიბარო,
ყირგიზეთის მთებში მინდა
ჩემი ნეშტი დაიკრძალოს.
მთელი გულით შევიყვარე,
ეს ზღაპრული მიწა-წყალი,
გთხოვ, დაიცვა ჩემი ქმარი,
ყირგიზების ალამდარი.

[1]აკ-ორგო – თეთრი იურტა.

გაზაფხულის ამინდივით
ხასიათებს იცვლის უცებ,
მაგრამ ვიცი, რომ გოლიათს
მკერდში ბავშვის გული უცემს.
მხოლოდ შენი იმედი მაქვს
ერ-მანასზე შენ იზრუნე,
მტერზე უფრო საშიშია
მოღალატე და მოშურნე.
მასთან იყავ ჭირშიც, ლხინშიც,
მუდამ გაუმართე ხელი,
ჩემს სიყვარულს შენ გაბარებ,
აარიდე განსაცდელი.
ჩემი მზეა ერ-მანასი
და უმზეოდ ნეტა ვინ ვარ,
უფალსა ვთხოვ, კიდევ ერთხელ
რომ მეღირსოს მისი ხილვა.
ერ-მანასის სიცოცხლისთვის,
გეფიცები, სულსაც დავლევ,
გევედრები ალმანბეტო,
გაუფრთხილდი, მოუარე.
ალმანბეტმა უთხრა: ჯენე[2],
რატომ ტირი ასე მწარედ?
უფალს ვფიცავ, ერ-მანასი
მე ძმასავით შევიყვარე.
თავად უფლის რჩეულია,
კარგად ვიცი მისი ფასი,
მთელი მისი მხედრიონიც
ერთგულია ერ-მანასის.
მისი ორმოცი ძმობილი
არასოდეს მიატოვებს,
მანასს შენ ჰყავხარ, ქალ-ღმერთი,
ვინ თქვა მისი სიმარტოვე.
მე ვარ დაო, სამშობლოდან
განდევნილი და ეული,
ჩემს თავს ვეძებ, ვერ ვპოულობ,
დავალ ჟამკარარეული.
შევიყვარე ყირგიზები
მივუძღვნი თუმცა გული,
მაინც ყველა უცხოდ მთვლის და
დავრჩი ასე მარტოსული.
ნახევარი ცხოვრების გზა
გავიარე მარტომ უკვე,
ერთადერთი სიხარული
თქვენი დაა არუუკე.
ერთი შვილიც კი არ მრჩება,
რა შევმატე ნეტა სახელს,
ნეტავ რისთვის გავჩნდი ქვეყნად,
ნეტავ რისთვის ვივაგლახე.
რა არ ვნახე, ვერაფერი
ვერ გავუგე ბედის ტრიალს,
მხოლოდ არუუკეს ცრემლი
გამაცილებს ოხერ-ტიალს.
ამ გულს როდი დაეცემა
მშობლიური მიწის ბელტი,
არ მსურს ვინმემ თქვას, ამაოდ
წავიდაო ალმანბეტი.
ამიტომაც მივალ ჩინეთს,
საბრძოლველად გული მიცემს,
გამარჯვებით ერ-მანასის
ძლიერებას განვამტკიცებ.
თუნდაც ათასი ღრუბელი
ვერ დამალავს ცაზე მნათობს,
ქვეყანა რომ გაძლიერდეს
უნდა ერთმა ხანმა მართოს.
ამ სიტყვებზე კანიკეიმ
მადლობა შესწირა ალმას,
მისი ფარული ზრახვანი
მართლაც რა იცოდა ქალმა.
რა იცოდა, ალმანბეტის
თავში სულ სხვა აზრი ქროდა,
როცა ჯარს ომში უხმობდა,
ხალხის ბედზე არც ფიქრობდა.
რა იცოდა, წყვდიადია,
როცა სულში სხივი ქრება,
ან ალმანბეტს როგორ სურდა
კონურბაის დაჩოქება.
როგორ უნდა აღედგინა
კვლავ ღირსება შელახული,
რომ ბურულჩას ეკუთვნოდა
მხოლოდ მისი სიყვარული.
შურისძიების წყურვილი,
რომ სათავედ უდევს ცოდვას.
სიტყვა სხვაა, ზრახვა სხვაა,
კანიკეიმ რა იცოდა.
. . .
მანასმა ბრძანა: – „წავედით!“
აგუგუნდა დობულბასი,
დროშა წითლად აელვარდა,
ჩინეთისკენ მიდის რაზმი.
ცოლები ცრემლებს მალავენ
აცილებენ ქმრებს ღიმილით,
დედები – ნატვრით და ლოცვით
და ბავშვები — შეძახილით.

[2] ჯენე – მიმართვა უფროსი ძმის ცოლისადმი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

Ratiani Lali
Doctor der deutschen Philologie

WEG DES RUHMES
Fortsetzung

Jawohl, alle gratuliereten uns, sie wollten sich mit uns persönlich bekannt machen.Man lud uns überall, um Poesieabende durchzuführen. .

Da Frau Gulnasi diesen Abend auf ihre Iniziative selbst geplant und von Anfang an bis zun Ende organisiert hatte, sollte man aber dazu nicht uns, sondern ihr gratulieren

Es begann alles so: einmal lieβ Frau Gulnasi uns in die Akademie kommen. Sie sagte zu uns:"ich habe beschlossen, ihren Abend im groβen Tempel zu führen. Die Organisierung übernehme ich, sie sollen nur kommen und ihre Kunst zeigen."

Wir gerieten in Verwirrung und wuβten gar nicht, was für eine Antwort wir ihr auf solch ein gutes Angebot geben sollten. Da wir ihren Charakter gut kannten, daβ sie den Entschluβ sehr schnell faβt, der rasch in Erfüllung gehen soll, haben wir ungeachtet dessen ihr damit im Nu zugestimmt, sind wir darauf eingegangen. Gulnasi kann sich daran einfach nicht gewöhnen und sie liebt es auch nicht, die Zeit zu dehnen. Was es aber die gegensätzlichen Meinungen angeht, ist sie in der Lage, sie sich ganz leicht anzuhören. Wenn sie aber von einer Idee entflammt ist, soll es nicht gelöscht werden. Es wird alles gut klappen, wenn man einfach daran glaubt und sie bis zum Ende führt.

Frau Gulnasi hat uns bis zum unseren schöpferischem Abend einiges Mal angerufen. Es gab auch, ehrlich gesagt, einige Treffen, die uns mehr davon informierten was und wie sie es machte, ohne es uns etwas beauftragt zu haben. Bei einem sochen Treffen hat Frau Gulnasi direkt mit Herr Nadaraja Nugsar telefoniert und ihn darum gebeten: er möge seine Leute einschalten und einen Abend auf Ehre zwei jungen Leute im Namen beider Akademien führen und ihr bei der Organisierung dieser Veranstaltung helfen. Herr Nadaraja hat diesen Vorschlahg sofort ohne Verzug angenommen.Von diesem Moment an waren die Jugendliche davon überzeugt, daβ alles ein gutes Ende nehmen könnte.

Frau Gulnasi hat bei der Durchführung des Abendes die Vertretter der Kirche und auch selbst Erzbischof Thadeus als dritte Kraft, dritter Flügel eingesetzt.

Der Veranstaltung hatten letzten Endes sowohl die bekannten als auch unbekannten Personen verschiedenen Alters beigewohnt.Ich kann mich gut an die ersten vier Redner erinnern: Charaischwili Gulnasi, Nadaraja Nugsar, Erzbischof Thadeus, Kolchidaschwili Marina, die ihr eigenes Lied nach dem Gedicht von Tthadeus gesungen hatte.Danach ging ich zur Tribüne und habe die Führung übernommen.

An einen Menschen schätze ich am meisten die Treue und auch Dankbarkeit hoch.

Ich bedankte mich natürlich bei Frau Gulnasi für diese Feierlichkeit, die sie uns geschenkt hatte. Ich bin ihr sehr dankbar dafür. Ich habe diesen Abend doch ihr gewiedmet. Ich habe dabei einen zweiten Menschen erwähnt, dem ich den im Sameba-Tempel oganisierten Abend auch gewiedmet habe. Das ist Frau Guralia Nunuka, die auch einen groβen Verdienst vor meiner Gruppe hat.

Aus dem Standpunkt der Seelichkeit waren wir alle vier, Bazikadze Kacha, Suchbaja Giorgi, mein Bruder Lomadze Waso und auch ich in guter Form gewesen.Wir konnten an diesem Abend unsere eigene Gedichte grenzlos, unendlich vortragen, aber wir haben das nicht getan. Wir haben im Gegenteil unsere Aufmerksamkeit und die Zeit mehr dem Publikum geschenkt, weil viele das Wort ergreifen wollten. Daβ wir unsere Aufmerksamkeit auf das Publikum gerichtet hatten, wurde es auch entsprechend, hochgeschätzt.Wir waren von ihnen warm und freundlich

aufgenommen worden, was es sich bei ihren Auftretten ganz offen gezeigt hatte. Ich habe mir besonders gut den Auftritt von Thumanischwili Mischo gemerkt, der mich als eines der Friedenssymbole erwähnt hatte.

Thumanischwili Mischo ist ein junger Dichter, der auf jedem Fall jünger als ich in der Tat ist. Er zeichnet sich durch die poetische Fähigkeit und auch durch seinen geraden und manchmal skandalösen Auftritt aus. Eine krawalle Rede hatte er vor einigen Jahren in Tbilissi gehalten, als er solch eine Erklärung gemacht hatte, daβ "Sgwari"die beste Gruppe aller Zeiten ist (hier werden natürlich die schöpferischen Gruppen gemeint werden) Nach dieser Erklärung fuhr er in den Bezirk Chaschuri, ins Dorf Chzisi, dortchin, wo er lebt. Wir blieben aber hier unter manchen neidischen Menschen gegenüber, die über die Rede von Thumanischwili empört wurden.

Sie fratgen uns ziemlich gereizt, ob es in der Wirklichkeitt so sei, daβ wir alles und allen überschritten hätten.

Meine Antwort darauf war jedesmal das, daβ es natürlich nicht so war und Mischo vielleicht einfach Spaβ gemacht hatte.

Ungeachtet dessen soll es anerkannt werden, daβ wir uns über einen skandalösen Auftritt des Dichters Thumanischwili Michael (Mischa) als Namensbruder des Regisseurs Thumanischwili Micheil gefreut hatten. Die Angehörige der Gruppe "Sgwari" sind doch die Menschen und es ist nicht zu staunen, daβ sie sich über die Anerkennung gefreut hatten. Es gibt hier ein Moment, daβ sie manche Anekennung und die Lobsagungen verdient und die anderen aber nicht verdient hatten.

Der Lob macht es den Menschen auf jeden Fall doch Freude und es ist doch ganz anders, ob es gut oder schlecht ist…

Kommen wir zum im Tempel organisierter Abend wieder zurück. Ich werde ihn jetzt ausführlich nicht beschreiben, aber sage nur das, daβ der Abend mit dem von Kubaneischwili Manoni gesungenen Lied "Awe Maria"geschlossen wurde. Es war aber keine bekannte Version des Liedes von Schubert gewesen. Der Autor dieser Schöpfung ist selbst der heiligste und seligste Ilja der zweite. Die Fähigkeit unseres kirchlichen Steuerführers scheint, in der Tat allumfassend und unfangreich zu sein.

Ich möchte zum Abend noch eine Geschichte hinzufügen: Das war für uns der erste schöpferische Abend, dem Kachas fast alle Familienangehörige beigewohnt hatten. Vielleicht deshalb haben wir diesen Tag gut behalten. Von den Mietgliedern der Gruppe "Zgwari"hat an diesem Tag sein erstes Gedicht, die Schöpfung unter dem Tittel "Rustaweli" selbst Kacha vorgetragen.

Es ist zu staunen, daβ das Schaffen dieses Gedichtes mit dem Name von Charaischwili Gulnasi verbunden ist. Ich will über diese Geschichte auch erzählen:

Bei der Behandlung einer Frage waren nur wir: Kacha, Frau Gulnasi und ich einmal in der Akademie bis zu späteren Zeit geblieben, während sich die Anderen verstreut waren.Nachdem dieses konkrete Problem, das wir behandelten, gelöst wurde, haben wir uns über unser Liebling- und gewöhnliches Thema-über Poesie und die Poeten unterhielten. Wie es für den georgischen Charakter eigen ist, klärten wir eine Frage darüber, wer aller Beste ist.

Wir haben viele Epiker, die mit Rustaweli selbstverständlich nicht konkurien können.

Was es aber die Lyriker anbetrifft, haben wir von ihnen, wie es aber öfter vorkommt, eine legendäre Triumvirat-Barathaschwili, Galaktion, Graneli ausgewählt, die die Anderen übertreffen, einen Vorrang haben.

Unser Final sieht, also, so aus: Rustaweli(Epik), Barathaschwili, Graneli(Lyrik)

Wir haben, kurz gefasst, sowohl schwache als auch starke Seiten von den Einzellnen behandelt,-wenn solche idealen Poeten die Schwäche haben könnten.

Kacha und ich zogen anschlieβend ungeachtet dessen Rustaweli bevor, aber ein "entscheidendes Wort" gehörte zu Gulnasi. Ich habe gemeint, ehrlich gesagt, daβ Frau Gulnasi Galaktion auswählen werde, weil sie in ihrem Gedicht diesen Dichter, wie ich mich erinnern kann, angehimmelt hatte.

Man sagt, daβ jeder Anhäger der georgischen Literatur ihren eigenen Galaktion hat. Ich stelle hier ihnen solchen größten Vertreter des Familinamens von Tabidze vor, wie es sich in den Gulnasis Gedanken und Vorstellungen, Einbildungen gezeigt ist:

'' Galaktion lebt bei Herr Gott;
Er versucht, Göttern sein Gefühl anzuvertrauen;
Dort ist in der Nähe Göttin, namens Meri,
Er zieht dem Meer und der Erde sie vor,
Für ihn ist sie Pflanzen- und Tierwelt
Ihre Schönheit ist in seiner Seele steckengeblieben,
Diesen groβen Last hat er ins Himmelsreich mitgenommen.
Er ist krank an der Liebe zu Gott,
Er hat sich von dieser Krankheit nicht behandelt;
Er sucht nach einer schönen Frau niergendwo, -
Meri ist eben für ihn geboren.
Ich werde die Kerze anzünden, um mich an den Dichter zu erinnern,
Ich werde ihm auch das Gedicht widmen,
Vor mich das Kreuzzeichen machend,
Die Gottesliebe und die Sternfarbe leuchten die Nacht
Mit dem eingestürzten Gedanken zusammen."

So, Frau Gulnasi schreibt über Galaktioni auf diese Weise. Solche Vergötterung eines genialen Menschen der Lyrik gab mir einen Grund, mich daran zu denken, daβ unsere Unterhaltung anschlieβend mit der Galastriumph enden würde.

Aber, ich habe mir geirrt……

Unsere Gulnasi erzählte uns, daβ sie beim Lesen der Werke dieser Poeten vielmals übernachtet habe, Barathaschwili, Galaktion und Graneli seien für sie die größten Sterne in der ganzen Welt, aber, selbst Rustaweli Schota sei die ganze Welt.

Kacha und ich verwunderen uns über Gulnasis erstaunliche Worte sehr. Sie wurden von uns mehr als reim- und rytmloses Gedicht und nicht als ein Gespräch aufgenommen.

An einem zweiten oder dritten Tag nach diesem Erreignis hat Kacha mir sein Gedicht vorgetragen, das folglich unserer Unterhaltung geschaffen wurde. Dieses Gedicht ist von mir als Rustawelis Monolog aufgefasst worden. Die Zait verging. Kacha hatte eben mit dieser Schöpfung seinen Auftritt im groβen Tempel eröffnet und dann noch zwei lyrische Werke: "Gefühl- als Welt"und (etwa später, als er zum zweten Mal zur Tribüne ging)-"Stürmischer Paβ"vorgelesen.

Ich schlage ihnen vor, Kachas Gedicht"Rustaweli" zu lesen, das von Gulnasis Worten entflammt ist.

"Die Dichtung ist mein Schwarm,
Wie die Kreuzung Esuas Schwarm ist;
Ich weiβ, daβ ich
Auf den höheren Himmel emporblickend,
bis zum Weltall stets gehe.
Ehe ich in den groβen Wellen des kosmischen Lichtes
Den Aufenthaltsort von Esua nicht sehe
Ehe das Herzensnachdenken mit der Unsterblichkeit nicht beschmückt wird…
Ich will Gott in die Augen blicken…
Mir ist es, als gliche mein Sehnen dem Traum,
Die Seele bliebe in der Not …
Den Himmel sähe ich wieder empor,
Weiβe Stimme des Frostes erzeugte Klang von den Gebirgen,
Seht, wie Esua selbst einen dornigen Kranz der Poesie auf meinen Kopf aufsetzt!
Ich fühle mich: die Poesie ist mein Schwarm."

Eben mit diesem Gedicht wurde unser Schöpferischer, Poesieabend im Tempel eröffnet worden.

Anschlieβend möchte ich noch etwas über diese Veranstaltung hinzufügen: Phareschaschwili Giorgi, Sordie Luara, Gergedawa Lamara, Schekiladse Lamzira und viele Anderen sind diejenigen, die Frau Gulnasi bei

der Organisierung dieses Abendes Hilfe geleistet haben. Deshalb will ich diese Menschen auch hier erwähnen.

Vielmals habe ich darüber gesagt, daβ die Poesie die Folge der Begabung, der Arbeitsamkeit, der Zielstrebigkeit, auch der Qual und der Plage ist. Ein echter Dichter soll ganz besonders in allen diesen vier Aspekten sein.

In Frage kommt, welche von diesen Aspekten am wichtisten ist?

Meine Antwort darauf ist das, daβ die Begabung besonders wichtig ist, weil sie aller Anfang, Ansatz ist und sie an der Spitze steht. Die Fähigkeit macht die Menschen unruhig, die die Menschen zum Gipfel führt.

Es ist zu schwer, solche talentvolle Menschen zu finden, die in den Hauptbeschäftigungen ihres Lebens arbeitsunfähig sind, obwohl für das Talent nicht selten charakteristisch ist, zu den anderen Betätigungen zu faullenzen.

Es ist schwer, solch einen begabten Menschen zu finden, dem es an der Zielstrebigkeit fehlt.

Man kann solch einen begabten Menschen nicht suchen, der sich im Leben nicht leidet und nicht plagt. Die Fächigkeit als Gefühlskind, ein groβes Gefühl, die Empfindlichkeit wird mit der **Tragik zusammen fast immer durchs Los entschieden werden.**

Gulnasis Begabung, ihre groβe Empfindlichkeit zeigt sich besonders gut in den Gedichten, die sie ihrer verstorbenen Mutter gewiedmet hatte. Eines der Gedichte habe ich schon in dieses Buch eingesstzt. Das zweite Gedicht hat mir so gefallen, daβ ich es auch abschreiben soll.

"Du lagst auf dem Balkon, Mutti,
Und blicktest auf das Ende des Weges.
Die Traurigkeit und Betrübnis lieβ dich nicht in Ruhe…
Das ganze Leben hast du dich uns geopfer.
Dich ermunterte das Knarren der Toren,
Dadurch wurden deine geheime Nachdenken gescheuert;
Bald wurdest du durchs Dsirualas./Fluβname/ Geräusch geweckt;
Bald nahm dir das bittere Glück das Herz heraus…
Ich möchte dich nur sekundenlang sehen,
Ich vermisse deine Liebkosungen so sehr,
wie das Gras-den Morgentau,
das ohne ihn leise verwelkt …"

Wenn ich dieses Gedicht vorlese, habe ich solch ein Gefühl, als hätte man auf dem Blatt nicht nur Zeilen geschrieben, sondern dunkelblaufarbige Traurigkeit gezeichnet. Auf dieser Trauer, ähnlich dem Stimmgabel, wird solch eine groβe poetische Welt aufgebaut werden, die die Dichterin mit ihrer erstaunlichen Zielstrebigkeit schafft. Die Wehmut ändert ihr Antliz, ihren Charakter, aber ihr Wesen bleibt unverändert:sie rühren, die Epfindlichkeitssaiten der Menschen an, wodurch die Welt und auch die Universumseinigkeit völlig aufgeffasst wird.

Und der Mensch fühlt sich, daβ er in der unendlichen Einsamkeit auch nicht allein ist.

Sie schreibt, daβ sie ihre Liebkosungen so sehr vermisse, wie es die Kraut nach dem Morgentau durstet.

Beim Lesen fühlt man sich solch eine rege Verbindung zwischen den Lebendigen und Toten, (erinnern wir uns an Swetizchoweli:lebendige Säule), daβ man an die Existenz des Todes nicht glaubt.

Der Mensch, über wen man schreibt, wird während des Lesens lebendig werden: man kann sich vorstellen wie er war und wie er alles überlebt hatte, was für eine Empfindlichkeit er hatte, ob er ein guter Mensch oder barmherzig war, …Da sieht er das Ende des Weges als das Wahrzeichen der vergangenen Tage, auch des eigenen Endes…

დათო ყანდაშვილი

გულნაზი ხარაიშვილი

ამაღლება

მინდა ავმაღლდე და მივწდე ზეცას,
ჩამოვიწიო მზეთა სხივები,
დღეს მინდა ჭრელი სამოსი მეცვას,
გულზე მეკიდოს თეთრი მძივები!

დღეს მინდა თეთრი ქოშები მეცვას
და ნეფედ მყავდეს ჩემი ვახტანგი,
ვიღაც ბოროტის თვალი თუ მეცა,
თორემ მე ხურდას არვის ვატანდი!

მინდა ავმაღლდე და მივწვდე ზეცას,
ვუთხრა: სად არის ჩემი ქმარ-შვილი,
სანამ, სიცოცხლეს ამომიცენცავს,
სანამ ღრუბლებად ამ გულს დავშლიდი..

დღეს მინდა ჭრელი სამოსი მეცვას,
დავფუსფუსებდე ჩემს დიდ ოჯახში,
ბედო,ალბათ შენ იქეცი მხეცად,
შემომეჭერი,ჯიქურ ოთახში...

რას მიზამ, უკვე მოვკალ სიკვდილი,
გავხდი კეთილი, უსათნოესი,
რადგან არა გაქვს ბედო სინდისი,
მე კიდობანი მიცდის ნოესი.

Это и есть вознесение

хочу подняться, достичь до неба,
спустить лучи – любовь всех солнц,
переодеться в радужных одеждах,
на фоне белоснежных, светлых бусс!

хочу насить сегодня черевички,
Вахтанг мой рядом будет обитать,
кто меня сглазил, что со мной случилось,
ведь здачу, я умела, никому не отдавать!

хочу подняться, достичь до неба,
сказать: где муж мой и мой сладкий сын,
пока жизнь вичтит дни мой на свете,
и моё сердце в тучи разбредит...

хочу одеть радужные одежды,
хочу крутиться в моей большой семье,
судьба, жестокий, дикий, безпощадный,
ворвалась в комнату моём, как лютый зверь...

что сделаешь со мной, ведь смерть уже убита,
уже я милосердна, источник доброты,
и раз судьба, ты потеряла совесть – ты забыта,
меня ждёт Ноего кавчек, корабль пути.

ბეჟან ხარაიშვილი

სიყვარული იწყებოდა ასე!

გახსოვს? ღამე სოფლის განაპირას,
კოდის წყალთან ხელადები ვავსეთ,
გეჩქარება? – გკითხავდი და დუმდი...
– სიყვარული იწყებოდა ასე!

სიზმრად გნახე, ღია სარკმლის იქით
გეხვეოდა ანგელოზთა დასი,
მოჩვენება? არა, ცხადი იყო...
– სიყვარული იწყებოდა ასე!

შენს თვალებში ციმციმებდა, მახსოვს,
უსაზღვრო ცა, იმედებით სავსე,
ძილი გსურდა? არა, ღამისთევა...
– სიყვარული იწყებოდა ასე!

ტოტებ-ტოტებ მოგყვებოდა მთვარე,
კოდის წყალთან ხელადები ვავსეთ,
გეჩქარება? – გკითხავდი და დუმდი...
– სიყვარული იწყებოდა ასე!

Любовь наша начиналась так!

Помнишь? ночью, сельская окрайна,
Брали воду в речке, в тихий мрак,
Ты спешишь? – спросил я, ты молчала...
– Любовь наша начиналась так!

Сон приснился, за окощкам ближним
Ангели с тобой хотят играть
Привидилось? нет, всё было явью...
– Любовь наша начиналась так!

Помню, в очи твой отражались,
Чаянием полным благодать,
Спать хотела? нет, была ты бодрой...
– Любовь наша начиналась так!

Меж ветвями нам луна светила,
Брали воду в речке, в тихий мрак,
Ты спешишь? – спросил я, ты молчала...
– Любовь наша начиналась так!

თარგმნა ***დათო ყანდაშვილმა***

პროზა

რევაზ მიშველაძე

ფამეზა

რომანი

(გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ ჟურნალ „ათინათის“ №№28-31-ში)

მეორე ნაწილი
ბელურა გემის ანძაზე

***

მე, პატივცემულო, ჭიჭიკო თარგამაძე გახლავართ. 1917 წლის აპრილის ექსპედიცია გეცოდინებათ ისტორიიდან, ალბათ. არ იცით? 1917 წლის 17 აპრილს გერმანიიდან თერთმეტმა ქართველმა იარაღი ჩამოვიტანეთ საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის დადგენილებით. ის იარაღი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას უნდა მოხმარებოდა და მოხმარდა კიდეც. მე იმ ექსპედიციის მონაწილე ვარ. ისტორიული ექსპედიცია იყო ნამდვილად. ორმა მონაწილემ დაწერა მერე ამ ამბავზე მოგონებები: მიხაკო წერეთელმა და კალისტრატე სალიამ, მაგრამ მე არც ერთი არ მასახელებს. არ გავახსენდით, როგორც ჩანს, ისე, როგორც მე არ მახსოვს ახლა თერთმეტივეს გვარი, შესაძლებელია, არც ჩემი გვარი სცოდნოდა მიხაკო წერეთელს მაშინ.

საქმე ასე იყო:

1917 წელია. რუსეთში თებერვლის რევოლუცია მომხდარია. რუსეთი ომს აგებს. მე ბერლინში ვცხოვრობ და მეეტლეობით ვირჩენ თავს. ჩემი ეტლი მყავს და ცხენები. საღამოსპირია. მოვიდა მელიტონ ქარცივაძე. ჭიჭიკო, მითხრა, ხომ გინდა საქართველოდან რუსებს რომ დოვუსვათ ღარი და აღვადგინოთ ჩვენი დამოუკიდებლობაო. მაგი ვის არ უნდა, მე ვუთხარი. თუ წამოხვალ, რომ რამე იყოს, ორი კვირით? გერმანელები იარაღს გვაძლევენ და უნდა ჩავიტანოთ საქართველოშიო. ყოყმანი არ დამიწყია. დავყაბულდი მაშინვე. სამმა კაცმა ვითავეთ ეს: გიორგი მაჩაბელმა, მიხაკო წერეთელმა და მეო. გიორგი მაჩაბელს და მიხაკო წერეთელს არ ვიცნობდი მაშინ, მელიტონს კარგად ვიცნობდი და სამარის კარამდე ვენდობოდი.

ბერლინიდან სტამბულამდე მატარებლით, სტამბულიდან ტრაპიზონამდე გემით ჩავედით. შვიდი გერმანელი გვახლავს, დარჩეული ბიჭები.

ტრაპზონში ორ დღეს გავჩერდით. საჭმელსასმელი მოვიმარაგეთ, წყალქვეშა ნავი იარაღით დავტვირთეთ და ის დროა, დავემშვიდობოთ ტრაპიზონს. პირველი მელიტონ ქარცივაძე ჩავიდა წყალქვეშა ნავში. მე ბოლოს მიწევს ჩასვლა, ეკიპაჟს ვეხმარები, ღუზის ბაწრები უნდა ავხსნა. სამიოდე კაცია დარჩენილი და მიხაკო წერეთელი აწრიალდა. მივა კიბესთან, გამოტრიალდება, სხვას უთმობს ადგილს, აშკარად ჩანს, წასვლა გადაიფიქრა. რა მოგივიდაო, გიორგი მაჩაბელი ეკითხება. დამიჯერე, გიორგი, ჩემი წამოსვლა არ შეიძლება. მე აქ უნდა ვიყო. ბრესტლიტოვსკის ზავზე საქართველოს წარმომადგენელი რომ მოიკითხონ, ხომ უნდა იყოს კომიტეტიდან ვინმეო. ესეც არ იყოს, იარაღის წაღება შავი საქმეა. ამ საქმეში ჩემი ჩავარდნა არ შეიძლება. სხვა ფუნქციები მაქვს მეო. თვითონ გერმანელებმა რომ გაგვყიდონ და ფოთში თავამოყოფილებს ხიშტმოშვერილი რუსები დაგვხვდნენ, ხომ იცი, სახრჩობელა არ აგვცდებაო. გიორგი მაჩაბელმა რევოლვერი დააძრო და მშვიდად უთხრა: ახლა, მიხაკო, ამ ლაილაის დრო არ არის. ეგ, რასაც მე მეუბნები, კომიტეტზე უნდა გეთქვა. ახლა შენი დარჩენა შიშით ან გამცემლობით იქნება ახსნილი

ისტორიის მიერ. მე ხომ ვიცი, შენ არც მშიშარა ხარ და არც შპიონი, ამიტომ ჩადი ახლავე ძირს, თვარა დაგათვლი ამ ტყვიებს ბეჭებზეო. სულელი ხარ შენ, მაჩაბელო. გაწიე იქით, არ გაგივარდეს, ვითომ ხუმრობით უთხრა მიხაკომ და ჩავიდა. ბარემ აქვე გეტყვი: მიხაკო წერეთელი მართალი აღმოჩნდა.

ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულების მომზადების დროს საქართველოს წარმომადგენელი არ ჩანდა თურმე. რუსებს საქართველო ფეხებზე ეკიდათ, გერმანელებმა არ იცოდნენ, ტაოკლარჯეთი რომ ჩვენი მიწა იყო და რაღაი საქართველოს ინტერესებს არავინ იცავდა, თურქები არ მოიმდურეს. ასე მიისაკუთრა თურქეთმა საქართველოს უძველესი მიწა და, რაც დრო გადის, ტაოს დაბრუნება მით უფრო გაჭირდება. მით უმეტეს, რომ აგერ, ახლა, ჩვენმა ხელისუფლებამ თურქეთს ხელი მოუწერა: თქვენთან ტერიტორიული პრეტენზიები არა გვაქვსო.

ისევ წყალქვეშა ნავს დავუბრუნდეთ. ექვსი დღეღამე ვიცურეთ და, რავარც იქნა, ჩამოვაღწიეთ ფოთს. ფოთიდან შვიდ კილომეტრში, გამთენიისას მივადექით ნაპირს. გადმოვტვირთეთ იარაღი, დავემშვიდობეთ გერმანელებს და წყალქვეშა ნავმა რომ ჩაყვინთა, ცოტა არ იყოს, შიშმა აგვიტანა. სად მიდიხარ, რას უშობი ამდენ შაშხანას, პისტოლეტს და ტყვიაწამალს.

გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო; ფაცხაფუცხით, ჭაპანწყვეტით მივმალეთ არსენალი ლერწმიანში. ცოტა სული მოვითქვით და მოვილაპარაკეთ: სამსამად დაყოფილნი ახლომახლო ჩირგვებში გავნაწილებულიყავით ისე, რომ იარაღისთვის თვალი არ მოგვეშორებია. მელიტონ ქარცივაძემ და მე სოფელს მივაშურეთ, სანდო კაცი უნდა მოგვეძებნა.

სოფლის განაპირას პირველსავე ისლით დახურულ ქოხს მივადექით. ყაბალახიანი, ტყაპუჭიანი, ჭაღარაწვეროსანი კაცი გამოგვეგება. ცოტა შემკრთალი (რომ ვერ გვიცნო) ჩანდა, მაგრამ მჩატე, ჩქარი ნაბიჯით მოდიოდა ჭიშკრისკენ.

– გაგიმარჯოთ, პატენი, – გვიპასუხა სალამზე და რაკიღა შეგვატყო, მეგრელები არ ვიყავით, აქცენტიან, მაგრამ საოცრად დარბაისლურ, გამართულ ქართულზე გადავიდა.

შინ შეგვიპატიჟა, მაგრამ მელიტონმა იუარა, ცაცხვის ხის ქვეშ მივჯექით. მასპინძელი ნიკო ხორავა აღმოჩნდა.

– ნიკო ბატონო, ჩვენ ბერლინიდან ჩამოვედით, ემიგრანტები ვართ. ახლა დროა და, ეგების, ამ ძაღლთაპირ რუსებისაგან დავიხსნათ ჩვენი ქვეყანა. გაიგებდით, ალბათ, ფინლანდია დაუძვრა უკვე რუსებს, დამოუკიდებელი გახდა. ასე უნდა ვქნათ ჩვენც. თუ თქვენნაირი ხალხისაგან შემწეობა იქნათქვა, მელიტონმა.

ნიკო თავის ხელებს დასცქეროდა.

– მე პოლიტიკის ბევრი არაფერი გამეგება, მარა საქართველოსთვის, ბაბა, ამ წუთში დავდებ ამ ბებერ, გამხმარ თავს ჯირკზე. თქვენ ნასწავლი ხალხი ხართ და გაზომილაწონილიც გექნებათ, ალბათ, რანაირად აჯობებს ქვეყნის შველა. ა, ბატონო, ნიკო ხორავას მარჯვენა და მადლობელი ვიქნები, თუ მეტყვით, რა უნდა გავაკეთო მე, ასე, ერთმა, კერძო კაცმა.

– იარაღი გვაქვს ჩამოტანილი. ერთი კვირით უნდა ჩაგვამარხინო სადმე და უდარაჯო თვალისჩინივით. ერთ კვირაში მოგაკითხავენ და წაიღებენ ჩვენი ბიჭები.

– იოლი სამსახურია. ერთ კვირას თვალის მომხუჭავი და სანამ პირში სული მიდგას, თქვენი მოღალატე შეჭამოს იქეთ მამალმა მგელმა, – ისე წყნარად, დამაჯერებლად გვეუბნებოდა ნიკო, რომ აშკარად ჩანდა, სიტყვის კაცი იყო.

შემოგვთავაზა; სამოთხ სანდო კაცს გავაჩენ აქვეო, მაგრამ მელიტონმა უარი უთხრა, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, სჯობს, შენთან, ერთთან, გვქონდეს მარტო საქმეო.

დაღამებამდე ნიკოს ქოხში ვიჯექით.

კარგად რომ შებნელდა, ხორავამ გვიწინამძღვრა და შეთქმულებს ჩავაკითხეთ. იარაღი იქვე სამასიოდე მეტროში კვადაცითა და შურამია ბალახით დაბარდულ ჭალაში ჩავმარხეთ. სულ 1000 გერმანული შაშხანა იყო და 500 პისტოლეტი თავისი ოცი ყუთი ტყვიაწამლით. ჯერ ფრთებგაუმაგრებელი, მოხალისეებისაგან შეკოწიწებული ქართული ეროვნული ლაშქრისათვის ეს ცოტა არსენალი როდი იყო. იმ შაშხანებითაც ებრძოდნენ, პატივცემულო, ოცდაერთის თებერვალში ჩვენი მამაცი, პირტიტველა იუნკრები კოჯორთან მომხვდურ წითელ ჯარს, ზოგმა თქვენმა კოლეგამ

„გამათავისუფლებელი“ რომ უწოდა და პოემები უძღვნა.

ერთი თვის შემდეგ ნიკო ხორავა გიორგი მაჩაბელმა, მიხაკო წერეთელმა და მელიტონ ქარცივაძემ თამარ მეფის ორდენით დააჯილდოვეს საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში აქტიური მონაწილეობისათვის. რომ იცოდე; თამარ მეფის ორდენიც დამოუკიდებლობის კომიტეტმა დააარსა ბერლინში 1915 წელს.

გავიდა კიდევ ცოტა ხანი და 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა.

ბატონო სტუდენტებო

ოცდაოთხი წლის აჯანყების ფენომენი დღემდე სათანადოდ შესწავლილი არ გახლავთ.

რა იყო ეს?

განა აჯანყების მოთავეებმა მაინც არ იცოდნენ რუსის მარწუხებიდან თავის დაღწევა რომ არც ისე იოლი იყო.

და მაინც გაბედეს.

ამ ისტორიული გაბედვების გამო ეძახიან საქართველოს „ურჩ საქართველოს“.

თუმცა ქართულმა სულწასულობამ აქაც იჩინა თავი.

ყური დამიგდეთ:

* * *

გემახსოვრებათო? მემახსოვრება კი არა, მონაწილე ვარ, ბატონო, 1924 წლის აჯანყების.

ოთხმოცდათექვსმეტი წლის გახლავართ ახლა მე. ცხრაას ორში ვარ დაბადებული.

ოცდაორი წლის ბიჭი ვიყავი მაშინ და, რას ჰქვია, მემახსოვრება. მახსოვს და მეტი არა? თითქოსდა გუშინ მოხდა ყველაფერი. რომ შევადარო ახლა ერთმანეთს, არ გამცინო და, ომის მერე მომხდარი ეს ბოლო ამბები არ მახსოვს ისე კარგად, ალბათ, ასაკის ბრალია, ადრინდელი კი ყველაფერი შენახულია თავში.

მიკვირს პირდაპირ: ოცდაოთხი წლის აჯანყების მონაწილე ხუთი აღარ იქნება ახლა ცოცხალი და ჩემთან რომ არც ადრე და არც ახლა ერთი ჟურნალისტი არ მოსულა, არავის რომ არ უკითხავს, რა იყო, რანაირად იყო, მოყევი ერთი, თუ კაცი ხარო.

ამ ჩვენს დაბაში ოცდარვა კაცი ვიყავით ჩვენ, შეთქმულები.

რას ქვია შეთქმულები – მანამდე ზოგი არც ვიცნობდით ერთმანეთს.

ისაკაძე გაგიგონია, ალბათ, ერთერთი მეთაური იყო აჯანყების, ამ ჩვენს მხარეში. ოცდაოთხში დახვრიტეს საწყალი.

ეს ისაკაძე ჩემ წინ ცხოვრობდა, აგერ, ასე, ოცი ფეხის ნაბიჯზე, მარა ბოლო დროს მიდღემჩი არ იყო სახლში. დადიოდა თურმე ამ საქმეზე.

საღამოსპირია, აგვისტო, ჩემს ჭიშკარს მოადგა ცხენით. თეთრ ტაიჭზე იჯდა. შავი ჩოხაახალუხი ეცვა, ცხენი ფრუტუნებდა და ტრიალებდა ციბრუტივით. ძაღლი ყეფს, ანგრევს ჭიშკარს. ცხენი იუცხოვა, ალბათ, თვარა თვითონ ისაკაძეს არ შეუყეფდა, იცნობდა.

გავედი.

გამარჯობა, გაგიმარჯოს და ღიმილით მეკითხება (ხელში მოკეცილი უჭირავს მათრახი): ხომ გინდა რუსების და ბოლშევიკების გარეკვა საქართველოდან, გოგია, შენო.

მაგი ვის არ უნდა... მე ვუთხარი.

აპა, სიაში მყავხარ და ხვალ დილას ყვირილაგაღმა ხიდთან ექვს საათზე გამოცხადდი თოფითო. მე იქ არ ვიქნები, მაგრამ სხვები იქნებიან, ჩვენი ხალხი და, ერთი სიტყვით, როგორც გეტყვიან, ისე მოიქეციო. ეს ამბავი ამაღამ არავისთან წამოგცდეს, თვარა დეიღუპება საქმეო.

რას ჰქვია წამომცდეს, ძლივს საქმეს დავადექით და წამომცდება?

მანამდე მარტო ლაპარაკი იყო, მეტი არაფერი.

უკმაყოფილო იყო ხალხი, აბა რა იქნებოდა, სამი წელიწადი თავისუფალი ვიყავით და ისევ შამევიდა რუსი, ისევ დაგვაჭირა ჩექმა ყელზე. ა, რავარც ახლა მოხდა ოთხმოცდაცამეტში, ისე

მოხდა მაშინაც.

ერთი სიტყვით, ლამპის შუქზე ვტენი პატრონებს, ვალაგებ პატრონტაჟში, გახალისებული ვარ, ვუსტვენ ისე, ჩემთვის, სიხარულისაგან.

შემატყო მამაჩემმა, მამაჩემი ხეიბარი იყო. პირველი მსოფლიო ომის მონაწილე. ცალი ფეხი ბულგარიაში დატოვა, ფრთხილი კაცი იყო.

ბოლშევიკებს ნუ აგინებთ, ბაბაია, თვარა განახებენ სეირს მაგენიო, გერმანია ვერ მეერია ბოლშევიკებს და თქვენ მეერევით, გუშინდელი ღლაპებიო?

რა უნდოდა ისაკაძესო, მამაჩემმა.

არაფერი, ისე მოგვიკითხამეთქი.

მეტი შეკითხვა აღარ ვაცალე, დილით კურდღელზე მინდა ჭალაში გავიდემეთქი.

მე ვიცი, რაცხა კურდღელზე მიდიხარ, შენო. ნუ აყობი, მამაჩემსა აქვს ცხონება, მა გადარეულ ისაკაძეს, თვარა მოგატეხინებს კისერს და გაგახსენდება მერე მამაშენის ნათქვამიო. პასუხი არ მიმიცია, რა აზრი ჰქონდა, მე ხომ მაინც არ დავიშლიდი ჩემსას.

ექვს საათზე მოვგროვდით ხიდთან. ოთხ რაზმად დაგვყვეს. თითო რაზმში შვიდი ბიჭი ვიყავით. ოთხი ობიექტი უნდა აგველო: რევკომი, ჩეკა, მილიცია და ბანკი.

ჩვენი რაზმის უფროსი კორბოულელი ფალავანდიშვილი იყო. ოცდაჩვიდმეტში დახვრიტეს უბედური. ჩვენ რევკომის დაკავება შეგვხვდა. ცოტა მილიციაში მოუწიათ, როგორც მერე გვითხრეს, ბიჭებს ბღლარძუნი, თვარა, რავარც მე და შენ არ გვისვრია თოფი ერთმანეთისთვის, ისე არ გავარდნილა თოფი იმ დღეს.

ოცდარვა კაცმა ევიღეთ, ბატონო, მთელი ამხელა დაბა.
ხალხს არც გოუგია არაფერი.
გამეიღვიძეს და უკვე აღარ იყო საბჭოთა ხელისუფლება.

აივანზე ვიჯექით და ვიცინოდით შეთქმულები.

რომ შემოაჯირითებდნენ რევკომის მუშაკები ეზოში ცხენს, ერთს ალმაცერად შემოგვხედავდნენ და გაბრუნებას დააპირებდნენ, მაგრამ აღვირში ვწვდებოდით, ზრდილობიანად ჩამოვაბრძანებდით ცხენიდან და „ვთხოვდით“, საკითხის გარკვევამდე თავლაში მოეცადათ.

რევკომის ეზოში თავლა იდგა და ის გამოვიყენეთ წინასწარ საპატიმროდ.

შუადღემ რომ მოაწია, ფალავანდიშვილი შტაბიდან მობრუნდა და ორი ბიჭი – მე და მერჯეველი გველესიანი წაგვიყვანა, ხუთი კაცია დასაჭერი და მილიციაში ამოსაყვანიო.

ვინ იყო ის ხუთი კაცი: ერთი ჩეკას უფროსის მოადგილე იყო – ვაშაძე. ჩანს, რაღაც დაყნოსა და არ მოვიდა სამსახურში. მეორე – ფოშტის გამგე საბანაძე – აგენტი იყო ბოლშევიკების და დანარჩენებიც, ამნაირი ხალხი. ოჯახებში მოგვიწია შესვლამ და ჩხრეკამ.

იმ ხუთიდან ერთი ავიყვანეთ მარტო. დანარჩენებმა მოასწრეს მიმალვა. თუ რა მოხდა, ვერ გეტყვით. მე მგონია, გაყიდული იყო ეს ჩვენი საქმე.

ორმოცდახუთი წლის მერე შევიტყვეთ: გადადებული იყო გამოსვლის დღე, მაგრამ ყველას გაფრთხილება ვერ მოასწრესო.

მაშინ ეს არავის უთქვამს, ახლა გაირკვა, რა ვიცი, იქნებ ასეც იყო.

შევდიოდით ოჯახებში. ვეძებდით ამ ხალხს, მაგრამ ერთი გამოვაყოლო რაღაცა ხელს, მევითბო ამ ჩხრეკაში ხელითქვა, გაგიგონია? თავშიც არ მოგვსვლია ასეთი რამ.

ახლა რომაა ერთმანეთში არეული ყაჩაღი და პატრიოტი, ასე კი არ იყო.

ჩვენ ქვეყნის გასათავისუფლებლად შეთქმულები გახლდით და რავა ვიკადრებდით, ბატონო, სხვისი წკირის მითვისებას და მიტაცებას.

შუადღე გადასული იყო, რევკომში რომ მოვბრუნდით.

მოგვშივდა, რაღა დაგიმალო, ჩვენც და ჩვენს ტუსაღებსაც, თავლაში რომ გვყავს დამწყვდეული.

პირველმა სიხარულმა მალე გაიარა და, გითხრა სიმართლე, არც ისე სახარბიელო ყოფილა ხელისუფლების აღება.

მე მეგონა, ყველაფერი შეიცვლებოდა. ხალხი გამევიდოდა ქუჩაში.

ატყდებოდა ქუდების მაღლა სროლა და ჩვენი ქებადიდება.

გმირების დაფნის გვირგვინს დაგვადგამდნენ ყველას, ვინც ამ დილით ხიდთან მოვგროვდით, გაგიგონია? დაბას არაფერი ეტყობა. ხალხი ძველებურად ნელა გადიგამოდის თავის საყველჭადო საქმეებზე.

გავალ სოფელში, ერთი ფეხმოტეხილი ხბო გვყავს, დავაკვლევინებ მამაჩემს და გამევიტანმეთქი, ვუთხარი ბიჭებს.

ვინ მეტყოდა უარს.

სანამ მე ხბო დავკალი, გავატყავე, მოვხარშე, დედაჩემს ჭადები დავაცხობინე, სამი წველა ყველი ხურჯინში ჩავიდე და ცხენით ხიდს მივადექი, აჯანყება დამარცხებული დამხვდა.

დეკანოსიძის გვარდია და ტალახაძის ჩეკა დაშლიგინებდა ქალაქში.

ხიდთან ფანჩულიძის ბიჭი შემეფეთა: გეიქეცი, გოგია, თვარა დაგიჭერენ. შამევიდნენ ისევ წითლები და დაატუსაღეს ყველაო.

მერე ყვებოდნენ სიცილით: დეკანოსიძის გვარდიას ჩვენი ბიჭები სიხარულის ყიჟინით შეხვედრიან.

ყველაფერი კარგად არისო, მიუხარებიათ, რევკომის წევრები დავაპატიმრეთ და აგერ გვყავს თავლაშიო.

ძირს ბოლშევიზმი, გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოსო.

ჰგონებიათ ამ უბედურებს, ალბათ, ეროვნული ძალები მოვიდნენ, ეროვნული გვარდია გამოცხადდა ჩვენს დასახმარებლადო. დააპატიმრეთ ყველანიო, რომ უყვირია დეკანოსიძეს, მაშინ კი მიმხვდარან, რაშიც იყო საქმე, მაგრამ რაღა დროს. ერთს, წელან რომ ვახსენე, მერჯეველ გველესიანს, გაქცევა უცდია და ღობეზევე მოუკლავთ.

გამოვბრუნდი, რასაკვირველია, და სამი დღეღამე მარნიდან ცხვირი არ გამომიყვია, ჭურში ვიმალებოდი, მაგრამ ტყუილს ვერ ვიტყვი, არც მაშინ და არც მერე ჩემ დასაჭერად არავინ მოსულა.

რა იღბალყისმათმა გადამარჩინა, ახლაც მიკვირს.

ოცდარვა შეთქმულიდან ოცდაოთხი (სხვებიც უბრალო, უდანაშაულო ხალხი) იმ დღესვე გაკოჭეს და ზესტაფონთან მატარებელში ჩახვრიტეს.

გველესიანის ამბავი ქე გითხარით.

ორი მოგვიანებით დაიჭირეს და ათათი წელი აჰკიდეს.

ლამის ოცდაათი წელიწადი, სანამ ჯარში წამიყვანდნენ, ყოველდღე ველოდი დაჭერას.

არც ესაა პატარა სასჯელი.

ბატონო სტუდენტებო

1937 წელი უმკაცრესი გაფრთხილებაა მსოფლიოს ყველა ჯურის ხელისუფლებისათვის.

თუმცა, როგორც დღეს ირკვევა, „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“ ამ გაფრთხილებას არად დაგიდევენ.

სულ ახლახან, XXI საუკუნის პირველ ათწლეულში უგუნური ხელისუფლების ვერაგობით ისევ პირთამდე გაივსო ქართული ციხეები უდანაშაულო „დამნაშავეებით“.

დღეს სამ მოთხრობას წაგიკითხავთ.

მინდა დაგანახოთ, როგორ გადისრიალა საქართველოს თავზე „კაენის სულის აღზევებამ“.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გარი ჩაფიძე

სიყვარულის ლაბირინთი

სიყვარული

(გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ
ჟურნალ „ათინათის“ №28-ში)

ახალგაზრდობის უმეტესობა ჩვენ, უფროს თაობას გვაკისრებს პასუხისმგებლობას ყველა თავისი თვალხილული თუ სავარაუდო უბედურებისათვის, დღევანდელობის ყველა სიძნელისა თუ ხვალინდელი დღის გაურკვეველი მომავალი საშიშროებისათვის. თუ ჩვენ რამოდენიმე ერთეული წლის წინათ შევდიოდით რჩეულთა რიცხვში, ან ჯერ კიდევ ვიმყოფებით მათ შორის, ეს სრულებით არ სურს დაინახოს ახალგაზრდობმ, რომლებსაც დღეს გვერდში ამოსდგომიან ოდესღაც ჩვენს ზურგს ამოფარებული მოხუცებულნიც, რომლებიც სარგებლობენ დღევანდელი სახელმწიფო არეულობით, ჩქმალავენ თავიანთ სიმხდალეს და ჩვენ გვწამებენ ეგოიზმს, მიუხვედრელობას, ქარაფშუტობას, სიმხდალეს. მაგრამ აშკარად ჩანს არც ჩვენი ბრალმდებელნი ამჟღავნებენ დიდსულოვნებას, რწმენის სიმტკიცისა თუ ხასიათის სიდინჯეს. და თუ ჩვენ შევძელით მათი გაკრიტიკება, ისინი მაინც მართალი გამოდიან, რადგან უფროს—უმცროსთა უცოდინარობით გვიმტკიცებენ ძველი ცხოვრების სიდამპლეს და ახალ ცხოვრებაში ახლებურად ცხოვრებას თვალებში თითების ჩათხრით გვიყვირიან: „თქვენ შეგვექმენით ასეთები, თქვენ გვასწავლეთ ასე და ჩვენც თქვენს გაკვალულ გზას მივყვებითო”.

და საქართველოს დიდებითა და ბრწყინვალებით დაბრმავებული ადამიანი მხოლოდ პირადი ცხოვრების ვიწრო ბილიკს მისდევს, რომელიც არ თაკილობს მკვლელობას, გამოძალვას. ცილისწამებას, ყაჩაღობას და ვერ ამჩნევს ამომავალ მზეს, რომელიც დღეს თუ ხვალ შუქს მოფენს მთელ ქვეყანას, მსოფლიო დაინახავს ბოროტებით შეძენილ საკუთრებას და ყველას ოხრად დარჩება ოხრად მონაგარი.

– ნათქვამია: – „მელა კვდებოდა და თავი საქათმისკენ მიქონდაო”. შენ კიდევ არ ეშვები მასეთებს? შენ შენი უკვე გაგიტარებია, შეეშვი აგორებული ზვავის წინ დახვედრას, შენ მას მაინც ვერ შეაჩერებ. წინაპრებს რომ იგონებ და მათ გინდა დაემსგავსოს ჩვენი შთამომავლობაც, აღარ არიან ის დედები, რომლებმაც დევგმირები შობა, დღეს სპორტით, სწავლით ან უსაქმურობით გატაცებული გოგონების თეძოები ვაჟკაცი კაცის ბეჭედში გაეტევა და შენ როგორი შთამომავლობა გინდა დაგიტოვოს ასეთმა ჯიშმა?

—შენ მართალიხარ ქეთი, ხმასაც არ ამოვიღებ ვინმეს საწინააღმდეგოდ , ვიცხოვრებ მარტო, ჩემებურად, ძველებურად. მხოლოდ ერთი თხოვნა შემისრულე, მიწაში ნუ ჩამაყოლებ იმ ბიჭის საცოდაობას, იქნებ შეძლო რესპბლიკის პროკურორამდის მისვლა და იმ საცოდავის განთავისუფლება. მე არავითარი თავმდგმური აღარ მესაჭიროება, დღესვე შეუდექი შენს საქმეს, თორემ ვიცი ვერ გამოვჯანმრთელდები, ბოღმა დამახრჩობს.

– ცოტახანს მადროვე, ფეხზე დაგაყენებ და სიცოცხლის ფასად რომ დამიჯდეს მაგ თხოვნას შეგისრულებ, რომელიც არანაკლებ მაწუხებს შენზედ...

– არავითარი „მადროვე”. დღესვე შეუდექი მეთქი ამ საქმის გამოაშკარავებას, ნუთუ არ გაინტერესებს და ვერ ხედავ, რომ ჩემი მკვლელიც ამ სიბინძურეში იმალება!?

– მუდამ ასე იყავი, რასაც დაიჟინებ მამაზეციერიც ვერ გადაგათქმევინებს. კარგი წავალ, მხოლოდ შენ არ ინერვიულო და თუ დამაგვიანდეს არ იჯავრო, არ ვიცი, ალბათ ადვილი არ იქნება რესპუბლიკის გენერალურ პროკურორთან შეხვედრა.

ქეთევანმა წყნარად გაიხურა პალატის კარები და ნაღვლიანი მზერა თავიდან ფეხებამდის ისე მოატარა მინდიას ირგვლივ, რომ ქმარმა ნათლად შენიშნა, თუ როგორ დატოვა საყვარელმა მეუღლემ მასთან თავისი სული და გული.

ქმრის დავალების შესასრულებლად მიდის ქალი, მიეჩქარება და მხოლოდ ერთი აზრი უტრიალებს ტვინში, დროულად შეასრულოს ბრძანება, გაათავისუფლოს პატიმარი, გაახაროს მისი ოჯახი, გაახაროს მინდია და გაიხაროს თვითონაც.

აჩქარებული ნაბიჯით მიდის ქალი, სახლს რომ მიუახლოვდა თავის ჭიშკართან ბრტყელ ქვაზე ჩამომჯდარი მამაკაცი შენიშნა, მამაკაცმაც შენიშნა ქალი და ზეზე წამოდგა შესაგებებლად:

– გმარჯობა დიმიტრი. – მიესალმა ქეთევანი მამაკაცს.

– გაგიმარჯოს ქეთევან, მომილოცავს მეუღლის მშვიდოით გადარჩენა, ძალიან განვიცადე, იმას რომ რაიმე მოსვლოდა ჩემი გულისათვის, არ ვიცი ალბათ თავს არ ვიცოცხლებდი.

– როგორ შენი გულისათვის? – გაიკვირვა ქეთევანმა დიმიტრის ნათქვამი.

– კარგი, ახლა, არაფერი მოხდეს თორემ ხალხს რა გამოეპარება, ადამიანია თვითონ დეპეშაცა და ტელეფონიც, პრესაცა და რაციაც. ჩვენ ყველაფერი ვიცით ჩემო ქეთევან, ხომ გეუბნებოდით: – „ჩემი შვილი მკვლელი არ იქნება—მეთქი", – თქვენ კი მიჯერებდით, მაგრამ სადღაც მაინც ეჭვი გეპარებოდათ ჩემს სიმართლეში.

– არა დიმიტრი, ეჭვი როგორ მეპარებოდა შმაგის პატიოსნებაში, მაგრამ მართლმსაჯულებამ ისეთი დამაჯერებელი სასჯელი გამოიტანა, ჩვენ კი არა თქვენც შეგეპარათ ეჭვი შმაგის უდანაშალუობაში. რადგან ღმერთმა ასე წარმართა ჩვენი საქმე და მაინც იოლად გვიხსნა, მოდი ერთად ვიმოქმედოთ დიმიტრი, მხოლოდ იცოდე ყოველი მოქმედება საიდუმლოდ უნდა შეინახო. მე ახლა ამ საშინაო ტანსაცმელს გამოვიცვლი და რესპუბლიკის პროკურორთან მივდივარ.

– რისთვის რესპუბლიკის პროკურორთან? განა ჩვენი პროკურორი ვერ მოაბამს საქმეს თავს? – ქეთევანს სიტყვა შეაწყვეტინა დიმიტრიმ.

– არა დიმიტრი, მეჩვენება აქ ეშმაკის წრეა შეკრული. შმაგის განთავისუფლებით პროკურორი თავს არ გაიმტყუნებს და ყოველგვარად შეეცდება ჩვენს განზრახვას ხელი შეუშალოს. ამიტომ მე გენერალურ პროკურორთან იქნებ მოვახერხო შეხვედრა, შენ კი წადი კოლონიაში და შმაგის ახარე მოსალოდნელი თავისუფლება, მხოლოდ გახსოვდეს ჩვენი განზრახვის შესახებ არც ერთი სიტყვა, თორემ შესაძლებელია ცოცხალი ვერცერთი ვერ დავბრუნდეთ ოჯახში.

– ენას არავისთან დავასველებ მაგ საკითხზე, მაგარმ თქვენ როგორ წაბრძანდებით დედაქა-ლაქში, როდესაც მინდიას თავდგმური ესაჭიროება? თუ ნებას დამრთავთ და უხერხულად არ გამომივა, ჩემს მეუღლეს დავაყენებ მინდიას თავდგმურად, მე კი ისე მოვიქცევი, როგორც დამარიგე.

– აბა, მაგდენს როგორ შეგაწუხებთ, უხერხულია ღმერთმანი.

– აბა რა შეწუხებაა, ამ წუთში გავაგზავნი საავადმყოფოში, ხომ იმავე მეათე პალატაშია ისევ?

– თქვენ საიდან იცით რომ მეათე პალატაშია?

– როგორ თუ რა ვიცი, წუხელი ორივე ცოლ—ქმარი პალატის კარებთან ჯარისკაცებივით ვიდექით.

– არა, ასეთი ადამიანის ბუნებაში არ შეიძლება მკვლელმა დაიბუდოს. – თავისთვის ჩაილაპარაკა ქეთევანმა, დიმიტრის კი ხმამაღლა უთხრა:

– აბა შენ იცი დიმიტრი, მივხედოთ საქმეს, წარმატებას გისურვებ. ბოდიში რომ სახლში ვერ გეპატიჟები.

ქეთევანმა ეზოს ჭიშკარი შეაღო და გაღებული დატოვა, საიდანაც თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ გამოვიდა და ჭიშკარიც დაიხურა.

რესპუბლიკის პროკურორს არამარტო ორმაგი შავტყავგადაკრული კარები და მდივანი იცავს, არამედ სადარბაზოს შესასვლელში სამხედრო მუნდირში გამოწკვართული, ავტომატურ თოფ-მომარჯვებული, ორი ჯარისკაცი დგას და სახელოვნად იცავს თანამდებობის სავარძელს.

ქეთევანი ზრდილობიანად მიესალმა მათ და პროკურორთან შესვლის ნებართვა ითხოვა.

– ეს როგორ შეიძლება? – გაიკვირვა ერთმა მათგანმა – პროკუროთან შესასვლელად სპეციალური საშვია საჭირო.

– ვინ უნდა გასცეს საშვი? – შეეკითხა ქეთევანი.

– თქვენი რაიონის პროკურატურამ!

– თუ მათ საჩივარზე მოვსულვარ, განა საშვს მომცემს ადგილობრივი პროკურატურა?

– მაშინ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართეთ!

– შინაგან საქმეთა მინისტრთან შესვლასაც ხომ საშვი დაჭირდება?

– რა თქმა უნდა დასჭირდება, მაგრამ ეს ჩემი საქმე არ არის. იქაური დაცვა თვითონ გეტყვით, მინისტრთა შესასვლელი საშვი სად უნდა გააკეთოთ.

– კარგი ახლა, გთხოვთ დაუშვათ გამონაკლისი და თვითონ თქვენ მოახსენოთ პროკურორს, რომ საშვი არა მაქვს და გადაუდებელ საქმეზე ვარ მოსული, – წყნარად, მომღიმარი სახით წარმოთქვა ქეთევანმა, თითიდან ოქროს ბეჭედი წაიძრო და ჯარისკაცს შეუმჩნევლად ჩაუცურა ჯიბეში. ჯარისკაცს გაეღიმა.

– ოჰ, რა ხართ ეს ქართველი ქალებიო! – ჩაილაპარაკა და კედელზე მიმაგრებულ ტელეფონს ყურმილი მოხსნა, ცოტა ხანს რაღაცას ჩურჩულებდა, შემდეგ ყურმილი დაკიდა და ქეთევანს უთხრა:

– მიბრძანდით!

– აი თურმე ყველაფერი შეძლებულა, გმადლობთ! – ღიმილით უპასუხა ქეთევანმა და ნოხგადაკრულ ფართო კიბეს აუყვა.

შავტყავგადაკრულ კარებთან მდივანი დაუხვდა, პირველად ნახა ცხოვრებაში ქეთევანმა „მდივანი მამაკაცი" და გაკვირვებული შესცქერგოდა იმის ათლეტურ აღნაგობას.

– რა საკითხზე მიბრძანდებით პროკურორთან? – თავაზიანად შეეკითხა „მდივანი მამაკაცი" ქეთევანს და ჟურნალი გადმოიღო გვარის, სახელის, მისამართის და სხვა მონაცემების ჩასაწერად. ქეთევანმა შეკითხვებზე უპასუხა და მდივანმა თავაზიანად შეუღო პროკურორის კაბინეტის პირველი კარები.

ქეთევანი ფართო კაბინეტშია ღმოჩნდა, გაპრიალებულ მაგიდასთან თმაშევერცხლილი მამაკაცი იჯდა. ქეთევანი თავაზიანად მიესალმა, მამაკაცმა სალამზე უპასუხა და სავარძელი შესთავაზა ქეთევანს. კაბინეტში წუთიერი სიჩუმე ჩამოწვა, ქეთევანი ასეთ მიღებას არ ელოდა რესპუბლიკის პროკურორისაგან და აშკარად ეტყობოდა დაბნეულობა, მაგრამ პროკურორმა იხსნა გასაჭირისაგან და ღიმილით შეეკითხა:

– გისმენთ ქალბატონო!.

ქეთევანი გამოერკვა, ძალა მოიკრიბა და თითქოს სხვისი ხმით ალაპარაკდა.

პროკურორი გულისყურით უსმენდა ქალს. ერთი ნაკვთიც არ შეკრთობია სახეზე, მხოლოდ დროდადრო თვალები უფართოვდებოდა, რაც იმის მღელვარებას გამოხატავდა.

ქალმა ლაპარაკი დაასრულა.

– მდა! ფრიად საინტერესოა – თქვა პროკურორმა. – ასეთი არაფერი მსმენია ჩემს პრაქტიკაში. მე თქვენ რესპუბლიკის პროკურატურიდან გამოგიგზაზვნით გამომძიებელს და თუ თქვენი ეგრეთწოდებული საჩივარი დამტკიცდა ყველას თავის ადგილს მივუჩენთ.

– მხოლოდ ერთი სათხოვარი მექნება ბატონო პროკურორო, თქვენ მიერ გამოგზავნილი გამომძიებელი ჩვენი რაიონის პროკურატურაში არ გამოცხადდეს, თორემ ვინ იცის ამ ამბავს რა სარჩულს დაუდებენ ჩვენი ოჯახების მიმართ.

– დარდი ნუ გექნებათ, გამომძიებელი პირადად თქვენი ოჯახებიდან დაიწყებს საქმის ვითარების გამოძიებას.

ქეთევანი ფრიად კმაყოფილი წამოდგა სავარძლიდან, მადლობა გადაუხადა რესპუბლიკის პროკურორს ყურადღებისათვის და წყნარი ნაბიჯით დატოვა ვრცელი კაბინეტი.

გარედან გრანდიოზულ წარმოებას ჰგავდა რუსთავის შრომა—გამასწორებელი კოლონია. (შიგნით კი ვინ იცის მსჯავრდებულთა გარდა რა სულისშემხუთველი პირობები დასეირნობდა მავთულხლართებს მიღმა): წითელი აგურით ნაგები თაღოვანი შესასვლელით, მწვანეში ჩასმული გაზონებითა და ყვავილნარით. ნებისმიერი არქიტექტორი გამოტყდებოდა შენობის სილამაზესა და უნაკლოებაში, თუმცა როგორც ვიცით იშვიათად თუ დაგვთანხმდებიან არქიტექტორები იმაზე, რომ ამქვეყნად მათ პროდუქტზე უკეთესებიც არსებობენ. თაღოვანი შესასვლელის მეტალი უზარმაზრ ჭიშკარს ორი თოფიანი, დაბალი, სახეგაბრტყელებული, ცხვირმიჭეჭყილი ჯარისკაცუნა იცავდა. ამ დაწესებულების მხოლოდ ეს ერთადერთი ნიშანი გახლდათ, რომელიც შეხედვისთანავე განასხვავებდა კეთილს—ბოროტისაგან ანუ კოლონიას – ჩვეულებრითი კეთილშობილი შენობისაგან, და გაიძულებდათ გეფიქრათ იმაზე, რომ მხოლოდ ადამიანის გამჭრიახ გონებას თუ შეუძლია შექმნას შედარებითი ქმნილება, რომელიც გამოუცდელ ადამიანს დააბნევს და ბოროტებას კეთილად აღითქვამს.

შიგნით კი ვინ იცის მსჯავრდებულთა გარდა, რა სულისშემხუთველი პირობები დასეირნობდა მავთულხლართების მიღმა, რომელიც შენობის დამნახველი მიხვდებოდა, თუ როგორ ქრებოდა

ბუნებისა და არქიტექტურის ეს სილამაზე „წუნია ოქსინას“ * სილამაზესავით ამ უზარმაზარი ჭიშკრის მიღმა.

სწორედ ეს ჭიშკარი ახლა ღია იყო. გერმანული ნაგაზებითა და ავტომატური თოფებით შეიარაღებულ ბადრაგებს სამუშაოზე გაჰყავდათ პატიმრები, როდესაც შმაგის მამა – დიმიტრი ჭიშკარს მიუახლოვდა. აქ ხომ ადამიანს ვერ იცნობ და დიმიტრი არც ცდილობდა გამოეცნო თავისი შვილი იმ ტანჯულთა რიგებიდან, რომელთა ჩაცმულობაცა და თვალ—ტანადობაც ყველასი ერთგვარია, მაგრამ მოულოდნელად წყობრის შუარიგებიდან. გაისმა – „მამა“ – და ახალგაზრდა კაცმა გვერდზე ფეხის გადმოდგმა სცადა. სასწრაფოდ ავტომატის საკეტი გაჩხაკუნდა, ნაგაზმა დაიყეფა და ქამარი ისე მძლავრად დაჭიმა, კინაღამ ჯარისკაცი წააქცია.

– არ გაბედო შვილო! – შეჰყვირა დიმიტრიმ შვილს და ერთ—ერთი ჯარისკაცის თოფს მკერდით ჩამოეფარა.

მწყობრმა ყეფითა და ყვირილით გზა გააგრძელა, როდესაც ალაყაფის ჭიშკარი დაიხურა და წარსული სილამაზე დაუბრუნდა აწმყოს, დიმიტრიმ კოლონიის უფროსის კაბინეტის კარები მოწიწებით შეაღო და შვილის ნახვის უფლება ითხოვა.

კოლონიის უფროსმა ერთსაათიანი საბურის

* „წუნია ოქსინას“ – ავტორს ნაგულისხმევი აქვს – „საღამოები დიკანკის მახლობლად ხუტორში“ – გოგოლის მოთხრობიდან.

ნება მისცა შვილთან მშობელს და კადრების განყოფილებაში გაგზავნა სათანადო საშვისა და საბუთების გასაფორმებლად.

დილიდან საღამომდის ელოდებოდა დიმიტრი შმაგის და როგორც იქნა დადგა ნანატრი წუთები. გზაზე პატიმრების გრძელი მწყობრი გამოჩნდა. როგორც ყოველთვის არც ამჟამად აძლევდა ბადრაგი მსჯავრდებულებს გვერდზე მიხედვით უფლებას და დიმიტრისაც ისე მუნჯურად ჩაუარა მწყობრმა, მოხუცისაკენ მიხედვაც ვერავინ გაბედა.

ცოტაც და ერთი საათის ლოდინის შემდეგ დიმიტრი პატიმართან შესახვედრ სპეციალურ ოთხაში შეიყვანეს. დიდხანს კოცნიდა და ეალერსებოდა მამა—შვილი ერთიმეორეს, როდესაც ხვევნა—კოცნით გული იჯერეს, ერთმანეთი მოიკითხეს.

– როგორა ხარ მამა, როგორ ცხოვრობთ, დედა როგორ არის, რას საქმიანობთ, მართალია გაგტანჯეთ, მაგრამ თქვენ ხომ იცით თქვენი აღზრდილი შვილის ამბავი, რომ მკვლელი არა ვარ!

– ვიცი შვილო, ვიცი, აქამდის მეც ეჭვი მეპარებოდა შენს სიმართლეში, მაგრამ დღეს მახარობლად მოვედი. ის არგასაშვები ცოცხალი ყოფილა და ორი დღის წინათ მშობლებს მოაკითხა ქმართან ერთად სანახავად.

– რას ამბობ კაცო, ვინ ყოფილა ცოცხალი?

– ვინ და ის შენი შორენა!

– არ გამასულელო, მამა, მართლა?

– მართლა შვილო, მართლა, სწორედ იმ ღამით გაპარულა და ვიღაც სომეხს გაჰყოლია ცოლად, როდესაც შენ დაგშორდა!

– მერე გვამი? ის გვამი ვიღასი იყო, რომელიც ტბაში იპოვეს?

– არ ვიცი შვილო, მაგას ახალი გამოძიება დაადგენს.

– თუ ისე დაადგინა, როგორც ჩემმა გამომძიებელმა, მაშინ შენც მოემზადე ციხისათვის.

– მე არა და ის შენი გამომძიებელი კი დროა იხსნიდეს ქამარს.

– ნუ დარდობ – „ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევს”.

– მართალია „ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევს”, მაგრამ ადამიანი ადამიანის ტყავსაც ხევს და ძვალსაც გამალებით ხრავს.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ჯუმბერ მარღანია

სასცენარო „ვიცა გოცა"

წიგნი პირველი

მკვლელობა საუნაში

1

ქეთევან გოლიაძე, თავისი მშობლების, ელგუჯა და ვერიკო გოლიაძეების ხუთ ქალიშვილში, ყველაზე უფროსი იყო და ოჯახში ერთ-ერთ მთავარ „გამწევ ძალას" წარმოადგენდა. ვერიკო საბავშვო ბაღში მუშაობდა ჭურჭლის მრეცხავად, საოჯახო საქმეებს კი ქეთინო, ანუ ქეთინია უძღვებოდა. დაგვა-დასუფთავება, რეცხვა-დაუთოება, პირუტყვისა თუ ფრინველის მოვლა-პატრონობა, სადილ-ვახშმის მომზადება. აი, ის არასრული ჩამონათვალი, რომელიც მის გამგებლობაში ჯერ კიდევ თორმეტი წლის ასაკში გადავიდა. ნათესავ-მეზობლები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ ასეთი მოვლილი სახლ-კარი არც ერთ ოჯახს არ ჰქონდა ჭაგინეთში, ჭაგინეთი კი საკმაოდ მოზრდილი სოფელი იყო და სახელის გათქმა არც თუ იოლი გახლდათ.

სოფელში ქეთინია სიმღერითაც იყო ცნობილი. ბუნებაში არ არსებობდა არც ერთი ქართული სიმღერა, გინდა ხალხური და გინდა საესტრადო, რომ ქეთინიას არ სცოდნოდა და სასიამოვნო ხმის ტემბრის წყალობით არ მოეხიბლა მსმენელი. ეგ კი არა და, სოფელში მოძრავი კინოთეატრის მოსვლა იმითაც ახარებდა ჭაგინეთელებს, რომ ფილმის დაწყებამდე სპონტანურად გამართული კონცერტის ყურება ელოდათ, რომელშიც ქეთინია მთავარ და უმეტესად ერთადერთ როლს თამაშობდა. სწორედ ეს გახდა მთავარი მიზეზი იმ უარყოფითი რეაქციისა, რომელიც ელგუჯას ბიძაშვილის, გოლა გოლიაძის წინადადებამ გამოიწვია.

გოლა გოლიაძე ჭაგინეთელი გახლდათ. უფრო სწორად, მამამისი, ამირან გოლიაძე იყო ჭაგინეთის მკვიდრი. გოლა მერვე კლასში იყო გადასული, ამირანი ცენტრალურ გაზეთში რომ გადმოიყვანეს განყოფილების გამგედ. ამ გაზეთის ფურცლებზე ადრეც ქვეყნდებოდა ჟურნალისტ ამირან გოლიაძის სტატიები, ჩანახატები და ნარკვევები, მაგრამ რედაქციაში მუაშაობა სულ სხვა იყო. ბინაც გამოუყვეს, ჟურნალისტის პირობაზე, ჯამაგირიც ნორმალური ჰქონდა და ამირანიც, მიუხედავად იმისა, რომ გაუჭირდა მშობლიური კუთხე-კუნჭულის მიტოვება, მაინც დასთანხმდა, თუმცა ხშირად ჩადიოდა სოფელში და თავისი ნათესავებისა თუ მეზობლების ჭირისა და ლხინის მოზიარე იყო.

მოგვიანებით, როცა ამირანი გარდაიცვალა, ტრადიციებს მისი ვაჟი რაჟდენი აგრძელებდა. მართალია, რაჟდენი ნათესავებთან ურთიერთობაში მამასავით აქტიური ვერ იყო, მაგრამ ისიც არ ითქმოდა, რომ სოფელი დაივიწყაო.

რაჟდენას ბავშვობიდან გოლას ეძახდნენ. შერჩა მას ბავშვების მიერ გვარის შემოკლებული ეს სახელი და ნამდვილი სახელის დაძახებისას აღარც კი იხედებოდა. მხოლოდ დედამისი, ნინო, თუ შეახსენებდა გოლას, რომ მეტრიკით რაჟდენი ერქვა. იმასაც ყვებოდნენ, რომ ერთხელ, როცა ჯერ კიდევ ჭაგინეთში ცხოვრობდნენ, ნინო აივანზე გადმომდგარა და ყვირილი დაუწყია:

– რაჟდენა, რაჟდენა, რაჟდენაო!

მეზობლები გაკვირვებულები შემოხვევიან ნინოს.

— ქალო ნინა, ვის ეძახი, ხომ არ შეიშალეო.

— შვილს ვეძახი, თქვე შტერებო, შვილს! ყველამ დაივიწყეთ მისი სახელი და მე მაინც შეგახსენებთ ხანდახანო.

გოლა სოფელში ორ დღეზე მეტს არ ჩერდებოდა. მივიდოდა თავის მამაპაპისეულ სახლში, რომელშიც ახლა ელგუჯა ცხოვრობდა თავისი დიდი ოჯახით და მის საკუთრებაში დარჩენილ ოთახში იკეტებოდა. ასეთ ქცევას ის დაძაბული მუშაობიდან განმუხტვის სურვილით ხსნიდა. სინამდვილეში კი რაღაცებს წერდა და ქალაქიდან ჩამოტანილ დოკუმენტებს ახარისხებდა. ყოველივე ამას ბოლოს თავისივე ხელით მოწყობილ სეიფში ინახავდა.

გოლა გაკვირვებული იყო ქეთინიას შრომისმოყვარეობით. მოსწონდა მისი დაუღალავი ფუსფუსი. ქართული ფოლკლორის ასეთი ზედმიწევნითი ცოდნითა და შესრულების მაღალი დონით ხომ აღფრთოვანებული იყო.

— გუჯი, — ეუბნენოდა ბიძაშვილს გოლა, — ცოდოა ეს გოგო სოფელში. წაიყვანე თბილისში, მუსიკალურ სასწავლებელში მაინც მოაწყვე. ნუ დაუკარგავ ღმერთის მიერ ბოძებულ ნიჭსო.

— ჩემო გოლა, — თავჩაღუნული პასუხობდა ელგუჯა, — ეგ რომ აქედან წავიდეს, თავზე დამენგრევა ოჯახი და ესაო.

იმ დღეს გოლა სპეციალურად ჩავიდა ჭაგინეთში. შემოგებებულ ბიძაშვილს გამარჯობაც არ უთხრა, პირდაპირ მოუჭრა:

— ჩემი პირობები ასეთია: მიმყავს ქეთინია თბილისში. ერთ კვირაში ახალ სასტუმროს ვხსნი. სასტუმროს დიასახლისად ქეთინიას ვნიშნავ. სექტემბრიდან მუსიკალურ სასწავლებელში ივლის, საგუნდო-სადირიჟოროზე. სასტუმროში იმხელა ხელფასი ექნება, ვერიკოს შეუძლია მუშაობას თავი დაანებოს და ოჯახს მიხედოს. თვითონ ქეთინიას ფული ნაკლებად დასჭირდება. ჩემთან ისე იცხოვრებს, როგორც ჩემი მესამე შვილი. ამიტომ ხელფასის 90%-ს მე თვითონ ჩამოგიტანთ ხოლმე ჭაგინეთში.

ელგუჯამ იგრძნო, რომ ყველა გზა მოჭრილი ჰქონდა, მაგრამ მაინც ხავსისაკენ წაიღო ხელი.

— რა ვიცი აბა... თვითონ კი უნდა თბილისში წასვლა?

ქეთინიას ისე გაუხარდა გოლა ბიძიას წინადადება, მამას მოეხვია და ტირილით შეევედრა:

— გამიშვი, მამიკო, შენ გენაცვალე, გამიშვი და გამოსასვლელ დღეებში სულ შენთან ვიქნები. გამიშვი შენი ქეთინია ნუ მოგიკვდება... მამიკო!

ელგუჯა მეორე ხავს მოეჭიდა.

— რა ვიცი... მთავარია დედამისი რას იტყვის...

ვერიკომ, რომელსაც გაგიჟებამდე ებრალებოდა თავისი დაუღალავი ქალიშვილი, სიხარულით შესძახა:

— ღმერთი არ დაგიკარგავს სიკეთეს ჩემო მაზლო. წაიყვანე, შენ შემოგევლე. შენი ოჯახის იმედი მაქვს, არ დამიჩაგრავენ შვილს.

— დაჩაგვრა რა მოსატანია რძალო. ჩემს ცოლ-შვილთან შეთანხმების გარეშე კი არ ჩამოვსულვარ აქ. სიხარულით ცას ეწივნენ, ეს ამბავი რომ ვუთხარი. არ გეგონოს, რომ ისინი ფეხი-ფეხზე გადადებულები იჯდებიან სახლში. ჩემი ცოლი ლამარა მზარეული იქნება, ქალიშვილი ნინიკო ადმინისტრატორი. ხომ იცით, ინგლისური ენის სპეციალისტია და შეძლებს გაუძღვეს საქმეს. ტუხო კი ჩემი ვაჟი, ჯერ ცამეტი წლისაა, მაგრამ ისიც იმუშავებს. ჩემოდნების ნომრებში ატანაში დაეხმარება სტუმრებს. ძირითადად კი ფინური აბანო გვაქვს სასტუმროში და იმას მიხედავს.

ელგუჯამ ხელები ჩამოყარა. თვალებზე ცრემლები მოიწმინდა და ქეთინიას ისე ჩაეხვია თითქოს ამერიკაში ისტუმრებს საცხოვრებლადო.

ასე გახდა ქეთინო გოლიაძე სასტუმრო „ვილა-გოლას“ დიასახლისი და ჭაგინეთიდან ჩამოსვლის ერთი კვირის თავზე, ჩამოსხმულ ტან-ფეხზე მორგებული უნიფორმით, თავის ბიცოლასა და ბიძაშვილებთან ერთად იდგა სასტუმროს დირექტორისა და მეპატრონის, გოლა გოლიაძის წინ.

2

გოლამ არმიის გენერალივით გადახედა სასტუმროს პერსონალს და მაღალფარდოვნად დაიწყო:

— მეგობრებო! სასტუმრო „ვილა-გოლას“ თანამშრომლებო! დადგა ნანატრი წუთიც. საცაა საქართველოს მოსახლეობა შეიტყობს, რომ ამოქმედდა ჩვენი სასტუმრო და იგი სრულ მზადყოფნაშია სტუმრების მისაღებად. მე იმედს გამოვთქვამ, რომ თითოეული თქვენგანი პირნათლად შეასრულებს თავის მოვალეობას. ჩვენი სასტუმროს სტუმრებმა ისე უნდა იგრძნონ თავი, როგორც საკუთარ... არა, საკუთარ სახლში კი არა, ხუთვარსკვლავიან სასტუმროში. მაქსიმალური კომფორტი და ყურადღება სტუმრებს! ამით ჩვენი სასტუმრო მთელ მსოფლიოში გაითქვამს სახელს.

გოლა ტუხოს მიუტრიალდა.

— რა ქენი, ტუხო, გაუშვი ინტერნეტში ჩვენი გვერდი?

— გავუშვი და პირველი გამოხმაურებაც მივიღე, -ეფრეიტორივით უპასუხა ტუხომ და უბიდან ფურცელი ამოიღო. — ფირმა „ბოშის“ წარმომადგენელი, მანფრედ ცერნი ნომრის დაჯავშნას გვთხოვს.

— ვაშა, მეგობრებო! — შესძახა გოლამ. — ეს კარგი ნიშანია. ახლა კი დღევანდელი დავალებები: ნინო, არ მომწონს შენი ტიხარი – ძალიან გადატვირთულია. მოაშორე ეს ყვავილები აქედან. ამას ჯობია, კანფეტების ვაზა დადგა, სტუმარი პირს გაისველებს და ესიამოვნება. ეს სარეკლამო პროსპექტები კი მაღლა დადე, მანდ არ ჩანს. ქალბატონო ლამარა, დღეისათვის სუფრა უნდა მომიმზადოთ. ალბათ, სტუმრები გვეყოლება და აბა, თქვენ იცით, როგორ ასახელებთ „ვილა-გოლას“. ტუხო, საუნაში ჩადი და კიდევ ერთხელ გადაამოწმე ყველაფერი. სისუფთავითა და წესრიგით უნდა ბრწყინავდეს ყველაფერი; ქეთინო, შემოსასვლელი კიდევ ერთხელ დაგავე. მერე კიბე მიიდგი და აბრა გააპრიალე. ჩართეთ ახლა ტელევიზორი და სამარისებული სიჩუმე იყოს.

ტუხომ ტელევიზორი ჩართო. საინფორმაციო პროგრამა იწყებოდა.

ეკრანზე თვალხატულა ტელერეპორტიორი სასტუმრო „ვილა-გოლას“ ფონზე იდგა და სხაპასხუპით ლაპარაკობდა:

— დღეს ჩვენს დედაქალაქში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ობიექტი შედის ექსპლოატაციაში. დღეიდან ჩვენი ქალაქის სტუმრებს შეეძლებათ გაჩერდნენ ახალ, კომფორტაბელურ სასტუმროში, რომელსაც „ვილა-გოლა“ ჰქვია. სასტუმრო ოთხვარსკვლავიანია და თავისი არქიტექტურით ნამდვილად დაამშვენებს ჩვენს ქალაქს. როგორც სასტუმროს მეპატრონე, ბატონი გოლა გოლიაძე გვპირდება, ჩვენი სტუმრები კმაყოფილნი დარჩებიან მომსახურებით. გთავაზობთ ამ საუბრის ვიდეოჩანაწერს:

ეკრანზე კორესპინდენტი და გოლა გამოჩნდნენ:

— ბატონო გოლა, რით იქნება თქვენი სასტუმრო გამორჩეული?

გოლამ სასტუმროს გახედა:

— პირველ რიგში, კომფორტით. ნომრებში ყველა პირობაა შექმნილი, რათა სტუმარმა შეძლოს პრობლემების გარეშე დასვენება. იციან ხოლმე თქმა, სტუმარმა ისე უნდა იგრძნოს თავი, როგორც საკუთარ სახლშიო. მე კატეგორიული წინააღმდეგი ვარ ამ მოსაზრებისა. სტუმარმა თავი ისე უნდა იგრძნოს, როგორც უმაღლესი დონის სასტუმროში. არ მეგულება საქართველოში სხვა სასტუმრო ან ოჯახი, რომელიც ისე მოუვლის სტუმარს, როგორც ჩვენ. ჩვენი სასტუმროს ნომერში შესული სტუმარი ფიზიკურად და მორალურად დაისვენებს. გარდა ამისა, ჩვენ გვაქვს საუნა, პატარა კაფე, რომელიც ევროპული და აზიური კერძების პარალელურად სტუმრებს შესთავაზებს ქართული სამზარეულოს ყველა გამორჩეულ კერძს.

— ალბათ, თქვენს სასტუმროში ცხოვრების ფასიც მაღალია.

— დიახ,სასტუმრო „ვილა-გოლა“ მხოლოდ შეძლებული სტუმრებისთვისაა განსაზღვრული.

— დარწმუნებული ხართ, რომ მუდმივად დატვირთული იქნებით?

— პირველი თვეების მანძილზე, ბუნებრივია, თავისუფალი ნომრების სიჭარბე გვექნება, მაგრამ, შემდგომ ჩვენივე მაცხოვრებლები გაგვიკეთებენ რეკლამას. კმაყოფილი კლიენტის შთაბეჭდილებაზე კარგი რეკლამა კი არ არსებობს. ჰოდა, შემდგომ ჩვენთან მოხვედრა მხოლოდ წინასწარი დაჯავშნით იქნება შესაძლებელი.

— წარმატებას გისურვებთ!

— გმადლობთ.

სასტუმროს მომსახურე პერსონალმა ტაში შემოჰკრა და აღფრთოვანებულებმა ერთმანეთის ხვევნა-კოცნა დაიწყეს.

— კარგი, გეყოფათ ახლა, — გაბრაზდა გოლა. — ბავშვებივით ნუ იქცევით. ტანსაცმელი არ დაუკუჭოთ ერთმანეთს. საზეიმოდ მაშინ გვექნება საქმე, კმაყოფილი კლიენტი წასვლის წინ მადლობას რომ გეტყვის. ახლა კი ყველანი ადგილებზე!

ტელევიზიით საინფორმაციო პროგრამა გრძელდებოდა:

— ახლა კი გთავაზობთ პირდაპირ რეპორტაჟს პარლამენტის სხდომიდან! — გამოაცხადა სტუდიის დიქტორმა. — იქ იმყოფება ჩვენი კორესპონდენტი ნათია გულია, რომელიც კომენტარს გაუკეთებს პარლამენტის სხდომაზე მიმდინარე მოვლენებს. ნათია გამარჯობა!

— გამარჯობა ეკა!

— ნათია, შეგიძლია მოგვიყვე რა ხდება დღეს პარლამენტის სხდომაზე?

— მართალი გითხრა, მოსაყოლი თითქმის არაფერია. პარლამენტის წევრები და აპარატის სპეციალისტები დღეს დილიდან იხილავენ ზამთრის სეზონისათვის მზადების საკითხებს. არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ხე-ტყის მინისტრმა დედა შეაგინა კვების მრეწველობის მინისტრის მოადგილეს. იმან კი ცოცხალი და მკვდარი შემგინებელს.

— გაწევ-გამოწევა არ ყოფილა?

— არა!

— ვინმე ხომ არ მოუხსნიათ?

— არა! ამ წუთას კონდიცირებისა და ვენტილაციის კომიტეტი წარმოადგენს თავის პროექტს.

3

ეკრანზე ტრიბუნასთან მდგომი ორატორი გამოჩნდა, რომელიც, ფურცლებში ცხვირჩარგული, მონოტონურად კითხულობდა მოხსენებას. დარბაზში აქა-იქ შემორჩენილი დეპუტატები გაზეთების კითხვით ირთობდნენ თავს. ტელეოპერატორმა ერთ-ერთ მათგანზე შეაჩერა კამერა. დეპუტატმა ჯიბიდან მობილური ტელეფონი ამოიღო და რამდენიმეჯერ დააწვა ეკრანს.

უმალ გაისმა გოლას ტელეფონის ზარი.

— გისმენ სანდრო, — უპასუხა გოლამ. — უფრო სწორად, გისმენ და გიყურებ კიდეც.

ეკრანზე მსხვილი პლანით აღბეჭდილმა დეპუტატმა შეშფოთებით მიმოიხედა, მერე სწრაფად ადგა და გარეთ გავიდა.

— ლამის არის ლოგინში ჩაგიძვრნენ, ეს შობელძაღლები... რა ქენი, მორჩი ყველაფერს?

— ყველაფერი რიგზეა. ამ წუთას დამთავრდა სარეკლამო გადაცემა.

— ჰო?კარგია! შენ ის მითხარი, საღამოს რას შვრებით.

— მოუთმენლად გელით. ისეთი პურმარილი მზადდება, სამუდამოდ დაამახსოვრებს ხალხს ჩვენს სასტუმროს.

— ჩემს სასტუმროს, გოლა, ჩემს სასტუმროს! — გაღიზიანებულმა თქვა სანდრომ.

— ჰო, რა თქმა უნდა შენს სასტუმროს, სანდრო. ეს ისე ვთქვი, იქნებ ვინმე გვისმენს-მეთქი.

— ჰო... კარგი, კარგი. მოკლედ, ასე, საღამოს ქალები სახლებში გაუშვი. ტუხო მოგვემსახუროს. ქალების კამპანია იქნება, მაგრამ აქ ერთი ნიუანსია. ერთი მაღალჩინოსანი ცოლით უნდა მოსულიყო...

— აღარ მოვა?

— დამაცადე! თვითონ არ მოვა, მაგრამ მოსალოდნელია მისი ცოლი მაინც მოვიდეს.

— მოვიდეს ბატონო, არაფერს დავუშავებთ.

— მაცალე-მეთქი, შე დებილო... ვერ გაიგე? თუ ეს ასე მოხდა, იმ ქალს რომ შეხედავ, შეიძლება გეცნოს. მისი დედა ჩვენთან მუშაობდა მოსამსახურედ. ის გოგოც მოდიოდა ხოლმე. მოკლედ, ახლა ეს ქალი მაღალჩინოსნის ცოლია და ფრთხილად იყავი. მე არ მოვალ, მაგრამ იმათ უნდა იცოდნენ, რომ მალე მოვალ. ხომ გაიგე?

— გავიგე! — ნაწყენი ტონით მიუგო გოლამ.

— ჰო, ახლა ნუ იბუტები... შენი ბუტიობაღა მაკლია რა! მოკლედ, მიხედე საქმეს, თორემ ვნახავთ ისეთს, რომელიც უსიტყვოდ შეასრულებს თავის მოვალეობას.

გოლას კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ სანდრომ კავშირი გათიშა. გოლა ფანჯარასთან მივიდა და შორს გაიხედა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

სერგი ლომაძე

ნელი გიუნაშვილის აკადემიური საღამო

პოეზიაზე მეტი მხოლოდ პოეზია არის...

ზღვარელები უამრავ საღამოში ვიღებთ მონაწილეობას, აკადემიის ფარგლებშიც და მის გარეთაც. ჩვენ ხელოვნებით ვცოცხლობთ, და როცა შვიტყვე, რომ აკადემია ღონისძიებას უწყობდა პოეტ ნელი გიუნაშვილს, სიხარულით დავთანხმდი მასში მონაწილეობას.. გამიხარდა ისიც, რომ ამ გაზაფხულზე აკადემიამ განაახლა ღონისძიებანი ძველ, პირვანდელ ადგილას – გენიალური აკაკის ძეგლთან ახლოს მყოფ შენობაში, სადაც არის კიდეც, უკვე სადღაც ათი წლის განმავლობაში, ცენტრი, გული ჩვენი აკადემიისა.

ქალბატონი გულნაზი, მე და ნელი გიუნაშვილი მოვთავსდით პატარა პრეზიდიუმში. ძალიან მსურდა, რომ სოლიდურ ასაკში მყოფი პოეტი (პოეტესას) საღამო კარგი გამოსულიყო და, ცოტა არ იყოს, ვღელავდი კიდეც, ეს გამოცდილ-გამობრძმედილი, ყოვლისმნახველი ადამიანი!

ნელი გიუნაშვილი სამოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული წერს, თუმცა მას მერე უფრო მკვეთრად გამოჩნდა, რაც ჩვენს აკადემიაში შემოაბიჯა. (დიახ, აკადემიამ ბევრი სხვადასხვა ასაკის ადამიანს გაუხსნა გზა). ნელიმ თქვა: წერა, უფრო, სამოცდაათიანი წლების ბოლოდან მომეძალა, აი იმ დღეებიდან, როცა ხალხი გამოვიდა ქუჩაში დიდი პროტესტით, ქართული ენის საკითხთან დაკავშირებით, და მეც ვიყავი მათს შორისო.

დიახ, ის მართლაც დიდი დღეები იყო.

საერთოდ, სამოცი-სამოცდაათიანი წლები განსაკუთრებულად აკაშკაშდა მეოცე საუკუნეში. მსოფლიოშიც, და, ბუნებრივია, საბჭოეთშიც, ბევრი რამ შეიცვალა. იქ, ევრო-ამერიკაში, ყველაფერი აყვავდა, ხელოვნებამ, მეცნიერებამ, სპორტმა, დიდ სიმაღლეს მიაღწია, აქ კი, ჩვენში, იდგა პერიოდი ბრეჟნევისა, და თუმცა ჩვენი საბჭოეთი, შეიარაღების გარდა, სხვაში თითქმის ყველაფერში ჩამოუვარდებოდა დასავლეთს, მაინც, ჩვენშიაც შესაძლებელი გახდა საკმაოდ მშვიდად, კარგად ცხოვრება. საბჭოეთი, ყველაფრის მიუხედავად, ზესახელმწიფო იყო, და სოციალიზმი დროს მოარგო თავისებურად. ერთი ეგ კი გახლდათ, – იმპერია იმპერიობას არ იშლიდა, ეროვნულ საკითხში ვერ დალაგდა საქმე. ხოლო როდესაც ქართული ენის აკრძალვა მოითხოვა დიდ

საბჭოთა კავშირად შენიღბულმა დიდი რუსეთის იმპერიამ, რომელსაც მრავალი ხალხი მოექცია თავის წიაღში და ისრუტავდა მათ სულიერ-გონებრივ მონაპოვარს, მათ ფიზიკურ მონაპოვარსაც, ქართველი ხალხი აჯანყდა. ეს იყო პირველი შემთხვევა საბჭოეთში, როცა ხალხმა გამარჯვებას მიაღწია, – გადარჩა ენა ქართული.

აი, სწორედ ის დიდი დღეები, ის საოცარი დღეები გაგვახსენა ნელი გიუნაშვილმა, – აი, იქიდან მოვდივარ მეო!

ქალბატონ ნელის აქვს ლურჯი, საოცარი მზერა. ასეთი მზერა გამოჰყოლია მის ქალიშვილს – იასაც, რომელიც ესწრებოდა საღამოს. აქვე იყვნენ პოეტის შვილიშვილები – ნიკა, მარიამი და ნინი. მომეჩვენა, რომ მთელი ეს სანათესავო ლამაზი ხალხია. პირდაპირ საოცრებები იყვნენ მარიამი და ნინი, ეს ნათელთვალება გოგონები, რომელთაც ღონისძიებაში მიიღეს მონაწილეობა. მათ ზეპირად, უშეცდომოდ, შესანიშნავად წაიკითხეს თავიანთი საამაყო ბებიკოს ლექსები. ნელი გიუნაშვილის ლექსები წაიკითხა თვითონ პოეტმაც და სხვებმაც, რაც მთავარია – ჩვენი აკადემიის ლიდერიც კითხულობდა ქალბატონი ნელის ლექსებს.

ქალბატონმა გულნაზიმ სიტყვაც შეაშველა პოეტს. მეც სიტყვით გამოვედი. არც სხვებმა დაიზარეს თავიანთი აზრების დაფიქსირება. თუ არ ვცდები, მთელი საღამო (ან – თითქმის მთელი საღამო) გადაიღო ნიკო ბაღაშვილმა.

დამსწრეთა შორის არაერთი ცნობილი პიროვნება იყო. მათ შორის გამოვარჩევდი ცოლქმარს, პოეტებს – პაპუნა ქვარიანსა და ეკატერინე ციცქიშვილს, და გამოვარჩევდი მათ თუნდაც იმიტომ, რომ აქამდე ისინი ძალიან იშვიათად თუ მინახავს ჩვენი აკადემიის საღამოებზე, აქ კი მოვიდნენ და თავიანთი ლექსებიც წაიკითხეს, თანაც ორივემ მაჩუქა თავის – თავისი წიგნები.

საღამო დიდებულად წარიმართა, ხოლო მისი დაგვირგვინება გამოდგა 159-ე სკოლასთან არსებულ ანსამბლ „ლალეს“ ბავშვებით – *მაჭარაშვილი ლუკა, თიგიშვილი გიორგი, აფციაური მარი, ტიტავა ქეთი, თუთიშვილი ნიკა, თათანაშვილი დავითი, ბერულავა მადონა, იაკობიძე თათია, ცეცხლაძე ელენე, მიქელაძე ნიკა, სიჭინავა თორნიკე, მჭედლიშვილი მარი, ბუხრაშვილი გიორგი, ბერაძე ცოტნე, ბერაძე მირიანი, ქიტუაშვილი სალომე, გაზაშვილი ხატია, ქართველიშვილი გოგა* (ხელმძღვანელი ლეილა ჭიუკაძე-ონიანი) – რომელნიც რამდენჯერმე გამოვიდნენ და შეასრულეს მუსიკალური ნომრები. უმაღლესი დონისა იყო მათი თითოეული გამოსვლა! ანსამბლს ხელმძღვანელობს ქალბატონი ნელი... მას ეტყობა, რომ ბავშვებთან მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს, და მისი პროფესიონალიზმი მაგიურად ვრცელდება მთელს ანსამბლზე.

საქართველოში ოდითგანვე იყვნენ ფენომენალური მონაცემების ბავშვები, და ერთ-ერთ მათგანს (ლევან ლაზარიშვილს) თვით რობერტინო ლორეტისაც კი ადარებდნენ. გასაოცარი იტალიელი მაესტრონი – ჩელენტანო, ტოტო, სხვებიც იყვნენ დაინტერესებულნი ამ ბავშვის ხელოვნებით. უფრო ადრე იყო ანსამბლ „მზიურის“ პირველი და დაუვიწყარი თაობა, რომელთა შესახებაც ითქვა, – აჩვენეთ ეს ბავშვები მსოფლიოს და აღარ იქნება ომიო. და აი, სწორედ ამ ფრაზას იმეორებდნენ აკადემიის დარბაზში 22 აპრილის იმ დღეს, როცა საბავშვო ანსამბლი „ლალე“ მუსიკალურად აფორმებდა ნელი გიუნაშვილის საღამოს.

სხვათა შორის, ოცდაორი აპრილი დედაჩემის დაბადების დღეა. ამ დღეს ორ ღონისძიებაში მივიღეთ მონაწილეობა ზღვარელებმა. (მეორე მწერალთა სახლში იყო და სხვა ეგიდით იმართებოდა, ის არ ეხებოდა აკადემიას), ორივე ძალიან წარმატებული აღმოჩნდა.

მოკლედ, ნელი გიუნაშვილის საღამომ ბრწყინვალედ ჩაიარა, ხოლო აკადემია, რომელიც ბოლო ხანებში თითქმის სულ გასვლით ღონისძიებებს ატარებდა, დაუბრუნდა ღონისძიებების ჩატარებას თავის ძირითად შენობაში (აქვე ახალი და უფრო უკეთესი ოფისი აიღო ქალბატონმა გულნაზიმ).

ვნახოთ, რა იქნება შემდეგში.

წინ დიდი გეგმებია, მაგრამ მათი განხორციელება არაა შეუძლებელი. საერთოდაც არაფერია შეუძლებელი, თუკი არის ნიჭი (დიდი ნიჭი, უდიდესი ნიჭი გენიალობაა), შრომისმოყვარეობა, მონდომება, მიზანდასახულობა და... დიახ, რაღაც დოზით მაინც, იღბალიც არის საჭირო...

ჩვენ გვაქვს ჩვენი გეგმების ბოლომდე მიყვანის იმედი.....

თბილისი. 2019 წელი. გაზაფხული.

მარტის ბოლო ღონისძიება

მარტის ოცდაექვსში მეორედ მოხდა, თითქმის მთელი ათი წლის მანძილზე, რომ ქალბატონმა გულნაზიმ ვერ შეძლო აკადემიის ღონისძიებაზე დასწრება. ორივე შემთხვევა წელს დაფიქსირდა, და თუმცა წინა საღამოზე მე ვიტვირთე ლიდერობა, თუმცა ყველაფერმა კარგად ჩაიარა, მაინც ძალიან ვღელავდი ამჯერადაც. არადა, აკადემიის პრეზიდენტი ვერაფრით მოვიდოდა, – მას ძმა გარდაეცვალა, რაიონში წავიდა, ძმის ოჯახში. ძალიან ცუდია, რომ გვტოვებენ უფროსი თაობის წარმომადგენლები, ხოლო მათი გარდაცვალება (ასე რომ გახშირდა ბოლო დროს), ტოვებს ბევრ ცარიელ ადგილს, რომელთა ამოვსება აღარ ხერხდება.

ქალბატონმა გულნაზიმ „ზღვარის“ წევრებს დაგვიბარა, რომ ეს საღამოც აუცილებლად უნდა ჩატარებულიყო. მაშ ასე, პრეზიდიუმს წარმოვადგენდით: მე და კახა, მამა ამირანი, ქეთი ნიკურაძე. უნდა აღვნიშნო ღირსეულობა მამა ამირანისა და ქალბატონი ქეთის, რომელიც, როგორც ბიბლიოთეკის ლიდერი, (მირზასეული ბიბლიოთეკა, სადაც ვატარებთ აკადემიურ სამშაბათობებს), თვით გულნაზ ხარაიშვილსაც კი ცვლის პრეზიდიუმში მისი არყოფნისას, და აი, ორი ასეთი რანგის ადამიანი, – დიდებული სასულიერო პირი და დირექტორი ბიბლიოთეკისა, ჩვენი პრეზიდენტის არყოფნაში, მე და კახას არ გვეცილებიან ლიდერის ფუნქციებში! ეს ფაქტი მეტყველებს მათ დიდადამიანობაზე!

საღამო მე გავხსენი, და ამჯერად კახას დავუთმე როგორც პრეზიდენტობა თუ ლიდერობა, ასევე წამყვანობაც. საერთოდ, რატომღაც ამბიციურ კაცად ვარ ცნობილი, ბოლო დროს კი – მომრავლდა დათმობები. ამას ყურადღება მიაქცია მამა ამირანმა და ნახევრადხუმრობით გადასძახა კახას, – ამ ბოლო დროს სერგი ისე თავმდაბლად იქცევა, რომ რამე ხომ არ ჭირს, მშვიდობა ხომაა თქვენსკენო! ყველას გაგვეცინა გონებამახვილურ ხუმრობაზე. რაც შეეხება კახას, მან ბრწყინვალედ წაიყვანა საღამო. კი, მე მაინც ჩავერთე საქმეში რამდენჯერმე, თუმცა რომც არ ჩავრეულიყავი, ამითაც არაფერი დაშავდებოდა.

საღამოს ესწრებოდნენ – ლამზირა შეყილაძე, ლეილა გაფრინდაშვილი, დიდებული ალექსანდრე ციხელაშვილი, ანზორ ჯაფარიძე, გურამ ჭავჭანიძე, ლეილა ვადაჭკორია, მზია ელიაძე, ხათუნა ელიაშვილი-ჩიმაკაძე, მანანა ზაზიკაშვილი, ლია ოსიაშვილი, ლია ჯანეზაშვილი-თათანაშვილი, იოსებ ტაბიძე, მზიური დათიაშვილი-აფციაური და სხვები. აუცილებლად უნდა დავასახელო ორი შორენა – ერთის გვარია მამალაშვილი, ხოლო მეორის გვარი ვერ დავიმახსოვრე. იგი ჩვენმა დეკანოზმა მოიყვანა აკადემიაში. ყოველ შემთხვევაში, მე ასეთი ინფორმაცია მომაწოდეს. ამ ორმა შორენამ, იმ დღეს, განსაკუთრებით ისახელეს თავი პოეზიაში.

როგორც ჩამონათვალში შენიშნეთ, საღამოს, ძირითადად, გამოცდილი აკადემიელები ესწრებოდნენ, ამიტომაც გასაკვირი არაა, რომ დიდებულად წარსდგნენ მსმენელთა წინაშე. ლიდერმა (კახამ) და თანატოლებმა (პრეზიდიუმის დანარჩენმა სამეულმა) დიდი სიამოვნება მივიღეთ მათი ხელოვნებით. ეს იყო პოეზია და მუსიკა, – ალექსანდრე ციხელაშვილმა ისევ გააჟღერა თავისი სამი თუ ოთხი სალამური, მგონი – მის მიერვე დამზადებული. საქმეში მხატვრობაც ჩაერთო, როცა ალექსანდრემ იქვე, სულ რაღაც წუთებში (ორ-სამ წუთში) დახატა ანზორ ჯავახიძის პორტრეტი. ანზორმა თავისი ბროშურა გვაჩუქა. წავიკითხე ეს გასაოცარი ნაწერი. უმწვავესი პრობლემებია აქ დასმული. როგორც ჩანს, ერის ბედს პოეტები (ხელოვანები), ფილოსოფოსები და სასულიერო პირნი უნდა წყვეტდნენ, რადგანაც ჩვენი პოლიტიკოსები აშკარად მოიკოჭლებენ. ბროშურაში ძირითადად სასულიერო პირთა როლზეა საუბარი.

საერთოდ, პოემა თუმცა უმაღლესი მწვერვალია ხელოვნების, ღონისძიებებზე მაინც არაა რეკომენდირებული მისი წაკითხვა. საღამოებზე ლექსები და სიმღერები იგებს, რამეთუ რეგლამენტი მეტის საშუალებას არ იძლევა. ლექსი, სიმღერა, არავრცელი სიტყვით გამოსვლა, – ძირითადად ესაა შემოქმედებითი საღამო. რა თქმა უნდა, ამათ ემატება წამყვანი, რომლის ძალა-წონა არაა ერთმნიშვნელოვანი და უცვლელი, ეს დამიკოდებულია წამყვანის პიროვნებასა და თვითონ საღამოზე.

მიუხედავად ამისა, ლიანა ოსიაშვილ – მელიქიძეს მივეცი საშუალება იმისა, რომ საღამოს ბოლოს, წაეკითხა თავისი პოემა. ეს აღმოჩნდა უმძიმესი ტექსტი, რომელიც ეძღვნებოდა მის დაღუპულ ბიჭს. არაფერია იმაზე უფრო ცუდი, როცა უდროოდ მიდის ადამიანი. წავიდა ახალგაზრდა კაცი, და დედამ ჯერ ლექსებით, შემდეგ პოემით დაიტირა იგი. ეს იყო დიდი პოეზია, უდიდესი პოეზია. ისევ გამახსენდა გენიალური მერაბ კოსტავას ლექსი გენიალური იკა კოსტავას შესახებ. აი, ამ დონეზე აზიდა პოეზია ლიამ, და აატირა დარბაზი, ატირდა თვითონაც. და გამოვიდა წინა პლანზე თმათეთრი, თეთრწვერა სასულიერო პირი, ჩვენი მამა ამირანი, რომელმაც გასაოცარი სიტყვით ანუგეშა პოემის ავტორი.

მერე უკვე მალევე დავასრულეთ საღამო...

საღამოს შემდეგ ერთ-ერთმა დამსწრემ მკითხა. – საიდან მოდის ლომაძეების გვარიო. ვუპასუხე, რომ ბევრი ვერსიაა. ერთ-ერთი ასეთია: მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეებში ვინმე დავითი (ხან დავითს ამბობენ, ხანაც გიორგის. ალბათ, ამ სახელთა პოპულარობის გამო). ამ დავითს მამა ჰყოლია ძალიან გამორჩეული ადამიანი, და როცა დავითი პატარა იყო, მასზე უთქვამს ვიღაცას: ლომმა შექმნა ეს ძეო!.. დიახ, ერთ-ერთი ვერსიით, ასე წარმოიქმნა ლომაძეების გვარი, რომელსაც ზოგი სხვა გვარი ენათესავება. ლომაძეები პოეტები (ხელოვანები), ფილოსოფოსები, მეომრები იყვნენ ოდითგან, უყვარდათ მოგზაურობა-ხეტიალი... ესაა ძველი ქართული გვარი...

ყველამ უნდა იცოდეს, მეტ-ნაკლებად მაინც, თავისი წარმომავლობაა, თავისი გვარის ამბავი. ძალიან დამაინტერესდება, მაგალითად, ხარაიშვილების გვარის ისტორია. ამ გვარს, როგორც ამბობენ, უამრავი ადამიანი გადაურჩენია. ლია ოსიაშვილიც ირწმუნება თავისი პოემის ბოლოს, რომ ორმა ადამიანმა გადამარჩინა თვითმკვლელობისაგან, ერთ-ერთი სწორედაც რომ გულნაზ ხარაიშვილი იყოო!

რაღა დავამატო
ამით ხომ ისედაც

ყველაფერია ნათქვამი!..

დავამატებდი მხოლოდ იმას, რომ უდიდესი ინტერესით ველით ნამდვილი მეთაურის ხელმეორედ დაბრუნებას...

მაგრამ...

მაგრამ ისე გამიტაცა გარკვეულმა თემებმა კინაღამ დამავიწყდა, – სწორედ იმ დღეს, მარტის ბოლოს, გამოვიდა ჟურნალ „ათინათის“ ოცდამეთერთმეტე ნომერი, და ღონისძიების დღესვე შემოვიდა დარბაზში ჩვენი ეს ლურჯი თუ მოლურჯო საოცრება. რა თქმა უნდა, ჟურნალის შესახებაც იყო საუბარი. იგი ხომ, ანთოლოგიასთან ერთად, ფუძეა აკადემიისა. საერთოდ, აკადემიაში, ისე, როგორც მთელს ქვეყანაში, პოეტური ხაზია წამყვანი, დარბაზშიც, უმეტესობა, პოეტები იყვნენ, და ჟურნალის ეს მხარეც, შესაბამისად, უფრო წარმოჩინდა, თუმცა, რაღა თქმა უნდა, „ათინათში,“ პოეზიის გარდა, სხვა განყოფილებებიც არის, და ისინიც მაღალ დონეზეა წარმოდგენილი. უბრალოდ, ისე მოხდა, რომ ორიათასთორმეტი წლიდან მოყოლებული, აკადემიაში ზოგი რამ შეიცვალა, ხოლო პოეზია ძალიან წამოვიდა წინა პლანზე. ისე, რუსთაველის, ვაჟას, გალაკტიონის ქვეყანაში, აბა ეს რა გასაკვირია! პრესაში ხომ ყველაზე უკეთ გამოიხატა სული ქართული!...

თბილისი. 2019 წელი.

P. S. იესო ქრისტეს ხშირად მოიხსენიებენ, როგორც სიტყვას. ეს იმდენად პოეტური გააზრებაა, რომ მას შეგვიძლია ვუწოდოთ პოეზია – ღმერთი, პოეტი – ღმერთი. სიტყვაა გული პოეზიის. სიტყვათა ძმობაა პოეზია.

ხოდა რაღა გასაკვირია, რომ ჩვენს აკადემიაში, ისევე, როგორც მთელს საქართველოში, სიტყვის უმაღლესი ხელოვნება – პოეზია დგას წინა პლანზე, რაღა გასაკვირია, რომ ბევრი საღამო სწორედ ამ უდიდესი ხელოვნების დომინაციით წარიმართა...

ხაშური – 2019

ოთხმოცდაათიან წლებში გავიცანი პოეტი მიშო თუმანიშვილი. მე მასზე უფროსი ვარ რამდენიმე წლით, თუმცა ის მაინც ეკუთვნის ჩემს თაობას – ოთხმოცდაათიან წლებს. მიშოც, მისი მეგობრებიც, ჩემს პოეტურ წრეებთან დავაახლოვე. იქიდან მოყოლებული, ჩვენ ერთმანეთთან კავშირი აღარ გაგვიწყვეტია და 2009 – 2015 წლებში, როცა ზღვარელები ხაშურში ჩავდიოდით პოეტური საღამოების ჩასატარებლად, თითქმის ყოველთვის მიშო თუმანიშვილი გახლდათ ჩვენი მიწვევების ინიციატორიც და ორგანიზატორიც. შემდეგში ეს ფუნქციები თავის თავზე ხაშურის ბიბლიოთეკის დირექტორმა – მაკა დიდებულიძემ აიღო, და 2015 – 2019 წლებში ძირითადად მისი მუშაობის შედეგად ხდება ჩვენი იქ ჩასვლა, თუმცა წელს, 26 მაისს, მგონი მიშო და მაკა ერთიანი ძალებით აპირებენ ხაშურში ჩვენივე გასტროლების ორგანიზებას.

აღარც მახსოვს, ზუსტად რამდენჯერ ვიყავით ხაშურში, ზუსტად რამდენი ღონისძიება ჩავატარეთ იქ. ბოლო წლებში იქ ჩავდივართ ლეჟავა – ხარაიშვილის სახელობის მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის წევრებთან ერთად. საერთოდ, მე და კახა ბევრი გაერთიანების წევრები ვართ, მაგრამ რეალურად ორად-ორი გაერთიანებაა, რომლებშიაც მოვიაზრებით: ესაა საუკეთესო პოეტური ჯგუფი – ზღვარი, და საუკეთესო აკადემია – ლეჟავას სახელობისა (მე განვავრცე მისი სახელი და ლეჟავა – ხარაიშვილის აკადემია ვუწოდე არაერთხელ).

2009 წელს ჩატარებული პირველი ხაშურული საღამოდან (მიშომ რომ გაუკეთა ორგანიზება), ათი წლის თავზე – 2019 წლის აპრილში, ისევ აღმოვჩნდით ხაშურში შემოქმედებით საღამოზე. მაკა დიდებულიძის ორგანიზებით, მოხერხდა იქ აკადემიის ჩასვლა, და ბრწყინვალე საღამო შედგა. ჩემთვის ძალიან გასახარი იყო ის ამბავი, რომ ღონისძიებას დაესწრო მიშოც, თავის მეუღლესთან ერთად.

თბილისიდან სამი სხვადასხვა მანქანით გავედით. მე, კახა და ბატონი ნიკო ხერკელაძე ერთად გავემგზავრეთ. მანქანის მძღოლს კობა ერქვა. ადვილად ავაწყვეთ საუბარი ოთხივემ, და ისე გავიარეთ არცთუ პატარა გზა (თბილისი – ხაშური), მაინცდამაინც არც გაგვიგია. გზაში ვაცქერდებოდი გაზაფხულად აფეთქებულ სივრცეებს, ლურჯ – მწვანე ფერებით გადავსებულს. იყო სხვა ფერებიც. თეთრი ჭარბობდა, – თეთრ ყვავილებს გაევსო სივრცე, თეთრი თოვლი იდო კავკასიონის მთების იმ ნაწილზე, რომელიც კარაგახანს ჩანდა: ღმერთს ჰგავდა მთები, ადამიანს და ღმერთს.

ჩვენ ყველაზე გვიან გავედით თბილისიდან, მაინც ყველაზე ადრე ჩავედით ხაშურში. შეგვეგება ბიბლიოთეკის პერსონალიც და სხვა ხალხიც. ვნახეთ მიშოც, მეუღლითურთ, ხოლო რადგანაც ორი სხვა მანქანა, რიგ საპატიო მიზეზთა გამო, აგვიანებდა, საღამო სამმა დავიწყეთ, – მე, კახამ და ბატონმა ნიკომ. მალევე შემოგვიერთდა ქალბატონი გულნაზი, თანმხლებლებით – ლამზირა შეყილაძე, ლეილა გაფრინდაშვილი, მზიური აფციაური, თემურ გოგსაძე. ცოტა ადრე მოვიდა სიმონ ზაქარაია.

საღამოს პირველი ნაწილი, ძირითადად, მაკა დიდებულიძეს მიჰყავდა, ხოლო მეორე ნაწილი, ძირითადად, მე წავიყვანე. ბევრი ღირსეული ადამიანი დაგვახვედრეს ხაშურში. მათ შორის იყო, მაგალითად, კლარა გელაშვილი, რომელიც ხელოვანია, და მას ჯერ კიდევ ოთხმოცდაათიანი წლებიდან ვიცნობთ. იყვნენ სხვებიც, რომლებზედაც ზუსტი ინფორმაცია არა მაქვს, ამიტომაც ვერ ვბედავ დასახელებას, რაიმე შეცდომა რომ არ მომივიდეს, და თუკი ქალბატონ გულნაზის აღმოაჩნდება ზუსტი ინფორმაცია მათს შესახებ, ჩემი სტატიის დამატებაში იქნება ეს ყოველივე.

ერთი კი, ვისი გამოტოვებაც არაფრით შეიძლება, ესაა პატარა, რომელიც პატარა ვუნდერკინდია, ნუცა ჩიტაძე. ესაა უნიჭიერესი ბავშვი, იგი ლექსებს და მოთხრობებს წერს, საოცრად ხატავს. მისი რამდენიმე ნახატი აკადემიამ შეიძინა. ქალბატონ გულნაზის განსაკუთრებით უყვარს ბავშვები, ამიტომ სითბო – სიყვარული არ მოაკლო პატარას, თან საჩუქრებიც ჩაუტანა.

ხაშური, ნელ-ნელა, პოეზიის (ხელოვნების) ქალაქად ყალიბდება. ის და რამდენიმე სხვა ქალაქი (არა მარტო ქალაქი), ამით, ემსგავსება თბილისს. ვფიქრობ, რომ ამ პროცესში დიდი წვლილი აქვთ მიშოსნაირ ადამიანებს. რასაც ბოლო წლებში მაკა დიდებულიძე აკეთებს ხაშურისათვის, თანაც, – დიდებულად აკეთებს, ამას ბარე ორი გამოცდილი ხელმძღვანელიც კი ვერ გაკეთებდა.

ხაშურელმა ბავშვებმა წაიკითხეს ჩვენი ლექსები, და ასე გაგვახარეს, ხოლო ხათუნა სისაურის საბავშვო ანსამბლი საუკეთესო იყო იმ დღეს. ეს, ძირითადად, ფოლკლორული ანსამბლი გახლავთ, იქ წამყვანი ინსტრუმენტი ფანდურია, ხოლო ყველაზე მთავარია ვოკალი – ბავშვთა საოცარი ხმათჰარმონია.

რაც შეეხება პოეზიას, ეს ცალკე თემაა. საერთოდ, პოეზიას რომ უდიდეს ხელოვნებად და უდიდეს რელიგიად ვთვლი, ეს უკვე ბევრმა იცის. პოეტი ყველაზე მეტია. არც საერო, არც სასულიერო სამყაროს ჰყავს უფრო აღმატებული ვინმე, მითუმეტეს – რუსთველის სამშობლოში.

ხოდა, დავიწყეთ ლექსების კითხვა.

მაგრამ ეს მოხდა მას მერე, რაც მაკამ განიხილა, მოკლედ და მოხდენილად, მთელი ანთოლოგია, მეშვიდე ტომი, ხოლო ბატონმა ნიკომ გაშალა თავისი ლეგენდა-თემა დიდი მოურავის შესახებ. და აი, დადგა დრო პოეზიისა. აკადემიის წევრები და ადგილობრივნი კითხულობდნენ თავთავიანთ შემოქმედებას. მე მომხიბლა ამ პროცესმა. ძალიან მომეწონა როგორც მოყვარულ, ასევე, რაღა თქმა უნდა, პროფესიონალ პოეტთა გამოსვლები. მიშომ და თემურმა განსაკუთრებით ისახელეს თავი. ხოლო როცა მე წავიკითხე ლექსი, მიშომ თქვა ფრაზა, რომელიც არასოდეს დამავიწყდება: არა, სერგი პროფესიონალიც არ არის, სერგი უფრო მაღლა დგას! მის სიტყვებს დაეთანხმა თემური. მერე – მთელი დარბაზიც. რაც შეეხება კახას, მან ყველასა და ყველაფერზე მაღლა დამაყენა ფაქტიურად, მან ისეთ პოეტთა გვერდით მომიხსენია, რომ ამ სტატიაში ვერ

გავბედავ იმ ღვთიური სახელების დაკონკრეტებას. რაღა თქმა უნდა, ეს ყოველივე ლამაზი გადაჭარბებანია მხოლოდ. არა, მართლა ვთვლი, რომ ვარ პროფესიონალი პოეტი, ფანატიკოსი პოეზიისა, მაგრამ მე უკვე კარგა ხანია აღარა მაქვს ამბიცია პირველობა – ლიდერობის, გენიოსობის, რაღაც განსაკუთრებულობის... მე ერთი ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ადამიანი ვარ, და ძალიან უკმაყოფილო – ჩემი მიღწევებით, საერთოდაც, ვთვლი, რომ არა ვარ და ვერც ოდესმე ვიქნები ბედნიერი.....

შემდეგ იყო სუფრა, სადაც, მამა ამირანის არყოფნაში, თამადობა სიმონ ზაქარაიამ იკისრა, და დიდებულადაც გაუძღვა დაკისრებულ მოვალეობას. (არავის ეგონოს, რომ თამადობა ხელოვნება არაა!). სუფრაზეც ბევრმა გაიბრწყინა, მათ შორის – ისევ და ისევ ხათუნა სისაურმა, რომელმაც ფანდურის თანხმლებით არაერთი სიმღერა შეასრულა უმღლეს დონეზე...

უკვე წამოსვლას ვაპირებდით, როცა ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა ოკუპაციის მუზეუმის დათვალიერება შემოგვთავაზა, და ჩვენც დავთანხმდით.

ეს მუზეუმი, რეალურად, იქვე მდებარეობს, ბიბლიოთეკის ქვეშ. ეტყობა, ამ თითქმის სარდაფულ სიტუაციაში ადრე პატიმრებს ამწყვდევდნენ. არის კედლებზე ძველი წარწერები. ვნახეთ დაღუპულთა სურათები, სიები. ბევრი ადამიანის გვერდით წერია სიტყვა „დახვრეტა“. არადა, ეს ხომ ახლახანს იყო, აგერ, გასულ საუკუნეში, ვითომდა – ჰუმანიზმის ეპოქაში!

არ უნდა არსებობდეს – დახვრეტა, სამუდამო პატიმრობა, წამება!..

ძალიან საინტერესო გახლდათ ნახვა მუზეუმისა, მაგრამ – ძალიან მძიმეც! ეს იყო სულ ორი მოზრდილი ოთახი, ეს სივრცე იტევდა მთელი სამყაროს ტრაგედიას!..

წამოვედით თბილისისაკენ, სავსენი მთელი დღის შთაბეჭდილებებით, ფიქრებით. როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ახლაც მომეჩვენა, რომ იგივე გზას იქითობისას უფრო დიდხანს მოვუნდით, ვიდრე აქეთობისას. მცხეთას რომ მოვაღწიეთ, საღამო იყო. მთაზე მცხეთის ჯვარი ენთო, ქალაქში კი – სვეტიცხოველი და სამთავრო. ასე ანთებულიყო კიდენი დიდი, წმინდა სამკუთხედისა. გზაში, მთებზე, რამდენიმეგან შევნიშნეთ ანთებული ჯვრები. ეს ყოველივე ხომ ელექტროობის დამსახურებაა, და მაინც, წმინდა მადლის დამსახურებას უფრო ჰგავდა.

წმინდა ქალაქია მცხეთა.

და აი, თბილისიც გამოჩნდა, ასევე წმინდა ქალაქი, ზეციური მთავარქალაქი. გადანათებული იყო იგი, თითქოს ვარსკვლავები ციდან მიწაზე ჩამოუყრიათო, ან – მიწაც ცა გამხდარაო. მართლაც, ქვევითაც, ისევე, როგორც ზევით, ვარსკვლავნი ენთო და ჩვენი მანქანა ორ ცას უახლოვდებოდა თითქოს. ცებიც და ზოგნი ვარსკვლავნიც ნელა მოძრაობდა. ეს იყო, ალბათ, პოეტური ილუზია. მთლიანობაში დიდი პოეზია გახლდათ ეს ყოველივე.

სრულდებოდა ჩვენი მოგზაურობა, მაგრამ, ამავე დროს, თითქოს, მარადისობაში მარადიულად გრძელდებოდა იგი.....

თბილისი. 2019 წელი. გაზაფხული.

გულნაზ ხარაიშვილი
აკადემიკოსი, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის
მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო
აკადემიის პრეზიდენტი

უშანგი მოსიაშვილი — 80 წლისაა

ბატონო უშანგ, ალბათ თქვენ პირველს გაგეხარდებათ თქვენნაირი პატრიოტები თუ ვინმე იქნება საქართველოში, მაგრამ იქნება კი?... მჯერა სული ნეტარებით აგევსებათ, ღამის კოშმარული სიზმრებიც აღარ შეგაწუხებთ. დამშვიდდებით, იქნებ აღარც კი მიუტრიალდეთ იმ ისტორიული თემატიკის შექმნას, რასაც თქვენ აკეთებთ, ხარჯავთ დროს და ფინანსებს. ამ უქონელ დროში დაიქირავო მხატვარი, გადაუხადო თანხა და შექმნა ტილოები წარსულისა, დღევანდელობისა, შექმნა უამრავი და უთვალავი, წარმოუდგენელია.

სიზმარია?... არა, რეალობაა. დიდება შენდა ღმერთო, დიდება შენდა... თქვენ ალბათ ცდილობთ, საკუთარი იდეების განვითარებით შექმნათ მატერიალური სიმდიდრე სულიერებასთან ერთად. თქვენ ძალიან ახლოს ხართ ღმერთთან, აკი ამბობთ თქვენივე ლექსში „მოდით კაცებად დავრჩეთ“, ეს ბრძნული ნამდვილი ქართველური სიტყვები ბევრს არ ესმის, ნაჭუჭში ყოფნა ურჩევნიათ ჭუჭყიან ნაჭუჭში. ბოლოს ეს ნაჭუჭიც ჩაილეწება და დარჩებიან არარაობები. „ბოროტება განათლებული ადამიანიდან მოდისო“ თქვა წმინდა კოზმა ეთოლიკიელმა. ღმერთმა ადამიანს ნება მისცა, ყველაფერი თავისი გონებით გაეკეთებინა და როცა უღმერთო საქმეებს სჩადის თვითონ ღუპავს საკუთარ თავს, ანადგურებს იმას რასაც თვითონვე ქმნის.

თქვენ კი პირიქით, სულის ტაძარი ააშენეთ, სადაც ყველა ღვთის მოყვარულ ადამიანს შეუძლია შევიდეს და ილოცოს ოჯახისთვის, ილოცოს სამშობლოსთვის. აი, თქვენთვის ბატონო უშანგი, პირველი ღმერთია, მერე კი თქვენს მიერ შექმნილი საქმე; ამიტომაც იყო, რომ როდესაც ზაფხულში ერთაწმინდის ეკლესიაში ღონისძიება ჩავატარე დიდი მოურავის გიორგი სააკაძისა და პაატასადმი მიძღვნილი, თქვენ ამ ისტორიული დღის დასრულების შემდეგ იმ საზოგადოებას, ვინც კი იყო იქ, პოეტებს, მხატვრებს, სულიერ მამებსა და დებს აჩვენეთ თქვენს მიერ აშენებული ღვთის ტაძარი, მერე კი მოკრძალებულად შეგვახედეთ სულის სამრეკლოში, მე არ ვიცი რა გიწოდოთ, პოეტი?.. მხატვარი? თუ უბრალოდ დიდი ადამიანი. იმ დღეს თქვენ ხელშეხვეული – თაბაშირ დადებული იყავით, თქვენი შვილი კი მეორე, თუ მესამე სართულიდან ჩამოვარდნილა, იწვა თავის საძინებელ ოთახში, თავს დასტრიალებდა ლამაზი ცქრიალა მეუღლე, მასაც თაბაშირი ჰქონდა ფეხზე, წელის არე კი სერიოზულად დაჟეჟილდაზიანებული. ბრგე ვაჟკაცი გაუსაძლის ტკივილებს ითმენდა, თქვენი ოჯახი ისე შეგვხვდა, ვითომდა არაფერი იყო მომხდარი. მათ ვერ შეატყობდით სახეზე შეშფოთებას, მჯერა, თითეულ ოჯახის წევრში უფალია და ამიტომ ბრძანდებით ასეთები.

დიდი ადამიანები ყოველთვის თავმდაბლები არიან. ღმერთმა ანგელოზები შექმნა მათი ნაწილი ამპარტავნებისაგან დაეცა და ეშმაკად გადაიქცა. ღმერთმა ამ ანგელოზების შემდეგ შექმნა სრულყოფილი ადამიანი და ეს ადამიანი თქვენ ბრძანდებით ბატონო უშანგი.

ნიკო ხერკელაძე
მხატვართა კავშირის წევრი, მწერალთა კავშირის
წევრი, ვაჟა-ფშაველას პრემიის ლაურეატი
2016 წ. 2 იანვარი. თბილისი

შენი საქმე და ღვაწლია საყურადღებო სათქმელი

ბატონი უშანგი მოსიაშვილის შესახებ როცა საუბარს ვიწყებთ, როგორც მოქალაქის, როგორც ქართველის, როგორც პიროვნების შესახებ, აუცილებელია შევეხოთ კასპის ისტორიულ წარსულს, როგორც ჩვენს წელთაღრიცხვამდე, თუნდაც ჩვენი წელთაღრიცხვით, ყველა ეპოქა კასპმა, როგორც ქალაქმა გამოიარა, ძალზედ შინაარსიანია, და ღრმა კვალიც დააჩნია ჩვენს ცრემლიან ისტორიას.

როცა მე ქალაქ თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ვსწავლობდი, ვახტანგ ბერიძე კითხულობდა ლექციებს საქართველოს ისტორიაში, ბატონი ვახტანგი ამბობდა, საქართველოში ისტორიული ძეგლების სიმრავლითა და მათი ხუროთმოძღვრული მნიშვნელობით, კასპის რაიონი განსაკუთრებით გამოირჩევაო, ეს მოვლენაც ერთგვარ ფონსა და საფუძველს უქმნიდა ბატონ უშანგის, როგორც მისი მსოფლმხედველობის, მოქალაქის, პოეტის, მხატვრის და საერთოდ პიროვნების ჩამოყალიბებაში. ის განსაკუთრებული სიყვარულით ბერი თევდორესა და გიორგი სააკაძის სახეებს ხატავს:

თევდორე, შე სულნათელო
ჩვენთვის აიდგი ფეხიო,
შენ რომ არ გამოგვჩენოდი
დაგვეცემოდა მეხიო.

იცის უშანგიმ როგორი ღირსეული გმირია ბერი თევდორე, და ვისი მეშვეობით გადარჩა ლუარსაბ II-ე.

ე.ი.ბერმა თევდორემ თავი ვერ გადაირჩინა, მაგრამ ქართლის სამეფოს მეფე გადაურჩინა.

თევდორე არ დაკარგულხარ
არა ხარ ჩვენთვის მკვდარიო!
ჩვენი ხალხისთვის მრავალჟამს
იქნები ღმერთის დარიო!

უშანგი თავის განცდებს შეგვახსენებს და გვეუბნება, რომ „ჩვენს მიწა-წყალს, სააკაძის ახსოვს გმირობა“

აქ პირდაპირ გამოხატა პოეტმა, თავისი განცდა დიდი უმადურობის შესახებ, ქართველი ხალხის ჯგუფმა თითქოს დაივიწყა სააკაძის ამაგი, მაგრამ ჩვენი მიწა-წყალი და სიმართლის მთქმელი მოსახლეობა არასოდეს არ დაივიწყებს სააკაძის ღვაწლს.

პოეტი ქართველ ხალხს შეახსენებს:

„სიკვდილის მერეც ვერ ვუპატრონეთ, ვატკინეთ გული“

აქ ალექსანდრე მაკედონელის სიტყვები მახსენდება – „დიდკაცთა (მეფეთა) ხვედრია კარგი საქმისთვის ავი ისმინოს“, ერთმანეთში გულისტკენა ჩვენი ხალხისათვის უცხო არ არის... უშანგი, მთელი არსებით განიცდის ჩვენი ქვეყნის მდგომარეობას, განსაკუთრებით გიორგი სააკაძის ბედს, გაზულუქებულმა რამოდენიმე დიდებულმა შურით აღვსილმა შეთქმულება რომ მოუწყვეს (რა თქმა უნდა შაჰ-აბასის წაქეზებით) და სამშობლოდან გააძევეს, ეს თავის თანამოძმეთაგან გაძევებული, კაცი, ირანში ვერ ჩერდება, სადაც დიდ წარმატებებს მიაღწევდა და ირანულ სიამტკბილობაში იქნებოდა. როგორც სხვა ქართველები, რომელნიც სააკაძემდე იყვნენ ირანში ჩასულნი. აქაა გ. სააკაძის უდიდესი კაცობა, რომ თავისი პირადი კეთილდღეობა მისთვის შორსაა და თავისი ოჯახის წევრებიც რამხელა ვეებერთელა სარისკო გზაზე ჰყავს დაყენებული, რომ უმ-

თავრესი საქმე გააკეთოს თავისი და ჩვენი სამშობლო გადაერჩინა შაჰ-აბასის ავი გეგმებისაგან. უშანგი ყოველივე ამას თავისი მგრძნობიარე გულით გრძნობს და თავის ლექსებში განმარტავს.

მამის საქმისათვის შეწირული შვილი რომ კვდება აქა უმთავრესი განცდა ქართულად მოაზროვნისა, რომ დიდი კაცის ამაგის დანახვა, მას მოწოდებად აქვს, ის განცდა, სხვამაც დაინახოს და მისებურად განიცადოს

სამშობლოს სიყვარულს გამორჩეული ადგილი უკავია მის პოეზიაში:

„სანთლად აენთე შენს დიდ სამშობლოს
და ხატად გყავდეს სვეტიცხოველი“

უშანგის ეთვისება და უხდება თავისი მიწა-წყლის ქება, ეს მისი მოწოდებაა, მის ლექსებს, შემდგომში თაობები მოეფერებიან, მაგალითად გაიხდიან და თავიანთი სამშობლოს კეთილდღეობისთვის დიდი სიყვარულით განიმსჭვალებიან. რამდენი ეპითეტი აქვს პოეტური სულის კაცს ქვეყნისადმი სიყვარულის გამოსახატავად, მთელი გული და სული აქვს ჩაწურული. განა შეიძლება ასეთი განცდებით, მოწოდება მომავალი თაობებისათვის, ნათელი და საწინდარი არ იყოს მათი თვალთახედვის სუფთა სრულყოფისათვის. ეს ხომ დიდი მოვალეობის წინაშე დიდ პასუხისმგებლობასაც ნიშნავს... როგორი კაცთმოყვარე და ქრისტიანული სარწმუნოების უმაღლესი სიყვარული აქვს უშანგის, როცა იგი, კასპის მოსახლეობისათვის დიდი მონდომებით სალოცავი ღვთის სახლი, ტაძარი ააშენა და სრულყოფაში მოიყვანა. მე ბევრჯერ ვყოფილვარ უშანგისთან კასპში სტუმრად, თვითონ თავის ქება არ უყვარს. ეს მისი ადამიანური თივსებაა, მე მისი მეგობრებისაგან ხშირად მომისმენია, როგორ ეხმარებიდა ხელმოკლე თავის თანამემამულეებს, რამდენისათვის ქორწილი გადაუხდია, მრავალს კი გასაჭირში დახმარებია, დღეს კასპის მოსახლეობა წყლით უზრუნველყოფილი რომაა ეს სწორედ უშანგის დამსახურებაა. კარგი კაცობა დიდი და მძიმე მოვალეობაცაა, თანაც ყველასთან ზომიერად და გაწონასწორებული ურთიერთობით. მისი მეგობრებისაგან მისადმი დამოკიდებულება უშუალოა და სითბოთია გამსჭვალული, ისინი არ იშურებენ საქებარ სიტყვებს. აი მათი სიტყვები: ვისაც კი კაცის თვისებები აკლია უშანგისთან უნდა იმეგობროსო, ეგ ისეთი პიროვნებაა ადამიანებთან ურთიერთობაში შეცდომას არ დაუშვებსო და არც თავის გვერდით მყოფს მისცემს, შეცდომის დაშვების უფლებასო. კარგი კაცობის თამაში ხომ შეუძლებელია, არაფრით არ გამოვა, იმიტომ რომ ყოველი ნაძალადევი თამაში დამღლელია, კარგი ადამიანობა მხოლოდ გულშია. დიახ, არიან ასეთი ადამიანები მაღალი ღირსებებით შემკულნი, სწორედ ასეთია უშანგი მოსიაშვილი. მას გაუნელებელ დარდად ასდევნებია თავისი მიწა-წყლის სიყვარული. ასეთი კაცის თანამსგავსი პიროვნებები იყვნენ ის ადამიანები, რომელთაც თავიანთი ზნეკეთილი სიყვარულით სავსე გულებში, გამოატარეს თავიანთი სამშობლოს გადარჩენის გზები, მუდმივად ფხიზლობდნენ, სადარაჯოზე იდგნენ და ფიქრიანი თვალებით გასცქეროდნენ საქართველოს სივრცეს. პოლიტიკოსები და ქვეყნის მმართველები როცა ხელოვნების თაყვანისმცემლებიც არიან, მაშინ ასეთი ქვეყანა გახარებულია.

მოთმინების გრდემლზეა ნაწრთობი უშანგის ხასიათი, დინჯი, დარბაისელი, უფრო სიტყვაძუნწი, სიმართლის მთქმელი, ოდნავ საეჭვო მოვლენასაც კი პირდაპირ გეტყვის მოურიდებლად, ამით თვითონაც მშვიდდება და სხვასაც ამშვიდებს, სანერვიულო ატმოსფეროს არ ქმნის. იგი პატივს მიაგებს საკუთარს, კუთვნილს, პატივით ეპყრობა სხვათა ნაშრომ-ნაღვაწსაც, ასეთ ადამიანებს, სულაც არ არის გასაკვირი, მტრებიც ეყოლებოდა, ან რა გასაკვირია, როგორ დიდებულად ამბობს დიდი ვაჟა-ფშაველა „ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანი“. ქვეგამხედვარენი მუდამ იყვნენ, იქნებიან მომავალშიც. გიორგი სააკაძემ 1609 წელს, ოსმალ-თათართა ჯარი გაანადგურა და დიდი გამარჯვება მოიპოვა და მტერზე გამარჯვებულ სააკაძეს, ქართული ჯიშის რაღაც ნაწილმა სასიკვდილო შეთქმულება მოუწყო და სამშობლოდან ირანში გადახვეწა მოუწია. სვეტიცხოველის ამშენებელი არსუკიძის მკლავის მომჭრელი, უგვარსახელოო არსებანი ისევ დააბიჯებენ დედამიწაზე, ხშირად უჩინარნი არიან და სატანისაგან დახმარებას ელიან და მისი მითითებით მოქმედებენ. ადამიანებში არსებობენ მიზიდულობის მქონე სულიერი მაგნიტები, ღვთის ნიშნით კოდირებულნი და არსებობენ სატანის ნიშნით კოდირებული განზიდულობის ადამიანები...

გააჩნია ვინ ვისში რას ხედავს, ან რას ეძებს, უშანგი ზნეობრივი მაგნიტებითაა დამუხტული. იგი მრავალმხრივი პიროვნებაა, უპირველესად კი კაცთმოყვარე ხალხისათვის მზრუნველი, ასეთი ადამიანები ხომ მუდმივად ჭირდება ჩვენს მიწა-წყალს. უშანგიმ შესანიშნავი ფურცელი ჩაწერა,

ჩვენი მომავალი თაობების, ზნეობრივ-კულტურული ცხოვრების შეცნობისა და იმ თვალთახედვის ჩამოყალიბებისათვის, რაც ჩვენს ქვეყანას ისტორიულად გამოუვლია, მან დიდებულად იცის ერის სიდიადე რომ ხალხის მიერ შექმნილ კულტურის საგანძურშია და აკი, გადაწყვიტა კიდევაც აღესრულებინა ეს დიდებული საქმე. როგორ უნდა უყვარდეს ადამიანს. თავისი ქვეყანა, მისი თითოეული მოქალაქე, მოსახლე, ნებისმიერი ეროვნების, რომელნიც ქართულ მიწა-წყალზე ცხოვრობენ, და ქართველ ხალხთან ერთად ხშირად მონაწილეობა მიუღიათ, სხვადასხვა ომებში, მტრებისაგან თავის დასაცავად... როგორია ამ მოვლენებზე დაფიქრდეს კაცი, არ დაიშუროს, არც დრო, არც ფინანსური სახსრები და გადაწყვიტოს ისე ეს დიდებული საქმე, რომ ერთი წუთით წარბი არ შეიხაროს, ბევრი საქმეც გვერდზე გადადოს და მოიწვიოს ხელოვანი მხატვარი თავისი იდეა-მოსაზრებანი გაუზიაროს ისიც დააფიქროს და ამ დიდებული საქმისათვის შეამზადოს, ამ დიდებული საქმის თანამონაწილე კაცი გახდა მხატვარი ალექსანდრე ციხელაშვილი და ანაზღაურების საფუძველზე შეასრულა 60 ცალი მრავალფიგურიანი ტილო. ჩვენ მხატვართა საზოგადოება დიდ მადლობას ვუხდით უშანგი მოსიაშვილს როგორც დამკვეთსა და ამ დიდებული საქმის იდეოლოგს, შემდეგ ბატონ საშა ციხელაშვილს, რომელმაც ეს საქმე ფიზიკურად შეასრულა. მე მას ვაქებ არა როგორც მხავტრული ნამუშევრების შექმნისათვის, არამედ როგორც ისტორიული ბატალური კომპოზიციების მოძებნისა, დახვეწისა, ფიგურათა სწორი განლაგებისა და სურათების ბოლომდე სრულყოფისათვის. ყველა ეს ნამუშევარი ერთ დიდ დარბაზშია გამოფენილი, მარტო გიორგი სააკაძის ეპოქაზე 10 დიდი ტილოა წარმოდგენილი. უშანგიმ, კასპელ მოსახლეობას, ერთი დიდი მნიშვნელოვანი კულტურული კერა აჩუქა, როგორც სანახაობა, ისტორიული თვალთახედვის სრულყოფისათვის თვით ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ჩამოსული სტუმრებისთვის და ტურისტებისათვის. დარბაზში წარმოდგენილი ნამუშევრები ყველა უშანგის მიერ მოფიქრებული და მითითებულია მხატვრისათვის, თუ როგორი ჩანაფიქრით უნდა ემუშავა ხელოვანს. მე ვფიქრობ და ხმამაღლაც ვამბობ, მთელ საქართველოში ეს მოვლენა ერთადერთი შემთხვევაა, რაც უშანგიმ ჩაიფიქრა და შეასრულა კიდეც. თუ მიმბაძველებიც გამოჩნდებიან ეს ძალიან კარგიც იქნება.

შეგიძღვება უშანგი თავის გალერეაში ამაყი, მხრებგაშლილი, ანთებული თვალებით და გულით გიყვება თითოეული ტილოს შექმნის პროცესს. ისტორიულ პერსონაჟებს, თუ რომელი ფიგურა ტილოზე რა როლს ასრულებს, ამ ტილოებზე წარმოდგენილია ჩვენს წელთაღრიცხვამდე ქართველი ხალხის ისტორია და ჩვენი წელთაღრიცხვით ჩვენი ერის ისტორია. სიმართლე ხომ დიდი სინათლეა. უშანგის შესახებ საუბარი, დახასიათება, ძალზედ სახალისო და ერთგვარად სასიამოვნოცაა, ეს იმიტომ, რომ თვითონ მისი პიროვნება იძლევა ამის საშუალებას, ჩვენი სამშობლოს ისტორია მან მშვენივრად იცის. ყველა ეპოქაზე შეუძლია მას შინაარსიანი საუბარი. როცა მნახველი ამ ტილოებს ნახავს, აუცილებლად დაფიქრდება და მიხვდება თუ რამხელა ვეებერთელა სიყვარული უტარებია უშანგის მთელი გულით ჩვენი ქვეყნისა და ეს სიყვარული გაცხადდა და გამომჟღავნდა, როცა მისი დაკვეთით ეს ტილოები იხატებოდა მხატვრისაგან.

უშანგი მოსიაშვილი საზოგადოებრივ ურთიერთობებში ზომიერი და გაწონასწორებულია, ერთი იოტისოდენა, მცირედი უარყოფითი სიტყვაც კი არ გამოითქმის მისგან ვინმეს შესახებ. განა ცოტა წყენა შეხვედრია მას, უსამართლო და არაადამიანური, ერთი სიტყვაც კი არ დასცდება, არ უნდა გაგი/ვიკვირდესო ასეთია ცხოვრეობაო. ამას იტყვის და მორჩა, მისი ბაგედან არავის შესახებ ცუდი არ ითქმევა, აი ამას ჰქვია დიდი კაცობა. დიდი კაცია იგი დიდი და ძალზედ გულიანი კაცთმოყვარე. სამაგიეროდ დაუღალავად შეუძლია მას საუბარი მწერლობაზე, პოეზიაზე. იგი ძალიან დიდ პატივს სცემს ხელოვან ხალხს, მხატვრებს, მოქანდაკეებს, გრაფიკოსებს.

არის ცნობილი მოქანდაკე გიორგი ლარიაშვილი. იგი ჩვენი საერთო მეგობარია, იშვიათი და ძალზედ ზედმიწევნით ადამიანური ღირსებებით შემკული პიროვნება. მისი მოსაზრება იყო და ხშირადაც უთქვამს, ასეთი კაცი როგორც უშანგია, როგორ შეიძლება ის ქანდაკებაში არ იყოს ასახულიო და კიდევაც შეასრულა ეს პირობა და მშვენიერი პორტრეტი შექმნა უშანგისა და საუკეთესო მასალაში ბრინჯაოშიც ჩამოასხა, ცნობილი ბრინჯაოს ოსტატის, მონუმენტალისტის და კარგი მოქანდაკის სოსო ზურაბიშვილთან ერთად.

როგორც ზემოთ აღვნიშნე უშანგი მრავალმხრივი პიროვნებაა. იგი დაჯილდოვებულია მხატვრობის ნიჭითაც, მას ჩვენი ქართველ დიდებულ მეფეთა მთელი პორტრეტები აქვს შექმნილი. ესაა დასტური იმისა, თუ მას როგორ ესმის ჩვენი დიდებული მეფეთა მიერ ქვეყნისათვის უანგარო სამსახური, თუ რა პასუხისმგებლობით გამოირჩეოდნენ ისინი, რა სირთულეებს გაართვეს

თავი, სამტროდ მაცქერალი, მეზობლად, მოსაზღვრე მაგრამ, ხშირად ასეთი ქვეყნების ავისმოსურნე გეგმებისაგან, სწორედ ბაგრატოვანმა დიდებულმა მეფეებმა იზრუნეს, თავი არ დაზოგეს, და ჩვენს ქვეყანას თვითმყოფადობა შეუნარჩუნეს.

თანამემამულეებს ერთმანეთში რატომ ჭირდებათ მტრობა ქიშპი, საკითხავია ვინ ვისა მტრობს... საქართველოში მძიმე დროა, ვერა და ვერ გამოიდარა პოლიტიკურმა ამინდმა. არც აცლიან გამოდარებას, ერთმანეთში პირველობენ ვინ ვისზე მაგრად იტყვის: „ჩემი სჯობსო“. ქვეყანა შველას ელის, დიდხანს კი მოუწია ლოდინი, სამშობლო, მშობელივით ბევრის მპატიებელია, როდემდე, იქამდე სიკვდილის წინ გედი რომ მღერის?

„სამშობლო“... პაატა სააკაძის თავმოკვეთამდე ნამღერია:

„ჩემო ლამაზო სამშობლო, შენ კი გენაცვალე“...

მამისაგან შეწირული და განწირული მზეჭაბუკი მხოლოდ სამშობლოს გადარჩენისთვის რომ იბრძოდა... სიმართლეს ვერ დავადუმებთ, მაინც გამოხეთქავს. სიკეთე მამა ღმერთისგან დაიწყო და მასავით დაუსრულებელია, როგორ დიდებულად ბრძანებს ჩვენი პატრიარქი ილია II „აკეთე სიკეთე და სიხარული მუდამ იქნება თქვენთან“. სწორედაც ღვთის ნება იყო ის, რომ უშანგი მოსიაშვილმა 60 დიდი ზომის ტილო შეუკვეთა მხატვარ ალექსანდრე ციხელაშვილს... ეს ფერწერული სურათები კი თაობების განცვიფრების საგანი იქნება მუდამ.

მოქანდაკე – **გიორგი (გელა) ლარიაშვილი**
ილია ჭავჭავაძის პრემიის ლაურეატი
7 აპრილი, ხარება
2016 წ.

კვალი ნათელი

ძალიან ძნელია, მოკლედ, ობიექტურად და სრულყოფილად შეაფასო ისეთი პიროვნება, როგორიც ბატონი უშანგი მოსიაშვილია.

დარწმუნებული ვარ, ვინც ახლოს იცნობს უშანგის, იგი მის საქმიანობაზე და დადებით ღირსებებზე გაუთავებლად ილაპარაკებს. იგი თავისი საქმის ნამდვილი პროფესიონალი და საერთაშორისო დონის სპეციალისტია, უფლისაგან დაჯილდოვებული მრავალმხრივი ნიჭით. იგი ნიჭიერი, საქმიანი პრინციპული სიტყვის კაცია, ფიცხი, მომთხოვნი და სამართლიანი. რაც სრულად განაპირობებს მის წარმატებებს.

სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული პატრიოტი, ეკლესიათა მშენებელი, ქველმოქმედი, მრავალი ინოვაციის და გამოგონების ავტორი, მშენებელი, მეცნიერი, მრავალი აკადემიის აკადემიკოსი, მრავალი სახელმწიფო მედლის, ჯილდოსა და პრემიის ლაურიატი, მწერალთა კავშირის წევრი, პოეტი, მხატვარი, ორგანიზატორი, რაციონალიზატორი, მენეჯერი, უტყუარი ალღოს, იდეის და თვალის პატრონი, შესანიშნავი იუმორის და კიდევ მრავალი ღირსების მატარებელი.

გულისხმიერი მასპინძელი, დიდი ბრწყინვალე ოჯახის მამა, შესანიშნავი დარბაისელი მეუღლექალბატონი ნანი, თითით საჩვენებელი შვილებით, შვილიშვილებით და შვილთაშვილებით.

ბედნიერი ვარ, რომ წილად მხვდა პატივი (ჩემი პირადი შეთავაზებით) შემექმნა ბატონი უშანგის სკულპტურული პორტრეტი. ასევე დიდი სიხარული იყო ჩემთვის ამ დიდ ლამაზ ოჯახში ჩემი „მეხუთე” შვილად მიღების პატივი.

ყველა დიდ გამოჩენილ პიროვნებას აქვს, რაღაც თავისი განუმეორებელი შეხედულება, ზოგადსაკაცობრიო იდეა ან ფრაზა. რაც შეეხება ბატონ უშანგის, მას განსაკუთრებული ფორმულა აქვს ადამიანის, მამაკაცის ამ ქვეყანაზე მოსვლის მისიაზე: „მოდით, კაცებად დავრჩეთ ბოლომდე!” ამ მოკლე წინადადებაში ყველაფერია ნათქვამი. იგი ნამდვილად იმსახურებს ძეგლის პატივს.

ამიტომაა ბატონო უშანგი, უამრავი ადამიანი, რომ გილოცავს იუბილეს, ბატონი კარლო ნადირაძე, რომლის სიტყვა ფასეულია, ასეთი სიტყვებით გამოხატავს შენი იუბილის ამ დღეს:

კასპელების სიამაყევ,
შიდა ქართლში გაზრდილო,
დაბადების დღეს გილოცავ
უკვე ოთხმოცს გავლილო.

მაღლით ღმერთი გმფარველობდეს,
შეგეწიოს გამჩენი,
დიდო კაცო, შენ იცოცხლე
კიდევ ორი ამდენი.

ხოლო საყვარელი ქალიშვილი იზა მოსიაშვილი, თავაწეული დადის რადგან შენი შვილია ბატონო უშანგი, რომელმაც მოგიძღვნა მამაშვილური სითბოთი გულგამთბარი ლექსი.

შენზე ძლიერი, შენზე მამაცი
და შენზე ნაღდი ქართველი კაცი,
ასე მგონია საქართველოში
მაინც და მაინც ბევრი არ დადის,
ბავშობის რწმენა დღესაც შემომრჩა
და სიამაყე იმდროინდელი,
იმხანად ჩემთვის არ იყო არვინ,
შენზე ჭკვიანი და უძლეველი,
ასეა დღესაც, ასე იქნება
ხვალ, ზეგ, მაზეგ, მთელი ცხოვრება,
რადგან შენახარ ჩვენი იმედი,
ჩვენი ცხოვრების გასხივოსნება.
თავაწეული დავდივარ მარად,
რადგანაც ჩემში შენი სისხლია,
სანამ შენ მყავხარ იცოდე მამი
„თვით სიკვდილისაც არ მეშინია“.

ნაირა ნიჟარაძემ შენი ისტორიული მუზეუმიდან გამომდინარე მეორე ლექსი მოგიძღვნა:

* * *

ერთ პატარა ქალაქში
საოცრება აშენდა,
იქ, ვაზების ჩრდილებში
თბილი მიწა დამშვენდა.
თითქოს ციდან დაეშვა
მაგნიტური ტალღები
და შენობა აიგო,
ღია, ფერად თაღებით.
მართლის ფართო მინდორზე
რა სიმდიდრე აღმოჩნდა.
შიგ, ამ ტაძრის კედლებზე
ისტორია გამოჩნდა.
ჩვენი საქართველოსი,
ფერად-ფერად ფერებში,
ეს რა ძალა ჰქონია
მახტვარს ოქროს ხელებში.
კასპის შემოგარენში
ეს რა ცეცხლი ანთია,
უზარმაზარ კედლებზე
წინაპრები ხატია.
ტილოები ხასხასა
არ მოსულა თავისით,
კედლებიდან გვიმზერენ
თამარი და დავითი.
სად ლუვრი და ვერსალი,
ამას ვერ შეედრება,
დაამშვენეს ნახატი,
დათოვლილმა ქედებმა,
გაოცებით შევცქერით,
ეს ნამდვილი განძია.
საქართველოს ცხოვრება
ამ კედლებზე ხატია.
შეჩერდით და დაფიქრდით,
დრომ რა ჩქარა იარა.
ბევრმა ჭექა-ქუხილმა
თავზე გადაგვიარა.
ან რა ფუნჯით შეიქმნა
ეს მაღალი მხატვრობა,
სწორად დაიმსახურა
ხალხისაგან მადლობა.
თავდაცვის და გმირობის
ისტორია გვაჩვენა.
ეს რა ხელმა აშენა,
დაელოცოს მარჯვენა!

ასე ათვალე ასზე მეტი წელიწადი, სიცოცხლეშივე უკვდავო, ბატონო უშანგი....

ნუგზარ გოგიბედაშვილი – *კასპის რაიონის*
მთავარი ექიმი, საავადმყოფოს დირექტორი,
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი,
სპორტის ოსტატი.

მეტად საჭირო კაცი

უშანგი მოსიაშვილი კასპის რაიონში მცხოვრებ იმ ერთეულ პიროვნებებს ეკუთვნის, ვინც მუდმივად ზრუნავს სამედიცინო სამსახურის ხელის შეწყობისათვის. რაიონის მასშტაბით მას დიდი წვლილი მიუძღვის პრევენციული ღონისძიებების დანერგვისა და განვითარების საქმეში.

ქარხანაში, რომელსაც იგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობს, მუდამ მაღალ დონეზე იყო სამედიცინო მომსახურება, არც ერთი მისი თანამშრომელი სრულყოფილი სამედიცინო გამოკვლევისა და მკურნალობის გარეშე არ დარჩენილა. მან ქარხანაში გააკეთა ფიტნეს კლუბი,

საჭიდაო და კრივის დარბაზები, ააშენა საცურაო აუზი და ეს ყველაფერი – რაიონის მოსახლეობისათვის. შეუძლებელია არ აღინიშნოს ის დახმარება, რასაც იგი კასპის რაიონის ერთადერთ საავადმყოფოს უწყვეტად უწევდა. ჯერ კიდევ ახალი საავადმყოფოს ძირითადი კორპუსის აშენებისას შეიქმნა გადახურვის პრობლემა. ბრტყელი გადახურვა, რომელიც პროექტში იყო ჩადებული, არ ამართლებდა. საჭირო იყო ჩვეულებრივი გადახურვა და ამასთან, უამრავი მეტალის კონსტრუქცია, რაც სამშენებლო ორგანიზაციას არ გააჩნდა. ამ პრობლემის გადაწყვეტა თავის თავზე აიღო უშანგი მოსიაშვილმა და თავისი მასალითა და მუშა-ხელით შეცვალა საავადმყოფოს სახურავი. ასევე მის ქარხანაში დამზადებული ელექტრო-გამანაწილებელი ფარებითა და ელექტროგაყვანილობით უზრუნველყო საავადმყოფოს სინათლით მომარაგება.

არ ყოფილა პრობლემა საავადმყოფოს ელექტრომომარაგების საკითხებში, რომ უშანგი მოსიაშვილს დახმარების ხელი არ გაეწვდინოს. დიახ, უშანგი მოსიაშვილი რაიონისთვის, ქვეყნისთვის მეტად საჭირო კაცია.

მეგობრების სახელით
მერი ჩიტალაძე – *თანაკლასელი.*

ნიჭით, კაცობით, გამორჩეული

სკოლის მერხიდან ვიცნობ უშანგის. სწავლის პერიოდში მეგობრებისაგან არაფრით გამოირჩეოდა, იყო უწყინარი, მშვიდი, მშრომელი, სწავლობდა კარგად, სარგებლობდა კარგი ავტორიტეტით.

სკოლის დამთავრებისთანავე დაიწყო მუშაობა. მალე ისახელა თავი და მოწინავე მუშა გახდა, შემდეგ გამომგონებელი, მალე სწავლა გააგრძელა და თანამდებობაც აიმაღლა. ამის შემდეგ მიეცა თავის გამოჩენის მეტი შანსი. მან დიდი დახმარება გაუწია კასპის რაიონის ახალგაზრდობას. ისინი დაასაქმა, ასწავლა მუშაობა და დაოჯახებაშიც შეუწყო ხელი ქარხნის მიერ აშენებული ბინების მიცემით. პარალერულად კერძო ბინების მშენებლობაც მიმდინარეობდა. რითაც შეეძლო ყველას ეხმარებოდა მშენებლობაში და მისი დახმარებით მშვენიერი გახდა კასპის დასახლება. მისი ავტორიტეტიც ამაღლდა. ქარხნის მუშაობაც წარმატებული იყო და თანაშრომელთა ცხოვრების დონეც.

შეიცვალა წარმოების განვითარების სტრუქტურა და ფორმები. დღესაც აგრძელებს უშანგი საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმიანობას. მას ყოველთვის გვერდში ჰყავდა მეგობრები, კლასის ამხანაგები და ეხმარებოდა ყველას. ბევრი მათგანი დღესაც მის გვერდით მუშაობს, რაც მისი კეთილშობილებითაა გამოწვეული. მოვიყვან ასეთ მაგალითს: მან ყველაზე დიდი გაჭირვების პერიოდში, როცა არც განათება, არც გაზი და არც ხელფასი იყო ნორმალური, მეგობრების გასამხნევებლად და გასახარად ორგანიზაცია გაუკეთა სკოლის დამთავრის 47-ე წლისთავს და ერთი ლამაზი, დაუვიწყარი საღამო გვაჩუქა და ამ შეხვედრის მთლიანი ხარჯიც თვითონ გაიღო.

დღეს კასპის მოსახლეობა ამაყად წარმოთქვამს უშანგი მოსიაშვილის სახელს, როგორც დიდი პატრიოტის, ხალხის მოყვარულის, კეთილშობილი ადამიანისა.

მისი სკოლის მეგობრები ვამაყობთ, რომ ასეთი ადამიანი ჩვენს გვერდითაა.

***გურამ მელაძე**, თანაკლასელი.*

ღმერთმა წარმატებები ნუ მოუშალოს!

უშანგის ბავშვობიდან ვიცნობ, ენერგიული და ჩხირკედელა იყო, უყვარდა შრომა, ყველაფერს თავისი ხელით აკეთებდა, სწავლითაც კარგად სწავლობდა, სკოლის დამთავრებისთანავე ჩაება შრომით საქმიანობაში, იყო მიზანსწრაფული, უყვარდა ლიდერობა. ერთხელ მითხრა – სულ მუშა კი არ ვიქნებიო და მართლაც ჯერ ბრიგადირი გახდა, შემდეგ საამქროს უფროსი, ქარხნის მთავარი ინჟინერი და დირექტორი. ყოველთვის ცდილობს, რაღაც ახალი შექმნას, შეცვალოს და უკეთესო გააკეთოს. დაუფასდა კიდეც, გახდა დამსახურებული რაციონალიზატორი და გამომგონებელი.

პირად ცხოვრებაშიც წარმატებულია. ადრე დაოჯახდა – სამი ვაჟკაცის და ერთი ასულის მამაა, უკვე დიდი პაპაცაა – ჰყავს შვილთაშვილი.

მე დიდად ვაფასებ მის პრინციპულობას და გაბედულობას. მან მხედრიონის თარეშის დროს, კბილებით დაიცვა ქარხნის ქონება. ოსების დევნის დროს არც ერთი ოსი არ გაუთავისუფლებია სამუშაოდან, არ უწყენინებია მათთვის. ამას ჩემთვის, როგორც ოსისთვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

არ ვიცი, ახალგაზრდობაში ლექსებს წერდა თუ არა, მაგრამ სიბერეში პეგასით ნავარდობაც მოინდომა და როგორც ვხედავ, ამ საქმეშიც წარმატებულია.

ღმერთმა წარმატებები ნუ მოუშალოს!

ლილი ტერტერაშვილი
თანაკლასელი.

ყველაფრისათვის მადლობა

ომი მძვინვარებდა, პირველ კლასში რომ შეგვიყვანეს. ყველას უჭირდა, მით უფრო ჩვენს მშობლებს. სკოლაში შესასვლელი თითო ხელი ტანსაცმლის შეძენა ძლივს მოგვიხერხეს.

იმ დროისთვის პირველი სკოლა პრესტიჟული იყო და გვიხაროდა რომ იმ სკოლაში ვსწავლობდით.

კარგად მახსოვს საკლასო ოთახი, მერხები, თითო მერხზე ორ-ორი მოსწავლე დაგვსვეს. ჩვენს წინ უშანგი და ზაურ თოიძე დასვეს. ეშმაკები და ცელქები ვიყავით, უშანგის რამდენჯერ მელნით დავუსვარეთ ხალათი. გვიბრაზდებოდა, გვემუქრებოდა, მაგრამ ეს ტყუილი მუქარა იყო, სინამდვილეში ჩვენ ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი და ის მუქარა იქვე მთავრდებოდა.

ვიმეორებ, ერთმანეთი ძალიან გვიყვარდა ბიჭებსაც და გოგონებსაც. უშანგი ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი სიდინჯით. იყო ჩხირკედელა. სკოლას თუკი რამე სჭირდებოდა, ყველაფერს უკეთებდა, ხის მასალისგან თუ მეტალისგან ყველაფერს აკურატულად და ლამაზად ამზადებდა. გვიხაროდა, რომ სკოლისთვის საჭირო საქმეს ჩვენი კლასელი აკეთებდა. გავიდა წლები და ყველამ ჩვენ-ჩვენი გზა ვიპოვეთ, ჩავებით ცხოვრების ფერხულში და ამ ჩვენმა ჩხირკედელა ბიჭმა ქარხანაში დაიწყო მუშაობა, სადაც გამოჩნდა მისი ნიჭი და გონიერება. რაც დაედო საფუძვლად მის შემდგომ წარმატებებს, სულ მალე ქარხნის დირექტორად მოგვევლინა. ყველასადმი გულისხმიერი, ყველას პატივისმცემელი იყო უშანგი. ალბათ ქარხანაში კაცს ვერ ნახავთ, ვისაც მასზე აუგი დასცდება, ყველაფრისათვის მადლობა, ძმაო უშანგი!

იზოლდა ფოცხვერაშვილი
თანაკლასელი

კაცი ბაჯაღლო გულით

მე და უშანგი მოსიაშვილი კლასელები ვიყავით. უშანგი ყოველთვის კარგი პიროვნება იყო, ბიჭის თაობაზე კი ძალიან ცელქი და დაუდეგარი. მინდა ერთი კურიოზი გავიხსენო: მათემატიკის გაკვეთილი გვქონდა, უშანგის ჩემი თმა დაუბია ლურსმანზე, ზუსტად იმ დროს მასწავლებელმა გამიძახა დაფასთან. წამოვდექი და ტკივილისაგან ვიკივლე, თავი ზევით ვერ ავწიე. მასწავლებელმა ვერ გაარკვია რაში იყო საქმე და მე გამაგდო გარეთ. უშანგიმ ეს აღიარა, მასწავლებელს უთხრა, რომ ის შეყვირება და ხმაურიც მისგან მოდიოდა. ყველაფერი ეს კარგა ხანს გაგვყვა სასაცილოდ...

გავიდა ხანი. ქარხანა „კასპიელექტროაპარატში“ 1959 წელს დავიწყე მუშაობა მოანგარიშედ. ამ პერიოდში უშანგი უკვე ქარხანაში მუშაობდა. 1978 წელს, როცა უშანგი ქარხნის დირექტორად დააწინაურეს, მე ვმუშაობდი საფინანსო განყოფილების უფროსად. შემიძლია ხმამაღლა თქვა, რომ იგი, როგორც ხელმძღვანელი არის უაღრესად გულისხმიერი და ყველას გვერდში თანამდგომი. მას ბევრჯერ გავუბრაზებივარ და საყვედური უთქვამს ჩემთვის, მაგრამ მე არასოდეს არ გავბრაზებულვარ. ვიცოდი, რომ მას ბაჯაღლო გული უდევს მკერდში. გული, რომელიც არასოდეს გაგწირავს, არასოდეს გიღალატებს.

გურამ ჭავჭანიძე

ბატონ ჭაბუა ამირეჯიბის შემოქმედება რომ ნამდვილი საუნჯეა ერის საგანძურში, ეს ყველას კარგად მოეხსენება, მაგრამ იქნებ ყველამ არ იცის, რომ ბატონი ჭაბუა, ისე როგორც მისი შემოქმედების მთავარი გმირი, თავადაც საოცრად კოლორიტული და მომხიბლავი პიროვნება გახლდათ... ბედნიერი ვარ, რომ წილად მეც მხვდა პატივი ამ ლეგენდარულ პიროვნებასთან დაუვიწყარი შეხვედრისა.

ორი შეხვედრა ბატონ ჭაბუა ამირეჯიბთან

2000 წლის ზაფხული იწურებოდა. ბავშვობისდროინდელი „პლეხანოველი“ ძმაბიჭი შემხვდა საბურთალოზე, ჩემი სახლის წინ. ჩემი ლექსები წაეკითხა გაზეთში, მოსწონებია. დაბეჯითებით მირჩია, როგორც ძველ „პლეხანოველს“, რომ მეთანამშრომლა ახლახან დაფუძნებულ გაზეთ „მეფეთუბანთან“ (პლეხანოვის უბანს ადრე თურმე „მეფეთუბანი“ ერქვა). მართლაც, მივმართე ამ გაზეთის დამფუძნებელსა და მთავარ რედაქტორს ვაჟა სალუქვაძეს და სულ მალე „მეფეთუბანში“ გამოქვეყნდა ჩემი სტატია: „მეფეთუბნელებს გაუმარჯოს!“, რომელიც პატარა ლექსით მთავრდებოდა.

გთავაზობთ აღნიშნულ სტატიას:

„მართალი იყო ეკზიუპერი – ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ. ჩემმა ბავშვობამ პლეხანოვზე ჩაიარა, ჩვენს მეფეთუბანში. როგორ მეამაყება დღეს, რომ თბილისის იმ ერთი ძველი უბნის ტრადიციებისა და, ასე ვიტყოდი, თბილისური ხასიათის ასაღორძინებლად შექმნილი საზოგადოების დაფუძნებაში ესოდენ დიდი ღვაწლი მიუძღვით და აქტიურად თანამშრომლობენ ჩემი ბავშვობის ტოლ-მეგობრები, ძმაკაცები, უცნობ-ნაცნობები. ვენაცვალე, კარგი შურით მშურს მათი. უბანი სულიერად გამოაცოცხლეს, ბევრის გული გაახარეს, ბევრსაც კარგი მაგალითი მისცეს. ასე მგონია, ყველა თბილისელს შესძახეს: ჰეი! სადა ხართ, ბიჭებო, თქვენი ჯერია, გამოდით! ეს ყველაფერი ხომ თბილისური ხასიათია სწორედ, ნაღდი და უანგარო, ლამაზი და ჯავარიანი, საოცრად დროული და საშური. იქნებ, ყველას ვერ ხელეწიფება თანადგომა მიზეზთა სხვათა და სხვათა გამო, მაგრამ გულგრილი, არა მგონია, ვინმე დარჩეს, მადლიერების მინავლებული გრძნობა უთუოდ გაიღვიძებს, სიკეთის ხიბლი იძალებს, კაცურკაცობის ნიჭი ათინათდება, აცისკარდება, მერე იცისარტყელებს უდავოდ. მტრობით თუ უგუნურობით დანგრეულს სიყვარული აშენებდა მუდამ. ადამიანთა ლიბომორღვეულ სულსაც სიყვარული თუ გაამთლიანებს და შეადუღაბებს, მხოლოდ სიყვარული თუ ააშენებს და აამაღლებს, ასე იყო ოდითგან. თქვენს სიყვარულს გაუმარჯოს, პლეხანოველო თბილისელებო, ჩემს დედა-თბილისს ნუ მოუშალოს ალიონი ხოხბისფერი და თქვენისთანა ბიჭების გულის ძგერა. მკაცრი დღევანდელობის ფონზე, ადამიანურ ღირებულებათა გულსაკლავი გაუფასურებისა და საოცარი ცინიზმის პირობებში ჩვენი „მეფეთუბანი“ ნამდვილი ოაზისია უდაბნოში.

ღმერთსა ვთხოვ, შემაძლებინოს, ერთი სიტყვა მეც მათქმევინოს ჩუმი ჩაღიღინებით გულში:

ვისაც შეუძლია შენთვის გაისარჯოს,
ვისაც შეუძლია შენთვის დაიხარჯოს,
გულით ვინც არ ბერდება,
შენთვის ვინც ამღერდება,
ყველას ვადღეგრძელებ, ყველას გაუმარჯოს!
შენი ცა და მიწა ვინაც შეიყვაროს,
სამას გოლიათთან მუხლი მოიყაროს,
სულით, გულით ლამაზებს,
ვინც კი შენ გალამაზებს,

ყველას დავლოცავ და ყველამ გაიხაროს!
ვისაც შეუძლია — უნდა გაისარჯოს!
ვისაც შეუძლია – უნდა დაიხარჯოს!
ღმერთმაც გაუმარჯოს!“

09.06.2000 წ.

მეტად გამახარა იმ ფაქტმა, რომლის შესახებ მიამბო ბატონმა ვაჟამ, როდესაც გაზეთის აღნიშნული ეგზემპლარი გადმომცა. თურმე, მას (მთავარ რედაქტორს) ჩემი და ბატონ ჭაბუას ანალოგიური შინაარსის სტატიები გაზეთის ერთსა და იმავე გვერდზე განუთავსებია. ბატონ ჭაბუას წაუკითხავს ჩემი პუბლიკაცია, მოსწონებია და შევუქივარ. ეს რა კარგი ვინმე გიპოვნიაო, – უთქვამს. ძალიან გამიხარდა, თავიდან ბოლომდე ხელმეორედ წავიკითხე ჩემი სტატია და ახლა უფრო მეტი სიამაყე ვიგრძენი აღნიშნული ფაქტის გამო. ასე „შედგა“ ჩემი პირველი შეხვედრა დიდ მწერალთან და მამულიშვილთან.

გავიდა 12 წელი. მე უკვე საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი ვარ. წარმატებით ჩატარდა ჩემი ლექსების მეორე კრებულის („სიყვარულის მომღერალი“) პრეზენტაცია. სიამაყით ვურიგებ ჩემს ნაცნობ-მეგობრებს აღნიშნულ კრებულს. გამახსენდა ბატონ ჭაბუას მიერ 12 წლის წინანდელი ჩემი შექება და გამიჩნდა სურვილი დიდი მწერლის ახლოს გაცნობისა. აი, მე უკვე დიდი მწერლის სტუმარი ვარ. ქალბატონი თამარი გულთბილად შემხვდა, მომიწონა ჩანაფიქრი და წარმადგინა ბატონ ჭაბუასთან. დიდ მწერალს შევახსენე ჩვენი 12 წლის წინანდელი „შეხვედრის“ შესახებ, მივუსაჩუქრე ჩემი ლექსების კრებული და იმ გვერდის ქსეროასლი, რომელზედაც ჩვენი სტატიები იყო განთავსებული. ბატონმა ჭაბუამ დაუფარავი ცნობისმოყვარეობით შემათვალიერა, დახედა აღნიშნულ ქსეროასლს, მერე ისევ შემომხედა და საოცრად კეთილი ღიმილი მოეფინა სახეზე. აშკარა იყო, გაახსენდა ყველაფერი. მე გავთამამდი, ორიოდე სიტყვით მოვახსენე ჩემს შესახებ და ჩემი რამდენიმე ლექსი სხაპასხუპით ზეპირად წავუკითხე, მათ შორის ჩემთვის ყველაზე საყვარელი ლექსი „ჩემი სიყრმე, ჩემი მტკვარი“, რომელიც ეძღვნება ჩემი ბავშვობის დროინდელი „პლეხანოველი“ ძმაბიჭების ხსოვნას:

ჩემი სიყრმე, ჩემი მტკვარი

უბნელი ძმაბიჭების ხსოვნას

ბორანი რომ მტკვარზე იდგა,
ის თბილისი მიყვარდა,
თითქო ეხლაც თვალწინ მიდგა
აფსუს, დრო-ჟამს მიბარდა,
    მტკვრის გაცურვა ჩემ უბნელთა
    ნატვრა იყო მარადი,
    როგორც ყველა თბილისელთა
    სავიზიტო ბარათი,
ახლაც ფიქრით იმ დროს ვეტრფი,
მთლად არ გადამიწურავს,
თბილისელად იმას ვეტყვი,
მტკვარს ვინც გადამიცურავს,
    ბორანი რომ მტკვარს აპობდა,
    ის თბილისი მერჩია,
    ვინც საბორნე მტკვრით ლაღობდა,
    მსურდა, გამომერჩია.
ის თბილისი, მზის სადარი,
ისე გადაირია,
ვერ გაიგებ, ვინ სად არი,
ვინ სად გადაირია.
    მოდი, ერთი, „მი ატ ელი
    ახპერ“, კაცო კაცურო!
    თუ ხარ ნაღდი თბილისელი,
    მტკვარი უნდა გაცურო,
მომენატრა ბორანი და
მტკვრიდან მასზე აძრომა,
გადმოხტომა ბორანიდან
და ბორნის ქვეშ გაძრომა,
    სად არიან ძმაბიჭები,
    სადღა არი ბორანი?
    „პლეხანოვის“ სხვა ბიჭები,
    მტკვარით ნაამბორალი.
სად ხართ, ძმებო, „ცავატანემ“,
არ გამიქრა შუქური,
განა, ტალღებს გავატანე
ტრფობა სიჭაბუკური?
    არ გამქრალა ის ფარული,
    წლობით გულში ნადები
    ჩვენი ძველი სიყვარული,
    ჩვენი სერენადები.
ცირკის ქვემოთ სანუკვარი,
ძვირად შესახედავი
ჩემი სიყრმე, ჩემი მტკვარი,
რას ბუტბუტებს, ნეტავი?

აქ მოხდა საოცარი რამ: ბატონმა ჭაბუამ ხელები გაშალა და თვალებგაბრწყინებულს რამდენჯერმე აღმოხდა – „ვაა!“.

მე მადლობის ნიშნად ვეამბორე, მან კი გულში ჩამიკრა. ეს იყო საოცარი განცდა. ამის შემდეგ დიდმა მწერალმა რაღაც ანიშნა ქალბატონ თამარს, რომელმაც წიგნების თაროდან გადმოიღო „დათა თუთაშხიას“ ახალი გამოცემა, რომელიც ბატონმა ჭაბუამ საოცარი ავტოგრაფით დაამშვენა და გადმომცა.



ჩვენი შეხვედრის ასეთ ფინალს ნამდვილად არ ველოდი. ასეთ ძვირფას საჩუქარს ალბათ ნებისმიერი ქართველი ინატრებდა. დღემდე არ მტოვებს სიამაყის განცდა იმის გამო, რომ შევძელი ბატონი ჭაბუას აღტაცება გამომეწვია და რომ ჯილდოდ ეს საოცარი ავტოგრაფი დავიმსახურე. ნეტა, მე უფრო მეტი სითბო გავატანე დიდ ქართველ მწერალს თუ მან მეტი სითბო დამიტოვა? თუმცა ამას ახლა რა მნიშვნელობა აქვს? არადა, უკვე მერამდენედ ვეუბნები ჩუმად ჩემს თავს: თუ ეს ბედი მეწერა, მეტი უნდა მეწერა!

2017 წ.

მზია გოგოძე

ლიტერატურულ სამყაროში

იუბილე ეროვნული შემართება _ სულისკვეთებით

მწერალთა სახლში, პოეტისა და ჟურნალ „**ათინათის**“ რედაქტორის, **ჯუმბერ ლეჟავას** სახელობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის **გულნაზ ხარაიშვილის** პოეზიის საღამო გაიმართა, რომელსაც საინტერესოდ, ემოციურად უძღვებოდა მსახიობი და ხონის კულტურის სახლის ლიტერატურული წრის ხელმძღვანელი **გულიადა სანოძე**.

მრავალმხრივად ნიჭიერი ქალბატონის **გულნაზ ხარაიშვილის** შემოქმედებას კარგად იცნობენ პოეზიის მრავალრიცხოვანი მოყვარულები, იგი, **ცხრა პოეტური კრებულის** ავტორია და დიდი დამსახურება მიუძღვის ჟურნალისტიკის სფეროშიც. **გულნაზ ხარაიშვილის** შემოქმედებაში მთავარი პატრიოტული სულისკვეთებაა, პოეზიაში კი, – დიდი ილიასეული შეგონება „მამული, ენა და სარწმუნოება“. მის პოეზიას ამშვენებს ლირიკული ლექსები. მრავალმხრივად ნიჭიერი ქალბატონი გამოირჩევა სიკეთით, ქველმოქმედებითა და ახალგაზრდებისადმი მხარში დგომით. ამიტომაც მას, როგორც საკუთარ დედას, ისე მიმართავენ და ჯუმბერ ლეჟავას აკადემიას „სიყვარულის აკადემიას“ უწოდებენ.

– საღამოს სტუმარიც და მასპინძელიც თავად გახლავართ! – ომახიანად განაცხადა საიუბილეო საღამოს წამყვანმა და წარმოგვიდგინა ხონის კულტურის ცენტრის ლიტერატურული წრის მოსწავლეები, რომლებმაც მოკლედ ისაუბრეს გულნაზ ხარაიშვილის შემოქმედებაზე წაიკითხეს რჩეული პოეტის ლექსები.

საღამოზე პოეზიას მუსიკა და სიმღერა ენაცვლებოდა. ღონისძიებას სასიამოვნო ელფერი შესძინა ხალხურმა ანსამბლმა „ლომისი“ ხელმძღვანელი შალვა ილურიძე. ასევე მონაწილეობდა ჯგუფი „**ზღვარის**“ სოლისტები, პოეტები: **კახა ბაციკაძე** და **სერგი ლომაძე**.

საიუბილეო საღამო გულთბილი სიტყვებით დაამშვენა პოეტმა და მწერალთა კავშირის თავჯდომარის მოადგილე **მაყვალა გონაშვილმა.** მან მიულოცა ქალბატონ გულნაზის იუბილე და ისაუბრა მის დიდ ღვაწლზე, აქვე საქებარი სიტყვები არ დაიშურა **გულიადა სანოძისა** და მისი მოსწავლეების, ხონის პირველი საჯარო სკოლის და მისი აღსაზრდელების მისამართით, ახალგაზრდებმა ღირსეულად წარმოაჩინეს თავიანთი კუთხე და სკოლაც ასახელეს. საღამოს ესწრებოდა ხონის საჯარო სკოლის დირექტორი **შორენა კაპანაძე.**

ღონისძიებაში ძირითადად, მონაწილეობდნენ ხონის 1 საჯარო სკოლის მოსწავლეები: **მარიამ ღოღობერიძე** (მე-8 კლასი), **გიორგი უგრეხელიძე** (მე-8), **ვასილ აგლაძე** (9-ე, კლასი), **საბა ჯიმ-**

შელეიშვილი (მე-5), **დათო ლიპარტელიანი, დათო ჩანქსელიანი** (მე-4), **გიორგი ჩიღლაძე** (მე-5). ღონისძიების მხარდამჭერი გახლდათ ხონის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **მანანა გოფოძე**, კულტურის ცენტრის დირექტორი **მინერი ონიანი**, ხელოვანი **ნაზი ჯიქია**, პოეტი **ნათია დაშნიანი**, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის მე-2 კურსის სტუდენტი **ნინო ბახტაძე** და მე-2 კურსის სტუდენტი **გურამ ჯიშკარიანი**, სეუ-ს 1 კურსის სტუდენტი **ზიზი ფარულავა**. საღამოზე იუბილარმა ყველა მონაწილე ახალგაზრდას საჩუქრად სამახსოვრო სიგელები გადასცა.

ხონის კულტურის ცენტრის ლიტერატურული წრის ხელმძღვანელი **გულიადა სანოძე** შესანიშნავი დეკლამატორი და მსახიობია. მას არაერთი როლი აქვს ნათამაშები, მათ შორის **„მაია წყნეთელი“**. ქალბატონი გულიადა ასევე, გახლავთ ჯუმბერ ლეჟავას აკადემიის ხონის ფილიალის ვიცე-პრეზიდენტი.

თეა კანდელაკისაგან სიურპრიზად მორთმეულ ყვავილებზე რეაქცია.

მაყურებლის დიდი მოწონება და დაიმსახურა პოეტის პატრიოტულ ლექსებზე შესრულებულმა სიმღერებმა: **„რა ჩუმად შემოსულხარ ჩემში“**, **„მინდა კოცონი ლექსით დავანთო“**. ასევე, დიდი ოვაციები გამოიწვია **„ლომისი“**-ს მიერ შესრულებულმა სიმღერამ **„სიკვდილი უკვე რწმენით ჩავლობე“**, რომლის ტექსტი **გულნაზ ხარაიშვილმა** უწმინდესს და უნეტარეს **ილია მეორეს** მიუძღვნა. საღამოზე ჯგუფ **„ზღვარი“**-ს სოლისტმა **კახა ბაციკაძემ** შეასრულა იუბილარის საყვარელი სიმღერა **„ჩემი ლირიკა“**.

როგორც ზემოთ ვთქვით, საღამოს ასევე, ესწრებოდნენ მწერალთა კავშირის თავჯდომარის მოადგილე მაყვალა გონაშვილი, მხატვართა კავშირის თავჯდომარე **გურამ ცერცვაძე**, პოეტის აწ გარდაცვლილი ძმის **ბეჟან ხარაიშვილის** მეგობრები პოეტი **ერეკლე საღლიანი**, ლიტერატორი **ლევან ბაბუხადია**, მოქანდაკე **გელა ლარიაშვილი**, რომელმაც სიზმარში ნანახი პორტრეტის ესკიზი შექმნა და შემდეგ ბიუსტი გამოაქანდაკა. ბეჟანის შვილიშვილმა **გვანცა ხარაიშვილმა** კი, ქალბატონ გულნაზის ლექსით მიულოცა იუბილე.

საიუბილეო საღამოს მაღალ დონეზე წარმართვისთვის **გულნაზ ხარაიშვილმა**, ხონის მუნიციპალიტეტსა და კულტურის ცენტრის ლიტერატურული წრის წარმომადგენლებს, სოციალურ ქსელით მადლობის წერილი მიუძღვნა.

მართლაც ლამაზი ლიტერატურული ზეიმი იყო, მარად დაუვიწყარი.

ჟუჟუნა ნიჟარაძე

განვლილი ცხოვრების ეპიზოდები

I

დღესდღეობით ძალიან ბევრი გვესმის ძალადობის შესახებ. საზოგადოებამ მოისმინა, რომ მსოფლიო ოპერაში „კარმენი“ ძალადობაზე გამარჯვებით დაიდგა. ისე მთავრდება სპექტაკლი, რომ კარმენი ცოცხალი რჩება.

გამახსენდა, რამდენიმე წლის წინ ვესტუმრე იტალიას. ერთ-ერთ უძველეს ქალაქში, სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული ტურისტების მიერ, ღია ცის ქვეშ დაიდგა თეატრი. მე ვთხოვე ბათუმის მაშინდელ მერს, ბატონ არჩილ ჩხეიძეს, რაიმე ჩვენც დაგვედგა და გადავწყვიტეთ ბოლო სცენა გაგვეთამაშებინა „ოტელოდან“. გადაწყდა მე გავიდოდი სცენაზე და ბატონი არჩილი გამომეკიდებოდა: – „პლატოკი, პლატოკი“ სად არისო? სცენაზე ჩვენს სირბილს საზოგადოება ტაშით ამხნევებდა. ბოლოს მე დავეცი და ოტელო თავზე დამადგა. ყვიროდა: „პლატოკი, პლატოკიო“... სცენარის მიხედვით მას უნდა მოვეკალი. მე კი „პლატოკი“ ამოვიღე და და აი „პლატოკი-მეთქი“ და ერთმანეთს გადავეხვიეთ. ამით დამთავრდა შექსპირის „ოტელო“, მსოფლიოში პირველად ძალადობაზე გამარჯვებული. დეზდემონამ და ოტელომ მხიარულად დატოვეს სცენა ტაშის გრიალში.

„ბოროტსა სძლია კეთილმან“ ... როცა გავიგე, რომ კარმენი გადარჩა სიკვდილს, ეს სცენა ჩემთვის დიდი სიხარული იყო, რადგან ჩვენს მიერ იტალიაში „ოტელოს“ სცენარში დეზდემონაც გადაურჩა სიკვდილს. ამ ქალაქთან კიდევ გასახსენებელი მაქვს ეკლესია, სადაც ქალაქის საზოგადოების მიერ „პლუტარქესთვის“ ნაჩუქარი მარმარილოს სკამი იდგა. მქონდა ბედნიერება, რომ ამ სავარძელში ვიჯექი 1 საათი. დავდიოდი ქუჩაში, სადაც სეირნობდნენ: მედეა, დიოგენე, პლუტარქე...

დღეს, 2019 წელს, როცა ჩემი განვლილი ცხოვრებიდან ვიხსენებ მოგზაურობას ამერიკაში, ყველაზე სასიამოვნოდ მახსენდება „ნიაგარა“ და იქ ჩემს საყვარელ მსახიობთან, გრიგოლი პეკთან შეხვედრა. იტალიაში დეზდემონას როლი, ეგვიპტეში – ტუტან ჰამონის სარკოფაგი, კართაგენის ნაშთები, ვიეტნამში – წყნარი თიკიანის– ხონგაის ყურეში წყლის გამოსვლა და შემდეგ გადინება და ამ წყალთან ჩემი მოგზაურობა. ხოშიმინის კუნძულებზე, ვიეტნამის ჯუნგლებში მოგზაურობა. ეგვიპტის უდაბნო და იქ მოსული წვიმა. ირანში ქალთა ყრილობაზე ჩემი გამოსვლა. ავსტრიაში, ინსბურგში, ზალცბურგში მოცარტის სახლმუზეუმში, მარსელის სასახლეში, ვენაში შტრაუსის ნაკვალევზე... ასევე სასიამოვნო მოგონებად მრჩება პეკინში, მაო ძედუნის სასახლეში გამართულ წვეულებაზე, ჩემი შესრულებული ცეკვა „ლეკური“.

საბერძნეთთან ცხრა ბალიან ღელვაში გადარჩენა. იუგოსლავიასთან, დუნაიზე ღელვაში მოხვედრა, ჩემი ნეპტუნისთვის 5 ვარსკვლავიანი კონიაკის ბოთლის გადაგდება და ნახევარ საათში შეჩერებული ღელვის სიხარული...

დაუვიწყარია მონა ლიზას ნახვა იტალიში, მოსკოვში, სოხუმსა და თბილისში... ჩეხეთისა და სლოვაკეთის გაყოფის აღსანიშნავად გამართული ზეიმი ჩეხოსლოვაკიაში... პოლონეთში, ვარშავაში ჩემი საუვარელი მწერლის, სენკევიჩის საფლავის ვარდებით შემკობა. ეკლესიაში „შოპენის ხელის“ გამოფენის ნახვა...

საფრანგეთში, ლევილში კაკლის ხის ქვეშ მოწყობილი შეხვედრა იქ მცხოვრებ ქართველებთან: ქალბატონ ლიდა და ბატონ გოგი ნოზაძეებთან, პოეტ გიორგი ყიფიანთან, მამია ბერიშვილთან, ჯაბა და ვენერა ხაბულიანებთან, შოთიკო და ნუციკო თაყაიშვილებთან და სხვებთან...

პარიზში, ლიონში, ნიცაში, მონტე-კარლოში, კანში, მონაკოში სტუმრობა ალბერტ II-ის მოწვევით...

მანჯურაში ულამაზესი პანოები... ნავით გასეირნება ბაიკალის ტბაზე, კურილიის კუნძულებზე...

მოგზაურობა ჩინეთში, – პეკინი, შანხაი, ნანინი, სუხანი... პრიბალტიკაში – ესტონეთი, ლატვა, ლიტვა... რუსეთში -ლენინგრადი, სადაც გადავიხადე ჩემი დაბადებიდან 50 წლის იუბილე...

დაბრუნება ამერიკიდან და ბედნიერი შემთხვევის წყალობით გადარჩენა. აეროპორტში, უკანასკნელ წუთს, ბოდიშის მოხდით სხვა თვითმფრინავში გადაგვსვეს. მოგვიანებით გავიგეთ, რომ თვითმფრინავი, რომლითაც ჩვენ უნდა გამოვმგზავრებულიყავით, ჰაერში აფეთქდა და ოკეანეში ჩამოვარდა.

შეხვედრები რუმინეთში გამართულ ტრავმატოლოგთა ყრილობაზე, სადაც მეუღლესთან ერთად ვიმყოფებოდი. ჩეხოსლოვაკიაში სტუმრად ქალაქის ცენტრალურ საავადმყოფოში, როგორც ექიმი, ჩემი მეუღლის ნაცვლად...

მეტად დასამახსოვრებელი სტუმრობა გერმანიაში, დუსელდორფში, ავღანეთის ყოფილი ავიაციის მინისტრის – კარიუმის ოჯახში.

დაუვიწყარია თბილისის ზღვისა და ჟინვალში, არაგვის სანაპიროსთან ლხინი, მამას მეგობრებთან: გენერალ გიორგი ყურაშვილთან, ირაკლი აბაშიძესთან, ცხაკაიას რაიკომის მდივან – ხუტა ადამიათან, ვახტანგ ურუშაძესთან და სხვებთან...

1945 წელს ატეკში, პიონერთა ბანაკში დასვენება და ბათუმიდან გა გერმანული გემით „უკრაინა“, მგზავრება: ხარკოვში, როსტოკში, ზაპაროჟში, შემდეგ იალტაში და იქ მოლოტოვის სტუმრობა, არტეკის 25 წლის იუბილეზე...

სირიაში, გობელინისა და მოზაიკის გამოფენაზე გავიცანი ქართველები სოფელ ჭანუკვარიდან, რომლებიც იქ მე-19 საუკუნიდან ცხოვრობენ.

ეგვიპტეში, წითელ ზღვაში მოვინახულეთ მარჯნის პლანტაციები. თურქეთში სულთნის სასახლეს ვეწვიეთ, სადაც ადრე ხშირი სტუმარი იყო ჩემი დიდი ბაბუა, იმერეთის მეფე ვახტანგი და მეფე დავით II-ის შვილიშვილი....

II

ეს ნარკვევი დამაწერინა ჩვენი უსაყვარლესი პოეტის, გალაკტიონ ტაბიძის დიდმა სიყვარულმა და პატივისცემამ. ბედნიერი ვარ, რომ მას პირადად ვიცნობდი და საშუალება მაქვს, მომავალში კიდევ გავიხსენო და სხვა მოგონებებიც დავწერო.

ზემელზე, სამაიას ბაღთან, სადაც ძველად სულხან-საბას ძეგლი იდგა, კუთხეში გრძელი ლუდის ბარი იყო. იქ უყვარდათ ვერელებს თავყრილობა. დიდ ჭიქებში ჩამოსხმულ ლუდს ყველა სიამოვნებით შეექცეოდა, მით უმეტეს ცხელ დღეებში.

შემოდგომის ერთ დღეს, ჩემი მეუღლის, მერაბის მძღოლი მოვიდა სამსახურიდან ჩემს წამოსაყვანად. მაშინ მერაბს, ტრამვატოლოგიისა და ორთოპედიის საკვლევ სამეცნიერო დირექტორს, მანქანა ემსახურებოდა. იმ დღეს ზემელზე ამოუხვია მძღოლმა.ლუდის ბართან შევნიშნე გალაკტიონ ტაბიძე და ოთარ პირველი. უკვე შემთვრალნი იყვნენ. გალაკტიონს თავისი დიდი ჩანთა ჰქონდა იღლიაში. რაღაცაზე ლაპარაკობდნენ. მძღოლს ვთხოვე გაეჩერებინა.

– ეს ადამიანები უნდა წავიყვანოთ.

მძღოლმა მანქანა შეაჩერა. გადმოვედი, ორივეს მივესალმე და ვთხოვე მანქანაში ჩამსხდარიყვნენ. ჯერ უარზე იყვნენ, მაგრამ ბოლოს დამთანხმდნენ. ისინი უკანა სავარძელზე დასხდნენ, მე წინ, მძღოლის გვერდით. მანქანაში უცბად დატრიალდა სასმელის სუნი. უხერხული სიჩუმე მე დავარღვიე და ვუთხარი:

– ბედნიერი დღეა ჩემთვის ბატონო გალაკტიონ, რომ შემიძლია მოგემსახუროთ.

გაიცინა. „ღვინოს არ ვსვამდი,ისევ დავიწყე,
დამჩემდა დარდი, სიგულმავიწყე,
წყალს მივეც ყველა, ია და ვარდი,
სათაყვანებლად წინ რომ დავიწყე.
კარგა ხანია არ ვწევდი თუთუნს,
ნაცვლად ვისმენდი მტკვრის ამო დუდუნს,
ეხლა თუთუნის ბოლი დგას სახლში,
რა გაათენებს ამ ღამეს უკუნს“

მადლობა გადავუხადე და ჯერ ბატონი გალაკტიონი მივიყვანეთ სახლში, შემდეგ მე მიმიყვანეს და მძღოლს ვთხოვე ოთარი მიეყვანა, რომელიც ვაკის პარკთან, უნივერსიტეტის სახლში ცხოვრობდა. კარგა ხნის შემდეგ მძღოლმა დამირეკა, სახლს ვერ მივაგენითო. ვთხოვე მოსულიყო ჩემთან. ჩავჯექი მანქანაში და ოთარი სახლში მივიყვანე. სახლში მარიკა პირველი დაგვხვდა. ძალიან გაიხარეს ჩემი მისვლით. ბევრი ვიცინეთ. თურმე ერთნაირად დაულევიათ, მაგრამ ოთარის ძალიან ეტყობოდა, აი გალაკტიონს კი– არა.

ოთარს მისი მოძღვნილი ლექსი შევახსენე. „მეგობრის ცოლი არ იყო, ვაი დედასა ქალო, რად გვმართებ კაცებს ბნედასა“... და ა.შ. ვუთხარი: „კიდევ კარგი ეს ლექსი დავკარგე“ და მანაც:

„რად დაკარგე ჩემი ლექსი,
მერე როგორ ნაწერი,
იმ სტრიქონებს შევალიე,
თითქმის შვიდი– რვა წელი.
ამაღლებულ ლექსს ვამბობდი,
როგორ გაქე, გაკარგე,
შენ კი ვითომ არაფერი,
აიღე და დაკარგე!“

გავიდა დრო და დღეს, როცა გვიხარია საქართველოს თავისუფლება, მაგრამ ჩვენი დიდი მეზობელი რუსეთი ისევ გვებრძვის, ისე, როგორც ამაზე გალაკტიონი წერდა: „ ნეტავი შავი ზღვა, სადაც ღელვა და ჭრიალია,
მთელი ეს ზღვა ნეტავ ოდეს,
ერთ უზარმაზარ არყის ქვაბად გადაიქცეს.
მაშინვე ხარბი უფიქრებლად გადაეშვება სათრობად რუსი,
და შიგ ჩაიღრჩობა, ჩაიღრჩობა და გაჰქრება, როგორც ბურუსი.“
ზიზღით წერს გალაკტიონი:
„ვინც სისხლიან თავის ნაჯახებს,
მცირე ერებს აჯახებს,
ზიზღი, ზიზღი ამ ყაჩაღებს,
ვინც ომებს აჩაღებს.“

საოცარია, როცა გალაკტიონი წერდა: „რუსების ხიშტებით კვლავ დაჩუმდა, მშფოთვარე პოლონეთი“, რამდენადაა დღეს პოლონელებთან მისადაგებული მისი სიტყვები...და არა მხოლოდ პოლონეთთან!

ამ შტიკზე ხომ ილიაც წერდა: „რაც კარგი ექნას რუსისა შტიკსა, ღმერთმა იმ რუსსვე ასცალად მისცეს!“

უნდა გვახსოვდეს, რომ მე-20 საუკუნეში, გალაკტიონი აშკარად გამოხატავდა თავის უკმაყოფილებას, რუსეთის იმ ნაწილისადმი, რომლებიც მტრულად იყვნენ ქართველთა მიმართ განწყობილი. სამწუხაროდ ეს პროცესი დღესაც, 21-ე საუკუნეშიც მიმდინარეობს. ამის დამადასტურებელია, როგორც ზოგიერთს ჰგონია მათი „სტუმრობა“, თბილისიდან 40 კილომეტრში. გავა დრო და დღევანდელ მდგომარეობას გაიხსენებენ და შეაფასებენ მომავალი თაობები, ერთ დიდ ოჯახად მცხოვრები აფხაზები, ქართველები, ოსები...

მე-20 საუკუნის თბილისელები ბედნიერები იყვნენ, რადგან რუსთაველის პროსპექტზე ხვდებოდნენ დიდებულ ქართველ მწერლებს, კომპოზიტორებს, მომღერლებს, დიდ მეცნიერებს, თბილისის კოლორიტებს. როცა ამერიკაში მცხოვრებ ბატონ გიორგი (ჟორა) ღოღუას ვკითხე, ყველაზე უფრო რა გენატრება მეთქი, მიპასუხა: „რუსთაველზე გასეირნებაო“.

ის დრო და ის ადამიანები დღეს, 21-ე საუკუნეში სანატრელია. ამიტომაც 3 თაობის ადამიანები, 30 წლის შემდეგ კვლავ იხსენებენ თბილისურ პაემანს ვერაზე. ფილარმონიის საკონცერტო დარბაზის წინ კი დაიგო ვარსკვლავი „გიზო ნიშნინიძე– პაემანი ვერაზე“. ეს ვარსკვლავი შთამომავლებს გაახსენებს ნაღდ თბილისელებს. რომელთა სულიც, დღესაც და მომავალშიც დაამშვენებს ყველასთვის საყვარელ თბილის ქალაქს.

ქალაქ თბილისის პირველმა მერმა, ბატონმა ირაკლი ანდრიაძემ, ჩემთან საუბარში გაიხსენა: „1988 წელს, ინგლისიდან თბილისს ეწვია ქალბატონი მარგარეტ ტეტჩერი. შეხვედრა სასტუმრო თბილისის ფოიეში მოეწყო. როცა სასტუმროდან გამოვედით, რუსთაველის თეატრის მოპირდაპირე მხარეს, თაიგულებით ხელში უამრავ ხალხს მოეყარა თავი და შეძახილებით ესალმებოდნენ სტუმარს“.

ტეტჩერი აღტაცებული დარჩენილა და უთხოვია ფეხით გავიაროთო, რუსთაველის თეატრს რომ მიუახლოვდნენ, ყველას გასაგონად უთქვამს: „აი ეს შენობა არის თბილისის ნამდვილი სიამაყე, მას უნდა გაუფრთხილდეთო.“.. მართლაცდა, ისევე როგორც ძველი თბილის შენობებს, ასევე ამ ადამიანების გახსენება და მოვლა აუცილებელია, რათა თბილისმა არ დაკარგოს თავისი სახე. თბილისი მარტო თბილისელებს კი არ უყვართ, არამედ ჩამოსული სტუმრებიც ვერ ფარავენ თავის სიყვარულს ჩვენი ქალაქისადმი. გულახდილად გეტყვით, რომ იმედი მაქვს, რუსეთის ხელისუფალნი ბოლოს და ბოლოს ყველაფერს გააკეთებენ, რომ აღადგინონ ჩვენი მეზობლობა და მეგობრული ურთიერთობა,გაათავისუფლონ ქართული მიწა. ამის საუკეთესო მაგალითია რუსრული და ქართული ეკლესიების თანაარსებობა და პატრიარქებს შორის მეგობრული დამოკიდებულება.

ერთხელ, ჩემმა 4 წლის შვილთაშვილმა (ბადიშმა), ერეკლემ მითხრა: „მერი ხომ ქალის სახელია, ჩემს ბებოს ქვია და კაცებსაც ისე მოსწონთ, რომ იძახიან -მერი მინდა გავხდე, მერი მინდა გავხდეო!“

ნოვოსიბირსკში, კურილიის კუნძულზე იყო მელიების ფერმები „ჩერნაბურკა“ . ამ ფერმების საკვები იყო ტერიტორიებზე მომრავლებული ვირთხები. ვირთხების საკვები კი, თევზის ქარხნებში გადამუშავებული ნარჩენები იყო. ქარხნებში უმეტესად ქალები მუშაობდნენ და თითქმის ყველა სიგარეტს ეწეოდა. როგორც ამბობდნენ იმ საშინელი სუნის გასაქარწყლებლად, რომელიც იქ სუფევდა.

გაწყვიტეს ჩერნაბურკების ფერმა და ქალაქები აივსო მომრავლებული ვირთხებით.

მთავარი ვირთხა გაიქცა და მას სხვა ვირთხებიც გაედევნენ. გზად დიდი რძიანი ქვაბი შემოხვდათ. მთავარი ვირთხა და მისი ახალგაზარდა მიმდევარი ჩაცვივდნენ ქავაბში. სხვები შეჩერდნენ. უფროსმა-„ჩემი ცხოვრება დაილიაო“ და დაიღუპა, ახალგაზრდამ კი, ტრიალი დაიწყო და კუნძულზე აღმოჩნდა. რძე შედედა კარაქად. ადამიანის ცხოვრებაშიც ზოგჯერ ასე ხდება.

ერთხელ აკაკი წერეთლის ნაწერებში ამოვიკითხე: „ერთი ბერძენი სამ ურიას მოატყუებს, ერთი სომეხი სამ ბერძენს ერთად აღებულს, ქართველი კი გულღია, პატიოსანი ადამიანია და ბევრჯერ ხდება მოტყუებული.“

მართალი გითხრათ, მე არ ვიცოდი სომეხს რომ თავზე მარილმოყრილს ეძახდნენ. ისე კი დაკვირვებული ვარ, მაგიდასთან თუ სომეხი ზის უზომოდ ბევრ მარილს მიირთმევს.

ერთმა მდიდარმა სომეხმა კაცმა, ქართველი ქალბატონი, ანა ითხოვა. კარგი ოჯახი შექმნეს. აი, ერთ დღესაც ანას მეუღლე ავად გახდა. შეწუხდა ოჯახი. ანა ფეხშიშველი წავიდა ეკლესიაში სალოცავად და ღმერთს შეავედრა მეუღლის ჯანმრთელობა. იმ დღეს დიდი წვიმა მოვიდა, ფეხშიშველი ანა გაცივდა და ფილტვების ანთება დაემართა. მისი ქმარი კი განიკურნა და ახლა ის შეწუხდა მეუღლის ავადმყოფობით. მივიდა ეკლესიაში და მღვდელს კითხა: „ რა გავაკეთო, რომ ჩემი ცოლი გამოჯანმრთელდეს, აი ერთი ცხენი მყავს და იმას გავყიდი, ფულს კი ეკლესიას შევწირავო.“

მეორე დღეს დაიჭირა კატა და ცხენთან ერთად გაუდგა გზას ქალაქის ბაზრისკენ. ბაზარში უკვე ბევრ ხალხს მოეყარა თავი. ერთმა კაცმა ჰკითხა:

– ცხენს ჰყიდი?
– კი, ცხენს ვყიდი და დაემატება კატა.
– რამდენად ჰყიდი?
– ცხენს ათ მანეთად, კატას კი ორმოც მანეთად!
– მე მარტო ცხენი მინდა.
– არა, თუ ცხენი გინდა კატაც უნდა იყიდო!

დიდხანს ივაჭრეს და ბოლოს კაცმა მისცა 50 მანეთი და წაიყვანა ცხენიც და კატაც. დაბრუნდა კაცი სოფელში. მივიდა ეკლესიაში და ღმერთს უთხრა: „რომ დაგპირდი, ცოლის გადასარჩენად ცხენს გავყიდი და იმ ფულს ეკლესიას შევწირავო, აი ეს ათი მანეთი, რომელიც ცხენში მომცეს – გწირავო!“

მღვდელს 10 მანეთი დაუტოვა, პირჯვარი გადაიწერა და სახლში ბედნიერი დაბრუნდა. სწორედ ამ ამბავზე დაუწერია აკაკი წერეთელს:

„ნიჭით თუ მოხერხებით,
განთქმულია ბერძენი,
ურიაც ნაქებია,
როგორც მხნე და შემძენი,
მაგრამ სულ სხვა გვარია,
სომხის ხერხი და ჭკუა,
ასეთ გაჭირვების დროს,
ღმერთიც კი მოატყუა!“

„სოლიარე“ (ხელფასი) წარმოშობილია ლათინური სიტყვიდან. (სოლ-მარილი) რადგან ძველ რომში დაქირავებულ ხალხს გასამრჯელოს მარილით უხდიდნენ.

სუფრასთან ხშირად მიკითხავს სტუმრებისთვის: „– რას მეტყვით საჭმელ ქვაზე?“ ხშირად ამ კითხვაზე პასუხს ვერ ვიღებ. მერე ვუხსნი, რომ ჩვენი კვების რაციონში პირველ ადგილზე მარილია (ნატრიუ ქლორი), მინეროლოგიაში ჰალიტად წოდებული. მარილის გარეშე შეუძლებელია, როგორც ადამიანთა, ასევე ცხოველთა არსებობა. ცნობილია, რომ წლის განმავლობაში საშუალოდ 8 კილოგრამ მარილს იღებს.

ვარ კოლექციონერი და 350 მოხუცი, მსოფლიოს გამოჩენილ ადამიანთა ფიგურების მფლობელი. მათ შორის არიან: დე გოლი, განდი, პუშკინი, ჰიპოკრატე, ვაჟა-ფშაველა, ზაქარიაძე, გეგეჭკორი, შევარდნაძე და ა.შ.

III

ბავშვობაში ხშირად ვსტუმრობდით ქალაქ გორს. ამ ქალაქში ცხოვრობდა ჩემი უფროსი დეიდა თამარი და მისი ქალიშვილი მედეა ხარისჭირაშვილი. მისი დიდი პაპა, პეტრე ხარისჭირაშვილი ცხოვრობდა თურქეთში, ქალაქ სტამბულში. იგი დიდ საქმეს აკეთებდა სამშობლოს სიყვარულით. ლეკების მიერ გატაცებულ და თურქეთში გასაყიდად წაყვანილ ქართველ ბავშვებს ყიდულობდა და პატრონობდა. თურქეთშივე ააშენა ეკლესია, რომლის მრევლიც ეს ბავშვები იყვნენ.

ისევე, როგორც დღეს, სხვა საუკუნეებშიც ახსოვთ ადამიანთა უზნეობა. ბევრი ბატონი იყო შემჩნეული არაადამიანურ საქციელში.

„ქართლიდან გამოვეპარე,
ბატონს პატარა ქალიო,
თან წამოვიღე საგზლათა,
შიში და ცრემლის ღვარიო..“

ისტორიულად საქართველოშიც ყოფილან მტარვალი ბატონები, წუწკი აბრაგები და სხვანი. ასევე ცნობილი არიან ქართველი გმირი ქალებიც: თამარ ვაშლოვანელი,თინა წავკისელი, თამარ მჭადიჯვარელი, მაია წყნეთელი...

უამრავ პოეტს, მწერალს, რეჟისორს სურდა, ისტორიკოსებისა და ფოლკლორისტების მიერ შემონახულ მასალებზე დაყრდნობით, ამ გმირ ქალებზე შეექმნათ უკვდავი ნაწარმოებები.

მე-20 საუკუნეში, ვლადიმერ კანდელაკმა, თავისი დიდებული პიესით ძეგლი დაუდგა მაია წყნეთელს. ბატონი ვლადიმერი მამაჩემის, თენგიზ ნიჟარაძის ახლო მეგობარი იყო. ხშირად იკრიბებოდნენ ჩვენს ოჯახში ვლადიმერ კანდელაკი, დავით გამრეკელი, ხვითო გრიგალაშვილი, აპალონ ყიფიანი.

ვლადიმერ კანდელაკმა დაწვრილებით შეისწავლა მაია წყნეთელის ბიოგრაფია. მაია წყნეთელი მე-18 საუკუნის 40-იან წლებში, წყნეთში დაიბადა. მისი მშობლები ამ სოფლის გლეხები

ყოფილან. მაია ერთადერთი ქალიშვილი იყო. დედა ადრე გარდაეცვალა და ობოლზე მზრუნველობა მამამ იტვირთა. არაჩვეულებრივი სილამაზის მაია, სოფლის თვალი ყოფილა. მისი სილამაზე არც ბატონს დარჩენია შეუმჩნეველი და ობოლი გოგო მისი ავხორცობის მსხვერპლი გამხდარა. მამამ ვერ გადაიტანა შვილის გაუბედურება და თავი მოიკლა. ამის შემდეგ მაია ვაჟის ტანსაცმელში გამოწყობილა და იარაღი აუსხამს. ერეკლე მეფეს მათე ბიჭის სახელით ხლებია და მის რაზმში ჩაწერა უთხოვია. მეფეს მოსწონებია მისი ვაჟკაცური სიტყვა და მისი თხოვნა დაუკმაყოფილებია. პირველად ლეკებს შერკინებია და თავისი მამაცობით ყველას სიყვარული დაუმსახურებია. ბრძოლის შემდეგ მეფეს მეომრები შეუკრებია და გადაუკოცნია. მეორე გამარჯვება– სოღანღულის ბრძოლაში მოუპოვებია. ზოგიერთ თავადს არ მოსწონდა მაიას მტრული დამოკიდებულება თავგასული და მოღალატე თავადების მიმართ და მისი მოკვლა განუზრახავთ. თავის გადსარჩენად მათე ბიჭმა თავი თრიალეთს შეაფარა და იქაც სამშობლოს მტრებს ებრძოდა. ბოლოს სომხეთის ერთ სოფელში დასახლებულა. ერთხელ ერეკლე მეფეს იმ სოფელზე გაუვლია და მტერი დასხმია თავს. მათე ბიჭს ვაჟკაცურად უბრძოლია თავისი მეფისთვის. მეფეს გამოუკითხავს მისი ვინაობა და კიდევაც გაუხსენებია ერთგული მეომარი.

1795 წლის 8 სექტემბერს, კრწანისის ბრძოლაში ტყვედ ჩავარდნილი მაია წყნეთელი ირანში გადაუსახლებიათ. მან ტყვეობიდან თავის დაღწევა შეძლო, თუმცა აღსასრული სომხეთის მიწაზე მოუწია. ასე დასრულდა გმირი ქართველი ქალის ცხოვრება, რომელიც ხალხმა არ დაივიწყა და ჩვენამდე მოაღწია. ვალერიან კანდელაკის პიესამ კი, სამუდამოდ უკვდავყო მაია წყნეთელის სახელი.

IV

ბავშვობაში გორის ციხეზე ასვლა და იქ დროის გატარება, ყველასთვის სანუკვარი იყო. ძველი ხალხი იმასაც ყვებოდა, რომ იოსებ ჯუღაშვილი და მისი მეგობრები, სწორედ გორის ციხესთან მართავდნენ შეჯიბრებებს, როგორც ლახტში, ასევე ჭიდაობაში. ამ ზეიმზე თავს იყრიდნენ არა მარტო გორელები, არამედ ახლო მახლო სოფლებიდანაც ჩამოდიოდნენ სხვადასხვა ასაკის ადამიანები.

გავიდა დრო და უკვე მერვე ათეულ წელს მიღწეული ვფიქრობ, ტურისტული საზოგადოება ყურადღებას მიაქცევს და დააფასებს მის ისტორიულ მნიშვნელობას.

გორის ქვედა ტერიტორია გაწმენდილია და გადატანილია ბაზარიც. ქართული ეკლესიაც ყურადღებას იქცევს თავისი სამუზეუმო დარბაზით.ბავშვობაში დიდ სიამოვნებას გვანიჭებდა გორის თეატრიც. სადაც ცნობილი რეჟისორი, ვასო ყუშიტაშვილი მოღვაწეობდა. მისი სიყვარული და პატივისცემა ბავშვებისადმი დაუვიწყარია. ამ თეტრში, მთავარ დირიჟორად და სპექტაკლების მუსიკალურ გამფორმებლად მუშაობდა დედას ძმა– ლევან ყარანგოზიშვილი. მაშინდელ გორში ფაბრიკა-ქარხნები და სტალინის სახლ-მუზეუმი მთელი დატვირთვით მუშაობდა.

ახლახან გამოვიდა მწერლისა და პუბლიცისტის, ნიკო ნიკოლაძის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, ვაჟა შაქარაშვილის წიგნი „შენ ელვარებდი ნაღვერდალივით“. „ღვაწლი კომპოზიტორ ლევან სიმონის ძე ყარანგიზიშვილისა“. წიგნში გახსენებულია დიდი იაკობ გოგებაშვილი და სოსო ჯუღაშვილი. სოსო ჯუღაშვილი არა მხოლოდ პოეტი, არამედ -ჩინებული მგალობელიც ყოფილა. სასულიერო სასწავლებლის დამთავრების მშემდეგ, სოსო ჯუღაშვილს მეგობრებთან ერთად მგალობელთა გუნდი შეუქმნია, რომელსაც თავად თავკაცობდა. გუნდს კონცერტები გაუმართავს გორში, ცხინვალსა და ხაშურში. სოსოს კარგად სცოდნია ნოტები. საღმდელთმთავრო მსახურებისას მთავარი მედავითნე და მგალობელი ყოფილა. შესანიშნავი ხმითა და მუსიკალური ნიჭით გამოირჩეოდა. სასწავლებლის დამთავრებისას ფსალმუნითაც დაუჯილდოვებიათ.

შემთხვევითი არც ისაა, რომ ილიას მიერ, გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილი ლექსი „დილა“, სწორედ გორელმა კომპოზიტორმა, ლევან ყარანგოზიშვილმა აქცია სიმღერად. ამ სიმღერის პირველი შემსრულებელი გახლდათ ლაურა ტატიშვილი. ამ სიმღერით მან ლაურეატის წოდება დაიმსახურა.

პიანისტმა და კომპოზიტორმა ლევან ყარანგოზიშვილმა, ათეულ წლობით იღვაწა გორის დრამატულ თეატრში, რომელიც მისთვის მარადიული ხელოვნების ტაძარი გახლდათ, ხოლო სცე-

ნა – მისი საკურთხეველი, სადაც უამრავ ადამიანთან ერთად ლოცულობდა და ხარკს იხდიდა ხელოვნების წინაშე!

მუშაობდა ისეთ რეჟისორებთან, როგორებიც იყვნენ: ვასილ ყურიტაშვილი, პავლე ფრანგიშვილი, სიკო ვაჩნაძე, ოთარ ალექსიშვილი, გიორგი აბრამიშვილი. ნიკო შიუკაშვილის სპექტაკლში „სულელი“, გენო ქულბაქიანის „შესაფერისი ჯილდო“, „გამოცდები“, „დაგვიანებული სიყვარული“, დავით ლუკაშვილის „შავლეგო“, აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკი“, ვიქტორ გაბისკირიას „მარტოხელა“, „საყვარელი ეზო“, გიორგი ერისთავის „გაყრა“, ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში“. მისი ცნობილი სიმღერაა „სირაჩხანა, სირაჩების ბუდეა“. მისივე შექმნილია მუსიკა სპექტაკლისთვის – გორდონის „ორი ბატონის მსახური“.

ბატონი ლევანი გახლდათ უნიჭიერესი კომპოზიტორი და ამავდროულად შემსრულებელი სხვადსხვა ინსტრუმენტებზე. იგი ფლობდა როგორც როიალს, ასევე ვიოლინოსა და სხვა სიმებიან საკრავებს. კონსრევატორიაში სწავლობდა ბუჭუტა იაშვილთან ერთად. იყო შეუდარებელი დირიჟორი, რომელიც უძღვებოდა გორის თეატრის სიმფონიურ ორკესტრს. ასევე ქმნიდა სიმღერებს, რომლებიც შემდეგ ესტრადაზე სრულდებოდა მერი შილდელის მიერ. მისი შექმნილია მუსიკა, სოსო ჯუღაშვილის ლექსზე „მთვარე“. გარდა ამისა, მოღვაწეობდა თბილისის სახკულტურის თეტრში.

2018 წელს ჩემს მიერ დაწერილი წიგნი, „სისხლის ყივილი“, მივუძღვენი ლევან ყარანგოზიშვილების ოჯახს. ჩემს პაპას(ლევანის მამას), სიმონ ყარანგოზიშვილს. როდესაც მუნჯი კინო შემოვიდა, ბიძაჩემის, ლევანის აკომპანიმენტის ქვეშ მიდიოდა ხოლმე ჩვენებები. მახსოვს ბუთხუზი ბასილაია მეტყოდა ხოლმე, „როცა ლევანია, მე ნუ მთხოვთ დაკვრასო“. ამის მოწმეა ჩვენი ოჯახის საყვარელი მეგობარი ჯემალ ბაღაშვილი, რომელიც აღტაცებული უსმენდა ფორტეპიანოზე შესრულებულ „არღანს“.

ლევან ყარანგოზიშვილი გარდაიცვალა 74 წლის ასაკში და დაკრძალულია მუხათგვერდის სასაფლაოზე. მისი სახელი და მის მიერ გაწეული ღვაწლი დღემდე ახსოვთ გორში.

ჟუჟუნა ნიჟარაძე

მონიჭებული მაქვს: აფრიკული „გრიოტის“ წოდება
„საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი“.
„ამაგდარი მწერალი“.
„საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი“.
„ქართული კულტურის ამაგდარი, მთარგმნელი“.
სამი ოკეანის ნეპტუნის სახელი – „კუნჯა“
„როტარი კლუბის, თბილისის აკადემიის ვიცე პრეზიდენტი და გამორჩეული ქველმოქმედი წევრი“
„საქართველო-ჩინეთის მეგობრობის საზოგადოების აქტიური წევრი და ჩინეთის კულტურის მცოდნე“
ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი

გულნაზი ხარაიშვილი

ბავშვობა სიდინაც მოვდივარ

ამ სურათზე ჩემი დედაა, დონიკა შუბითიძე. რაც შეეხება ბებიას, ის მეორე ცოლი იყო ბაბუაჩემის. მამაჩემი როცა დაბადებულა, ბებია გარდაცვლილა. ოლა ბებია რუსის ქალბატონი იყო, ძალიან გვიყვარდა ბავშვებს. მარცხნიდან უფროსი ძმაა ლევან ხარაიშვილი, მარჯვნივ თამაზია, ხოლო პატარა გოგონა მე ვარ. გვერდზე სურათი რომ არის, სამი თვის პატარა გულნაზია. თურმე ბედნიერება ბავშვობაა და მერე კი, ტკივილი და ჯვარცმა. აღარ ვწერ ჩემს ისტორიას, არ ვთვლი საჭიროდ.

სამი თვის გულნაზ ხარაიშვილი

ჩვენს შემდეგ დაბადებულები არიან: იუზა, ბეჟანი, ეთერი, და ამირანი. იუზა დედას ერთი წლის გარდაცვლია, წითელა ბატონებით. თითონ დედაჩემს ცხრა დედმამისშვილი ჰყავდა, არცეთი დედმამიშვილი ასაკით არ გარდაცვლილა სულ ახალგაზრდები ბედისწერის მსხვერპლი გახდნენ, ამაზე სხვა დროს ვისაუბრებ. გავიზარდეთ ექვსი დედმამიშვილი, ოთხი ძმა და ორი და. დედა არასოდეს თავის დარდს არ გვახვევდა, შვილებს ყველას ხათრი გვქონდა მისი, გვასწავლიდა დოლს გარმონს, ფანდურს, ცეკვას ახლა ამ გადასა-

ხედიდან რომ ვუფქრდები რა ნიჭიერი დედა გვყოლია, მისი მშობლები იყვნენ დიანოზ შუბითიძე და აღათი ტაბატაძე დიანოზ პაპას არ უყვარდა ძირს რომ ნამცეცები დაიყრებოდა და იმას არ აკრიფავდი. ბავშვებმა ვიცოდით მისი ხასიათი და ისე ვიქცეოდით, როგორც მას სიამონებდა. ჩემი პატარა ძმა ამირანი არ უჯერებდა, ჩვენ თუ სახლში შემოგვაგროვებდა ბებია წიწილებივით და ამირანი გარეთ იყო, ქარის ხმაურიც კი პაპას ამირანის სიცელქედ ეჩვენებოდა. ამას ახლა ვგრძნობ ბებიას თუ რა ცეცხლის ალში უცხოვრია. დარდიანი ქალბატონი თავის დარდს არასოდეს ახვევდა არავის. დეიდა ელენემ დედაჩემმა და ვახტანგი ბიძიამ დაიტირა თავისი მშობლები ანუ შვიდი შვილი სხვდასხვა დროს და სხვადასხვა ასაკში ბებიას და პაპას გარდაეცლა, ომით, უბედური შემთხვევით, მაგალითად ოჩამჩურის რაინში ბიძაჩემი ტერენტი შუბითიძე, ბრიგადირად მუშაობდა ჩაის ფაბრიკაში, ბიძაჩემი იყო ძალინ კეთილი ლიდერობის თვისებებით დაჯილდოვებული პიროვნება, ის ქორწილში მოკლეს, თამადა იყო ერთ-ერთ ოჯახში, არ გავაგრძელებ ამ ტრაგედიას, დაუბრუნდები ჩემს მშობლებს. ერთი სიტყვით სიყვარულით შექმნილ ოჯახში, სიყვარულის ცეცხლი გიზგიზებდა. სიყვარულის ოჯახიდან გაბედნიერებულ გოგოს ორი ვაჟი შემეძინა. მე პირველი ბედნიერება ვიყავი ჩემი მშობლების და თავს მევლებოდნენ ჩემი მშობლები და დედმამისშვილები. აი, ჩემი ბიჭები კი, ტყუპევით რომ გავზარდე, ესენი დედისთვის ისევ პატარა ბიჭები არიან, ისევ მათთან ერთად ვზივარ და ვამეცადინებ, ეს წლები თურმე ოქროს ხანა ყოფილა ჩემთვის!



ოთხი წლის დავით სხირტლაძე,

სამი თვის გელა სხირტლაძე
ეს ჩემი გელაა, რომელმაც 40 წლის ასაკში დამტოვა და წავიდა თავის გარდაცვლილ მამასთან ზეცაში

ანზორ ჯაფარიძე

ამაღლება ახატელში

მიმდინარე წლის ექვს ივნისს სრულიად საქართველომ დიდი ზეიმით აღნიშნა ბრწყინვალე რელიგიური დღესასწაული „ამაღლება“, ეს იყო ჩემს მშობლიურ სოფლის ცხოვრებაში ერთ-ერთი ისტორიული დღე. ლამაზი დღე გათენდა, ჩემს გაუბედურებულ სოფელ ახატელში. აქ, ადრე ათას ექვსასი კომლი ცხოვრობდა, დღეს დროისა და ჩვენი უსულგულობით ასი კომლიღაა შემორჩენილი. ეს დღესასწაული არასოდეს დაავიწყდება სოფლის მოსხლეობას. მე ამ კომლთა სიმცირეს ძლიერ განვიცდიდი და ვწერდი სტატიებს, სოფლის მოსახლეობაში პირველ რიგში უნდა დაბრუნებულიყო რწმენა, კომუნისტების ხელში დაკარგული უფლის რწმენა, უნდა აღმდგარიყო, უნდა გვყოლებოდა მღვდელი, ეკლესიაში უნდა ჩატარებულიყო წირვა. კულტურული ძეგლები სისუფთავეს და მოვლას საჭიროებდა. თუ რწმენა არ იქნებოდა, ნაგვით აივსებოდა სალოცავი ადგილები. ოცდათერთმეტი წლის ხვეწნისა და მუდარის შემდეგ ეს ოცნება ასრულდა. ორი ათას თვრამეტ წელს სოფელში დაინიშნა მღვდელი ზაქარია ჩიღლაძე, რომელმაც განაცხადა: მე სიღარიბის არ მეშინია, თქვენთან ვარ ჩემო გაჭირვებულო სოფელო, მოვედი, რომ აღვავლინი ლოცვები, კვლავ გავათბო გაცივებული კერები, უფლისათვის ვილოცოთ ახათელებო და უფალი გაგვამრავლებს და აღგვიდგენს დაკარგულ ტერიტორიებს. სოფლის გამგებელმა, ქალბატონმა, ინგა ძამუკელაშვილმა, არნახული ღონისძიება ჩაატარა, თავი მოუყარა თითქმის მთელი ახატელის მოსახლეობას, ჩატარდა სპორტული ღონისძიებები, გათამაშდა პრიზი, გაცოცხლდა სოფელი, რწმენამ გაიღვიძა, მარათლმადიდებლობა ზეიმობს. რაიონის ხელმძღვანელობამ სოფელ ახატელს ორი ათას ცხრამეტი წლისათვის გამოუყო ბიბლიოთეკისა და კლუბის რემონტისათვის თვრამეტი ათასი ლარი, ხოლო ერთკილომეტრიანი გზის რეაბილიტაციისათვის სამასი ათასი ლარი. ეს გზა ეკლესიამდის მიდის. ჩემს სოფელში მღვდლის მობრძანებამ, სოფელს სიოსავით გადაუარა. სოფლის მცხოვრებლებმა ერთმანეთს შევფიცეთ, ერთ გოჯ მიწასაც არ დაუთმობთ არავის. ჩვენთან არს ღმერთი.

07-06-2119 წელი.





დიალოგი

ნიკო ბაღაშვილი

„მგზავრობა ასცრალში"
დე ---გულნაზ ხარაიშვილს

ხო, დე – გონება დამიბნელდა და თვალებგახელილს ჩამეძინა, ხო, დე ვხედავდი ისე როგორც ამ ქუჩას, სახლებს ვხედავ, ისე ვხედავდი და დავდიოდი საფლავებს შორის, მერე მწვანე კარიბჭე გაიღო და სიმწვანეში აღმოვჩნდი, – დე, შენი გელა მიღიმოდა, ხელი ჩამომართვა და უსიტყვოდ, მადლობის ნიშნად გადამკოცნა, მერე გზად მიმავალებს თქვენმა ძმამ, თამაზიმ მიგვიპატიჟა, წუხდა რომ ადრე წამოვიდა იმ ქვეყნიდან, მაგრამ ვერ გადავურჩებით ბუნების კანონსო, მერე თქვენი ძმა ბეჟანი გამახსენდა, შენმა „გელამ" იგრძნო ჩემი გულისწადილი, მხარზე ხელი დამადო და მითხრა, ბიძა-ჩემისას რას გაიგებ, ალბათ სადმე განმარტოებით ზის და ლექსებს წერსო, პოეტი რომ არის!... იცით ალბათ, ჩვენთანაც იშვიათად მოდის, აი, თამაზი ბიძია რომ მოვიდა, მაშინ ვნახე, არადა მსურდა მართლა მსურდა გამეცნო ბატონი ბეჟანი

მერე მე და „შენი გელა" დავდიოდით, ის მეგზური იყო ჩემი, იქვე ახალგაზრდებს მოვკარი თვალი, ერთი ახალგაზრდა ჩემსკენ წამოვიდა, თან ჩემ ფეხსაცმელებს უყურებდა და – კარგად მოგრგებია ძმაო, ჩემი ფეხსაცმელი, – ვიცანი, ლამზირას ბიჭი ალიკა იყო, დედა მომიკითხე, ამდენს ნუ ტირის, კი მართალია უმძიმს მაგრამ ჩვენ აქ ყველანი კარგად ვართ, აი გელა გვყავს თავკაციო, გელამ თავისებური ღიმილით გაიღიმა და თქვა: ყველანი ამა სოფლის თავკაცები ვართ! გზა გავაგრძელეთ, ჯუმბერ ხარაიშვილი თავის შვილთან და შვილიშვილთან გზად შემოგხვდნენ, ჯუმბერი ბიძიამ დამიყვავა – აქ, რა გინდა, ჯერ ჩვენც ნაადრევად წამოვედითო! გელა, შვილო გააცილე, უკან დააბრუნე,

ხო, ჯუმბერი ძია. ჯუმბერ ლეჟავასაც შევახვედრებ და აბა, რა უკან დავაბრუნებ.. გავაცილებო – სამწუხაროდ ვერ ვნახე ჯუმბერ ლეჟავა...

მერე დე, გელამ მწვანე კარიბჭესთან მომიყვანა, ვიცი დედაჩემს ენატრება ჩემი თავიო, მაგრამ უთხარი ჯერ ნაადრევია აქ წამოსვლა, მანდ იმდენი დასაპურებელი ჰყავს, მოსაფერებელი, რომ, ვიცი ღვინოსაც არ დამადლებს, ჩვენ შესანდობარს რონ შესვავენ იქაურები, ჩვენთვის მისავალი იქნებაო, მერე მწვანე ხის ფოთლები მომცა და მეც გამოვერკვიე, ოთახში ნელ-ნელა შემოდიოდა დღის რიჟრაჟი, თვალები ცრემლებით და ფიქრით იჟღინთებოდა. ვინ დამიჯერებს-მეთქი. მაგრამ აივანზე ნიავის მონაბერით შეგროვილ მწვანე ფოთლების ფრიალით გული ამიფრიალდა და გამახსენდა რომ ჩემი დე-ს, გულნაზის დაბადების დღე იყო.... გილოცავ დე, მერტო ეს ვთქვი და თვალევბი დავხუჭიე, იმ იმედით რო ვინახულებდი ასტრალში გამეფებულ მდუმარებაში მცხოვრებ ჩვენებურებს...

გულნაზ ხარაიშვილი

„მგზავრობა ასცრალში"
პასუხი ნიკო ბაღაშვილს

ნიკო შვილო, აბა მე რა მაცოცხლებს თუ არა ის რწმენა, რომ ცაში დედამიწისაგან განსხვავებით სხვანაირი სულთა სამჯავროა. იქ, მინსხალ-მინსხალ შეფასდება სიკეთე და დანაშაულიც. სული შორდება სხეულს გადადის მარადისობაში. შენი შინაარსის მსგასი სიზმარი მეც ბევჯერ მინახია, მაგრამ არ დამიწერია. ამჯერად არ შემიძლია შენს წერილს არ გამოვეხმაურო. ჩემი კრედო სიკეთეა, თუნდაც ჩემი ამაგი ფეხქვეშ მოსრისოს შინარმა თუ გარეულმა არ შემიძლია ცუდი ვთქა ან ცუდი მოვინდომო ვინმესთვის. პირიქით მეცოდებიან რადგან ვერ აღიქვავენ ცუდი რას ნიშნავს და კარგი რა არის. წარსულ წლებს, რომ

გდავხედო რაც მე ჯვარცმა გამომივლია ცხოვრებისეული, სამაგალითოდ იმითაც შემოვრჩები ამ ცოდვებით დამძიმებულ დედამიწას. ამჯერად ჩემზე დიდი ასკის ადამინები,დედას მიძახიან, დიახ! ისე როგორც დედაა შეუდარებელი შვილებისათვის. მინდა სულიერი დედა ვიყო ჩემზე დიდი ასაკის ადამიანებისთვისაც კი. რამდენად ვახერხებ ამას ჩეს ირგვლივ მოფუსფუსე პიროვნებები ხედავენ. ჩემს გარდაცლილ გელაზე (მოუკვდეს დედა) იმდენი „ცრემლში ნალესი“ ლექსი დამიწერია ერთი წიგნი გამოვა, გამოუშვებ აუცილებლად! მერვე წელი დაიწყო რაც ცის სივრცეს შეეკედლა თავის არაჩეულბრივ მამას (ჩემი მეუღლე ვახტანგ სხირტლაძე ყველაფით მჯობდა ის მადლიანი რაჭველი იყო) თუმცა მეც ვცდილობ რამდენად გამომდის ეს სხა დროს... ამიტომაა შეძლებამდე ვითმენ,თუნდაც წუხანდელი საღამო... (ყველაზე დიდი სასაფლაოა გული... ბეჟან ხარაიშვილი) ვითმენ ძმაო, მაგრამ როგორი მოსათმენია ვარდების ნაცვლად ეკლების ხროვაში რომ მოხვდები! შენ კი შვილო ნიკო, უფალმა გაჩვენა ზეციური სამყარო, დაფიქრდი ცოტა ჩამოდინჯდი შენში გელას სულია გადმოსული....

თითოეული ადამიანი თავის შეცდომებით სწავლობს, იზრდება, ყალიბდებდა, ეს იმ შემთხვევაში ხდება თუ ერთხელ მაინც დაეშვება დედამიწაზე... ჩემი დედაშვილუღი, ლოლიალური, დაკვირვებიდან გამომდინარე შენ დედი არ გჯერა ჩემი. ბრაზდემი მაშინ, როცა თავშეკავება ისე საჭიროა, როგორც ჰარი ადმიანის სიცოცხლისათვის... ეს ზიანს მოუტანს შენს ჯამრთელობასაც და შენ ნიჭს კი ქარი აღმა-დაღმა მიმოფანტავს პურის მარცვალივით. მერე და მერე, ჰო, მერე ჟამი მოხუცებულობისა, კარებზე მოგიკაკუნებს და მკაცრად გიბრძანებს, აკრიფე! უხილავი ხმა გეტყვის: ნიჭი ქვიშის მარცლებივით დასაფანტად არ მომიცია ... აკრიფავ?..

თუმცა შენი ჩანახატი წარსულის ტკივილია,... და მაინც მერცხალი ფრინავს აღმა დაღმა, ცდილობს ყველას აამოს. ეს არის სწორედ სიძლიერე. ეს არის უფლის გზა, ამ გზაზე ყველა უნდა დადიდეს. არ უნდა გაბოროტდე, არუნდა დაიხურო ცა ქუდად... შენ კი აჟამად სიკეთის მერცხალო, ნუ იძირები წარსულის ტკივილთან, გიმეორებ შენში ჩემი გარდაცვლი შილის სულია გადმსული. ნუ მაბრაზებ, იყავი კახა ბაციკაძესავით მშვიდი და ძლიერიც! არ შეგეშინდეს, შენ სულიერი დედა გყავს. იფრინე, მაგრამ მშვიდათ....

* * *

დე - გულნაზ ხარაიშვილს - - -

დე, ვიცი რომ დაგღალე, იქნებ ცოტათი დაგესვენა – სულ ფუსფუსებთ, ისე, მეც ბევრი რამ ვისწავლე თქვენგან, მაგრამ გული ნაზი დამრჩა და თუ ემოციისგან მთლად გავბრაზდები და გავღიზიანდები, მერე ისევ თბილად და კეთილად ვიქცევი ხოლმე, თქვენ კი ყველას ეფერებით, უფრთხილდებით და გეღიმებათ ადამიანთა საქციელების გამო, ვიცი რასაც დარდობთ, რაზეც ოცნებობთ, გუშინწინ მსახიობ გულიადა სანოძის წარმოდგენილ პოეტურ-მუსიკალურ კომპოზიციაზე ვფრენდი, თურმე რა და მართლაც დე-ს გეძახით და არც კი გიცნობთ, არადა მაღალი პოეზია და წყალობა უფლისა, იმ ნიჭიერებისთვის, რაც ყველას არ ძალუძს, დიახ, განვცვიფრდი თვით ამაღლებული ქალბატონის. მსახიობ გულიად სანოძის და მის მიერ ნორჩ მსახიობ ბავშვების შესრულებული და ამეტყველებული საგალობელით, რომელიც მთელი წლის სულიერ საკვებად მეყოფა და მამხნევებს, იმის იმედს მაძლევს, რომ თვით დედაქალაქიდან არც ისე შორს, ქალაქ ხონში მართლაც რომ ჩვენი ერის კულტურული ცხოვრება რა სიკეთის და ლაზათის მატარებელია. აფერუმ, ხონის მუნივიპალიტეტის მესვეურებო, მზეგრძელობა და წარმატებები! დე, მიხარის რომ,თქვენი დაბადების დღეები გრძელდება და მინდა ჯანმრთელი მყავდეთ, და მუდამ ბედნიერი...

პატივსცემით თქვენი სულიერი
შვილი ნიკო --------

* * *

...დე, ისევ სიზმრის ვაგონს გავყევი, ახლა ყველას ჩასძინებია, დე, სძინავს ქალაქს, სახლებს, ქუჩებს, გზებს, თვით ღამემაც ჩასთვლიმა დე, მარტო მე ვარ აივანზე გამეფებულ სიმშვიდეში, მე და შენი შვილი გელა ღარიბულ სუფრაზე, მდიდრულად ვსაუბრობთ, უფრო სწორედ ის მეუბნება, დედაჩემი სულ ნაღვლობს ჩემზე და ჩემი სახით ადამიანებს ესაუბრება, სურს რომ კეთილები იყვნენ და ერთურთს შეუნდონ და აპატიონ უნებლიე შეცდომები, დე, მიყვარს დედაო და ძმურად, გაუფრთხილდი, მოეფერე, უჩემობა არ აგრძნობინო, უთხარი რომ მე შენთან ხშირად მოვდივარ და უთხარი სიმართლე, შეიძლება არ დაგიჯეროს, მაგრამ უთხარი, რომ ისევ ის ლამაზი დედიკო მყავს და ისევ ისე ძველებურად ვაღმერთებ და მიყვარს,თუ არ დაგიჯერა აი ეს უთხარი :მზეს უყუროს, მზეში დამინახავს, ღიმილით და თავის გულნათელ ფიქრით რომ ამოისუნთქებს, მიხვდება რომ მე ისევ ის გელა ვარ, მოუსვენარი,აწრიალებული სულით და სინათლით და სიმართლით სავსე, ეგ არის რომ ბუნების ძალა არ გვაძლევს უფლებას, წასულებმა, აქაურებთან ვისაუბროთ... აი, თენდება და შენც უნდა დაგტოვო ძმაო, აბა შენ იცი – მიმიხედე დედას,დაუძახე ხშირად და დაურეკე და მისთვის გამთბარი სიტყვებით უთხარ -დე, როგორა ხარ, ხო, არ გადაიღალე, ცოტა დაისვენე, შენ თავსაც მიხედე მე ცოცხალი და ძლიერი დედა მჭირდება-თქო, – აბა, მშვიდობით... და გადამეხვია დე, შენი შვილი, ჩემი სულის ნათესავი ძმა და დილის რიჟრაჟზე გაუჩინარდა...

პასუხი ნიკო ბაღაშვილს

ნიკო, გუშინ მთელი დღე ჟურნალ „ათინათის“ დაკაბადონებაზე ვმუშაობდი. „ათინათი“, სამას გვერდიანი ჟურნალია და სხვადასხვა დარგს მოიცავს, ამას იმიტომ ვწერ, რომ მზის ათინათებში დავეძებ შვილის სულს. ბევრჯერ უთქვამთ – როგორ ახერხებს ამ კაციჭამია პერიოდშიო. ეს საიდუმლო სულაც არ არის. ჟურნალით რამდენ ადამიანებს ვახარებ, ეს ხომ მადლია, ეს მადლი ყველას მინდა გადაწვდეს.ვისაც არუნდა არ დაბეჭდევს, მაგრამ ზოგი რესტარანს ხურავს წუთიერი სიამოვნებისთვის მე მარადიულს დავეძებ. განა შენ მარადიულობას არ ქმნი? გავა დრო და შენი ნიკალა ფილმები ათინათებად მოეფინება საქართველოს. ვცდილობ, რომ ღმერთთან წავრდგე თუმცა თავდახრილი, მაგრამ საქმით გადაღლილი. შენ ჩემო, სულიერო შვილო, შენში იმხელა ნიჭი და უფროსებისადმი კრძალვაა, ამოუცნობიცაა ჩემთვის, რომ მიფრთხილდები დე, დაისვენეო, შენ ისვენებ?... უფალმა ხალხის სიყვარული მადლად გადმომფრქვია, მე სხვისი წარმატებებით ვსაზრდოობ, განა ეს ცოტაა, გული გამოინთავი-სუფლო არაფრის მომტანი ფიქრისაგან. ჩემი გელასნაირი თბილები, ნიჭიერები, ძლიერები, იშვიათად მინახია... ერთხელ მათხოვრი დაუნახავს, გულში გაუფიქრებია ახლა ჯიბეში ხელს ჩავიყობ რაც ამოყვება ფული ხელს მივცემ ამ ხელგამოწვდილსო, ასეც მოქცეულა, მაგრამ თვითონ სამგზავრო ფულიც ვეღარ მოუჩხრიკავს და ფეხით წასულა... დააკვირდი ახლა შენს ხასიათს, რაღაცით გგავს, ისე თუ მის მეგობრებს გაესუბრები უფრო მეტს მოისმენ... საინტერესოს და ზე აღმატებულს...

მზიური დათიაშვილი-აფციაური
პოეტი-პედაგოგი

მოულოდნელი საღამო

2019 წლის 23 აპრილს ჯუმბერ ლეჟავას სახალხო აკადემიაში, მორიგი „პოეზიის საღამოსათვის“ შევიკრიბეთ მისი შემადგენლობა.

მე ცოტა ადრე მომიწია მისვლამ ოფისში და შევესწარი აკადემიის პრეზიდენტის სატელეფონო საუბარს, (ეტყობოდა, ახლო პიროვნებასთან).

– შვილო, მერე მზად ხართ?

– კი, იყო პასუხი. მიიღო დამაჯერებელი პასუხი, მაგრამ აღელვება ვერ შეიკავა და შეუტია: – „თქვე პატარა ეშმაკუნებო, ეს რა მოგიფიქრებიათ?

– მოდით და ვნახოთ. ცოტა შიშნარევი ეჭვიანი კილოთი დაუმატა და ლაპარაკი ტელეფონზე შეწყვიტა.

მე და იმ წუთს შემოსული აკადემიის წევრებს გადმოგვხედა და გულახდილად თქვა: – რამე მიშველეთ, ბავშვები მოდიან! დიდებთან შეხვედრაზე ის ეარ დავიბნეოდი, როგორც ამ ბავშვებმა ამაფორიაქეს. ჩემი ბეჟანის შვილიშვილმა მე-5 კლასელმა ბავშვმა დამირეკა: – ბებო, მოვამზადე ღონისძება ბაბუა ბეჟანის გასახსენებელი საღამოსათვის, ჩემ კლასელებს დავურიგე მისი ლექსები და გვინდა ეს საღამო შენს აკადემიაში ჩავატაროთ. შენ იცი, რომ ბაბუ ძალიან მიყვარს, თანაც აღდგომა მოდის, ხომ იცი, როგორ უყვარდა მას აღდგომა და არ გამიბრაზდე, დაგვითმეთ ეს საღამო ჩვენ, ძალიან გეხვეწებითო.

პრეზიდენტს თვალები ანთებოდა და ღიმილი, შეშფოთება და რაღაც აუხსნელი გრძნობა, ერთად არეული დასთამაშებდა სახეზე.

– ნამდვილად უნდა მიშველოთ... ყველა შემთხვევისათვის მზად უნდა ვიყოთ. როგორ მეთქვა უარი ჩემი საყვარელი ძმის – ბეჟანი ხარაიშვილის პატარა ჯერ გამოუცდელი შვილიშვილისათვის, რომელმაც თავის თავზე აიღო ის დიდი ტვირთი, რომელსაც პოეზიის საღამო ჰქვია. სა-

ოცარია, რაღა აღარ ხდება, დაამატა და თითქოს ღმერთს ეხვეწებაო, წრფელი შიშჩამდგარი თვალებით გადმოგვხედა. მოულოდნელობით გაოგნებულებმა დავუწყეთ ლოდინი ბავშვებს.

ჩვენი „პოეზიის საღამო“ გრძელდებოდა. ღია აუდიტორიის კარში მალე გამოჩნდნენ პატარა გოგო-ბიჭების ცქრიალა სახეები. ცნობისმოყვარე თვალებით იმზირებოდნენ. თითქოს უნდოდათ გაეგოთ რა ხდებოდა იქ. ჩვენ ტაშით მივეგებეთ მათ – პრეზიდენტმა 5 წუთიანი ტაიმ-აუტი აიღო, ბავშვებს გაესაუბრა. და დართო ნება აუდიტორიაში შემოსულიყვნენ. ბავშვები მერხებზე დასხდნენ. გულნაზ ხარაიშვილმა აუიდიტორიას ამცნო ბავშვების მოსვლის მისია. გაგვაცნო საქართველოს ერთ-ერთი გენიალური პოეტის (მისი ძმის) ბეჟან ხარაიშვილის შვილიშვილი – გვანცა ხარაიშვილი – მკვირცხლი და ჭკვიანთვალება სხარტი გოგონა, ბავშვს სადემონსტრაციოდ ეცვა და თანატოლებისაგან გამოირჩეოდა. მოდურად დავარცხნილი გრძელი თმა მის მშვიდ ბავშვურ სახეს კიდევ უფრო უხდებოდა, ეტყობოდა ბაბუს, რაღაც სერიოზულ მიძღვნას უმზადებდა.

პრეზიდენტმა წამყვანობა გვანცას დაუთმო. აპლოდისმენტების ხმაურში, ბავშვები მისი მითითებით აუდიტორიის სახელდახელო სცენაზე განლაგდნენ, და დაიწყეს, გაჟღერდა ბეჟან ხარაიშვილის, ამ ახალგაზრდა და სიცოცხლედაუმთავრებელი პოეტის (გარდაიცვალა 30 წლის ასაკში) პოეტური ქმნილებები. დარბაზი გასუსული უსმენდა ბავშვების მიერ წარმოთქმულ ყველა ბწკარს. ზოგი მშვიდად აუღელვებლად ამბობდა, ზოგს აღელვებისგან გამოთქმა შეეშალა. ვფიქრობ, მათთვისაც მოულოდნელი იყო ასეთი აუდიტორიის წინაშე გამოსვლა. გვანცა მათკენ გვერდის მხრიდან მიბრუნებული ანიშნებდა: ვის როდის უნდა დაეწყო.

ბავშვებმა მათი გონებისა და ფიზიკური შესაძლებლობების ფარგლებში ბრწყინვალედ გაართვეს თავი ბეჟან ხარაიშვილის რთულ ფილოსოფიურ ლირიკას.

ბავშვების გამოსვლამ ჩემზე ისეთი შთაბეჭდილება დატოვა, თითქოს საქართველოს ღვთაებრივი საგალობელის: „შენ ხარ ვენახი“-ს ფონზე ბეჟანის სულის საფიქრალს ძალა მისცემოდა,კ და პოეტს ირეალურ სამყაროში, გრძნობით ჩასძახოდნენ მისივე სიტყვები: – „ბეჟან საქართველო არ მომკვდარა! საქართველო გაიმარჯვებს!...”

ბავშვებმა საღამო ცეკვა „აჭარულით“ დაასრულეს.

გმადლობთ, ბავშვებო! ჩვენს სულში ასე უეცარი შემოჭრისა და აფორიაქებისათვის!

„იესომ მოუხმო ბავშვებს და ჩააყენა მათ შუა და უთხრა: ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, თუ ისე არ მოიქცევით და არ იქენით როგორც ბავშვები, ვერ შეხვალთ ცათა სასუფეველში”...

მათე. სახარება. თავი 18. გვ.52.

პრეზიდენტმა ბავშვები დაასაჩუქრა აკადემიის აკადემიური გამოცემებით: „ჟურნალ“ ათინათის 2015 წლის გამოცემით „ანთოლოგიით“ და სხვადასხვა საავტორო გამოცემებით.

გვანცას და მის თანატოლებს გააცნო დიდი ბაბუის ბეჟან ხარაიშვილის ბიუსტის შემქმნელი, მოქანდაკე გელა ლარიაშვილი და მისი შვილიშვილი, რომელმაც საინტერესოდ წაიკითხა ლეგენდა „უფალსა და ქართველებზე“...

რეჟისორმა ნიკო ბაღაშვილმა გადაიღო ვიდეოფილმი და სამახსოვრო ფოტოები.

ჩვენ ყველამ საყვარელი ბავშვები მომავლის დიდი იმედით გავუშვით, არ დამავიწყდება ლოგოსი: „უჩვენეთ ეს ბავშვები მსოფლიოს და ომი არ იქნება!“ – დიახ, ნუ ჩავაქრობთ ბავშვის ანთებული თვალებს და აფართხალებულ გულს!

ბავშვი

უზადო ნათელს ფაქიზი სული,
ბავშვის უმწიკვლო რწმენა განსაზღვრავს,
საოცარია წინაპართ თქმული
რომ სუფთა დაფის სახეთ ასახავს
ბავშვობა – დროის მიძღვნილი ჯილდო,
გასაოცარი ჟამის ვარდობა,
ამ სუფთა სულებს დროც რომ არ ინდობს, –
ეპოქალური რისხვა, არნდობა,
რამდენს ჩამოვთვლით უფრო წამებულთ:
ჩვილ კვირიკეს თუ ჰეროდეს მსხვერპლებს,
„ცხრა ძმა კოლაელთ“, აპრილის გმირებს,
თუ ფაშისტური „ეს-ეს-ის“ მძევლებს...
აღარ გვსურს ბავშვებს ვაუწყოთ შფოთი,
ბავშვი ლაღია თავის ბუნებით,
შეცდომებზე კი – უნდა აღვზარდოთ,
არ დავამდაბლოთ მთრგუნველ ცდუნებით...
უზადო ნათელს ბავშვი ქმნის მუდამ,
დიდი სიცოცხლის საწყისი რიტმი,
და ამიტომაც ჩვენ, ყველამ უნდა
მათ სულის სწრაფვას ავუწყოთ რითმი...

ბავშვების გასტუმრების შემდეგ წამოვიდა კრიტიკის კორიანტელი. პრეზიდენტი ყველას უკვე აუღელვებლად უსმენდა...

ეს ღონისძიება ერთი ბავშვის მომზადებული გახლდათ, რომელსაც გადაეწყვიტა (სხვათა ჩარევის გარეშე) საყვარელი ბაბუს პატივისცემა და რადგან იცოდა და გრძნობდა ამის შესაძლებლობა მას პრეზიდენტი ბებოს საშუალებით მიეცემოდა, უკან არ დაიხია, და თავისი მტკიცე დამაჯერებლობით წაიყვანა ეს ყველასათვის ძვირფასი და მოულოდნელი საღამო. გვანცა ჩემს თვალში ამაღლდა როგორც ლიდერი.

საღამოს ესწრებოდა გაზეთ „სახალხო განათლების“ კორესპოდენტი. სხვათაშორის ისიც დაიბნა მომენტალურად შექმნილ რთულ სიტუაციაში.

მე ვხედავდი და გამოცდილი პედაგოგიური ალღოთი ვგრძნობდი, ჩვენს წინ ხალას, უბიწო, ახალცოდნამიღებულ, ჯერ კიდევ პოეზიაში ჩაუხედავ, უმწიკვლო, წრფელ ბავშვებს, რომელებსაც თავიანთი თვალთახედვით უნდოდათ წარმოეჩინათ, ამ ჩაგრული სამშობლოს თანამედროვეობის ფონზე, – თავიანთი დიდი სიყვარული სამშობლოს და მის წინაშე დაჩოქილი ბუმბერაზი გენიის საპატივსაცემოდ.

ეს არა თუ გამოსვლა, სურვილიც რომ ყოფილიყო, ჩვენგან პატივისცემას მოითხოვდა.

23.04.2019წ.

სერგი ლომაძე

აკადემიის პრეზიდენტის დღე მწერალთა სახლში

წელს მაისის დასაწყისში, ამ ყველაზე უფრო პოეტური თვის დასაწყისში, ისევ აღვნიშნეთ ქალბატონ გულნაზის დაბადების დღე. ჩვენი მთავარი ქალბატონის დღის აღნიშვნაში გადამწყვეტი როლი ითამაშა გულიადა სანოძემ, ასევე მის მიერ ხონიდან ჩამოყვანილმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა, რომელთაც თვალშეუდგამ სიმაღლეზე აზიდეს ეს ღონისძიება, აქციეს რა, იგი, წლის ერთ-ერთ ცენტრალურ მოვლენად.

აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ მაისშივეა დაბადებული ქალბატონი მაყვალა გონაშვილი, და მაინც, რა თქმა უნდა, ამავე თვეში (ცოტა უფრო ადრე) გადაიხადა დაბადების დღე – გრიბოედოვის თეატრში. მაყვალა სამოცი წლისა ახლახანს გახდა. გულნაზი გაცილებით უფროსია. გულნაზი და მაყვალა, – ეს ორი დიდებული პოეტი-მოღვაწე განუყოფელია ჩემთვის. განსაკუთრებით მიყვარს ორივენი, რადგანაც გამოირჩევიან მკვეთრად დიდადამიანური თვისებებით. მათი ერთ-ერთი ყველაზე უფრო რჩეული თვისება, მაგალითად, ისაა, რომ თუ ჯანსაღად გააკრიტიკე რომელიმე მათგანი, თუ ოდნავ მაინც შენს მხარეზეა სიმართლე, ისინი, ორივენი, თითქმის ყველა სხვა განდიდებულთაგან განსხვავებით, გაგებით, პოზიციურად ხვდებინ კრიტიკას... მე დაუსრულებლად შემიძლია ამ ორ კორიფეზე საუბარი და ხშირადაც ვსაუბრობ (თუ – ვწერ) მათ შესახებ. მათს კიდევ ერთ თვისებას, მინდა, აუცილებლად გაესვას ხაზი, – ამ ორ ადამიანს არ ახასიათებთ ზურგსუკან ბრძოლები, ანუ ის ფარული ბრძოლანი, რომელნიც ასე დამახასიათებელია დღეს, ჩვენი რეალობისათვის... გულნაზი და მაყვალა ყოველთვის საქმის კეთებისკენ და სიკეთისაკენ არიან მიმართულნი. ორივე ძალიან თბილი, თანაც – ძალიან საქმიანი ადამიანია.

რა თქმა უნდა, ქალბატონი მაყვალა ესწრებოდა ქალბატონი გულნაზის დაბადების დღეს.

ასეთ დღეს რომ მე და კახა არ გამოვტოვებდით, ესეც ნათელია. ჩვენ, ქალბატონი გულნაზის წყალობით, დღემდე ვინარჩუნებდით გავლენას აკადემიაში, აქ ისე ვართ, რგორც გენერალური მდივნები, გენერალური დირექტორები, თუ რაღაც ამგვარნი, და ეს არცაა გასაკვირი, როცა განუხრელად, ბოლომდე სარგებლობ თავჯდომარის (პრეზიდენტის) მხარდაჭერით.

რაღა თქმა უნდა, ღონისძიებას ესწრებოდა მამა ამირანიც, – დირექტორატის კიდევ ერთი წევრი, რომლის გავლენაც, აკადემიაზე, არავისთვისაა საიდუმლო.

სახელოვანი ერეკლე საღლიანიც არ აკლდა ღონისძიებას. ასევე დავასახელებდი გელა ლარიაშვილს, გურამ ჭავჭანიძეს, ლამზირა შეყილაძეს და სხვებს და სხვებს, ხოლო დიდი რეზო ადამიას გამოტოვება, რაღა თქმა უნდა, არც მიფიქრია. აქ იყო მხატვართა კავშირის თავჯდომარეც – გურამ ცარციძე, კიდევ სხვებიც ყველა მათგანი მნიშვნელოვანია პირადად ჩემთვის.

რაც შეეხება ქართულ ჩოხებში გამოწყობილ ანსამბლს, შალვა ილურიძისას, ეს ხომ მშვენება გახლდათ ღონისძიებისა.

აკადემიის ლიდერები, თავიდან დაძაბულნი ვიყავით, მაგრამ პირველივე წუთებში გამოჩნდა გასაოცარი მომზადებულობა ჩვენი ხონელი სტუმრებისა.

მოზარდებმა, ფაქტობრივად, პატარა სპექტაკლი წარმოადგინეს, დადგმა, რომელიც, ძირითადად, ქალბატონი გულნაზის ლექსებით იყო აწყობილი. ამ ლექსთა ნაწილს, ისინი, კითხულობდნენ, ხოლო ნაწილს კი ზეპირად ამბობდნენ. ეს ახალგაზრდობა სამად იყოფოდა, – ბავშვები, ყმაწვილები და იყო ორი ახალგაზრდა ქალიც, რომელნიც საოცრად მღეროდნენ. ძალიან გაგვიხარდა, როცა გავიგეთ, რომ ამ ორთაგან ერთ-ერთი გახლავთ ქალბატონი გულიადას რძალი, ცნობილი პოეტის – ედუარდ უგულავას (რომელიც გულიადას შვილია) ახლადშერთული მეუღლე – ნათია დაშნიანი.

რაც შეეხება ბავშვებს და ყმაწვილებს, ესენი იყვნენ უნიჭიერესი გოგო-ბიჭები, ხონის ლიტერატურის (ხელოვნების) მოყვარულთა წრიდან. ისინი იყვნენ სხვადასხვა სკოლის წარმომადგენლები. ამ მოზარდებმა უშეცდომოდ, დიდებულად გადმოსცეს ქალბატონი გულნაზის პოეზია, საერთოდ, წარმოადგინეს ქალბატონი გულნაზი, როგორც პოეტი, მოღვაწე, და ადამიანი, მთლიანობაში წარმოადგინეს ცნობილი პიროვნებების თავისებური პორტრეტი. ამიტომაც დაჯილდოვდნენ, აკადემიიდან, მადლობის სიგელებით. იმ დღის ღონისძიებაზე ჯილდო გადასცეს: მარიამ ღოღობერიძეს, ვასილ აგლაძეს, გიორგი უგრეხელიძეს, საბა ჯიმშელეიშვილს, დავით ლიპარტელიანს, გიორგი ჩიღლაძეს, დავით ჩანქსელიანს, ნინო ბახტაძეს, გურამ ჯიშკარიანს, ნაზი ჯიქიას, ზიზი ფარულავას, ხოლო მადლობის ბარათები დაურიგდათ; მერის მოადგილეს ქალბატონ მანანა დოფოძეს, კულტურის ცენტრის დირექტორს, მინერი ონიანს, ხონის რაიონის საჯარო სკოლის დირექტორს შორენა კაკაბაძეს.

თვითონ გულიადა სანოძემაც წაიკითხა ქალბატონი გულნაზის რამდეიმე ლექსი.

გულიადა არის ლიტერატურის დიდი მოყვარული, დეკლამატორი და მსახიობი. დეკლარაციაში, მას, მსახიობის პროფესია ეხმარება, და ეხმარება ის, რომ კარგად, ღრმად წვდება ლიტერატურას, წვდება პოეზიის გულს.

გულიადა თუმცა სოლიდურ ასაკშია, მაინც ახალგაზრდულად, მხნედ, შემართულად გამოიყურება, აქვს უზარმაზარი ენერგია, და ყოველთვის შეუძლია სცენაზე პოეტური ცეცხლის დანთება. ამ ქალს აქვს დდი შინაგანი ძალა, შარმი. იგი უბადლოა სცენაზე, უბადლოა ლექსის კითხვისას.

არ მინდა გამომრჩეს ის ფაქტი, რომ სხდომას (ღონისძიებას) ესწრებოდა ფაზისის აკადემიის პრეზიდენტიც – ნუგზარ ნადარაია, ესწრებოდა ცნობილი მეცნიერი მურმან გელენიძეც, ლეგენდარული პოეტის – ბეჟან ხარაიშვილის მეგობარიც – ლევან ბაბუხადიაც, და შვილიშვილიც ლეგენდარული პოეტისა – გვანცა. საერთოდ, და-ძმა ბეჟან და გულნაზ ხარაიშვილებიდან დაიწყო დიდი აღზევება ხარაიშვილთა გვარისა.

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ იმ დღეს აკადემიის წევრთა რიგიც გავზარდეთ;

და ისიც, რომ იმ დღეს, აკადემიის შეკრებაზე, ყველა თაობა იყო წარმოდგენილი, – ძველიც, საშუალო, ახალიც, უახლესიც. მაგალითად, – აკადემიის ასაკოვან წევრთა გვერდით იყვნენ შორენა მამალაშვილიც, ქეთი მაზიაშვილიც და სხვებიც, რომელნიც ახალგაზრდულ ფრთას აძლიერებენ აკადემიაში.

შალვა ილურიძის ანსამბლი რამდენჯერმე გამოვიდა. ყველას გვიყვარს ეს უძველესი ანსამბლი, რომლის მოღვაწეობა ჯერ კიდევ ნუგზარ ფსუტურმა დაიწყო ოდესღაც. ამ ფოლკლორული ანსამბლის ზუსტი ასაკი არ ვიცი, მართალი გითხრათ.

მე და კახა თითო-თითოჯერ გამოვედით. კახას უკვე მემილიონედ შეასრულებინეს „ზღვარის“ ცნობილი და ბევრის მიერ აჟღერებული ჰიტი – „ჩემი ლირიკა“. ეს სიმღერა, საერთოდ, სხვა სათაურებითაცაა გავრცელებული, მაგალითად: „პოეტი“, „ჩემი ლირიკის ცაზე“, და ასე შემდეგ. ჩვენი ეს სიმღერა, დიახ, სხვებსაც ბევრჯერ შეუსრულებიათ, თუმცა ქალბატონ გულნაზის ყველაზე უფრო მაინც კახას ნამღერი „ჩემი ლირიკა“ მოსწონს და დაბადების დღეზეც სწორედ ეს სიმღერა ითხოვა.

მადლობა დარბაზს (მსმენელებს), რომელიც ამდენჯერ მოსმენილ სიმღერას მაინც ისევ აპლოდისმენტებით შეეგება.

მოკლედ, კიდევ ბევრი რამეა სათქმელი, მაგრამ აქ დავასრულებ სტატიას. ერთს დავამატებ მხოლოდ, რომ იყო ყვავილები, იყო დიიდ სიხარული, იყო კიდევ ერთი აღზევება, იმ დღეს, დიდი გულნაზ ხარაიშვილისა.

ახლა კი, უკვე, აკადემიის შემდეგ გეგმებზე ვფიქრობთ...

საერთოდ, პირადად ჩემი ფიქრები პოეზიისაკენ არის მიმართული.

გარკვეულ წრეებს „ზღვარი“ ბევრჯერ დაუსახელებიათ პოეზიის (ხელოვნების) ჩემპიონად არაოფიციალურადაც და ოფიციალურადაც. ჩვენ ბევრთან გაგვიმარჯვია, მაგრამ როცა დრო გავიდა, მყარად მივხვდით, რომ ერთადერთი მეტოქე, რომელსაც უნდა ეპაექროს (ებრძოლოს) ადამიანმა, მისივე პიროვნებაა მხოლოდ. ეს არაერთხელ მითქვამს. თუ საკუთარ თავს დასძლევ, თუ საკუთარ თავში მოკლავ სისუსტეებს, მხოლოდ ასე აღზევდები ჭეშმარიტად. მხოლოდ ასე იქნები უძლეველი ყველასათვის. შენ უნდა ვითარდებოდე მარად და ინტნსიურად. არასოდეს უნდა შეჩერდეს განვითარების პროცესი. საკუთარ თავთან უნდა გაიმარჯვო და განვითარდე...

მე ვფიქრობ, რომ გულნაზ ხარაიშვილი სწორედ ის ადამიანია, რომელიც ყოველთვის ვითარდება, წინ მიიწევს, და უწყვეტობაა, მარადიულობაა ეს პროცესი. ძალიან ცოტანი არიან რკინის ნებისყოფის მქონე ადამიანები და ერთ-ერთია, სწორედ, ქალბატონი გულნაზი. აბა დააკვირდით, – აგერ, ლამის სამოცდაათ წელსაა მიტანებული, და ახლაც კი ერთის წამითაც არ აპირებს შეჩერებას, დასვენებას. არა! იგი ყოველთვის წინსვლაზე ფიქრობს, სულ მაღლა იყურება, და თუმცა უკვე მრავალი მწვერვალი დაიპყრო, მაინც თვლის, რომ მისი ცხოვრების ევერესტი (ჯომოლუნგმა) ჯერკიდევ წინ არის, ანუ – რომ ჯერაც დასაპყრობია მწვერვალი, ახალი, თანაც უმთავრესი მწვერვალი.

გამექცა სიტყვა.

დროა, რომ სტატია დავასრულო...

თბილისი. 2019 წლის 14 მაისი.

ნელი ქველაძე

უწერელი რაინდი

ვისაც ოდესმე ჰქონია ბედნიერება, ზემოდან, ერთხელ მაინც შეევლო თვალი ჩვენი სამშობლოსათვის, თვალნათლივ დაინახავდა ორ ზღვას შუა მოქცეულ სამოთხეს, რაც სამყაროს შემოქმედს უთვალავი ფერებით შეუმკია.

აქ, ამ მადლიან მიწაზე უხილავ ხელს ჩაუქარგავს ლურჯი მთა-გორები, მწვანე ტყეები, ჭრელ-ჭრელი მინდვრები, ვერცხლისფერი მდინარეები, ბროლის ჩანჩქერები და ლურჯი ტბები...

ეს საქართველოა... ძირძველი ისტორიული ხალხის "გეორგიანელთა" ქვეყანა, ღვთისგან ნაბოძები მიწა... ამ საუფლოშია მოქცეული: ქართლი – გული საქართველოსი, კახეთი – სისხლი ქართველთა, იმერეთი სულია, სამეგრელო გონია, მთიანეთი ჯიშია, აჭარა-აფხაზეთი მზიანეთია, გურია ვნებაა, სვანეთი ძლევამოსილებაა, ხოლო რაჭა-ლეჩხუმი(ძვ, თაკვერი) ნამდვილი ზღაპარია.

აი ეს ზღაპრული მხარე პირველად 80-იან წლებში ვიხილე, რაც აუცილებლობით იყო გამოწვეული. საქმე იმაშია, რომ მაშინ ჩემს გოგონას ქეთის "გარდატეხის" ასაკი ჰქონდა, ხანდახან ჭირვეულობდა და ხან კუჭს, ხან სხვა რამეეებსაც იტკივებდა. თბილისში არცერთი ცნობილი სპეციალისტი არ დამიტოვებია, თუმცა ნიშანდობლივად, საბედნიეროდ არცერთი სერიოზული დაავადება არ აღმოაჩნდა. მათ მირჩიეს: კარგი იქნება, თუ დროებით გარემოს შეუცვლითო. შემეძლო ბორჯომის ხეობაში წამეყვანა, მაგრამ მთელი ბავშვობა იქ ჰქონდა გატარებული და მისთვის უცხო გარემო ვერ იქნებოდა.

სწორედ ამ დროს, საგონებელში რომ ვიყავი ჩავარდნილი ჩემმა მეგობარმა რაჭველებმა, ბერიშვილებმა დამირეკეს და რაჭაში დაგვპატიჟეს: აქეთ ჩამობრძანდით, დაგეხმარებით და უწერის სანატორიუმში მოგაწყობთო.

ბევრი აღარ მიფიქრია, მოვკიდე ჩემს ქეთის ხელი და რაჭაში გავემგზავრეთ. ზემოთ აღნიშნულმა ოჯახმა დიდებული მასპინძლობა გაგვიწია. იმ ღამით იქ დავრჩით, მეორე დღეს კი უწერის გადატვირთულ სანატორიუმში ძლივს, ვაი-ვაგლახით მოვეწყეთ № 13 ოთახში. მაგრამ ამ თარსად აღიარებულ რიცხვს ვინ დაეძებდა? წარმოიდგინეთ და იღბლიანიც კი აღმოჩნდა ჩვენთვის...

ნამდვილ წალკოტში მოვხვდით: დილით რომ ფარდებს გადავწევდით, ჩვენს თვალწინ საოცარი სანახაობა იშლებოდა: ყვავილნარსა და ნაძვებში ჩაფლული ეზო, ხოლო წინ აღმართულიყო ზღაპრული ტყე, სადაც უწერის სამკურნალო წყალი მოჩუხჩუხებდა. დილაადრიან ლამაზი ბილიკით ავივლიდით ტყეში აღმართს და ფრინველთა გალობით დამტკბარნი სიამოვნებით ვაგემოვნებდით უკვდავების წყალს, შემდეგ კი ტყიდან ჩამოსულებს დიდ, ნათელ სასადილო ოთახში გვხვდებოდა ნოყიერი საუზმე, განთქმული რაჭული სამზარეულოს ნობათებით.

აქაური ბუნება არც მსოფლიოში განთქმულ შვეიცარიის ალპებს და არც პარიზის ცნობილ ბულონის ტყეს არ ჩამოუვარდებოდა. ხომ ამ ჯადოსნურმა ტყემ შთააგონა დიდ კომპოზიტორს შეექმნა უკვდავი "დიდი ვალსი". გავცქეროდი ამ წარმტაც არე-მარეს და ვფიქრობდი: ვინ იცის აქ რამდენი შემოქმედი ადამიანი შექმნიდა მეთქი სრა-ასპარეზს. და ასეც მოხდა (მაგრამ ამაზე მოგვიანებით). უნდა გამოგიტყდეთ, რომ გულისწყრომაც კი მიპყრობდა იმ ჩემს თანამემამულეთა მიმართ, რომლე-

ბიც ერთმანეთის წამხედურობით ზაფხულს საზღვარგარეთის კურორტებზე ატარებდნენ და ვერ ხვდებოდნენ რა განძზე ამბობდნენ უარს.

როგორც ზემოთ აღვნიშნე კორპუსი სავსე იყო დამსვენებლებით. საუკეთესო ნაკადი აღმოჩნდა. აქ იყვნენ ჩვენს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთაც ცნობილი მეცნიერები, მწერლები, პოეტები, საერთაშორისო პოლიტიკური მიმომხილველები, სოციალისტური შრომის გმირები, ჟურნალისტები. მაგ. ფანჯიკიძეებისა და გურამ დოჩანაშვილის ოჯახები, მიმომხილველი სოსო ცინცაძე და ჟურნალისტი მერაბ ბერაძე ოჯახებით. პოეტ მურმან ლებანიძის ოჯახის წევრები და ბატონი მურმანიც ხანდახან ჩამოდიოდა; მშობლიური რაჭის დიდი მოტრფიალე, ცნობილი ეთნოგრაფი ლევან ფრუიძე, რომელსაც აქ მომხდარმა ერთმა შემთხვევამ უბიძგა შეექმნა დიდი გამოკვლევა: "რატომ მიაქვს რაჭა წყალს". აქ ისვენებდა აგრეთვე წინამდებარე ნარკვევის მთავარი გმირიც, რომელიც ერთმა მოულოდნელმა შემთხვევამ გამაცნო...

სანატორიუმში საინტერესო კულტურული ცხოვრება სუფევდა. იყო დიდი კლუბი და წამმართველი კულტორგანიზატორი ბ-ნი ალექსანდრე ჟივიძე – ასაკოვანი, მაგრამ საოცრად ენერგიული, გამოცდილი და სიცოცხლით სავსე. აქ ხომ საუკეთესო გენოფონდი იყო თავმოყრილი და ბ-ნ ალექსანდრესაც ეს საუკეთესო ადამიანები ფართოდ ჰყავდა ჩართული სანატორუიმის სისხლსავსე ცხოვრებაში. აქ ყოველდღიურად იმართებოდა შინაარსიანი ლექცია-საუბრები, ეწყობოდა პოეზიის საღამოები, საბავშვო თეატრალური წარმოდგენები (წამყვანად ჩემი ქალიშვილიც იქნა მიწვეული). აქ ყველა კმაყოფილი იყო და ბედნიერად გრძნობდა თავს...

სანამ ჩემს ძვირფას მკითხველს იმ მოულოდნელი შემთხვევის შესახებ მოვუთხრობდე, მანამდე ერთ ამბავზე მინდა გავამახვილო ყურადღება: აქ ჩამოსვლამდე ხელში ჩამივარდა იმ დროინდელ საზოგადოებაში საკმაოდ გახმაურებულ ნოველათა კრებული "კაცნი", ავტორი ახალგაზრდა, მაგრამ უკვე საკმაოდ ცნობილი ქართველი მწერალი – რეზო მიშველაძე. ჯერ ბოლომდე წაკითხული არ მქონდა ეს წიგნი, მაგრამ შთაბეჭდილება იმდენად დიდი იყო, რომ მთელი არსებით ვიყავი მასში ჩაფლული. ალბათ იმიტომ, რომ ნოველების გმირები ხალხის წიაღიდან აღებული პერსონაჟები იყვნენ და ყურადღებას იპყრობდნენ თავიანთი ცხოვრებისეული ოცნებებითა, თუ მიზანდასახულობით, ჭირითა თუ ლხინით, ამტანობითა თუ გამტანობით, სიყვარულითა თუ კეთილშობილებით. მათი უმრავლესობა, რაც მთავარია სიკეთის კეთებისაკენ იყო მიმართული. პიკში აყვანილი სირთულეების დროსაც კი არ კარგავდნენ რწმენას, სიძნელეებს კაცურად აგვარებდნენ და თვითონაც ბოლომდე კაცებად რჩებოდნენ. მხიბლავდა მათი სიმამაცე, თითქოს ძალასაც მმატებდა. ამიტომ ამ წიგნს მუდამ თან დავატარებდი, განუყრელი მეგობარი შეიქმნა ჩემთვის და რაჭაშიც თან წამოვიღე. როგორც კი თავისუფალ დროს ვიპოვნიდი, ჩავიდოდი სანატორიუმის ეზოში და სულმოუთქმელად ვკითხულობდი...

იმ დღესაც წიგნით ხელში ეზოში მერხზე ვიჯექი, წიგნი მუხლებზე მედო და ჩემს ახლადშეძენილ მეგობრებსაც შთაბეჭდილებას ვუზიარებდი. უცებ წვიმის მსხვილი წვეთები ჩამოიფრქვა ციდან; ავიხედე, მზე კვლავ ანათებდა და გავიფიქრე: ალბათ "მზე პორს იბანს" მეთქი. ისმოდა ბავშვთა მხიარული ჟივილ-ხივილი. საღამო თბილი იყო, ნიავიც სახეზე სასიამოვნოდ გველამუნებოდა... წიგნის კითხვაში ჩაფლულმა, გვიან შევნიშნე ნიავი შეუმჩნევლად როგორ გადაიზარდა ქარში, ამას ჩემი წიგნის ფურცლების შრიალზე მივხვდი. უცებ შავმა ღრუბელმა ცა დაფარა, მზეც გაუჩინარდა და საკმაოდ ჩამობნელდა. ძლიერმა ჭექა-ქუხილმა მიდამო შეაზანზარა, ქარმა კი, რომელიც თანდათან ძლიერდებოდა ფოთლები, ნიწვები და გირჩები თავზე გადმოგვაყარა. უცებ წამოვიდა ძლიერი თავსხმა წვიმა. მაშინ კი წამოვცვივდით და სირბილით შენობას თავი შევაფარეთ. ფანჯრებიდან ვუყურებდით გრიგალი როგორ ატრიალებდა მოგლეჯილ ხის ტოტებს და სხვადასხვა მოტაცებულ ნივთებს. ისმოდა ლაწუნის ხმა, ქარის ღმუილი, წვიმის ჩქაფუნი – ვეებერთელა ტბორებს რომ აყენებდა.

მთელი ღამის განმავლობაში კოკისპირულად წვიმდა, ჭექა-ქუხილი არ წყდებოდა, გრიგალი ყველაფერს გლეჯდა, შუქი გაითიშა. თითქოს სამყაროს აღსასრული დამდგარიყო. ბნელში დარჩენილებმა მთელი ღამე თეთრად გავათენეთ, ჩემი წიგნი გულში მქონდა ჩაკრული, თითქოს შველას მისგან ველოდი და შემდგომში ასეც მოხდა.

განთიადისას წვიმამ იკლო, აღარ ელავდა, ჭექა-ქუხილი შეწყდა, ქარიც ისე აღარ ღმუოდა და ბოლოს დაწყნარდა კიდეც. მალე გამოიდარა, მზემაც კი გამოანათა და გაგვიცინა, თითქოს არაფერი არ მომხდარიყო... მაგრამ გადავიხედეთ და გაპარტახებული ეზო დაგვიდგა თვალწინ. სკვერები გადაფარული იყო დალეწილი ტოტებით, რამდენიმე ხეც ძირფესვიანად იყო ამოგლეჯილი, მათ შორის

ჩემი საყვარელი ქოჩორა ნაძვის ხეც. ჩავედი ეზოში და მის ფესვებს მოვეფერე, ხელის გულს ვუსვამდი, მეგონა გავაცოცხლებდი...

სასტუმროს პერსონალი უკვე შესდგომოდა ეზოს დასუფთავებას და ჩვენც ვეხმარებოდით. მოვიდა არასასიამოვნო ინფორმაცია, რომ ქარიშხალმა ჩვენს ირგვლივ ბევრი რამ დააზიანა, მათ შორის სოფელ უწერაშიცო. და რაც ყველაზე შემაშფოთებელი იყო სანატორიუმი მოწყდა სამყაროს, რადგან ყველა დამაკავშირებელი გზა, საცალფეხო ბილიკებიც კი წალეკილი და დანგრეული იყო. და რამაც ყველაზე უფრო მეტად დააბნია და შეაწუხა დამსვენებლები იყო ის, რომ სერიოზულად იყო დაზიანებული საავტომობილო გზა. ისინი ხომ თავიანთ ოჯახებთან ერთად საკუთარი მსუბუქი მანქანებით იყვნენ ჩამოსულნი და მთებში ჩარჩენისა სერიოზულად ეშინოდათ. ეზოს შემოსასვლელისაკენ გავიხედე და დავინახე დამსვენებელ მამაკაცთა დიდი ჯგუფი, რომელიც ერთ მამაკაცს შემოხვეოდა და თავის ჭირ-ვარამს უზიარებდა.

ისინი ისეთი აღელვებულნი იყვნენ, რომ მათი ხმამაღალი ლაპარაკი კარგად ისმოდა:

– თუ აქ ჩავიკეტეთ, რა მეშველება? მამაჩემის წლისთავი მაქვს გადასახდელიო – ამბობდა ერთი, თითქმის ცრემლებამდე მისული მამაკაცი.

– მე ქალიშვილს ვათხოვებ და ქორწილიც დანიშნული მაქვს და რომ ჩამეშალოს თავი მომეჭრებაო (თავისი ქალიშვილი აქ ჰყავდა ჩამოყვანილი, მშვენიერი ელისო)! – თითქმის ყვიროდა მეორე:

– ჩავიდოდი თუ არა მივლინებით მოსკოვში მივფრინავდი, თუ ასე გაგრძელდა მოსკოვი კი არა, თბილისამდეც ვერ ჩავაღწევო, – დაუმატა მესამემ ასე გაუთავებლად შესჩიოდნენ იმ ახალგაზრდა კაცს, რომელიც წრის შუაგულში ჩაეყენებინათ.

მოხდენილი სწორი აღნაგობისა იყო ის ახალგაზრდა, ნათელი და სანდომიანი იერ-სახით. თაფლისფერი შუქიანი თვალები თაფლის წმინდა სანთელივით უციმციმებდა. ფართოდ გაშლილი მაღალი შუბლი კი მის კეთილშობილებაზე და მაღალ ინტელექტზე მიანიშნებდა.

გავიფიქრე, ალბათ ეს ახალგაზრდა კაცი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელია და ალბათ ჩვენს დასახმარებლად მოვიდა მეთქი.

ის კი, მშვიდად და მოთმინებით უსმენდა შეწუხებულ მამაკაცებს. და როდესაც მათ გული მოიოხეს და დაძაბულობაც ცოტა განელდა, გაისმა მისი წყნარი, მაგრამ მტკიცე ხმაც:

– აბა რა გითხრათ, მეგობრებო, მეც ასეთ გაურკვეველ სიტუაციაში დიდი ხანია არ ვყოფილვარ, მაგრამ არც გულგატეხილობა გვმართებს, გულხელდაკრეფილნი ვერ ვიქნებით. ჩვენ კაცნი ვართ და ნამდვილი კაცი კი გამოსავალს ყველაზე რთულ სიტუაციაშიც იპოვნისო.

მისმა ასე მტკიცედ ნათქვამმა გაცხარებული მამაკაცები თითქოს თანდათან დააწყნარა, ხმაურს უკლეს და ყურადრებით უსმენდნენ მას, რომელიც რაღაცას სთავაზობდა მათ, მაგრამ თუ რას, ბავშვები მოგროვდნენ და მათ ჟივილ-ხივილში აღარაფერი მესმოდა.

თუმცა ვამჩნევდი, რომ რაღაცაზე ბჭობდნენ; გამოსავალი კი აუცილებლად იყო მოსაძებნი, რადგან ხმა დაირხა: სანატორიუმის ადმინისტრაციაც შეშფოთებულია, ვაითუ პროდუქტებიც აღარ გვეყოს და ამდენი ადამიანი, მათ შორის ბავშვებიც მშიერი დაგვრჩებაო.

ერთი სიტყვით სიტუაცია რთული და საშიში იყო. ამიტომ მამაკაცები იმ ახალგაზრდა მამაკაცთან დიდხანს და საქმიანად ბჭობდნენ. ჩანდა, რომ რაღაცაზე შეთანხმდნენ, რაღაც გადაწყვიტეს და თუ რა, ეს ჩემთვის მხოლოდ მეორე დღეს გახდა ცხადი.

სისხამ დილით ეზოში გადავიხედე და ასეთი სურათი დავინახე: იმ ახალგაზრდა კაცს, ჩემი ვარაუდით, რაიკომის ან აღმასკომის მუშაკს, მწკრივში ჩაეყენებინა დამსვენებელი მამაკაცები და როგორც ჩანს მათგან სამუშაო რაზმი შეექმნა. ისინი სამუშაო ტანსაცმელში გამოწყობილნი, ხელში ბარებით, თოხებით, ე.წ. ლაფატკებითა და კირკებით, რკინის ლომებით, მოხალისე მუშებს ჰგავდნენ და ასეც იყო. მათ წინამძღოლს კი ხელში მოზრდილი "ლაფატკა" ეჭირა და მათ წინ მიუძღოდა.

გულში სითბო ჩამეღვარა იმ ახალგაზრდა მამაკაცის მიმართ და სიმპათია გამიჩნდა. ჩანს, რომ მან მოახერხა დაერწმუნებინა ისინი, რათა თავიანთი პრობლემები თავად მოეგვარებინათ და სხვის იმედად არ დარჩენილიყვნენ.

ეს სურათი ყოველ დილით მეორდებოდა: საღამოობით კი, მართალია დაღლილნი ბრუნდებოდნენ, მაგრამ ამაყნი და თავაწეულნი, მზედაკრული ხალისიანი სახეებით. მათ უანგარო შრომას სასურველი შედეგი მოჰყვა. ჯერ მინერალურ წყლამდე ასასვლელი ბილიკი აღადგინეს, შემდეგ კი ყველა სასეირნო საცალფეხო გზებიც. მათ სოფლის ახალგაზრდობაც გვერდით დაუდგა და ნამდვილი შრომითი მართონი გაიმართა.

მალე საავტომობილო გზაც აღდგა, სანერვიულო არაფერი იყო და სანატორიუმის ცხოვრება ჩვეულ რიტმში ჩადგა. იქაურ კლუბში საზეიმო მიღება გაიმართა და მადლიერმა დამსვენებლებმა ყველას სათითაოდ მადლობა მიუძღვნეს იმ დიდი სიკეთისათვის, რისი გაკეთებაც მათ ამ მოკლე დროში შეძლეს. მათ ხელმძღვანელს კი გულში უკვე რაიკომის ინსტრუქტორად როდი მოვიხსენებდი მას რაინდი შევარქვი, "უწერელი რაინდი". ძალიან მსურდა გამეგო მას რა ერქვა და ან რა გვარი იყო და ერთ დამსვენებელ ქალს ვკითხე კიდეც. მან კი გაკვირვებულმა შემომხედა და გაღიზიანებულმა მომიგო: – კი, მაგრამ, ქალბატონო, დამცინით ალბათ, რაც აქ ჩამოხვედით ეგ წიგნი ხელიდან არ გაგიშვიათ და მის ავტორს როგორ არ იცნობთო?

მოულოდნელობისაგან გავშრი, ძალიან შემრცხვა, ჩემ თავს გულში ვკიცხავდი, რატომ ადრე არ ვიკითხე მეთქი, თან თავს ვიმართლებდი, მე ხომ იგი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი მეგონა მეთქი.

აი, ასე შევხვდი ქართველი ხალხის ღირსეულ შვილს ბ-ნ რეზო მიშველაძეს. მასთან მისვლა მომერიდა და შორიდან ვადევნებდი თვალს მის შემდგომ ქმედებებს. ვხედავდი, რომ ახლა უკვე სპორტულ ფორმაში ჩაცმული, როგორ მიუძღოდა წინ უკვე ტურისტებად გადაქცეულ "გზის შემკეთებელ მუშებს" რაჭის ღირსშესანიშნაობათა სანახავად. ეწყობოდა ტურისტული გასვლები და ლაშქრობები. ექსკურსიის მონაწილეები შეჰყურებდნენ რაჭის ხელთუქმნელ ძეგლებს და გულში სასოებით იმეორებდნენ დიდი გალაქტიონის უკვდავ სტრიქონებს: "რა ხელმა აზიდა ტაძარი ნიკორწმინდა".

მოლაშქრენი უწერელმა რაინდმა უფრო შორსაც წაიყვანა და დიდ წინაპართა ნაკვალევზე დააყენა მამისონის უღელტეხილზე, ასევე უხსნიდა მათ, რომ ამ გზით ჩრდილოეთისაკენ 1724 წელს თავისი ამალით გადავიდა ქართული კულტურის უდიდესი მოღვაწე ვახტანგVI. ბედკრული მეფე საქართველოში ვეღარ დაბრუნდა, რუსეთში გარდაიცვალა და დაკრძალულია ასტრახანის მიძინების ტაძარში, მის გვერდით კი განისვენებს რუსეთისაგან მოტყუებული მეორე ქართველი მეფე თეიმურაზ II. ისინი სიძე-სიმამრნი იყვნენ.

უწერის სეზონი დასასრულს უახლოვდებოდა, ამიტომ მათ ზედიზედ მოაწყეს ექსკურსია-ლაშქრობანი რაჭის მეორე წარმტაც კურორტ შოვში, ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, ასევე რაჭის დიდ არქეოლოგიურ გათხრებში, რომელსაც ცნობილი მეცნიერი, აკადემიკოსი ოთარ ჯაფარიძე ხელმძღვანელობდა. მიუხედავად ზემოთ აღწერილი დაბრკოლებებისა და პრობლემებისა, ყველა ბედნიერად გრძნობდა თავს და ჩანდა, რომ აქედან წასვლა არავის ეჩქარებოდა.

არა მარტო დამსვენებელ მამაკაცებს, არამედ ყველა სათითაოდ დარწმუნდა იმაში, რომ შენი თავის რწმენა უნდა გაგაჩნდეს, თუ საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნდები მეტი ძალა მოგეცემა და უფრო მეტ სიკეთესაც გააკეთებ. ეს რწმენა კი იმ მადლიანი ადამიანისგან "უწერელი გმირისგან" წამოვიდა. ჩემმა გოგონამაც ირწმუნა, რომ სანერვიულო და საჭირვეულო არაფერი ჰქონდა და საბოლოოდ განიკურნა. რაც შემეხება მე, სამუდამოდ დაავადებული ვარ ერთი კეთილი სენით, რომ აღვწერო ყველა იმ ადამიანის სასიკეთო საქმეები, რასაც მამულისა და მამულიშვილებისათვის აკეთებენ, არაფერს არ იშურებენ მათ საკეთილდღეოდ, და ყველაფერი მიაქვთ მამულის სამსხვერპლოზე.

ჭეშმარიტად ასეთი ადამიანია ამ ჩემი მოკრძალებული ნაშრომის მთავარი გმირი, ის "უწერელი რაინდი", ყველასათვის საყვარელი და ძვირფასი, ქართველ შემოქმედთა თავკაცი, ქართული მწიგნობრობის პატრიარქი ბ-ნი რევაზ მიშველაძე. მე მხოლოდ მისი მრავალმხრივი მოღვაწეობის ერთი მცირე ეპიზოდი აღვწერე, შემოგთავაზეთ, რაც ჩემი თვალით ნანახი და მოსმენილი მაქვს. ვინ იცის კიდევ ასეთი და კიდევ უფრო უკეთესი სახელოვანი ეპიზოდებისაგან შედგება მის მიერ განვლილი ურთულესი, მაგრამ ულამაზესი ცხოვრება. ამ ეპიზოდების აღწერა და გამომზეურება ჩემს ძალებს აღემატება, ამისათვის გამოჩნდებიან ისინი, ვისაც ჩემზე მეტად უჭრის კალამი.

ოჯახური ურთიერთობები

ირინა ბალავაძე

მოკლე ბიორგანფია

ბიოგრაფიის ავტორი ვარ ირინე ბალავაძე. დავიბადე საქართველოს პატარა, ულამაზეს ქალაქში ქუთაისში, რომელსაც განუმეორებელს ხდის ბაგრატი და რიონის თეთრი ქვები.

ვსწავლობდი და დავამთავრე ქუთაისის მ. ბალანჩივაძის სახ. მუსიკალური ტექნიკუმი (ფორტეპიანო). სწავლა განვაგრძე ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში. 2 წლის შემდეგ დაქორწინებასთან დაკავშირებით გადავედი თბილისის მაშინდელ პუკშინის სახ.პედ. ინსტიტუტში.

თბილისში ვიცხოვრე 14 წელი. 1995 წელს საცხოვრებლად გადავედი მოსკოვში. ეხლა ცხოვრება მიწევს 3 ადგილზე მოსკოვში, თბილისში და ხონის რაიონ სოფ. ქუტირში. აქ ცხოვრობდნენ ჩემი მეუღლის ზაურ ბალავაძის წინაპრები.

ჩემი ოცნება იყო მქონოდა ლამაზი ყვავილების ბაღი. სადაც ყველას მოეწონებოდა ყოფნა. კარმიდამოს მოწესრიგებაში ოჯახის ყველა წევრი ვიღებთ მონაწილეობას. ჩვენი პატარა მიწაწყალი თითოეულ ჩვენგანს.გვაძლევს სტიმულს და გვახარებს.

მე მყავს ორი სათაყვანებელი შვილი, მეუღლე, ბაღი და ჩვენი საუკეთეო მეგობარი ამერიკული აკიტა, ტორი. ჩვენი ტორი ძალიან კეთილი, ჭკვიანი და საყვარელია. სიყვარულის და ემოციების მთელ ფანტანს აფრქვევს. მასაც უვარს ყვავილები, ისეთი სინაზით აუვლის გვერდს თითოეულ მათგანს, რომ გაგიკვირდებათ.

ჩვენ ყველას გვიყვარ სტუმრები. მე ხონს კარგად არ ვიცნობდი და გაოცებული ვარ რამდენი ინტელექტუალური და ერუდირებული პიროვნება გავიცანი, მაგრამ ქალბატონი გულიადა ეს ცალკე თემაა. ქალბატონი, რომელიც სამყაროს ცენტრში დგას და ყველაფერს ასწრებს. შემოქმედების ასეთი მრავალმხრივობა მე ჯერ არ მინახავს. წინააღმდეგობების მიუხედავად ის საოცარი წარმატებით აგრძელებს თავის შემოქმედებით საქმიანობას ცხოვრებისეულ ყველა ასპექტში. არავინ არ ავიწყდება და ყველას უწვდის დახმარების ხელს.

აი ხომ ხედავთ როგორ შეიძლება მოიწყინო ასეთ პიროვნებებთან. დაკავებული ვარ საზოგადოებრივი საქმიანობით. ჩემი უდიდესი მისწრაფება გახლავთ ყველა ქალი იყოს სულიერად და ფიზიკურად ჯანმრთელი და ბედნიერი. ჩამოვაყალიბე ქალთა ორგანიზაცია „ბედნიერი ქალები“ ხონის გამგეობის დახმარებით.

ჩვენი მიზანია დავეხმაროთ მაღალმთიან სოფლებში მცხოვრებ ქალებს და ხონი გადავაქციოთ ევროპულ ქალაქად.

თუ რამეს ვწერ და ვაკეთებ. ისევ და ისევ ქალებისათვის, რომ გავიადვილოთ ცხოვრება, რომ ახლებურად შევხედოთ ცხოვრებას და მოვიცილოთ მოძველებული სტერეოტიპები.

მე ჩემს მოკრძალებულ შრომას საყოფაცხოვრებო ფსიქოლოგიას ვუწოდებ, რადგანაც ვფიქრობ, რომ ეს ჩვენ ყოველდღიურ ცხოვრებაში გვჭირდება.

ჩვენი პერიოდის ქალებს, დაძაბულ ისტორიული კატაკლიზმების პერიოდში მოგვიწია ცხოვრება. ვიბრძოდით თავისუფლებისთვის და ეს არც ისე ადვილი აღმოჩნდა. გაგვიჭირდა ყველას. განსაკუთრებით ქალებს. ყველაფერმა ჩვენს მხრებზე გადაიარა. მიუხედავად ამისა ვთვლი, რომ ცხოვრება ეხლა იწყება. მთავარია იყოს მშვიდობა, მშვიდობა და კიდევ ერთხელ მშვიდობა. ცხოვრების ენერგიას ვიღებ ჩემს ყვავილებთან ურთიერთობით. და ყველას, ყველა ქალბატონს მოვუწოდებ, ყოველი დილა ყვავილებთან ურთიერთობით დაიწყოს.

და ყველას ვუსურვებ იყოს ყვავილებივით ლამაზები.

1
შევიმსუბუქოთ ცხოვრება ზედმეტი დაძაბულობისგან

დავიწყოთ იქიდან, თუ რა გვაძლევს ცხოვრებაში სტიმულსა და ენერგიეს. ყველა-ათვის ცნობილია, რომ დაქორწინებამდე ვიძენთ პროფესიას, რამდენადაც შეგვიძლია ვცდილობთ ჩამოვყალიბდეთ, როგორც პიროვნება, პიროვნებად ჩამოყალიბება კი გრძელდება მთელი ცხოვრების მანძილზე. დაქორწინების შემდეგ კი მთავარი ჩვენი სა-თაყვანებელი შვილები და ოჯახია. არ დაგვავიწყდეს რომ პიროვნული განვითარება უფ-რო ეფექტურად ოჯახის შექმნის დროს გრძელდება. სწორედ ოჯახი უწყობს ხელს ჩვენს შემდგომ ჩამოყალიბებას, ამიტომ ძალიან სერიოზულად და გააზრებულად უნდა მივი-ღოთ იგი: როგორრც ყველაზე ძვირფასი, ყველაზე საინტერესო და სათაყვანებელი, ასე ვთქვათ, პირადი თემი. მივიღოთ ოჯახი როგორც პოეზია და არა, როგორც პროზა. პროზა – ეს ძალიან კარგია – ლოგიკურად მსჯელობა, ანგარიში, მაგრამ ცხოვრებაში, იქ, სადაც მხოლოდ ლოგიკა და ანგარიშია, იქ არ არის დღესასწაული, არ არის სინათლე, სიხარული და მოსაწყენია ცხოვრება.

იქ, სადაც პოეზიაა, ცხოვრობ ნამდვილად. სიყვარული – პოეზიაა. მე იმის თქმა მინდა, რომ დიდ სიყვარულზე დაფუძნებული ოჯახი – ეს ნამდვილი დღესასწაულია და არავის მისცეთ უფლება, ეს დღესასწაული გააუფერულოს! ამასთან, ყოველგვარი დავი-დარაბის გარეშე, ჩუმად და უხმაუროდ განერიდეთ ყველა ხელისშემშლელს, ასეთები კი, საოცარია, მაგრამ, სამწუხაროდ, ბლომად გამოჩნდებიან...

ყველა ჩვენთაგანისთვის ოჯახი არის ყველა კარგი წამოწყების მხარდამჭერი. ოჯა-ხიდან გამომდინარე შეგვიძლია გავუგოთ საკუთარ თავსაც. კარგი ოჯახი ეწყობა იმ შემ-თხვევაში, თუ მისთვის დავხარჯავთ დროს, ენერგიას და ძალას. შევხედოთ ყველაფერს ახლებურად, გავაკეთოთ აღმოჩენები, ვეძიოთ სიახლეები, ერთმანეთის მიმართ ვიყოთ უაღრესად გულახდილები, გავხდეთ უფრო დამთმობები, კეთილშობილები, ადამიანურები – ოჯახი ხომ ჩვენი ძალების საბადო, მხარდამჭერი, ფუნდამენტი და ყველა იმ სიკეთის წყაროა, რასაც ვქმნით და რასაც ვაღწევთ.

აუცილებელია ვიცოდეთ, რომ ოჯახი მოითხოვს აზრიან შრომას, ის ისეთივე სამსა-ხური და სამუშაოა, როგორიც სხვა დანარჩენი. ის ისეთივე ორგანიზაცია და სტრუქტუ-რაა, როგორიც დანარჩენი კომპანიები და როგორც ამ კომპანიებს სჭირდებათ ხელ-მძღვანელი და ლიდერი, ასევე სჭირდება ოჯახს ჭკვიანი ლიდერი. ნამდვილი ლიდერი კი ოჯახში გახლავთ სიკეთე, კეთილდღეობა და ღირებულებები. და სწორედ ჩვენ, ქალებმა უნდა შევიტანოთ საკუთარ ოჯახებში სინათლე და სიკეთე დიდი გაგებით. მივცეთ სტი-მული და ენერგია ჩვენს მეუღლეებს, სინათლე და მიმართულება ჩვენს შვილებს. ოჯახში თავი ყველამ უნდა იგრძნოს კომფორტულად და ყველას უნდა გადავდოთ ის ენთუზიაზ-მი, რომელიც მოგვიწოდებს მაღალი, ლამაზი მიზნებისკენ. სწორედ მაშინ შვძლებთ ჩვენ საკუთარი პოტენციალის რეალიზებას. ოჯახის ყოველი წევრი უნდა ვიყოთ პასუხისმგე-ბელი ჩვენს გადადგმულ თითოეულ ნაბიჯზე. პასუხისმგებლობა კი ქმნის სიახლეებს და საინტერესო ცხოვრებას. სიკეთეზე დამყარებული საქმიანობა ქმნის ყველას სასიკეთო გარდაქმნას და ამის შემდეგ, გპირდებით, მთელი ოჯახი გამოყვება თქვენს მიერ გაკვა-ლულ ბილიკს. ოჯახით ვიწყებ, რადგან ჩვენ ხომ ოჯახებში ვიბადებით, ოჯახი გვაძლევს იმ აუცილებელ ღირებულებებს, რომლებსაც შემდეგ ვიყენებთ ცხოვრებაში ახალი ოჯა-ხის შესაქმნელად – ჩვენ ხომ ჯერ პატარა, მომავალში კი დიდი ბავშვები ვართ.

პატარებს სჯერათ მშობლების. როგორადაც არ უნდა მოიქცეთ თქვენ, კარგი იქნე-ბა ეს თუ ცუდი, მათ სჯერათ, რომ თქვენ სწორად იქცევით, ჩვენ მათი მაგალითები ვართ. ბავშვები, როგორც ღრუბლები, ისე ისრუტავენ ყველა ჩვენს მოქმედებას, შეხედუ-

ლებებსა და ღირებულებებს. ისინი არა მარტო აკვირდებიან, არამედ იმახსოვრებენ კიდეც ჩვენს მიერ გადადგმულ ნაბიჯებს.

პირველი ძვირფასი საჩუქარი, რაც შეიძლება ვაჩუქოთ ჩვენს შვილებს, ეს გახლავთ დრო; მეორე ძვირადღირებული საჩუქარი გახლავთ ჩვენი დადებითი მაგალითი; მესამე ძვირფასი საჩუქარი კი გახლავთ, მივაჩვიოთ და რა თქმა უნდა, ძლიერ შევაყვაროთ წიგნის კითხვა. თავდაპირველად ჩვენ წავუკითხოთ, ქართული ზღაპრები ხომ უძვირფასესი საგანძურია ჩვენი ქართული ლიტერატურის, ხოლო შემდეგ დაკვირვებით შევურჩიოთ ჭკვიანი წიგნები (ამ წიგნებზე მომდევნო თავებში გვექნება საუბარი), რომლებიც დაეხმარებიან სამყაროსა და სიბრძნის შეცნობაში.

ურთიერთობა ბავშვებთან და არა მარტო ბავშვებთან აუცილებელია, რადგან არავის გვყოფნის დრო ნორმალური ადამიანური ურთიერთობებისთვის. გავუფრთხილდეთ ერთმანეთს და გავუფრთხილდეთ ჩვენს შვილებს, დავუთმოთ მათთან ჯანსაღ ურთიერთობებს დრო, აღვზარდოთ ისინი ჩვენ თავად! ნუ დავუთმობთ მათ აღზრდას უცხო, დაქირავებულ, არაპროფესიონალ ადამიანებს – ჩვენს შვილებზე ძვირფასი ხომ არც არავინ არის და ვერც ვერავინ იქნება მომავალში. დროებით გვერდზე გადავდოთ ჩვენი ამბიციები, სამსახური, კარიერა, ოღონდ დროებით, რადგან როცა ისინი წამოიზრდებიან, ჩვენ უამრავი დრო გვექნება საკუთარი მიზნების განსახორციელებლად. ჯერ-ჯერობით კი, კიდევ ერთხელ გავიზარდოთ მათთან ერთად, განა ყველაფრის სწავლა მოვასწარით? ვისწვლოთ კიდევ ერთხელ მათთან ერთად და მათგანაც ვისწავლოთ ბევრი რამ, ისინი ხომ ჩვენზე ჭკვიანები იბადებიან. ვაჩუქო მათ ბევრი სიყვარული და მერწმუნეთ, არ გვეყოლება ამდენი განერვიულებული, გაღიზიანებული და დაუკმაყოფილებელი ბავშვი. აღვზარდოთ ისინი კეთილი თვისებების მქონე ადამიანებად. რასაც კარგს შევაჩვევთ ბავშვობიდან, სწორედ ის გაჰყვებათ მთელი ცხოვრება. აუცილებლად წავუკითხოთ ყოველ დღე, მინიმუმ ხუთი წუთიც რომ იყოს. ვეცადოთ, ერთ დღესაც ნუ გამოტოვებთ კითხვის გარეშე და წიგნი გახდება მათი საუკეთესო მეგობრი, ეს კი ძალიან ბევრს ნიშნავს. დიახ, ბავშვის აღზრდის პერიოდი არ არის ადვილი, ამიტომ მობილიზება გავუკეთოთ საკუთარ თავს და განვეწყოთ ამისათვის როგორც ფიზიკურად, ასევე სულიერად.

ჩვენს დღევანდელ ცხოვრებაში ბევრი მშობელი ცხოვრობს მიზნის გარეშე. ისინი, უბრალოდ, მიყვებიან ცხოვრების დინებას, იმის მაგივრად, რომ თავად მართონ საკუთარი ცხოვრება. ისინი ფიქრობენ, რომ თავისთავად მოწესრიგდება ყველაფეირ... მათ სჯერათ, რომ ბავშვები თვითონ გაიზრდებიან და ჩამოყალიბდებიან ღირსეულ ადამიანებად... ღმერთმა გაუზარდოთ შვილები და აუსრულოთ ეს ფიქრი, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ გახლავთ, მათ აუცილებლად სჭირდებათ სწორი გზის მაჩვენებლები. დატოვოთ ბავშვი ყურადღების გარეშე, ეს იგივეა, ითამაშო რუსული „რულეტკა“, ეს კი ძალიან საშიშია. რუსული „რულეტკის“ დროს პისტოლეტში ჩადებულია მხოლოდ ერთი ტყვია, რომელიც არ იცი, სად იმყოფება და რა დროს გაისვრის...

2
ტრადიციებზე დაყრდნობილი ოჯახის ყოველდღიურობა

ვეცადოთ, ოჯახის ყოველდღიურობა ჩამოვაყალიბოთ ტრადიციების მიხედვით, ტრადიციები კი, შესაძლოა, იყოს საერთო ეროვნული, ან საკუთრივ ოჯახის. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ბავშვებისათვის, არამედ ჩვენთვისაც. რიტუალები და ტრადიციები ჩვენ და ჩვენს ოჯახებს აძლევს თვითმყოფადობას. ყველა აქ მოცემული მეთოდი, პირველ რიგში, გვეხმარება ჩვენ, შემდგომ კი თავად უნდა შევიტანოთ და დავნერგოთ ჩვენი შვილების ცხოვრებაში. როცა ჩვენ ვიქნებით მობილიზებულნი და განწყო-

ბილნი ყოველგვარი დადებითის მიმართ, შემდგომში ეს ყველაფერი ავტომატურად გადაეცემა ჩვენს შვილებს. ასე რომ, პირველი სასარგებლო ტრადიცია, რომელიც უკავშირდება წიგნის კითხვას, ჩვენ უკვე ვიცით.

მეორე, ეს გახლავთ სიმშვიდე და მშვიდობა საკუთარ არსებობაში და ჩვენს გარშემო, ჩვენს ოჯახებში. შევქმნათ ჩვენს სახლებში ისეთი პირობები, სადაც გამეფებული იქნება წყნარი ატმოსფერო, მყუდროება და სულიერი სიმშვიდე. ვიზრუნოთ იმაზე, რომ სახლი იყოს ნამდვილი თავშესაფარი იმ მკაცრი რეალობის მიუხედავად, რომელშიც ჩვენ გვიწევს ცხოვრება. ამისათვის აუცილებელია შევიცვალოთ შეხედულებები ბევრი რამის მიმართ, უპირველესად კი იმის მიმართ, რომ თავად ვიყოჲ პოზიტიური ადამიანები, შემდეგ კი ჩვენივე გამოცდილებით დავეხმაროთ საკუთარ პატარებს, ჩვენი კვალიფიციური დახმარების გარეშე ხომ მათ აუცილებლად გაუჭირდებათ. ამასთან ერთად, გვახსოვდეს, რომ ისინი უნდა დავიცვათ ჩვენგანაც! დიახ, ჩვენგან!.. ნუ ვიქნებით ძალიან მკაცრები და მომთხოვნები. ჩვენ მხოლოდ დიდი სიფრთხილით ვუჩვენოთ გზები და შევუქმნათ პირობები, ჰქონდეთ მათ სწორი არჩევანის საშუალება!

ყველაფერი დავიწყოთ საკუთარი თავიდან. ყველაზე მომთხოვნები ვიყოთ საკუთარი თავის და არა სხვის მიმართ. მშვიდი სულიერი გარემო, პირველ რიგში, საკუთარ პიროვნებაში შევქმნათ და შემდეგ ის თავისთავად, ავტომატურად დამკვიდრდება ჩვენს სახლებში. სულიერი სიმშვიდის დადებითი აურა გადაედება ჩვენი ოჯახის ყველა წევრს, ჰარმონიული ურთიერთობები კი ფუნდამენტია წყნარი, გაწონასწორებული ცხოვრებისა. დაე, ჩვენი სახლები იყოს წყნარი თავშესაფარი სამყაროს სუეტისაგან. ხოლო, რაც შეეხება ფიზიკურ სახლს, სახლი უნდა გვიყვარდეს და ვაფასებდეთ. ის მუდამ სუფთა და განივებული უნდა იყოს და აუცილებლად ყვავილებით სავსე, რადგანაც, სადაც ყვავილებია, სწორედ იქ სუფევს სიმყუდროვე და სიმშვიდე. ყვავილები ავსებს სახლს ნათელი ფერებით და ცხოვრებისეული ენერგიით. ყვავილებია სიმბოლო ყველაზე საუკეთესოსი და გვახსენებს ცხოვრებისეული ყოფის უბრალო სიამოვნებას. ისინი ჩაუნერგავენ ბავშვებს, რომ ბუნება ძლიერი, თავისუფალი და კეთილმოსურნე ძალაა. ყვავილები შეიძლება იყოს როგორც ქოთნის, ასევე დაკრეფილი და ლამაზად შეკრული თაიგული, თუმცა ყველა ერთნაირად სასიამოვნოა.

ტელევიზორთან ჯდომა შევცვალოთ ბუნებაში გასეირნებით და სუფთა ჰაერზე თამაშით. ბუნება ამაგრებს და აძლიერებს, პირველ რიგში, ბუნებასთან ურთიერთობასა შემდეგ, ჯანმრთელობას. ის დადებითად მოქმედებს როგორც ჩვენი, ასევე ბავშვის შემოქმედებით ფანტაზიაზე და განავითარებს მსუბუქ გრძნობას სილამაზის შეგრძნებისა. ჩვენი აზროვნება და ცნობიერება საოცრად დაუჯერებლი ფენომენია. ხანდახან ისეთ რაიმეს მოვიმოქმედებთ, გვიკვირს კიდეც: ნუთუ, ეს ჩვენ გავაკეთეთ... მოკლედ რომ ვთქვათ, ვინც სუფთა ჰაერს სუნთქავს, კარგადაც აზროვნებს და კარგადაც ცხოვრობს.

ვეცადოთ, რაც შეიძლება უკეთესად გავაკეთილშობილოთ და შევცვალოთ ოჯახური გარემო, განვავითაროთ სილამაზის ნატიფი შეგრძნება, რომ ჩვენი სახლი გახდეს სულიერების ნათელი ოაზისი და ის ატმოსფერო, სადაც ჩვენს შვილებს მოეწონებათ ცხოვრება, სწავლა და დასვენება, ჩვენს ახლობლებს კი მოეწონებათ სტუმრობა და ჩვენთან მოსვლა.

ძალიან, ძალიან სასიამოვნოა მრავალი ყვავილი, სუფთა ჰაერი, ბევრი მზის სხივი, რომელიც ათბობს სულს და მიმზიდველს ხდის ყოველგვარ ინტერიერს. ყოველი დილის გათენებას შევხვდეთ გამარჯვებული ადამიანის ღიმილით, ჩვენ უკვე გაგვიმართლა, როცა მოვევლინეთ ამ ქვეყანას. ამიტომ, უდიდესი მადლიერების გრძნობით შევეგებოთ მზის ყველ ამოსვლას და უდიდესი მადლიერების გრძნობით მივიღოთ მზისგან მოწოდებული ენერგია.

სახლის ატმოსფეროს სიმშვიდე დამოკიდებულია ჩვენს ემოციებზე, ჩვენს გუნებაგანწყობილებაზე. თუ ჩვენს სახლში მუდმივად ჩართულია ტელევიზორი და ხმამაღალ ხმაზე გაჰკივის რადიო, ან სხვადასხვა სახის ელექტრონული ხელსაწყოები, ასეთი სახლი არასდროს იქნება სულიერებისა და სიმშვიდის ოაზისი. საერთოდ, გვახსოვდეს: დღის მანძილზე მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში გამოვიყენოთ ელექტრომომსახურება, ტელეფონები (რადგან არ არის საჭირო დიდხანს საუბარი), მიკროტალღური ღუმელი კი საერთოდ ამოვიღოთ ხმარებიდან, რადგან ეს ყველაფერი პირდაპირ უარყოფითად მოქმედებს ჩვენს ჯანმრთელობაზე და თანაც, გენეტიკურად. ამას ლაპარაკობს სტატისტიკა და თუ ჭკუას მოვიხმობთ, აუცილებლად გავითვალისწინოთ ეს რჩევები და დავიმახსოვროთ, რომ მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში გამოვიყენოთ ისინი. სხვათა შორის, მოვა დრო და ამას ყველა მიხვდება, მაგრამ იქნება ძალიან გვიან, როცა ადამიანი თავისი მოდგმის გადასარჩენად მთებში გაიხიზნება ყოველგვარი ელექტრო ტექნიკის გარეშე.

გამოიყენეთ ისინი აუცილებლობის შემთხვევაში და არა საათობით, ასევე ურჩიეთ თქვენს შვილებს. მოაწყეთ ისე, რომ სახლში იყოს მოსვენების იდილია. აუხსენით აგრეთვე, რომ ტელეფონზე საუბარი მაშინ არის კარგი, როცა რაიმე ღირებულზე საუბრობ, ღირებული საუბარი კი არასდროს არის გრძელი და დაუსრულებელი.

3
ერთად ტრაპეზე

კიდევ ერთი ტრადიცია ოჯახის ერთობის და მისი სულიერი სამყაროს გამყარებისა გახლავთ ერთად ტრაპეზი შუადღით, ან კიდევ საღამოს, ან როცა თქვენთვის არის მოსახერხებელი, რადგან ხანდახან ოჯახის წევრები დაკავებულნი არიან და დრო თქვენ თვითონ შეარჩიეთ. ტრაპეზე, რა თქმა უნდა, ტელევიზორის გარეშე ჩაატარეთ, ვუსმინოთ არა ტელევიზორს, არამედ ერთმანეთს. გვაინტერესებდეს ერთმანეთის წარმატებები, დავეხმაროთ ერთმანეთს, თუკი წარმოიშვა რაიმე პრობლემები, რათა ვიყოთ3 მობილიზებულნი ერთმანეთის დახმარებით, მხარდაჭერით, წახალისებით, შექებით და ა.შ.

ეს ტრადიცია ხელს უწყობს ჩვენი ოჯახური ურთირთობების ბედნიერ შეხვედრებს და თითოეული ოჯახის წევრი იგრძნობს, რომ მას აფასებენ და უყვართ, დაინტერესე-

ბულნი არიან მისი საქმიანობით, წინსვლით. დღეს, თანამედროვე ცხოვრებაში, ეს ტრადიცია დარღვეულია, რადგან ცხოვრების ტემპი შეიცვალა. ზოგი ისეა დაკავებული, რომ ტრადიციების შესახებ აღარც ახსოვს, არადა, ამ ტრადიციას დიდი გავლენა აქვს ოჯახის სიძლიერეზე და ვეცადოთ, შეძლებისდავარად აღვადგინოთ იგი, თუნდაც, ეს იყოს ერთი დღე კვირაში. ეს დაგვეხმარება იმის გაგებაში, თუ როგორ საინტერესოდ გაატარა ოჯახის თითოეულმა წევრმა დრო, რა ახალი ინფორმაცია გაიგო – ეს გახლავთ ერთმანეთის მიმართ გამოჩენილი ყურადღება. ხოლო, რაც შეეხება საჭმელს, სასურველია, იყოს მსუბუქი: ახალი ხილისა და ბოსტნეულის სალათები. კვებაზე კონკრეტულად მომდევნო თავებში გვექნება საუბარი, რადგან სწორად კვებით იწყება ჩვენი ჯანმრთელობა, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია არსებობისთვის.

კიდევ ერთი აუცილებელი რჩევა: ოჯახები, რომლებიც მოქმედებენ და თამაშობენ ერთად, ხდებიან ძლიერი, მოთამაშე ოჯახები.

კვირაში ერთხელ ან ორჯერ მოაწყვეთ თამაშები სუფთა ჰაერზე, მოაწყვეთ „სიცილის საღამო“, ერთად უყურეთ კომედიას, იხუმრეთ, ნუ დაივიწყებთ იუმორს, რადგან ცხოვრებაში იუმორი ერთ-ერთი ძლიერი ინსტრუმენტია კრიტიკული სიტუაციების განსამუხტად. სხვათა შორის, მამაკაცები უფრო არიან დაჯილდოვებულნი იუმორის გრძნობით, ვიდრე ქალები და სასურველია, ვისწავლოთ მათგან. ერთი სიტყვით, ნუ ვიქნებით ძალიან სერიოზულები, ვიმხიარულოთ, მხიარულება კი მოგვიტანს უამრავ სიკეთეს.

მოკლედ შეგახსენებთ მიზიდულობის კანონის შესახებ. იგი მოქმედებს ასე: თუ ჩვენ განვიცდით ენთუზიაზმს, სიხარულს, ინტერესს, სიყვარულს, აღმაფრენას, ანუ ვართ ჩართულნი პოზიტიურ ასპექტებში, თქვენ ავრცელებთ დადებით ენერგიეს და ეს ენერგია კოსმიურ სივრცეში მიემართება, როგორც რადიოტალღები და ეს განწყობილება და ენერგია გიბრუნდებათ ისევ უკან, ზოგჯერ გაორმაგებული დოზით... მაგრამ, თუ თქვენ დაბოღმილი ხართ და ყოველთვის გულმოსული უყურებთ სამყაროს, მიზიდულობის კა-

ნონი პასუხობს თქვენი სულის ყველა მოძრაობას. ის არ წყვეტს, რა არის თქვენთვის კარგი ან ცუდი, ეს თქვენ წყვეტთ ყველაფერს საკუთარი თავისთვის.

ასე რომ, თქვენი ენერგეტიკული რხევა მიიზიდავს იმავე სიწმინდის ენერგიას, რაც თავად გაგაჩნიათ. თქვენი იმპულსების სიწმინდე უნდა იმყოფებოდეს რეზონანსში მასთან, რაც გინდათ მიიზიდოთ თქვენს ცხოვრებაში. თუ მიისწრაფვით სიყვარულისკენ, სიკეთისკენ, სიმდიდრისკენ, თქვენ, უბრალოდ, უნდა შექმნათ სიყვარულის, სიკეთის და სიმდიდრის ენერგია. ასე რომ, შევეჩვიოთ, ჩვენგან მიდიოდეს სამყაროსკენ დადებითი იმპულსები და ემოციები.

ვასწავლოთ ჩვენს შვილებს, იმხიარულონ კარგ ხუმრობებზე. იცოდნენ. თუ რა კარგია გულიანი სიცილი. მოკლედ, სიცილი ბრძნული გზაა სულიერი კავშირებისკენ. ცხოვრება ხშირად მკაცრია და თუ ვიცინებთ მშობლიურ ადამიანებთან ერთად, სულში მუდამ სიკეთე და სიმსუბუქე გვექნება. ვიყოთ დიდები, ეს სულაც არ ნიშნავს ვიყოთ მუდამ სერიოზულები. დროა, გადავაპროგრამოთ საკუთარი თავი, მოვიცილოთ სერიოზულობის ძველებური სტერეოტიპები და ახლებურად შევხედოთ საკუთარ პიროვნებასა თუ ცხოვრებას. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ხომ უკვე 21-ე საუკუნეში, განახლებულ ეპოქაში ვცხოვრობთ, როცა თვითონ დედამიწა გადავიდა განახლების ახალ ფაზაში, რომელსაც მეცნიერები კვანტურ გადასვლას უწოდებენ. მაგრამ, მხოლოდ დედამიწა არ გადასულა განახლების ახალ ფაზაში – დედამიწასთან ერთად მასზე ცხოვრები ხალხიც აივსო ახალი ენერგიით. არა აქვს მნიშვნელობა, ჩვენ ვიცით თუ არა ამის შესახებ, სამყარო თავისთავად აგძელებს განვითარებას და ჩვენც ძალიან კარგად ვამჩნევთ, რომ ის გახდა პლასტიკური და ადვილად იცვლება ჩვენი აზრების, გრძნობების და სურვილების ზემოქმედებით. ასეთია ბუნებრივი გამოვლინება პროცესისა, რომელსაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კვანტური გადასვლა ეწოდება. ახალი ენერგია ჩვენ გვაძლევს კოლოსალურ შეასძლებლობებს და ჩვენ შეგვიძლია, საკუთარი სურვილების მიხედვით შევქმნათ ჩვენი სამყარო.

ჩვენ შეგვიძლია სამოთხე თავიდან შევქმნათ ოჯახის ფარგლებში, შემდეგ კი ჩვენს გარშემომყოფთათვის.

ჰიმალაის მთებში მცხოვრები ერთ-ერთი ბრძენი ამბობს: „ვინც ბავშვური თამაშით აგრძელებს ცხოვრებას, ის მუდამ ბედნიერია და აღწევს მიზანს.“

რაც შეიძლება მეტად გავამახვილოთ ყურადღება კარგსა და კეთილზე და რაც შეიძლება ნაკლები ყურადღება დავუთმოთ ცუდსა და სიყალბეს! და ნუ დაგვავიწყდება, რომ პირველებმა ჩვენ გავცეთ სიკეთე და სიყვარული. გვახსოვდეს ბიბლიური გამოთქმა: „არასდროს გაღარიბდება გულუხვი ადამიანი!“ ცხოვრებისგან კი ჩვენ დაბადებისთანავე ვღებულობთ ყველა აუცილებელს. გავიხსენოთ: დავიბადებით თუ არა, გვხვდება სახლი და სიყვარული, მზრუნველობა დედის, მამის და ახლობლების სახით ამის გარდა კი რამდენი რამ: საჭმელი, სასმელი, ტანსაცმელი, სწავლა-განათლება, მეგობრები და ასე შემდეგ.

სიბრძნის სკივრი

თვალთახილვა (აზრები)

ნაირა უგულავა

* * *

შენება ყოველთვის წინგადადგმული ნაბიჯია. ის სილამაზესთან, გეგმაზომიერებასთან, მხატვრულ აზროვნებასთან, ხელოვნებასთან ასოცირდება.
ნგრავა კი — ძალადობასთან, უხეშობასთან, განადგურებასთან. სამწუხაროდ, ზოგი-ერთნი მხოლოდ ამ უკანასკნელით არიან ნიშანდებულნი.

* * *

სხვასთან ერთად საქმის წამოწყებისას, იდეალურ ვარიანტად მიმაჩნია, რომ ეს საქმე იყოს პარტნიორთათვის თანაბარმნიშვნელოვანი, ხოლო რისკები — საერთო.

* * *

ადამიანები რომ შედგეს, ცხოვრება უნდა შედგეს. ცხოვრება რომ შედგეს, ადამიანები უნდა შედგეს.

* * *

ადამიანი, რომელიც თავისი თავის მნიშვნელობას მხოლოდ ადგილწარმომავლობით საზღვრავს და ცდილობს საზოგადოებაში ამ ადგილის პრესტიჟულობით წარმოჩინდეს, აზროვნებით სიღატაკეს და სულის სიმდაბლეს ამჟღავნებს.

* * *

ვინც არ ამბობს, ის მეტს ამბობს...

* * *

სჯობს, ერთ ენაზე ისაუბრო და იაზროვნო ღირსეულად!..

* * *

ცხოვრება უკეთ შეგუებულთა ასპარეზია..
სათბურში გამოყვანილი ჩვენი შვილები უკეთ შეგუებულთა რიცხვში არ შედიან.

* * *

ადამიანური ფენომენი გაურკვეველი, შეუსწავლელი და აუთვისებელი ყამირია.

* * *

მთელი არსი ადამიანურობისა — მისი „ბუნებრივი ფენომენი“ იყო... შიშველი სხეული დაიფარა, ცხოველური განდევნა... იმიტომ, რომ მას „ასეთად“ ქცევის მისწრაფება ბუნებრივად გააჩნდა. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ამას თავის თავში ცხოველურის წინაშე წინააღმდეგობით და ბრძოლით აღწევდა.
ცხოველისაგან ადამიანმა გადმოდგა ნაბიჯი, მაგრამ ეს არ ნიშნავს , რომ იგი არ მოქმედებს ჩვენში, არ არის და არ გვიპყრობს ბევრ მომენტში.
ადამიანი, დღეს, ბუნებრივი და ხელოვნური კატაკლიზმების — უდიდესი ფსიქოლოგიური ზეწოლის პირობებში — დგას და ფიქრობს, საით აიღოს გეზი; უკან ვერ დაბრუნდება. „ბუნებრივი ფენომენი“ ამას ასე არ განსაზღვრავს; მან უნდა გააგრძელოს ეს წინააღმდეგობა და თავის უნივერსალურ წიაღში იპოვოს სწორი გადაწყვეტილება.

* * *

მწვერვალი უნდა შევისწავლოთ, ძირი რომ გამოვიცნოთ. ნაყოფს კარგად დავაკვირდეთ და ნიმუშებადაც გამოვიყენოთ, რამეთუ ზოგჯერ ძირი ჩვენ ვართ...

* * *

აზრს ვერ წარმოშობ შეჭიდულობის გარეშე. არსებობს ცალმხრივი გამოვლენა, მაგრამ ის მხოლოდდამხოლოდ რაღაცასთან შედარების, მისადაგების შედეგად გამოვლინებული ცალმხრივობაა, რომელიც მეორეს — მის საპირისპიროს, აუცილებლად გულისხმობს.

* * *

ინფორმაციის სივრცული გადაცემის და მიმღებლობის უნარი ტვინს აუცილებლად გააჩნია. მიღებული შეკუმშული ინფორმაცია (ენერგია) მასალაა ტვინისა და სამუშაოთა პროფესიული გაშლის საშუალებას აძლევს მას.

* * *

სუროგაცია აზროვნებაში: მე კი არ უნდა ვშობო, მან უნდა შობოს (სხვამ იაზროვნოს ჩემს მაგიერ) —კატასტროფაა, უფრო სწორად, აზროვნება არაა.

* * *

ვიზრდები — როგორც შემიძლია, ვაზროვნებ — როგორც ძალმიძს.

* * *

საზრისს გააჩნია ბაზა — ველი, რომლის იქით ის არაა საზრისი. იგი უბრალოდ ქრება და იკარგება.

* * *

ადამიანის ნააზრევი ცალმხრივია, თუკი იგი სხვა ადამიანების ნააზრევით არ არის მხარდაჭერილი და განმტკიცებული.

* * *

კონკრეტულ დროს ახლავს კონკრეტული აზრი, რომელსაც წვდომა სჭირია...

* * *

ცხოვრების მანძილზე ადამიანის აზროვნებაში არის სამი მომენტი: გაღვიძება–გაღვივების, ცოდნის შეძენისა და გაფართოების და მესამე — ამოკრებისა და ინტეგრირების. პირველი ორის ასაკი შედარებით განსაზღვრულია. ცოდნის შეძენის შემდეგ, არავინ იცის, ადამიანის აზროვნება როგორ გამოვლინდება — როდის რა ფორმას მიიღებს და რას „შექმნის“ იგი...

* * *

ქვეცნობიერება შეიძლება შევადაროთ მძინარე ვულკანს, რომელიც ქერქქვეშ მძვინვარებს და არ ჩანს, მაგრამ ის შეიძლება, ერთ დღეს სავალალოდ გამოჩნდეს. აზროვნება მხოლოდ ცნობიერებითი არაა. აზროვნება არის ორგანიზმის სასიცოცხლო ტენდენციის განხორციელებისათვის საჭირო აზროვნება, რომელიც ხშირად არაცნობიერია.

* * *

ქვეცნობიერებამ ბევრი უბედურება მოუტანა კაცობრიობას. მომავალშიც არავინ იცის, რას უქადის მას. არადა, ნეიროქირურგები ამტკიცებენ, რომ იგი არ არსებობს...

* * *

ყოველი აღმოჩენა ფსიქიკის შესწავლის გზაზე, ანტიკურ ხანაში ახსნილი ფსიქიკის რთული ბუნების დადასტურებას წარმოადგენს.

როგორც პატარა ბავშვი არ გაიშვება გარეთ სათამაშოდ მარტო, ასევე ფსიქიკა ვერ მოქმედებს ცნობიერების თანდართვის გარეშე (მოქმედებს თავისი ვიწრო კომპეტენციის ფარგლებში). ცნობიერება რაც უფრო განვითა–რებულია, მით უფრო ემორჩილება ფსიქიკა, თუმცა ამ მორჩილებასაც აქვს საზღვრები...

* * *

„ქვე“ და „ზე“ ცნობიერება გამუდმებულად თვით და ურთიერთასახვაშია და
ისეთივე რეალობაა, როგორც თავად ცნობიერება.

* * *

აზროვნება ადამიანში — ეს არის გონებრივი სამუშაო, თანმიმდევრული ფსიქიკური პროცესი, ადამიანური პრო–ფილის შესაფერისი „ქარხანა“, სადაც ხდება აწყობა და დაშლა (კონსტრუქცია–დეკონსტრუქცია).

* * *

თავისუფლება თუ ადამიანის უმაღლესი კატეგორიებისაკენ დამოუკიდებელი სწრაფვაა, არანაირი შეზღუდვებით არ უნდა ჩაიხშოს იგი...

* * *

სწრაფვა თავისუფლებისაკენ უსაზღვროა და უკიდეგანო ისევე, როგორც
სიცოცხლის განხორციელებისათვის საჭირო ენერგიები დროისა და სივრცის უკიდეგანობაში.

კერძო ადამიანების გადასაწყვეტი არ არის, ვინ დარჩეს და ვინ განადგურდეს დედამიწაზე. დღევანდელ მსოფლი–ოს ეს უკვე გაცნობიერებული აქვს. საჭიროა მეტი გააზრებულობა; ფსიქოლოგთა, გენეტიკის სპეციალისტთა, ჰუ–მანურ მეცნიერებათა წარმომადგენლების თანამშრომლობა — გაუმართლებელ, დეგრადირებულ აზროვნებასთან.

* * *

დამოუკიდებლობა!.. რის ფასად!?.

* * *

თავისუფლების ნეტარი განცდა, რომელიც სიცოცხლეს არ შეიცავს ან გამორიცხავს, აბსურდამდე დადის...

* * *

„განთავისუფლება“, რომლისთვისაც ასე გულმოდგინებით ვიღწვით, საკუთარი თავის უვიცობისგან არ გვათავისუფლებს...

* * *

როდესაც გვაზომბირებენ და ძალმომრეობენ (იგივე რეკლამებით თუ სხვა) ვალდებული ვართ, გააფთრებული წინააღმდეგობა გავუწიოთ ამას...

* * *

გამუდმებულად აკონტროლე შენი ცხოვრება, შენი მომავალი, — მოიპოვე თავისუფლება!..

ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ლოგიკა

დათო ყანდაშვილი

სულიერ ფასეულობათა ანბანი

გაგრძელება
დასაწყისი იხილეთ ანთოლოგიის №№5-7 ტომებსა და ჟურნალ „ათინათის“ №№22-31-ში

საზოგადოება და ურთიერთობები

ადამიანთა ან ნებისმიერ ცოცხალ არსებათა, ინდივიდთა გაერთიანებას, ერთობლიობას საზოგადოებად (კრებად, ეკლესიად, ბრბოდ) მოიხსენიებენ. საზოგადოება თავისი არსით და, თუ გნებავთ, ფუნქციონალურ-არსობრივი დატვირთვითაც კი, ზოგადი ცნობიერების „ჩონჩხზე“ აგებულ „სხეულს“ ნიშნავს. მატერიალურ სამყაროში მატერიალიზირებული ინდივიდუალური სული რაღაცა ტიპის სხეულის სახით ახდენს მოვლინებას. უხეშად რომ ვთქვათ, რაიმე ტიპის სხეულში „სახლდება“, რის შემდეგაც მისი მხრიდან საჭირო ხდება ადაპტაცია, როგორც საკუთარი „მე“-სი (ენერგეტიკული პოტენციალის) ახალ „სახლთან“, სხეულთან მიმართებაში, ისე ამ სხეულისა (ანუ უკვე სხეულითურთ) მის რეალურ არსებულ გარე პირობებთან (გარემოსთან) მიმართებაში. სხეულთან ადაპტაციის პერიოდი ძირითად ნაწილში დედის მუცელში ყოფნით შემოისაზღვრება, რამეთუ ორი ასეთი სერიოზული ტიპის ადაპტაციას ინდივიდუალური სული უბრალოდ ვერ შეძლებდა. რაც უფრო დაბალია ინდივიდუალური სულის ეთიკურ-ჰარმონიული პარამეტრი, მით უფრო აგრესიული იქნება „გაცოცხლებული“ სხეულიც და პირიქით, მაგრამ, ვგონებ, ეს სულ სხვა თემაა. ამიტომ მოდით, პირდაპირ ადაპტაციის მეორე ეტაპზე გადავიდეთ. დღიდან დაბადებისა ადამიანი (სხვა არსებებს შევეშვათ) საკუთარი სხეულის გამოკვების, დაზიანებისგან დაცვის, შეძლებისდაგვარად კარგ პირობებში მყოფობის და სურვილების შესრულების მარათონში ებმება, რომელიც გრძელდება სიკვდილამდე. მაგრამ მიუხედავად ამ აშკარა ეგოისტური მიდრეკილებისა ადამიანები, თუნდაც ცალსახა სხეულისეული თვითაღქმის პირობებშიც კი, ერთმანეთის გარეშე უბრალოდ ვერაფერს მოახერხებდნენ, ასე რომ ურთიერთობა მათთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია. არც ამას ჩავუღრმავდები —რა, რატომ და როგორ, რამეთუ ეს თემები უძირო ქვევრებივით არიან. მოკლედ, ადამიანთა ურთიერთობებს ოთხ ძირითად ნაწილად დავყოფ:

I საზობადოებრივი მაკეტი

I. 1. რეალურად განხორციელებული ანუ ხორცშესხმული სხეული ინდივიდუალური სულის ბინა ხდება და სხვა, მასზე ადრე მოვლინებულ სხეულებში მყოფი ინდივიდუალური სულების მიერ ფასეულად ცნობილი ცნებების საფუძველზე აგებული ყოფიერების ათვისების აუცილებლობის წინაშე დგება. იწყება საკუთარი ინდივიდუალიზმის „ჩაქრობის“ მეთოდური და თანამიმდევრული პროცესი. დახვედრილ სხეულებში მყოფთ, ანუ უფროსებს, ძალაცა და უფლებაც აქვთ მინიჭებული შემდგომმოვლინებულებზე, რათა როგორც პლასტელინის გადაკეთება, მათზე დაქვემდებარება მოსთხოვონ, იქამდე, ვიდრე ახლადმოვლენილი თავისი ნებით, ნებაყოფილობითა და მორჩილების სულისკვეთებით (ზრდილობით) არ წაჰყვება ძველებს იქით, საითაც ისინი მიუთითებენ და არ შეითვისებს, შეისწავლის და გაითავისებს იმას, რაც მათ მიაჩნიათ საჭიროდ, ეს ინდივიდუალური სულის აღზრდისთვის კოსმიური გადასახედიდან, ამპარტავნების შემცირებისთვის უდავოდ აუცილებელი და გარდაუვალი პროცესია. ეს პროცესი გრძელდება იქამდე, სადამდეც ინდივიდუალურ სხეულში მყოფ ინდივიდუალურ სულს უფროსებზე დაქვემდებარებულობის სურვილი ექნება, ანუ აბსოლუტურად ინდივიდუალურია. რა ხდება ამ პერიოდში? ეს არის მატერიალური სამყაროს (ჩვენს შემთხვევაში კაცობრიობის), ადამიანების მიერ აღიარებული ყველაფერი საუკეთესოს შესწავლის პერიოდი. ეს არის მატერიალური სამყაროს ცოდნა, რომელიც იმდენად მრავალფეროვნად არის გაშლილი, რომ უსასრულო გზას მოგაგონებს, მაგრამ მთელი ამ ცოდნის დანიშნულება ანუ ის, რასაც იგი ემსახურება და რის გარშემოც ტრიალებს, მაინც მატერია და ინდივიდუალური სხეულებია, სულის რაობა კი თუ რაიმეთი იჩენს თავს, სხეულის მომსახურების საშუალებად იკითხება და იგულისხმება, მაგრამ, მინდა აღვნიშნო, რომ ეს საოცარი და ლამაზი ცოდნაა ღამეგატეხილი, ცხოვრებაარეული, მაძიებელი, მოუსვენარი და ძლიერი ადამიანების მიერ შექმნილი და შემდგომ, დროისა და გარემოების მიერ შედუღაბებული, გაერთიანებული. ეს არის პოეზია, პროზა, ლიტერატურა, მუსიკა, მეცნიერება, ფიზიკა, მათემატიკა, ქიმია, ხატვა, პოლიტიკა, ეკონომიკა, სოციოლოგია და ა. შ. ეს ჭეშმარიტად დიდი და ცალკე საკითხია და თუ საჭიროდ ჩაითვლება ამ საკითხის ღრმა ანთოლოგიას მომავალში გავაკეთებ. ეს არის ერთადერთი ღირებული და ფასეული რამ, რაც კი კაცობრიობის მიერ არის შექმნილი.

2. როდესაც ინდივიდუალურ სხეულში მყოფ ინდივიდუალურ სულს უფროსებზე, კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცოდნის დაქვემდებარებულობის სურვილი ეკარგება, ის უკვე თვლის, რომ თვითონაც უფროსების ერთ-ერთი წარმომადგენელი გახდა, მიაჩნია რა რომ — იმდენი ცოდნა აქვს, რამდენიც მისთვის სრულიად საკმარისია. საკმარისია იმისათვის, რომ არსებულ ყოფიერებაში ისე ამყოფოს თავისი სხეული, როგორც სურს. ამდენად, ინდივიდუალური სული უკვე საკუთარ არსს ფუნდამენტურად ივიწყებს და საკუთარ არსს ინდივიდუალურ სხეულთან აიგივებს. აქვს ისეთი შეგრძნება, თითქოს დაიღალა ყველაფრით (ეს განთქმული ფრაზაა და ყველას ესტუმრება ხოლმე პერიოდულად), რაც რეალურად იმას ნიშნავს, რომ მასში თვითრეალიზაციის სურვილმა გაიღვიძა. ამ სურვილთან ერთად კი, როგორც ერთგვარი დამამუხრუჭებელი საშუალება, იღვიძებს სქესობრივი ლტოლვის სურვილიც. ვფიქრობ, ყველასათვის საინტერესო იქნება იმის ახსნა, თუ რატომაა სქესობრივი ლტოლვა დამუხრუჭების საშუალება თვითრეალიზაციის პროცესში. ინდივიდუალურ სულს, როგორც მატერიალურობისაგან განყენებულად, განცალკევებულად აღებულს, სქესობრივი ლტოლვა არ გააჩნია, რამეთუ სქესის ცნება სულიერ გარემოში, როგორც ასეთი, საერთოდ არ არსებობს და ინდივიდუალური სულისთვის სიამოვნებაში მყოფობა, მატერიალური აღქმის დონეზე რომ გადმოვცე, ორგაზმში, ნეტარებაში მყოფობაა. ხოლო ინდივიდუალური სულის თვითრეალიზაციის არსი კი — დაკმაყოფილებაში, არშეცნობილი ფასეულობის გაგებაში, აღქმაში გამოიხატება, ანუ ჭეშმარიტი ცოდნის შეძენაში. საკუთარი არსის ცალსახად ინდივიდუალურ სხეულად აღქმის შემთხვევაში კი — ნეტარება ოცნებად არის გარდაქმნილი და სიამოვნების მიღება სხეულისთვის „საჭირო“ ანუ სასურველი ყოფითი მდგომარეობის შექმნაში გამოიხატება, რაც მატერიალურ კეთილდღეობაში აღიქმება და მისი მიღწევის ყველაზე ადვილი საშუალება ძალაუფლების მოპოვება და მისი საშუალებით ნებისმიერი სხეულისეული სურვილის მიღწევაა, მით უმეტეს, რომ ეს ინდივიდუალური სხეული საკუთარ თავს უკვე უფროსებში გულისხმობს ანუ თავის თავს აძლევს იმის უფლებას, რომ სხვა სხეულები თავისი შეხედულებების შესაბამისად პლასტელინივით ძერწოს. აი, ამ სიამოვნების მიღების ნუსხაში შემოდის საკუთარი სხეულის სხვა სხეულთან შეხებით სიამოვნების მიღების სურვილი, რაც რეალურად სქესობრივი აქტია. ეს არის ერთადერთი რამ, რასაც ძალით მიღების შემთხვევაში ყოველგვარი აზრი და გემო ეკარგება და ნებით თუ უნებლიეთ საჭირო ხდება საკუთარი თვითრეალიზაციის პროცესში საკუთარი მოქმედებებისთვის ანგარიშის გაწევა. აი, პასუხი იმაზე, თუ რატომ არის სქესობრივი ლტოლვის სურვილი დამუხრუჭების საშუალება, და კიდევ ერთი ასპექტი სქესობრივ ლტოლვასთან და სქესობრივ აქტთან მიმართებაში — ეს არის ერთგვარი ხიდი საკუთარი არსდავიწყებული ინდივიდუალური სხეულისა საკუთარ დავიწყებულ არსთან, ანუ ინდივიდუალურ სულთან. კონტაქტის შედეგად მიღებული წამიერი ორგაზმი არის ამ ხიდის რეალური ასახვა. ეს არის ის მდგომარეობა, რაშიც ინდივიდუალური სული იმყოფება თვითრეალიზაციაზე უარის თქმის შემთხვევაში. ანუ, ერთი მხრივ, ინდივიდუალური სულისთვის არის იმის გახსენების საშუალება, თუ რას კარგავს და მეორეს მხრივ, ინდივიდუალური სხეულისთვის არის იმის შეხსენების საშუალება, თუ რას უნდა ემსახუროს.

თუ ადამიანს სქესობრივი აქტის დროს ორგაზმის თუნდაც წამიერი შეგრძნება არა აქვს, მას საკუთარ არსთან მთლიანად დაკარგული აქვს კონტაქტი და ის აბსოლუტური უმეცარია.

რაც შეეხება ინდივიდუალური სხეულის მიერ დაკმაყოფილების მიღების რაობას. ეს შეგრძნება ან სურვილის შესრულების შედეგად მყისეული წამიერი გაელვების სახით იქნება, ან არსებული პირადი ყოფითკმარობის შედეგად, რაც საკუთარი არსდაკარგული ინდივიდუალური სხეულის შემთხვევაში (რომელსაც ინდივიდუალური სული იგნორირებული ჰყავს), თავისუფლად შეიძლება ითქვას, აბსოლუტურად გამორიცხულია.

ახლა ვნახოთ, რა ხდება ამ პერიოდში? ეს არის საკუთარი ინდივიდუალიზმის გამოვლინებულობის, გამორჩეულობის, დემონსტრაციულობის სურვილი საკუთარი ინდივიდუალური სულის საკუთარი ინდივიდუალური სხეულის ინტერესებზე დაქვემდებარებით.

მაგრამ, ამ ყველაფრის გულახდილად ამ სახით გამოფენა, საზოგადოებისთვის სრულიად მიუღებელია. ამიტომ, საჭირო ხდება მასკირება, შენიღბვა, თამაში, მოტყუება, სერიოზულობა თუ ყალბი მხიარულება. ეს არის ეგოცენტრული უგულობის, თავკერძობის, მლიქვნელობისა და მაამებლობის სეგმენტებით შეზავება.

ხდება რაღაც არგუმენტების შემოტანით ზოგადი ცნობიერების ძირითადი ბირთვის მმართავ სისტემასთან დაპირისპირება. სინამდვილეში, ეს არგუმენტები საბაბია, ნამდვილი მიზეზი არის შური მათ მიმართ, ვისაც აქვს ძალაუფლება ანუ თვითრეალიზაციისთვის ყველაზე სერიოზული და ძლიერი საშუალება. მაშასადამე, ამ მიზეზისა, ანუ შურის მიზეზი არის საკუთარი თვითგამოვლინების შეზღუდულობა და თვითგამოვლინების სურვილი. ერთვება და ეკვრება ერთი ასეთი ინდივიდუალური სული სხვა მისნაირებს, შექმნიან რაღაც საზოგადოებას, კავშირს, ორგანიზაციას და ასე უსასრულოდ, ხდება ადამიანთა ერთმანეთთან დაპირისპირება, დაყოფა, დაშლა იმ თითქოსდა უწყინარი მიზეზის გამო, რასაც საკუთარი არსის ინდივიდუალურ სხეულად აღმქმელი თვითგამოვლინების სურვილი ჰქვია.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

შემეცნებითი საუბარი

მამა ამირან ამირანაშვილი



საუბარი რელიგიის ისტორიის შესახებ

გაგრძელება.
დასაწყისი ანთოლოგიის № 6-7-სა
და ჟურნალ „ათინათის“ №26-31-ში

სამღვდელო ხარისხში არჩევა

ორი მომენტი: **გამორჩევა და მიძღვნა**.

ძველად გამორჩევა ხდებოდა კლირიკოსთა და საეროთა მიერ. გადაწყვეტილებას ღებულობდა ეპისკოპოსი. ბიზანტიაში ეპისკოპოსის არჩევისას, მრევლს წარმოადგენდა მეფე.

თეოფილე ალექსანდრიელი 7 კანონში აღწერს არჩევის თანამედროვეობას: „მთელი ტაძარი და ყველა ღვთისმსახური დაე შეთანხმდენენ და აირჩიონ, და მაშინ ეპისკოპოსი დააკვირდეს არჩეულს და ღვთისმსახურთა თანხმობით დაე შეასრულონ ხელდება (ქიროთესია) ეკლესიაში, ხალხის თანდასწრებით ეპისკოპოსმა განაცხადოს მისი არჩევა და მიიღოს თანხმობა, მოწმობა მორწმუნე ერისაგან“.

საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში გამორჩევა და არჩევა წარმოადგენს წმიდა სინოდის უფლება-მოვალეობას, რასაც უნდა ადასტურებდეს მორწმუნე ერი. ხარისხში აყვანის დროს მგალობლები ერთან ერთად იძახიან „აქსიოს“, რაც ნიშნავს – „ღირს-არს“.

ხელდასხმა

– ხელდასხმისათვის არსებობს მოთხოვნები: ხელდასხმას აღასრულებს აუცილებლად ეპისკოპოსი. ხელდასხმული ეპისკოპოსი უნდა იყოს მართლმადიდებელი. თუ მან ხელასხმა მიიღო განხეთქილებაში მყოფი იერარქიისაგან, საკითხის დადებითად გადაწყვეტისათვის აუცილებელია სქიზმატიკოსებთან შენარჩუნებული იყოს სამოციქულო მემკვიდრეობა და რომ, განყოფილები არ ეხებოდნენ ძირითად დოგმატებსა და საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანა ევალება საეკლესიო სასამართლოს.

ნიკეის I კვირა. 8 კანონი კაფარების „წმინდანების“ ხელდასხმას ღებულობდა.

ნიკეის I კრება 19 კანონით, პავლიკიანელები ინათლებოდნენ ხელახლა და კლირიკოსები ხელახლა იქნებოდნენ ხელდასხმულნი.

ციპინი წერს, რომ რუსი ეკლესია სცნობს თანამედროვე კათოლიკეთა, ძველ კათოლიკეთა და არაქალკედონური ეკლესიების ხელდასხმას.

პროტესტანტული ორდინაციათა ხელდასხმის მადლმოსილების ცნობა შეუძლებელიაო წერს იგი.

ანგლიკანური ეკლესიის საკითხი 100 წელია რაც ირჩევა. მაგრამ, დღეს მათი სამოციქულო მემკვიდრეობის ცნობა ყოველგვარ აქტუალობასაა მოკლებული.

არ არის საფუძველი იმისა, რომ ეჭვი შევიტანოთ ბერძნულ ძველმესტილეთა ხელდასხმის ჭეშმარიტებაში. მაგრამ, რუსულმა ეკლესიამ თავის დროზე არ სცნო სიახლეთა მიმდინარეობები.

ქორეპისკოპოსებს, ადრე როგორც ნაწილობრივ დამოკიდებულ ეპისკოპოსებს, ხელდასხმის უფლება ქონდათ ზემდგომის კურთხევით.

ხელდასხმა აკრძალულია ეპარქიის გარეთ (მოციქ. 35 კანონი; II მსოფლ. კრების 2 კანონი; ატნიოქიის 13-14 კანონები).

1. ეპისკოპოსის ხელდასხმისათვის საჭირო 2 ან 3 ეპისკოპოსი (მოც. I კანონი); კათოლიკე პაპები მხოლოდ ერთპიროვნულად ასხამენ ხელს.
2. პრესვიტერის ან დიაკონის ხელდასხმისათვის ერთი ეპისკოპოსი საკმარისია. ხელდასხმა სრულდება ტაძარში, საკურთხეველში. გუნდი გალობს „აქსიოს“ – „ღირსია“.

3. ხელასხმა იწყება დაბალი ხარისხიდან ზემოთ. 7 დღეა საჭირო ერთი ხარისხიდან მეორეს მისაღებად.
4. პირობა ხელდასხმისათვის ისაა, რომ კანდიდტი დანიშნული უნდა იყოს რომელიმე ადგილზე.
5. ხელდასხმის განმეორება არ შეიძლება. (მოც. 68 კანონი).
6. ხელდასხმა ანგარებით არ შეიძლება (სიმონია).

სამღვდელო ხარისხში აყვანისას ღვთისმსახურებისთვის უმთავრეს აქტს წარმოადგენს ქიროტონია ანუ ხელასხმა. იმისათვის, რომ ხელდასხმა იყოს ჭეშმარიტი და კანონიერი, საჭიროა რიგი პირობების დაცვა, რომლებიც ეხება არა მარტო ხელდამსხმელსა და ხელდასხმულს, არამედ თვით საიდუმლოს აღსრულებას.

ხელდასხმის უფლება გააჩნიათ მხოლოდ ეპისკოპოსებს, როგორც მოციქულთა მემკვიდრეებს. ხელდამსხმელი ეპისკოპოსი უნდა იყოს მართლმადიდებელი. თუკი მან მღვდელმთავრობა მიიღო ხელდასხმით იერარქიისაგან, რომელიც მსოფლიო ეკლესიას გამოეყო, მაშინ მისი აღიარებისათვის საჭიროა, რომ სქიზმატური იერარქია ინახავდეს სამოციქულო მემკვიდრეობას უწყვეტად გადაეცემოდეს ხელდასხმა და ინახავდეს მართლმადიდებელ სარწმუნეობის უმთავრეს დოგმატებს, ამ საკითხის საბოლოო გადაწყვეტა სასამართლო წესით მართლმადიდებელი ეკლესიის კრების უფლებაა.

ეკლესია ამჟამად უწყვეტი ხელდასხმის მქონედ მიიჩნიეს: კათოლიკებს, ძველ კათოლიკებს და ეკლესიებს, რომელთაც მონაწილეობა არ მიიღეს ქალკედონის კრებაში. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ შეუძლებელია ხელდასხმულად მივიჩნიოთ პროტესტანტული ორდინაციის წარმომადგენლები.

საკითხი ანგლიკანური იერარქიის შესახებ, ას წელზე მეტია, რაც განხილვის საგანია მართლმადიდებელ ღვთისმეტყველებაში. ბოლო დროს ანგლიკანურ ეკლესიაში მიღებულმა წესმა ღვთისმსახურებად ქალების კურთხევისა, რაც შეეხება მართლმადიდებელი ეკლესიიდან ახალგანდგომილებს, (ბერძენი მეძველსტილენი და სხვა), მათ არ სცნობს არა მხოლოდ რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია, არამედ ეს საკითხი გაურკვეველია სხვა ავტოკეფალური ეკლესიების მხრდიანაც.

მღვდელმთავარი თავის ეპარქიაში უფლება მოსილია აღასრულოს ხელდასხმა (კართაგენის 9,10), იგივეს მოწმობს მოციქულთა 35-ე კანონი — ეპისკოპოსის შეუძლია აღასრულოს ხელდასხმა მხოლოდ თავის ეპარქიაში.

ეპისკოპოსის კურთხევისას აუცილებელია იყოს 2 ან 3 ეპისკოპოსი. (მოციქ. I წესი) კათოლიკებში კი პაპის აქვს უფლება-მოსილება მარტომ აღასრულოს (პაპმა) ეპისკოპოსების ხელდასხმა, რითაც გამოიხატება მისი ეპისკოპოსებზე აღმატებულება.

პრესვიტერისა და დიაკონის ხელდასხმა შეუძლებელია მხოლოდ ერთ ეპისკოპოსს. ხელდასხმის შესრულებისათვის აუცილებელია, რომ იგი აღსრულდეს ტაძარში, ტრაპეზთან, წირვისას მრავლის თანდასწრებით და დამოწმებით. რომელიც გამოიხატება სიტყვებით „აქსიოს“ რაც ნიშნავს — ღირსია.

მეორე აუცილებელი პირობაა ის, რომ ხელდასხმა უნდა ხორციელდებოდეს უმცროსი ხარისხიდან თანდათანობით უმაღლეს ხარისხში აყვანამდე ე.ი. ჯერ დიაკონი, გარკვეული ხნის შემდეგ — პრესვიტერი და ბოლოს ეპისკოპოსი. მესამე აუცილებელი პირობაა ის, რომ ხელდასხმა არ განმეორდება, არანაირ შემთხვევაში. (მოც. 6.8). მეოთხე აუცილებელი პირობაა ის, რომ ხელდასხმული უნდა დადგინდეს (განაწილდეს) განსაზღვრულ ადგილას მსახურებსიათვის. მართლმადიდებლურ ეკლესიაში მიუღებელია კათოლიკური პრაქტიკა „აბსოლუტური ხელდასხმის შესახებ“, რომელითაც განუსაზღვრელად ადგილისა შესაძლებელია მსახურება. არ შეიძლება ხელდასხმის ყიდვა (მოციქ. 29-ე წესი); სიმონის შესახებ საუბარია კონსტანტინეპოლის პატრიარქების წმ. გენადისა და წმ. ტარასის კანონიკურ ეპისტოლეებში.

(გაგრძელება იქნება)

დიდი მოგზაურობა

ჯუმბერ ლეჟავა

(დასაწყისი ჟურნალ „ათინათის“ № 26, 27, 30-ში)

XVIII-XIX საუკუნეთა მადრიდის არქიტექტურაში კლასიციზმი XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან კი – მოდერნიზმი დამკვიდრდდა.

XX საუკუნის შუა პერიოდიდან, მადრიდის რეკონსტრუქციის დროს, მშენებლობაში აქცენტირებულია ბეტონისა და მინის გამოყენება. აგებენ ცათამბჯენებს.

ყოველივე ამაზე პასუხს გაგცემთ ესპანეთის შესახებ გამოცემული ტომით. მადრიდი ცნობილია 100-ზე მეტი მუზეუმითა და გალერეით, თუმცა, მადრიდის სავიზიტო ბარათად მაინც პრადო ითვლება, სადაც ბოტიჩელის, რაფაელის, ტიციანის, ბოსხის, ბრეიგელის, გოიას, რემბრანდტის, ელ-გრეკოს, რუბენსის, დიურერის, ველასკების, კარავაჯოსა თუ სხვათა ხელთუქმნელი ტილოები ინახება – შეუფასებელი ფერწერული შედევრები! მადრიდი ცნობნილია თავისი უნივერსიტეტებითაც...

ჩემი აზრით, პრადოსთან ერთად, ქალაქის სავიზიტო ბარათი მადრიდის „რეალიცაა“.

მადრიდი ერთი მთლიანი მუზეუმია!..

ერთობ დაძაბული გზა იყო პორტუგალიამდე. მდინარე ტახოს ხეობა ნებისმიერ მხილველს ისე მოხიბლავს, როგროც თავად ამ სტრიქონები ავტორი მოხიბლა.

პორტუგალიის რესპუბლიკასთან შეხვედრას განსაკუთრებულად ველოდი, რადგანაც ეს ქვეყანა დიდი მოგზაურობისა და ფეხბურთელების სამშობლოა.

დიდი იმედით ვეწვიე დედაქალაქ ლისაბონს. ეს ქალაქი იბერიული ტომების – ლუზიტანების მთავარი განსახლების ადგილია. ქალაქი ატლანტის ოკეანის სანაპიროზე მდ.ტეჟუს (ტახო) შესართავში მდებარეობს. სახელმწიფო დაპყრობილი ჰქონდათ რომაელებსაც და არაბებსაც. იგი ესპანეთის იმპერიაშიც შედიოდა. ლისაბონი 1755 წლის მიწისძვრამ მთლიანად დაანგრია. შემდეგ – ნაპოლეონი და ფრანგული ოკუპაციის ხანა. 1926-1947 წლებში პორტუგალიაში ფაშისტური რეჟიმი მძვინვარებს. შემდეგ აქ თავისუფლების სიომ დაბერა და პორტუგალია მსოფლიოს ერთ-ერთი მოწინავე, ევროპული დონის სახელმწიფოდ იქცა. პორტუგალიის ცნობილი მოგზაურები არიან ვასკო და გამა, რომელმაც XV საუკუნეში პირველმა შემოუარა დედამიწას. პორტუგალიის ცნობილი სახეა, აგრეთვე, ფეხბურთელი ეუსებიო. სწორედ აქ მქონდა ერთ-ერთი საინტერესო შეხვედრა 50-იანი წლების საუკეთესო ფეხბურთელთან, მოზამბიკის პანტერად წოდებულ ეუსები-

ოსთან, რომელმაც ლისაბონის „ბენფიკას“ ვარჯიშზეც და თამაშზეც მიმიწვია. თუ როგორ გავატარე მასთან სტუმრობის სამი დღე, წაიკითხავთ წიგნში, რომელიც მიეძღვნება პირენეს ნახევარკუნძულზე ჩემს მოგზაურობას.

ლისაბონმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. აღმაფრთოვანებელია პორტუგალიელთა ტრადიციები...

პორტულაგიის ჩრდილოეთ საზღვრამდე რამდენიმე ქალაქი გავიარე. ჩრდილოეთით, ესპანეთის საზღვართან, ავარიაში მოვყევი. გავიტეხე თავი და სამი ნეკნი, დამემტვრა ველოსიპედიც... მკითხველს, ალბათ, აინტერესებს, თუ ვინ იყო დამნაშავე. ამის განსჯა თქვენთვის მომინდვია, როდესაც დაწვრილებით გაეცნობით ამ შემთხვევასთან დაკავშირებულ ინფორმაციას.

შემდეგ ისევ ესპანეთი, მაგრამ, ამჯერად, მისი ჩრდილო ნაწილი. ატლანტის ოკეანის აღმოსავლეთისა და ბისკაის ყურის სანაპიროებით გავიარე ქალაქები: ვიგო, კომპოსტელა, ლა-კორუნია, ავილასი, ბარაკალდო, ბილბაო, სან-სებასტიანი და სხვ. განსაკუთრებულად მოვიარე ბასკეთი. დავესწარი ბასკურ დღესასწაულებსაც.

ბასკეთი!.. – ესპანეთის „აქილევსის ქუსლი“!

ბასკები!.. – უნამუნო... ეტა...

ბასკეთი!.. – ეს განსაკუთრებული და ფრიად სათუთი თემაა!.. საფრანგეთის რესპუბლიკისკენ მიმავალმა წარმოვიდგინე ამ ქვეყნის რთული ადმინისტრაციული დაყოფა... პირინეის მთების გადაკვეთით საფრანგეთის რესპუბლიკის მეღვინეობის დეპარტამენტის დედაქალაქ ბორდოში ჩავდივარ... აქედან ნანტში, შემდეგ ანჟესში, ლე-მანში, შარტრში და ვერსალის გავლით, – პარიზში... მოსაწონია ქალაქის მართვის სისტემა...

1999 წლის ახალი წელი პარიზში – დედამიწის ჭიპზე გავატარე...

საქართველოს საელჩომ პარიზში ოთახი გამომიყო, რითაც უხერხული მდგომარეობიდან გამომიყვანა... საინტერესო ისტორიით მოვხვდი საცხოვრებლად ალჟირელებთან... შემდეგ მონმარტრი, ელისეს მინდვრები, ლუვრი, ლუქსემბურგის ბაღები, ეიფელის კოშკი, ნოტრ დამ დე პარი... მოულოდნელი და უცნაური შეხვედრა ლევილში... ისევ ბატონი კახი ასათიანისა და ამირან აბესაძის დახმარებით ჩამოდის ჩემი უფროსი ქალიშვილი მაია და მისი მეუღლე – ვახტანგი. 15 დღე ერთად ვეცნობით პარიზს...

მინდა შევეხო „იუნესკო"-ში საქართველოს ყოფილი ელჩის, ქალბატონ ნათელა ლაღიძის ჩემს მიმართ გულისხმიერი დამოკიდებულების ფაქტს, რამაც მოგზაურობის პროცესში არც თუ უმნიშვნელო როლი შეასრულად...

დაუვიწყარია „იუნესკოს" გენერალური დირექტორის, ფედერიკო მაიორის მიერ ჩემთვის მსოფლიო მოქალაქისა და სპორტსმენის დიპლომის გადმოცემის ცერემონია... მქონდა პრეს-კონფერენცია ჟურნალისტებთან... წავიკითხე ლექცია საქართველოს საელჩოში და შევხვდი საზოგადოებრიობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებთან.

საინტერესოა, თუ როგორ მიპოვნა ეგვიპტეში გაცნობილმა ფრანგმა ქალბატონმა. ოჯახში მიწვევისას კი მეუღლეს მოაყოლა, თუ როგორ ასრულებდა იგი ეგვიპტეში ჩემთან დადებულ პირობას...

დაუვიწყარია პარიზში ჩემს უფროს ქალიშვილთან, მაიასთან გატარებული დღეები!.. მაიას თბილისში გაცილების შემდეგ გზა ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგოსაკენ გავაგრძელე... წარმოიდგინეთ ლუქსემბურგი, სამეცნიერო დაწესებულებები, განათლების სისტემა, მუზეუმები, თეატრები, არქიტექტურული ძეგლები, პარკები... ეს კოპწია ქალაქი-სახელმწიფო ჩართულია ევროკავშირის მმართველობით რგოლშიც... ისევ საფრანგეთი!.. დიდებული ლიონი, გრენობლი და...

შვეიცარიის კონფედერაციაში მოგზაურობას ჟენევიდან ვიწყებ. იგი ულამაზეს ხეობაში, ჟენევის ტბის სანაპიროზე მდებარეობს. შვეიცარია 20 სრული და 6 არასრული ადმინისტრაციული ერთეულისაგან შედგება. აქედანაც ჩანს, რომ მას აქვს მმართველობის თავისებური წესი... კონფედერაცია საქართველოზე თითქმის ორჯერ ნაკლები ფართობისაა, რომლის 2/3 იურისა და ალპების მთებს, ხოლო 1/3 მდინარე რეინის დაბლობს და ზეგანს უკავია. საქართველოზე თითქმის ორჯერ ნაკლები ტერიტორიის მქონე კონფედერაცია მოსახლეობით დაახლოებით ორჯერ აღემატება საქართველოსას. მოსახლეობა შემადგენლობით საინტერესო და მრავალფეროვანია... მრავალფეროვანია რელიგიაც. კონფედერაციას მეტად ორგანიზებული, მაღალი დონის მმართველობა აქვს. სამაგალითოა მისი სოფლის მეურნეობა და მრეწველობა, ამიტომ იგი უმაღლეს დონემდე განვითარებული ინდუსტრიული ქვეყანაა. რაც შეეხება ქალაქ ჟენევას, ...გარდა მისი კლასიკური და ისტორიული მნიშვნელობისა, მისი როლი უდიდესია მსოფლიოში ბირთვული ფიზიკის განვითარების საქმეში, ე.ი. მეცნიერებაში, უმაღლესი დონის ზუსტ მანქანათმშენებლობასა და ხელსაწყოთმშენებლობაში... შეიძლება მსოფლიოში მწერალთა გრანდების ერთ-ერთ უპირველეს ქალაქადაც ჩაითვალოს... ამ ქალაქში შესანიშნავი შეხვედრები და ექსკურსიები მქონდა.

ბევრი მაქვს მოსაყოლი ჟენევაში საქართველოს საელჩოს თანამშრომლების შესახებ, მათ მიერ ჩემდსამი გამოხტულ გულისხმიერებაზე. მათ შორის გამოვყოფ ელჩს, ბატონ ამირან კავაძეს, ატაშეს – ბატონ ავთანდილ ბაქრაძეს და კონსულს – ქალბატონ ხათუნა ჯანჯალიას, რომლებმაც არამარტო ძვირფასი დრო დამითმეს, არამედ მოგზაურობის სათანადო დონეზე გაგრძელების ბევრი საკითხის გადაწყვეტაშიც დამეხმარნენ...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ბიბლიოთეკა

ქეთინო ნიკურაძე

საბიბლიოთეკო საქმე საქართველოში

123. ბარძემაშვილი, ზ. ბატონო რედაქტორო! [ქუთაისის სატუსაღოში წიგნსა-ცავის დაარსების საკითხი] // დროება, 1885, N 26, 5 თებ.

124. ბაქრაძე, დიმიტრი. ბიბლიოთეკა თავად ნიკოლოზ სამეგრელო [ბიბლი- ოთეკის ზოგადი აღწერა. გრიგოლ დავითის - ძე გურიელის მიერ ნაპოვნი X საუკუნის სახარება] // გროება, 1885, N 85, 23 მაისი.

125. „გუშინ ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო...“ [გეოგრაფიული საზოგადო-ების ბიბლიოთეკიდან იშვიათი წიგნების გატაცების შესახებ] // დროება, 1885, N 160, 27 ივლ.

126. [დადიანი, ნ. დ.] თავადი მეგრელისა. კნიაზო ვასილ! [წერილი ვასილ მაჩაბელს ბიბლიოთეკის შეწირვის შესახებ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისთვის“. აქვე რედაქციის ცნობა, რომ კატალოგი შეუდგენია აკაკი წერეთელს სამეგრელოს თავადის მინდობილობით] // დროება, 1885, N 60, 19 მარტი ._ გვ. 1-2.

127. ერთი ქუთაისის სატუსაღოს ტუსაღთაგანი. ბატონო რედაქტორო! [ბიბლიოთეკის დაარსება ქუთაისის სატუსაღოში და ამასთან დაკავშირებით თხოვნა წიგნებისა და ჟურნალების შემოწირულობის სესახებ] // დროება, 1885, N 10, 13 იანვ.

128. [ზარაფიშვილი, ილ.] ნადიკვრელი. ი. პ. როსტომაშვილის მოსარჩლე კორესპონდენტს ... [თელავში წიგნთსაკითხავის გახსნის შესახებ] // დროება, 1885, N 109, 26 მაისი.

129. თელავის სტუმარი. პროვინციალურ ახალგაზრდობაზედ. თელავის სამკითხველოს გამო წერილი რედაქციისადმი // დროება, 1885, N 81, 18 აპრ.

130. მართლა, რომ მეფური შემოწირულებაა [ნ. დ. სამეგრელოს თავადის (დადიანის) მიერ წიგნსაცავის შეწირვა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის“] // დროება, 1885, N 60, 19 მარტი.

131. მართლმადიდებელი სასულიერო სასწავლებლის წესდება [§ 89. წიგნთ-საცავის წესდება] // მწყემსი, 1885, N 20, 15 ოქტ.

132. მატიანე საეკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრებისა [ზ. ჭიჭინაძის მიერ წმ. ნინოს მონასტრის წიგნსაცავში ხელნაწერი წიგნის „საუნჯეს“ აღმოჩენა] // მწყემსი, 1885, N 2 ._ გვ. 13.

133. ნადიკვარელი. ი. პ. როსტომაშვილის მოსარჩლე კორესპონდენტს... წერი-ლი რედაქციისადმი. „დროების“ მე-85 ნომერში დაბეჭდილი წერილი „მოწაღ-მართე დასი თელავში“. წიგნსაცავის გახსნა] // დროება, 1885, N108, 25 მაისი.

134. პარიჟელი ქართველი მოსწავლეები. „ნება მოგვეცით თქვენი გაზეთის საშუალებით...“ [ქართული წიგნების შეწირვა პარიზელ ქართველ მოსწავლეთა ბიბლიოთეკისათვის] // დროება, 1885, N 119, 7 ივნ. ._ გვ. 3.

135. ჟურნალ გაზეთთაგან [გაზეთ „დროებიდან“ გადმობეჭდილი დავით ბაქრაძის სტატია ნიკოლოზ დადიანის ბიბლიოთეკის სესახებ] // მწყემსი, 1885, N 10 ._ გვ. 13-14.

136. როსტომასვილი, ი. პ. მოწაღმართე დასი თელავში (იხ. „დროება“ NN 108 - 109) წიგნთსაკითხავი [თელავში წიგნთსაკითხავის დაარსების შესახებ] //დრო-ება, 1885, N 123, 12 ივნ.

137. უგანათლებულესის თავადის ნიკოლოზ დავითის -ძის დადიანის მიერ ქართველთა შორის წერა - კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისადმი შემო-წირული წიგნთა სია // ივე-რია, 1885, N 12 ._ გვ. 89-97.

138. ფანცხავა, რომანოზ. წერილები რედაქტორთან [ზ. ა-ძეს ჯორჯაძის ღვი-ნის სარდაფთან გამართული ქართული წიგნების პატარა ბიბლიოთეკა] // დრო- ება, 1885, N 23, 30 იანვ.

139. ფირცხალავა, დომენტი. ამ დღეებში [„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისაგან“ გაგზავნილი სხვადასხვა ქართული წიგნები გულეკარის სახალხო სკოლის ბიბლიოთეკის სასარგებლოდ] // დროება, 1885, N 95, 5 მაისი

140. ფირცხალავა, დომენტი. შენიშვნა [სოფელ გულეკარის (სენაკის მაზრა) სკოლასთან არსებული ბიბლიოთეკა] // დროება, 1885, N 135, 26 ივნ.

141. [„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ საქმეთა წარმოება. 1884 წ. 15 მაისიდან 1885 წ. 15 მაისამდე [თბილისი 1885 წ. ._ 16 გვ. (20x13), [ფ. ა.].

142. შენიშვნა [სოფელ მეტეხის სკოლის მასწავლებლის ზ. გულისაშვილის საქმიანობა. ხალხში წიგნის კითხვის დიდი სურვილი და წიგნთსაკითხავის დაარსების საჭიროება გორში] // დროება, 1885, N 47, 2 თებ.
143. შინაური ამბები. თელავიდან გვწერენ [ქართული წარმოდგენის გამარ-თვა ბიბლიოთეკის სასარგებლოდ] // თეატრი, 1885, N 1, 14 ივლ. .- გვ. 12.
144. შინაური ქრონიკა [თელავის „საზოგადო წიგნთსაკითხავის“ გახსნა] // დროება, 1885, N 40, 21 თებ.
145. შინაური ქრონიკა[სოფელ ველისციხეში ორკლასიან სასწავლებელთან ქართული წიგნთსაკითხავის დაარსების განზრახვა] // დროება, 1885, N140, 3 ივლ.
146. „წერა-კითხვის საზოგადოების მმართველობის წევრნი...“ [ნ. დ. სამეგრე-ლოს თავადისაგან შემოწირული ბიბლიოთეკის ჩამოტანა თბილისში] // დრო- ება, 1885, N 72, 6 აპრ.
147. ანგარიში „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგა- დოების“ საქმეთწარმოებისა. საზოგადოების წიგნთსაცავი // ივერია, 1886, N143, 4 ივლ.
148. ანგარიში „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგა- დოების“ საქმეთწარმოებისა. შემოწირულებანი საზოგადოების სასარგებლოდ // ივერია, 1886, N 146, 8 ივლ.
149. ახალი ამბავი [ბიბლიოთეკის დაარსების განზრახვა რუისის სკოლასთან. მასწავლებელ ნ. საძაგლიშვილის მიერ წიგნების შგროვება] // ივერია, 1886, N 159, 24 ივლ.
150. ახალი ამბავი [თბილისის მეტეხის ტუსაღების ბიბლიოთეკისათვის შემოწირული წიგნების სია] // ივერია, 1886, N 35, 13 თებ.
151. ახალი ამბავი [თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის დროებით დაკეტვის შესახებ] // ივერია, 1886, N 163, 29 ივლ.
152. ახალი ამბავი [კონცერტის გამართვა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ. მუზეუმის და ძველი ხელნა-წერთა ბიბილიოთეკის ფონდებით შევსება] //ივერია, 1886, N 254, 12 ნოემბ.
153. ახალი ამბავი [„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ ბიბლიოთეკისათვის ბ-ნ ვასილ ოქონელისაგან შემოწირული ძველი ხელნაწერი წიგნი ვახტაგ მეფის კანონებისა] // ივერია, 1886, N 201, 18 სექტ.
154. ახალი ამბავი [„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიისა და ბიბლიოთეკის გადატანა ფრეილინის ქუჩაზე] // ივერია, 1886, N 133, 22 ივნ.
155. ახალი ამბავი [„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნთსაცავისათვის ძველი ხელნაწერი წიგნის „ეფუთის“ გადაცემა] // ივერია, 1886, N 177, 15 აგვ.
156. ახალი ამბავი [„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ ძველი წიგნების წიგნთსაცავი // თეატრი, 1886, N 17 ._ გვ. 175-176.
157. ახალი ამბები და შენიშვნები [... საიმპერატორო საზოგადოების წიგნთ-საცავში დაცული XII საუკუნის სახარების მხატვრობა ქართული ხელოვნებით შესრულებული. იმავე წიგნთსაცავისათვის საბინინის მიერ შეწირული XII საუ-კუნის ქარტული სახარება] // მწყემსი, 1886, N 19. _ გვ. 10-11.
158. „ბ-ნიალექსანდრე მაისურაზე გვთხოვს, რომ შემდეგი წერილი დავუ-ბეჭდოთ...“ [დავით ამირიძის ქართული ხელნაწერების ბიბლიოთეკა. ე. ხელაძის და ი. ჭყონიას მიერ უდიერი მოპყრობა იქიდან წაღებული ხელნაწერებისადმი] // // ივერია, 1886, N 125, 14 ივნ.
159. [ბახტაძე] ხონელი ილია. საკვირაო სხარტალა ... რა მოუვიდა ტფილი-სის გეოგრაფიის საზოგადოებას... [ამ საზოგადოების ბიბლიოთეკის განადგურება მისი გამგის, Φაბიანის მიერ] // ივერია, 1886, N 204, 21 სექტ.
160. გამრეკელი, ს. წერილი რედაქციის მიმართ /მადლობის გამოცხადება მოსკოვში მყოფი ქართველი სტუდენტებისადმი, რომლებმაც შემოსწირეს ქარ-თული წიგნები სოფელ ხელთუბნის სკოლის ბიბლიოთეკას] // ივერია, 1886, N156 , 17 ივლ.
161. ესევე გამგეობა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა [მადლობას უცხადებს თამარ სარაჯიშვილისას ორი ხელნაწე- რის, დადიანის „ქართველთ ცხოვრება“ და „კარაბადინის“ შემოწირვის გამო] // // ივერია, 1886, N 133, 22 ივნ.
162. თბილელი. თბილისიდგან [ძველი წიგნების და ხელნაწერების დაცვის შესახებ. დავით რექტორის და გიორგი ჩიქოვანის წიგნთსაცავების, აგრეთვე სხვადახვა ძველი ქართული წიგნების გაყიდვის შესახებ] // მწყემსი, 1886, N 29._ გვ. 3-5.

წერილები

ტიტე მოსია



„ვეფხისტყაოსნის" რელიგიის კვლევისათვის XX საუკუნის დასაწყისში

ამ მიმართულებით მეოცე საუკუნეში „ვეფხისტყაოსნის" რელიგიური პრობლემების კვლევამ მასშტაბური სახე მიიღო. საკითხის გარკვევაში ჩართულნი იყვნენ არა მარტო ქართველი, არამედ უცხოელნი მკვლევარნიც. გამოითქვა ურთიერთსაწინააღმდეგო კონცეფციები, მაგრამ რუსთველოლოგიური მეცნიერება საბოლოოდ მივიდა მთავარ დასკვნამდე: მართალია, რუსთაველი მსოფლიოს სხვადასხვა რელიგიის მცოდნე იყო, მაგრამ იგი მოწოდებით ქრისტიან შემოქმედს წარმოადგენდა, აღზრდილს ქართულ ბიბლიაზე, ქრისტიანულ მოძღვრებაზე, და, საერთოდ, ქართულ ქრისტიანულ კულტურაზე.

საკითხზე საუბარს ქრონოლოგიური პრინციპის დაცვით დავიწყებთ მოსე ჯანაშვილის ნაშრომით, რომელიც გამოიცა 1910 წელს. ამ წელს მისი ავტორობით დაბეჭდილა წიგნი სახელწოდებით „ნაშრომი 3".: თავში მოუქცევია ვრცელი ნარკვევი „რუსთაველის გარშემო". ეს არის გარკვეულწილად გადამუშავებული ვარიანტი ჩვენთვის უკვე ნაცნობი წიგნისა „შოთა რუსთაველი" (ტფილისი, 1896). ნარკვევში „რუსთაველის გარშემო" ვეცნობით „ვეფცისტყაოსნის" შესწავლის ისტორიის კრიტიკულ მიმოხილვას, პოემის ლექსიკას. ზოგიერთი საკუთარი სახელის ეტიმოლოგიას. ამ მომენტში ჩვენთვის მთავარი ის არის, რომ მოსე ჯანაშვილმა პირველთაგანმა დაანახა რუსთაველის თხზულებაში გამოხატული ბიბლიურ-ქრისტიანული ცნებები და ელემენტები.

მ. ჯანაშვილის ხსენებული ნარკვევიდან ერთ ნაწყვეტს დავიმოწმებთ: „მოთხრობის განვითარებისას ავტორი (რუსთაველი – ტ.მ.) გზა და გზა გვაცნობებს თვით გმირების ვინაობასაც: აქ ქართულად ლაპარაკობენ, აქ ჩნდებიან მაჰმადიანთა მუყრი და მულიმები, აქ ავთანდილი წმინდა ქრისტიანულს ანდერძს სწერს (ისეთს, როგორიც დასტოვა ხალხური თქმულების ავთანდილმა, რომელმაც დედას სთხოვა, ჩემი ქამარ–ხანჯალი მღვდელს მიეციო საწირავად), სხვაგან ჩნდებიან ნავროზობის მედღესასწაულენი და სხვა.[1]

როგორც ვხედავთ, მ. ჯანაშვილი განიცდის მ. გულაკის გავლენას. სწორედ მისი მიდევნებით ავტორი „ვეფხისტყაოსანში" ამჩნევს რამდენიმე რელიგიას, თუმცა უპირატესობას ქრისტიანობას ანიჭებს, რაც მთავარია, ხაზი გაესმის რუსთაველის ქრისტიან – პოეტობას.

როგორც ცნობილია, 1912 წელს ინგლისში დაისტამბა „ვეფხისტყაოსნის" მარჯორი უორდროპისეული თარგმანი, რომელსაც ერთვის მისივე ძმის, ოლივერ უორდროპის, წინასიტყვაობა. იგი მრავალმხრივ საყურადღებოა, ავტორს არც პოემის რელიგიურობა გამოუტოვებია. თავდაპირველად საუბრობს იმ მიზეზებზე, რამაც განსაზღვრა „ვეფხისტყაოსანში" უკომპრომისო რწმენის ჩანერგვა: „მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო, რომ ის ხალხი, რომელმაც მთელი თავისი ცხვორება ქრისტიანობისათვის ბრძოლას შეალია, ევროპასა და აზიას შორის ქრისტიანობის ხიდის გადებას ლამობდა,თავის უდიდეს მხატვრულ ქმნილებაში ჩააქსოვდა უკომპრომისო რწმენას".[1]

ამით ო. უორდროპი გვეუბნება, რომ საუკუნეების მანძილზე ქრისტიანობისათვის მებრძოლი ერის შვილმა თავის პოემაში ჩააქსოვაო ქრისტიანული სარწმუნოების რწმენა, ანუ თხზულება გაჟღინთაო ქრისტიანული იდეებით. თუმცა „წინასიტყვაობის" ავტორი იქვე აქცენტს აკეთებს რუსთაველის აზროვნების თავისუფლებაზეც და არა რელიგიურ ფანტაზიაზე: „მაგრამ შოთასთვის აზრის თავისუფლება უფრო დამახასიათებელია, ვიდრე ფანატიზმი. ამიტომ იყო, რომ სხვადასხვა ხანაში, თვით მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისშიც კი, მართლმადიდებელი სასულიერო წოდება სპობდა პოემის ხელნაწერებს და პირველად 1712 წელს დაიბეჭდა მხოლოდ იმის წყალობით, რომ მისმა გვირგვინოსანმა გამომცემელმა პოემას დაურთო სარწმუნოებრივ-მისტიკური განმარტება.[2]

რამდენადაც ალაპარაკდა ო. უორდროპი რუსთაველის აზროვნების თავისუფლებაზე რელიგიურ ფანატიზმთან შედარებით, არ ცდილობს პოემის ტექსტში ქრისტიანული რელიგიის გამოვლინებას, ქრისტიანული მოტივების ძიებას. ამან ის მიიყვანა ზოგადად თქმულ დასკვნამდე, რომ „ვეფხისტყაოსანში" ქრისტიანობა,

---

[1] **მ. ჯანაშვილი**, ნაშრომი, 3 (რუსთაველის გარშემო), ტფილისი, 1910, გვ. 35

[1] **ო. უორდროპი**, „ვეფხისტყაოსნის" ინგლისური თარგმანის წინასიტყვაობა, წიგნში: რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, I, გვ. 335

[2] იქვე, გვ. 335-336

როგორც საეკლესიო სისტემა, შეიძლება ითქვას, მხოლოდ გაკვრით იხსენიებაო. ამის დასასაბუთებლად იქვე უხმობს პოემიდან რამდენიმე მაგალითს: აღდგომა–აღვსების დღე; ლუსკუმი; ბაკმი". ეს რომ ზერელე და ნაჩქარევი დასკვნა იყო, შემდგომი დროის კვლევა–ძიებამ ნათლად დაადასტურა.

ო. უორდროპის თანახმად, „რუსთაველი თავის პოემას რომ წერდა, ეტყობა, არ ცდილობდა ერთი რომელიმე სარწმუნოება ღირსებით შეემკო, ხოლო მეორე დაემცირებინა. იგი უპირატესობას არ ანიჭებდა რომელიმეს, არამედ ყველას კრიტიკული თვალით უცქეროდა და თვითონ შეიმუშავა ცხოვრების შესახებ საკუთარი ფილოსოფია, საკუთარი მსოფლმხედველობა".[3] ამით ინგლისელი მკვლევარი მიგვანიშნებს „ვეფხისტყაოსნის" მრავალრელიგიურობაზეც.

„პოემაში ნახსენებია მაჰმადი და მექა და სამ ალაგას ყურანი. ისლამის ოფიციულური წარმომადგენელნი, ცოტა არ იყოს, ირონიულად არიან მოხსენიებული. ქრისტიანობა, როგორც საეკლესიო სისტემა, შეიძლება ითქვას, მხოლოდ გაკვრით იხსენიება (აღდგომა–აღვსების დღე, ლუსკუმა, ბაკმი).[4]

როგორც ვგრძნობთ, ო. უორდროპმა „ვეფხისტყაოსნის" რელიგიის საკითხებს ევროპელის თვალით შეხედა, უპირატესობა მიანიჭა რუსთაველის მსოფლმხედველობრივი აზროვნების თავისუფლებას, თავდახსნილს რელიგიური დოქტრინების არტახისაგან. პოეტი აღიარა მსოფლიო რელიგიათა მცოდნედ, მაგრამ არც ერთი მათგანის გამოკვეთილ მიმდევრად. რუსთაველი წარმოაჩინა საკუთარი რელიგიისა და ფილოსოფიური მსოფლმხედველობის ჩამომყალიბებელ პოეტად.

საგულისხმოა ო. უორდროპის დაინტერესება „ვეფხისტყაოსნის" ბიბლიური წყაროების ძიებებით, რომლითაც სტიმული მისცა მომდევნო პერიოდის მკვლევართ ამ მიმართულებით მუშაობის გაღრმავებისა: „ვეფხისტყაოსანში" მოიპოვება ზოგიერთი ციტატა დაბადებიდან: „სიმწარითა დანაღვლება", „ირემი და წყარო", „მოჟღერანი ეჟვანნი", ქება „უხვობა–იეფობისა", „დაფარული საუნჯე", „დასჯერდეს", „არცა სხვასა უწუნობდეს", „ზღვათაცა შესდის და გაედინების".[1]

მკვლევარი განაგრძობს: „აქა–იქ ნახსენები არიან ბიბლიური პიროვნებანი". ადამი, ბელზებელი, ეზრა, გოლიათი, დევი და სატანა. გეოგრაფიული სახელწოდებანი: ედემი, ევფრატი, ჯეონი, ბისონი და გაბაონი. ერთგან თითქოს მეორედ დაბადების (რეგენერაციის) დოქტრინასაც კი იხსენიებს ავტორი, მეორეგან კი – ჯოჯოხეთს".[2]

1912 წელს ჟურნალ „განათლებაში" ქვეყნდება სამსონ ფირცხალავას წერილი „სევდიანი კილო „ვეფხის ტყაოსანში".[3] წერილი ასე იწყება: „ჩვეულებრივად შ. რუსთაველის უკვდავი ნაწარმოები წარმოდგენილი გვაქვს, როგორც ქებათა ქება მშვენიერის, კეთილშობილის სრულის და ლაღის სიცოცხლისა. მთელი პოემა გამსჭვალულია ულამაზესის სიყვარულის წყურვილით"...[4] მაგრამ, ს. ფირცხალავას თქმით, „ვეფხისტყაოსანში" არის ადგილები, რომლების კილო სრულებ არაა მხიარული. სტატიის ავტორს პოემიდან ამოუკრეფია ის ტაეპები და სტროფები, რომლებიც გაჟღენთილია საწუთროს უხანობით, გარდამავლობით, სიცოცხლეზე სიკვდილის ბატონობით, წუთისოფლის გაუტანლობით, დაუნდობლობთ, ადამიანისადმი მტრობით, სიცრუით, ღალატით, ორპირობით, მუხთლობით...

საწუთროს ვერაგობით დათრგუნული იდეალური გმირები პოემისა ღმერთის იმედით არიან, სწამთ, რომ ღმეთრი არ გაწირავს საწუთროსაგან განწირულთ, მფარველად მოევლინება მათ. სწორედ ეს მომენტებია აქცენტირებული ს. ფირცხალავას მიერ თხზულებიდან ამოწერილ სალიტერატურო მასალებში. სტატიაში ვკითხულობთ: „სიცოცხლის ბატონი სიკვდილია, ამას ჰგრძნობს ტარიელიც. როდესაც იგი შეხვდება დარეჯანს და ლახვარი ეცემა ცნობასა და გულსა, მაშინ – გვეუბნება – დავიწყე გარდახდა მე საწუთროსა ვალისა. მისი რწმენით, ტანჯვა და მწუხარება თითქოს ვალია ადამიანისა, რომელიც უნდა გადაუხადოს სოფელს და უდიდეს სიყვარულის გრძნობაში გარეულია უმწვავესი ალი ტანჯვისა. ეს ძალად ლომი და პირად მზე, გმირი მეომარი, მტერთა მძლეველი უძლურია ამ გარდაუვალ ბედის წინაშე და სხვა არა დარჩენია რა იმის მეტი, რომ ღმერთს შეევედროს: მომეც ძალი დათმობისა, ცოტათ ვითმე აღმიდგინე".[1] ტარიელს (ისევე როგორც რუსთაველს) სწამს ღმერთისა და სწორედ ამიტომ ევედრება მას სატანჯველიდან ხსნას.

ს. ფირცხალავა წერს: „ჩვენი „ვეფხის ტყაოსნის" „საწუთრო" არ არის ღმერთი, არც ღვთაების ბრძანებული. პირიქით, თუ საწუთრო, სოფელი ებრძვის, ღალატობს ადამიანს, ამ ბრძოლის დროს ღმერთი ადამიანის მფარველია, მწეა".[2] სანიმუშოდ იმოწმებს ავთანდილის ნათქვამს:

---

[3] იქვე
[4] იქვე
[1] **ო. უორდროპი**, „ვეფხისტყაოსნის" ინგლისური თარგმანის წინასიტყვაობა, წიგნში: რუსთაველი მსოფლიო ლიტერატურაში, I, გვ. 336
[2] იქვე
[3] **ს. ფირცხალავა**, სევდიანი კილო „ვეფხის ტყაოსანში", ჟურ. „განათლება", ტფ. 1912, სექტემბ. VII, გვ. 521–527
[4] იქვე, გვ. 521
[1] **ს. ფირცხალავა**, სევდიანი კილო „ვეფხის ტყაოსანში", ჟურ. „განათლება", ტფ. 1912, სექტემბ. VII, გვ. 523
[2] იქვე, გვ. 525

„ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რაზნე გჭირსა,
ყოვლიმც შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა.
სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადათ ძირსა,
მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან განაწირსა“.

როდესაც ს. ფირცხალავა გვარწმუნებს, „საწუთრო“ არ არის ღმერთი, მხედველობიდან უშვებს იმ გარემოებას, რომ ამქვეყნიური ცხოვრება, იგივე საწუთრო და ადამიანი უფლის მიერ არის შექმნილი, იგი „კაცსა ყოველსა, ვითა ტაროსი უხდების“. სწორედ ამიტომ ევლინება განსაცდელის ჟამს დამცველად თუ მფარველად ღმერთი მის მიერვე გაჩენილს. ეს იციან პოემის გმირებმა და ამიტომაც ეიმედებათ ღმერთისა, რომელიც არ გაწირავს სატანჯველში ჩავარდნილთ.

ს. ფირცხალავა განაგრძობს: „საწუთრო არც ეტლია, რომელიც წინდაწინვე გამართავს ადამიანის ცხოვრების გზას („ვერვინ ვერას იქმს, თუ ეტლი არ მოსთმინდების“), ეტლი განგებას ემორჩილება... ყველაფრის თავი და ბოლო განგებაა“.[3] ავტორს ამოუწერია სათანადო ნიმუშები პოემიდან, სადაც ცნება „განგება“ ფიგურირებს: „უგანგებოდ ვერას მიზმენ“... განგებაა, რა დავრჩები, ლახვარნია ჩემთვის მზანი“... „განგებაა, დღესაც მომკლავს, ქვემცა სადა დავიმალე“... „უგანგებოდ არა კაცი არ მოკვდების“...

ეტყობა, ს. ფირცხალავას ცნება „განგება“ ესმის, როგორც ადამიანისთვის ზეცაში წინასწარ განსაზღვრული რამ, ბედისწერის ტოლ–სწორი, რომელსაც ვერ აცდება იგი, ხოლო მისთვის თავის დაღწევა ღვთის ძალით არის შესაძლებელი („არას გარგებს ძლიერება, თუ არ შეგწევს ღვთისა ძალა“).

გამომდინარე აქედან, მოულოდნელი ჩანს ს. ფირცხალავას შემდეგი გამონათქვამი: „თუ ქვეყნად არიან ძალები, რომლებიც ადამიანს მტრობენ, ღალატობენ, სიხარულს სიმწარედ შეუცვლიან, არც ცნება – ღმერთი, რომელც არასოდეს არ გასწირავს ადამიანს“.[4] („ძნელია პოვნა კაცისა, ღვთივ ზეცით განაწირისა“; „კაცსა ღმერთი არ გასწირავს“...). ავტორის ამ ნაფიქრალით „განგება“ და „ღმერთი“ სინონიმურ ცნებებად ჟღერს, რაც შეუსაბამობაში მოდის პოემიდან თვით ს. ფირცხალავას მიერ ამოწერილ ნიმუშებთან საკითხთან დაკავშირებით: „განგებაა, დღესაც მომკლავს“... „უგანგებოდ არა კაცი არ მოკვდების“ და ა. შ. თუ ადამიანს სიკვდილი განგებიდან ევლინება, მაშინ როგორაა იგი მისი მხსნელი, მისი არ გამწირველი“.

რუსთაველის გმირები რომ გულმართლად მიენდობიან ღმერთს, ამის დამადასტურებელი კიდევ ერთი მაგალითი მოაქვს ს. ფირცხადავას „ვეფხისტყაოსნიდან“: „აწ იგი იქმნას, რაცაღა ენებოს ღვთისა წადილსა“; „იგი მოგვცემს წყალობასა მისსა, ზეცით მოგვაქუხებს“.[1]

ს. ფირცხალავას საანალიზო წერილში კონკრეტულად არაფერი თქმულა რუსთაველზე, როგორც ქრისტიან პოეტზე. აქ საუბარია ზოგადად ღმერთზე, რომელიც განგებისგან თუ წუთისოფლისგან განწირულ ადამიანს მფარველად, შემწედ და მხსნელად ევლინება. ცხადია, მკვლევრის მიერ უშუალო მინიშნება არ ჩანს ქრისტე-ღმერთზე, მაგრამ უფლის თვისებების გადმოცემისას იგი, მხოლოდ ქრისტიანთა ღმერთს გულისხმობს, რითაც ხაზი გაესმის პოეტის ქრისტიანობასაც.

1915 წელს ჟურნალ „განთიადში“ დაიბეჭდა პეტრე მირიანაშვილის „სალაყბო წერილები“, სადაც ავტორი ძირითადად „ვეფხისტყაოსანს“ შეეხო. კერძოდ, მსჯელობს ნესტან–დარეჯანის პიროვნებაზე, რომლის ტიპი მის დრომდე ყალბად გაგებულად მიაჩნია: „მსოფლიო მწერლობაში რამდენიმე თუ ჩამოითვლება თავისი სიდიადით ასეთი ტიპი. ქართულ მწერლობაში ხომ სულ ობლად დგას, ისევე, როგორც მისი უკვდავი შემოქმედი დიებული რუსთაველი“.[2] იგი რელიგიურ საკითხებსაც არ უვლის გვერდს. შეგვახსენებს „ვეფხისტყაოსნის“ დევნის ისტორიას სამღვდელოების მხრიდან. ეხება იმ მოტივებს, რამაც სასულიერო საზოგადოება პოემისადმი მტრულად განაწყო.

პ. მირიანაშვილი მკითხველს მოაგონებს რუსთაველის ნაწარმოებიდან ერთ ეპიზოდს: ტარიელი კოშკში ეახლა პირქუშად დამხვედრ მიჯნურს, ნახა მის სასთუმალთან გადაშლილი მუსაფი (ყურანი), აიღო იგი, ადიდა ღმერთი, მერე აქო ნესტანი და ა. შ. ტარიელმა ნესტანს შეჰკადრა ასეთი სიტყვები: იმ ჭაბუკს (იგულისხმება ხვარაზმშას ძე) ღმერთმა აშოროს შენი ქმრობა“. ცხადია, პ. მირიანაშვილი ხსენებულ „ღმერთში“ მაჰმადიანთა ღმერთს გულისხმობს.

ქვემოთ მკითხველს შევთავაზებთ ვრცელ ამონაწერს პ. მირიანაშვილის წერილიდან: „სარწმუნოებრივი მოტივი ქართულ პოეზიას ხშირად ჰქონია, მაგრამ მისი ხელოვნურად გამოყენება ყოველთვის არ სცოდნიათ. პოეტებსა, ქართველ მეხოტბეთა იოანე შავთელსა და ჩახრუხას ვერ წარმოუდგენიათ ღმერთი, თუ არ სამებით, ბრძოლა, თუ არ ქრისტეს სადიდებლად, მართლ–მადიდებლობის გასამარჯვებლად. რა საკვირველია, განაგრძობს პ. მირიანაშვილი, – მაშინ დრო იყო ისეთი, როცა სარწმუნოებრივი გრძნობა დიდი ფაქტორი იყო გვარტომობრიობის განსამტკიცებლად, როცა ერის ერთობას ხელს უწყობდა მის შვილთა სარწმუნოებრივი ერთობა“.[3]

---

[3] იქვე
[4] იქვე
[1] **ს. ფირცხალავა**, სევდიანი კილო „ვეფხის ტყაოსანში“, ჟურ. „განათლება“, ტფ. 1912, სექტემბ. VII, გვ. 526
[2] **პ. მირიანაშვილი**, სალაყბო წერილები, ჟურ. „განთიადი“, 1915, №11, გვ. 22
[3] იქვე, გვ. 18

ბუნებრივია, პ. მირიანაშვილის მიერ ზემოთ ჩამოყალიბებული აზრები სწორია და მიზანმიმართული, მაგრამ გაუგებრობას იწვევს მისი შემდგომი გაგრძელება: „მაგრამ ასეთ დროსაც შეიძლებოდა მოევლოთ ამ მიმართულებისათვის ისე, რომ არა ქრისტიანი მკითხველისათვის საჩოთირო არ ყოფილიყო ქართველი პოეტის ნაწარმოების თარგმანის წაკითხვა განსაკუთრებით იმად–ყულსა, რომელიც იქნებოდა ღვთის საცნაურობის განმარტება. ღვთის ერთობა და იმ დროსვე მისი სამ თბოვანება, თუ ადვილად შესაწყნარებელია მორწმუნე ქრისტეანეთაგან, სრულიად შეუწყნარებელია მოსესა და მუჰამადის რჯულის მართლმორწმუნეთაგან“.[4] გამოდის, რომ ქრისტიან ქართველ მწერლებს ნაწარმოებები უნდა ეწერათ მაჰმადიანი და იუდისტი მკითხველის მოსაწონებლად (თარგმანის შესრულებისას) მათივე რელიგიის საპოვნელად ტექსტში.

ამის შემდეგ პ. მირიანაშვილი მიადგა „ვეფხისტყაოსანს“, მისი მოქმედი ყველა პირი „გაამაჰმადიანა“, მოიხსენია პოემაში დაფიქსირებული „მაქა“, „მუსაფაი“, „მუყრი“ და „მულიმი“ და იქვე ერთმნიშვნელოვნად განაცხადა, რომ თხზულებაში ღვთის დიდება და ვედრება საყოველთაო ხასიათისაა და ყველასათვის ერთნაირად გასაგები. ავთანდილის ლოცვას ყოველი მორწმუნე მოაწერდაო ხელს, თვითონ პ. მირიანაშვილს მოვუსმინოთ:

„ვეფხის ტყაოსნის“ ხალხი მაჰმადიანია, მაგრამ მათი ღვთის დიდება და ვედრება ისეთია, რომ ყოველი მორწმუნე, რა რჯულისაც უნდა იყვეს, ერთნაირის სასოებით წაიკითხავს. შეიძლება სთქვან, რა კი ხალხი მაჰმადიანია, იმის გამო ავტორს სხვაფრივ არ შეეძლო მათი სარწმუნოებრივი გრძნობის გამოხატვა. დაუჯერებელია, რადგანაც ზოგჯერ შოთა რუსთაველს მოუხსენიებია კიდეც მაქა, მუსაფ, მუყრი, მულიმი (იგულისხმებიან შესაბამისად – წმინდა ქალაქის სახელი, ყურანი, მოლა, სჯულის მცოდნე ღვთისმეტყველი – ტ.მ.), მაგრამ უმთავრესი რამ, ე. ი. ღვთის საცნაურობის განმარტება, ღვთის დიდება და ვედრება, საყოველთაო ხასიათის არის, ყველასათვის ერთნაირად გასაგებია, ავთანდილის ლოცვას ყველა მორწმუნე კაცი მოაწერს ხელს“.[1]

თუ დამოწმებული ციტატების საფუძველზე პ. მირიანაშვილს დავუჯერებთ, პოემის ყველა მონაწილე ადამიანი მაჰმადიანია, მაშინ გამოდის, რომ „ვეფხისტყაოსანი“ მუსლიმანურ სარწმუნოებაზე დამყარებული ძეგლია. წერილის ავტორის ქვეტექსტიდან ეს უნდა ამოვიკითხოთ, თურმე განსხვავებულადაც არის საქმის ვითარება: სხვადასხვა რელიგიის მიმდევართაც შეუძლიათ მასში იპოვონ მშობლიური რელიგიური იდეები, იმდენად „საყოველთაო ხასიათის არის ღვთის დიდება და ვედრება გამოხატული“.

ერთი სიტყვით, პ. მირიანაშვილის მსჯელობა იქითკენ არის მიმართული, რომ მკვლევარნი ნუ დაშვრებიან „ვეფხისტყაოსანში“ კონკრეტულად ქრისტიანული მოტივების, ქრისტიანული მორალისა და ეთიკის, ქრისტიანული აღმსარებლობის ძიებებით. თითქოს რუსთაველის ღმერთი არ არის ქრისტიანული ღმერთი, იგი ყველა ერის მორწმუნეთა ღმერთია, ზოგადად ღმერთი. ამით მან ხაზი გადაუსვა ამ მიმართულებით სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებებს და მართებულ დასკვნებს რუსთაველის ქრისტიანული პოეტობის შესახებ, „ვეფხისტყაოსნის“ ქრისტიანიზმის შესახებ ვახტანგ მეექვსიდან მოკიდებული პ. მირიანაშვილამდე.

„სალაყბო წერილების“ ავტორის ლაყბობა საზღვრებს კარგავს, როცა რუსთაველი დეისტად გამოაცხადა. განმარტებათა ლექსიკონი მოვიშველიოთ: „დეიზმი – რელიგიურ–ფილოსოფიური მოძღვრება, აღიარებდა ღვთის, როგორც სამყაროს პირველმიზეზის, არსებობას, მაგრამ უარყოფდა მის ჩარევას ბუნებასა და საზოგადოების განვითარებაში“.

პ. მირიანაშვილს დავუგდოთ ყური: „შოთა რუსთაველი დეისტია, დიდი ხელოვანია...[2] ამ განცხადებით მან „ვეფხისტყაოსნის“ გმირები და ღმერთი ერთმანეთს მოწყვიტა. მათი ურთიერთობის კვალი წაშალა, პერსონაჟები და ბუნება უღმერთოდ დატოვა, ხოლო ღმერთი კი ბუნებისა და ადამიანების გარეშე.

მოკლედ რომ მოვჭრათ, პ. მირიანაშვილის „სალაყბო წერილებში“ რუსთაველის რელიგიურ საკითხებზე გატარებული აზრები მიუღებელია და კრიტიკას ვერ უძლებს. ავტორს ვერ გაუგია „ვეფხისტყაოსნის“ ღმერთის არსი და რაობა და, მისდა სამწუხაროდ ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავარდნილა, უგემური ლაყბობა გამოსვლია.

[4] იქვე
[1] **პ. მირიანაშვილი**, სალაყბო წერილები, ჟურ. „განთიადი“, 1915, №12, გვ. 18
[2] იქვე

ლუარა სორდია

მომეცით ჩრდილი ვარდების ბუჩქის, მომეცით თასით

გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს თასის, ჭიქის, ფიალის, აზარფეშის გააზრება სიმბოლურ ჭრილში.

ბიბლიაში ბაბილონი შედარებულია ღვინის თასთან: „თასი იყო ბაბილონი უფლის ხელში, მთელი ქვეყნიერების დამათრობელი; მის ღვინოს სვამდნენ ხალხები“ (იერემა წინასწარმეტყველი, 51,7) (1,176).

ეზეკიელის წინასწარმეტყველებაში გვხვდება „სასოწარკვეთის და განადგურების თასი“ (ეზეკიელი, 24,33) (1,215).

„სიბრუვის თასი“, „რისხვის თასი“, ფიალა იქცევს ყურადღებას ესაია წინასწარმეტყველთან (ესაია, 51,22) (1,113).

თასის, საწმისისა და ცვრის ისტორია მოთხრობილია მსაჯულთა წიგნში.

გედეონს გამოეცხადა უფლის ანგელოზი, მერე თვით უფალი, რომელმაც ურჩია დაენგრია ბაალის სამსხვერპლო, ჭეშმარიტი ღმერთისთვის აეგო რიგიანი სამსხვერპლო და შეეწირა მოზვერი.

„უთხრა გედეონმა ღმერთს: თუ ჩემი ხელით იხსნი ისრაელს, როგორც მეუბნებოდი, მაშინ საწმისს გავშლი კალოზე: თუ ცვარი მხოლოდ საწმისზე იდება, მთელი მიწა კი მშრალი იქნება, ვირწმუნებ, რომ ჩემი ხელით იხსნი ისრაელს, როგორც მეუბნებოდი.

„ასეც მოხდა: მეორე დღეს დილაადრიან ადგა, გაწურა საწმისი და მთელი თასი წყალი გამოადინა.

„უთხრა გედეონმა უფალს: ნუ შემრისხავ, მინდა ამ ერთხელ კიდევ მოგმართო და ამ ერთხელაც კიდევ ვსინჯო საწმისი. მხოლოდ საწმისი იყოს მშრალი, მთელ მიწაზე კი ცვარი იდოს.

„ასეც მოახდინა იმ ღამით ღმერთმა: მხოლოდ საწმისი იყო მშრალი, მთელ მიწაზე კი ცვარი იდო“ (მსაჯულნი, 6, 36-40) (2,244).

ცვარი ღმერთის, თასი კი მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლოა.

„ვიქნები ცვარი ისრაელისთვის, აყვავდება, როგორც შროშანი და ლიბანივით გაიდგამს ფესვებს“, ნათქვამია ოსიას წინასწარმეტყველებაში (14,6) (1,273).

გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში გამრავალფეროვნებულია თასის სახე, მის პარალელურად იხმარება ფიალა, ჭიქა, აზარფეშა და ამ სახეებში უმეტესად, ღვთისმშობელი იგულისხმება.

თასი მოიაზრება ალთან (ცეცხლთან), ვარდის ჩრდილთან, ყინვასთან, სიცოცხლესთან, ღვინოსთან, ჩანგთან, დღის ხმასთან.

ლექსში „ალის თასი“ (3,292) ნათქვამია: „ცეკვავს ქალების დასი, მთვრალი მუსიკის ჟინით, ალის მომეცით თასი, სავსე ძლიერი ღვინით“.

ალი, ცეცხლი საღვთო სახელია, ხოლო თასი – ღვთისმშობლის, ასე რომ სრულიად ლოგიკური სიტყვათაშეთანხმებაა – დედა-ძის ერთდროული მოხსენებაა.

ღმერთი არის არა შემწველი, არამედ განმანათლებელი ცეცხლი. ამ სახის მრავალი ვარიაცია გვხვდება გალაკტიონის პოეზიაში: მარადიული ცეცხლი, ზეციური ცეცხლი, წმინდა ცეცხლი, ფარული ცეცხლი, განათებული ცეცხლი, ელვარე ცეცხლი, ციური ცეცხლი, ცეცხლის სვეტი, მფარველი ცეცხლი, წმინდა ფარული ცეცხლი, გამოუთქმელი ალი, უმანკო ცეცხლის ალი, საიდუმლო ალები, ჟამთა ცეცხლი, ცეცხლის ალმური, ცეცხლის კამარა, სიხარულის ცეცხლი...

ბიბლიაში მოსეს ცეცხლწაკიდებული მაყვალი ეჩვენა, მაგრამ მაყვალი არ იწვოდა (გამოსვლა, 3,2) (2,59).

„მაყვალი ღვთისმშობლის სიმბოლოა, ხოლო ცეცხლი – ქრისტესი“ (ა. ბაქრაძე, სასულიერო პოეზიის სახეები) (4,58).

ქრისტე არის „... ცეცხლი უვნებლად განმანათლებელი“ (5,107).

გალაკტიონის ზემოთხსენებული ლექსის ცეცხლის თასი სავსეა „ძლიერი ღვინით“.

ღვინო საღვთო სახელია.

წმინდა, წერილში ქრისტეს მოვლინება შედარებულია ნადიმთან, რომელსაც ამშვენებს „ძველი, დაწმენდილი ღვინო“: „გაუმართავს ცაბაოთ უფალი ყველა ხალხს ამ მთაზე ნადიმს მსუყე კერძებით, ნადიმს ძველი ღვინით... ძველი, დაწმენდილი ღვინით“(ესაია წინასწარმეტყველი, 25,6) (1,91).

გალაკტიონის „ალის თასის“ „ძლიერი ღვინო“, ვფიქრობთ, ქრისტეს სიმბოლოა და მის მოძღვრებასთან ზიარებას გულისხმობს.

ლექსში „მარმარილო“ (1,75) „ცა სიყვარულის და სიცოცხლით ძვირფასი თასია“.

ცა ანუ „ცათა ცა“ არის უზენაესის სამყოფელი, „გონიერი ზეცა“.

სიყვარული საღვთო სახელია: „...ღმერთი-სიყვარულია“ (კათოლიკე ეპისტოლენი I იოანესი, 4,8) (6,320).

იოანე მოციქულის გამოცხადებაში ღმერთი „პირველი სიყვარულია“.

ქრისტემ ასე უსაყვედურა რწმენის დამვიწყებელ ეფესოს ეკლესიას: „...შენ დაივიწყე შენი პირველი სიყვარული“ (იოანეს გამოცხადება, 2,4) (6,492).

ღმერთი არის „დიადი სიყვარული“ (ნეტარი ავგუსტინე, „აღსარება“) (7,390).

დანტე ალიგიერისთვის ღმერთი არის „სიყვარული პირველი, უზენაესი სიყვარული“ (8,328).

საღვთო სახელია „სიცოცხლე“. ქრისტე გვამცნობს სახარებაში: „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება, სიცოცხლე“ (იოანე, 14,6) (6,211).

თასი მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლოა, „სიცოცხლით ძვირფასი თასი“ დედა-ძეს გალისხმობს.

ლექსში „მივაშუროთ“ (3,361) თასი მოაზრებულია „სიცოცხლის ჩანგებთან“, „დღის ხმასთან“, ზამბახთან: „სიცოცხლის ჩანგებს მივაშუროთ ისევ თასებით, მრავალ წყურვილთა გახელებით, გაათასებით“.

სიცოცხლე არის ქრისტეს სიმბოლო, სიცოცხლის ჩანგი – რელიგიური სიტყვა, თასი – ჩვენი ზეციური დედის სახეა. გამჟღავნებულია რწმენის, ქრისტიანობის დიდი სიყვარული.

შემდეგ სტრიქონებში ნათქვამია: „ვთქვათ ამომსკდარი მიწებიდან ზღვა დარხეული, თასი დღის ხმათა და კვლავ თასი ზამბახეული“.

ზღვა ცოდვილი ცხოვრების სიმბოლოა: „ბოროტეულნი აღელვებულ ზღვას ჰგვანან, რომელიც ვერ წყნარდება და მისი ტალღები ისვრიან ლაფს და ტალახს“ (ესაია წინასწარმეტყველი, 57,20) (1,116).

პოეტის მიზანია მიწიერი, ზღვასავით ბობოქარი, ცოდვილი ცხოვრების მხილება და უზენაესის გზის ჩვენება, რასაც გვაუწყებს სტრიქონები: „თასი დღის ხმათა და კვლავ თასი ზამბახეული“.

დღე საღვთო სახელია: „ეს არის დღე, რომელიც ქმნა უფალმა, ვილხინოთ და ვიმხიარულოთ მასში“ (ფს.117,24) (6,765).

„დღის ხმა“, ამ კონტექსტში, შეიძლება აღვიქვათ, როგორც უზენაესის ხმა.

თასიც და ზამბახიც (ზამბახის პრინცესა) უფლის დედის მეტაფორაა (იხ. „ზამბახის პრინცესა“).

ე.ი. ჭეშმარიტი პოეზიის მიზანია, მიგვახედოს ჩვენი ზეციური მამისა და დედისკენ, ქრისტიანული მცნებებისკენ, ცოდვებს, ცდუნებებს დაუპირისპირდეს ჰუმანური მრწამსი.

ლექსში „პუშკინი პარიზში“ (3,584) რელიგიური ქვეტექსტის შემცველი ფრაზაა „ჩავუშვათ ღვინის სიანკარეში ჩვენი ბეჭდები“, რომელშიც ღვინო ქრისტეს, ბეჭედი – მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლოებია.

მარიამ ღვთისმშობელი არის „ზეცის ბეჭედი“ (9,121).

ამავე ლექსში ყურადღებას იქცევს ასეთი ენიგმა: „მომეცით ჩრდილი ვარდების ბუჩქის, მომეცით თასით“.

ვარდი ქრისტიანული ღმერთის სიმბოლოა, თასი – მარიამ ღვთისმშობლის. თასში მოქცეული ვარდის ბუჩქის ჩრდილი ძალზე ორიგინალური სახეა, მას პირდაპირი წყარო არ მოეპოვება და ნიშნავს დედა-ძის განუმეორებელი ხატების თაყვანისცემას.

„მოგონებებში“ (3,781) ძირითადი აქცენტის მატარებელი, არსებითი მნიშვნელობის მქონე სახეე-

ბია: წიგნი, მემარნე, ძვირფასი ღვინო, უკვდავი ღვინო, თასი: „შენ მხარზე დოქით, მე ხელში წიგნით მივედით მარანს, მივედით მარანს, შევედით შიგნით – ჭურს მტვერი ფარავს“.

წიგნი, მშვიდობის წიგნი და მისი ვარიაციები საღვთო სახელია ბიბლიის, ღვთისმეტყველების, რელიგიური პოეზიის (დანტეს) მიხედვით (იხ. წიგნის სიმბოლიკა).

ლექსის შემდეგი სტრიქონები მთლიანად ენიგმებით არის სავსე. „არ ჩანდა მემარნე, მაგრამ ძვირფასი ღვინო მოვიგნეთ, უკვდავი ღვინო, – შენ ჩემი თასით, მე შენი წიგნით“...

მებაღე, მემარნე მამაღმერთის პარადიგმებია, როგორც „ძვირფასი ღვინო“,უკვდავი ღვინო“, წიგნი.

ე.ი. ლექსის ლოგიკით, „ძვირფასი, უკვდავი ღვინის“ და „წიგნის“ მიგნება ხდება „თასით“, ანუ იესო ქრისტეს ხილვის გზა არის მარიამ ღვთისმშობელი.

პოემაში „მშვიდობის წიგნი“ „თასი“ ფიგურირებს „გზასთან“: „გზა სანაქებო ვამკოთ ამ თასით“ (10,341).

ამ ფრაზაში „გზა სანაქებო“ ქრისტეს მეტფორაა, თასი – ღვთისმშობლის.

„ივლისისფერი ყინვის თასებიც“ (ალვები თოვლში) ჩვენი ზეციური დედის სიმბოლოა, უგულებელყოფილი, გაყინული ურწმუნო ეპოქის მიერ.

რწმენა – ურწმუნოების დაპირისპირების წარმოჩენაა ლექსში „პორტრეტი“ (3,222), რომელშიც „ცხოვრება გაწყრა და გაალქაჯდა“, დავიწყებულ იქნა „მწყემსი“ („მწყემსი კეთილი“ – ქრისტე).

პოეტი „ცეცხლის მოდებით“ მღეროდა, ზღვის გრიალს „ცისფერ ხომალდით“ (რწმენით) უპირისპირდებოდა (ღვთისმეტყველების მიხედვით, ცხოვრება არის მღელვარე, აბობოქრებული ზღვა, რომლის გადალახვა შესაძლებელია გემით, ძელით, ჯვრით, ანუ ცოდვებზე ამაღლების გზა არის ეკლესია, რელიგია), თასით ღვინოს ეწაფებოდა (დედა-ძის მოძღვრებას ეზიარებოდა), ათეიზმის ეპოქამ კი თასი არა ღვინით, არამედ „საწამლავებით“ აავსო... იდეალი იყო ვარდები, ზამბახი, წიგნი (ქრისტე და მარიამი), მაგრამ ირგვლივ ღამე, გველი გაბატონდა, მოკვდა ოცნება და არა „წიგნს“, არამედ „ხმელ თავის ქალას“ (სიკვდილს) მზერდა ლექსის ლირიკული გმირი.

პოეტი ეძებდა „მეგობრულ თასს“, ეპყრა „ბედთან არდარიდების თასი“ (სადღეგრძელო იყოს მისი) (3,374).

მზის ამოსვლის მშვენიერებაც თასის თანხლებით იხილა: „მზის ამოსვლისას სავსეა თასი ათასი ლალის და კელაპტარის“ (ყაზბეგის მხრეები) (3,628).

ლიტერატურა

1. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, თბ. 1990
2. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი I, თბ. 1990
3. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1977
4. კრებული „პოეზია“, თბ. 1981
5. პეტრე იბერი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები, ს. ენუქაშვილის რედაქციით, თბ. 1961
6. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992
7. ნეტარი ავგუსტინე, „აღსარება“, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ. 1985
8. დანტე, ღვთაებრივი კომედია, თარგმანი კ. გამსახურდიასი, თბ. 1941
9. ტიტე მოსია, საღვთისმშობლო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1996
10. გალაკტიონ ტაბიძე, თხზულებანი 12 ტომად, ტ. 11, თბ. 1973

მანანა კვატაია

პოეზია – სულის ჰარმონიის მარადიული ორიენტირი

ავსტრიელ-ინგლისელი ფილოსოფოსი ლუდვიგ ვიტგენშტაინი პოეზიის არსს ამგვარად განმარტავს: „პოეზია სულის ჰარმონიაა, ხოლო პოეტი – მედიუმი, რომელიც გრძნობისმიერი სამყაროს რიტმებს საგანთა ენაზე თარგმნის და ღვთაებრივი ჰანგებით ელაპარაკება ადამიანს". ანალიტიკოსი ზაზა შათირიშვილი თანამედროვე „ელიტურ პოეტს" ორი ალტერნატივის წინაშე აყენებს: ის ან პოეტი-მეცნიერია, „სადაც მისი აუდიტორია ოდენ ინტელექტუალური ელიტით ამოიწურება", ან მედიტაციური პოეტი გახლავთ, „რომელსაც ათვისებული აქვს ევროპული პოეზიის მთელი გამოცდილება და რომლის აუდიტორიაც პოტენციურად უსაზღვროა" (იხ. მისი წერილი „პოეტი და პოეზიის იდეა ევროპულ ლიტერატურაში").

ვფიქრობთ, მედიტაციურ პოეტთა რიცხვს ეკუთვნის ეკა კვიციანი, რომლის ლექსების პირველი კრებული „სხვისი სახლი" გამომცემლობა „ინტელექტმა" 2018 წელს გამოსცა. წიგნი ავტორის ნიჭიერებისა და ინოვაციური აზროვნების მანიფესტირებაა და ფერადოვან, ნაირსახოვან ემოციებს იწვევს. კრებულის პირველივე ლირიკული ტექსტები ავტორის სულიერი ბიოგრაფიის იდუმალ სივრცეებს აღწევს: პოეტის ხსოვნის მღვიმეს აღუბეჭდავს „ღალატი – უნიჭოთა გულუბრყვილობა, ზურგში მახვილიც, მეგობრისგან ნასროლი ტყვიაც" ("სიცოცხლის ბოლოს"). ლირიკული გმირის მეხსიერებას შემორჩენია მტანჯველი ვიზიონი: საბედისწერო წამი, როდესაც შველას ითხოვდა უახლოესი ადამიანისაგან, რომელმაც, თანადგომის მაგიერ, საკუთარი თავი მისი ცხოვრების დანგრევით გადაირჩინა. „ზოგი ჭირი მარგებელიაო" და გაუსაძლისმა ტკივილმა თითქოსდა განწირული პოეტის სულში ახალი, ღვთაებრივთან ზიარებული სამყაროს სივრცეები გახსნა და მას იმედიანად ათქმევინა:

და ვხვდები, გულს რაც აალებულ ლექსებად დასცდა,
არ მიდის არსად, მარადიულ ტკივილად რჩება ("ბოლო ბარათი").

გმირის ოცნებას უხეში ძალა ანადგურებს. ავტორის ხედვა ირაციონალურია: ვიღაცას მისი სიზმრების ამოქოლვა სურს და ამ მიზნით მთების მკერდიდან წვალებით მოგლეჯილ ლოდებს მოაგორებს. გლობალური კატასტროფა ახლოვდება და ლირიკულ გმირს სრულ განადგურებას უქადის:

დამიცდა ფეხი, მოგონება თავქვე მიმათრევს,
მახსენებს, სულზე მარწუხივით როგორ მიჭერდა ("სხვისი სახლი").

სისასტიკის ორომტრიალში პროტაგონისტი საკუთარ თავსაც კარგავს და ხვდება, რომ უწინდებურად გულუბრყვილო და კეთილი აღარ არის. მის უნაპირო ტკივილს არც გარდასახვის მისტერია შველის, ილუზორული სამყარო ქრება, მეტიც:

ჩამოიღვარა თითებს შორის წყლის წვეთებივით,
ლურჯი სინათლეც, მოპარული სხვისი სახლიდან.

თუმცა, უახლოეს ადამიანთა ღალატისა და სულის შემმუსვრელი უმწეობის მიუხედავად, ლირიკული გმირი ბრუტალური სამყაროს ყოვლისგამანადგურებელ ზეწოლას არ ექვემდებარება. ის ზეციურ სანახებამდე მაღლდება და ღვთაებრივის თანაზიარი ხდება. მარადიულ საწყისთან მიახლება გმირს წონასწორობას უნარჩუნებს, თუმცა ყალბი ნოტების ჟღერადობა აქაც შეინიშნება:

გამოხუნებულ ჩითის კაბას ჰგავს
სიმშვიდე,
ახლა ტანთ რომ მაცვია.

აქ ეკა კვიციანი ლირიკული გმირის სულის ფსკერს სწვდება და საოცარი სიზუსტით ამჩნევს, თუ როგორ ლამობს იგი, როგორმე თავად გადაირჩინოს თავი. მრავალთა მსგავსად ის ნიღაბს ირგებს, რადგან „სიყვარული – ლურჯთვალა ღმერთი" მისგან წავიდა. გმირი ცდილობს, ტკივილით, გარშემომყოფთა დაუნდობლობითა და სიყრუით მიყენებული ბასრი იარები თავადვე მოიშუშოს და უსიამოვნო შეგრძნებებს საბოლოო ადგილი მიუჩინოს:

შვებას დავეძებ, სინანულებსაც ვაბინავებ –
დროის ხარვეზებს ("წაუკითხავი ლექსების სევდა").

პოეტური კრებულის ავტორი ზუსტად შეიგრძნობს დღევანდელ წინააღმდეგობრივ სამყა-

როში მოხვედრილი ადამიანის დაუცველობას, ყოველ ნაბიჯზე ჩასაფრებულ ექსისტენციურ საფრთხეებს და მისი სულის გადარჩენის გზების ძიებას იწყებს. აქ მის არაცნობიერში მაშველი რგოლივით გამოჩნდება ჭრელი ზღაპრების ფერითა და სურნელით გაჟღენთილი ბავშვობა, რომელიც პოეტს შეახსენებს, რომ

ხანდახან ისე მოგონებებით
თავის გატანაც შვებაა თურმე ("სახლი"),

ლირიკული გმირი მშობლებისეულ სახლს – როგორც უკანასკნელ თავშესაფარს – მიაშურებს, მაგრამ მალე სევდიანად შენიშნავს, რომ მისი ბავშვობის ნანგრევებიდან უცხოობის გლუვი კედლები აღუმართავთ. პოეტის ხსოვნის ნიჟარა კვლავ იმსხვრევა და ყოფის ამაოება მას ათქმევინებს:

ცა გაიბზარა,
მერე ჩემში ჩამოიშალა
და ახლა მლაშე სინანულით პირთამდე მავსებს.

საბოლოოდ იმედგაცრუებული „სხვისი სახლის" ლირიკული გმირი მთას, ვითარცა მხსნელს, მიმართავს და ტკივილის დაამებას, ამაოების უკურნებელი სენისაგან განკურნებას ევედრება:

ნუ მასმენინებ მდუმარების შემზარავ ექოს,
ნუ გამაბრუნებ, სალოცავად წამოსულს გზიდან.

სასურველი შედეგი არც ამგვარ თხოვნა-მუდარას მოჰყვება: მთასაც არ ესმის მისი. გმირი ცხადად შეიგრძნობს, რომ საშველი არსაით არის და ახალი განსაცდელიც ახლოვდება. პოეტური კრებულის ავტორი ლირიკული გმირის არჩევანის მცდარობაში რწმუნდება და ცდილობს, გზააბნეული, სასოწარკვეთილი პროტაგონისტი თავის ჭეშმარიტ სივრცეს დაუბრუნოს. გმირის ხსოვნას იმედით ავსებს ძველი მეგობრის ხატება, რომლის გახსენება მას განვლილი ცხოვრების გადაფასებაში ეხმარება. გმირის ფიქრებში კვლავ სინანულის ტრაგიკული ნოტები სჭარბობს:

რა მინდოდა ბარში, ბაილ, ბეთქილ, ბარში რა მინდოდა,
ჩემთან ჭუნირის ხმა აღწევს – მოთქმით სტირის მირანგულას,
აქ ვერავის ვუერთგულე, მეც ვერავინ მიერთგულა.

ახალი მხსნელი ვიზიონი (ძველი მეგობრის ხატება) ლირიკულ გმირს იმედს უსახავს და გამოსავალს კარნახობს: ის კვლავ მთას მიუბრუნდება, რომელმაც კარგი ამინდის თუ უამინდობის ფასი კარგად იცის. გმირს ამჯერად სჯერა, რომ მთა გადამრჩენ ხელს გამოუწვდის და ნისლს ფიანდაზად დაუფენს. მასში გადამრჩენი იმედის ნაპერწკალი აკიაფდება:

ჟანგიან მჟავე წყლამდე,
ისე ვივლი, ფეხი არსად არ დამიცდეს,
სიყვარულის სახიფათო ნამეწყრალზე.

მშობლიური მთა – მარადიული სიმშვიდის, სიწმინდისა და იდუმალების სიმბოლო, ისევე, როგორც ვრცელი, უკიდეგანო ცისქვეშეთი, პოეტს აგრძნობინებს, რომ ადამიანი არასოდეს რჩება მარტო და რომ მისი ფიქრი თუ აზრი, მისი გაუსაძლისი ტკივილის მარადიული სიმფონია სამყაროსულ უკიდეგანო სივრცეებს უერთდება და ეხმიანება. ეკა კვიციანი გმირს არწმუნებს:

არ უნდა მიატოვო ტაძარი, თუ კი ააშენე
თუნდაც, დროებით.

გადარჩენის იმედი ჩნდება, თუმცა პროტაგონისტს შეჩვეული ტკივილის დავიწყებაც არ ხელეწიფება. საკუთარი ფესვების მარადიული ძიებისა და სულის იდუმალ უფსკრულებში გულმოდგინე მედიტირების წყალობით პოეტს სადღაც გადაკარგული ოპტიმიზმი უბრუნდება. სიცოცხლე – უნივერსალური ღირებულება – თავის რეალურ საზრისს უბრუნდება და პოეტის გამარჯვება აშკარაა: მარადიული ტკივილისათვის განწირული ადამიანი ნამდვილ ფესვებს პოულობს და მომავლის გზას იმედიანად გაჰყურებს. ეკა კვიციანის პოეტური კრებულის გაცნობა ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ პოეზია ამორფულ სამყაროში ორიენტირების, სულის დარღვეული ჰარმონიის აღდგენისა და შინაგანი განახლების ჭეშმარიტად უებარი საშუალება გახლავთ, ნამდვილი პოეტი კი მართლაც ღვთაებრივ ჰანგებთან ზიარებული მედიუმია.

ლიანა ოსიაშვილი-მელიქიძე

ერიხკაცი

სიძველით ხუთეულში შესულ, ქართული ლიტერატურის დამწერლობაში პოზიტიურ-განსაზღვრებითი ისეთი სიტყვა არ მოიძევება, თანამედროვე მაღალკვალიფიციურ პოეტური სამ ყაროს ბომონდს, პოეტ უშანგი მოსიაშვილზე რომ არ ეთქვას. მაგრამ მისი გონივრული, მრავალმხრივი შემოქმედების შესაძლებლობა იმდენად დამოკიდებულს გხდის, გვერდს ვერ აუვლი, ამ ჭეშმარიტ, აღმშენებელ პატრიოტზე კვლავ და კვლავ რომ არ ისაუბრო, მარტო პერსონალურ სასიტყვეთით კი არა, გნებავთ, აღნიშვნისამებრ, პოეტურ-პრესტიჟულ თავად შემოქმედთა აპოდიქტიკური ნათქვამებით. აკი პოეტი მანანა ყაბანაშვილი ექვს სტროფაში: „უშანგი მოსიაშვილს", ამბობს კიდეც:

პატრიოტ კაცს და აღმშენებელსა
სიტყვები უნდა ნაღდი, მართალი.

სწორედაც, „სანთელ-საკმეველი მართლადაც და გზას რომ არასოდეს კარგავს", რადგან მსგავს კი არა უფრო მეტს ადასტურებს, თავად მრავალმხრივ ნიჭიერი, ზნეწმინდა შემოქმედი ამირანივით სახიერი, მამა ამირან ამირანაშვილი, ლექსში: „ბატონ უშანგი მოსიაშვილს", სადაც იგი მას ისტორიულ გმირს ადარებს, მხოლოდ პოეზიაში თუ მხატვრობაში ზოგად ფანტაზიურ ქმნილებების შექმნისთვის კი არა, არამედ, რეალურ ცხოვრაბაში სწორედ აღმშენებლობითი ამაგისთვის, რომლის მაგალითთა დაწვრილებით მოყვანაც შორს წაგვიყვანს, ხოლო აღნიშნულ ლექსში კი სტრიქონით ასე რომ მიმართავს:

არსაკიძემ თუ ერთი ააგო
შენს ნაამაგარს ვერ ითვლის ხალხი.

განსხვავება დიდ ხუროთმოძღვარსა და მას შორის ის არის, რომ მხატვარი უშანგი მოსიაშვილი საერო ეკლესია-ნაგებობებს პირადი ხარჯებით აშენებს.

ამდაგვარს მარტო გამობრძმედილი, უფროსი თაობა კი არა ახალგაზრდებიც ასაბუთებენ. მაგალითად, მისი შვილიშვილი, სოფიო მოსიაშვილი ლექსში: „პაპას", ბატონ უშანგის აღმშენებლობითი, დაუღალავი საქმიანობისთვის, ქვეყნის ურყევ იმედად მოიაზრებს, რასაც სტრიქონით ასე გადმოსცემს:

ქვეყნის იმედად შემართული და
ქართულ მიწაზე ამაყად მდგარი.

ხალხს ჭეშმარიტება არ გამოეპარება, ბატონი უშანგის საქვეყნო გმირულ საქმიანობაზე ლაპარაკობს აგრეთვე პოეტი ლამარა მალანია, ლექსში „მომილოცნია ახალი წელი", რომელშიც ამბობს:

ყურს ვუგდებ შენს გმირობაზე
კასპელთა სჯას და ლაპარაკს.

ყურადსაღებია აგრეთვე თავად ექვსი წლის შვილიშვილის, მარი მაღალაშვილის ალალ-ბავშვურ-ამაღლებული სტრიქონები, რომელმაც იცის პაპა გამორჩეული რომ ჰყავს და თავადაც რომ სურს მისნაირი გამოვიდეს, რაზეც უპრიანად რომ უთქვამთ: „კვიცი გვარზე ხტისო" და ახალბედა მოაზროვნე ლექსში კი „ჩემს საყვარელ პაპას", სტრიქონით ასე რომ ემასლაათება:

გლოცავთ პაპა და გპირდებით
ჩვენ ვიქნებით რჩეულნი,
კარგი საქმის კეთებაში
შენებრ გამორჩეულნი.

თითოეული ოჯახი რომ ერის შემადგენელი ნაწილია ეს ძველი აქსიომაა, ამიტომ საერო საქმის მაკეთებელ ბატონ უშანგის, პოეტი ლერი მუსხელაძე 2010 წელს მიძღვნილ ლექსში „საქმემან შენმან გამოგაჩინოს", უმადლის რა სხვისი ოჯახების მიმართ ღვაწლს, მათს ლხენა-ღიმილს (რაც უფასპატიოდ ვერ მოიაზრება და რაზეც თავად ბატონი უშანგი დღემდე დუმს), ამის თვითმხილველი ამაზე სტრიქონით ასე განაცხადებს:

რაოდენი სიკეთე თესე, ჩვენ ვიცით ძმაო
თუ რამდენ ოჯახს დაუბრუნე ლხენა, ღიმილი.

ანალოგიურს, სხვათა ოჯახებზე ზრუნვას ადასტურებს პოეტი თამარ გაბოძე ბატონ უშანგისადმი 2009 წელს მიძღვნილ ლექსში „იუბილარ ქარხანას", რომლის დამაარსებელიც და თავკაციც თავად ბატონი უშანგია და სათქმელს კი თავისებური, ჭეშმარიტებით ასე რომ ამბობს აღნიშნულ ლექსში:

წლები განვლილი ცხოვრების წიგნად
შეჯამების და ქების ღირსია.

ასევე ცხრა წლის უკან დაწერილ ლექსში პოეტი თ. ლომიძე ზნეკეთილ ბატონ უშანგის ყველასადმი სიკეთის, ანუ ასეთი გზის არჩევისთვის ემადლობლება და მისდამი მიძღვნილ ლექსში აზრს ასე აყალიბებს:

გმადლობთ იმ ყველაფრისათვის
შენ რომ ამ გზით სვლა ისურვე,
წარმატებულს და ზნეკეთილს
კვლავ წარმატებას გისურვებ.

პოეზიის ისტორიის ყველა ეპიზოდში თავისი ადგილი უკავია სახალხო მთქმელს. ამჯერად ბატონმა უშანგიმ ასეთ მთქმელს, ოთარ მერაბიშვილსაც ათქმევინა თავისი საფერი ლექსში „შენი მრავალჟამიერი", სადაც ავტორი ამგვარად მოძღვრავს სიკეთისმთესველ ქველმოქმედს:

შენებრ კეთილი ფანკაცი
მრავლად გაზარდოს დედამა.

ხოლო, ცნობილი პოეტი ნაირა ნიჟარაძე ბატონ უშანგისადმი მიძღვნილი ლექსის, ერთ-ერთ ათმარცვლიან სტრიქონში მის ნაკეთებ სიკეთეზე დიდ სათქმელს ეუბნება:

დაჭრილს შეგვიხვევ გულის იარებს.

პოეტი ნელი ქველაძე კი ლექსში „სამშობლოზე ფიქრებით", პოეტად, მხატვრად და ქველმოქმედად რომ აღიარებს ბატონ უშანგის, თითქმის პოემისმაგვარ ნაშრომში სათქმელს ბოლოს განაჩენივით ასე გამოუტანს:

ვეღარ ძღება მშობლიური
მთა და ველთა ფერებით,
ხატავს, ამკობს ჩვენს სამშობლოს,
„ფიროსმანის ფერებით".

ერთიდაიგივე გრძნობით მონუსხული ავტორები... შეთანხმებულებივით, სხვადასხვა წლებით დასტამბულ ლექსებში, სადიდებელ-სამშვენი შტრიხებით ამკობენ სამშობლოს მოსიყვარულე ბატონ უშანგის, რაოდენადაც განთქმული პოეტი ლეილა გაფრინდაშვილიც ლექსში: „მხატვრის სახლია?" მყისიერი კალმით და წრფელი გულით სიყვარულს და თაყვანს მიაგებს მისდამი მიძღვნილ ლექსში, რომელშიც ასე ამბობს:

მჯერა სამშობლოს სიყვარულისთვის
ლოცვა ვედრებით ხვდები განთიადს.

არც გულთბილი პოეტი, თამარ ჭელიძე იშურებს თბილ სიტყვებს და კეთილმოსურნე ბატონ უშანგისადმი მიძღვნილ უსათაურო ლექსში ამბობს:

ხარ ანთებული კეთილი სულით
ძლიერი ძარღვი მოსდევს შენს სურვილს.

ყველა ჟანრის ლექსთა პროფესიონალი ავტორი, პოეტი მანანა ზაზიკაშვილი მართლაცდა ღმერთკაცივით დიდებულ ბატონ უშანგის სხარტულა ლექსში: „იცნობდეთ ასეთ ღმერთკაცს", აპოლოგით, არაკივით აქანდაკებს მის პიროვნებას და ლექსს ასე იწყებს:

უნიჭიერესი, უდიდებულესი,
კარგი მხატვარი და პოეტი უკეთესი.

კარგად იცის რა, პოეტმა თამარ გაბოძემ ისეთი სანატრი მამულიშვილის ფასი, როგორიც ბატონი უშანგია, ამიტომ მისდამი 2012 წელს მიძღვნილ ლექსში, „აგიხდეს ნატვრა", უატრიბუტოდ ამბობს:

მამულისშვილი თქვენი მსგავსი ერმა ინატროს
აგიხდეს ნატვრა და კეთილი ქადაგებანი.

როგორც უკვე დოკუმენტალურად აღვწერე, ბატონი უშანგი სახალხო საქმის მაკეთებელ გმირად მრავალმა აღიარა, მათ შორის თავად მისმა განუყრელმა მეგობარმა მწერალმა, ანზორ ჯაფარიძემ, რომელსაც მისი მჯობნი ვერავინ წარმოუდგენია და ლექსით „ბატონ უშანგის", მხცოვან მეგობარს ასე ესათუთება:

ალბათ, ეს მიწა, უშანგი,
გმირების წარმომშობია,
შენც ხომ ამ მიწამ გაგზარდა,
ნუთუ შენ ვინმე გჯობია.

ცხოვრებისაგან გულნატკენი, ალალმართალი, ბრძნულმთქმელი, პოეტი ლამზირა შეყილაძე, ბატონი უშანგის მრავალმხრივ ნიჭიერებით მოხიბლული, მისდამი მიძღვნილ ლექსში პროფესიონალ-პოეტურად ამბობს:

გონების თვალით წვდები სიღრმეებს
და იდეებში არ გყავს ტოლია,
ჩვენ ერმიტაჟს რომ სხვაგან ვისიზმრებთ
თურმე აქ ახლოს კასპში გვქონია.

თავად დიდებული პოეტი არც ლეგენდალურობას უკარგავს თანამოაზრეს და ლექსს ასე ამთავრებს:

სამშობლოს გულში ლეგენდად დადის
მზეკურთხეული შენი სახელი.

პოეტი ო. კოვზირიძე ათი წლის უკან დაწერილ ლექსში „ჩემო უშანგი", ასე კაცურად ლოცავს მას:

იყავ ჯანმრთელი ნათელ გონებით,
არ სცილდებოდეს ბაგეს ღიმილი.

გონიერ პოეტად მოიაზრება აგრეთვე მადლიერი ეთერ კონიაშვილიც, რადგან ბატონ უშანგისადმი მიძღვნილ ლექსში „სამადლობელი", ასე ჩასაკვირვებელი, ალეგორიული სათქმელით მიმართავს:

ყველაზე დიდი სიკეთე
თვით სიკეთის ქმნის ნიჭია!

კარლო ნადირაშვილი ლექსში „კასპელების სიამაყევ", ასე ლოცავს მეგობარს:

მაღლით ღმერთი გმფარველობდეს
შეგეწიოს გამჩენი.

დელიკატურ ლუკმასავითაა თავად ბატონი უშანგის ფიზიკურობით თუ სულიერებით უმშვენიერესი ქალიშვილის, დიდმგრძნობიარე, ღირსეული შვილის, იზა მოსიაშვილის ბრძენ მამისადმი მიძღვნილი მისაფერებელ-საპოთეოზო ლექსი „მამას", რომელშიც სიმამაცეზე ასე უწერს:

შენზე ძლიერი შენზე მამაცი,
და შენზე ნაღდი ქართველი კაცი,
ასე მგონია საქართველოში
მაინცდამაინც ბევრი არ დადის.

ნათქვამია: „შორიდან ყველაფერი ბრწყინავსო", თანაც ყოველთვის მაინცდამაინც ავტორებს დედაზე უფრო, რომ ხელეწიფებათ და ეადვილებათ ლექსის წერა, სწორედ ამადაც არის განსაკუთრებული აღნიშნული ლექსი და უფრო ფაქიზი საკითხი, რომ ბატონი უშანგი როგორც შორიდან, ისე ახლოდანაც ბრწყინავს და ეს სტრიქონებიც რომ გამორჩეულია მამაზე დაწერილ თითო-თითო ლექსთა შორის, მეტადრე როცა ლამაზი იზა სიამაყით ჭეშმარიტებას განგაშებს:

თავაწეული დავდივარ მარად
რადგანაც ჩემში შენი სისხლია...

რატომაც არა, ყველას უნდა ბატონი უშანგისნაირი იყოს: ავტორიტეტული, საყვარელი... მაგრამ რაა ამის ალგორითმი? ანდაზის ცოდნა „რასაცა გასცემ შენიო"? ან „შენ თავს კითხო, აბა დღეს მე ვის რა ვარგე"? მაგრამ ისიც რომაა ცნობილი: „თუ ბუნებამაც არ უშველაო", ყველა დოქტრინა უცნობია. ცნობილი მხოლოდ ისაა, რომ ის ყველას უყვარს, რომ ის მოვლენაა. ხოლო როცა მის ქველმოქმედებაზე ასე ამდენი, ასე საქვეყნოდ ღაღადებენ პერსონალურად, კი კვიმატურად მაინც ის მახსენდება: „თუ შენი თავი თან გახლავსო", და ჩემთვის ენიგმატიკური აღარაფერი რჩება.

სიმართლე ითქვას არცაა გასაკვირი, როცა დღევანდელი ლიტერატურის ქალმეფედ წოდებული უნივერსალი მწერალი ქ-ნი გულნაზ ხარაიშვილი, ასე დიადემასავით, ისტორიული სტრიქონებით რომ ამკობს და ეფერება პატრიოტ, ერის მოყვარულ ბატონ უშანგის მისდამი მიძღვნილ ლექსში „ფუნჯით და კალმით", რომელშიც ის საქართველოს საყრდენ „გზად და ხიდად" წარმოუდგენია და წონად ლექსს ასე რომ იწყებს:

ქართველ პატრიოტს რით მოგეფერო
სულს რომ უბერავ აწმყოს და წარსულს,

დასასრულში კი რომ ამბობს:

დაბადებულხარ ერის სამოყვროდ
და საქართველოს გზა და ხიდი ხარ!

ლეგენდარულობას, გმირობას, პოეტობას, მხატვრობას, ქველმოქმედებას, ერისმოყვარეობას, მზეკურთხეულობას, საქართველოს „გზას და ხიდობას", სიკეთისმკეთებლობას, აღმშენებლობას, აწმყოსა და წარსულის მომფერებლობას (განსაკუთრებით ნახატებით), პატრიოტობას, ნაღდქართველობას, ღმერთკაცობას, სიმამაცეს, უნიჭიერესობას, სახელისთვის ათასობით კაცს რომ ეყოფა, ისეთ რეკომენდაციას აძლევენ თანამედროვენი ბატონ უშანგის.

განსაკუთრებულად ყურადსაღებია აგრეთვე პოეტ მერი ჩიტალაძის ლექსის დასასრული, სადაც სწორედ ღმერთისგან დანახულ, ქველმოქმედის გზანარჩევ, ბატონი უშანგის სიკეთეს ასე რომ უსვამს წერტილს:

რაც შენ სიკეთე ხალხს მოუტანე
ღმერთმაც იცის და წინაც დაგხვდება.

აგისრულდათ ნაწინასწარმეტყველარი ქალბატონო მერი, ნამდვილად დახვდა წინ, რადგან კლასიკურად მოაზროვნე, ორატორული ნიჭით დაჯილდოებული, ცნობილი პოეტი გურამ ჭავჭანიძე, ბატონ უშანგისადმი მიძღვნილ ლექსს ასე გენიალურად რომ ამთავრებს:

ისევე როგორც ჩვენს მთას და მდელოს,
ღმერთმა უმრავლოს ზვრები, ყანები,
ასე ემრავლოს ჩემს საქართველოს
ერისკაცები, თქვენისთანები,

საბავშვოშიც ცნობილი, სიტყვაწონიანი, პოეტი ლეილა ვადაჭკორიაც ბატონ უშანგისადმი მიძღვნილ მრავალსტროფიან ლექსში, როგორც ყველა სხვა, ისიც ერისკაცად აღმერთებს:

რომ დაიმკვიდრა სახელი,
ნამდვილი ერისკაცისა“.

„ხმა ღვთისა და ხმა ერისაო”, შეიძლება ცდებოდეს ერთი, მაგრამ არ შეცდება ერი, რადგან მთლიანად ჩამოთვლილნი თუ მრავლად ჩამოუთვლელი მემატიანენი, ბატონ უშანგის (პოეზიით თუ პროზით, ყველა მაგალითთა მოყვანა აქ ვერ მოხერხდება) ხალხისთვის, სამშობლოსთვის გაწეული ამაგისთვის განსაკუთრებულ, აღმშენებელ-ერისკაცად აღიარებენ, როგორი სახელის მოხვეჭაც („სჯობს სახელისა მოხვეჭა“), ივერთა ისტორიაში მხოლოდ ერთეულთა ხვედრია, რასაც ბეჭდის დასმასავით ერთი მცირე სტროფით დავადასტურებ:

რომ გაგეარა მსგავსი გზა,
არც ისე როა ადვილი,
დასტური, მცირე სტროფითაც,
ერისკაცი ხარ ნამდვილი.

Ratiani Lali
Doctor der deutschen Philologie

ANTITHESEN IM ALLTAGSLEBEN

Es handelt sich in dieser Arbeit um antithesische Sprichwörter und Ausdrücke in den georgischen und deutschen.Sprachen, die im Alltagsleben sehr gebräuchlich sind, wie: Viel **Stroh** wenig **Ko**rn. roza **sitkva chschirdebao**, maschin s**aqme mzirdeba**o.**(georg)** Viele **Worte,** wenig **Werke. enatartara-chelebpatara.(georg).**Was des einen **Eule,** ist das anderen **Nachtigall. s**ogs **mgvdeli** moszons, sogs **zoli.(georg.)** So geht es in der Welt:der eine hat **den Beutel, der andere hat das Geld.** mada vis akvs da plavi v**is** udevso**.(georg.)**Er heckt keine **Taube** einen **Adler.** busi paskunjis adgils ver daichers. **(georg,)** Eine **goldene Zunge** verbirgt eine **schwarze Seele** nicht. ena tkbili schavi guli, erts ambobs, meores akethebs**.(georg.) Der Mensch denkt, Herr Gott lacht.** kazi bchobda, gmerti izinoda**.(georg.)Eulen** hecken keine **Falken.** udjischosagan djischiani ar nachula, ar iqneba**.(georg.)Der Elefant** macht keine **Mücken** tot. songuli mumlita schepkrobad prtasa ar gaschlis somit**.(georg.)**Kein Unglück **so gross,** es hat ein Glück **im Schoss.** vis gaugonia lchini utirali da chiri uzinari**.(georg**.)**Adler** fangen keine **Fliegen.** udjischosgan djischiani ar nachula, ar iqneb**.(georg**.)Eine **Taube** heckt keinen **Adler.** anzli ar mogvzems kurdsen**s.(georg**.) Geringe **Ursache,** grosse **Wirkung.** didi qvekana mouzvavs enasa mabesgarasa**.(georg.)**Wer **den Pfennig** nicht ehrt, ist **des Talers** nicht wert**.** vinz mziredis kadri ar izis, bevrsaz ver daapasebs**.(georg**.)Wer eine kleine Summe nicht **achtet,** verdient es auch nicht, eine größere Summe zu **besitzen,** vinz mziredis **pasi ar izis**, is bevrsaz **ver daapasebs.(georg.)**Wer **Rosen pflücken** will, darf **der Dornen nicht achten.** vardi ueklod aravis moukrepia**.(georg.)**Wer nicht **brennt,** der **qualmt.** raz ar izvis, is xrcholavs**.(georg.)Rede** nicht vom **Hut,** wenn **der Schuh drückt.** tatars tavs chridnen da muzuki ar matkineto**.(georg**.**)**

Wenn **der Wächter** nicht wacht**,** so wacht **der Dieb.** roza ar pchislobs daradji, phislobs qurdi.(georg.)**Topf von Ton und Topf von Eisen** sollen nicht zusammen reisen. mgeli da kravi ertad ver modsovs**.(georg.)**Von **Eulen** kommen nicht **Sperber.** ara mdjera, rom tchritchinam kverzchi dado**.(georg.)** Man entgeht wohl **der Strafe,** aber nicht **dem Gewissen.** kanons gaeqzevi, sindiss ki vera**.(georg.)Verschiebe** nicht auf morgen, was du kannst **besorgen.** dgemechvalio kazsao tovli moadga karsao**.(georg**,) Ungebetener **Gast** ist eine **Last.** daupatijebeli stumari dsaglse uaresiao**.(georg.)Der Esel** und **d**ie **Nachtigal** haben beid ungleichen Schall. viri tcharboda zchentana, mez bedauri schentana.**(georg.)Verregne**t **der Weibersommer**, **gibt's** einen trockenen **Herbst. zvimian** sapchuls, **mschrali** schemodgoma mosdevso**.(georg.)** Wie der **Her**r so's **Geschrei.** raz **alchanaa,** is **tchalchanaa.(georg.)**Immer bleibt **der Affe** ein Affe werd er **König** oder **Pfaffe.** ar **gatetrdebis** korani raz unda **checho** kvischita**.(georg.)**Heute **rot**, morgen **tot. ase,** tchemo manaseo, **chan ise da chan**

aseo.(georg.) Was **der Frau** ins **Herz** geht, reizt **dem Man**n nur **die Haut.** raz qals **gulschi zvdeba, is** mamakazs **pechse chkidia.(georg**.)**Goldner Hammer** bricht **eisernes Tor**. **okros tchakutchi alakapis karebs** amtvrevso.**(georg.)**Er **schoss** nach **einem Spatz** und **erlegt einen Kranich.** mzipes **esrodnen** da mkvache **zvioda**.(**georg.)**Wo **Verdacht** einkehrt nimmt **die Ruhe** Abschied. sadaz **echvia,** iq **simschvide** ar aris**.(georg.)**Mancher zielt ins Blaue, trifft aber ins Schwarze**. dedaberma chelkavi gadaagdo da kurdgeli moklao.(georg**.)Fleissige Hand **erwirbt,** faule Hand **verdirbt.** muschas **satchmeli,** aramuschas **araperi**.(**georg).**Was dem einen **recht** ist, ist dem anderen **billig**. kvelas ertnairi uplebebi unda qondes**(georg**.)**Den Kopf** halt kühl, **die Füsse** warm, das macht den besten Doktor arm. **tavi** siziveschi, **pechebi s**itboschi**,** djanmrtelobis sazindaria.(**georg**.)Nach dem Mittag sitz **ein Weilchen**, nach dem Abendessen geh **ein Meilchen.** sadilis schemdeg zotachans **tchamodjeki,** vachschmis schemdeg ki zota **gaiare.(georg**.) Willst du **den Genuss**, so nimm auch **den Verdruss**. tu lchini **gvinda** gvtisagan, chirniza **schevizkalota.(georg.**)Wenn man ihm **den** kleinen **Finger** gibt, nimmt er gleich **die** ganze **Hand. tchatrevas tchakola** djobiao**.(georg.)**Den Einen sien **Uhl** ist, den Anderen sien **Nachtigall.** sogs **mgvdeli** m**oszons,** sogsaz **mgvdlis zoli.(georg,)**

Was den einen **eine Eule** ist, das ist für den anderen **eine Nachtigall.** sogs **mgvdeli** moszons, sogsaz **mgvdlis (georg.**) Er hat **Geld wie Heu**, wenn ich **zu wenig Geld** habe. mas pulu **ochrad(tchetchqivit** aqvs, me **gachvretili schaurianiz** ki ar maqvs**.(georg.)Der Esel** schick', wochin du willst, **kein Pferd** wird draus, das etwas gilt**. ar gatetrdebis** korani**, raz unda checho kvischita.(georg.)**Was der Mutter **ans Herz** geht, das geht dem Vater nur bis **an die** Knie**.** raz dedas **gulschi** chvdeba**,** is mamas **pechse hkidia.(georg.)** Wo **die Pfuscher** haben **Brot**, leiden wackre **Meister Not. mada** vis aqvs da **plavi** vis udevso/**erti aris mtochnelio, ozdachuti mzochnelio.(georg.)Honig** im **Munde**, **Galle** im **Herzen**. tetri **kbili** da schavi **guli.(georg.)** Er hat weder **Amt** noch **Verstand**. **arz tanamdeboba** aqvs da **arz goneba.(georg.)Der Geist** ist **willig**, aber **das Fleisch** ist **schwah**. **suli** dslieria**, chorzi** ki susti**.(georg**.)Was hilft **der Tittel** ohne **Mittel.** ragaa igi **zodeba upulod.(georg.)**Obgleich er vergangenes Jahr **Probleme** hatte, ging er dieses Jahr auf **wohlverdienster Urlaub.** miuchedavad imisa, rom gasuli zeli mistvis **problematuri** iko, is **damsachurebul pensiaze** mainz gavida**.(georg.)**Die Geldmünze ist **klein,** gilt aber **viel**. **pataraa,** magram **dsvirad pasobs.(georg.)**Sie hat weder schon viele Anträge **bekommen**, noch abgelehn**t. arz mzvads** zvavs da **arz schampur**s**.(georg.)**

Heute oben, morgen unten. ase tchemo manesao, **chan ise da chan aseo.(georg.)**Heute **Kaufmann,** morgen Bettelmann. **ase** tschemo **manaseo,** chan **ise da chan aseo.(georg.)** Besser arm **in Ehre,** als reich **in Schande**. sdjobs sizozchlesa **nadsrachsa** sikvdili **saxelovani.(georg.)**Ein **Sperling** in der **Hand** ist besser, als zehn **Taube** auf dem **Dache**. nu

mpirdebi zaschi zeros, chelschi mome begurao.(georg.) Der sichere Besitz einer Sache von **geringem Wert** ist besser**, als– Unbestimmte.** sdjobs plobde iset nivts, romelsaz **mzireodeni** girebuleba aqvs, vidre **umnischvelo.(georg.)** Es gibt mehr **Tannen** als **Zeder.** .zchovrebaschi uphro meti zudia, vidre kargi.(**georg.)** Der Eine **lacht**, der andere **macht**.vin **chalisobs** da vin **saqmianobs(georg)Das Hemd** ist mir näher als **der Rock. kutchi dsmaze** achloao. Lieber **Neid,** denn **Mittleid.** dae, **damdsrachon** da nu **schemibralebeno.(georg**).Besser **eineckiges Etwas,** als **ein rundes Nichts.** sul **araphers zota** mainz djobia**.(georg.) Ein Lot Gold** wiegt mehr, als **ein Zentner Recht**.**phuli(oqro)** uphro phasobs vidre **samartali.(georg.)**Besser **biegen,** als **brechen**. **tchatrevas tschakola** sdjobiao**.(georg.)** Besser **ein Arbeiter, der denkt,** als **tausend Kopflose**. **athas** uthaos **erti** taviani sdjobs**.(georg)**Je mehr du **schläfst,** je minder **lebst** du**. adre adgoma meti sizozchle** ariso. **(georg.)**Schlechter **Arbeiter** wird nie gutes **Gerät** finden**. sarmaz kazs** thavisi **chelphechi nathchovari** gonia**.(georg.)** Grosser **Prahler,** kleiner **Tür**. trabachi latchari kazis saqmeao. **(georg.)** und v. a.

In der modernen Linguistik wird neben der Antonymie ein sprachliches Phänomen der Antithese für den Ausdruck der Gegenüberstellung betrachtet. Die Antithese drückt durch die subjektive Wahrnehmung bedingte kontrastive Relationen zwischen den sprachlichen Einheiten aus und eben das liegt ihrer Ähnlichkeit mit der Antonymie zugrunde.

Die Antonymie wird sich von der Antithese durch eine Reihe von den Momenten unterscheiden. Die Antonymie kann auf der Ebene der Lexeme festgestellt werden. Die Antithese wird aber nur in den syntaktischen Konstruktionen abgetrennt werden. Nach ihrer Natur ist die Antonymie usuell, neutral, im Einklang mit der Wirklichkeit und objektiv. Die Antithese ist aber okkasionel, von der Position des Individums abhängig, stylistich gefärbt und ebenso subjektiv, bei ihr tritt der pragmatische Wertungskomponent in den Vordergrund.

Die Eigentümlichkeit der Antithese ist bestimmterweise durch den kulturellen Grund des Sprachträgers bedingt. In diesem Zusammenhang wird bei der Forschung der Antithese der Begriff des sprachlichen Subjekts ausgesondert. Ausgehend davon soll als Stütze der Forschung dieser Erscheinung die kulturelle Volkserrungenschaft des konkreten Sprachträgers und zugleich die durch nationale Kultur bedingte pragmatische Dimension genommen.

Die Untersuchung der Antithese soll in zwei wahren linguistischen und linguokulturologischen Schnitt durchgeführt werden. Der Unterschied zwischen der Antonymie und der Antithese wird in ihrem formellen Charakterisierung abgetrennt. Die Glieder der antonymischen Paare sollen unbedingt eine beliebige lexikalisch grammatische Kategorie darstellen. Bei der Antithese ist es aber zugelassen die Wörter der zwei verschiedener lexikalisch-grammatischen Klassen gegenüberzustellen, aus dennen keine die in der Wirklichkeit existierende "Gegensätzlichkeit"ausdrückt.

Die bezeicnete Gegenüberstellung wird nur durch den Kontext bedingt, ohne ihn können die Wortpaare eine wechselseitige Bedeutung nicht realisieren. Der ergibige Boden der Aussonderung dieses Phänomens bilden Sprichwörter, Ausdrücke z. B. **Die Pillen der Apotheker sind auβen Gold und innen Galle,** wo die Antihese durch die Substantive "**Gold-Gale**" dargestellt sind, wodurch nach ihrer lexikonischen Bedeutung nicht nur die Semantik der Gegenüberstellung realisiert wird, sondern auch gegenseitige unterschiedliche Begriffe bezeichnet werden. In den analogischen Fällen werden die oppositionellen Relationen mit Hilfe solcher Textglieder-Indikatoren abgetrennt, zwischen welchen sich die Bedeutungen einseitige Widerständigkeit zeigen.

Mit Hilfe der Analyse des lexikalischen Materials wurde aus den Texten verschiedener Art für die Realisierung der Antithese relevante sowohl semantische als auch formelle Eigentümlichkeiten, solche stereotypische Umkreisung geäuβert, die obligatorisch ist die Antithese in den georgischen und deutschen Sprachen zu realisieren. Die Voraussetzung für die Realisierung der Antithese soll in der deutschen Sprache das im Mikrokontext gegebenes Paar angerechnet werden, dessen Glieder mit ihrer Bedeutung die Grundlage für die Gegenüberstellung der Bestandteile der Antithese näher bestimmen und dadurch seine Formierung bedingen. Die vorhandenen Dinge solcher antonymischen Paare können dargestellt werden durch **Substantive**:Honig auf der Zunge, Galle im Herze. **Adjektiv**e: Groβe Worte, kleines Werk. **Verben**: Man empfängt den Mann nach dem Gewand und entläβt ihn nach dem Verstand. **Substantivierte Verben**: Reden ist Silber, Schweigen Gold. **Adverbien**: Heute oben, morgen unten. **Pronomen**: Mit vielen läβt sich schmausen, mit wenig läβt sich hausen. **Konjunktionen und Teilchen**: Die Aufführung hatte sowohl gute Rezensionen, als auch scharfe Kritiken. **Adjektive im Komparativ**:Lieber den Spratz in der Hand, als die Taube auf dem Dach. **Nummerale**:Man glaubt einem Augen mehr als zweien Ohren. **Negation**: nicht:Man muss vom Pferd nicht auf Esel kommen.

Die ausgeführte Analyse der Antithese hatte nochmals die Behauptung davon bestätigt, daβ von den Vertretern verschiedene Völker fixierter Unterschied bei Wiederspiegelung der Fragmenten der Welt nicht zufällig ist, die Schilderung der identischen Weltererscheinungen ist für die Vertreter der einzelnen Sprachen durch die Spezifik ihrer Denken bedingt, wobei die Muttersprache nicht so unwichtige Rolle spielt-der Mensch denkt an die Welt dank seiner eigenen Sprache. Auf diese Weise beruht sich die Antithese auf die vom Subjekt aufgefasste Gegenüberstellung der Erscheinungen und Gegenstände, die im Kontext eine zusätzliche Bedeutung gewinnt. Zur Semantik der Gegenüberstellung wird auch durch die Situation bedingte Bedeutung hinzugefügt.Man unterscheidet verschiedene Abarten der Antithese: logische oder **kontraste**, nicht logische oder **schiefe** Antithesen. Als logisch benannte Antithese entsteht auf eine logische Ebene, auf Grundlage der Opposition der vorhandenen zwei Begriffe. Im Gegensatz zur logischen Antithesen gibt es schiefe Antithesen, wenn zwischen den gegenübergestellten Polen keine logische Grundlage existiert. Auf schiefe Antithesen sind zahlreiche Witze, geflügelte Ausdrücke aufgebaut, wie: **Spielen Sie Klavier/-nein**, **aber meine Groβmutter schreibt Romane**. Schiefe Antithese wird öfter zum Ausdruck der Satire, der Spottschrift, der Ironie gebracht, wo der realisierende Kontext der Antithese durch die Wortgruppen, Sätze oder einen Kontext von einer bestimmten Grösse wiedergegeben wird: **In Bologna sind die kleinsten Hunde die grössten Gelehrten zu finden**. An die Antitese wird auch eine architektonische Funktion zugeschrieben werden. Darunter sind die abständliche Anordnung der durch die Antithese geschilderte kontrastive Situation zu verstehen-die Gegensätzlichkei der architektonischen Einheiten, die die Antithese enthalten und zwei wechelseitige gegensätzlihe Semantik realisieren. Als anschaulicher Muster dieser Behauptung wird in den linguistischen Arbeiten angeführtes Beispiel verwendet: **Die Linde blüht die Nachtigal sang, die Sonne lachte mit freundlicher Lust…die Blätter fielen, der Rabe schrie hohl.** Im Text werden die Einheiten der Antithesen gegenübergestellt, wodurch die architektonischen Kontrasten ausgedrückt werden.

რატიანი ლალი
ანტითეზა ყოველდღიურ ყოფაცხოვრებაში
რეზიუმე

ლექსიკური მასალის ანალიზმა გამოავლინა ანტითეზის, როგორც ანტონიმის ერთ-ერთი ნაირსახეობის, წარმოჩენისათვის რელევანტური, როგორც სემანტიკური, ისე ფორმალური თავისებურებები, ის სტერეოტიპული გარემოცვა, რომელიც ობლიგატორიულია ანტითეზის რეალიზაციისათვის.

ნაშრომაში წარმოდგენილი კვლევა შემოიფარგლება არსებითად ანტითეზური ანდაზებითა და გამონათქვამებით, რომლებიც ძირითადად ყოველდღიურ ყოფაცხოვრებაში გამოიყენება. ანტითეზის რეალიზაციის წინაპირობად გერმანულსა და ქართულში უნდა ჩაითვალოს მიკროკონტექსტში მოცემული ანტონიმიური წყვილი, რომლის წევრები თავისი მნიშვნელობით ანტითეზის წევრების ურთიერთდაპირისპირულობის საფუძველს აზუსტებენ და მის ჩამოყალიბებას განაპირობებენ.

Ratiani Lali
Die Antithesen im alltäglichen Leben
Resüme

Mit Hilfe der Analyse des lexikalischen Materials wurde es für die Realisierung der Antithese, als einer der Abarten der Antonymie, relevante sowohl semantische als auch formelle Eigentümlichkeiten, solche tereotypische Umkreisung geäußert, die es für die Realisierung der Antithese obligatorisch sind.

Die in der Arbeit dargestellte Forschung beschränkt sich wesentlkich mit den antithesischen Sprichwörtern und Ausdrücken, die hauptsächlich im Alltagsleben sehr gebräuchlich sind. Die Voraussetzung für die Realisierung der Antithese soll in den deutschen und georgischen Sprachen das im Mikrokontext gegebene Paar angerechnet werden, dessen Glieder mit ihrer Bedeutung die Grundlage für die Gegenüberstellung der Bestandteile der Antithese näher bestimmen und dadurch seine Formierung bedingen.

სერგი ლომაძე

ჯვარზე გაკრული პოეზია

„მისტერ პოეზია“ – ამ სათაურით არაერთი ლექსი მაქვს დაწერილი. ერთ-ერთი მათგანი ახლახანს დავდე ფეისბუქზე. ლექსეებმა დიდი გამოხმაურება გამოიწვია. ბევრს მელაპარაკებიან მის შესახებ. რთული წარმოსადგენი იყო, რომ ეს სამსტროფიანი (სამკუპლეტიანი) ლირიკული ქმნილება ასეთ ამბავს გამოიწვევდა. უკვე რამდენიმე პოეტური შეკრება მიეძღვნა მას, და ჩემივე პოემა „ფოთოლცვენანის“ შემდეგ, ბოლო წლებში დაწერილ ჩემს ქმნილებებს შორის, ეს პატარა ლექსი,

ერთ-ერთი ყველაზე უფრო პოპულარული გახდა. მაისის თვეში დაწერილი ლექსი მაისშივე აღიარეს.

არა, მე არ ვამბობ, რომ „მისტერ პოეზია“ ჩემი საუკეთესო ქმნილებაა. სულაც არაა ასე. მასზე უკეთესნი, ალბათ, ბევრი დამიწერია... ალბათ... მაგრამ მკითხველნი ააღელვა თვითონ თემამ, – ჯვარზე გაკრული პოეზიის ამბავმა, იმ პოეზიის ამბავმა, რომელიც, ბოლოს, საკუთარ გულს ტოვებს ჯვარზე, წვიმის სახით, თვითონ კი ქრება. აი, ეს პატარა ლექსი:

მათ, პოეზია, გააკრეს ჯვარზე,
და დადიოდნენ ყინჩად, დიდებით;
მერე, როდესაც მოვიდა „ხვალ-ზეგ“,

ერთმა თქვა, – „მაინც ვერ დავმშვიდდებით“..“
ჯვარცმულისაკენ გასწია ყველამ
მძვინვარედქმნილებს რომ დაეფლითათ;
იკლაკნებოდა ზეცაში ელვა,
ჯვარზე კი მხოლოდ წვიმა ეკიდა...
უდიადესის ძებნას დრო მიაქვს,
გადაქცეულან მძვინვარ ატომად,
და ბრბო ვერ ხვდება, რომ პოეზიამ,
იქ, ჯვარზე, მისი გული დატოვა...

აი, სულ ეს არის. ლექსი, შინაარსობრივად, დიახაც რთულია, და ახლა, აქ, მის გაშიფვრას არ დავიწყებ, არ ავხსნი მას, მითუმეტეს, რომ პოეტი გონების გარდა, ზოგ რამეს გულითაც წერს, ინტუიციურად წერს. არის რაღაც-რაღაცეები, რანიც შეიძლება მხოლოდ გულით, გუმანით ვიცოდეთ, და ვერც ავხსნათ სათანადოდ...

თუმცა თვითონ პოეზიის, პოეტის, პოეტურობის (პოეტის, პოეზიის, პოეტურობის) ერთობ-ლივობის თემა, და პოეზიის ბრბოსთან დაპირისპირების თემა უკვე ძალიან დამაინტრიგებელია.

ეს სულ ასე იყო.

პოეზია (პოეტი) და ბრბო მუდამ პირისპირ იდგა.

შემოქმედებას ებრძოდა უნიჭობა.

შემოქმედს ებრძოდა უნიჭობა.

და დღესაც ასეა.

ღმერთს, ყველაზე უფრო, იმით ჰგავს ადამიანი, რომ ისიც შემოქმედია, ღმერთივით. ესაა უმთავრესი ნიჭი ადამიანისა. თუმცა რა ვუყოთ იმ ფაქტს, რომ სხვა ადამიანები (თუ - არაადა-მიანები) ებრძვიან ხოლმე, ხშირად, იმ ერთს, – რჩეულს, გენიოსს, და ასე იღუპება რუსთაველი, ვაჟა, ბარათაშვილი, გალაკტიონი, გრანელი... რა ვუყოთ ამ მარადიულ ომს: დიდ ნიჭს (გენიას) და უნიჭობას შორის!..

წვიმა ხშირად არის სიმბოლო ცრემლებისა (თუმცა – არა მარტო ცრემლებისა).

ხოლო გული პოეზიისა, პოეტისა, დღესაც ჯვარზე რჩება, ღმერთის გულივით.

დღესაც გრძელდება საქართველოს (იქნებ – არა მარტო საქართველოს?) მარადიული პრო-ცესი, – მარტვილობა გენიოსთა.

და არავინ ფიქრობს, რომ ეს პროცესი ოდესმე უნდა დასრულდეს. შემოქმედს, კულტურას, უნდა მივცეთ თავისუფლება-დაფასება, რომ თავისუფლება-დაფაება მოიპოვოს ხალხმა.

რუსთაველის ქვეყანაში, ხალხის აღორძინება, კულტურის, ანუ სულის აღორძინებიდან უნ-და დაიწყოს. ვერ გაძლიერდება ჯარი (სამხედრო ხაზი), ვერ გაძლიერდება ფინანსური მდგომა-რეობა (ეკონომიკა), თუ ვერ გაძლიერდა კულტურულოგი და კულტურა, ხოლო ეს პირდაპირ ნიშ-ნავს ხელოვნების, რელიგიის, მეცნიერების გაძლიერებას. ქართული პოლიტიკა ქართულ კულტუ-რას უნდა დაეფუძნოს, იგიც მკვეთრად უნდა იქცეს ჩვენი კულტურის ნაწილად (ისევე, როგორც, ვთქვათ, ქართული სპორტი).

ხოლო საფუძველი, კულტურისა, დიახაც, ხელოვნებაა, რომლის თავი და თავი, მითუმეტეს – რუსთაველის სამშობლოში – საქართველოში, გახლავთ სწორედ პოეზია.

და უნდა დასრულდეს ჯვარცმა პოეზიისა, პოეტისა!

უნდა დასრულდეს ჯვარცმა ხელოვანისა, რომ დასრულდეს ჯვარცმა მთელი ერისა!..

სულიერი აღორძინებიდან იწყება ყველაფერი. ესაა ჩემი და არა ამარტო ჩემი იდეოლოგიის ერთ-ერთი უმთავრესი „პოსტულატი!.

საქართველო თვითონ არის პოეზია, ვითარცა ქრისტე, ვითარცა შოთა რუსთაველი...

და დროა რომ დასრულდეს ჯვარცმა პოეზიისა!..

თბილისი. 2019 წელი. მაისი.

ხელოვნება

რეზო ადამია



ცოცხალმყოფელი მზის ჩასვლა

რეზო ადამიას ახალი რომანის - „მზე“ პრეზენტაცია

მზიური დათიაშვილი-აფციაური

ბატონო რეზო, ვამაყობ რომ თქვენ, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიასთან არსებული ჟურნალ „ათინათის“ სწავლული მდივანი და პასუხისმგებელი პიროვნება ბრძანდებით. „ათინათი“ ბატონ რეზო მიშველაძის შერჩეული სახელია.

ორი დიდი რეზო თვალს ადევნებს ჟურნალს და ამით სტიმული მეძლევა... ბატონ როინ მეტრეველის მასალებით, ჟურნალის ისტორიის განყოფილება საინტერესო და ხელმისაწვდომია მკითხველისათვის, რაც შეეხება „მზეს“, რომანს თქვენსას, ამ ბუმბერაზი მეცნიერებების შეფასების შემდეგ, მადლობა უფალს, მეც ჩემი სიტყვა ვთქვი, თუმცა უბრალო, მაგრამ განსხვავებული! და ბოლოს თქვენ დიდი მხატვარი და დიდი პროზაიკოსი ბრძანდებით.

ასე ამკობს მხატვარსა და პროზაიკოსს ბატონ რეზო ადამიას, ჟურნალ „ათინათის“ მთავარი რედაქტორი გულნაზ ხარაიშვილი.

მე კი, როგორც აკადემიის წევრი, მოკრძალებით აღვნიშნავ: როგორც ყველა, უფლისაგან დაბადებულს მოჰყვება თავისი ნიჭი, და სიბრძნე, ისე ყოველ სასოებით გამოცემულ წიგნს ახლავს თავისი სიკეთე.

როგორც ღვთიურნი ნიჭნი განირჩევიან ერთურთისაგან, ისე ამ ნიჭთაგან შექმნილნი წიგნიერნი ღირებულებები. ცოდნისთვის კკი ყველანი სასიკეთონი არიან. ამიტომ ნუ დავაგდებთ მათ გაუვალ ლაბირინთებში. თუ შენახვას ვერ შევძლებთ, დეე! დავარდეს შარაზე, სადაც მიდიან და მოდიან, ადიან და ჩადიან... ერთი ხომ მაინც წამოკრავს ფეხს და დაინტერესდება: რატომ ითელება ის?

გონიერნი გზას ჰპოვობენ, უგუნურნი გონებასა – ეს არის თქვენი დიდი რომანი „მზე“, ბატონო რეზო! „მზე“ რომელიც ძირს არასოდეს ჩამოდის, და შარაგზას ამ ცხოვრებისა უკუნეთშიც კი ანათებს. ამიტომ, როგორც თქვენი მხატვრობა, ისე რომანი „მზე“ ბრწყინვალე ხედვაა, არა მარტო მიწიერი რეალობისა, არამედ ის გვაშორებს მიწიერ სიბრძნეს, მისტიკას და გადავყავართ მუდმივ კოსმიურ მარადიულლობაში, სადაც მხოლოდ სულის ბრწყინვალების შესაძლებლობა გვეძლევა და ყველა ლაბირინთი მარცხდება მზხესთან ჭიდილში, სადაც მხოლოდ მარადიული მზეა და არასოდეს ბნელდება...

2019.V.

ქეთი მაზიაშვილი

ფუნჯს სულს უბერავ,
სიფაქიზით ესაუბრები,
ხანაც ბაძოქნი, ბაძოძერწავ
ნახატს თავნებას.

გულნაზი ხარაიშვილი



ნელი კვახაძე



ალექსანდრე ციხელაშვილი

ნაირა უგულავა

* * *

ნაზი ჯიქია დაიბადა 1986 წ. 28 აპრილს. 2003 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა და სამუსიკო სკოლის შვიდწლედი. 2005 წელს დაამთავრა კულაშის ზოოვეტერინალური კოლეჯი.

ბავშვობიდან დიდ სიყვარულს იჩენდა მუსიკის მიმართ. არის ბუნებრივი ნიჭით აბსოლუტური სმენის უნარით დაჯილდოებული თვითნასწავლი მუსიკოსი.

დიდი ოსტატობით უკრავს გიტარაზე და შესანიშნავად მღერის. მან ასეთი ნიჭისა და უნარის წყალობით 2006 წელს დაიწყო ხონის მე-2 საჯარო სკოლაში გიტარის მასწავლებლად მუშაობა. ამჟამად მოღვაწეობს ხონის ვეტა ჩხენკელის სახელობის მოსწავლე ახალგაზრდობის სცენტრში. არის გორდის ლიტერატურული სალონის წევრი. რომლის ხელმძღვანელია უნიჭიერესი მსახიობი, ქალბატონი გულიადა სანოძე.

ზეპირად ნოტების გარეშე თხზავს ლამაზ სიმღერებს, გიტარაზე აწყობს და თავად ასრულებს. მან შეასულა პოეტ გულნაზ ხარაიშვილის ლექსებზე შექმნილი ორი სიმღერა. „ქარი კვლავ ტოტებს არხევს“ და „ვეძებ“. ნაზი ერთგული მეუღლე და დედაა. ის ორ შვილს უზრდის სამშობლოს ჭეშმარიტ მამულიშვილებად. არის ყოველგვარი დადებითი თვისებებით შემკული ადამიანი. საზოგადოებაში სარგებლობს მაღალი ავტორიტეტით. უაღრესად მადლიერი მოსწავლეების რიცხვი დღითიდღე იზრდება. იგი კვლავ აქტიურად და ნაყოფიერად გააგრძელებს მოღვაწეობას მუსიკის სფეროში.

კვლავ მიაღწევს საუკეთესო წარმატებებს მოსწავლეების აღზრდის რთულსა და კეთილშობილურ საქმეში.

ისტორია

ნიკო ხერკელაძე

ქართველები ირანში

(დასაწყისი იხილეთ „ათინათი“ №№ 16-30-ებში
და ანთოლოგიის მე-5,6,7 ტომებში)

ირანის გზამ დამიდაგა გული,
დამეხუთა ყაენთანაც სული.
ხალხური

მარტყოფის მოვლენების განხილვა

* * *

მარტყოფის ომი დიდი გამარჯვებით დამთავრდა, ქვეყანამ ამოისუნთქა, ხალხი აღტაცებამ მოიცვა, ხარობდა ერი და ბერი. სააკაძის პოზიციას შევხედოთ, როგორც ამ გამარჯვების ორგანიზატორი. და უნდა ითქვას, თავისთავად, ბუნებრივად პრივილეგიამინიჭებულმა გამოხატა თავისი საქართველოს გაერთიანების პოზიცია, გაუზიარა თავისი აზრი დიდებულებს, რომ თეიმურაზ I იყოს ქართლის მეფეც. აქ სრული სიცხადით გამოიკვეთა სააკაძის მისია, რომ მას ქართლის სამეფოც მისთვის ემეტება და ცენტრალური სახელმწიფოს წეს-წყობის მაღიარებელია.

იმ ხანებში თეიმურაზ I- გონიოს ციხეში იდგა თავისი ამალით. მარტყოფის ომში მას მონაწილეობა არ მიუღია, იგი თავის ქვეყნის გადარჩენის გზას ეძებდა 1618 წელს ოსმალეთთან მოკავშირეობით, ირანის წინააღმდეგ. ერთი პერიოდი წარმატებისთვისაც მიუღწევიათ, მაგრამ ოსმალთა უნიათობამ, ვერ უზრუნველყო ეს წარმატება. თეიმურაზ I- უკან დაბრუნდა. მთელი იმ დროის მანძილზე ცდილობდა რუსეთთან კავშირი არ შეეწყვიტა. რომ მართლმადიდებლური ქრისტიანული ქვეყანაა და მისგან დახმარების იმედი აქვს. თეიმურაზ I- გულხელდაკრეფილი არასოდეს ყოფილა, რაც კი შეეძლო და რა ხერხითაც შეეძლო, თავის ქვეყნის გადარჩენისათვის თავს არ ზოგავდა. და არც თავის დედასა და შვილებს ზოგავდა.

აქაც უნდა აღინიშნოს ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება, თეიმურაზ I-სა და გ. სააკაძეს შორის. ორივე ცდილობს დიდი მოწადინეობით, ცალ-ცალკე, თავიანთი ქვეყნის გადარჩენას, სურვილები და მიზნები ამ შემთხვევაში ერთნაირი აქვთ. საბრძოლო საომარი ხერხები, დიპლომატიური სვლები, გამარჯვებამდის მისაღწევად კი სხვადასხვა. თეიმურაზ I- გარე ძალებით, ოსმალეთის მეშვეობით და შემდეგ რუსეთის მეშვეობით, ცდილობს ქვეყანა გადაარჩინოს. სააკაძე კი იმ ეტაპზე შიდა ეროვნული ძალების მობილიზებით და გაერთიანებით ცდილობს ქვეყნის გადარჩენას.

მინდა მკითხველის ყურადღება შევაჩერო პოეტი არჩილის ნააზრევზე, – „მოურავი უფროსობდაო“, დღემდის ქართველ მკითხველს უჩნდება აზრი იმისა, რომ საშუალო აზნაური სააკაძე ეპატიჟება ბაგრატიონთა გვარის წარმომადგენელს, კახეთის მეფეს თეიმურაზ I-ს ქართლის საპატრონოდ.

იმ ხანებში თეიმურაზ I- რუსეთში გამგზავრებას აპირებდა, სკეპტიკურ მდგომარეობაში მყოფს, სასიხარულო მოვლენას აცნობებენ, რომ გ. სააკაძე შაჰ-აბასს აუჯანყდა, მარტყოფის ველზე მტრის ჯარები გაანადგურა, გამარჯვება მოიპოვა და ახლა ქართლის მეფობასაც სთავაზობს თეიმურაზს. ვინ სთავაზობს? საშუალო აზნაური სააკაძე.

აქაც ყურადღება უნდა მივაქციოთ, კიდევ ერთ გარემოებას. დიდებულთა მხარეს, უეჭველია, ეცოდინებოდა, თეიმურაზ I-ის ყოფნა გონიოს ციხეში. და როცა ასეთ გამოუვალ მდგომარეობაში იყო მეფე და რუსეთში წასვლას აპირებდა იმიტომ, რომ თავისი ქვეყანა შაჰ-აბასის ვერაგი გეგმისგან ეხსნა, და ეს ქვეყანა რომ მტრისაგან უკვე დაიხსნა ქართველმა ხალხმა გ. სააკაძის თაოსნობით.

ეს, როგორც საოცნებო მოვლენა, არ უნდა ეცნობებინათ, არ უნდა ეხარებინათ, თუნდაც როგორც მოვალეობა თეიმურაზ I- მეფისათვის?

ისევ მივყვეთ მკითხველის ფიქრს, რაღაც გაურკვეველი მოვლენა აწუხებს, კითხვა ქვეცნობიერად თავისთავად იბადება, რაღაც ფარული მოვლენები გაურკვეველია? მარტყოფის გამარჯვებას სააკაძე ცალკე ვერაფრით მოიპოვებდა. ის ქართველ ხალხთან ერთად იქნა მიღწეული, სააკაძე ხელმძღვანელი ორგანიზატორი იყო. ახლა ეს სასიხარულო ცნობა გონიოში ჩაუტანეს თეიმურაზ I-ს.

აქვე უნდა ითქვას, მარტყოფის აჯანყების სამზადისი იმდენად ფარულად, კონსპირაციულად მიდიოდა, რომ საკითხავია, თვით მეფე თეიმურაზისთვისაც, ვერ იქნა თუ არ იქნა ცნობილი. ასეთი ვეებერთელა აჯანყება და გამარჯვება ერთდროულად მოხდა, მეფე საქმის კურსში არ ჩააყენეს? არ გაანდვეს? თუ ბუნებრივად მოხდა ისე,რომ მეფის გარეშე მოახდინეს აჯანყება. 30-000 ათასი მტრის არმია თბილისში შემოვიდა და დაიბანაკა, ნუთე ეს ვითარება არ იყო თეიმურაზისათვის ცნობილი? მარტყოფის აჯანყება სააკაძისაგან ზედმიწევნით, მკაცრი კონტროლით რომ ვითარდებოდა, ეს გასაგებია, გასაგებია იმიტომ, რომ სხვაგვარად არ მოხერხდებოდა, რადგან სააკაძეს მტერი ორივე მხრიდან მალულად უთვალთვალებდა. რა მხრიდან გაიჟონებოდა აჯანყების გეგმა, ვინ უწყოდა.

მარტყოფის აჯანყების თადარიგი სააკაძეს, პირველ რიგში განდობილი აქვს როგორც მეტად სანდო, საეკლესიო პირი, წილკნელი ეპისკოპოსისთვის. ეს უტყუარი ფაქტია, რომ საომარი მობილიზება რაც შეიძლება ფარულად და ორგანიზებულად მოხდეს. ზურაბ ერისთავს აჯანყების გეგმა მოგვიანებით, მაგრამ მაინც გააგებინეს, ზურაბი იმ ეტაპზე ჯერ სიძე არ არის თეიმურაზ I-ის, რახან ზურაბ ერისთავს ეცოდინებოდა აჯანყების გეგმა, სიძე რომ ყოფილიყო, სიძე სიმამრს არ დაუმალავდა და გაანდობდა საიდუმლოს.

ზ. ერისთავი მერყევი ხასიათის კაცი იყო, ამდენად საფრთხილოც. სააკაძემ მასში ეროვნული ღირსებები გამოაღვიძა, შემდეგ დაითანხმა და მოხიბლა ლელა-თინათინის ცოლად შერთვით. მარტყოფის ომში ზ. ერისთავის მონაწილეობა იმიტომ იყო საჭირო, რომ მას თავდაუზოგავი, ბრძოლებში ნაწრთობი მთიელი მეომრები ჰყავდა.

სააკაძის აჯანყების თადარიგი ზ. ერისთავმა იცის და თეიმურაზ მეფემ არ იცის? ცხადია, ამის მიზეზი იქნებოდა. როცა შაჰ-აბასი კახეთზე თავდასხმებს აწარმოებდა, თითო შემოსევაზე 15,000 ათასი მეომარი მოჰყავდა, ახლა 30,000 ათასია, რომელნიც ცენტრალურ ქართლში თბილისსა და მუხრანს შორის მოძრაობს, მთელი, თვე-ნახევარის მანძილზე, რა ძალა უნდა აღუდგეს მათ წინ? ყიზილბაშების 30,000 ათასიანი არმიის თბილისში შემოსვლა, მეფე თეიმურაზისათვის ცნობილი იქნებოდა, მაგრამ სააკაძის აჯანყების გეგმა შესაძლოა არ იყო ცნობილი, რადგან მეფე გონიოს ციხეშია გაჩერებული და ფიქრობს რუსეთში წავიდეს. მისი ასეთი ყოფა მიგვანიშნებს, რომ თეიმურაზ I- უიმედო მდგომარეობაშია იმის გამო, რომ ამოდენა მტრის ჯარებთან ბრძოლა, მცირე ქართველებით, უშედეგო იქნებოდა და იგი ფიქრობდა რუსეთთან კავშირები ისევ გაეგრძელებინა.

ხაზი უნდა გავუსვა ერთ ვითარებას. 1617 წლიდან 1625 წლამდის, შაჰს აღმოსავლეთ საქართველოზე ლაშქრობა არ განუხორციელებია, მაგრამ თეიმურაზ I- უიმედო მდგომარეობაშია, და რუსეთში აპირებს წასვლას. რა უნდა ყოფილიყო თეიმურაზ მეფისაგან, რუსეთში წასვლის მიზეზი?

თეიმურაზს ინფორმაცია ექნებოდა იმის შესახებ, რომ შაჰი აღმოსავლეთ საქართველოზე ხელახლა ლაშქრობას აუცილებლად განახორციელებდა. რომელ წელს, ეს იქნებოდა უცნობი მეფისათვის, მაგრამ ცნობილი იქნებოდა სააკაძისათვის, იმის გამო რომ, იგი ირანში იმყოფებოდა და იმ ეტაპზე სანდო პირი იყო და რადგანაც სააკაძე შაჰისათვის სანდო პირი იყო, საიდუმლო გზებით სააკაძემ იცოდა, რას უპირებდა შაჰი აღმოსავლეთ საქართველოს და სწორედ ამის გამო ამზადებდა აჯანყებას (საიდუმლო გზებით, ვამბობ იმის გამო,რომ სააკაძე სანდო კი იყო, მაგრამ შაჰი ყველა გეგმას მასაც არ გაუმხელდა).

შაჰ-აბასისაგან აღმოსავლეთ საქართველოზე ლაშქრობისათვის ფარული სამზადისი ცხადი რომ იყო, ჩანს იქიდან, რომ თეიმურაზ I-ს გადაუწყვეტია, და 1618 წელს ჩასულა ოსმალეთში და

მისი მოკავშირე გახდა, რომ შაჰის წინააღმდეგ გვერდში ამოიყენოს, სამწუხაროდ, ოსმალეთმა თეიმურაზ მეფეს ვერ გაუმართლა. ასეთმა მდგომარეობამ მეფეს არჩევანი ისევ რუსეთისაკენ გააკეთებინა. ეს ფაქტი ჩანს იქიდან, რომ 1625 წელს თეიმურაზ I- იმედგადაწურული, ოსმალეთისაგან, თან იმ ხანებში, შაჰი ხმებს გაავრცელებდა, რომ სიმონ II-ის ირანული მაყრიონი, ქართლში წამოსასვლელად ემზადებოდა (რაც შაჰ-აბასისაგან ირანული ჯარების ქართლში შემოჭრას ნიშნავდა, და ამის გამოც მეფე რუსეთში აპირებდა წასვლას. თეიმურაზ I-მა არ იცოდა, გ. სააკაძეს შაჰის წინააღმდეგ აჯანყების თადარიგი დაჭერილი რომ ჰქონდა, რა მიზეზითაც არ იცოდა, მკითხველს მოვახსენებ.

თეიმურაზ მეფეს აჯანყების გეგმა რომ სცოდნოდა და თუ ის თანახმა იქნებოდა აჯანყებისა, მაშინ ქართლ-კახეთისა და თბილისის მახლობლად უნდა ეტრიალა, ამ სიშორეზე გონიოში არ უნდა ყოფილიყო გაჩერებული. შესაძლებელია, რადგან სააკაძე შაჰ-აბასთან იყო თავშეფარებული და ახლა, ის ყორჩიხა-ხანთან ერთად, და ყიზილბაშურ ჯარებთან ერთად თბილისში შემოვიდნენ, მეფე თეიმურაზს არც ეჯერა თუ სააკაძე მათ წინააღმდეგ აჯანყებას მოაწყობდა და ამის გამოც მოცილდა ყიზილბაშთა სიახლოვეს და გონიოს ციხეში გაჩერდა.

მეორეს მხრივ, მაინც საკითხავია, რატომ არ ჩანს თეიმურაზ I- მარტყოფის ომის ორგანიზატორებთან თანამონაწილედ?

სავარაუდოდ, შესაძლოა, ასე მოხდა.

მას როგორც მეფეს, აჯანყების გეგმა სხვა მიმართულებით რომ არ წაეყვანა, და იგი ამ შემთხვევაში როგორც მეფე პრივილეგირებული იქნებოდა და შეწინააღმდეგებასაც, ისე ვერ გაუბედავდნენ.

და ამის გამო არ გაანდეს მას აჯანყების საიდუმლო.

თეიმურაზ I-სა და სააკაძეს შორის იმ ხანად არავითარი გართულებები არ იყო, პირიქით, სააკაძეს მეფის მიმართ კეთილგანწყობა აქვს ჩაფიქრებული. ქართლ-კახეთში მეფედ მოსაწვევად. და ამ საფუძველზე აჯანყების გამხელა მისთვის აუცილებელი რომ ყოფილიყო, სააკაძე გაუმხელდა.

როგორც ჩანს, სააკაძემ ზედმიწევნით იცოდა თეიმურაზის ხასიათი. შესაძლოა, მეფე დათმობაზეც წასულიყო, როგორც ეს გამოჩნდა კახეთის მოვლენებში, როცა დედა და ორი შვილი, დიდებულთა რჩევით, შაჰ-აბასთან გააგზავნა, და შესაძლოა მარტყოფის აჯანყებაში მომხდარიყო ასეც, დიდებულთა ნაწილი და თეიმურაზი ურთიერთაზრს გაიზიარებდა, და სააკაძის გეგმის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებას მიიღებდნენ, როგორც ეს შემდგომ მარაბდის ომში გააკეთეს. შაჰ-აბასს ქართლისა და კახეთის მოსპობა ეწადა, მასთან დათმობა და შეღავათი დამარცხების საწინდარი იქნებოდა, ამიტომ მხოლოდ რადიკალური პოზიცია იყო გამართლებული. ერთი მთლიანი მძლავრი შეტევით მტერი უნდა განადგურებულიყო. სააკაძე მპატიებელი და ტოლერანტი მხოლოდ თავის თანამოძმეებთან იყო.

მარტყოფის გამარჯვება მართლაც იყო სასიხარულო მოვლენა ქართველი ხალხისათვის. და ეს სასიხარულო მოვლენა, როგორც ინფორმაცია, გონიოში თეიმურაზ I-ს ჩაუტანეს. სააკაძეს აჯანყების ორგანიზება მოუწყვია და ქართველ მოსახლეობასთან ერთად მარტყოფის ველზე, შაჰ-აბასის 27,000 ათასი მეომარი გაუნადგურებიათ, თანაც ერთ დღეში.

მკითხველის ფიქრიც აქ მიმოტრიალებს, ასეთი გრანდიოზული საქმე, რომელიც მეფის გასაკეთებელი უფრო იყო, სააკაძეს გაუკეთებია (ვინმესგან აუცილებლად უნდა გაკეთებულიყო) მოარული აზრით სააკაძეს მარტყოფის ომში უფროსობა უნდოდაო.

აქვე კითხვად უნდა დაისვას –

გიორგი სააკაძეს, მარტყოფის აჯანყებით, შაჰისაგან ქვეყნის დახსნა უფრო უნდოდა თუ ამ აჯანყებაში უფროსობა? განა შეიძლება სააკაძეს მარტყოფის აჯანყებაში უფროსობის სურვილის გამო შვილი გაეწირა?

ახლა დავაკვირდეთ, მარტყოფის აჯანყებაში „ნაუფროსალი“ სააკაძე ცდილობს მეფე „უფროსს“ დაუკავშირდეს და ქართლის მეფობაც შესთავაზოს, ასევე თავისი საომარი გამოცდილებაც, რომ მეფემ თავის სამსახურში დაიგულოს. აქ ხომ ცენტრალური ხელისუფლების, რომლის სათავეში თეიმურაზ I იქნება, სააკაძისაგან აშკარა აღიარებაცაა.

აქვე, განმარტებისათვის, საყოველთაოდ ცნობილი ადამიანური, ბუნებრივი განცდაა, ადამიანი ეპატიჟება საკეთილო საქმისათვის მაღალსა და აღმატებულს, მისთვის არა მარტო ერთჯერადი, არამედ მუდმივი, საყოველთაო და მარადჟამს სამსახურისათვის.

მარტყოფის გამარჯვების მიზეზი, შვილის გამწირავი, სააკაძე ქართველმა მოსახლეობამ, უმაღლეს სამაგალითო რანგში აიყვანა, ვისი ძალისხმევითაც აღარ გახდა საჭირო, არც იმერეთში თავშესაფრად გადასვლა და არც მოსახლეობის მიუვალ ადგილებში გახიზვნა.

მადლიერმა ქართველმა ხალხმა, თავისი პატივისცემა სააკაძის მიმართ რომ გამოეხატა, მეფე თეიმურაზ I-ის ქართლ-კახეთზე მეფედ მოწვევა, სააკაძეს მიანიჭა.

მარტყოფის გამარჯვებამ საფუძველი შექმნა, საქართველოს გაერთიანების საქმე დაწყებულიყო, პირველი ნაბიჯი გადაიდგა კიდევაც. თეიმურაზ I-ის ორსავე სამეფოში გამეფებით. ეს ხომ იყო წმინდა რეალობა, რომ სააკაძეს თეიმურაზ I- ეიმედება, რომ ამ რთულ საქმეს იგი თავს გაართმევს, მით უმეტეს, სააკაძემ მასთან თანადგომაც გამოაცხადა.

ისმება ლოგიკური კითხვა. შაჰ-აბასმა 1626 წელს ბაზალეთის წინარე მოვლენებში, ზავის წაყენების პირობით, ძალები რომ მოიკრიბოს, საქართველოში დაუდ-ხან უნდილაძის გამოგზავნით, თეიმურაზ I-ს ქართლ-კახეთში მეფობის გამოცხადებით, ახალი რა აზრი ან რა თანადგომა შესთავაზა, როცა სააკაძისაგან და ქართველ დიდებულთა მხრიდან უკვე აღიარებული იყო ქართლ-კახეთის მეფედ?

პაატა სააკაძე

წავკისურმა შეთქმულებამ პაატას ყრმობის ცისკარი გაუხარელი დატოვა, რამაც ამოუქრობ ხსოვნად და ცრემლად გაიარა მის სულში, მისთვის ვარდობისთვის მზე სამუდამოდ ცეცხლისფრად დარჩა. ტყე-ღრე გამოვლილები, მერე მცხეთასთან მისულნი, ლტოლვილთა დადაგული გულები ცრემლებში კრისტალდებოდა.

მაშინ ქართლმა ჩუმი ზარი ჩამოჰკრა სვეტიცხოველთან, სააკაძის ოჯახის მფარველი, ლოცვის მთხოვნელი, ანგელოზთა შეწევნით, უფალთან შუამდგომლობით, მტკვართან სამშვიდობო გზის მოძებნის დამშვიდებით.

ვის ეწიფება გონება, კამათი გამართოს სიცოცხლის მომგონთან, ყრმობიდან ქართლის მზისაგან იყო ჩაკოცნილი პაატას შუქმფინარი ბავშვობა, რომელიც ნოსტეში დარჩა შეშინებულ ხსოვნად. მშობლების გაფაციცებულმა ხელებმა და თვალებმა სასწრაფოდ, თვალების ფშვნეტით რომ გააღვიძეს, შემოახვიეს ჭილობი და სხვა ფანცი-ფუნცები და ტყეში შეხიზნულებს, ერთადერთი, რაც მის ბავშვურ გონებას ჩაჰკირვოდა, იყო ის, თუ როგორ ადიოდა ცეცხლის ენები მისი ისევ ნათბილარი საწოლიდან, სოფელი ნოსტე, ის ეზო-კარი, მათი. სააკაძიანთ ცეცხლად ქცეული სახლი, შემოგარენს რომ ანათებდა, პაატას სამშობლო და დაბადების ადგილი ერქვა, მაინც რა ავი თვალი და ამწარებული დღეები დაჰყვა სააკაძის შვილებსაც, ჯერ იყო და შეთქმულთა დამიზნებული სიკვდილისაგან გასწრება 1612 წელს 20 მაისს, შემდეგ ამღვრეული მტკვრის გადალახვა ღამით, შემხუთავი მგზავრობა ირანის ხრიოკ გზაზე, 12 წლიანი სამშობლო ცის უნახაობა, და ბოლოს, 1625 წელს აპრილში წამებით აღსასრული პაატასი და ავთანდილის 1629 წელს ოქტომბერში.

პაატას უმანკო სიცოცხლე შიშის ჟრუანტელ გავლილ ხსოვნის დღეებად განდევნილი, ნოსტედან ირანში შაჰის კარამდე. ნოსტეში დარჩენილი კვამლით აშავებული აკვნიდან პაატას ბავშვობა ქართველ ერს ისევ შემოსტირის. ირანის გზაზე მისი ნატირალი სიყმაწვილე, შემზადებული წამებისათვის, რაც იმავე ირანიდან ღირსებად და გამარჯვებად დაუბრუნდა, ჯერ მამას გიორგი სააკაძეს და შემდეგ საქართველოს. ქართველთა ხსოვნის საგანძურში პაატას მშვიდად სძინავს, ქართული სულისათვის ნეტარია ის აკვანი, რაშიც პაატა დარწეულა, ნეტარია ის წამიც მისი შეწირვის დროს რომ გაქვავებულა. ჟამთა ტრიალში, ნეტარია ნოსტეს მიწა, პაატას ბავშვობის ნაფეხურებზე ყაყაჩოებიც რომ ამოფრქვეულა.

მარტყოფის გამარჯვება განგებისაგან პაატას ჯერ ისევ ნაზ მხრებზე დადგა და მამისაგან ნაკარნახევი მისი სული, სამშობლოსათვის სამსხვერპლოდ დაიდო. მისი ნაზი სურნელის კუ-

ლულებიანი თმა, შაჰ-აბასის თითებს ანაწერად ჩამოუვარცხნია მხრებამდის, შემდეგ ჰორიზონტალურად ხელი გაუქვავებია და ჯალათებისთვის უბრძანებია, იმავე ადგილას მოეკვეთათ თავი. მისი თვალებიდან წამოსული უმანკოება, კეთილ მორჩილი კრავივით, მუხლებზე დაჩოქებული ჯალათის მახვილს შეადნა.

ასე იყო განსაზღვრული უზენაესისაგან.. ნოსტეში იავნანანამღერი, ირანიდან წამებული მოდიოდა პაატას თავი, მძევალი პაატა სააკაძის სული მარტყოფის გამარჯვებად აისახა, ის, რაც ცოცხალმა, ნოსტედან ირანის გზაზე გაიარა, ირანის კარს თავშეფარებულმა და ბედისწერით ნიშანდადებულმა, სიცოცხლე დატოვებული და გამარჯვებად წამოღებული პაატას თავი მამის გულში ჩასახუტებლად მოიჩქაროდა. ასე იყო ნაკარნახევი ღვთისაგან. ქართველი ხალხის სულში სააკაძის საქციელი მტკიცე ფუძე-საყრდენად, შემდეგ მისაბაძ მაგალითად, შემდეგ რწმენად გადაქცეული, ქმნიდა თვით შენახვა გაფრთხილების შინაარსიან პირობას. რომ არა ასეთი თვისებები, სააკაძის გულის-გულში, სმენა საკუთარი ქრისტიანული სულის ხმისა, იმ სულის ხმისა, რომელსაც, სამშობლოს წყალ-ჭალა, თავისი წიაღისაკენ იზიდავდა და რომ არ ყოფილიყო სააკაძეში ასეთი თვისებები, მაშინ თავისი შვილი პაატაც ცოცხალი შერჩებოდა და მისი წამებული სიკვდილისაგან გამოწვეული გოდებაც ასცდებოდა.

ბუნდოვანი აღარაფერი იყო, უხაროდათ მარტყოფელებს ერთმანეთობა, გონებაგანათებულები და გამარჯვების სიტკბოშესმულები, ცრემლებად იღვრებოდნენ და გულის ხმით ხვდებოდნენ, სად ჩაეყარა საძირკველი მარტყოფულ სიმტკიცეს, ვისაგან ვისი გაწირვით. ნათლად თვალხილული მოვლენა იდგა მათ წინაშე. მარტყოფის გამარჯვებით დაესვა ნიშანი სააკაძის 12 წლიან მოთმენა-დათმენას. ამ მწარე არჩევანმა პაატა სააკაძის სიცოცხლე ჯალათის მახვილთან დაამთავრა, სამშობლოს ინტერესების ალალ სამსახურის გარდა სხვა გზა არც გააჩნდა გ. სააკაძეს, მის გაუხუნარ ღვაწლში ჩასაძირკვლებული „ტაშის კარის ომის“ ამაგ დამნახავი, და სიცოცხლე ნაჩუქარი ბააკა ხერხეულიძის საქციელი, ვისგანაც გადარჩა სააკაძე, ხერხეულიძის გულში სამშობლოს მიმართ დანთებულმა სიყვარულმა, მუდმივ მზრუნველ და ქვეყნის წინაშე სიცოცხლე დაუზოგველ ადამიანად დატოვა და გონებაში ისევ ის რწმენა შეუნარჩუნა რაც სააკაძეს ტაშისკარის ომის მოვლენებში ასულდგმულებდა. სააკაძის შემწყნარებლურ პოზიციას მხოლოდ ერთი მოტივი გასდევს ნათელ ხაზად. დაბრუნდეს საქართველოში და განამტკიცოს მოსახლეობის ერთიანობა რომ შაჰის ვერაგული გეგმები ააცილოს საქართველოს თავიდან.

გ. სააკაძეს შვილი პაატა, ჯერ კიდევ მაშინ ჰყავდა გამოტირებული, როცა იგი 1615 წელს დაბრუნდა საქართველოში. მისაგან დაზაფრულმა ქაიხოსრო ჯავახიშვილმა, დასავლეთ საქართველოს მიაშურა, სააკაძემ კი შემოაბრუნა და შერიგების ხელი გაუწოდა. სულ მალე ისევ ქაიხოსრო ჯავახიშვილმა, ჯარი სთხოვა ფარსადან ციციშვილს სააკაძის მოსაკლავად. სააკაძე ისევ გადარჩება და ისევ ჩამოითმენს მისი გონება მოსისხლეთა ვერაგობას. სწორედ იმ შემთხვევაშიც გამოტირებული ჰყავს მას პაატა.

ისმება ლოგიკური კითხვა: მაშ რისთვის ითმენდა გ. სააკაძე თავისი პირადი მტრებისაგან ამდენს? და რახან ითმენდა, ცხადია თავისი მიზანიც ჰქონდა, და ამ დათმენის მიზეზსა და მიზანს, თავისი ირანში დარჩენილი თავისი პაატა რომ შეეწირებოდა, ხომ საზღვრავდა ამას მისი გონება.

ავი დრო მოდიოდა და მოჰქონდა ხალხის გულისა და გონების დასანახად ისტორიული ვაებანი. მარტყოფის ომის მოვლენებში, სააკაძემ მწუხარე გულიდან ჩამონათალი, პაატას მსხვერპლად შეწირვა კრძალვად აანთო ქართველ მოსახლეობაში, რაც მათგნ დაღვრილ ცრემლებში აისახა. მდუმარებას მოეცვა ოპონენტთა გულებიც. ყოველი წლის გაზაფხულზე, „ხარება“ დღეს, ერთაწმინდის ეკლესიიდან პაატა პატარა საფლავიდან მამას ელოდება და ისევ მას ამოჰკვნესის.

მნიშვნელოვანი მოვლენა – ქართველ ქრისტიან მართლმადიდებელ მოსახლეობას, მინდა ვაუწყო:

მარტყოფის ველზე, ომის ქართველთა დიდი გამარჯვებით დამთავრებამ, განაპირობა ის, რომ გიორგი სააკაძემ, ქართველი ერი არა მარტო მტრის მიერ განადგურებისგან იხსნა, არამედ გამაჰმადიანებისგანაც. ვინც სააკაძის გონებითა და მარჯვენით გადაურჩა განადგუ-

რებას, დიდებულთა სწორედ ის ნაწილი, დაუპირისპირდა მას საქართველოს გაერთიანების საკითხებში (ბაზალეთი).

ოპოზიციურად მოაზროვნე მხარეს გაუჩნდება კითხვა: რატომ მიიღოო სააკაძემ ხელმეორედ მაჰმადიანობა, ოსმალეთში ჩასვლის დროს?

პასუხი ასეთია, განვმარტოთ: შაჰ-აბასი იყო თეიმურაზის სიძე, თავისი დის, ელენეს მეუღლე. ქართველთა მეფის, თეიმურაზის დედა – ქეთევან დედოფალი, შაჰის სიდედრი. თეიმურაზის შვილები: ალექსანდრე და ლევანი, შაჰისთვის იყვნენ ცოლის – ელენეს ძმის შვილები, ანუ მოყვრის შვილები. შაჰმა კი თეიმურაზს, ეს სათაყვანებელი ადამიანები გაუნადგურა.

სააკაძისგან ჯარგანადგურებულ შაჰს, საქართველოსთან ზავი დასჭირდა. თეიმურაზმა ზავის პირობა მიიღო, რამაც საქმე ბაზალეთამდე მიიყვანა. საბოლოოდ კი, ამ მძიმე ვითარებამ, სააკაძე ოსმალეთის გზას გაუყენა, სადაც იგი იძულებული გახდა, მეორედ მიეღო მაჰმადიანობა.

გიორგი სააკაძესა და ვინ იცის, სიკვდილსგადაჩენილ ერთგულ თანამებრძოლთა ხელით, საქართველოს გაერთიანება რომ ყოფილიყო შესაძლებელი, მაშინ მსახვრალი დროის და ვითარების მარწუხებით აღსრულებულ გიორგი სააკაძის გამაჰმადიანებას, იქნებ, მოწყალე უფალი ზეციურ სამფლობელოში განაქარვებდა.

* * *

რატომღაც ქართველი საზოგადოების გარკვეულ ნაწილში დამკვიდრებულია აზრი, რომ პაატა საკაძის ზნეობრივი გმირობა უფრო მაღალია, ვიდრე მამის, გიორგი სააკაძის, გოლგოთის მსგავსი მოთმინება და გადახდილი ომები. აქ უცნაური, ბუნდოვანი გამიჯვნა მოხდა საზოგადოებაში მამა-შვილის გმირობის შეფასებისას.

უნდა აღმოიფხვრას ყოველგვარი ზედაპირულობა, უნდა ვუსმინოთ ღვთის ხმას და არ დავივიწყოთ, რომ პაატა სააკაძემ წამებულის გვირგვინი სწორედ ამის გამო მიიღო, რომ მისმა მამამ, დიდმა მოურავმა, მარტყოფის გამარჯვებით, სამშობლო გადაარჩინა!

შვილი პაატა მამამ კრავივით შესწირა სამშობლოს ხსნას.

პაატას არჩევანის არც საშუალება ჰქონდა და არც უფლება.

თავისი ქვეყნისათვის შვილის სპეტაკი სიცოცხლის შეწირვის აუცილებლობა მამამ, გიორგი სააკაძემ, განაპირობა.

მისი წამებული სიცოცხლე იმ მიწა-წყალს ჩაენაცვლა, სადაც ფეხი და ენა აიდგა. ამიტომ მისი სათნოება სანთლად ანთია ქართველი ხალხის გულში.

* * *

(მახსოვს, 1968 წელი იყო, მოსე თოიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში ვსწავლობდი. კომკავშირის რიგებში მისაღებად, კასპის რაიონში წაგვიყვანეს და ერთაწმინდის ტაძარში პაატა სააკაძის საფლავთან საერთო ფიცი დავდეთ).

იმერეთის მეფის გიორგი III თანადგომა
გ.სააკაძესთან შაჰ-აბასის წინააღმდეგ აჯანყებაში

ყურადღება მივაქციოთ, სააკაძის ჯერ 1620 წელს იმერეთის სამეფოში გადასვლის მიზეზებსა და შემდეგ 1625 წელს იმერეთში გადასვლის მიზეზებს შორის, რა სხვაობებია მის ამ წლების გეგმებში.

იმ ეპოქის ღრმად დაინტერესებულ პირთათვის, ნათლად დასანახი რომ გახდეს მაშინდელი მოვლენები, უნდა მივყვეთ მდგომარეობათა ლოგიკურ თანმიმდევრობას.

როგორც უკვე ცნობილია, 1620 წელს, სიმონ II-მ და გ. სააკაძემ შაჰ-აბასისაგან, ქართლის სამეფოს მართვის სადავეები ჩაიბარეს. პირველი გამგებელია, მეორე მისი თანაშემწე. იმავე წელს სააკაძე სასამართლოს აწყობს პირადი მტრების შემორიგებისათვის, რაც ერთსულოვნები-

სათვისაა საჭირო, რომ ერთიანი მობილიზებული ქართული ენერგია შაჰის წინააღმდეგ აჯანყებისათვის მიმართოს.

იმავე 1620 წელს სააკაძე გადადის იმერეთის სამეფოში გიორგი III-სთან, რათა ურთიერთთანადგომის კავშირი განამტკიცოს ირანის წინააღმდეგ. მათი მოკავშირეობა აისახება იმაში, რომ სააკაძე ცდილობს გიორგი მეფის შვილი ხვარამზე თავის შვილზე ავთანდილზე დააქორწინოს.

იმერეთის მეფე გიორგი ღირსეული პიროვნება იყო. მას კახეთისა და ქართლის მეფეები – თეიმურაზ I და ლუარსაბ II გაჭირვების ჟამს შეუფარებია და ჭირ-ვარამი ერთმანეთისთვის გაუზიარებიათ, მეფენი მეფესთან თანამოძმენი იყვნენ და იმერეთის სამეფოში იქამდის რჩებოდნენ, რა დროც მათი უვნებლობის გარანტიას სჭირდებოდა.

როცა სააკაძესა და მის გეგმებს დასჭირდათ იმერეთისაგან თანადგომა, მეფე მზად იყო, მიეცა იმედი და შვება.

გიორგი III-მ იცის, ვინაა შაჰ-აბასი საქართველოსათვის, იცის რა თავდასხმები და იავარყოფა ჩაატარა მან კახეთის სამეფოში და ახლა რა წადილი აქვს ქართლისათვის. მეფეს ისიც ეცოდინებოდა, რა მიზნით დაბრუნდა სააკაძე ქართლში, რა სწადია, რა გეგმები აქვს. მართალია, სააკაძეს თანამოაზრეები გვერდში ედგნენ, მაგრამ მეფის თანადგომა სხვა სიდიდისა იყო.

დავაკვირდეთ, როგორ უწყობს ხელს სააკაძეს, რომ მისი გეგმები წარმატებით განვითარდეს. რაც უმთავრესია, ღმერთმა არა ქნას და თუ მოხდა პირიქით, წარუმატებლობის შემთხვევაში მფარველობას აღუთქვამს თავის სამეფოში.

განა გიორგი III-ს რაიმე საეჭვო, ან არასასურველი მოვლენა რომ სცოდნოდა სააკაძის შესახებ, ან მისგან შაჰ-აბასის საწინააღმდეგო გეგმების, პატივისმცემელი და დამფასებელი რომ არ ყოფილიყო, მეფე თავის შვილს, ხვარამზეს სააკაძის შვილზე ავთანდილზე დასანიშნად გაიმეტებდა?

ან ღირსეულ დიდებულთა გვარის წარმომადგენელთა შვილები აკლდა იმერეთის დიდებულთა ფენას, როცა მეფე გიორგი თავის შვილს აზნაურ სააკაძის შვილზე ათხოვებს?

„ – ესე ფიცი პირი გიბოძე ჩვენ მეფეთა-მეფემ პატრონმა გიორგიმ და ძემან – ჩემმა პატრონმა ალექსანდრემ, მამუკამა და როსტომ, თქვენ მოურავს, პატრონს გიორგის ასრე რომე ჩემი ქალი ბაგრატოვანი ხვარამზე, გულგაწმენდით თქვენის შვილის ავთანდილისათვის მომიცემია–“

რადგან სააკაძემ 1620 წლიდან, იმერეთის სამეფოში გადასვლა გადაწყვიტა, და მიზანი აქვს გიორგი III-სთან სამოკავშირეო ატმოსფერო შექმნას, ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ მას წინასწარ თადარიგი აქვს დაჭერილი. ვაი, თუ განვითარდა მოულოდნელი გარემოება, გამცემმა ამხილა, სააკაძის აჯანყების საიდუმლო გეგმა? რა ქნას მაშინ სააკაძემ? ხომ უნდა გადასულიყო იმერეთში და თავი გადაერჩინა? რადგან შაჰისაგან ნდობამოპოვებულია, რაც სიმონ II-სთან თანაშემწეობაში აისახა, ეს ნდობა ბოლომდის უნდა შეინარჩუნოს, რომ აჯანყება წარმატებით დაამთავროს. სააკაძისადმი ნდობაში ბზარი თუ გაჩნდა, ეს იქნება მიზეზი აჯანყების უშედეგოდ დამთავრებისა. 1620 წლიდან 1625 წლამდის სააკაძე ხან ქართლშია, ხან ირანში და სიმონ II-სთან თავის მოვალეობას ასრულებს. მასზედ რომ ეჭვი აეღოთ და მისგან აჯანყების თადარიგები შაჰისათვის ცნობილი გამხდარიყო, ქართლში მყოფი სააკაძე ირანში ვეღარ დაბრუნდებოდა იმის გამო, რომ საეჭვო ხალხს შაჰი აღარ ენდობოდა და ასეთ პირებს მისგან გარდაუვალი სიკვდილი ელოდათ. ამიტომ სააკაძემ 1620 წლიდან, წინასწარ დაზღვევის მიზნით, გარანტია შეიქმნა იმერეთის სამეფოში რა დროსაც დასჭირდებოდა, იმ დროს გადასულიყო სიცოცხლის შენარჩუნების მიზნით.

რადგან სააკაძე სიმონ II-სთან თანაშემწე იყო, თუ რამ დასაეჭვებელ ნაბიჯს გადადგამდა, პირველ რიგში, სიმონ II გაიგებდა და ის მაშინათვე შაჰს აცნობებდა. შაჰი თუ სააკაძეს თანამდებობიდან გადააყენებდა ეს იქნებოდა ნიშანი, რომ შაჰი სააკაძეში დაეჭვდა. ასეთ დროს სააკაძე მაშინათვე იმერეთს მიაშურებდა. დაეჭვების შემთხვევაში, შესაძლო იყო სააკაძე საქართველოშივე კონსპირაციულად მოეკლათ. მაგრამ უფრო დამაჯერებელი, შაჰის ხასიათიდან გამომდინარე, სააკაძესთან დაეჭვების შემთხვევაში, იგი ირანში გაიწვევდა თვალის ასახვევად, ვითომ

რაღაც მნიშვნელოვანი საქმის გამო და ირანში გაუსწორდებოდა სიკვდილით. რაც იმას ნიშნავდა, რომ მარტყოფის ომი ველარ მოხდებოდა და შაჰი თავის ვერაგ გეგმებს აღმოსავლეთ საქართველოში განახორციელებდა.

შაჰ-აბასის წინააღმდეგ აჯანყების მოწყობა დიდი რისკი იყო. მიუხედავად სააკაძისაგან დიდი სიფრთხილისა და დიპლომატიისა, შესაძლოა, გამცემი გამოჩენილიყო და მთელი ასეთი სამზადისი წყალში ჩაყრილიყო.

სააკაძემ, როგორც სიმონ II-ის თანაშემწემ, ხომ იცოდა, (შაჰ-აბასი), მიახლოვებით მაინც, რა რაოდენობის მეომრებს გამოგზავნიდა საქართველოში, როცა გეგმაში ჰქონდა ორივე სამეფოს – ქართლისა და კახეთის განადგურება 30,000-იანი მტრის ჯარის განადგურება დაცოტავებული კახელებითა და ქართლელებით ურთულესი იყო. საჭირო იყო სხვა ხერხი, დამატებითი ძალა, რომ საბრძოლო გათვლა უშეცდომოდ ჩატარებულიყო. და იმერეთის სამეფოს ჯარის მხარში ამოდგომა მარტყოფის ომში აუცილებელი იყო.

თუ ყოველგვარი გათვლების გარეშე, სტიქიურად და სპონტანურად, ემოციების მოზღვავების ხარჯზე, სააკაძე იერიშს მიიტანდა თავისი ქართველებით 30,000-იან ყიზილბაშებზე, წარმატების გარანტია ნაკლები იყო, და სააკაძე ამას არ გააკეთებდა. ხერხი იყო საჭირო, მტრის ყურადღების მოდუნებისათვის. შემდეგ ერთიანი, მძლავრი დამაბნეველი იერიშით, მომაკვდინებელი დარტყმა უნდა მიეყენებინათ მტრისთვის. როცა სააკაძეს ასეთ ურთულეს გარემოცვაში უხდებოდა აჯანყების სამზადისი, უნდა დაისვას კითხვა – ასეთ შემთხვევაში მას სამშობლო უფრო ახსოვდა თუ ირანში დატოვებული თავისი შვილი პაატა?

1615 წელს, როგორც კი სააკაძე, შაჰ-აბასისაგან ნდობამოპოვებული ირანიდან საქართველოსაკენ გამოემართა, მას სამუდამოდ გამოტირებული ჰყავდა პაატა და მისი თვალებიდან წამოსული მუდარა, მამის გულში კვნესად და გმინვად დარჩა. სააკაძის მიმართ მცირედი დაეჭვებაც კი შაჰი სააკაძეს ირანიდან სულაც არ გამოუშვებდა, ე.ი. ქართლში შემოსული შაჰი სააკაძეს თავის გვერდით არ იყოლიებდა, და როცა სიმონ II-ის თანაშემწედ დაინიშნა, მაშინაც მცირე ეჭვის საფუძველზე, შაჰი სააკაძეს უკანვე, ირანში დააბრუნებდა.

მაშასადამე, ცხადი ხდება, რამდენად ზუსტი გათვლებით მოქმედებდა სააკაძე, რომ საეჭვო აზრი არ დაეტოვებინა მოპირისპირე მხარეებისათვის.

სააკაძის მიმართ დაეჭვება პირდაპირ კითხვისნიშნის ქვეშ დააყენებდა მარტყოფის აჯანყებასაც, და საფრთხესაც შეუქმნიდა არასანდო სააკაძეს და მის ოჯახს. არასახარბიელო მდგომარეობა დაუდგებოდათ მათ ირანში, მარტყოფის სამზადისზე რომ არაფერი ეთქვათ.

ასეთი განხილვებით ცხადი ხდება, რომ მარტყოფის აჯანყების გამარჯვებით დამთავრებაში, ან მარცხით დამთავრებაში, პაატა სააკაძე ორივე შემთხვევაში განწირული იყო.

ვთქვათ, სააკაძეს მიეღო გადაწყვეტილება, დარჩენილიყო ირანში და იქიდან ეხელმძღვანელა საქართველოში მარტყოფის აჯანყების სამზადისისთვის. ეს ძალზე რთული იქნებოდა და საეჭვო მოვლენების ალბათობაც ბევრად გაიზრდებოდა, სად თავის თვალწინ, ხელისგულივით რომ უყურებდა, საქართველოში მყოფი სააკაძე ყველა მნიშვნელოვან, თუ ნაკლები მნიშვნელობის მქონე აჯანყების სამზადისს, და სად ირანში დარჩენის შემთხვევაში, მისგან აჯანყების მომზადება.

მარტყოფის ომში გამარჯვების, ან მარცხის შემთხვევაში, სააკაძისათვის, ირანის გზა სამუდამოდ გადაიკეტებოდა, თან მოჰყვებოდა პაატას წამება. რადგან მარტყოფის აჯანყება წარმატებით დამთავრდა.

(გაგრძელება იქნება)

როინ მეტრეველი

აღა-მაჰმად-ჰანის ულტიმატუმი მეფე ერეკლე მეორისადმი

კრწანისის ბრძოლა საქართველოს ისტორიის ტრაგიკული ფურცელია. 1795 წელს ირანის მბრძანებელმა აღა-მაჰმად-ხანმა გაერთიანებული ძალების გამოყენებით ქართველების დამარცხება შესძლო. ეს იყო სამხრეთ კავკასიაში ირანის კვლავ გაბატონების ცდა. თბილისთან ქართველების თავგანწირული ბრძოლისა და საბოლოო მარცხის შესახებ არსებობს დოკუმენტური მასალა, რომელმაც იმთავითვე მიიქცია დაინტერესებულ მეცნიერთა (მათ შორის რუსი) ყურადღება.

გვინდა შევეხოთ ერთ დოკუმენტს, რომელიც ირანის შაჰის აღა-მაჰმად-ხანის ხელიდანაა გამოსული და რეალურად წარმოადგენს მტრის დამოკიდებულებას საქართველოსადმი, მის მუხანათურ ზრახვებს. ესაა „აღა-მაჰმად-ხანის ულტიმატუმი საქართველოს მეფე ერეკლე II-დმი“. ირანის შაჰის ეს გზავნილი 1901 წელს, რამდენიმე სხვა მასალასთან ერთად, გამოაქვეყნა ექვთიმე თაყაიშვილმა.[1] იქვე აღინიშნა, რომ წარმოდგენილი მასალა ირაკლი II-დმი მიწერილი შაჰის ფირმანის ქართული თარგმანი იყო. ულტიმატუმი, როგორც ე. თაყაიშვილი შენიშნავს, ლამაზი მხედრულით იყო შესრულებული. იგი მეცნიერისათვის გადაუცია ა.დ. ერისტოვს (ე. თაყაიშვილი მას „დიდადპატივცემულად“ მოიხსენიებს). ამ უკანასკნელს ეს დოკუმენტი სხვა ქართულ აქტებთან და საქმიან ქაღალდებთან ერთად ა. თუმანოვისგან მიუღია. ექვთიმე თაყაიშვილი თავის ძალზედ მწირ (სულ რამდენიმე სტრიქონი რუსულ ენაზე) კომენტარში მიიჩნევს, რომ ეს უთარიღო დოკუმენტი 1795 წლის სექტემბრამდე (კრწანისის ბრძოლამდე) უნდა იყოს მეფე ერეკლესადმი გამოგზავნილი. ულტიმატუმის სპარსული დედანი შემორჩენილი არ არის. ამდენად ტექსტის ქართულად (ქართული ვარიანტი) გამოქვეყნება, თანაც რუსული თარგმანითურთ, მეცნიერის მიერ გაკეთებულ სხვა მრავალ საქმესთან ერთად, მეტად საჭირო და მეცნიერებისათვის სასარგებლო იყო.

დღესდღეობით აღა-მაჰმად-ხანის ულტიმატუმი საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული. ჩვენ მკითხველს ვთავაზობთ ამ დოკუმენტის ტექსტს ქართულად და რუსულად ექვთიმე თაყაიშვილის წაკითხვით:

„გმადლობ ღ“თსა, რომელ დიდ არს სახელი მისი და დიდება.

ბეჭედი ერანის Ãელმწიფის აღა-მაჰმად-შაჰისა

ბრძანებასა ამას ჩუÀნსა გამოუცხადეთ მისს სიმაღლეს საქართუÀლოს მეფეს.

მომლოდნესა წყალობისა ჩვენისა ვითარმედ ესრეთ გეუწყოს: სამეოცდა ათისა წლისა უწინარეს რომელიცა საქმე ყანდაარს ქართუÀლთა დაიჭირეს და ერანის ნამუსი წაახდინეს, ის საქმე, რომელიც აწ გამოცხადებულია, რომელ შაჰ-სულთან უსეინც მომკუდარი არის და აღარაც არის. ახლა თქვენმა უმაღლესობამაც იცის, რომ ეს ასი თაობა არის, რომე ერანისანი ჰყოფილ-ხართ. ახლა განკÂრვებით ვჰბრძანებთ, ვითამც რუსებს მოჰკიდებიხართ, რომელთაცა ამის გარდა სხუა არა არის რა, რომ ერანში ივაჭრონ, რომელთაც საქმე სოვდაგრობა არის. ოთხმოცდა ათის წლის კაცი ხარ და ამისთანა საქმეებს ჰშურები, რომ ურჯულონი მოგიყუანია და მათთან შეერთებულ-ხართ, ნება მიგიცია, თუმცა თქუÀნი ჰსჯული და ჩვენი ჰსჯული სხვა და სხვა არის და განთÂსება აქვს, მაგრამ ყოველთÂს ერანთან შეერთება გქონიათ. ერანში თათარი, ქართველი, სომეხი, ურჯულო და მრავლის ჰსჯულის სხვანიცა არიან, ამისთÂს ჰÃამს, რომ ყოველისავე სირცხÂლი შენ გასწიო და ეს საქმე არა ჰქმნა. შარშანდელს დროსა რამდენიმე ქართუÀლნი მე გამაფუჭებინე, მეტადრე ჩვენი ნება არ იყო, რომ ჩვენნი ყმანი ჩვენის Ãელით წამახდენინე. ახლა ჰსწორე ეს არის, ჩვენ ღ“თის მოწყალებით, რომლისაც ძლიერებითა ამას დიდებასა შინა აღვედით, ახლა ჩვენი დიდებული ნება ეს არის, რომ თქვენ ერთი ჭკვიანი კაცი ხართ, ამგუარი საქმეები განიშო-

[1] Е.С.Такаишвили, Ултиматум персидского Шаха Ага-магомед-хана грузинскому царю Ираклию II,Сборник материалов племен Кавказа, выпуск двадсать девиятый,Тифлис,1901,стр.146-148

როთ, რომ ქვეყნის თასლიბიც არის, და რუსების შეერთებულება დაჰÃსნა. თუ ამას არა იქმ, რაც გვიბრძანებია, ამ ცოტას ხანში საქართველოზე მოვალთ, რუსთა და ქართვეთ სისხლს ერთად დავაქცევთ და მტკვრის მჰსგავსად მდინარედ გავაკეთებთ. რადგანაც ამის შეტყობინება საჭირო იყო, ამისთÂს ეს ფარმანი მოგწერეთ, ჩვენ ბრძანებას არ გარდახÂდე შენი მდგომარეობა იცნა.

Благодарю Бога, ибо велика есть слава Его.

Печать
царя Ирана
Ага-Магометь-Шаха.

Приказъ сей объявляемъ Его Высочеству царю грузинскому.

Ожидающему нашу милость да будетъ вѢдомо: дѢло, которое грузины учинили семьдесятъ лѢтъ тому назадъ въ КандагарѢ и какъ они уронили честь Ирана, – это нынѢ уже извѢстно, ибо Шахъ-Султанъ-Гусейнъ умеръ и его уже нѢтъ болѢе въ живыхъ. НынѢ и ваше Высочество знаетъ, что въ продолженіе этихъ ста поколѢній Вы были подвластны Ирану; тепер же съ удивленіеъ изволитъ мы сказать, что Вы примкнули къ русскимъ, у которыхъ нѢтъ другихъ задачъ, какъ торгщвать въ ИранѢ и дѢло которыхъ только торговля. Ты человѢкъ девятидесяти лѢтъ и такія вещи допускаешь: привелъ невѢрныхъ, соединился съ ними и даешь имъ волю! Хотя ваша вѢра и наша неодинаковы и разлияны, но Вы всегда имѢли связь съ Ираномъ. Въ ИранѢ много татаръ, грузинъ, армянъ, невѢрныхъ и другихъ религій; поэтому слѢдуетъ, чтобы Вы постыдились предъ всѢми и не допустили этого дѢла. Въ прошломъ году ты заставилъ меня погубить нѢсколькихъ грузинъ, хотя мы совершенно не желали, чтобы наши подданные погибли нашею же рукою. Теперь по милости Бога, силой Котораго мы достигли столь большого величія, вѢрность заключается въ слѢдующемъ: нынѢ великая наша воля, чтобы Вы, какъ умный человѢкъ, бросили такого рода дѢло, такъ какъ въ этомъ и говоръ (желаніе) страны, и порвали бы связь съ русскими. Если приказанное не исполнишь, то въ это короткое время совершимъ походъ на Грузію, прольемъ вмѢстѢ русскую и грузинскую кровь и изъ нея создадимъ рѢки наподобіе Куры. Такъ какъ слѢдовало извѢстить тебя объ этомъ, для этого мы Вамъ написали сей фирманъ, чтобы ты не ослушался нашего приказанія и позналъ свое положеніе.“

ვიდრე „ულტიმატუმის“ ტექსტს განვიხილავდეთ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ აღა-მაჰმად-ხანის თბილისზე თავდასხმის თაობაზე არაერთმა მეცნიერმა გამოთქვა თავისი მოსაზრება. ერთ-ერთი პირველი გახლავთ აკადემიკოსი პ.მ. ბუტკოვი[1], რომელიც უაპელაციოდ აცხადებს, რომ რუსეთიდან დახმარების იმედით ერეკლე მეორემ ვერ მოახერხა ადგილობრივი ძალების შეკრება, თავი ვერ მოაბა მას. იგი ხაზს უსვამს ქართლ-კახეთის სამეფოში არსებულ წინააღმდეგობებს, მიუთითებს, რომ შეცდომა იყო 1794 წლის 6 მარტს ერეკლე მეფის გადაწყვეტილება (დარეჯან დედოფლის მოთხოვნით) სამეფოს საუფლისწულო მამულებად დაყოფისა და ბატონიშვილებზე დანაწილების შესახებ.

საერთოდ XVIII საუკუნის მიწურულის რუსეთი აღმოსავლეთ საქართველოში პ. ბუტკოვმა ისე წარმოადგინა, რომ ქვეყანა კრწანისის ბრძოლის წინაც კი განწირული იყო და ბრძოლაში მარცხი სამეფოში არსებული ვითარების ლოგიკურ შედეგად მიაჩნდა.

ერთი რამ აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ რუს მოღვაწეებს (პ. ბუტკოვი სენატორიც იყო) ალბათ თავისი ქვეყნის ინტერესებიდან

გამომდინარე ავიწყდება, რომ არსებობდა 1783 წელს დადებული ტრაქტატი, რომელიც ავალდებულებდა რუსეთის ხელისუფლებას საჭირო შემთხვევაში იარაღითაც დაეცვა საქართველო. სამწუხაროდ, ტრაქტატის მოთხოვნები გაუმართლებლად დაარღვია რუსეთმა და საქართველო მტრის საჯიჯგნად გაიმეტა. ნიშანდობლივია, ირანის სახელმწიფო საქართველოს მესვეურებს საყვედურობდა რუსეთთან დამოკიდებულებას. კონფლიქტის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ საქართველოს მიერ რუსეთისკენ აღებული გეზი იყო. პ.ბუტკოვმა ყალბად წარმოადგინა კრწანისის ბრძოლა თავისი პერსონაჟებით.[2] ამ ავტორისგან შორს არ წასულა სომეხი არტემ არარატელი. მის ყალბ ცნობებს ერეკლესა და კრწანისის ბრძოლის შესახებ დაეყრდნო ბუტკოვიც და შედეგად შესაბამისი მიიღო. 1813

[1] П.Г.бутков,Материалы для новой истории Кавказа,II, стр.334-347.

[2] ვფიქრობთ, პ. ბუტკოვსა და სხვებს დასაბუთებული პასუხი გასცა პროფესორმა იასე ცინცაძემ. იხ. მისი „აღა-მაჰმად-ხანის თავდასხმა საქართველოზე“, თბილისი, 1956 წ.

წელს პეტერბურგში რუსულ ენაზე გამოიცა წიგნი „Жизнь Артемия Араратского...“.[1] ამთავითვე აღვნიშნავთ, რომ ამ ავტორის მიერ წარმოდგენილი მასალა, ამბები, თარიღები ფალსიფიკაციად, სიყალბედ იქნა მიჩნეული.[2] 1894 წელს ბაქოში დაიბეჭდა ეპისკოპოს არისტაკეს სედრაკიანის წიგნი „სიყალბე არტემ არარატელისა ამხილა ა.ე.ს-მან“. არტემ არარატიანის წიგნის უსუსურობის ჩვენების მიზნით აღვნიშნავთ, რომ მის „თხზულებაში“ მოქმედი პირები ორ ჯგუფად არიან დაყოფილი. ბოროტთა ჯგუფში შედიან ლეკები, ერეკლე მეორე, საფარბეგი, ვაღარშაპეტელები და მისი მღვდელი, თბილისელი სომეხი ვაჭარი და რუსეთის სამსახურში მყოფი სომეხი მაიორი. კეთილებს შორის არიან: არტემ არარატიანის ბებია, დედა, ოჯახის სახედარი, თვით არტემი.

1844 წელს ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯამბაკურ-ორბელიანმა გამოაქეყნა წიგნი „აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა თბილისში“, სადაც პირდაპირ წერს: „...არაჩურთის ოსეფა არღუთოვისაგან იყო შემოჩენილი არტემ არარაცკი მეფის ირაკლისა და საქართველოს დასაღუპად....ბევრი ჩვენი დასამხობი ამბებია ამ არტემისგან...“[3] ალ. ორბელიანი უარყოფითად აფასებს იმ ფაქტს, რომ სომეხი არუთინ არარაციანი, რუსეთში თავს არტემ არარაცკიდ ასაღებდა, კავკასიაში ხაჩიკიანცის გვარით იყო, ასტრახანში ივანოვის გვარს ატარებდა, მოსკოვში ბოგდანოვ-არარატსკიდ იწოდებოდა.[4] ერთი სიტყვით, როგორც ჩანს, ა. არარატიანი ჯაშუშურ საქმიანობას ეწეოდა და მისი ნარკვევიც ტენდენციურია, იგი ობიექტურ წყაროდ არ გამოდგება.

აღა-მაჰმად-ხანის საქართველოში ლაშქრობის შესახებ მნიშვნელოვანი ცნობები აქვს თეიმურაზ გიორგის ძე ბაგრატიონს. თეიმურაზ ბატონიშვილის ნაშრომი დაიბეჭდა გაზეთ „კავკაზში“(1850 წ; №№51-56). აქ დაწვრილებითი ცნობებია კრწანისის ბრძოლისა და ავტორის ძმის დავით ბატონიშვილის სამხედრო მოღვაწეობის შესახებ. ამ ნაშრომში არაფერია ნათქვამი კრწანისის ბრძოლისას დაბნეულობის, ღელვისა და პანიკის შესახებ, რომელსაც აგვიწერენ პ. ბუტკოვი, არ. არარატელი და ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანი (იგი მიუთითებდა, რომ ქართველთა(თავადაზნაურობის) კინკლაობამ სამშობლოს თავისუფლების დაკარგვას შეუწყო ხელი და შესაძლოა მოხდა უნებურად, ქართლ-კახეთის სამეფოს გამასხრებულად წარმოადგენდა).[5]

შეიძლება არც ყოფილიყო საჭირო ზემოხსენებულ ავტორთა მონაცემების მოტანა, მაგრამ ჭორის დონეზე მოტანილმა მასალებმა შემდგომი პერიოდის ისტორიკოსთა წყაროთმცოდნეობითი ბაზის ფუნქცია შეიძინა. 1939 წელს ისტორიკოსმა ა.არაქელიანმა გამოაქვეყნა ნარკვევი აღა-მაჰმად-ხანის თბილისზე თავდასხმის შესახებ, მან გაიმეორა ზემოხსენებულ ავტორთა მოსაზრებანი, ერეკლე მეორე მხდალ მეფედ წარმოადგინა, ლაშქარი მორალურად გახრწნილად. ა. არაქელიანის უვიცობას და დაუსაბუთებელ დებულებებს მწვავე კრიტიკა დაუპირისპირა პროფესორმა იასე ცინცაძემ. კრწანისის ბრძოლის ბედი ცნობილია, თუმცა არ შეიძლება არ დავინახოთ ამ ბრძოლაში ერეკლე მეორის შემართება. მოხუცი მეფე თავისი ამალით მთელი დღის განმავლობაში იბრძოდა კრწანისის ველზე. იგი წინა რიგებში იყო. ამის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაძლევს აღა-მაჰმად-ხანის ლაშქარში მებრძოლი, ცხენოსანთა რაზმის ქვედანაყოფის ოფიცერი, სომეხი იაკობ ბებუთოვი. იგი თვითმხილველი იყო, როცა გააფთრებულ ბრძოლაში ქართველი მეფე და მისი ვაჟიშვილი – ვახტანგ ბატონიშვილი ხელჩართული მონაწილეობდნენ. თბილისთან უთანასწორო ბრძოლაში ქართველებთან ერთად მათ გვერდში მყოფი არა ერთი სომეხი შეაკვდა მტერს. საგანგებოდ ვუსვამ ხაზს ბებუთოვის სომხობას და მის ცნობებს. არაქელიანს შეეძლო გაცნობოდა მის ნაშრომს და გარკვეული კორექტივი შეეტანა თავის ცილისმწამებლურ ნარკვევში.[6]

იყო თუ არა მოულოდნელი ერეკლე II-დმი აღა-მაჰმად-ხანის თავდასხმა 1795 წლის სექტემბერში?

---

[1] А.Араратский,Жизнь Артемья Араратского,СПБ, 1813г, чась II, стр.24, 25.

[2] იხ.Н.Я.Марр,Подлог Артемия Араратского,Записки Восточного отделения императ.русск. археологического общества, П IX, вып. I-IV, СП5б 1890. ამგვარი მასალა ქართულ პრესაშიც დაიბეჭდა.

[3] ალ. ვახ-ძე ორბელიანი, აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ქ, თბილისში, ჟურნ. „მოამბე“, 1895 წ; გვ. 33

[4] ი. ცინცაძე, დასახელებული ნაშრომი; გვ. 15;

[5] ს. კაკაბაძემ 1914 წელს გამოსცა ალ. ორბელიანის მოგონება სათაურით „მამაჩემისგან ღალატი მეფის ირაკლისა“. ამის შესახებ იხ. რ. მეტრეველი, ერთგულება და ღალატი, თბ; 2011 წ.

[6] А.Аракелян, Присаединение Карабаха к царской России, `исторический журнал~, 1939 г. N 10(октябрь), მნიშვნელოვანია, რომ პროფესორი იასე ცინცაძის მონოგრაფიამ „არა-მაჰმად-ხანის თავდასხმა საქართველოზე“, ასევე სხვა ავტორების (განსაკუთრებით პროფესორების ვალერიან მაჭარაძის, გიორგი პაიჭაძის და სხვა). შრომებმა ობიექტურად შეაფასა კრწანისის ბრძოლა და პასუხი გასცა ისტორიის გამყალბებლეს.

ირანის შაჰის აღა-მაჰმად-ჰანის მიზანი ნათელია – 1795 წელს გადაწყვეტილი ჰქონდა საქართველოს (კერძოდ ქართლ-კახეთის) დაპყრობა. შაჰი სიფრთხილით მოქმედებდა. რუსეთში მზვერავები გაგზავნეს, რათა გაეგო – დაეხმარებოდა თუ არა რუსეთის სამხედრო ძალა საქართველოს. ცნობებს აგროვებდნენ ოსმალეთსა და ახლო აღმოსავლეთში მოვლენილი საგანგებო აგენტები. მზვერავებმა დააზუსტეს, რომ რუსეთის მოლაშქრეები 1795 წლის აგვისტო-სექტემბერში ქართლ-კახეთის მეფეს დახმარებას ვერ აღმოუჩენდნენ (ინფორმაცია გენერალი გუდოვიჩის დოყლაპიობის შედეგად გახდა ცნობილი მზვერავებისათვის).

ეს აღა-მაჰმად-ხანის საქართველოზე გალაშქრებისათვის ხელის გახსნას ნიშნავდა. ჯერ კიდევ 1793 წლის 30 მაისს საქართველოს საკითხი რუსეთის სამხედრო საბჭოს სხდომაზე განუხილავთ. მიუღიათ დადგენილება, საიდანაც ჩანდა, რომ რუსეთი ქართლ-კახეთის სამეფოსა და აღა-მაჰმად-ხანს შორის არსებულ კონფლიქტში არ ჩაერეოდა.. მოერიდნენ თურქეთთან ურთიერთობის გამწვავებას. გენერალმა გუდოვიჩმა, რომელიც ე.წ. „კავკასიის ხაზს“ ხელმძღვანელობდა, რუსეთის მთავრობის დავალებით განცხადება გააკეთა: რუსეთი ქართლ-კახეთის უზენაესი მფარველი იქნება. აღა-მაჰმად-ხანის აგრესიის შეჩერება გენერალ გუდოვიჩს უნდა უზრუნველეყო. ეს განცხადება ქართველთა დეზორიენტაციას ემსახურებოდა.

ამგვარად, ქართლ-კახეთის დიპლომატიამ, დროულად მიაწვდინა ხმა რუსეთის ხელისუფლებას შაჰის მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ. სამხედრო საბჭომ კი მიიღო გარკვეული დადგენილება საქართველოს დახმარების გაწევის შესახებ, მაგრამ ამას ეკატერინე II-ის განკარგულება სჭირდებოდა. იმპერატორი კი, როგორც ჩანს, თავს იკავებდა. ერეკლე მეორემ, გააანალიზა რა შექმნილი ვითარება, შეეცადა თურქეთი გამოეყენებინა ირანის წინააღმდეგ (ამ ქვეყნებს შორის დაძაბული ურთიერთობა იყო). ქართლ-კახეთის დიპლომატიის ეს ცდა – ირან-თურქეთის წინააღმდეგობით სარგებლობა და აღა-მაჰმად-ხანის თავდასხმის ასაცილებლად თურქეთის გამოყენება, მარცხით დამთავრდა. მოხდა ისე, რომ ირანი და თურქეთი ფარულად რუსეთის წინააღმდეგ გაერთიანდნენ. მათთვის მიუღებელი იყო ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მფარველობის ქვეშ ყოფნა. როგორც ჩანს, ინგლის-საფრანგეთის დიპლომატიაც ახალისებდა ირან-თურქეთის ბრძოლას რუსეთის წინააღმდეგ. მათ ინტერესებში იყო ამიერკავკასიიდან ფეხის ამოკვეთა.[1]

1795 წლის ივნისში ირანმა რუსეთში ელჩები გაგზავნა. ისინი გამოცხადდნენ გენერალ გუდოვიჩთან და პეტერბურგში გამგზავრების ნებართვა უთხოვიათ, თითქოსდა რუსეთში ემიგრირებული აღა-მაჰმად-ხანის ურჩი ძმის მურთაზ-ყული-ხანის მიერ გატაცებული პირების გათავისუფლებისა და სამშობლოში დაბრუნების საკითხის დასაყენებლად. გენერალმა გუდოვიჩმა არ ცნო ელჩების უფლებამოსილება სათანადო საბუთების უქონლობის გამო და არ მისცა პეტერბურგში გამგზავრების უფლება, პ. ბუტკოვი გადმოგვცემს, რომ გუდოვიჩს ირანელი მოციქულები გაუფრთხილებია: „Чтоб Ага-Могамед-Хан не касался владения его(царя Ираклия) на ония нападение будет оскарблением пртив России“.[2] ამგვარი გზავნილი შაჰისთვის მიუღებელი იყო და იგი უფრო მეტად განაწყო ბრძოლისათვის. მით უმეტეს, რომ იგი ამისთვის კარგა ხნით ადრე ემზადებოდა.

შაჰი ინტენსიურად ეწეოდა დაზვერვით საქმიანობას. იგი ელჩების სტატუსით აგზავნიდა მზვერავებს რუსეთში. როცა 1787 წელს მირზა-მაჰმად-ალი ირანის ელჩის უფლებით ჩავიდა რუსეთში და კავკასიისა და სამხრეთ რუსეთის საქმეების გამგებელთან გრიგორი პოტიომკინთან მეგობრული ურთიერთობის გაბმა მოინდომა, გრ. პოტიომკინმა კმაყოფილება გამოხატა ამგვარი ნაბიჯის გამო. როგორც ჩანს, „ელჩმა“ არ გაამართლა და გაძევებული იქნა ქვეყნიდან: „За его беспорядочные поступки“.

როგორც ირკვევა, საქართველოზე თავდასასხმელად ჯარის შეგროვება აღა-მაჰმად-ხანმა 1795 წლის აპრილ-მაისში დაიწყო. ჯარი თავს იყრიდა არდებილში ნურ-ალი-ხანის ხელმძღვანელობით. ზოგი ცნობით, სპარსელებმა 50 ათას კაცს მოუყარეს თავი, თეიმურაზ ბატონიშვილის ინფორმაციით, მათ 70 ათასი მოლაშქრე ჰყავდათ. სხვა ცნობით ჯარი 100 ათას კაცს მოითვლიდა. სპარსეთის ჯარის არდებილოში კონცენტრაციის შესახებ ინფორმაცია ერეკლე II-მაც მიიღო. ქართლ-კახეთის მეფეს მოციქული გაუგზავნია გუდოვიჩისათვის და წერილობით უცნობებია მისთვის ვითარება (1795 წლის მაისი). ეს უკანასკნელი ოპერატიულად ახსენებს ზემდგომ ინსტანციას: „С уведомлением об

[1] ი.ცინცაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ; 119-120
[2] П.Бутков. დასახელებული ნაშრომი, II, გვ; 330

успехах Аги-Магомед-Хана... по известиям до него дошедшим,что Ага-Магомед-Хан хочет напасть на Грузию, и имея в том опасение ожидает Моей помощи“.[1] 1795 წლის 6 ივნისს დარეჯან დედოფლის საგანგებო წერილით მიუმართავს რუსეთის იმპერატორის ეკატერინესათვის და უთხოვია: „...ცრემლით გევედრები, უდიდებულესო ხელმწიფეო.... რათა მოგვეცეს შეწევნა უძლეველითა მხედრობითა“.[2]

1795 წლის 29 აგვისტოს ერეკლე მეორე აღშფოთებით წერდა გარსევან ჭავჭავაძეს, რომ აღა-მაჰმად-ხანი „ბილწ საქმიანობას“ ეწევა – ერევნისა და განჯის ოლქები წაართვა საქართველოს. „უკვე ორმოცდახუთი წელი გადის, რაც ერევნის ოლქი მთელი იქაური ხალხებით და მათი ხანებით, მათივე საკუთარი ხელწერილით ჩვენ გამგებლობაში იმყოფება და ყველას, ვინც სპარსეთში გახელმწიფებულა, დაუდასტურებია, რომ ერევნის ოლქი ყოველთვის ჩვენი იყო“ – აღშფოთებით წერდა ქართლ-კახეთის მეფე. ამასთან აღნიშნავდა, რომ 1783 წელს რუსეთის მფარველობაში საქართველო ერევნისა და განჯის ოლქებთან ერთად შევიდა. ერეკლე მეორე წუხს, რომ არდებილის შემდეგ შაჰმა შუშის ციხე გარემოიცვა.

1795 წლის 29 აგვისტოს ერეკლე მეფემ (ერევნისკენ სალაშქროდ მიმავალმა) დეტალურად შეიტყო საქართველოს წინააღმდეგ სალაშქროდ სპარსელების სამზადისის შესახებ. მისმა ერთგულმა მოკავშირემ შუშის ხანმა იბრეიმმა შეატყობინა, რომ აღა-მაჰმად-ხანი სალაშქროდ საქართველოსკენ მიემგზავრებოდა. საქართველოს სამეფო კარი თავდაცვის თადარიგს შეუდგა. მეფე თანმხლებლებთან ერთად სოღანლუღში დაბანაკდა.

აღა-მაჰმად-ხანმა, როგორც ჩანს, შუშის მიდამოებიდან საგანგებო ელჩი გამოგზავნა, რომელმაც ქართლ-კახეთის მეფეს აცნობა, რომ სპარსელები მოდიოდნენ სალაშქროდ საქართველოზე, თანაც განუცხადებია შაჰის მოთხოვნა, რომ ქართლ-კახეთს ეცნო შაჰის უზენაესობა და დაბრუნდეს მის მფლობელობაში. ეს ცნობა პ. ბუტკოვსა აქვს მოტანილი, თუმცა დოკუმენტი არ არის მითითებული. ვფიქრობთ, რომ საქმე გვაქვს აღა-მაჰმად-ხანის ულტიმატუმთან, რომლის შესახებაც ზემოთ აღვნიშნეთ.

ულტიმატუმი პათეტიკურად ტრადიციული ფორმულით იწყება: „ვმადლობ ღმერთსა, რომელ დიდ არს სახელი მისი და დიდება“. შემდეგ ფირმანს ირანის შაჰის აღა-მაჰმად-ხანის ბეჭედი აზის. შაჰი პირდაპირ მიანიშნებს, რომ ეს მისი ბრძანებაა: ..ბრძანებას ამას ჩუენსა გამოუცხადებთ მის სიმაღლეს საქართველოს მეფეს“.

შაჰი ერეკლე II-ს მისი წყალობის მომლოდინედ მიიჩნევს და მკაცრად შეახსენებს, რომ ჯერ კიდევ 70 წლის წინ ქართველებმა ყანდაარი „დაიჭირეს“ და „ირანის ნამუსი წაახდინეს“. ულტიმატუმი მიუთითებს, რომ მნიშვნელოვანი დროის განმავლობაში ქართლ-კახეთი ირანის გავლენის ქვეშ იყო: „...ეს ასი თაობა არის(?-რ.მ.), რომ ერანისანი ყოფილხართ“. აღა-მაჰმად-ხანი გაკვირვებას გამოთქვამს, რომ საქართველოს რუსეთის ორიენტაცია აურჩევია: „ახლა განკვირვებით ვბრძანებთ, ვითომ რუსეთს მოჰკიდებიხართ“. შაჰი რუსეთს დამცირებულად მოიხსენიებს („რომელთაცა ამის გარდა სხვა არა არის რა, რომ ერანში ივაჭრონ“). შემდეგ ულტიმატუმი მკაცრად შეაგონებს ქართველ მეფეს: „სამოცდათხუთმეტი წლის კაცი ხარ და ამისთანა საქმეებს შვრები, რომ ურჯულონი მოგიყვანია და მათთან შეერთებულხარ“. შაჰი ხაზს უსვამს, რომ ქართველთა და სპარსთა რჯული(რწმენა) სხვადასხვაა, თუმცა ქართველები ირანთან იყვნენ(„ყოველთვის ერანთან შეერთება გქონიათ“); ხაზს უსვამს, რომ ირანში სხვადასხვა ეროვნებისა და სარწმუნოების ხალხი („თათარი, ქართველი, სომეხი, ურჯულო და მრავალი რჯულის სხვანიც არიან“) თანაცხოვრობს; ქართველი მეფის საქციელი სირცხვილად მიაჩნია და ამიტომ რუსეთისკენ გადადგმულ ნაბიჯს უწუნებს და მოუწოდებს „ეს საქმე არა ჰქმნაო“. შაჰი ქართველ მეფეს შეახსენებს მისდამი კეთილ დამოკიდებულებაზე, აყვედრის კიდეც, რომ შენი მითითებით რამდენიმე ქართველი „გამაფუჭებინეო“ („ჩვენი ყმანი ჩვენივე ხელით წამახდენინე“). აღა-მაჰმად-ხანი შეფარული ლიქნით მიმართავს ერეკლე II-ს: „თქვენ ერთი ჭკვიანი კაცი ხართ“ და კეთილი ინებეთ და ჩვენი მოთხოვნა შეასრულეთ – რუსეთს დაშორდითო. თანაც ხაზს უსვამს, რომ ეს ბრძანება იყო („ჩვენი დიდებული ნება ეს არის“), „ამგვარი საქმეები განიშოროთ“ და „რუსების შეერთებულება დაჰხსნათ“ – ესაა „ულტიმატუმის“ დედააზრი. აღა-მაჰმად-ხანი, ცხადია, არ იყო დარწმუნებული, რომ ეს საკითხი მისი სურვილისამებრ გადაწყდებოდა, ამიტომაა, რომ „ულტიმატუმის“ დასკვნით ნაწილში მუქარაა – თუ შაჰის მოთხოვნა არ შესრულდება, ქართველ ხალხს განად-

[1] А.Цагарели, Грамоты и другие исторические документы, 1891, м II, вып II, стр.87.

[2] იქვე, გვ; 119

გურებით ემუქრება: „თუ ამას არა იქმ, რაც გვიბრძანებია, ამ ცოტა ხანში საქართველოზე მივალთ, რუსთა და ქართველთა სისხლს ერთად დავაქცევთ და მტკვრის მსგავსად მდინარეთა გავაკეთებთ“.

აღა-მაჰმად-ხანი მიმართავს ქართველ მეფეს, რომ ყოველივეს წინასწარ გატყობინებთ საგანგებო ფირმანით. ამასთან, საბოლოოდ აფრთხილებს გაითვალისწინე შენი მდგომარეობა („შენი მდგომარეობა იცნა“) და „ჩვენ ბრძანებას არ გადახვიდეო“. თუ ჩვენი ვარაუდი სწორია და ულტიმატუმის წარმოდგენილ ტექსტში დასახელებული ელჩია, სრულიად გასაგებია, რომ ერეკლე II-მ მოციქულის იზოლირება გადაწყვიტა. ალ. ორბელიანი იუწყება, რომ „ერეკლე მეფემ აღა-მაჰმად-ხანის ელჩი მაშინვე დააჭერინა და თბილისში გამოისტუმრა“[1] (თბილისის თავი ამ დროს დარჩია ბებუთაშვილი იყო). ვფიქრობთ, ქართული მხარე გაითვალისწინებდა საგანგებო ელჩის სტატუსს და მას ღირსებით მოექცეოდნენ. რაც შეეხება მის იზოლირებას, ეს გარკვეული დროით საჭირო იყო, რომ ამას რაიმე ამბავი არ გაეტანა საქართველოს მხედრობის თაობაზე (ქართული მხარე სწორად ვარაუდობდა, რომ ელჩი კარგად შეითავსებდა მზვერავის ფუნქციას).

ერთი რამ აუცილებლად უნდა ითქვას ხაზგასმით – კრწანისის ბრძოლაში ქართველები თავგამოდებით, ვაჟკაცურად იბრძოდნენ. მებრძოლთა წინა რიგებში იყო თვით ერეკლე მეორე და გმირობის მაგალითს აჩვენებდა. ნიშანდობლივია ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ აღა-მაჰმად-ხანის განცხადება: „მე ვიდრე ორმოცდაათამდის გამიმარჯვია, მაგრამ ყველაზე დიდი ეს არისო“.[2]

1795 წლის 10 და 11 სექტემბერს კრწანისში ქართველთა ლაშქარი დამარცხდა. ამის შესახებ ბევრია დაწერილი და ჩვენ ამ საკითხზე აღარ შევჩერდებით. მიზეზი, ცხადია, მრავალი იყო, რამაც ქართველი ლაშქრის სიმცირე განაპირობა. არსებითი მაინც სხვა იყო. მოვუსმინოთ ერეკლე მეორეს. იგი საყვედურობდა გენერალ გუდოვიჩს და ამით რუსეთის ხელისუფლების მიმართ თავის დამოკიდებულებას გამოხატავდა: „ჩვენ რომ ყოვლად მოწყალე დედოფლის (ეკატერინე II – რ.მ.) მიერ დაიმედებული არ ვყოფილიყავით და დარწმუნებული არ ვყოფილიყავით თქვენს დახმარებაში, მაშინ სხვა მხრიდან მოწვეული ჯარებით მას (აღა-მაჰმად-ხანს) წინ აღვუდგებოდით, ანდა სხვა ხერხით დავიცავდით ჩვენს სამეფოს, მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვიყავით თქვენი და უმაღლესი კარის დახმარებაში“.[3]

მართლაც ფაქტია, რომ გენერალმა გუდოვიჩმა (მისი სახით რუსეთის ხელისუფლებამ) ვერ გაითვალისწინა სამხრეთ კავკასიაში არსებული მდგომარეობა და ეგონა რუსეთის იმპერიის პრესტიჟის დაცვას ადგილობრივი ძალებით შესძლებდა (ამაში გუდოვიჩმა რუსეთის დედოფლის კარიც დაარწმუნა). როცა აღა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის აღება ევროპისა და წინა აზიის ქვეყნებმა რუსეთის იმპერიის დიდ მარცხად სცნეს, ეკატერინე II-ის მთავრობა სხვადასხვა გზით თავის მართლებას შეუდგა. ფაქტი ერთი იყო – კრწანისის ბრძოლაში რუსეთმაც დიდი მარცხი განიცადა.

ამრიგად, 1795 წლის კრწანისის ბრძოლა, რომელიც აღა-მაჰმად-ხანის მიერ იყო საგანგებოდ მომზადებული, კრიზისული აღმოჩნდა საქართველოსთვის. ვფიქრობთ, მეტი ყურადღება იყო მისაქცევი ზემომოტანილი შაჰის ულტიმატუმისათვის (მუქარა ფაქტობრივად არ დაიჯერეს), როგორც ჩანს, რუსეთის ხელისუფლების ღალატის წინასწარ განჭვრეტაც შეიძლებოდა (ეს წინა პერიოდში რუსეთის მოქმედებებიდანაც ჩანდა). ასე, რომ კრწანისის ბრძოლაში ქართველთა მარცხის ბევრ მიზეზზე შეიძლება ყურადღების გამახვილება. ძირითადია – ქართლ-კახეთის ლაშქრის სიმცირე და დაბალი ორგანიზაცია და რაც მთავარია, რუსეთის ხელისუფლების აშკარა ღალატი (1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის უგულვებელყოფა).

[1] ალ. ვახ-ძე ორბელიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 22
[2] ჟურნალი „ივერია“, 1885 წ; №9; გვ;104
[3] А. Цагарели, დასახელებული ნაშრომი, II, вып. II; გვ;105.

მანუჩარ მაჩაიძე

ერი და თანამედროვეობა

გაგრძელება (დასაწისი „ათინათის“ №№ 30, 31-ში)

ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკური ევოლუციაც ერთ კალაპოტშია ჩაყენებული. ყველგან არსებობს ის მინიმუმი თავისუფლებისა, რომელიც საჭიროა კაპიტალისტური წყობილების განვითარებისათვის. რუსეთიც მალე ეღირსება ამას. მსგავს სოციალურ-პოლიტიკურ პირობებს შესამჩნევი ცხვილება უნდა მოეხდინა ევროპელთა აზროვნებაში. ერთმა სახელმწიფომ რომ გაიმარჯვოს კიდეც, მეორე სახელმწიფოზე, დამარცხებული სახელმწიფოს ერი შესამჩნევად არაფერს დაჰკარგავს. ვთქვათ გერმანიამ ერთხელ კიდევ აჯობა საფრანგეთს და წაჰგლიჯა რომელიმე პროვინცია, რას დაჰკარგავენ ფრანგები, რისა უნდა ეშინოდეთ მათ? აშკარაა, რომ მათ არავინ არ ამოსწყვიტავს, ის დრო წავიდა როცა დაპყრობილებს_ხოცავდნენ, ან კიდევ მონებად ხდიდნენ, ან იქნება ქონებას დაკარგავენ? არც ამის შიში უნდა ჰქონდეთ.

ელზას ლორენი დაიპყრეს გერმანელებმა, მაგრამ გამარჯვებულებს ქონების კონფისკაცია არ მოუხდენიათ. ენა რომ დაჰკარგონ? თუ მოინდომეს არ დაჰკარგავენ. კანადა ორი საუკუნეა რაც ინგლისელებს ეკუთვნის, მაგრამ იქაურ ფრანგებს ფრანგული არ დავიწყებიათ. დამარცხებულები მხოლოდ მაშინ ჰკარგავენ თავიანთ ენას, ამბობს შეუფერებელ აზრს ერვე, როდესაც საერო ენის დაკარგვა, ან როდესაც სამშობლო ენის დაკარგვა მათთვის სასარგებლოა. ხოლო ამისათვისაც კი რამდენიმე საუკუნეა საჭირო. მაგრამ, თუნდაც, რომ დაჰკარგოს ხალხმა თავისი ენა, მდიდარი და მეტყველი, ამის ნაცვლად ხომ შეიძენს სხვა, არანაკლებ მდიდარსა და მეტყველ ენას, ასე არც ეს გარემოებაა ტრაგიკული. კი მაგრამ ნაციონალური ტემპერამენტი და ხასიათი? მათ ხომ მოელის განსაცდელი? საფრანგეთმა რომ შემოიერთოს გერმანიის პროვინციები, გერმანელებს თავიანთი ტემპერამენტი და ხასიათი მათ არ დაეკარგებათ. არც ფრანგებს მოუვათ, ამგვარი “უბედურება“, გერმანელებს რომ ჩაუვარდნენ ხელში და რომ დაჰკარგონ კიდეც, პირველი და უკანასკნელი არ იქნება. ვერცერთი ერი ვერ დაიკვეხებს, “სუფთა“ და შეურეველი რასიული თვისებების პატრონი ვარო. საკვირველია, ფიქრობს გ. ერვე, სოციალისტები აღიარებენ იმ აზრს, რომ თვითოეულ ქვეყანაში შემაძრწუნებელი და საშინელი კლასთა ბრძოლა სწარმოებს, ხოლო ამავე დროს სოციალისტები მზად არიან სისხლი დაანთხიონ ამ კლასთა ბრძოლაში კი არა, არამედ იმ ბრძოლაში, რომელიც ჩნდება ერთი ქვეყნის გაერთიანებულ კლასებისა, მეორე ქვეყნის გაერთიანებულ კლასებთან. აი, ამგვარი წინააღმდეგობის ქსელში გაებნენ სოციალ-პატრიოტებიო.

გ. ერვე განაგრძობს: რა არის სამშობლო, ერი, ეროვნება? ზოგნი ამბობენ სამშობლო ის ადგილია, სადაც დავიბადეთო. თუ თქვენ დაიბადეთ ერთ რომელიმე სოფელში, ეს სოფელი გეყვარებათ და თქვენი სიყვარული ბუნებრივი იქნება. მაგრამ ამ პატარა სოფლისადმი სიყვარულიდან სრულიად არ გამომდინარეობს სიყვარული იმ დიდი ქვეყნისადმი, რომელსაც ჰქვია საფრანგეთი ან გერმანია, რომელიც შენ იქნება თვალითაც არ გინახავს, რადგან არ განშორებულხარ შენი დაბადების ადგილსაო. მაშ სამშობლო სხვა რამ ყოფილა.

სამშობლო წინაპართა მიწა-წყალიაო. წინაპრების შარავანდედით მორთვა ყველგან არის მიღებული. მართალია, ბევრი სისხლი დაუღვრიათ ამ ჩვენ წინაპრებს, მაგრამ ვისი გულისათვის? ბატონების, აზნაურების, მეფეების გულისათვისაო. ცოტანი იყვნენ, ვინც ხალხის ინტერესებისათვის იღწვოდნენ. მაშ თავი დავანებოთ წინაპრებს, სამშობლო, ეს ის ქვეყანაა, სადაც ჩვენი მოდგმის ტომი, ჩვენი რასსა ცხოვრობსო. კიდევ ერთი არაკი. ევროპაში არ არის არცერთი სახელმწიფო, სადაც მარტო ერთი მოდგმის ხალხი ცხოვრობდეს, გერმანიაში გერმანელები და სლავებია. საფრანგეთში პროვანსიელები არიან. რომელთაც უფრო იტალიელებთან აქვთ ნათესაობა, ვიდრე ჩრდილოეთ საფრანგეთში მცხოვრებ ფრანგებთან.

ჩრდილოეთში ბევრი ფლამანდიელი ცხოვრობს. ბრეტონელი უფრო ახლოა ირლანდიელებთან და შოტლანდიელებთან; ხოლო, თუ მართლა სამშობლო ის არის, სადაც ერთის ჩამომავლობის

ხალხი ცხოვრობს, მაშინ დასავლეთ ევროპაში ერთი სამშობლო დაარსდეს, რადგან ახლანდელ იტალიელებს, ფრანგებს, გერმანელებს და ინგლისელებს აზიაში საერთო წინაპრები ჰყავდათო. სამშობლო ის ქვეყანაა, სადაც ერთ ენაზე ლაპარაკობენო. ელზასელები გერმანულად ლაპარაკობენ, საფრანგეთს კი ეკუთვნოდნენ და პატრიოტებიც იყვნენ საფრანგეთისა. პრეტონელებმა და ფლამანდიელებმა ახლახან ისწავლეს ფრანგული. შვეიცარიაში მკვიდრთა ერთი ნაწილი ფრანგულს ლაპარაკობს, მეორე გერმანულს, მესამე იტალიურს და ამასთან არსებობს სამშობლო ანუ ერი შვეიცარიელთა. კუბინელები ესპანურს ლაპარაკობენ, ხოლო თავიანთი კუნძულიდან გარეკეს ესპანელები და ჩამოშორდნენ ესპანეთს. ხოლო ამერიკელები ინგლისს არ თვლიან თავიანთ სამშობლოდ, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისურად ლაპარაკობენ. ასე, რომ, არც ენა ქმნის თურმე ეროვნებას. სამშობლო, ეგ საერთო აზრთა, გრძნობათა, ზნეთა და ინტერესთა წარმოშობის ნიადაგიაო.

ეგ ხომ სულ ტყუილიაო. კარგი ერთობა აქვთ ფრანგ; კლერიკალებს და ანტიკლერიკალებს, თავისუფალ მოაზროვნეთა და ანტისემიტებს, ნაციონალისტებს და დრეიფუსისტებს, როიალისტებს, ბონაპარტისტებს, სოციალისტებს და რესპუბლიკელებს!

სამშობლო – ეგ ჩვენი საერთო დედაა, დიდი ოჯახია, რომლის წევრებს ერთი ინტერესები აქვთ, ლტოლვილების საერთო საგანიაო. ოჰ, ამ დიდ ოჯახებში ზოგი შვილი მდიდრულად შემკულ სუფრას მიჯდომიაო, ზოგი კი მუდმივად შრომობს და აცხობს იმ საზოგადოებრივ ქადას, რომელსაც შეექცევიან სუფრასთან მისი ბედნიერი ძმები. კარგი დედაა, თქვენმა მზემ? დედას ხომ ერთნაირად უყვარს თავისი ბავშვები, ყველას აჭმევს, ასმევს, ეალერსება და იმ დედას განა დედა ეთქმის, ვინც ერთ შვილს აძღობს და მეორეს შიმშილით კლავს? არა, ეგ ხომ დედინაცვალია და არა დედა! და დღევანდელი სამშობლო იმ დედინაცვალს ჰგავსო.

ამ თეორიულ მოსაზრებებს თავისი ღირსებაც აქვს და ნაკლოვანებაც. ღირსება იმაშია, რომ მართლაც ეროვნებას არ შეადგენს არც ერთი განცალკევებულად აღებული ზემოთ ჩამოთვლილი თვისება, მარგამ ყოველი ეს თვისება, რომ საჭირო ელემენტს შეადგენდა ეროვნული შემეცნების შექნმის პროცესში, ამ გარემოებას ყურადღებას არ აქცევს გ. ერვე და აქ მისი თეორია სუსტობს, ამიტომაც სუსტია ზოგიერთი აქედან გამომდინარე პრაქტიკული მოსაზრებაც. მიუხედავად ამისა, მთავარი საფუძველი გ. ერვეს თეორიისა შეურყეველი რჩება. შეურყეველია ის აზრი, რომ არც ენას, არც რასას, არც საერთო თავგადასავალს, არც სხვა რამ ამ ხასიათისას არ ჰქონია ძალა ეროვნების შექმნისა. ეს სასწაული არ მოუხდენია არც ამ ელემენტებს ერთად აღებულს. ეროვნების წარმოშობისათვის საჭირო იყო სხვაგვარი ძალა, საჭირო იყო ერთგვარი ორგანო, რომელსაც გათქვეფისა, ჩაკირვისა და შეერთების ძალა შესწევდა და ეს ორგანო იყო – სახელმწიფო.

დაახლოებით ამ დეფინიციას აღიარებს გ. ერვე, როდესაც ამბობს: ერი ან სამშობლო – ეგ უწინარეს ყოვლისა ადამიანთა მასაა, რომელიც ცხოვრობს ერთი კანონის ქვეშ.“

მართლაც, ერი ჩნდება იქ, სადაც ჩნდება კანონი, ე. ი. სახელმწიფო თავისი ორგანოებით. უსახელმწიფოდ ერი არ არის, რაც გინდა შეურეველი იყოს ეთნიურად რომელიმე ხალხი, რაც გინდ სუფთა და ორიგინალურ ენაზე ლაპარაკობდეს იგი, იმ დრომდე ხალხი ერად არა ხდება, სანამ სახელმწიფო არ იბადება, ე. ი. სანამ საგვარეულო წესი არ დაინგრევა და ნათესაობის ადგილს ტერიტორიალური პრინციპი არ დაიჭერს... და როდესაც სახელმწიფო იბადება და იწყებს მუშაობას ეროვნების შესაქმნელად, მაშინ იმ საქმეში უმნიშვნელო ფუნქციას არ ასრულებს ენა, რასა, საერთო თავგადასავალი და სხვა ამგვარი, რაზედაც ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი ქართული ეროვნების შესწავლის დროს. გ. ერვეს ამ გარემოებისათვის ყურადღება არ მიუქცევია.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ეკონომიკა

ვალერი მოსიაშვილი
საქართველოს ეროვნული
უნივერსიტეტი სეუ. პროფესორი

შორენა ქვათაძე
ბიზნესის ადმინისტრირების
ბაკალავრი

ლარის დევალვაციის ძირითადი მიზეზები და მისი გავლენა ეროვნულ ეკონომიკაზე

აბსტრაქტი

ჩვენს საკონფერენციო თემის – „ვინ არის დამნაშავე ლარის გაუფასურებაში და რა გავლენას ახდენს ის ეროვნულ წარმოებაზე“, ძირითადი მიზანია ეროვნული ვალუტის გაუფასურების მიზეზ-შედეგობრივი ანალიზის, ლარის დევალვაციის გარდაუვალობის დასაბუთების ფონზე,სწორი მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის შემუშავებისათვის,ლარის კურსის დარეგულირებისათვის, ქვეყანაში ეკონომიკური ზრდისათვის, უცხოური ინვესტიციების ნაკადების გაზრდისათვის, მიმზიდველი საინვესტიციო კლიმატის შექმნისა და მსხვილი საინვესტიციო პროექტების ამოქმედებისათვის, ექსპორტის პოტენციალის მატებისა და წახალისების მექანიზმების დახვეწისათვის რეკომენდაციების შემუშავება.

თემაზე მუშაობის შედეგად მივედით იმ დასკვნამდე, რომ ეროვნული ვალუტის დევალვაციის ერთი კონკრეტული მიზეზი არ არსებობს. ტენდენცია განპირობებულია ფაქტორთა კომპლექსით, რომელთაგან შესაძლებელია გამოვყოთ: აშშ დოლარის დევალვაცია მსოფლიო სავალუტო ბაზარზე უარყოფითი წმინდა ექსპორტის პერმანენტული ზრდა, საქართველოს მოქალაქეების შემორჩენილი უნდობლობა ეროვნული ვალუტის მიმართ, „იაფი ფულის პოლიტიკა“და სხვა.თუ ადგილი არ ექნება ლარის დევალვაციის მაღალ მასშტაბებს, ვფიქრობთ იგი სტიმულის მიმცემი იქნება ეროვნული წარმოებისთვის.

საკვანძო სიტყვები: ეროვნული ვალუტა, სავალუტო კურსი, ეროვნული წარმოება, წმინდა ექსპორტი, ეროვნული ბანკი.

The main causes of Larval devaluation and its impact on the national economy

ABSTRACT

The main aim of our conference topic – `Who is guilty in Lari impairment and how it affects on national production~ is developing recommendations for the purpose of elaborating the correct monetary and fiscal policy, managing exchange rates, economic growth in the country, increasing foreign investments flows, creation of attractive investment climate and enactment of large investment projects, increasing export potential and improvement mechanisms of incentives on the background of cause-effect analysis of depreciation of the national currency and justification of immutability of Lari devaluation.

As a result of work on the subject we came to the conclusion that there is no one specific reason for the devaluation of the national currency. The tendency is due to the factors of complexity, from which we can distinguish: US dollar devaluation, permanent growth of negative net exports on the world currency market, Georgian citizens' mistrust towards the national currency, `Cheap Money Policy~, etc. If there are no high scales of Lari devaluation, we think it will be a stimulus for national production.

Keywords: National Currency, Currency Exchange, National Production, Net Export, National Bank.

თეორიული თვალსაზრისით – სავალუტო ურთიერთობებსა და კვლავწარმოების პროცესს შორის არსებობს როგორც პირდაპირი, ასევე უკუკავშირი. სავალუტო ურთიერთობების ობიექტური საფუძველია ისეთი საზოგადოებრივი კვლავწარმოების პროცესები, რომლებიც წარმოშობენ საქონლის, ფულისა და შრომის საერთაშორისო გაცვლას.

სავალუტო ურთიერთობების განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ეროვნული და მსოფლიო ეკონომიკების განვითარებაზე, მსოფლიოში არსებულ პოლიტიკურ ვითარებასა და სხვადასხვა ქვეყნებს შორის ჩამოყალიბებულ ურთიერთობებზე.

იმის გათვალისწინებით, რომ საერთაშორისო ურთიერთობები, მათ შორის სავალუტო, მჭიდროდაა გადაჯაჭვული ისეთ სფეროებთან, როგორებიცაა: პოლიტიკა, ეკონომიკა, დიპლომატია, კომერცია, სამრეწველო წარმოება და ვაჭრობა, ამ ურთიერთობებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია როგორც ეროვნულ, ისე მსოფლიო მეურნეობაში. სხვადასხვა ქვეყნებსა და მათ ეკონომიკურ სუბიექტებს შორის განხორციელებული საანგარიშსწორებო, საკრედიტო და საფინანსო ოპერაციები იწვევს ეროვნული ვალუტის უცხოურ ვალუტებად გადაქცევას და პირიქით. ამავდროულად უნდა აღინიშნოს რომ ეს „გადაქცევა“ ყოველთვის უმტკივნეულოდ არ ხორციელდება. სავალუტო ურთიერთობები ხასიათდება გარკვეული დამოუკიდებლობით, რაც გამოიხატება იმაში, რომ მათ შეიძლება უკუპროპორციული გავლენა იქონიონ კვლავწარმოების პროცესებზე. სამეურნეო ურთიერთობების გლობალიზაციის პირობებში კიდევ უფრო ძლიერდება კვლავწარმოების პროცესის დამოკიდებულება ისეთ საგარეო ფაქტორებზე, როგორებიცაა: საერთაშორისო ვაჭრობის, ექსპორტ-იმპორტის ოპერაციები და წარმოების განვითარება, უცხოური კაპიტალის ბრუნვა და ა.შ. საერთაშორისო სავალუტო ურთიერთობების არასტაბილურმა მდგომარეობამ და სავალუტო კრიზისებმა კვლავწარმოების პროცესზე შესაძლოა ძალზე უარყოფითად იმოქმედოს. ამგვარი შეუქცევადი პროცესები მოხდა საქართველოში 2013-2015 წლებში.

ეკონომისტები აღიარებენ, რომ ეროვნული ვალუტის გარშემო ატეხილი დღევანდელი აჟიოტაჟი მიუთითებს, რომ ეს ინფლაცია კი არა, დევალვაციაა. ინფლაცია მაშინ იქნება, როცა სამომხმარებლო კალათის ინდექსი გაიზრდება.

მოვლენების განვითარება დამოკიდებულია ეროვნული ბანკის ქმედებებზეც, კერძოდ, როგორი იქნება სებ-ის ნაბიჯები ლარის დევალვაციასთან დაკავშირებით და დაუშვებს თუ არა ცენტრალური ბანკი ეროვნული ვალუტის კიდევ უფრო მეტად დევალვირებას.

რიგი ეკონომისტებისა ლარის დევალვაციის პროცესს ეროვნული ბანკის მიერ დეკლარირებულიინფლაციის მაჩვენებლის მიღწევის მიზეზად თვლის. ლარი დღეს ძალიან გაუფასურებულია და არანაირად არ ასახავს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის პოტენციალს.ამიტომ ლარის კურსის დევალვირება არის აუცილებელი ეკონომიკის ჯანსაღი განვითარებისთვის, – მაგრამ არა მოკლე პერიოდში მკვეთრი ვარდნით, არამედ გრძელვადიან პერიოდში თანდათანობით შესუსტებით.

როდესაც ეროვნული ბანკი აცხადებს, რომ მას გააჩნია მიზნობრივი ინფლაცია და ვერ აღწევს ამ ინფლაციის ნიშნულს, ესეც უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკის განვითარებაზე. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, როცა საქართველოში იყო 8-9 % – იანი ინფლაციური მაჩვენებლები, სწორედ მაშინ ფიქსირდებოდა ყველაზე მაღალი მშპ და პროდუქტის ზრდის ტემპები. ხოლო ინფლაციის დაბალი მაჩვემებლის დროს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა ყველაზე ნაკლებად ფიქსირდებოდა. ამიტომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ ეროვნულმა ბანკმა თავის დეკლარირებულ ინფლაციის მაჩვენებელს მიაღწიოს. მიზნობრივი ინფლაცია ხომ ის მთავარი ორიენტირია, რომლის ირგვლივაც მოქმედებს ეროვნული ბანკი.

მონეტარული პოლიტიკის გადაწყვეტილება ეფუძნება მაკროეკონომიკურ პროგნოზს, რომლის მიხედვითაც გაიზარდა საგარეო შოკების შედეგად საპროგნოზო ინფლაციაზე მოქმედი რისკები და მოლოდინები. მიუხედავად ლარის ნომინალური ეფექტიანი გაცვლითი კურსის გამყარებისა, აშშ დოლარის მიმართ ლარის კურსის ბოლოდროინდელი გაუფასურება დოლარით დომინირებული სესხების მომსახურებასთან დაკავშირებულ შუალედური ხარჯების ზრდაზე აისახა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, მომდევნო თვეებში მოსალოდნელია ინფლაციის მაჩვენებლის გარკვეული ზრდა. ვინაიდან მნიშვნელოვნადაა შესუსტებული როგორც საგარეო, ასევე შიდა მოთხოვნა.

საქართველოს ეროვნულ ბანკში არსებულ მონეტარულ კომიტეტს მიაჩნია, რომ ზემოთ აღნიშნული ფაქტორების გავლენა ინფლაციაზე იქნება მოკლევადიანი ხასიათის და რა წარმოქმნის

ინფლაციურ რისკებს საშუალოვადიანი პერიოდისთვის. აქედან გამომდინარე, მონეტარული პოლიტიკის კომიტეტი საჭიროდ მიიჩნევს მიმდინარე ეტაპზე მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის უცვლელად შენარჩუნებას. საშინაო და საგარეო ეკონომიკური ვითარების გაუმჯობესებასთან ერთად ეტაპობრივად განხორციელდება შერბილებული მონეტარული პოლიტიკიდან გამოსვლის პროცესი.

რაც შეეხება ეროვნულ ბანკს, მას შეუძლია საერთოდ გაყინოს ლარის კურსი, მაგრამ ამ დროს ეკონომიკა ჩერდება მთლიანად. ამიტომ უნდა ამოვარჩიოთ, რომელი სჯობს: 1. ლარი უფასურდებოდეს მდორედ და არა ნახტომისებური ნაბიჯით, მაგრამ სამაგიეროდ სტიმული მიეცეს ეკონომიკის განვითარებას და 2. გავაჩეროთ ეკონომიკა, ვუყუროთ, რომ ლარი სტაბილურია და გვიხაროდეს.

დასკვნა: ლარის გაუფასურება ეროვნული ბანკის ფუნქციებსა და ინტერესებში არ შედის: მისი ძირითადი ამოცანაა, ეკონომიკას ფული მიაწოდოს და ინფლაციის დაბალი მაჩვენებელი შეინარჩუნოს.

ამრიგად, ჩამოვაყალიბოთ ლარის გაუფასურების შეჩერებისა და შემდგომი განმტკიცების აქსიომა: რეალური ეკონომიკის ნაბიჯ-ნაბიჯ, სისტემატიური ხასიათით ზრდა, ეკონომიკური ზრდის პროცესის შეუქცევადი ხასიათი, ლარის სტაბილურობის გარანტი, უპირველესად, ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღებაა.

ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების გაუმჯობესებაზე საუბარი შეუძლებელი იქნება, თუ საქართველოში საინვესტიციო ბუმი არ შედგა. თანამედროვე პირობებში საინვესტიციო პოლიტიკის გააქტიურება საქართველოს ეკონომიკის მდგრად ეკონომიკურ განვითარებაზე გადასვლის უმთავრესი პირობაა.

დღეს სახელმწიფოს საინვესტიციო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი მიმართულებებია: ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებათა მხარდაჭერის გაძლიერება, ეკონომიკის რეალურ სექტორში ინვესტიციების წახალისების ინსტიტუტების სამართლებრივი და ეკონომიკური გარემოს შექმნა.

მაგრამ, იმავდროულად არ უნდა დავაკნინოთ ეროვნული ბანკის როლი და „დამსახურება“ ლარის გაუფასურებაში. ზოგადად, ეროვნულ ბანკს ინსტიტუციური (და, აქედან გამომდინარე, მის ხელმძღვანელობას – პერსონალური) პირდაპირი პასუხისმგებლობა ეკისრება ინფლაციაზე და არა უშუალოდ – ვალუტის კურსზე. ამავე დროს, მას შესწევს უნარი, არა მარტო არეგულიროს მიმოქცევაში ფულის მასის რაოდენობა, არამედ არსებითი ზეგავლენა მოახდინოს საკრედიტო რესურსების ღირებულებაზე, „გაატაროს“ ან მკაცრად არეგულიროს ფინანსური სპეკულაციების შესაძლებლობები, მიიღოს ზომები საზოგადოებაში არაჯანსაღი აჟიოტაჟის წარმოქმნასთან დაკავშირებით მიმოქცევაში დამატებითი სავალუტო რეზერვების გაშვება/ამოღებით. მისი მოქმედების გამართლება მხოლოდ ინფლაციის გეგმიური მაჩვენებლის უზრუნველყოფის კონტექსტში სამართლებრივი კაზუისტიკაა და ეროვნული ბანკისთვის ქვეყნის წინაშე მდგარ მონეტურ და ფინანსურ სტაბილურობაზე პასუხისმგებლობის მოხსნის მცდელობა. ეროვნული ბანკი, ფაქტობრივად, ყოველთვის დგას დილემის წინაშე: გაზარდოს მონეტური განაკვეთი, რაც რამდენადმე შეამცირებს ფულის მასას მიმოქცევაში, თუ „იზრუნოს“ მთლიანი შიგა პროდუქტის ჯერჯერობით უაღრესად დაბალი მონეტიზაციის დონის (დაახლოებით 20 პროცენტი) ამაღლებისთვის და საამისოდ მიმოქცევაში დამატებითი ფულის მასა გამოუშვას. ფულის მასის შემცირება, მართალია, თრგუნავს ინფლაციას, ხელს უშლის მისი „აფრების აშლას'', მაგრამ იგი შეიცავს სამეწარმეო, ბიზნეს –აქტიურობისა და ეკონომიკური ზრდის ტემპების შემცირების, ფულის, საკრედიტო რესურსის გაძვირების, საბოლოო ჯამში კი ეკონომიკის მონეტარული ანემიის (ფულადი შიმშილის) საფრთხეს. ამიტომ, თუ ეროვნული ბანკის პოლიტიკა უწყებრივ დაინტერესებას მაკროეკონომიკური სტაბილურობის მხოლოდ ერთ ასპექტზე – დაბალ ინფლაციაზე მიმართავს (და არა ეკონომიკური ზრდის სტრატეგიაზე – ფორმალურად ხომ ამაზე პასუხისმგებელი აღმასრულებელი ხელისუფლება – მთავრობაა...) მაშინ მივიღებთ„ მოთვინიერებულ'' ინფლაციას და ეკონომიკური ზრდის დაბალ ტემპს.

უცხოური ვალუტების მიმართ ლარის გაცვლითი კურსის განსაზღვრის წესი საქართველოში. სხვა ქვეყნების ვალუტების მიმართ ეროვნული ვალუტის ოფიციალური გაცვლითი კურსის განსაზ-

ღვრის წესი[1] შემუშავებულია „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონის შესაბამისად და ადგენს სხვა ქვეყნების ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის განსაზღვრის წესს.

საქართველოს ეროვნული ბანკი:

- ახდენს სხვა ქვეყნების ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის განსაზღვრასა და გამოქვეყნებას;
- ადგენს სხვა ქვეყნების ვალუტების ჩამონათვალს, რომელთა მიმართაც განისაზღვრება ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი.

ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი წარმოადგენს წინა სავაჭრო დღეს, სავალუტო ბაზარზე, ბლუმბერგის სავაჭრო სისტემაში[2] დადებული გარიგებების საშუალო შეწონილ კურსს, რომელიც გამოიყენება საბუღალტრო აღრიცხვისთვის და ბიუჯეტთან ანგარიშსწორებისათვის.

ოფიციალური გაცვლითი კურსის განსაზღვრის წესი[3]. ბლუმბერგის სავაჭრო სისტემის მეშვეობით პირდაპირ ბანკთაშორის ბაზარზე ვალუტით ელექტრონული ვაჭრობის წესებს არეგულირებს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება – „ბლუმბერგის სავაჭრო სისტემის გამოყენებით ვალუტით ელექტრონული ვაჭრობის წესის დამტკიცების შესახებ“[4].

აღნიშნული წესის შესაბამისად და მისი პირობების დაცვით, სავაჭრო სისტემის გამოყენებით ვაჭრობა შეუძლიათ საქართველოში ლიცენზირებულ კომერციულ ბანკებს და უცხოური ბანკების ფილიალებს, რომელთაც ეროვნულ ბანკს მიმართეს შესაბამისი წერილობითი თხოვნით. მონაწილე ბანკს შეუძლია გარიგებების დადება სხვა მონაწილე ბანკთან ან/და საქართველოს ეროვნულ ბანკთან. აღნიშნული მოთხოვნები ვრცელდება სავაჭრო სისტემაში[5] დადებულ გარიგებებზე იმ ვალუტების წყვილთათვის და იმ ინსტრუმენტებისთვის, რომელთათვისაც ეროვნული ბანკის მიერ შექმნილია სპეციალური გვერდები და ხდება მონაწილე ბანკის მიერ შესაბამისი კოტირებების გამოქვეყნება. სავაჭრო სისტემაში შესაძლებელია სპოტ, ფორვარდული და სვოპ სავალუტო გარიგებების დადება.

კოტირებების[6] გამოქვეყნება და გარიგებების დადება:

- სავაჭრო სისტემის მონაწილე ბანკი ყოველ სამუშაო საბანკო დღეს აქვეყნებს საკუთარ კოტირებებს სავაჭრო სისტემაში სპეციალურ გვერდზე.
- მონაწილე ბანკი ვალდებულია საკუთარ კოტირებებზე წვდომა მიანიჭოს სავაჭრო სისტემის მონაწილე ყველა ბანკს და მათ დილერებს.
- მონაწილე ბანკს არა აქვს უფლება უარი თქვას გამოქვეყნებული კურსებით 200000 აშშ დოლარის და ნაკლები მოცულობის გარიგების დადებაზე. უფრო დიდი მოცულობის გარიგებებზე კურსის შეთანხმება მხარეთა შორის ხდება დამატებით.
- სავაჭრო სისტემის მეშვეობით გარიგებების დადება ხდება ყოველ სამუშაო საბანკო დღეს და მათი დადების დრო დღის განმავლობაში არ იზღუდება.
- დადებული გარიგებები საბოლოოა და მათი გაუქმება შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით.
- გარიგების დადების დღეს[7] მხარეთა შეთანხმებით გარიგების პირობების ცვლილება ან გარიგების გაუქმება რეგისტრირდება სავაჭრო სისტემაში.
- გაუქმებული გარიგების ან გარიგების პირობებში ცვლილებების (თუკი ასეთი განხორციელდა გარიგების დადების დღის გასვლის შემდეგ) შესახებ ინფორმაცია ეგზავნება ეროვნულ ბანკს წერილობით, შესაბამისი მიზეზის მითითებით, არა უგვიანეს ანგარიშსწორების დღისა.

---

[1] http://www.legal.nbg.gov.ge/ka/document/view/230. last modified 14.12.2018

[2] ბლუმბერგის სისტემა – სავაჭრო ელექტრონული სისტემა, რომლის საშუალებითაც ხდება გარიგებების დადება.

[3] საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს 2010 წლის 24 აგვისტოს დადგენილება №8-სსმ III, №104, 25.08.2010 წ. მუხ. 1590.

[4] http://www.legal.nbg.gov.ge/ka/document/view/231 last modified 14.12.2018

[5] სავაჭრო სისტემა – ბლუმბერგის ელექტრონული სისტემა, რომლის საშუალებითაც ხდება გარიგებების დადება.

[6] კოტირება – ყიდვა-გაყიდვის კურსების გამოცხადება.

[7] გარიგების დადების დღე – დღე, როდესაც ხდება გარიგების პირობების შეთანხმება მხარეებს შორის.

ანგარიშსწორება და საჯარიმო სანქციები. მონაწილე ბანკებს შორის ანგარიშსწორება ხდება მათ შორის დადებულ გარიგებაში მითითებულ დღეს. მონაწილე ბანკებს შორის ეროვნულ ვალუტაში ანგარიშსწორება ხორციელდება საქართველოს ეროვნულ ბანკში ან კომერციულ ბანკში არსებული საკორესპონდენტო ანგარიშის მეშვეობით დადებული გარიგების პირობების შესაბამისად.

მონაწილე ბანკებს შორის უცხოურ ვალუტაში ანგარიშსწორება ხორციელდება საქართველოს ეროვნულ ბანკში, ასევე უცხოურ ან ადგილობრივ ბანკში არსებული საკორესპონდენტო ანგარიშის მეშვეობით მონაწილე ბანკის გადაწყვეტილებით დადებული გარიგების პირობების შესაბამისად.

იმ შემთხვევაში, თუ მონაწილე ბანკი ვერ უზრუნველყოფს ანგარიშსწორებას ანგარიშსწორების დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო საბანკო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მონაწილე ბანკის მიერ არ განხორციელდება ანგარიშსწორება მომდევნო საბანკო დღესაც, გარიგება ითვლება გაუქმებულად.

მონაწილე ბანკს ანგარიშსწორების ვადის დარღვევისთვის ეკისრება ჯარიმა დადებული გარიგების თანხის 0.1%-ის ოდენობით მეორე მხარის სასარგებლოდ. ანგარიშწორების ვადის დარღვევის შემთხვევაში გარიგების გაუქმებისთვის მონაწილე ბანკს ეკისრება ჯარიმა მეორე მხარის სასარგებლოდ გარიგების თანხის 5%-ის ოდენობით.

საჯარიმო თანხის ჩამოწერა ეროვნული ვალუტით ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშიდან და თანხის ჩარიცხვა მეორე ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშზე ხორციელდება საქართველოს ეროვნული ბანკი მიერ.

გარიგების გაუქმების შემთხვევაში გარიგების შესაბამისად გადარიცხული თანხა სრულად უბრუნდება გადამრიცხველ ბანკს არა უგვიანეს გარიგების გაუქმების დღისა. ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მონაწილე ბანკს ეკისრება ჯარიმა დაუბრუნებელი თანხის 1%-ის ოდენობით მეორე მხარის სასარგებლოდ.

გარიგების პირობის დარღვევის შემთხვევაში დაზარალებული ბანკი წერილობით მიმართავს ეროვნულ ბანკს ანგარიშსწორების დღიდან არა უგვიანეს სამი საბანკო დღის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ გარიგების მონაწილე მეორე მხარე არ ეთანხმება გარიგების პირობების დარღვევის ფაქტს, იგი ვალდებულია ეროვნული ბანკიდან შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან არა უგვიანეს მომდევნო საბანკო დღის განმავლობაში წარმოადგინოს გარიგების შესრულების დამადასტურებელი საბუთები.

გარიგებების პირობების სისტემატურად დარღვევის შემთხვევაში ეროვნული ბანკი უფლებამოსილია თავისი გადაწყვეტილებით აუკრძალოს ბანკს სავაჭრო სისტემაში მონაწილეობის მიღება.

ინფორმაცია სავაჭრო სისტემაში დადებული გარიგებების შესახებ ავტომატურად ხელმისაწვდომი ხდება ეროვნული ბანკისათვის. ეროვნული ბანკი ყოველდღიურად აქვეყნებს ინფორმაციას სავაჭრო სისტემაში დადებული გარიგებების მოცულობის, მონაწილეთა რაოდენობის, მაქსიმალური, მინიმალური და საშუალო გაცვლითი კურსის შესახებ.

აშშ დოლარის მიმართ ლარის ოფიციალური კურსის გაანგარიშება ხდება ყოველ სამუშაო საბანკო დღეს, წინა სამუშაო საბანკო დღის 16:30 საათიდან გაანგარიშების დღის 16:30 საათამდე პერიოდში ბლუმბერგის ელექტრონულ სავაჭრო სისტემაში რეგისტრირებული გარიგებების გათვალისწინებით.

აშშ დოლარის მიმართ ლარის ოფიციალურ გაცვლით კურსად ცხადდება სავაჭრო სისტემაში გასაანგარიშებელი პერიოდის განმავლობაში ბანკთაშორის დადებულ სპოტ გარიგებათა გათვალისწინებით გამოთვლილი საშუალო შეწონილი კურსი. ბანკთაშორის დადებულ გარიგებებში იგულისხმება საქართველოს ეროვნულ ბანკთან, როგორც გარიგების ერთ-ერთ მხარესთან, დადებული გარიგებებიც.

აშშ დოლარის მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის გაანგარიშებისას მხედველობაში არ მიიღება:

–საბაზრო კურსისგან არსებითად განსხვავებული კურსით დადებული გარიგებები. არსებითად განსხვავებულ კურსად მოიაზრება კურსი, რომელიც გასაანგარიშებელ პერიოდში დადებული დანარჩენი გარიგებების საშუალო შეწონილი კურსისაგან 2.5 და მეტი პროცენტით განსხვავდება;

–ორ კონტრაგენტს შორის გასაანგარიშებელ პერიოდში მსგავსი პირობებით და მოცულობით დადებული საპირისპირო გარიგებები.

აშშ დოლარის მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის განსაზღვრისას კურსის გასა-

ანგარიშებელ პერიოდში დადებულ გარიგებებთან ერთად, მხედველობაში მიიღება იმ წინა ერთი საბანკო დღის გასაანგარიშებელ პერიოდში დადებული გარიგებები, როდესაც დაფიქსირდა სულ მცირე ერთი სავალუტო გარიგება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

–გასაანგარიშებელ პერიოდში სავაჭრო სისტემაში დადებულ იმ ბანკთაშორის გარიგებათა რაოდენობა, რომლებიც არსებულ მოთხოვნათა გათვალისწინებით მონაწილეობას იღებს ოფიციალური კურსის გაანგარიშებაში, სამი ან სამზე ნაკლებია;

–სავაჭრო სისტემაში გასაანგარიშებელ პერიოდში დადებულ ბანკთაშორის იმ გარიგებათა ჯამური ბრუნვა, რომლებიც არსებულ მოთხოვნათა გათვალისწინებით მონაწილეობას იღებს ოფიციალური კურსის გაანგარიშებაში, 3 მლნ აშშ დოლარზე ნაკლებია.

სხვა დანარჩენი ქვეყნების ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი განისაზღვრება საერთაშორისო ბაზრებზე ან ემიტენტი ქვეყნის შიდა სავალუტო ბაზარზე არსებული კურსების კროსკურსული გადაანგარიშების საფუძველზე.

თითოეული ასეთი ვალუტისათვის ბაზრის იმ სეგმენტების ჩამონათვალს (ბანკთაშორისი ან ცენტრალური ბანკის კურსი), რომელსაც უპირატესობა ენიჭება კროსკურსული გადაანგარიშებისათვის საჭირო კურსების მისაღებად, ადგენს ეროვნული ბანკი.

გაცვლითი კურსების შესახებ ინფორმაციის მიღების წყაროს წარმოადგენს „როიტერის“, „ბლუმბერგის“ საინფორმაციო სისტემები და შესაბამისი ქვეყნის ცენტრალური ბანკების ვებგვერდები.

კროსკურსული გადაანგარიშებისათვის საჭირო კურსების განსაზღვრისას აიღება იმ მომენტისათვის ხელმისაწვდომი უკანასკნელი საკურსო მაჩვენებლები.

კროსკურსების გადაანგარიშებისათვის საჭირო აშშ დოლარის მიმართ სხვა ვალუტების კურსებს (გარდა ლარისა) ეროვნული ბანკი განსაზღვრავს ყოველ სამუშაო საბანკო დღეს 14:45-დან 15:00 საათამდე. ტექნიკური შეფერხებების შემთხვევაში დასაშვებია კურსის განსაზღვრა უფრო გვიანაც, ტექნიკური პრობლემების აღმოფხვრისთანავე.

გაცვლითი კურსების გამოქვეყნება. ოფიციალური გაცვლითი კურსები ქვეყნდება ეროვნული ბანკის ვებგვერდზე არა უგვიანეს გაანგარიშების დღის 17:00 საათისა. ოფიციალური გაცვლითი კურსები მოქმედებს გამოქვეყნების მომდევნო დღიდან, ახალი კურსების ამოქმედების დღემდე პერიოდში. ოფიციალური გაცვლითი კურსების შესახებ ინფორმაცია დამატებით შესაძლებელია გავრცელდეს „როიტერისა“ და „ბლუმბერგის“ საინფორმაციო სისტემებში ან ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით.

ეროვნული ვალუტის ოფიციალური გაცვლითი კურსის განსაზღვრის წესში შეტანილი იქნა ცვლილება: მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ ბლუმბერგის სავაჭრო სისტემაში გაზრდილი აქტიურობიდან გამომდინარე, საქართველოს ეროვნული ბანკი 2017 წლის 3 იანვრიდან ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის გაანგარიშებაში ასევე გაითვალისწინებს კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების გარიგებებს. 2017 წლის 3 იანვრის მონაცემებით, დღეისათვის, ბლუმბერგით ოთხი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ვაჭრობს და მომავალში, სავარაუდოდ, მათი რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება[1].

ასევე სიახლეს წარმოადგენს ის, რომ ეროვნული ბანკი, თავის ვებგვერდზე ოფიციალური კურსების განთავსებას ოთხი ძირითადი ვალუტით იწყებს. მთავარ გვერდზე დოლარისა და ევროს კურსებს, თურქული ლირა და ფუნტი სტერლინგი დაემატა.

საკვანძო სიტყვები: ეროვნული ვალუტა, სავალუტო კურსი, ეროვნული წარმოება, წმინდა ექსპორტი, ეროვნული ბანკი.

Keywords: National Currency, Currency Exchange, National Production, Net Export, National Bank.

[1] https://www.nbg.gov.ge/index.php?m=339&n&newsid=3002 last modified 14.12.2018

გამოყენებული ლიტერატურა

1. https://www.nbg.gov.ge/index.php?m=582 last modified 15.12.2018.
2. https://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/fts/brzaneba–201.pdf last modified 15.12.2018.
3. https://www.nbg.gov.ge/legal last modified 15.12.2018.

ნოდარ ხარაიშვილი

რისკების კლასიფიკაცია საბანკო სფეროში

საბანკო რისკები არსებობს სხვადასხვა სახის, თითოეული მათგანი დაკავშირებულია საბანკო ოპერაციებთან და მათი წარმოშობის სხვადასხვა მიზეზი არსებობს. საბანკო რისკების კლასიფიცირება ხდება შემდეგნაირად; საკრედიტო, სავალუტო, საპროცენტო რისკები და სხვა

საკრედიტო რისკი-ტრადიციულად საკრედიტო რისკს, განმარტავენ, როგორც მოვალისგან ფულის დაუბრუნებლობს რისკს, საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დარღვევისას მის მიერ. სხვაგვარად ის შეიძლება განისაზღვროს, როგორც შეუსრულებელი ვალდებულების თანაფარდობა მთლიანად ნასესხებ სახსრებთან (ან გადაუხდელი პროცენტების მიხედვით მთლიან საპროცენტო თანხასთან), რომელიც გაიანგარიშება საკრედიტო ისტორიის საფუძველზე.

აღსანიშნავია ის რომ საკრედიტო რისკები ყველაზე გავრცელებულ რისკებს შორისაა, ამასთან იგი ყველაზე საშიშ რისკსაც მიეკუთვნება, რამდენადაც იგი დაკავშირებულია მსესხებლის მიერ ბანკის წინაშე აღებული ფინანსურ ვალდებულებების შეუსრულებლობის შესაძლებლობასთან.

საკრედიტო რისკების განხილვა შესაძლებელია, როგორც ვიწრო ისე ფართო გაგებით.

ვიწრო გაგებით განხილვისას საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს;

1. სესხთან დაკავშირებული გადაუხდელობის პოტენცლური საშიშროება;

2. ბანკის საკრედიტო საქმიანობის სოციალური თავისებურებები, რომელიც მისი აქტივების ღირებულების დანაკარგების და საგარანტიო ვალდებულებების შეუსრულებლობის ალბათობას ასახავენ.

ფართო გაგებით შესწავლისას საჭიროა საბანკო საკრედიტო რისკის ოპერაციების გამოვლინების სფეროს გაფართოება. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საკრედიტო რისკი ცალკე აღებული არ უდა იქნეს განხილული, რადგანაც ის ურთიერთკავშირშია სხვა საბანკო რისკებთან. ამასთან , უნდა აღინიშნოს ისიც რომ საკრედიტო რისკი ბევრწილადად არის დამოკიდებული საკრედიტო ოპერაციების განხორციელებასთან, ე.ი. საოპერაციო რისკების ზემოქმედებაზეა დაკავშირებული. საკრედიტო რისკები ბანკის პრობლემის ყველაზე არსებით შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, რადგანაც ბანკების გაკოტრების ძირითადი მიზეზი სწორედ მსესხებლის მიერ კრედიტების დაუბრუნებლობით და ბანკების მხრიდან რისკების სფეროში ჯერ კიდევ განუსაზღვრელი პოლიტიკით არის განპირობებული.

საკრედიტო რისკი ბანკს შეიძლება წარმოეშვას თავის კლიენტებთან (შემდგომში –დებიტორებთან) სხვადასხვა საქმიანობიდან გამომდინარე, როგორიცაა კრედიტების გაცემა, სახაზინო და საინვესტიციო საქმიანობა, ვაჭრობის დაფინანსება და სხვა. საკრედიტო რისკი განპირობებულია რიგი ფაქტორებით, რომლებიც დამოკიდებულია: როგორც კლიენტის საქმიანობაზე, საქმიან კეთილსინდისიერებაზე, საგარეო ხასიათის მქონე ფაქტორებზე, კრედიტების მიზნობრივი დანიშნულებაზე და ასევე სხვა სახეებზე. ამიტომ საკრედიტო საქმიანობა მოითხოვს კლიენტის კრედიტუნარიანობის ობიექტურ შეფასებას. სამწუხაროდ, მაშინაც კი, თუ შეფასება მოხდა კორექტურად, კლიენტის კრედიტუნარიანობა სხვადასხვა მიზეზების გამო შეიძლება გაუარესდეს. ამ რისკს დამოკიდებულება აქვს არა მარტო დაკრედიტებასთან, არამედ სხვა ოპერაციებთანაც, რომლებიც ასახვას ჰპოვებს ბანკის ბალანსში ან ბალანსგარეშე აღრიცხვაში(ფასიან ქაღალდებში დაბანდება, გარანტიები და სხვა.)[2 .296] ბანკს ხშირად არ გააჩნია საკრედიტო რისკის მართვის კარგად დამუშავებული პროცესი. ეს ვლინდება საკრედიტო

პორტფელის სისუსტეში, უმოქმედო კრედიტების დიდ პორტფელებში, ზარალებში კრედიტებზე, გადახდის უუნარობაში და არალიკვიდურობაში. ბანკს საკმარისი ინფორმაცია უნდა ქონდეს, რათა გამოიყენოს იგი დებოტორთა რისკის პროფილის კომპლექსური შეფასებისთვის. საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკა შემდეგ ფაქტორებს ითვლისწინებს:

1. სესხის მიზნობრიობა და გადახდის წყარო;
2. დებიტორის რისკის პროფილი და უზრუნველყოფა მიმდინარე თარიღისთვის და მგრძნობელობა საბაზრო პირობების ცვლილებებისათვის;
3. წარსული და მომავალი გადახდისუნარიანობის ანალიზი, ფინანსური მონაცემებისა და ფულადი ნაკადების პროგნოზის მიხედვით, მოვლენის სხვადასხვა სცენარით განვითარების შემთხვევაში;
4. დებიტორის ბიზნესის მოცულობა, სტაბილურობა და ეკონომიკური სექტორის/მსესხებლის ბიზნესის მდგომარეობა და მსესხებლის ადგილი კონკრეტულ სექტორში;
5. კრედიტის პირობები, მათ შორის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც დაკავშირებულია დებიტორის მომავალ რისკთან.

რისკის მქონე საკრედიტო ოპერაციების შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იქნას შემოსავლიანობის დონე, რომელიც უნდა განხორციელდეს მინიმუმ იმის უზრუნველყოფით, რომ ხარჯებისა და შემოსავლების ანალიზი ჩატარდეს კომპლექსურად და მოიცვას საოპერაციო ხარჯები, სახსრების მოზიდვის ხარჯები, სანამ არ მოხდება სრული დაფარვა და კაპიტალის მოთხოვნების დაანგარიშება; კრედიტების შეფასება შესაბამისობაში უნდა იყოს კონკრეტული ოპერაციის რისკის დონის დაანგარიშებასთან, კერძოდ დებიტორის საერთო მდგომარეობასთან და გარანტიის სახით წარმოდგენილი გირაოს ხარისხისა და საბაზრო კონკურენტუნარიანობასთან. სულ ცოტა კვარტალში ერთხელ დირექტორატმა უნდა მიიღოს დაკრედიტების ოპერაციების მომგებიანობის ანალიზი. საკრედიტო ადმინისტირების სისტემის შემუშავებისას ბანკმა უნდა უზრუნველყოს:

1) კრედიტების ადმინისტრირების ეფექტიანობა და ქმედითობა, მათ შორის დოკუმენტაციის, სახელშეკრულებო პირობებისა და ვადების, სასესხო ხელშეკრულებების და გირაოს მონიტორინგი.
2) მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემისთვის მიწოდებული ინფორმაციის სიზუსტე და დროულობა.
3) მოვალეობების სწორი გადანაწილება.
4) Back office-სთვის დადგენილი პროცედურების კონტროლი;
5) შესაბამისობა შიდა წერილობით პოლიტიკასა და პროცედურებთან და მოქმედ კანონებთან.

საკრედიტო რისკისთვის თავის არიდების საშუალებას იძლევა მსესხებლების შერჩევა, კრედიტის გაცემის პირობების ანალიზი, მსესხებლის ფინანსური, მდგომარეობის მუდმივი კონტროლი, მისი უნარი და მზადყოფნა დაფაროს კრედიტი. ყველა ამ პირობების შესრულება იძლევა ბანკის უმთავრესი ოპერაციის – კრედიტის გაცემის წარმატების გარანტიას.[3 .89] მას მერე, რაც კრედიტები გაცემულია, ბანკმა უნდა მიიღოს ზომები მისი დაბრუნების უზრუნველსაყოფად. კრედიტების მეთვალყურეობა აუცილებელია იმისთვის, რომ ადრეულ სტადიებზე გამოაშკარავდეს იმის ნიშნები, რომ მსესხებელს შეიძლება გაუჩნდეს მნიშველოვანი სირთულე კრედიტის დაფარვის ეტაპზე ან, როცა ის ხდება ვადაგადაცილებული, ან ხელშეკრულების პირობების დაზღვევისას.

აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ საკრედიტო რისკების მართვის პროცესი იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას, რადგანაც მის ხარისხზეა დამოკიდებული ბანკის მუშაობის წარმატება.

საბაზრო რისკი-საბაზრო რისკი არის ბანკის ბალანსური და გარებალანსური პოზიციის მიხედვით საბაზრო ფასის ცვლილებით გამოწვეული ზარალის რისკი.

საბაზრო რისკს აყალიბებს ბაზრის ფაქტორები და ვლინდება იმ დანაკარგების სახით, რომელსაც იწვევს საბანკო პროდუქტების არცნობა ბაზრის მიერ ასევე საბანკო სტრატეგიის მარცხის არსებობა და ბაზარზე პოლიტიკური პრიორიტეტებისა და კანონმდებლობის გავლენის ცვლილება.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ბანკის მიერ განხორციელებულ სხვადასხვა სახის საქმიანობისაგან, როგორიცაა: ინვესტიციების განხორციელება ფასიან ქაღალდებსა და ფულადი ბაზრის ინსტრუმენტებში, სხვა კომპანიათა კაპიტალში წილობრივი მონაწილეობით, სესხების გაცემით, სავალო ინსტრუმენტების გამოცემით, ვაჭრობის დაფინანსებით და ასევე სხვა სახით. შესაძლებელია ასევე საბაზრო რისკის წარმოშობა იმაზე დამოკიდებულებით, თუ როგორ ხდება კონიუნქტურის გაუთვალის-

წინებელი და არასასიამოვნო ცვლილება სხადასხვა ბაზარზე, როგორიცაა: საკრედიტო, ფასიანი ქაღალდების, ვალუტის და ძვირფასი ლითონების. საბაზრო რისკის სპეციფიკური ელემენტია სავალუტო რისკი.

საბაზრო რისკის მეტად ნეგატიური შედეგია ბანკის პირდაპირი დანაკარგები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივების საბაზრო ღირებულების შემცირებასთან.

საბაზრო რისკი მოიცავს სხვადასხვა სახის რისკებს, რომელთაგან გამოვყოფდი საპროცენტო და სავალუტო და რისკებს.

საპროცენტო რისკი – საპროცენტო რისკი არის პოტენციური ზარალი, რომელიც გამოწვეულია საბაზრო საპროცენტო განაკვეთებში ცვლილების შედეგად. ე.ი ის არის ფინანსური აქტივების შემოსავლებისა და ფასების ცვალებადობა, რომელიც პროცენტული განაკვეთების დონის ცვლილებების შედეგად არის გამოწვეული, საპროცენტო რისკი დაკავშირებულია ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე – საპროცენტო განაკვეთების არახელსაყრელი ცვლილებების ზემოქმედებასთან. ეს რისკი ასახავს ჰპოვებს ბანკის შემოსავლებში, ასევე მისი აქტივების ღირებულებაში, ვალდებულებებსა და არასაბალანსო ანგარიშებში. საპროცენტო რისკი გამოვლინდება როგორც წმინდა საბანკო ოპერციების, ასევე საფინანსო ოპერაციების მიხედვით. საპროცენტო რისკი განპირობებულია ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე საპროცენტო განაკვეთების არასასურველი ცვლილებებით საკრედიტო და საფინანსო ბაზრებზე. თეორიულად შესაძლებელია საპროცენტო რისკისგან თავის დაცვა, თუკი მოხდება აქტივებიდან მიღებული შემოსავლების ცვლილების მთლიანად დაბალანსება ვადებითაც და სიდიდითაც ფონდების მოზიდვის ხარჯებში განხორციელებული ცვლილებებით. მაგრამ პრაქტიკულად შეუძლებელია ნებისმიერ დროს ყველა კრედიტის ამგვარად დაბალანსება, თანაც, ბანკები ყოველთვის არ არიან დაინტერესებული ასეთი პოლიტიკის გატარებით. ამიტომ ბანკებს მუდმივად ემუქრებათ საპროცენტო რისკები, მაგრამ ეს კი არ გამორიცხავს, არამედ, პირიქით, მოითხოვს საპროცენტო რისკის მართვას.

საპროცენტო რისკის მართვა მოიცავს როგორც ბანკის აქტივების, ასევე ვალდებულებების მართვას. ამ მმართვის თავისებურება ისაა, რომ მას გააჩნია საზღვები. აქტივების მართვას ზღუდავს :

1) ლიკვიდობის მოთხოვნები და საკრედიტო რისკი, რომლებიც განსაზღვრავენ ბანკის სარისკო აქტივების პორტფელის შედგენილობას;
2) სხვა ბანკების მხრიდან მოსალოდნელი კონკურენცია, რომლებიც თავისუფლებას უზღუდავს ბანკს კრედიტის ფასის შერჩევისას.

საპროცენტო რისკი განპირობებულია ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე საპროცენტო განაკვეთების არასასურველი ცვლილებებით საკრედიტო და საფინანსო ბაზრებზე.

სავალუტო რისკი – სავალუტო ბაზრები თანამედროვე საფინანსო ბაზრების ერთერთ ყველაზე დინამიკურ და ლიკვიდურ სეგმენტს წარმოადგენს. მისი, როგორც კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარება ქვეყნის ეკონომიკური სტრუქტურის მთავარ მიმართულებად განიხილება.

სავალუტო რისკი, ანუ საკურსო დანაკარგების რისკი, წარმოადგენს სავალუტო კურსების მერყეობის შედეგად ფულადი დანაკარგების შესაძლებლობას.

თავის მხრივ, სავალუტო რისკის სტრუქტურირება ხდება შემდეგი სახით:

კომერციული – დაკავშირებულია მევალის სურვილის უქონლობით ან შეუძლებლობით – დაფაროს თავისი ვალდებულებები;

კონვერსიული (ნაღდი) – კონკრეტული ოპერაციების მიხედვით სავალუტო ზარალის რისკი;

ტრანსლაციური (ბუღალტრული) რისკი – წარმოიშობა უცხოეთის ფილიალების კლიენტების აქტივებისა და პასივების „მოგება-ზარალის“ ანგარიშების გადაფასებისას;

ფორფერტირების რისკი, რომელიც ხშირად წარმოიშობა, როცა ფორფერტირი (ხშირად ის ბანკია) თავის თავზე ღებულობს ექსპორტიორის რისკს რეგრესის უფლების გარეშე.

სავალუტო რისკი უკავშირდება საპროცენტო განაკვეთების მოძრაობის გაურკვევლობას მომავალში, ე.ი ეროვნული ვალუტის ცვლილებას უცხოურის მიმართ. იგი გავლენას ახდენს იმ მსესხებლებზე, კრედიტორებსა და ინვესტორებზე, რომლებიც გარიგებებს ასრულებენ ეროვნულისგან განსხვავებული ვალუტებით. სავალუტო რისკი მოიცავს:

1) ეკონომიკურ რისკს-ფირმის ან ბანკის აქტივების ან პასივების ღირებულების შეცვლის რისკს მომავალში კურსის შეცვლის გამო;
2) გადაგზავნის რისკს –აქვს ბუღალტრული ბუნება და უკავშირდება აქტივებისა და პასივების უცხოური ვალუტით აღრიცხვაში არსებულ გასხვავებებს;

3) გარიგებათა რისკი –უცხოური ვალუტით მომხდარი გარიგების მომავალი ღირებულების გაურკვევლობა ეროვნული ვალუტით.

განვიხილოთ თითოეული გამოყოფილი რისკი:

ეკონომიკური რისკი ფირმისათვის იმაში მდგომარეობს, რომ მისი აქტივების ღირებულება შესაძლოა მოიმატოს ან მოიკლოს (ეროვნული ვალუტით)მომავალში ვალუტის კურსის ცვლილებათა გამო.

რისკი ბანკისათვის საზღვარგარეთულ აქტივებში ინვესტირება, (მაგ; კრედიტების გაცემა უცხოური ვალუტით,) იმოქმედებს ეროვნული ვალუტით გამოხატული გადასახდელების მომავალი ნაკადის სიდიდეზე (მომავალში ვალუტის კურსის ცვლილებათა გამო). გარდა ამისა, თვით ამ კრედიტების დასაფარავი გადასახდელების სიდიდე შეიცვლება კრედიტის უცხოური ვალუტის ღირებულების გადაყვანისას ეროვნული ვალუტით გამოხატულ ეკვივალენტში.

გადაგზავნის რისკი ფირმისათვისაც და ბანკისათვისაც აღნიშნული რისკი ეხება ბალანსს და ცვლის აქტივებისა და პასივების ღირებულებას. თუ ეცემა იმ უცხოური ვალუტის კურსი, რომელშიც ეს აქტივებია გამოხატული მაშინ კლებულობს აქტივების ღირებულება; აქტივების სიდიდე მცირდება, ეცემა ფირმის ან ბანკის სააქციო კაპიტალის სიდიდე.

გარიგების რისკი. ფირმის მომგებიანობაში მომხდარი ცვლილება მოასწავებს მისი კრედიტუნარიანობის შეცვლას. ამიტომ ბანკისთვის ძალიან მნიშვნელოვანია კლიენტების სავალუტო გარიგებათა კურსში ყოფნა. სავალუტო ოპერაციები უნდა ხორციელდებოდეს საკმაოდ რეგულარულად და დიდი მასშტაბით, რათა მოხდეს ზარალის გაწონასწორება მოგებასთან მთლიანად და არა ყოველ გარიგებათა მიხედვით. იმის გამო, რომ ოპერაციები უცხოური ვალუტის ბაზარზე რისკის გარეშე წარმოუდგენელია, სწორედ ამ მიზნით ახდევინებენ გასამრჯელოს ვალუტის შესყიდვისა და გაყიდვისს ფასს შორის სხვაობის სახით.

ბანკების უმეტესობა, განსაკუთრებით ისინი რომლებიც ისეთ ქვეყნებში ფუნქციონირებენ სადაც ვალუტა არასტაბილურია დგანან დიდი რისკის საფრთხის ქვეშ. სავალუტო რისკის მატარებლები ძირითადად შედარებით დიდი მოცულობის ბანკები არიან, რადგანაც ეს რისკი უცხოურ ვალუტაში ოპერაციებთან არიან დაკავშირებული. მაგალითად-პატარა და ახალი ბანკები ჩვეულებრივ ლიმიტებს აწესებენ თავიანთი კლიენტებთან უცხოური ვალუტის გამოყენებასთან მიმართებაში. ბანკები, რომლებიც აწარმოებენ ოპერაციებს უცხოური ვალუტით, თავის თავზე იღებენ სავალუტო ბაზარზე ფასების არასასურველი მოძრაობის რისკს, როგორც მიწოდების ასევე მოთხოვნის მხრიდან.

სავალუტო ურთიერთობების ობიექტური საფუძველია ისეთი საზოგადოებრივი კვლავწარმოების პროცესები, რომლებიც წარმოშობენ საქონლის, ფულისა და შრომის საერთაშორისო გაცვლას.

სავალუტო რისკი არის იმის ალბათობა, რომ უცხოური ვალუტის კურსის ცვლილება შესაძლოა მისი აქტივებისა და პასივების საბაზრო ღირეულების ცვლილება და შესაბამისას ფინანსური დანაკარები გამოიწვიოს.;

ლიკვიდობის რისკი – ლიკვიდობის/ლიკვიდურობის რის კი გაიგება, როგორ ბანკის რისკი გადაიხადოს ყველანაირი ვალდებულება დაპირებულ დროში.

საოპერაციო რისკი – საოპერაციო რისკი გაიგება როგორცც ზარალის რისკი, რაც ხშირად თავსწარმოაჩენს არაშესაბამისი ბანკის საშინაო პროცესის, ადამიანთა/პერსონალის საქციელის, სისტემებისა თუ გარეფაქტორების შესაბამისად. საოპერაციო რისკი თავისი არსით გაცილებით მეტია, ვიდრე ჩვენს რეალოურ ყოფასი გათთვითცნნობიერებული და მიღებული გამოთქმა – „საოპერაციო“. ასეთი (საოპერაციო) რისკების სწორად მართვა ფაქტიურად, საბანკო დაწესებულების მთლიანი შიდა სისტემის წარმატებულ მართვას ნიშნავს და საწინააღმდეგო სიტუაციიაა, სადაც საოპერაციო რისკების მენეჯმენტი სათანადოდ არ იციან, ან არ უუნარონი არინ ეფექტიანად მართონ ის (რისკები), რამდენჯერმე გაიზრდება ბანკის პრობლემები და დეფოლტის ალბათობა. საოპერაციო რისკის დროის შესატყვისად მართვა/რეგულირების გარეშე მმართველი რგოლი ვერ იქნება კარგად ინფორმირებული ბანკში არსებულ რელურ ყოფასა და პრობლემის მასშტაბზე.

აღნიშნული პრობლ ემის სერიოზული დონე უკვე რთულად დაექვემდებარება მოგვარებას შედეგად, საოპერაციო რისკის დროის/სიტუაციის შესაბამისი მართვა ამ რისკითვე წარმოწმნილი რაიმე პრობლემის დასაწყისშივე მოგვარების შანნსს მისცემს ბანკს. სავარაუდოდ, ამას უნდა კიდეც მოყვეს ბანკის წარმატებული ფუნქციონირება და ფინანსური სიმყარე.

საოპერაციო რისკის განმარტებას შორის ყველაზე უფრო გავრცელებულად შეიძლება ჩაითვალოს საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის განმარტება, რომელიც საოპერაციო რისკის შემდეგნაირად განმარტავს:

„ზარალის მიღების რისკი, რომელიც შეიძლება წარმოიშვას არაადეკვატური ან წარუმატებელი შიდა პროცესების, ადამიანების და სისტემების, ან გარეშე ფაქტორების შედეგად“.

საოპერაციო რისკი გამოწვეულია შიდასაბანკო კონტროლის პროცესისა და ბანკის მართვაში დარღვევების გამო, აგრეთვე შესაძლო ჩავარდნებით ოპერაციულ სისტემებში, განსაკუთრებით იმ სფეროში, სადაც ხდება გადახდები და მონაცემთა ელექტრონული

დამუშავება. თითოეულ ბანკს შეუძლია თავად განსაზღვროს და ჩამოაყალიბოს საოპერაციო რისკის განმარტება.

ბანკის ფინანსური ინტერესები პირდაპირ დაკავშირებულია ოპერაციული რისკების კონტროლსა და მართვაზე. მაგრამ, ამავე დროს, მნიშვნელოვანია, რომ მას სწორად ესმოდეს, თუ რა იგულისხმება ამ განმარტების ქვეშ და ეფექტურად ახდენდეს მის მართვასა და კონტროლს. განმარტება უნდა ითვალისწინებდეს ყველა მნიშვნელოვან საოპერაციო რისკს, რომელიც ბანკს შეიძლება წარმოეშვას. საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტმა, საბანკო სექტორის მონაწილეებთან ერთად შეუმუშავა საოპერაციო რისკის შემთხვევების კატეგორიები, რომელთა დადგომასაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზარალი მოჰყვეს;

- შიდა მაქინაციები – მაგ: ტრანზაქციის შეცდომით გატარება, თანამშრომელთა მიერ ჩადენილი ქურდობა, თაღლითობა, მითვისება, გამოძალვა, ქრთამის აღება და სხვა.
- გარეშე მაქინაციები – მაგ; გარეშე პირების მიერ ჩადენილი ქურდობა, თაღლითობა, ყაჩაღობა, გაყალბება, „ჰაკერობა“ და სხვა;
- თანამშრომელთა ქცევა და უსაფრთხო სამუშაო გარემო – მაგ: თანამშრომელთა მხრიდან კომპენსაციების მოთხოვნა მორალური, ან ფიზიკური ზიანისა და დისკრიმინაციისთვის, თანამშრომელთა ორგანიზებული გაფიცვები და სხვა.
- ბიზნესის, პროდუქტების და კლიენტთა ქცევები –მაგ; კლიენტის კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება, უთანხმოება საკონსულტაანციო საქმიანობასთან დაკავშირებით, ლიმიტების გადაჭარბება, ფულის გათეთრება და სხვა.
- მატერიალური აქტივების დაზიანება – მაგ: ტერორიზმი, ვანდალიზმი, სტიქიური უბედურება და სხვა.
- საქმიანობის შეფერხება და სისტემის მოშლა – მაგ: კომპიუტერების და პროგრამების მწყობრიდან გამოსვლა, შეფერხებები სატელეკომუნიკაციო სისტემებში, შეფერხებები კომუნალურ სფეროში და სხვა.
- აღსრულება, მომსახურების მიწოდების და პროცესების მართვა – მაგ: მონაცემთა არასწორი შეყვანა, არასწორი კომუნიკაცია, არაზუსტი ანგარიშგებების მომზადება, არასრულყოფილი იურიდიული დოკუმენტაცია, და სხვა.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ საოპერაციო რისკის მთლიანი ნეიტრალიზაცია შეუძლებელია, მაგრამ აუცილებელია მისი მინიმუმადე დაყვანა. ოპერაციული რისკი არის თავისებური კლასის რისკების ერთიანობა, რომელიც მნიშვნელობას ახდენს ბანკების თანამედროვე საქმიანობაზე.

დღეისათვის უკვე ნათელია, რომ თავისთავად საკრედიტო და საბაზრო რისკი არ განსაზღვრავს შემოსავლების ცვლილებებს. რისკს დაქვემდებარებული ღირებულების მოდელი ითვალისწინებს მხოლოდ მთავარ რისკებს და არ ვრცელდება ჰონორარებს და საკომისიო შემოსავლებზე.

ამ სახეობის რისკი მნიშვნელოვნად განისაზღვრება კონკრეტული ადამიანებისა და კომპანიის რეპუტაციით, რაც ოპერაციული ცვალებადი სიდიდეა.

ბანკის ფინანსური ინტერესები პირადაპირ დაკავშირებულია ოპერაციული რისკების კონტროლსა და მართვაზე. ბანკების უმეტესობის შემთხვევაში ძალზე დიდია სხვაობა საერთო კაპიტალსა და იმას შორის, თუ რა მოცულობის სახსრები უნდა გამოუყოს საკრედიტო და საბაზრო რისკების დაფარვისათვის ბანკების არსებული მოდელების მიხედვით. ნებისმიერ შემთხვევაში ბუფერის სიდიდის ზუსტი ცოდნა აუცილებელია სხვა რისკების ოპერაციული დაცვისათვის.

ოპერაციულ რისკებს განეკუთვნება იურიდიული, საგადასახადო რისკები, ასევე სახელმწიფო რეგულირებასთან დაკავშირებული რისკები.

საოპერაციო რისკმა შეიძლება გამოიწვიოს პირდაპირი ან არაპირდაპირი ფინანსური დანაკარგე-

ბი და მოგების მიღების შესაძლებლობის დაკარგვა. საოპერაციო რისკი შეიძლება ახასიათებდეს ბანკის ნებისმიერ საქმიანობას, როგორიცაა მაგალითად კრედიტების გაცემა, სახაზინო, საინვესტიციო და საოპერაციო საქმიანობა, მომსახურება, ვაჭრობის დაფინანსება, საკრედიტო და სავალო ინსტრუმენტები, საინფორმაციო ტექნოლოგიები და საინფორმაციო სისტემის მართვა, აგრეთვე ადამიანური რესურსების მართვა.

სამართლებრივი რისკი-სამართლებრივი რისკი არის რისკი, რომელიც გამოწვეულია სამართლებრივი სისუსტეებით, რომელსაც, სხვა ფაქტორებთან ერთად, იწვევს სამართლებრივი მოქმედებები, კანონებსა და ნორმატიულ აქტებში დამხმარე დებულებების უქონლობა, ან სამართლებრივად სავალდებულო მოთხოვნების სისუსტე, როგორიცაა მაგალითად, შეუსაბამობა ხელშეკრულებების სამართლებრივ მოთხოვნებთნ და სხვა.

ჩვეულებრივ ის წარმოიშობა მაშინ როცა სახეზეა სახელშეკრულებო ან კანონით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევა. ან როცა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს არ შეუძლიათ ხელშეკრულების შესრულება.

რისკი სამართლებრივია მხოლოდ შემდეგი ოთხი პირობის ერთდროული არსებობისას:

1. რისკი უნდა შეესაბამებოდეს იმ მიზნის მნიშვნელობას, რისთვისაც ის ხორციელდება;
2. ამ მიზნის მიღწევა შეუძლებელია ჩვეულებრივი, არასარისკო საშუალებებით;
3. რისკი არ უნდა გადავიდეს აშკარა ზარალში;
4. რისკის ობიექტები, როგორც წესი, უნდა იყოს მატერიალური, ნივთობრივი და არა ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

ამ პირობათაგან თუნდაც ერთის დარღვევა გამორიცხავს საწარმოო რისკის სამართლებრივობას.

სამართლებრივი რისკი მოიცავს აქტივების გაუფასურების ან ვალდებულებების გაფართოების რისკებს რომლებიც გამოწვეულია არასწორი იურიდიული გადაწყვეტილებებით, არასწორად შედგენილი იურიდიული დოუმენტაციით. გარდა ამისა, შეიძლება შეიცვალოს ბანკებისა და მათი კლიენტების ინტერესებთან დაკავშირებული კანონმდებლობაც .

რეპუტაციის დაკარგვის რისკი –რეპუტაციის რისკი არის რისკი, რომელსაც, სხვა ფაქტორებთან ერთად, იწვევს ბანკის ოპერაციებთან დაკავშირებით უარყოფითი საჯარო განცხადებების გაკეთება ან ბანკის უარყოფითად წარმოდგენა.

სხვაგვარად რომ ვთქვათ რეპუტაციის დაკარგვის რისკი არის ბანკის უუნარობის რისკი „იმოქმედოს კანონისა და ინსტრუქციების შესაბამისად, აგრეთვე, კრიმინალურ სტრუქტურებთან კავშირში. ჩვეულებრივ რეპუტაციის რისკზე საუბრისას ყურადსაღებია ის, რომ ის უხილავი ფენომენია, თუმცა მისი წინასწარ გათვლა და გათვალისწინება მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ბანკების წარმატებული მუშაობისთვის. ის შეიძლება წარმოიშვას ბანკის მუშაობაში ოპერაციული ჩავარდნებით, აგრეთვე მათ შესაძლო ურთიერთობით კრიმინალურ სტრუქტურებთან, რეპუტაციის დაკარგვის საშიშროება განსაკუთრებით დამღუპველია ბანკებისათვის, რამდენადაც მათი ბიზნესის ბუნება მოითხოვს კრედიტორების, მეანაბრეებისა და მთლიანად ბაზრის ნდობის შენარჩუნებას.

რეპუტაციის რისკის დონე დამოკიდებულია ბანკის მენეჯმენტზე, თვით მენეჯერის მიერ გადადგმულ ნებისმიერ ნაბიჯზე, რადგანაც მენეჯერები ასრულებენ გადამწყვეტ როლს ნებისმიერი კომპანიის წარმატებაში. მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებსა და გახორციელების ხარისხზე დამოკიდებულია კომპანიის წარმატება თუ წარუმატებლობა. სწორედ ამიტომ ორგანიზაციების უმეტესობა საკმაოდ დიდ ძალისხმევას და ენერგიას ხარჯავს მათ სწორ მოტივაციაზე. მიუხედავად ამისა, მოტივაციის სისტემის ამუშავებისას, ძალიან ხშირად ვერ ითვალისწინებენ იმ ფაქტს, რომ ხელძღვანელი პირები ნებისმიერი სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებისას რისკის ქვეშ აყენებს არა მარტო კომპანიის მომგებიანობასა და წარმატებას, არამედ საკუთარ რეპუტაციასაც, რაც ბევრისთვის გაცილებით ძვირი და მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ნებისმიერი აქტივი.

მიღებული გადაწყვეტილების წარმატებას შეუძლია მათი რეპუტაციის, ანაზღაურებისა და მომავალი წინსვლის შესაძლებლობების სერიოზული საფრთხის ქვეშ დაყენება. რაც არ უნდა იყოს წარუმატებლობის მიზეზი, ის მაინც განიხილება არა როგორც მოვლენების მოულოდნელი მსვლელობა, არამედ როგორც მენეჯერის წინდაუხედაობა და მარცხი. ამის გამო, მენეჯერები ხშირად თავს იკავებენ მაღალრისკიანი გადაწყვეტილებების მიღებისაგან. მათ ურჩევნიათ შედარებით დაბალშემოსავლიანი საშუალო დონის რისკიანი მოქმედებების განხორციელება და წარმატებული ხელმძღვანელის სტატუსის შენარჩუნება, ვიდრე საკუთარი მომავალი კარიერისა და ბანკის რეპუტაციის დამსხვრევა, რის გა-

მოც ხშირად ბანკსაც აკარგვინებენ განვითარების შანსს. *სტრატეგიული რისკი*-სტრატეგიული რისკი არის, რასაც, სხვა ფაქტორებთან ერთად, იწვევს ბანკის სტრატეგიის სუსტი დაგეგმვა და ცუდი განხორციელება, ბანკის სუსტი ბიზნეს გადაწყვეტილებები, ან ბანკის მიერ რეაგირების არმოხდენა გარე ცვლილებაზე.

სტრატეგიულ რისკს (Strategic risk) ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ახალი პროდუქტის მიზანი და როლი არ შეესაბამება ორგანიზაციის სპეციფიკურ მოთხოვნებს. ამიტომ სტრატეგიული რისკი გასათვალისწინებელია ახალი პროდუქტის დაგეგმვასა და განვითარების დროს.

სტრატეგიული რისკი წარმოიშობა ბანკისმიერ ბაზრის საკუთარი სექტორის არაადექვატურად განსაზღვრისა და ბაზრის იმ სექტორის მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, რომელზედაც მას მუშაობა სურს.

ახალი პროდუქცია ეს არის კომპანიის კონკურენტუნარიანობის სტრატეგიის ზრდის ძალზედ მნიშვნელოვანი ნაწილი. წარმატებული კომპანიის წარმომადგენლებისათვის ცნობილია, რომ საკმარისი არ არის ახალი პროდუქტის განვითარება მხოლოდ ერთჯერად საწყისებზე. პროდუქტის განვითარების პროცესში წარმატების მისაღწევად ასევე მნიშვნელოვანია არსებული გარემოპირობების გათვალისწინება. ბაზარზე არსებული ძირითადი კომპანიებისათვის ჩვეულბრივ მოვლენას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მათი მიმდინარე გაყიდვების 50% ან მეტი მოიცავს იმ პროდუქციას, რომელიც უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში იქნა წარმოდგენილი ბაზარზე.

ხშირად ახალი პროდუქტი ასოცირდება მარცხთან, რადგანაც რისკის ფაქტორი მაქსიმალურია. ახალი პროდუქტის მარცხის შეფასება რანჟირებს 33%-90% შორის. მაგრამ სტრატეგიული რისკის მართვის შედეგად ახალი პროდუქტის გაყიდვები უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე არსებული პროდუქტების და კომპანიისათვის გასაოცრად დიდი შემოსავალი მოაქვს.

სტრატეგიული რისკის გათვალისწინება ხდება ახალი პროდუქტის დანერგვამდე, როცა იდეა ჩნდება მაშინ. ახალი პროდუქტის შესაქმნელად რისკის ფაქტორების გათვალისწინება საჭიროა ყველა ეტაპების გავლისას, კერძოდ: იდეების განვითარების დროს; იდეების გაფილტვრის დროს; პროექტის დაგეგმვის დროს; პროდუქტის განვითარების დროს; ბაზრის შესწავლის დროს; ახალი პროდუქტის ბაზარზე გამოტანა/გაყიდვის დროს. ბანკმა უნდა დაადგინოს თავისი ძირითადი საქმიანობისათვის დამახასიათებელი სტრატეგიული რისკები, როგორიცაა; საკრედიტო, სახაზინო, საინვესტიციო და საოპერაციო საქმიანობა და მომსახურება. ბანკმა უნდა მოახდინოს მუშაობაში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილებების აღრიცხვა და ადმინისტრირება, რომელიც გამოწვეულია დამტკიცებული ერთობლივი გეგმის, ან ბიზნეს გეგმის შეუსრულებლობით, ან არაეფექტიანი შესრულებით, – განსაკუთრებით ის ცვლილებები, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ბანკის კაპიტალზე. სტრატეგიული რისკის შეფასებისას ბანკმა შეიძლება გამოიყენოს ხარისხობრივი და რაოდენობრივი მიდგომების კომბინაცია. ბანკმა რეგულარულად უნდა განახორციელოს სტრატეგიული რისკის მონიტორინგი, სტრატეგიული რისკის გამო წარსულში გამოწვეული დანაკარგების შესაბამისად. მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემას უნდა შეეძლოს უზრუნველყოს სრულყოფილი, ზუსტი და დროული ანგარიშები სტრატეგიული რისკის შესახებ, რაც დაეხმარება დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებების მიღებაში.

ბანკმა უნდა დააწესოს ფინანსური კონტროლი, რომლის მიზანი იქნება დასახული ამოცანების განხორციელების მონიტორინგი და უზრუნველყოფა იმისა, რომ გაწეული რისკები გონივრულ ჩარჩოებში იქნეს შენარჩუნებული. ბანკს უნდა ჰქონდეს სტრუქტურა, რომელსაც მიენიჭება უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა გაანალიზოს აქტუალური და მიზნობრივი ანგარიშები ბიზნესგეგმასთან დაკავშირებით და მოახსენოს ანალიზის შედეგები დირექტორატს. ბანკმა რეგულარულად უნდა განახორციელოს სტრატეგიული რისკის მართვის საინფორმაციო სისტემის ტესტირება და განხილვა.

მედიცინა

სალერნოს ჯანმრთელობის კოდექსი

სალერნო, ძველი რომის ყოფილი კოლონია იტალიაში, კამპანიის უბეში ცნობილი აგარაკი იყო, განთქმული სამედიცინო ტრადიციით, რაც ძველი საბერძნეთის და არაბეთის მედიცინის მიღწევებს ეყრდნობოდა. IX საუკუნეში აქ უკვე შეიქმნა სახელოვან ექიმთა კორპორაცია, დაიწერა მრავალი შრომა. ყველაზე უფრო ცნობილია დიდი ექიმისა და ფილოსოფოსის არნოლდ ვილანოველის (დაახ. 1235-1311) პოემა, რომლის ბრწყინვალე ილუსტრირებული რუსული გამოცემა (ი. შულცის თარგმანი) გასულ წელს გამოსცა მოსკოვში „მედიცინამ". პოემა ეძღვნა რობერტ ნორმანდიელს, რომელიც სალერნოში მკურნალობდა. I ჯვაროსნული ლაშქრობის შემდეგ. პოემაში 102 ლექსია. დღეს ჩვენ გთავაზობთ რამდენიმე ლექსს.

სახელგანთქმულმა სკოლამ
ინგლისის მეფეს ასე მისწერა:
„თუ გინდა იყო მუდამ ჯანმრთელი
და არ იცოდე, რა არის სენი,
ჩამოიცილე კაეშნის ტვირთი,
თავს ნუ აკადრებ გაბრაზებასა.
ჭამე მცირედი, ღვინო ცოტა სვი,
ნუ წამოწვები ნასადილევსა.
და შეიძულე შუადღის ძილი,
ძალას ნუ ატან კუჭსა და ნაწლავს...
თუ ყოველივე ამას დაიცავ,
დიდხანს შერჩები წუთისოფელსა.
თუ ექიმების სიმცირე იყოს,
სამ ექიმს გირჩევ: ზომიერ ჭამას,
კარგ ხასიათს და სულის სიმშვიდეს".

ადრე ადექი და დაიბანე
ცივი წყლით სახე, თვალი და ხელი,
გაიარე და გამოიარე,
გამართე ტანი, ხელი და ფეხი.
გამოირეცხე კარგად კბილები...
ეს გაგიმაგრებს ჭკუა-გონებას,
გაგიძლიერებს კუნთებში ღონეს,
ტანი იბანე, ჭამე, იარე,
მერე გაჩერდი.... ნუ გაცივდები:
წყაროს წყალი და მწვანე ბალახი
ეამება და უხდება თვალსა,
დილით ახედე მაღალ მწვერვალებს,
მწუხრის ჟამს დაბლა დახედე წყალსა.

ხანმოკლე იყოს შუადღის ძილი,
ანდა ჯობს იგი სულაც არ იყოს.
კატარს, სისუსტეს, თავის ტკივილებს,
მოთენთილობას, ციებ-ცხელებას
მოგვცემს უთუოდ შუადღის ძილი.

მაძღრისად ჭამა, უხვი ვახშმობა,
ჩვენი კუჭისთვის მავნეა ძალზე,
თუ გინდა ღამე მშვიდად გეძინოს,
ძილის წინ საჭმელს ნუ დააძღები.

საუზმის შემდეგ გაისეირნე,
თუ გსურს შეგერგოს ის, რაც მიირთვი.

სუფრას ნურასდროს მიუჯდები,
ვიდრე დარწმუნდე, რომ შენი კუჭი
განთავისუფლდა იმ საკვებიდან,
რაც მიგიღია უკანასკნელად.
ჭამის სურვილი დაგიდასტურებს,
რომ ეს ასეა, რომ ხარ მშიერი,
პირზე მომდგარი ნერწყვი ნდომისა
დაგემოწმება – გარგებსო ჭამა!

მტევანი, მსხალი, ხახვი, ნიორი,
ბოლოკი, თხილი და ნიგოზია
ადამიანის დამღუპველ შხამთა
საუკეთესო, სანდო წამალი.

თუ გინდა იყო მუდამ ჯანმრთელი,
ხშირად იბანე სახე და ხელი,
თუ ჭამის შემდეგ ხელებს დაიბან
მიიღებ ორწილ სიამოვნებას,

ხელი გექნება სუფთა, საღი და
თვალთა მზერა კი უფრო ფხიზელი.

წყლის დაყოლება ჭამის შემდეგ მავნეა მეტად.
კუჭი ცივდება, მონელება ძნელდება ხოლმე.

სასარგებლოა, ახალი კვერცხი, –
თოხლო და არა გადახარშული!

თხის რძეც კარგია და აქლემისაც,
მაგრამ ფურისა უკეთესია.

ყველი აცივებს, ამაგრებს კუჭსა,
არის უხეში, მაგარი, მძიმე,
პური და ყველი სასარგებლოა,
თუ შეექცევა ჯანმრთელი კაცი.
მაგრამ თუ კაცი ავადმყოფია,
არ უნდა ჭამოს პური და ყველი.
„ყველი მავნეა!“ — გაიძახიან,
მუდამ ცუდი ცრუ ექიმები
და არ იციან, რად არის მავნე, —
კარგია, თუ გაქვს მაგარი კუჭი —
გვიმოწმებს ყველა, ვინც მისწვდა კაცთა
გაჯანსაღების მეცნიერებას.

ჭამის დროს თუ სვამ, ცოტ-ცოტა მოსვი,
კერძებს შორის კი სულაც ნუ დალევ.
და რომ არ გავნოს, სვი ჭამის წინ, —
კვერცხს დაყოლე მცირედი წყალი.

თევზს დააყოლე ცოტა ნიგოზი,
ხორცს დააყოლე მცირედი ყველი,
ერთი ნიგოზი სასარგებლოა,
ორი – სამძიმო, სამი – საკვდავი.

ალუბალს შეჭამ – სიკეთეს ნახავ,
გაგიწმენდს კუჭსა, დაგიშლის ქვებსა,
კენკრისგან სისხლი დაგეწმინდება.

ყველას ვუბრძანებ, თუ სურს სიცოცხლე,
მტკიცედ დაიცვას, მკაცრი დიეტა,
ჩვენ ჰიპოკრატემ გვასწავლა უკვე,
რა იწვევს ქვეყნად კაცის დაღუპვას.

თავი კანონი მედიცინისა
გახლავთ დიეტის ურყევი დაცვა:
შენ მკურნალობა ვერას გიშველის,
თუ არ დაიცავ თანაც დიეტას.

როდის, რამდენი, რატომ და რისთვის
ეს ყველაფერი ექმიმმა იცის.

ორას ცხრამეტი ძვალი აქვს კაცსა,
ოცდათორმეტი კბილი აქვს პირში,
სამას სამოცდა ხუთი სისხლძარღვი —
რთულია, რთული ადამიანი,
მით უფრო რთული სიფრთხილე ჰმართებს.

ფლეგმატიკური კაცი სუსტია,
მხოლოდ სუქდება, სისხლი აქვს დუნე,
დროს ძილში ფლანგავს, არა საქმეზე,
ზანტი, მძინარა, ზოზინა, ჩლუნგი...

თარგმანი **აკაკი გელოვანმა**

ავთანდილ კურდღელაძე,
ფერია კურდღელაძე

ადამიანთა დაავადებები და მისი ფიტოთერაპია

დეზინტერია – მწვავე ინფექციური დაავადებაა. ახასიათებს მსხვილი ნაწლავის ანთება, ხანმოკლე ცხელება და ზოგადი ინტოქსიკაცია.

ინფექციის წყაროა დაავადებული ან ბაცილა-მატარებელი ადამიანი, რომელიც განავალთან ერთად გამოყოფს დიზინტერიის მიკრობებს, ავრცელებს ბუზიც. საინკუბაციო პერიოდი საშუალოდ 2-3 (იშვიათად 1-5) დღეა. დაავადება იწყება მწვავედ, სიცხით, ინტოქსიკაციის მოვლენებით, რასაც დაერთვის შეტევითი ტკივილი მუცლის ქვედა არეში და სხვადასხვა ინტენსივობისა და ხასიათის (ლორწოვანი, სისხლიანი, ჩირქოვანი) ფაღარათი, ზოგჯერ ფაღარათი წინ უსწრებს სიცხეს, ახასიათებს ცრუ ჭინთვები. ამჟამად გავრცელებულია დიზენტერიის მსუბუქი ფორმები – ხანმოკლე, უსისხლო და ულორწო ფაღარათი ინტოქსიკაციის მოვლენების გარეშე. გვხვდება უმძიმესი ფორმითაც (განსაკუთრებით ავადდებიან მცირეწლოვანი ბავშვები), რომელსაც ახასია-

თებს ექსკოზი (წყლისა და მარილის კატასტროფული დაკარგვა) ან ინფექციური შოკი, რაც ხშირად სიკვდილის მიზეზი ხდება.

სამკურნალოდ გამოიყენება: ბრონწეული გვ.43, ბირკავა გვ.42, თელა გვ.54, შავი მურყანი გვ.78, ქართული მუხა გვ.79, დანდური გვ.4., ზღმარტლი გვ.52.

დისპეფსია – კუჭ-ნაწლავის ნორმალური მოქმედების მოშლა. საჭმლის მონელების დარღვევა.

სამკურნალოდ გამოიყენება: ფარწმანდუკი გვ.94.

დიფთერია, ხუნაგი – უპირატესად ბავშვთა ასაკის მწვავე ინფექციური დაავადებაა. ახასიათებს ინფექციის შეჭრის ადგილზე ანთებითი პროცესის განვითარება და მკვრივი ფენოვანი ნადების წარმოქმნა, ორგანიზმის მძიმე ინტოქსიკაცია. ყველაზე მეტად გავრცელებულია ხახის დიფტერია, შედარებით ნაკლებად ხორხის. სხვა ფორმები იშვიათია. დიფტერია გვხვდება სპორადულად და ეპიდემიურად.

სამკურნალოდ გამოიყენება: ლურჯი ანუ სფერული ევკალიპტი გვ.47.

ეგზემა, ქარცეცხლა – კანის ანთებითი არაგადამდები დაავადება. იწვევს სხვადასხვა გარეგანი და შინაგანი ფაქტორი. მის პათოგენეზს ნევროგენული და ალერგიული მექანიზმნებით ხსნიან. არჩევენ ჭეშმარიტ, კონტაქტურ და მიკრობულ ეგზემას, დამახასიათებელია გამონაყარი, ბუშტუკები, ჩირქგროვა, ქავილი.

სამკურნალოდ გამოიყენება: ქრისტესისხლა გვ.99, არყის ხე გვ.36, კაკალი გვ.61, ფარსმანდუკი გვ.94, ორკბილა გვ.82.

ენტერიტი – წვრილი ნაწლავის ლორწოვანი გარსის ანთება გამომწვევი მიზეზებია: კვებითი ტოქსიკური ინფექცია, მწვავე მოწამვლა, სხვადასხვა ინფექციური დაავადება, ძნელად მოსანელებელი უხეში პროდუქტები და სხვა. განარჩევენ მწვავე და ქრონიკულ ენტერიტს. მწვავე ენტერიტი იწყება უეცრად. ახასიათებს შეტევითი ხასიათის ტკივილი მუცლის არეში, ფაღარათი, გულის რევა ან ღებინება, ტემპერატურის აწევა და სხვა. ზოგჯერ მწვავე ენტერიტი ქრონიკულ ფორაში გადადის.

სამკურნალოდ გამოიყენება: მრავალძარღვა გვ.77, მურყანი გვ.78.

ენტეროკოლიტი – წვრილიო ნაწლავისა და კოლინჯის ერთდროული ანთება.

სამკურნალოდ გამოიყენება: მურყანი გ.78, მრავალძარღვა გვ.77, ვარდკაჭაჭა გვ.49, სურო გვ.59 ტუხტი გვ.93.

ეპილეფსია, ბნედა, ავიზნე – თავის ტვინის ქრონიკული პოლიეტიოლოგიური დაავადება, რომელსაც ახასიათებს ცნობიერების დაკარგვის ან მისი შეცვლის ფონზე გამოხატული კრუნჩხვითი ან არაკრუნჩხვითl პაროქსიზმეიბ.

სამკურნალოდ გამოიყენება: თუთა გვ.55, კულმუხო გვ.69, ფითრი გვ.95, კატაბალახა გვ.63.

ვენების დაავადება – ვენა არის სისხლძარღვი, რომლითაც სისხლი ორგანოებიდან და ქსოვილებიდან მიედინება გულისაკენ.

ვენების დაავადების დროს **სამკურნალოდ გამოიყენება** შემდეგი მცენარეები: თხილი გვ.56, ცხენის წაბლი გვ.104.

ვენერიული დაავადებები – ინფექციურ დაავადებათა ჯგუფი: სიფილისი (ათაშანგი), გონორეა, რბილი შანკრი და საზარდულის ლიმფოგრანულომატოზი, რომელიც ძირითადად სქესობრივი გზით ვრცელდება.

ვენერიული დაავადებები საფრთხეს უქმნის საზოგადოებას, არანამკურნალები ან ცუდად ნამკურნალები გონორეა შეიძლება გახდეს მძიმე დაავადებათა, აგრეთვე, ქალისა და მამაკაცის უშვილობის მიზეზი. თუ სიფილისით დაავადებულმა არ იმკურნალა, მას უზიანდება სხვადასხვა ორგანო რასაც საბოლოოდ ინვალიდობა და ხშირად სიკვდილი მოჰყვება.

სამკურნალოდ გამოიყენება: კაკალი გვ.61, ვერხვი გვ.50.

ისტერია – ფუნქციური ნერვიულ-ფსიქოლოგიური დაავადება. ახასიათებს მომატებული ემოციურობა (ტირილი, სიცილი, კრუნჩხვები) აგრეთვე, ფსიქიკისა და მგრძნობელობის სხვადასხვაგვარი მოშლილობა. ისტერია ნევროზის ერთ-ერთი სახეა. უვითარდება ფსიქიკური ტრავმის შედეგად სუსტი ტიპის ნერვული სისტემის მქონე ადამიანებს.

სამკურნალოდ გამოიყენება: ომბალო გვ.81, ძახველი გვ.107.

იშიაზი – ტკივილი ბარძაყის მიდამოში, საჯდომი ნერვის ნევრალგია ან ანთება(ნევრიტი), ახასიათებს საჯდომი ნერვის გასწვრივ შეტევითი ან მუდმივი ხასიათის ტკივილი. ვითარდება გაციების, ტრავმის, ინტოქსიკაციის, ხერხემლის მალების დაავადების შედეგად.

სამკურნალოდ გამოიყენება: ძაღლის სატაცური გვ.106.

კატარი – რომელიმე ორგანოს (ცხვირის, ყელის, კუჭის და სხვა) ლორწოვანი გარსის ანთება ექსუდატის წარმოთქმით. მაგალითად, ზედა სასუნთქი გზების კატარი.

სასუნთქი გზების **სამკურნალოდ გამოიყენება:** ბაღის პიტნა გვ.86, ჭინჭრის დედა გვ.111.

კლიმაქტერიუმი, კლიმაქსი – გარდამავალი პერიოდი მოწიფუობის ასაკიდან ხანდაზმულობისაკენ, როდესაც ქრება სასქესო ჯირკვლების მოქმედება (ჩვეულებრივ 40-50 წლის ასაკში). ვლინდება საკვერცხისა და საშვილოსნოს ფუნქციის მოშლისა და თვიურის შეწყვეტის სახით.

სამკურნალოდ გამოიყენება: კუნელი გვ.70, სვია გვ.90, ფითრი გვ.95.

კოლიტი – მსხვილი ნაწლავის ანათება. კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ყველაზე მეტად გავრცელებული დაავადება. მისი მიზეზი შეიძლება იყოს ინფექცია (დიზენტერიის ჩხირი, სალმონელები, ამბები, ბალანტიდები და სხვა) ან კვებითი ინტოქსიკაცია.

განარჩევენ მწვავე და ქრონიკულ კოლიტს. მწვავე კოლიტი იწყება მუცლის არეში მოვლითი ხასიათის ტკივილით, რომელსაც თან სდევს ყურყური, მუცლის შებერვა, დეფეკაცია 10-20-ჯერ დღეში. დაავადების საწყის სტადიაში განავალი თხელია, მყრალსუნიანი, ლორწოვანი, შემდეგ კი სისხლის მინარევით. ხშირია დეფეკაციის ყალბი სურვილი, მცირეოდენი ლორწოსა და სისხლის გამოყოფით.

ქრონიკულ კოლიტს ახასიათებს საერთო სისუსტე, შეკრულობა ან ფაღარათი. ნწალავთა მოქმედებამდე ავადმყოფს აწუხებს ყრუ ან მოვლითი ტკივილი მუცელში, რაც დეფეკაციის შემდეგ დროებით ჩერდება. კოლიტის დიაგნოზს ადგენენ რენტგენოლკოგიურად, რექტოსკოპიით და განავლის ლაბორატორიული გამოკვლევით.

სამკურნალოდ გამოიყენება – კრაზანა გვ.69, სურო გვ. 59, მურყანი გვ.78, გვირილა გვ43, მატიტელა გვ.73.

კოლპიტი, ვაგინიტი – საშოს ლორწოვანი გარსის ანთება, ხშირად დაერთვის გარეთა სასქესო ორგანოების ანთებაც, ვითარდება საშოში სხვადასხვა მიკრობებისა და პარაზიტებს მოხვედრის შემდეგ.

სამკურნალოდ გამოიყენება: მთის ღანძილი გვ.75.

კონიუქტივიტი – თვალის შემაერთებელქსოვილიანი გარსის ანთება

სამკურნალოდ გამოიყენება: კაკალი გვ.61.

ლარინგიტი – ხორხის ანთება.

სამკურნალოდ გამოიყენება: ვირისტერფა გვ.51, სფერული ევკალიპტი გვ.47, კილამური გვ.66, არყის ხე გვ36.

ლიმფადენიტი – ლიმფური კვანძების ანთება.

სამკურნალოდ გამოიყენება: კაკალი გვ.61.

მალარია, ჭაობის ციებ-ცხელება – პროტოზოულ დაავადებათა ჯგუფიუ, რომელთა გამომწვევია Phasmodium-ის ჰემისპოროდთა ოთხი სახე., ახასიათებს ანემია და რეტიკულურ-ენდოთელური სისტემის ორგანოების მნიშვნელოვანი რეაქცია. ციების შეტევის პერიოდს ცვლის ლატენტური მდგომარეობა, რომლის შემდეგ შეტევები ხშირად კვლავ მეორდება. მალარიის გადამტანია კოღო ანფოლესი.

სამკურნალოდ გამოიყენება: ასკილი გვ.39, კოწახური გვ.68, კულმუხო გვ.69, ლურჯი, ანუ სფერული ევკალიპტი გვ.47, მრავალძარღვა გვ.77, ფარსმანდუკი გვ.94, ტირიფი გვ.92.

სიმონ ზაქარაია

სმმ დოქტორი



ნიორი

Allim satwum შროშანისებრთა (Liliaceae) ოჯახს ეკუთვნის. ნივრის კბილი შეიცავს მშრალ ნივთიერებას, ნედლ ცილას, ვიტამინ C-ს, რედუცირებულ შაქარს, პოლისაქარიდებს, ექსტრაქტულ ნივთიერებებს, კალიუმის, ნატრიუმის, კალციუმის, მაგნიუმის, ქლორის, ფოსფორის, გოგირდის, სილიციუმის მარილებს. ნიორს სპეციფიკურ სუნსა და გემოს ეთეროვანი ზეთი აძლევს, რომლის შემადგენლობაში ფიტონციდი შედის. ნიორს იყენებენ შარდმდენად, მადისმომგვრელად, ტუბერკულიოზის მკურნალობისათვის, ჭიების დასაყრელად, ცინგის, ისტერიული სპაზმის, ქრონიკული ხველების, ასთმის; გარეგანად რევმატიზმის, ნაღრძობის დროს. ნიორში არსებული ფიტონციდები ამარცხებენ ავადმყოფობის გამომწვევ მიკროფლორას. გრიპის თავიდან აცილებისა და მკურნალობისათვის იღებენ გახეხილი ნივრის მასას, ან სამჯერ დღეში ორ-სამ წვეთ ნივრის წვეთს. იაპონელი ექიმების აზრით მოხარშული ვერმიშელი ნივრით საუკეთესო საშუალებაა გაციებით გამოწვეული დაავადებებისას. გთავაზობთ ნივრით დამზადებული სამკურნალო საშუალებების რამდენიმე რეცეპტს: 1. აიღეთ კანგასუფთავებული 150 გრ. ნიორი, 225 გრ. ხახვის ბოლქვი, 450 გრ. თაფლი და 900 მგ ვაშლის ძმარი. ნიორი და ხახვი ორჯერ გაატარეთ ხორცისსაკეპ მანქანაში. მიღებულ მასას დაუმატეთ ვაშლის ძმარი და დატოვეთ ერთი დღე-ღამის მანძილზე. თაფლი გააცხელეთ ნელ ცეცხლზე სრულ გალღობამდე, მასში კარგად აურიეთ ნივრის, ხახვის და ვაშლის ძმრის მასა და შეინახეთ ბნელ და თბილ ადგილას ერთი ღამის განმავლობაში. მეორე დღეს ნარევი მასა გაწურეთ საცერში და ხსნარი (ემულსია) ჩაასხით შუშის ქილაში. გაცივების შემთხვევაში გრილ ადგილას შენახული ხსნარი მიიღეთ 4 ჩაის კოვზი ჭამამდე. 2. აიღეთ 1 თავი საშუალო ზომის ნიორი, გაასუფთავეთ და დაჭერით წვრილად, 1-3 მმ ზომის, შემდეგ მოხარშეთ ზეთში ისე, რომ არ დაიწვას. ემალის ქვაბში ჩაასხით 1 ლიტრი რძე, დაუმატეთ მოხრაკული ნიორი და გააცხელეთ ადუღებამდე, დაუმატეთ 2 გათქვეფილი კვერცხი და მარილი გემოვნების მიხედვით. ნივრიანი რძის წვნიანი საუკეთესო საშუალებაა მუცლის ჭიების მოსაცილებლად. 3. აიღეთ 11 კბილი (აწონე) საშუალო ზომის ნიორი, ამდენივე წონის ხახვი, მსხვილად დაჭერით და 1 ლიტრ რძეში აადუღეთ ნიორი და ხახვი ჩაშლამდე, რძე გააცივეთ, გაფილტრეთ ორმაგ დოლბანდში და დაუმატეთ თაფლი გემოვნების მიხედვით. ხველებისას მიიღეთ 1 სუფრის კოვზი, ყოველ საათში. 4. ნივრის თხელი ნაჭერი ჩაიდეთ მტკივან კბილში და გააჩერეთ სანამ კბილის ტკივილი არ შეგიწყდებათ. 5. აურიეთ დაქუცმაცებული ნიორი და დაასხით 42^0 არაყი 1:3-თან შეფარდებით, ჭურჭელს დაახურეთ თავზე და დადგით თბილ ადგილზე, 15 დღის შემდეგ გაფილტრეთ ორმაგ დოლბანდში და ჩაასხით ისეთ ჭურჭელში, რომელსაც თავი ჰერმეტულად ეხურება. პირველ დღეს ჭამის წინ, 20-30 წუთით ადრე მიიღეთ 2 წვეთი ერთი სუფრის კოვზ წყალში ან რძეში გახსნილი. ყოველ მომდევნო დღეს დაუმატეთ თითო წვეთი 25 წვეთამდე და შემდეგ იმავე თანმიმდევრობით ყოველდღე შეამცირეთ დოზა თითო წვეთით ორ წვეთამდე. ეს ნაყენი ასუფთავებს ხანშიშესულ ადამიანთა სისხლის არტერიებს და კარგი საშუალებაა ინფარქტის, ათეროსკლეროზის, ჰიპერტონიული და სტენოკარდიული დავადებების დროს. პირველი პროცედურის შემდეგ სასურველია ნაყენი იმავე წესით მიიღოთ 6 თვის შემდეგ. 6. ერთი თავი ნიორი გაასუფთავეთ და 1 ცალ ლიმონთან ერთად დააქუცმაცეთ სახეხზე, მოათავსეთ მომინანქრებულ ჭურჭელში, დასხით ოთახის ტემპერატურის წყალი, მჭირდოდ დაახურეთ და შეინახეთ 2 დღე-ღამის განმავლობაში გრილ ადგილას, შემდეგ გაფილტრეთ და ნაყენი შეინახეთ მაცივარში. მიიღეთ ჭამის წინ 1 სუფრის კოვზი სამჯერ დღეში. ნაყენს იყენებენ ათეროსკლეროზით დაავადების დროს. ნივრისაგან დამზადებულ რეცეპტებს იყენებენ როგორც ნაღველმდენ საშუალებას; ათეროსკლეროზისა და უძილობის დროს, ბრტყელი, ხვიარა და მრგვალი ჭიების წინააღმდეგ.

მათემატიკა

ლალი ქელბაქიანი
ფიზიკა-მათემატიკის მეცნ.აკად..დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
lali_k@inbox.ru

მათემატიკის და ეკონომიკის ურთიერთკავშირის შესახებ

მათემატიკა და ეკონომიკა ორი დამოუკიდებელი მეცნიერებაა, რომელთა კვლევის საგანი და ობიექტი განსხვავებულია. მათემატიკა, როგორც მეცნიერება, ფლობს მძლავრ ანალიტიკურ ინსტრუმენტს სამყაროს და მასში არსებული მოვლენებს შორის კავშირების შესასწავლად. ამიტომ მათემატიკური აპარატი უნივერსალურია მრავალი ამოცანის გადასაჭრელად ცოდნის სხვადასხვა სფეროში, იქნება ეს ეკონომიკა, მედიცინა, ბიოლოგია, ლინგვისტიკა და სხვ.

ეკონომიკურ ლიტერატურაში ხშირად წერენ მათემატიკის და ეკონომიკის ფუნდამენტურ მსგავსებაზე. ეს მსგავსება გამოიხატება როგორც მათემატიკური, ისე ეკონომიკური კვლევების სიზუსტეში.

ეკონომიკაც და მათემატიკაც შეისწავლის აბსტრაქტულ ობიექტებს, - ყველა მათემატიკური ფორმულა აბსტრაქციაა. თავის მხრივ ეკონომიკური მოვლენები და პროცესები ასევე ეკონომიკური აბსტრაქციებია, რომლებსაც სივრცითი მახასიათებლები არ გააჩნიათ. ამიტომაც გახდა ეკონომიკა მათემატიკის გამოყენებისთვის ნოყიერი ნიადაგი. ეკონომიკური სისტემები საკმაოდ რთულია, მათ ახასიათებს ურთიერთდამოკიდებული ელემენტების სიმრავლე, შიდა და გარე კავშირები, დინამიურობა და განისაზღვრელობა.

მათემატიკის გამოყენება ეკონომიკაში საშუალებას იძლევა:

- გამოვყოთ და ფორმალურად აღვწეროთ ეკონომიკურ ობიექტებსა და ცვლადებს შორის ყველაზე არსებითი კავშირები;
- საწყისი მონაცემების და დამოკიდებულებების მკაფიო ფორმულირების შემდეგ დედუქციის გზით შეიძლება გავაკეთოთ დასკვნები შესასწავლი ობიექტების შესახებ;
- მათემატიკური მეთოდების გამოყენებით და ინდუქციური მსჯელობით მივიღოთ ახალი ცოდნა შესასწავლი ობიექტის შესახებ, შევაფასოთ სიდიდეებს შორის დამოკიდებულება და ფორმა;
- მათემატიკა ეკონომიკური კონცეფციების ზუსტად და კომპაქტურად ფორმულირების გზაა.

სხვადასხვა სახის პროცესის და მოვლენის ფორმალიზაციას ეკონომისტები ახდენენ მათემატიკური მოდელებით. ასეთი ფორმალიზაციის საშუალებით შეიძლება შეფასდეს ეკონომიკურ ობიექტებზე (სიდიდეებზე) ზემოქმედების შესაძლო შედეგები, ასევე ეს შეფასება გამოიყენონ პროცესის მართვაში.

მრავალრიცხოვანმა ეკონომიკურმა კვლევამ აჩვენა, რომ სიდიდეები (მაგ. საქონლის ფასი და მასზე მოთხოვნა, ფირმის მოგება და წარმოების მოცულობა, ინფლაცია და უმუშევრობა და ა.შ.) ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. აქ განიხილება ორი ტიპის კავშირი: დეტერმინისტული (ფუნქციონალური) და სტოქასტური. მათემატიკური მოდელის შემუშავებისას ეს დათვალისწინებული უნდა იყოს. ეკონომიკაში ფართოდ გამოიყენება ფუნქციონალური დამოკიდე-ბულება სიდიდეებს(ცვლადებს) შორის. სწორედ ფუნქციების საშუალებით მოდელირდება და შეისწავლება რაოდენობრივი და თვისობრივი კავშირები სხვადასხვა ეკონომიკურ მახასიათებელს შორის. მათემატიკაში უფრო მეტად შემუშავებულია დეტერმინისტული კავშირების აღწერის მეთოდები, თუმცა ეკონომიკაში დომინირებს სტოქასტური კავშირები, განსაკუთრებით მიკრო-დონეზე. მიკროეკონომიკური სისტემები გამოირჩევა განუსაზღვრელობით, ეს კი მოითხოვს ისეთი მათემატიკური აპარატის შექმნას, რომელიც ამ განუსაზღვრელობას გაითვალისწინებს - მათემატიკური სტატისტიკა, თამაშთა თეორია, მასობრივი მომსახურეობის თეორია და ა.შ.

ამრიგად, მათემატიკასა და ეკონომიკას შორის მჭიდრო ურთიერთკავშირი არსებობს. 21-ე საუკუნისთვის დამახასიათებელი განვითარების სწრაფი ტემპი, თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური სისტემების მრავალფეროვანი შიდა და გარე კავშირები კიდევ უფრო თვალნათელს ხდის მათემატიკური აპარატის გამოყენების აუცილებლობას.

ჩვენი ხედვაა ეს მჭიდრო კავშირი დავანახოთ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებს, მომავალ სპეციალისტებს. ამით იყო განპირობებული ცვლილებები სილაბუსში, სადაც კლასიკური უმაღლესი მათემატიკის საკითხების წილი შემცირდა გამოყენებითი მათემატიკის ხარჯზე. მომავალი სპეციალისტისთვის მნიშვნელოვანია არა ის, თუ როგორ მიიღეს ესა თუ ის ფორმულა, არამედ ის, თუ როგორ კავშირებს აღწერს ეს ფორმულა და როგორ შეოძლება გამოიყენოს ის თავის საქმეში. მომავალში კიდევ საჭიროა მუშაობა იმ მიმართულებით, რომ სტუდენტებს შევასწავლოთ გამოყენებითი მათემატიკის სხვა მიმართულებებიც: თამაშთა თეორია, მათემატიკური სტატისტიკა, იმიტაციური მოდელირება.

ნორჩი ათინათელები

თბილისის 167-ე საჯარო სკოლა
მოაზროვნეთა და ცნობისმოყვარეთა კლუბი

მეექვსე კლასის მოსწავლეებმა, მარი ალავერდაშვილმა და მუხრან ჭიღლაძემ , წიგნის საერთაშორისო დღის, 23 აპრილის, აღსანიშნავად, მოამზადეს საავტორო პროგრამა,მათ გადაწყვიტეს კლუბში განეხილათ ამერიკელი მწერლის, რეი ბრედბერის, ნაწარმოები „451° ფარენჰეიტით“

მარი ალავერდაშვილი

რეი ბრედბერი ამერიკელი მწერალია. მისი ნაწარმოები ასახავს მომავლის ამერიკას. იქ მეხანძრეები ცეცხლს კი არ აქრობენ, არამედ აჩენენ. წიგნებს წვავენ...საინტერესოა ერთი რამ , თურმე , მწერალს ძალიან აინტერესებდა რამდენ გრადუსზე იწვოდა ქაღალდი, ბევრ სპეციალისტს ჰკითხა, მაგრამ პასუხს ვერ ღებულობდა, ბოლოს, მეხანძრეებისგან გაიგო, რომ 451 გრადუსი იყო ამისთვის საჭირო. ასე დაიბადა წიგნის სათაური „451° ფარენჰეიტით“...

მუხრან ჭიღლაძე



რეი ბრედბერის წიგნმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ნაწარმოების მიხედვით, ადამიანები წუხდნენ, რომ მეხანძრეები არასწორად იქცეოდნენ, ერთმა მოხუცმა ქალმა თავი წიგნებთან ერთად დაიწვა. ნაწარმოების მთავარი გმირი, მეხანძრე მონტეგი, შეიცვალა, მასზე სასიკეთო ზეგავლენა მოახდინა გოგონა კლარისამ...

გასაუბრება კლუბის ყველაზე პატარა წევრთან

ნუცა ყოლბაია
პირველი კლასის მოსწავლე

შეკითხვა:
რეი ბრედბერის ნაწარმოების მიხედვით წიგნებს წვავენ...რას იტყვი ამაზე?

ნუცა: **წიგნებს უნდა გავუფრთხილდეთ, იმიტომ , რომ ჩვენ მათი მეშვეობით ვსწავლობთ. უნდა გვიყვარდეს ისინი...**

კლუბში მოსმენილი დიალოგი

შეკითხვა:

ლუარსაბ თათაქარიძე რომ გაცოცხლებულიყო და სტრიქონებიდან პირდაპირ აქ მობრძანებულიყო, რას გვეტყოდა?

თამარ კუჭავა
მე-7 კლასის მოსწავლე

ლუარსაბ თათქარიძე ცოცხალი, მარადიული პერსონაჟია. ის არასდროს სტრიქონებიდან არ გადმოხტება, რადგან ზანტია, კლუბის ღონისძიებაზეც თავისი სიზარმაცის გამო ვერ მოვა, მას ჩვენთან შეხვედრაც არ ენდომება, იმიტომ, რომ აქ წიგნებზე ვსაუბრობთ, მას კი სკოლაც ეჯავრება და სწავლაც...

მარიამ შონია
მე-7 კლასის მოსწავლე

ორიოდე სიტყვა ლუარსაბზე

ლიტერატურის გაკვეთილებიდან ყველაზე უკეთ დამამახსოვრდა ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?!“

ლუარსაბ თათქარიძე, მთავარი მოქმედი გმირი, ზარმაცია, სწავლასა და სკოლაზე გულაცრუებული, მისი აზრით, წიგნი ქალის საქმეა. მიაჩნია, რომ რაც ეს ეშმაკური სკოლები შემოიღეს, ქართველი კაცის ხეირი მაშინ წახდა...იგი შენატრის ძველ დროს

თეონა კაკიაშვილი
მე-7 კლასის მოსწავლე

ენის წარმოშობა

შოთა ძიძიგურის „ენის წარმოშობა“ მოგვითხრობს: თურმე, ერთმა ესტონელმა ბრძენმა, წყლით სავსე ქვაბი დადგა ცეცხლზე. წყალი წამოდუღდა და დაიწყო ჩუხჩუხი, სისინი და შიშინი. ბრძენმა მოიხმო მსოფლიოს ადამიანები, ვინც წყლის ჩუხჩუხის დროს მოვიდა, რაკრაკა ბგერებით ალაპარაკდა, სისინის დროს – –სისინა, ხოლო შიშინის დროს მოსულები ––შიშინა ბგერებით. თურმე, გადმოცემის თანახმად, ასე ჩაეყარა საფუძველი ენების წარმოშობას მსოფლიოში.

ნინო ფირცხალაიშვილი
მე-7 კლასის მოსწავლე

ლუარსაბი

ილიას პერსონაჟი, ლუარსაბი, დასამახსოვრებელი მხატვრული სახეა. საოცარია, რატომ ჰგონია მას, რომ სწავლა მხოლოდ ქალის საქმეა, სკოლები კი „ეშმაკურია“

როდესაც მეკითხებიან რომელი ნაწარმოები დამამახსოვრდა ყველაზე მეტად, ვამბობ, რომ „კაცია-ადამიანი?!“, იმიტომ, რომ ლუარსაბის არსებობა გვიჩვენებს, როგორები არ უნდა ვიყოთ...

ზეიკიძე თინათინ
მე-6 კლასის მოსწავლე

ორიოლე სიტყვა სტეფანი მეიერის წიგნზე „ბინდი“

სტეფანი მეიერი ამერიკელი მწერალია. რომანში მოთხრობილია , ბელა სუონისა და ედვარდ კალენის სიყვარულზე. ედვარდი ვამპირია, მაგრამ ბელას მაინც შეუყვარდა. გოგონა თავს საფრთხეში იგდებს, საბოლოოდ, სიკეთე იმარჯვებს.

კესო სადუნიშვილი
მე-6 კლასის მოსწავლე

ჩემი საქართველო

მიყვარს ჩემი საქართველო,
ჩემი მიწა, წყალი,
ყველაფერი ლამაზია,
ზეცა, მთა და ბარი

ლიზი ლეკიშვილი
მე-6 კლასის მოსწავლე

თეთრი თოვლი,
თეთრი გზა,
დაიფარა მთები,
გაიფანტა ნისლი,
სახლებიდან იფრქვევა კვამლი,
ცაზე კი ჩიტი არ დაფრინავს...

სოფო ჯავახიშვილი
12 წლის

ხამოთხე

იქ ყველა სურვილი ხდება,
იქ ყველა ღიმილით გვხვდება,
იქ ყველას სიცილი უყვარს,
იქ არ არსებობს წყენა.
იქ არის ფერები ღია,
იქ ყველა კარია ღია,
იქ ყველა სიახლეს ელის,
იქ მიღწევაა ძნელი.
იქ არ სისინებს გველი,
იქ ყველა დადის გვერდით,
ანგელოზების ხლებით.

ეს ადგილია, სადაც
ყველას მოხვედრა უნდა,
ყველა იქ მისვლას ლამობს,
მაგრამ შეცდომებს ნანობს?!
იქ ხომ გული გვაქვს წმინდა,
მაშინ აქ რაღა გვინდა?
ალბათ მოვხვდებით მალე,
იქ გათენდება ხვალე.
შენც იქ მოხვედრა გინდა?
მაშინ იყავი წმინდა.

ნუცა ჩიტაძე 10 წლის

სამშობლო

ქვეყანაა დახატული,
სიყვარულით მორთული,
ძვირფას ძაფით დაქარგული,
სამშობლოა ქართული.
ეს მხარეა საქართველო,
საქართველოვ, სანატრელო!
ნეტავ მქონდეს იმის ძალა,
რომ დიდებით აგამღერო!

გავუფრთხილდეთ ბუნებას

ხე თუ აღარ იქნება,
ან კრიალა ღელე,
ცხოველებიც გაწყდება,
რა იქნება მერე?
თუ ჰაერი დამძიმდა! –
მოვიკრიბოთ გონება!
ჩვენ ხომ ვეღარ ვიქნებით,
გავუფრთხილდეთ ბუნებას!

ბებოს

ჩემო ტკბილო ბებიკო,
ცისფერთვალავ, კეთილო,
მოგილოცავ სამ მარტს
და გაკოცებ მრავალს.

ნუ გეშინია

გული ფეთქავს, გული თრთის,
აზანზარებს მთებს!
გული ფეთქავს, გული წუხს,
ჭაღარას რევს თმებს.
შემდეგ გული მშვიდდება,
გარეთ ქარი დგება,
მაგრამ ვაჰ, ვერ მივმხვდარვარ,
ეს როგორა ხდება.
გული ფეთქავს...
სული თრთის...

სკოლისკენ

სექტემბერი დაიწყო,
სკოლა გვიხმობს შორიდან,
უკვე კარგად დავისვენეთ,
და სწავლის დრო მოვიდა.
გართობა და თამაში,
დავივიწყოთ, რაიყოთ,
რვეული და კალამი,
წიგნის კითხვაც დავიწყოთ.
ჩვენი მასწავლებლები,
ძლიერ მოგვნატრებიან,
მათი ტკბილი აზრები,
ბევრჯერ შეგვისმენია.
ერთი სიტყვით, სკოლისკენ,
როგორ მიგვიხარია,
განათლების სიყვარული,
ჩვენს გულებში ანთია!

მეგობრობა

წვიმა მოდის, წვიმა მოდის,
შხაპი-შხუპით ციდან,
აგუნია მირბის სახლში,
თაგვი – რთl ციდა.
ამ ბაჭიას შესცივნია,
სახლიც კი არ აქვსო,
და მეგობარს, უერთგულესს,
თავს აფარებს თაგვს.
მეგობრობა, სიყვარული,
საჩუქარი არის დიდი,
მეგობრობენ მარწყვი, ბალი,
ტყემლის ხე და შინდი ჟღალი.

უიმედო სიყვარული

ქარი ქროდა გარეთ,
მის გულში კი თოვდა,
მოწყენილი საღამო,
ნაღვლიანად თრთოდა.
გათეული ღამე,
თვალს ძილ-ბურანს ხვევდა,
სიყვარულით მთვრალი,
ლამაზ ლექსებს წერდა:
– ჩემო ტურფა გოგონა,
ჩემო ლამაზთვალებავმ
გამიღიმე ძალიან გთხოვ,
ხატულავ და თავნებავ.

გვიანი შემოდგომა

მზე დაფარა ღრუბელმა,
წამოვიდა წვიმა,
ირგვლივ ღრუბელია და
ხეს ფოთლები სცვივა...
უკვე ველით ზამთარს,
თოვლს, ყინულს და ავდარს,
და ჩვენს გულებს, დაზაფრულს,
კვლავ ვუსურვებ გაზაფხულს.

გახსენება

გულნაზ ხარაიშვილი
ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტი, ჟურნალ „ათინათის“ მთავარი რედაქტორი

„ათინათის“ გულშემატკივრის გახსენება





ის ხშირად ესწრებოდა ჩვენს ხალხმრავალ ღონისძიებებს, არაერთხელ ამოყოლია აკადემიის კიბეებს მეუღლესთან, ქალბატონ ლამარა გერგედავასთან ერთად. მას კარგად ჰქონდა გათავისებული, რომ აქ, ჩვენთან, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის აკადემიაში, ჟურნალ „ათინათის“ რედაქციაში, ეროვნული საქმე კეთდებოდა, უხაროდა ადამიანების წარმატება.. ქალბატონი ლამარა ხშირად აღნიშნავდა, რომ ბორისისგან მხარდაჭერა და ხელშეწყობა რომ არ ჰქონოდა, მას გაუჭირდებოდა ფილოლოგიის დოქტორის ნოდების მოპოვება, „ათინათის“ საბავშვო განყოფილების რედაქტორობა, წამყვანი პედაგოგის სტატუსის მოპოვება, რადგან ოჯახი დროს, ენერგიას, განწყობას მოითხოვს. აფხაზეთის ომისშემდგომი პერიოდების სირთულეს, მშობლიური კუთხის დატოვების გამო სევდის გამკლავებას, ახალ საზოგადოებაში თავის დამკვიდრებასა და გადარჩენას დიდი ძალისხმევა სჭირდებოდა, ამ ძლიერმა ადამიანმა ყველა დაბრკოლების გადალახვა შეძლო, არავის მოაკლო ყურადღება, პატიოსანი და ერთგული ვაჟკაცის სახელით დატოვა ყველა გულშენატკივარი, ერთი წლის წინ, ივნისში, ზეციურ სამფლობელოს შეუერთდა. ახლობლებმა, უკანასკნელ საჩუქრად, მშობლიური მუჭა მიწა ჩამოუტანეს აფხაზეთიდან, მიტოვებული კარმიდამოები და წინაპართა საფლავები, ბორის ყოლბაიასათვის, მოუშუშებელი ტკივილი იყო.

დღეს ჩვენ მას ვიხსენებთ, როგორც მოსიყვარულე ბაბუასა და თავისი ოჯახისა და ყველა ახლობლის, მეგობრების დამფასებელსა და ერთგულ ადამიანს, ჩვენი რედაქციისა და აკადემიის საოცარ გულშემატკივარს.

ზეინაბ ასისტაშვილი-ქინიძე

ბეჟან ხარაიშვილს

არ დავიწყება

სამშობლოსათვის გემეტებოდა
დაბადებიდან სიცოცხლე შენი
როცა ბუნებაც, სიცოცხლეს კვეთდა
უეცრად ცუდად მოგკიდა ხელი.

სულ ახალგაზრდა დაეცი როცა,
გაშლა დაიწყე, გაზრდა და ფრენა.
დაიწყე, მაგრამ დასრულდა მალე,
რამდენმა გულმა შეიგრძნო ტკენა.

ნუ გქონდეს დარდი თან გაყოლილი.
შენი ფესვები, მუდამ იხარებს,
შენს აზრებს, ფიქრებს, საქმეს დაწყებულს
ექნება ხილვა, გამოიდარებს.

შენი მზის სხივი, ისევე თბილი,
მისწვდება შვილებს, შენებრ გაათბობს,
შვილები, შენი შვილიშვილები,
შენს გულის ყივილს, ყველას გააცნობს.

ახლა იწყება, შენი სიცოცხლე,
აქ დადის შენი ორეულია.
სითბოს გიგზავნის მზის სხივთა კონა,
ნაღდი სიცოცხლე შენეულია.
არ დავიწყება გექნებათ მუდამ.
პატივისცემით ზ. ასიტაშვილი-ქინიძე

ლამზირა შეყილაძე

შვილი ალიკა

სიკვდილის განთიადს

ისე ვარ დაცლილი თავსაც არ ვარგივარ,
ჩემს ასეთ სიცოცხლეს საფლავში ყოფნა სჯობს,
სახლში ვარ პყრობილი გარეთ არ გავდივარ,
მე, ასე მგონია შენს აჩრდილს ვდარაჯობ.

გნატრულობ გიხილო თუნდ „წამისოდენად“,
დღეს შენი ღიმილი ცასავით შორია,
იქნებ და მოხვიდე სულ მოულოდნელად
უშენოდ წამიც კი სიკვდილი მგონია.

ცივია ოთახი საწუთროც ბნელია,
საკანში ვზივარ და უშენოდ ვკანკალებ,
ამგვარი სიცოცხლის ტარება ძნელია,
ამ სასჯელს არ ვიცი როდემდის ვატარებ.

მთრთოლვარე ცრემლები თვალებში მაწვება,
ცივ აღმართს მივყვები ციცაბოკალთიანს,
დაღლილი ნისლები მთებზე რომ დაწვება,
მყის შევეგებები სიკვდილის განთიადს.

მოვალ და საფლავში გიმღერებ ნანინას,
არ გეტყვი, უშენოდ რა ტანჯვაც ვიგემე,
გული არ გაგისკდეს, სიცოცხლევ, თავიდან,
მოვალ და საფლავში ნანინას გიმღერებ.

მეგი ჩხეიძე

მეგი ჩხეიძე ჯუმბერ ლეგვაგის სახელობის მეცნიერებათა მშობელსაზოგადოებრივი საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი იყო. აკადემიამ ეიდაუსახადა 88 წლის იუბილე.

საბნაული ის იყო, რომ ბაცონი მეგი ჯუმბერის ეგვიდით დაკრძალეს.

თაქაზ ხარაიძეული

ძმაო იმედო და ნიჭიერი ნიცეკვიით მშრეკელო, წახვედი და იქ დაეგვიდა ცეკვილი, ადრე ეარდაცვლილი ძმა ალეცი ჭეკან ხარაიძეული, შენი უფროსი ძმა ლეკან ხარაიძეული, ანცარა ძაძიკო იყზა, მეშოჭლეჭი, ნიძეეჭი, ვახცანე ნხიარცლაძე და ზყარაჭ მოსიაძეული. და შენს ხელში ეაზრდილი ჩემი შვილი ეელა ნხიარცლაძე, დანარჩენი ნათესავეჭი, ჭეკარ და ჭეკარი... იქ იმ ნაძყარაოში, შენაძლეჭელია უფრო მეშვიდათაც ამიან მათი სულეჭი, მაგრამ შენ ენენი ნიცოცხლეშიკე ეაფორიაქეჭდა და ეცეკიოდა. ნათელში იყავი, ძაძიკო, თუმცა ნათელში იქნეჭი, რადგან ცხარა ნათლულის ალი ეაცილეჭდა, ანცარი ნახელი ეაცილეჭდა, დაცოკე არარჩეულეჭარი ცოლ-შვილი და შვილიშვილეჭი. შენ ეარდაცვლილიც ცოცხლოჭ.

ჯუმბერ ხარაიშვილი

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია სამძიმარს უცხადებს, ჯუმბერ ხარაიშვილის ოჯახს, (ჯუმბერის) გარდაცვალებას. მეამაყებოდი ძმაო, ჯუმბერ, ერთი კვირის წინ აკადემიაში მოხვედი, გურამ ჭავჭანიძის საღამო გვქონდა დაესწარი. შენი სახე არ მომეწონა, მოგეფერე... შენ ის კიბეები ამოიარე სადაც შენი ნიკა ხახაიშვილი დადიოდა, იქნებ ამანაც იმოქმედა შენს გულზე ჩემო ამაყო ბიძაშვილო, აკადემიის ნამდვილო წევრო, (აკადემიკოსო), მითხარი არ ვარ კარგადო, იმ დღეს მამა ამირან ამირანაშვილიც ნახე, ნახე ჯგუფ ზღვარის ბიჭები სერგი და კახა. იქ იყვნენ ჭიათურელი პოეტები, ლამზირა შეყილაძე და ლეილა გაფრინდაშვილი. გავახარეთ თბილისის ტრუბადური 87 წლის პოეტი. ტრაპეზიც გვქონდა, შენ არ გაჩერდი, მოიმიზეზე სადღაც მეჩქარებაო. მივხდი შენი არ გაჩერების მიზეზს და აღარ ჩაგეძიე ჩუმად ცრემლები გადმოვყარე და მასპინძლის როლი მსახიობივით მოვირგე... ერთი კვირის შემდეგ აღდგომაც დადგა, ოცდაშვიდი აპრილი ჩემი გარდაცვლილი შვილის, გელას, დაბადების დღე იყო. ჩემი სახლის აივანზე ახალგაზრდები შეიკრიბენ, იგონებდნენ ჩემს შვილს და შვიდი წლის უნახავი გელა თითქოსდა მეუბნებოდა დედი მე შენთან ვარო, გათენებისას გარდაცვლილხარ ძმაო ჯუმბერ, მჯერა ჩემი შვილი დაბადების დღეზე მიგიწვევდა...

აი, რას საუბრობს ნიკო ბაღაშვილი ჯუმბერ ხარაიშვილზე:

თანდათან ვუფიქრდები რომ ცხოვრება მართლა სიზმარია – მძიმე დანაკლისი განიცადა ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანმა, საერთაშორისო აკადემიამ, წაავიდა ვალმოხდილი კაცი, ბატონი ჯუმბერ ხარაიშვილი, რომელიც მართლაც და აკადემიაში ერთ-ერთი ლიდერი იყო და რომელიც გულით გესაუბრებოდა, ისეთი სალამი და მოკითხვა იცოდა, თავის სულს და სიცოცხლესაც რომ განაცვალებდა – გაგიღიმებდა ,მის საუბრიდან რაღავ ღვთაებრივი შუქი და ადამიანური მზერა რომ მიგყვებოდა და შენც თავისუფლად დადიოდი – ასეთ ადამიანები ცოტაა ამ დუნიაზე, ვისავ სხვისი ჭირი თუ სიხარული ახარებს, თვითონ ტრაგედიების მოწმეს – ჯერ შვილი გარდაეცვალა, მერე კი შვილიშვილი ავტოკატასტროფაში, მაინც არ გახვევდა თავის ტკივილს და სულ გკითხულობდა – რით ცხოვრობდი,რით სუნთქავდი – ხო, უყვარდა და ეცოდებოდა ჩემი თავიც – და სხვასაც ეხმარებოდა და თავის ფიქრთა არეალში და გულში იხუტებდა – სწორედ რომ მისმა სუფთა გულმა ვეღარ გაუძლო და აღდგომის ღამეს გარდაიცვალა – და ჩვენ სააქაო ადამიანებს თითქოსდა გაფრთხილება, მოფერება და ერთურთის პატივისცემა დაგვიტოვა, ბატონო ჯუმბერ, მართლა დამწყდა გული თქვენი წასვლით, არადა ვიცი ბევრ რამეს გააკეთებდით ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ, ხოლო ის ნაამაგარი თქვენს მშობლიურ ჭიათურას გაყვება ერთ ლამაზი სულის და კაცის ცხოვრება იმ რეალურ ლეგენდად, სადაც თქვენი ღვაწლი ფასდაუდებელია იქნებ ყურად იღონონ, ამ დამსახურებისთვის, თქვენი რაიონში, თქვენი სახელობის სკვერი ან ქუჩას დაერქვას თქვენი სახელი და გვარი...

ლილი ქუჭითიძე

ცის სიღრმეზე

ლილი დაო,უკვე, ცაში სახლობ,
გულხალასავ, გულთბილო და ტკბილო,
არ მიწყინო სიზმრად თუ ვერ გნახო,
მინდა ცრემლი შენც არ დაგანახო.
მოიოხე გული... ქმარი ნახე?
ნახე ძმები... დემური და ლევი,
თამაზიმ კი აგარიდა სახე,
ბედნატანჯმა...სიყვარულის მზერით...
ერთადა ხართ?... ცათა სახშლი დაო?
მამიდები გადაკოცნე ტკბილად,
ჩემი გელა ალბათ მადაც დაობს,
დედის გული ბედმა რომ დაკბინა...
შენ კი მარი, ბედით ჩემნაირო,
არ გაუწყრე, ლილის თუ გაცინებს...
ან თუ ხუმრობს, ანდა თუ შაირობს,
დარდებს უნდა დაო გაგაცილოს!

შენი აპრილი

ოცდა შვიდი აპრილი შენი დაბადების დღეა შვილო

დღე დაბადებისა მოდის,
შენი აპრილი დედა...
ვერ ვუძლებ ამდენ ლოდინს,
დღეები მიმოკლდება,
ტკივილით როცა გშობდი,
სიხარული იყო შვილო...
ცრემლები... როს დამშორდი,
მითხარი ვის ვუჩივლო.
გაურბი დარდსა და წუხილს,
სხვა გზა არც დამიტოვე...
ყურს ვუგდებ გულის ქუხილს
დარდები დამათოვე...
მწარედ ამეწვა ყელი,
თითქოსდა ვიღაცა მახრჩობს,
მერე ღვთის ძალა მშველის,
და ჩემში უჩინმაჩობს...
ლანდი გაქრება წამში,
სიმშვიდე მეუფლება –
გავრბივარ წვიმას და ქარში
სადაც ხმა მეგულება,
მესიზმრე ვის აქვს ბრალი,
ექიმს თუ ბედისწერას...
და ვაი მისი ბრალი,
და მისი ჯვარისწერა,
როგორ შეგელიე შვილო,
ანდა დარდს როგორ ვუძლებ,
ხან ვფიქრობ ვიშიმშილო,
რომ შენს გზას გამოუდგე.
მაგრამ სხვაცა მაქვს ტვირთი,
რადგან ვარ დარდის შვილი,
შენ ისე გამიფრინდი
როგორც ის-მამიშვილნი,
ბეჟან, ლევნი, იუზა,
ჩემი ძმებია დედი,
გულს ბედი რასაც უზამს,
მოკლავს, აცოცხლებს მკდრეთით...
ჩემი ძამიკო თამაზი,
დაძმების დასაფიცი,
დინჯი- ძალიან ლამაზი,
შენ,მისი ფასი იცი.
აღდომას მოგახარებს,
გეტყვის ამას და იმას,
ჩუმად რაც დავაბარე,
ისევ უკანვე მიმაქვს,
რომ არ იდარდო დედა,
გული არ გაგიხეთქო,
ჩემთან ვიტოვებ სევდას,
გული სიტყითაც კვდება!
ბეჟანი აღსდგა ლექსით,
მრავალი წლების შემდეგ,
მას შემდეგ გული კვნესის,
და გული ითვლის შედეგს...
მტკივა და როგორ მტკივა,
მღრნის ძვლებში მანტვრევს ბედი,
ქარიც საზარლად ჰკივა...
ცაში ღულუნობს მტრედი,
მტრედი შენა ხარ შვილო,
არწივნი მამიშვლნი,
ამაყო, თანაც თბილო,
მჯერა მად მამა გივლის.
ოჯახი შევქმენ შრომით
უღალატო და წმინდა,
სიტყვა არ მითქვამს წყრომით
სიკეთე მუდამ მინდა.
ეს უნდა მეთქვა თქვენთვის,
ჯავრი არ გქონდეთ აქეთ,
იმედს ღვთს რწმენა ერთვის
ვამკლევ და ვამკლევ ნამქერს.
ვიცი შენ მაძლევ ძალას,
შენ იცი დედის ფასი,
ვიქეცი ამორძალად,
გულს მოვაცილე ხავსი.
რას მომწყდი თვალზე ცრემლო,

არა სთქვან რომ ვარ სუსტი,
გულო,რკინავ და გრდემლო,
გელას ჩვენ სახლში ვუცდით.
მერე ცას როცა ავალთ,
შეგვეგებება გელა,
აქ ვიქცეთ სხვისთვის წამლად,
სხვბესაც ხომ უნდათ შველა...
ხან მზის ფერია დღენი,
კვლავ იმედების მზერით,
ისევ სხვებისთბის მღერი,
და ჩემს ტკივილევს ვმალავ...
ასე ყოფილა ოდით,
დედა შვილს მამულს უზრდის,
სისხლი ძუძუდან მოდის,
ცრემლი თვალებში უდუღს.
მინდა გადვიქცე ყველას,
დედა და მამიშვილი –
ბოლოს მანდ მოვალ გელა,
მანდ მოვალ ფრთებგაშლილი!

გული ძალიან მტკივა,
მტკივა და თანაც როგორ,
ქართან ხლოს არმივალ
წლები არ გამიროზგოს!
ჩემი სიკეთის კარავს,
ჩემს მამულს დაუტოვებ,
ქარს კი სხვა საქმე არაქვს,
მძულს, გულში მირტყამს ტორებს!
ვლოცავ,.. ქარია თუმცა,
ჩემით არ ევნოს რამე...
ცრემლით იმ წარსულს ვფურცლავ,
გარდაცვალების წამებს!
დავეძებ ვეფხვის დედებს,
ჩემებრ მწუხარე ქალებს,
ვაპურებ პურით მტრედებს,
და ასე ვიკრეფ ძალებს!
....სისხლით შევღებე კვერცხი,
ბედით რა აღარ ხდება,
სანთლით დავანთე ცეცხლი,
გილოცავ, ამ დღეს დე.და...

* * *

წუხელი სიზმარში გნახე,
მკოცნიდი ჩამიხუტე გულში...
თითქოსდა ეს იყო გუშინ,
ვიყავით ჩვენს მამულში...
თოვდა, ირეოდა ხალხი,
სევდა შეფრქვეოდა ხეებს,
მეკი განვაგძობდი ძახილს,
ცრემლით ვიმოკლებდი დღეებს...
სიზმარში რად მინდა დედი,
კოცნა და ალერსი შენი,
უნდა აღგადგინო მკვდრეთით,
ლექსით და, განაჩენით'!
ზეცას ჩამოვკიდებ ეჟვნად,
ცისარტყელების სარტყელს...
ჩემს ხმას მივაწვდენ ბეჟანს,
დარდებით რომ არ გავტყდე.
თამაზ,ბეჟან და ლევი,
იქნებდა, დიდ უფალს სთხოვოთ,
შილი აქ მინდა ჩემი
სულ ჩემთან დამიტოვოს!

ჩემო შვილო

თუკი სული ცაში მიდის სდიადოდ
და უფალი საზვრის ხვრელში გამატარებს,
მაშ რად ვსტირი... ანდა რაღად ვდარდიანობ,
ფაქიზ გულში დიდ ტკივილებს რად ვატარებ.
წინაპრები სიხარულით თუ შემხდება,
თუ, ვისუნთქებ უფრო მშვიდად, ნეტარებით,
ან, სიცოცხლე ცაში ისევ განახლდება,
მაშინ შვილო, გნახამ, მაგრამ მ ნ ა ტ რ ე ბ ი !

* * *

დღეს მზის სხივი ჩამოვწყვიტე ციდან,
მოვეფერე... როგორც შვილის სხეულს,
მიპასუხა: დედა შენთან მინდა,
მაპატიე, გზიდან გადახვეულს...
დავაკვირდი და მსგავსება ვნახე,
წააგავდა,სითბოთი და ფერით...
სხივი იყო ჩემი შილის სახე...
რვა წელია არის ზეცის წევრი.

* * *

ფიქრებს გაურბივარ ახლაც,
და შორს, ჩამოჯექი ჩრდილში...
მწარე ტკივილები მახლდა,
ჰოდა ვერ ვისვენებ ძილშიც.
ხან რა ტკბილი არის ღამე,
ხან კი, მოქაფქაფე ცრემლი..
ჰოდა, სიმწუხარის წამებს,.
ისევ იმედებით ვშელი,
უფალს შევავედრებ ყველას,
შვილებს, ჩემსასა და სხვისებს,
მშველის უხილავი ძალა,
მნათობს ჩამოვკიდებ მძივებს.
ვეტყვი:ბროლებია ზოგი,
დედებს შემოაწყდათ მკერდზე..
დასდევთ ქარვისფერი ზოლი,
არსად მოისროლო გვერდზე.
ცივათ? შენ გაუთბე გული,
შივათ? დააპურე ყველა,
არვინ გარდაცვლილა შუღლით,
შენგან დაჭირდებათ შველა,
ვიცი ეგ ტკივილი რაა,
ვიცი, სამწუხაროდ ვიცი.
ცრემლის, ოკეანის ზღვაა....
დარდებს ვეღარაფრით ვითლი.
დათო,ალიკა და გელა,
ზეცას მივჯდომიან სუფრას,
ჩემი შვილებია ყველა,
ყველას გულები აქვს სუფთა.

* * *

წარსულის წლებს გადავფურცლავ,
ვიჭყიტები სკოლის მერხთან...
გულს მოუხმობ დარდით უცადს,
საიდმლოს ვიტყი ვერხვთან.
ახლა როგორ მტკივა ვერხო,
მტკივა, ცრემლის ზღვაში ვცურავ,
ის მერცხლებიც აღარ მერხობს,
ალბათ ბედი გამეხუმრა,.
მასწავლებელს მინდა ვუთხრა,
სად წავიდა ჩემი ბიჭი,
განა გულს მას მოუშუშხავ,
საუბარი მასთან მიჭირს!
ვერხვი მწარედ აწრალდა,
ცისკენ თვალი გააპარა,
მერე ზურგით შეტრიალდა,
დავრჩი ფიქრის ანაბარად...
ფიქრმაც ზურგი შემაქცია,
გამებუტა საზიზღარი.
ავიეკლე, შემაცია,
გადავკვეთე ცის საზღვარი..
იქ ვიარე აბდაუბდა,
სახლში ვნახე კარი ღრიჭოდ...
თვალში შუქი დამიბრუნდა,
ხომ გიპოვნე ჩემო ბიჭო...
ფული არ მაქვს,ვაძლევ ხურდებს,
ვკოცცნე, ვკოცნი, უსასრულოდ,
მოუბრუნდი ისევ ხუნდებს,
რა მწარე ხარ დასასრულო.

გულნახ ხარაიშვილი

მილოცვა

მზიური დათიაშვილი-აფციაური

გულნაზის დაბადების დღე

ადამიანების ცხოვრებაში არის ისეთი თარიღები, რომლის დაწყება, არა თუ არ შეიძლება, არამედ ისინი განსაზღვრავენ მის არსებობას ცის და დედამიწის რეალურ სამყაროში.

არის საზოგადოებისათვის აუცილებად აღსანიშნავი „მიძღვნილი“ თარიღები, რომლისთვისაც წინასწარ ემზადებიან, ბჭობენ, გეგმავენ და ა.შ. მაგრამ... არის მოულოდნელობებიც.

2019 წლის 5 მაისს გამაფრთხილეს, რომ რიგგარეშე შევკრებილიყავით, მირზა გელოვანის სახელობის ბიბლიოთეკაში. დავეთანხმე მიწვევას და მისვლისას ვიკითხე, რა ხდება-მეთქი. გაღიმებულებმა იჭვნარევი თვალები შემომანათეს, გულნაზის დაბადების დღეა და გვინდა სიურპრიზი მოვუწყოთ. სუ, გაჩუმდი არ გაიგოსო. მეც გავხალისდი და მათთან ერთად სადღესასწაულო მარათონში ჩავერთე.

– ზღაპარი ქალია, თქვა ერთმა და მეგობრებს გადმოგვხედა, ლექსი მივუძღვენი და ჩუმი ხმით დაიწყო, უცებ დარბაზში ვარდების თაიგულით ხელში ჯგუფი გამოჩნდა.

– გულნაზის თუ უთხარით, რომ მოსულიყო, უიმისოდ?! – ვერ ვხედავ, თქვა თვალებანთებულმა სიყვარულის ტრუბადორმა, და გულნაზიც გამოჩნდა კარში...

სიყვარულით და სიხარულით მოვეხვიეთ ჩვენს სათაყვანებელ, მრავალჭირნახულ, ბრძოლა-გადატანილ, თვალებმოღლილ, ცხოვრებისაგან შეცვლილ, მაგრამ კვლავ ახალგაზრდულად შემართულ, მეგობრების სიყვარულისგან გაამაყებულ ისევ ბრძოლაჩაუმცხრალ, სათნო, სპეტაკ და ქალური კლდემამოსილებით ღიმილადქცეულ ქალბატონს.

– რა ხდება აღარ მეტყვით?!

– დაბადების დღეს გილოცავთ, დედა! ჩვენი ოჯახის შემქმნელო. საქართველოს სასიქადულო შვილის – ჯუმბერ ლეჟავასთან ერთად საერთაშორისო მრავალპროფილიანი სამეცნიერო-შემოქმედებითი აკადემიის დამაარსებელო, საუკუნო სულის კეთილმოსურნე ადამიანო, ღმერთმა მოგანიჭოთ ხანგრძლივი სიცოცხლე და პოეზიის უშრეტი წყარო!..

აღფრთოვანებულა იქვე ექსპრომტად ლექსი ვუძღვენი:

გულნაზის

შენ სიყვარულის ხე გადმორგე ჩემს ედემ-ბაღში,
და პოეზიის გამოაღე დიდი სარკმელი,
შემომციცინებ, არ დამაფრთხო უძლური ბავშვი,
მძიმე ცოდვისგან განსაწმენდად მართობ საკმევლით...
სიცოცხლის შუქის ჩამქრალ სხივის მნათედ იქეცი,
დიდი ცხოვრების გზა-სავალის მომეცი საშვი,
შენ, ჩემო დაო, დედაო, და რამ სიამტკბილო,
ამაღორძინე, და ცხოვრების კოფოზე დამსვი!..

5.05.2019.

ხათო ელიაშვილი

ვუძღვნი გულნაზი ხარაიშვილს!

ადამიანი როგორც სიცყვა, როგორც იდეა

ცოდნის ფლობა წარმოადგენს აზრებს, თანაც ძლიერს
გულის გახსნა სიყვარულით, გამარჯვებას იძენს
საწყისია სულის ძალა, დიდებული გრძნობებით
ხელოვნება ჭვრეტაშია, თვალთახედვის ქონებით.
ფრთაშესხმული ოცნება და ღმერთი უსასრულობის
დუმილი ხომ რიჟრაჟია, ძალა უკვდავმყოფელი
სულიერი საგანძური ანთებულა ნინოს ჯვრით
დედაბძი ყველასათვის, უხილავი იმედი.
ნაკვალევი ღრმა დარდების, ბრძოლის ველი შედეგი
თავგანწირვა გმირის გულით, სიყვარულის ქმედებით
სიტყვის ძალა უმაღლესი ეკლიანი ბილიკი
სულის ფესვის ღირსება და ღმერთთან შესავედრები.
ყოვლის შენძლე, ყოვლის მცოდნე, გულით ნაზი ერთობით
იბნევა და იფანტება სიბრძნედ, ნებად, ქმედებით
ერთი წამით არ ჩერდება შრომობს უსასრულობად
ქალი ღმერთის ნაპერწკალი, ქალი ღმერთის შენება.
ღირსებაა ყველაფერი, თვისობრივი მიზანი
სურვილები შემომქმედის, საიდუმლო ნიშანი
ეს ცხოვრება ტანჯვით მოდის, სიბრძნე ცნობიერებით
სამყაროა აზრქმნილება, შვიდი ფერის სხივები.
თვალთახედვის ხელოვნება, ჭვრეტა ჭეშმარიტების
სულიერი საგანძური, დაბადების შედეგი
თქვენ ცხოვრობთ და თანაც ფიქრობთ, ცოდნა ცოცხალს სჭირდება
მიღებული ზიარებით უკვდავება ბრწყინდება.

ივნისი 2019წ.

გულნაზ ხარაიშვილი

ჯგუფ ზღვარს

ვილოცავთ ჯოყერმა, იყმილებ: ნერმეი, ყახა, ზყხმა, ვანო, ზღვამილებო და ჯყმმერ ლეგვან სახელობის მშავალსროფილიანი საერთაშორისო აკადემიის საიმედო ჯერიერმა, იყავით ყძლიერსერეცა და დამთმობერეცა, ჯაცივს სცემთ ყფრობერს და ეს ხასიათი სიცოცხლის ბოლომდე ვაიყოლიეთ ადამიანობის საეზლად... ჯოზიის სიესლის წვეთები ვამოიყენეთ სყლის საძვენისად, წერეთ და წერეთ... ბევრი ლეკსის ზღვის სანაპიროზე დაჯყყმალაობს ამ დაცინოთ მცს ვერ ახერხებს და თავის ცყივილს ფყრცელს ანდობს. თქენ კი ყძლეველნო, ვაყევით ლეკსის ოკეანეს და ასი წლის ძემდეგ ჯოზიის ცეცხლის ყსასრყლობაში ვადაინაცვლეთ!

* * *

ნერმეი, ყახა, ოკეანეს ზღვაო,
ბლის კენწეროს თქვენ ამ მისწვდეთ ძვილო,
ესვებისაა, ვწყს დაეასწროთ ესვამო....
ჩემთან ერთად მინდა იძიმძილოთ!
რაც ლყკმა ვვაკს ისევ მაძლამს მივცეთ,
ცოდვა ამის, დაძრწის როოეც მეელი,
ჩვენ სიმართლის, დიდ ბილიკებს მივდებთ,
ჩვენ ხომ ყფლის ვასამჯელოს ველით!

მადლობის ბარათები

გულნაზ ხარაიშვილი



* * *

ხონი, ეს საოცარი ჰარმონიული სულის საზოგადოებაა, მუნიციპალიტეტიდან დაწყებული, კულტურის, განათლების, პედაგოგებისა და მოსწავლეებით დამთავრებული!

გუშინ, თბილისში, მწერალთა სახლში, 8 მაისს, პირველ საათზე, ჩატარდა პოეზიის საღამო. ხემძღვანელი (მსახიობი, ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფლიანი საერთაშორისო აკადემიის ვიცე პრეზიდენტი ქალბატონი გულიადა სანოძე), რომელმაც მაყურებელი აღაფრთოვანა, დაატყვევა,ააცრემლა და ბოლოს ბრძოლის ცეცხლი დაანთო წინ უკეთესი მომავლისაკენ!

გმადლობთ ხონელებო, გმადლობთ ქალბატონო გულადა,რომ ჩემი სულის სარკეში ჩამახედე...

...და ბოლოს გმადლობთ ბატონო მურმან გენელიძევ, ამ საოცრად ნიჭიერი ქალბატონის გაცნობისათვის...

* * *

მადლობის ბარათი ქალბატონ ნაირა უგულავას

ვისურვებდი თქენნაირი ქალბატონების სიმრავლეს აკადემიაში,თქვენ ექიმი ბრძანდებით და კურნავთ ხალხს ფსიქოლოგიურად და ეკონომიურად... ბუმერანგივით დაგიბრუნდეთ უკან ჩემო საყვარელო, ქალბატონო....

* * *

ქალბატონო ნაირა, მე ლექსით ვესაბრები უფალს„ღმერთო, მადლის თესვა დამამადლე, ცათა ფანჯარა მსურს გამოვაღოთქო“ შენ, ამ მადლისათვის, ამ ქართველი ქალობისათვის,უფალმა გულში ჩაგიხუტოს და ასი წელი არა ეტკინოს შენს მონაგარს! უგულავეების მარგალიტი ხარ, ჩემო ექიმო ქალბატონო! უბადლო ღირსებებით სავსევ...

გულის გამოძახილი

აღარ მაქვს დარდი, არ ავიცრემლებ თვალებს ხვალიდან,
რადგანაც ვიცი კვალი უკვე მოსჩანს მკაფიოდ,
ჩემი ლექსები ახმიანდა ისეთ ქალიდან,
რომელშიც არის ეროვნული სულის ძაფიო...
მაშ გამარჯოს საქართველოს, იმ სისხლის წვეთებს,
რომლითაც უკვე გაიჟღინთა ქართული მიწა,
ო, ქარიშხალო, პოეტი ვარ ნუ დამაფეთებ,
მე ბედისწერა დარდის ნაწნავს უშენოდ მიწნავს!
მაშ გაუმარჯაროს, საქართველოს ღვთის დიდ მსახიობს
გვარით სანოძეს, გულიადას, დედას ერისას,
დღესვე მინდა რომ ის დარდები ხელით დავხიო,
ლექსებს მზის შუქი, ქალბატონო, შენით ეღირსა!
მაშ გაუმარჯოს, ხონელებს და ხონის არწივებს,
ვინაც ყინვები ჩამილეწა გულის ტკივილის,
ოდნავ ხომ მაინც ამომიშრობთ ბედით ნაწვიმებს,
ჟინით ამანთეთ კვლავ მომინდა სისხლის ყივილი!
მაშ გაუმარჯოს, ხონის მართვეს, მაია წყნეთელს,
რომ დასრიალებს,ეროვნული სულის მარხილით,
მჯერა მომირჩენს,და უწამლებს გულს დანაფლეთებს,
ჩემი ლექსები არის გულის გამოძახილი!

ლექსით ნათქვამი მადლობა
(გულიდა სანოძეს)

დედამიწის ყველა კუთხეს ალბათ,
შემოუვლი სიყვარულით მთვრალი,
წლობით ნათოშ გაყინულ გულს დათბა...
გავიცანი ეროვნული ქალი!
გულიადა, გამილეწე გულში,
ტკივილების უსასრულო კალო...
დამავიწყე რაც მწყენია გუშინ,
დამავიწყე, ხელოვანო, ქალო!
კვლავ გამოზრდი, გიორგის და მათეს,
თამარის და გმირ – მაია წყნეთელს,
წინაპრების ვალი ბევრი გვმართებს,
გულს მომირჩენ, მტრობით დანაფლეთებს!!!

ნუცა ჩიტაძე 10 წლის

* * *

შენ იმდენ სიკეთეს მოუტან ქვეყანას,
ლექსით და ფუნჯით ნუცა....
გლოცავს უფალი, გლოცავს ზეყანა,
გრძნობით შენს წიგნებს ვფურცლავ...
კვლავაც გამახარე შენი ნიჭით და..
იასამნების ფერით.....
მარცხენა ხელით არც ისე გიჭირს და...
გხედავ და გულში მღერი!

თეა კანდელაკი ქართველი ქალის სახეა ამერიკის შეერთებულ შტატებში

გმადლობთ, თეა, შვილო, ამ ლამაზი ვარდებისათვის. შენ ხარ ჯუმბერ ლეჟავას აკადემიის სულის ნაწილი, შენმა მორთმეულმა ყვავილების თაიგულმა (შენმა დეიდა ნანამ რომ გადმომცა) დარდებით დამძიმებულ დაჭრილ გულში სიცოცხლის წვეთი ჩამიწვეთა და ვარდის კოკრებმა თითქოსდა ჩამჩურჩულეს, ეს იმ ქალბატონისგან, რომელიც ქართველი ქალის სახეა ამერიკაში, პოეტია და ოთხ შვილს ზრდის... იცი კიდევ რა მითხრეს? თეა მალე გნახავსო... ხომ არ მატყუებენ ვარდის კოკრები?..

სასამყო დედა

როგორ გამახარე პატარათი,
თია, საყვარელო, მარიათი...
ლექსით მოგიწანი კაკანათი,
დღეს მზის ფერი მაქვს ხასიათი.
ოთხი შვილის დედავ... საამაყოვ,
შორ-შორს გაფრენილო ჩიტუნია...
ამ ჩემს გულში უნდა ჩამოგამყნო,
რადგან ჩიტუნების ჟღურტულია...
„მართვე“, გამოზარდე თიკუნია,
აი-იათი და ერთგულებით...
ჩემი ბედისწერა სლუკუნია,
საზღვრებს იქითკენ რომ მეგულებით.

ჩემო ფერიავ

ყველა რომ გიყვარს ეს ცხადია,
თიკუნა ჩემო,
წარსული, აწყმო და ბუნების
უხმო ჩურჩული...
სისხამ დილის მზევ, ჩემი გულის
მუდმივო წევრო,
შენ გიყვარს ვიცი მთვარე მზე და
ღამის უკუნიც...
ჩემო ფერიავ, მოშრიალე ტყეთა ტოტივით...
ო, რა სუფთაა,
შენი რხევით ნასუნთქი სიო,
ჩქარე მნახავ თუ დამჭირდება,
ისევ ლოდინი,
გთხოვ, მონატრების ცრცხლის ალში
არ გამახვიო!

სარჩევი

ლამზირა შეყილაძე – უწმინდესი და უნეტარესი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II 2
გულნაზ ხარაიშვილი – მამა გაბრიელი.....3
ხატმწერები: გიორგი და ხატია ლარიაშვილები
წმინდა პეტრე და პავლე 4
წმინდა იოანე ნათლისმცემელი 5
მეფე ვახტანგ გორგასალი.....6
გულნაზ ხარაიშვილი – მამა მერაბი 7
ხატმწერი: თეა კანდელაკი 8
გულნაზ ხარაიშვილი – სიკეთის წყარო (მამა ამირან ამირანაშვილს).....10
გულნაზ ხარაიშვილი – „ათინათო“ 11

პოეზია

ჯგუფი ზღვარი

სერგი ლომაძე – ზღვაზე; ***პოეტი არის მისივ ლეგენდაც; სხვა პოეზია; ერთ ქალს; ადამიანი-პოეზია 12
კახა ბაციკაძე – რეალობის უარმყოფელი; პოეტური გრძნობა; ყველაზე მეტი (ეძღვნება სერგის) 14
გიორგი ზუბზაია – ***ტკივილს მარადის ფიქრი უძღვოდა; მარტოობის განღმერთება; ლექსები და ადამიანები; ლექსის მონოლოგი; 14
ედუარდ უგულავა – *** როგორც კი გული სევდით ევსება; ზარი; მზე; ***სარკმელთან ქარი იცინის ცივად; სოფელი; ტყვე ჯარისკაცი.....16
ნათია დაშნიანი – * * *სხეულში უმიზნოდ ვბორიალობ; მაგნოლია; წერილი ძმას; ცას ვგავართ; * * *სიცილის სიღმეში; * * *ბუნება არ იცვლის დადგენილ კანონებს; * * *გარდაიცვლება შემოდგომა ნოემბრის ბოლოს; * * * ვხარობ ატმების აელვარებით; * * * კოწახურებს შესევიან ჩიტები; 18
გურა-ანგურა (გურამ გედევანიშვილი) 20
მჭირვალ პეპელათ ფრთათ მინებიდან 20; ცრემლი მძიმეა 21;ბალახმა გამთელა 21;სტვენს გაშმაგებით სიმი ჭიანურის 21; უკვე დადუღდა ცოლიკაური 21;მე, ათას ქალში ვეძებ ღვთაებას 21; გულს უყვაოდა წითლად ძახველი 22;ძველი მოტივებიდან 22; მხიბლავდა ქარის სეირნობა ღამის ქალაქში 22; ყაზახთ ლურჯი თვალები მხიბლავს 22; ველნი გარბიან 23; სადაც სამყაროს სხვა სივრცეა გადასახედი 23; დღეო, ფერწასულო! 23; ო, ძმაო, ჩემო 23; ატლანტები ვიდოდნენ ციკლოპური ლოდებით 31; მზე, თუ მზე არის 31; დგას საუკუნე გარდამავალი 31; მარმარილოს ქანდაკნი იდგნენ 31; ნადიმს გადუფრენს ღვინის სასმისი 32; მეც მზე ვარ 32; ბილიკი ხევში ჩაკიდული იმალებოდა 32; მხოლოდ ქარები თარეშობენ 32; ძეწნა ლურჯზე-ლურჯი ფონით 32; ო, ჰანგი ქმნიდა საოცრებას 33; ცივ ნოემბერს წითლდებოდა ძახველი 33; ასე ვსაუბრობდი სამყაროსთან 34; და არავის არა სურდა მიტოვება წამის 34; მოგონება ზაფხულის მზისა 34; სალამურების ამოოხვრა ჩვენს არსობაზე 34; მისტერიული მხიბლავდა ხანა 35; გაზაფხულის ხმაძლიერი შეხება 35; ბინდის ნელი დაისური სიმთჟღერა 35; არ მოგვიკვდეო..! 36; ნაბდის ნაჭერზე ამოქარგეს ორი ბოკვერი 36; წვიმა რომ გულზე მეცემა 36; ერთსა გთხოვ, ცრემლი მაპკურე...! 37
ნაირა ნიჟარაძე – ქუთაისი რაინდების ქვეყანაა; პოეტ [ლადო ასათიანს]; ძმები ბალანჩივაძეები; დები იშხნელები; უქიმერიონ; ისევ;.....38
შორენა მამალაშვილი – გედის სიმღერა; გაზაფხული; მთვარის პილიგრიმები; ჩემიდან ცამდე, ანუ შენამდე; *** მითხარი ღმერთო; ***ხომ დამთავრდება ეს სეზონი დელგმა წვიმების 40
ზეინაბ ასისტიშვილი- ქინიძე – მშობლის ვალს; წითელ ვარდებს; ბედნიერი ბავშვობა; თეთრი იები; ***ცხოვრება წამით ნაჩუქარია; სოფელო.....42
ლამარა ასისტიშვილი-ჯამასპიშვილი – მამაკაცებო! ქართველ შვილებს; ბალი; ***ავტობუსის მოლოდინში, დაეღალათ გულები; არა რა მინდა.. 44
გერონტი მესხი –***ღმერთს მე უნდა ვუმადლოდე; ***ხან მწერალი ვარ და ხან-პოეტი; ანსამბლ “ლიახვს”; ***ქვეყანა გემს მოჰგავს გზასაცდენილს; ***ჩიტუნიავ, აფრენილო ფრონის პირას; ***შუბლზე სიყვარული გახატია; ***მე შენი თავი ზეცამ მაჩუქა; ბებოს; ***რიკულებიან აივანთან იმტვრევა ქარი; ***ქარს დავდევ, გავცდი ქარაფებს; ბათუმიდან თბილისამდე.....46
მზია ელიაძე – ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილს; ჟამთა ბორგვა; ოქრონარევ აბრეშუმის ძაფში; სულთა გარიჟრაჟზე; ეული ვერხვი; გვიანელი შემოდგომის ფოთოლივით; განა მამულს (ბატონ ანზორ ჯაფარიძეს).....48
თეა კანდელაკი – ქუჩა-ქუჩა, ტაძარ-ტაძარ; ანანკე ANAΓკℓ (ბედისწერა); ზოგჯერ ყველაფერი გვაქვს; გადატანის გარადცვალება;.....50
ნაირა უგულავა – მზე ამოხდა; გრიგალი შეცვლის ჩვეულ განედებს; ჩირაღდნით ხელში; ქარს; აჩის; მზეჭაბუკი; ასწლოვანი ცაცხვის ხე; დუმილი; კაცის ღირსებები რადგან გაიწირა 52
ლიანა ჯანეზაშვილი-თათანაშვილი – ***„ცისარტყელა შვიდფერია; ეფრემ II; ბავშვობის ექო; თეთრი იასამანი; ბოლო მოსახვევი; აბზინდა.....54

ლალი ასაბაშვილი – ბედის ირონია; დავით გარეჯი საქართველოა; სალაღობო..; მერამდენე გაზაფხული...; ემიგრანტის ფიქრები...; გაზაფხულით ანცობა...; ჩემი ბაჭია 56
ხათუნა ჩიტაძე – სიზმარი; მზიანი წვიმა (მზის ქუდი); ყაყაჩო; წინასწარმეტყველება; იარებს; არჩევანი; მასწავლებელი 58
ირმა ცხინვალელი – ***და ყოველ ღამე; ოთხი გრაცია; ისევ იხსნება პალიმპსესტი; "MEMENTO MORI"-ებიდან (რემინისცენციები); ლურჯი მისტერიები (ეძღვნება ჩემს ერთგულ მეგობარს ნ. ლ.-ს) 60
ეკატერინე ციცქიშვილი – მოხისი; გაუფასურდა; წრფელი ნაფიქრი; უთავბოლოდ; მოლოდინი; ვარდის სიამე; უფალს შევთხოვ; დაე; ძნელად; ვერ ვაჭიატე; არ მიმართლებს 62
გიორგი კამკამიძე – სიმამაცე; აღარ ენდობიან; რექვიემი; უფრო მეტი; რა გინდ; უარყოფის განცდა; რაა დასამალი; ჩავიმუხლე; ვეაჯები; გიყვარს; თავის დახრა; გარდასახვა 64
ხათუნა ელიაშვილი-ჩიმაკაძე – იგავი სოლომონისა; სოლომონის სიბრძნე; აი გამოანა(სოლომონის სიბრძნე); გულის გახსნა (სოლომონის სიბრძნე); ისმინე ცაო (ბიბლია).....66
მზიური დათიაშვილი-აფციაური – მე დავიბადე იქ...!.....68
ნაწყვეტი პოემიდან „დროთა მსხვერპლი“ – დროთა მსხვერპლი IV; მუსიკა V 69
ლეილა გაფრინდაშვილი – გაზაფხულის მანტია; სიტყვა და პოეტი; სოფლის გზაზე; ლექსდარდიმანდო! ტკივილი 70
ანზორ ჯაფარიძე – მუზა! მუზა! მუზა! უწმინდესს; მოძღვარი; სულიერი საძმო! ირაკლი ფარჯიანს; დედას.....72
თემურ გოგსაძე – ღვთის ნაწილაკი; მონატრება; ხატწერა; შენი დღიურები; ***წვიმს...; ***შენ მხატვარი ხარ...; პარადოქსები 80
მანანა ზაზიკაშვილი – ჩარგალში; გიორგი ცაბაძეს; რას ვინატრებდი?!; ამოდიოდა ენძელა 82
ნიკო ბაღაშვილი – ცეცხლად ავენთე 83
შორენა თალაკვაძე – მე მაპატიეთ; თამარს, ჩემს მეგობარს; ***მერე რა, რომ წლები აღარ დაბრუნდება; ***გავლილს; ***პატარა ქუჩა; დრო; ***თუ წვიმის ხმაური - უხეში ფონია; ...გალაკტიონი; მონატრება; ***ფეხაკრეფით გავიარე ტირიფების შრიალში; ანა კალანდაძეს 84
ავთო ხარაიშვილი – ***არ ხარ მარტო, მღერის ქარი; ჩემი გული და სისხლი; ***ხმაური არღვევს ფიქრებს; მირაჟი; ***ახლა არის მაისი; ***შენამდე მანძილი მცირდება; ***სულთან ჭიდილში დავმარცხდი გზა შენამდე შორია; ღმერთო მაპატიე! ნათია გურგენიშვილს; ***გონება დაბინდული; გაგიშვი; ***ნისლიანი დღის ადრიან დილას 86
ლეილა ვადაჭკორია – ყველას ვფიცავ; ღალატი; ვერ დაგინახე; ნათელი ღამე; ჩვენი ფესვები; მზე თუ მიხსნის; ფარხმალს ნუ დაყრი; ამ ქუჩას ახსოვს;.....88
ლამზირა შეყილაძე – ერის ღირსეულ შვილს; ბრმა ცხოვრება უსამართლო; რად მეჩვენები შორად; **ძველი ლექსებიდან** საფლავის გზას გამოვყევი; არ მინელდება; ვერ ვარქმევ სახელს 90
იოსებ ტაბიძე – მაისის წვიმიანი დღე (პოეტური ჩანახატი); კავკასიის დიდ ტყეში.....92
მაგული კუჭაშვილი-კურტანიძე – ავფეთქდი მუსიკად; მერის თვალებით 93
ვახტანგ გაჩეჩილაძე – საკინძე; ***და მაინც მარში; უბრალო კითხვები 94
მანანა თარაშვილი – თამარ მეტრეველს 96
გულნაზ ხარაიშვილი (ცისკარელი) 96
რაა სიცოცხლე; უფალო დამილოცე ყველა 96; ***ყვლა თამარს აქვს მზის პეწი 96; მტკივა 96; ლექსით ვცოცხლობ 97; აივანზე 97; ***ახლა ისეთ ხასიათზე დავდექი 97; კეთილი ვარ 97; თქვენ არ გეტკინოთ 97; გიორგობა 97; მეოცნებე ბავშვი 98; დაო ანერ 98; კაბას შეუცვალე ფერი 98; ხელი არ ახლოთ 99; ზის მკლავებში; დამიჯერეთ 99; მარტოობის კუნძული 99; ყვე-ლაზე დიდი სასაფლაოა გული... (ბეჟან ხარაიშვილი) 99; *** უფალო, დამილოცე პატარები...; ნიკოლოზობას გილოცავ 99; გული 99; მატატუნა; რეალობაა; მაინც კარგია 100; პრიზი 100; ჩასძინებიათ 101; ღრუბელი; დედა ენის ძეგლთან; დ ე დ ა ო ს (დედაო იოანას); ე მ გ რ ა ნ ტ ე ბ ო !; ხვანის მთების უსასრულო ჩურჩულმა (ნამდვილი ამბავი) 104

<u>წმინდა ნინოს საგალობელი</u>

ანზორ ჯაფარიძე – წმინდა ნინო 105

<u>ა რ დ ა ვ ი წ ყ ე ბ ა მ ო ღ ვ ა ნ ე თ ა</u>

მეუფე თადეოზი (მირიან იორამაშვილი) – წმიდა გიორგისადმი; * * * მამაო ჩვენო, ცათა შინა მყოფო სუფევით; დიდებულ უწმინდესს; * * *ო, ღმერთო ჩემო, ღმერთო დიდო; დე, ყვავილობდეს მართალი რწმენა (უწმინდესს); ***კურთხეულ იყოს ეს დღე, ეს წამი; სად ყვავილი სამოთხის; მთები; 106
ბეჟან ხარაიშვილი – ნატვრა; რუსთავო; რატომ გამიფრინდი? სხვაობა; გახსენება; შემოდგომით; ვაჰმე!; გათხოვება 108
მუხრან მაჭავარიანი – ჭეშმარიტად, – აფერუმ! მე ბზიფთან ერთი ვიცი ურთხელი; მკათათვის შუადღე არგვეთში; ვაჰმე!; ანი; აუ! — რას წვიმს!..; ბიჭვინთა; ქარსაკუთარი თრთის მხდალი ვერხვი; ნეტა; *** ცისად ისეთი აღავლინა; ***ღამე გაწყალდა; *** თავისას წერას გაექცევა ამქვეყნად

ვერვინ!; *** ყოველნაირი სიხარული სევდისკენ მიდის!; *** ჭასთან; მაშინაც; გუშინაც რომ ხალხი იყო მამაცი 110
ივანე ნუცუბიძე – *** გესმის ჩემი, სიცოცხლეო; ***გასწით, გამშორდით სევდებო; გლეხო; პოეტის საფლავზედ 112

საბავშვო განყოფილება

ნაირა ნიჟარაძე – ყვავილების გამოფენაზე....113
გულნაზ ხარაიშვილი – 1 ივნისი — ბავშვთა დაცვის დღე მირზა გელოვანის სახელობის ბიბლიოთეკაში....119
ლია ბეჟანიშვილი 124
მაყვალა გონაშვილი – თარგმანები – პოემა მარ ბაჯიეი – დიადი ლაშქრობა ჩინეთზე (გაგრძელება) ..126
Ratiani Lali _ Weg des Ruhmes (Fortsetzung)....129
დათო ყანდაშვილი – თარგმანები....133
გულნაზი ხარაიშვილი – ამაღლებაა, Это и есть вознесение 133
ბეჟან ხარაიშვილი – სიყვარული იწყებოდა ასე! Любовь наша начиналась так!....134

პროზა

რევაზ მიშველაძე – წამება 135
გარი ჩაფიძე – სიყვარულის ლაბირინთი....140
ჯუმბერ მარღანია – სასტუმრო „ვილა გოლა“ (წიგნი პირველი – მკვლელობა საუნაში 145
სერგი ლომაძე....148
ნელი გიუნაშვილის აკადემიური საღამო – 148; მარტის ბოლო ღონისძიება – 151; ხაშური – 2019 – 153
უშანგი მოსიაშვილი – 80 წლისაა – გულნაზ ხარაიშვილი – უშანგი მოსიაშვილი – 80 წლისაა....155
ნიკო ხერკელაძე – შენი საქმე და ღვაწლია საყურადღებო სათქმელი – 157; გიორგი (გელა) ლარიაშვილი – კვალი ნათელი – 160; ნუგზარ გოგიბედაშვილი – მეტად საჭირო კაცი 161; მერი ჩიტალაძე – ნიჭით, კაცობით, გამორჩეული – 162; გურამ მელაძე – ღმერთმა წარმატებები ნუ მოუშალოს! – 162; ლილი ტერტერაშვილი – ყველაფრისათვის მადლობა – 163; იზოლდა ფოცხვერაშვილი – კაცი ბაჯაღლო გულით – 163
გურამ ჭავჭანიძე – ორი შეხვედრა ბატონ ჭაბუა ამირეჯიბთან....163
მზია გოგოძე – ლიტერატურულ სამყაროში – იუბილე ეროვნული შემართება – სულისკვეთებით 166
ჟუჟუნა ნიჟარაძე – განვლილი ცხოვრების ეპიზოდები 170
გულნაზი ხარაიშვილი – ბავშვობა საიდანაც მოვდივარ....176
ანზორ ჯაფარიძე – ამაღლება ახატელში 178
ნიკო ბაღაშვილი – * * *დე – გულნაზ ხარაიშვილს...
პასუხი ნიკო ბაღაშვილს – გულნაზ ხარაიშვილი – „მგზავრობა ასტრალში“ 180
მზიური დათიაშვილი-აფციაური – მოულოდნელი საღამო....183
სერგი ლომაძე – აკადემიის პრეზიდენტის დღე მწერალთა სახლში....186
ნელი ქველაძე – უწერელი რაინდი 189

ოჯახური ურთიერთობები

ირინა ბალავაძე – მოკლე ბიორგაფია; 1. შევიმსუბუქოთ ცხოვრება ზედმეტი დაძაბულობისგან; 2. ტრადიციებზე დაყრდნობილი ოჯახის ყოველდღიურობა; 3. ერთად ტრაპეზე....193

სიბრძნის სკივრი

ნაირა უგულავა – თვალთახილვა (აზრები)....200

ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ლოგიკა

დათო ყანდაშვილი – სულიერ ფასეულობათა ანბანი....202

შემეცნებითი სამყარო

მამა ამირან ამირანაშვილი – საუბარი რელიგიის ისტორიის შესახებ....204
ჯუმბერ ლეჟავა – დიდი მოგზაურობა....206

ბიბლიოთეკა

ქეთინო ნიკურაძე – საბიბლიოთეკო საქმე საქართველოში....209

წერილები

ტიტე მოსია – „ვეფხისტყაოსნის“ რელიგიის კვლევისათვის XX საუკუნის დასაწყისში....211
ლუარა სორდია – მომეცით ჩრდილი ვარდების ბუჩქის, მომეცით თასით 215
მანანა კვატაია – პოეზია – სულის ჰარმონიის მარადიული ორიენტირი....218
ლიანა ოსიაშვილი-მელიქიძე – ე რ ი ს კ ა ც ი....220

Ratiani Lali – Antithesen Im Alltagsleben 223
სერგი ლომაძე – ჯვარზე გაკრული პოეზია 226

ხელოვნება

რეზო ადამია – ცოცხალმყოფელი მზის ჩასვლა 228
მზიური დათიაშვილი-აფციაური – რეზო ადამიას ახალი რომანის – „მზე“ პრეზენტაცია 229
ქეთი მაზიაშვილი 230
ნელი კვახაძე 232
ალექსანდრე ციხელაშვილი 233
ნაირა უგულავა – * * * ნაზი ჯიქია 234

ისტორია

ნიკო ხერკელაძე – ქართველები ირანში 235
როინ მეტრეველი – აღა-მაჰმად-ჰანის ულტიმატუმი მეფე ერეკლე მეორისადმი 243
მანუჩარ მაჩაიძე – ერი და თანამედროვეობა 249

ეკონომიკა

ვალერი მოსიაშვილი, შორენა ქვათაძე – ლარის დევალვაციის ძირითადი მიზეზები და მისი გავლენა ეროვნულ ეკონომიკაზე 251
ნოდარ ხარაიშვილი – რისკების კლასიფიკაცია საბანკო სფეროში 257
ანზორ ჯაფარიძე — სამართლებრივი რისკი 262

სამედიცინა

სალერნოს ჯანმრთელობის კოდექსი 264
ავთანდილ კურდღელაძე, ფერია კურდღელაძე – ადამიანთა დაავადებები და მისი ფიტოთერაპია 265
სიმონ ზაქარაია – ნიორი 268

მათემატიკა

ლალი ქელბაქიანი – მათემატიკის და ეკონომიკის ურთიერთკავშირის შესახებ 269

ნორჩი ათინათელები

თბილისის 167-ე საჯარო სკოლა – მოაზროვნეთა და ცნობისმოყვარეთა კლუბი 271
სოფო ჯავახიშვილი 12 წლის – სამოთხე 274
ნუცა ჩიტაძე 10 წლის 275
გავუფრთხილდეთ ბუნებას; სამშობლო; ბებოს; მეგობრობა; ნუ გეშინია; უიმედო სიყვარული; სკოლისაკენ; გვიანი შემოდგომა;

გახსენება

გულნაზ ხარაიშვილი 276
„ათინათის“ გულშემატკივრის გახსენება 276; ძმა და ბიძაშვილი 277; ლამზირა შეყილაძე – სიკვდილის განთიადს 278; რეზო ჩხეიძე 279; თამაზ ხარაიშვილი 280; ჯუმბერ ხარაიშვილი 281; ლილი შუბითიძე – ცის სილამაზე 282; გულნაზ ხარაიშვილი – შენი აპრილი; * * * წუხელი სიზმარში გნახე...; ჩემო შვილო; * * * დღეს მზის სხივი ჩამოვწყვიტე ციდან...; * * * ფიქრებს გაურბივარ ახლაც...; * * * წარსულის წლებს გადავფურცლავ... 283
ზეინაბ ასისტიშვილი – არ დავიწყება 277
ლამზირა შეყილაძე – სიკვდილის განთიადს 278
გულნაზი ხარაიშვილი – რეზო ჩხეიძე 279
გულნაზ ხარაიშვილი – თამაზ ხარაიშვილის გახსენება 280
ჯუმბერ ხარაიშვილის გახსენება 281
ლილი შუბითიძის გახსენება 282
გელა ოცდშვიდი აპრილი შენი დაბადების დღეა 283

მილოცვა

მზიური დათიაშვილი-აფციაური – გულნაზის დაბადების დღე 286
ხათო ელიაშვილი – ადამიანი როგორც სიტყვა, როგორც იდეა 287
გულნაზ ხარაიშვილი – ჯ გ უ ფ ზ ღ ვ ა რ ს 288

მადლობის ბარათები

გულნაზ ხარაიშვილი 289
* * * ხონი, ეს საოცარი ჰარმონიული სულის საზოგადოება 289; მადლობის ბარათი ქალბატონ ნაირა უგულავას 289; გულიდა სანოძეს – ლექსით ნათქვამი მადლობა; გულის გამოძახილი 290; ნუცა ჩიტაძე 10 წლის – * * * შენ იმდენ სიკეთეს მოუტან ქვეყანას... 291; * * * თეა კანდელაკი – * * * გმადლობთ, თეა, შვილო....; * * * როგორ გამახარე პატარათი...; * * * ყველა რომ გიყვარს ეს ცხადია... 292

ავტორთა საყურადღებოდ

ჟურნალი „ათინათი“ არ მიიღებს პოლიტიკურ წერილებს და არც სხვათა მისამართით საქილიკო მასალებს, ჟურნალი არის სამეცნიერო შემეცნებითი, მოიცავს ყველა დარგს, თესავს: სითბოს, სიყვარულს, სიკეთეს... მეტი ყურადღება ეთმობა მეცნიერებასა და საზღვარგარეთთან ურთიერთობების საკითხებს.

შეგიძლიათ მასალები გადმოგზავნოთ იმეილით gulnazi5@bk.ru

შემოწირულობა ჩარიცხეთ შემდეგ ანგარიშზე:

თიბისი ბანკი

საბანკო კოდი – TBCBGR 22

მიმღების დასახელება – შპს „ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია.“

ანგარიშსწორების ნომერი – GE51 TB73 1333 6080 1000 01

ტელ: 593 65 79 21

გარეკანის პირველ გვერდზე „წმინდა ნინო“, რეზო ადამიას შექმნილი ხატი და გარეკანის მეორე გვერდზე „წმინდა გიორგი“.

ჟურნალ „ათინათის“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი:
გულნაზ ხარაიშვილი

პასუხისმგებელი მდივანი: ემელიანე (რეზო) ადამია – მხატვარი, პროზაიკოსი

აკადემიის სწავლული მდივანი: გიორგი ბეჟიტაშვილი – პროფესორი

რელიგიის განყოფილების მთავარი რედაქტორი: მამა ამირან ამირანაშვილი
საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების რედაქტორები:
თეა კანდელაკი (აშშ მოქალაქე) – პოეტი, თემურ გოგსაძე – ადვოკატი, პოეტი

სამეცნიერო განყოფილების რედაქტორები:
ტიტე მოსია და ლუარა სორდია – პროფესორები.

ისტორიის განყოფილების რედაქტორი: როინ მეტრეველი – ეროვნული
აკადემიის ვიცეპრეზიდენტი
მხატვრული განყოფილების რედაქტორები:
სერგი ლომაძე, ჯგუფ „ზღვარის“ წევრი
კახა ბაციკაძე, ჯგუფ „ზღვარის“ წევრი.
ედვარდ უგულავა – პოეტი
ხელოვნების განყოფილების რედაქტორები: გელა ლარიაშვილი – მოქანდაკე,
ნიკო ხერკელაძე – მხატვარი, პუბლიცისტი და
გულიადა სანოძე – მსახიობი.
საბავშვო განყოფილების რედაქტორი: ლამარა გერგედავა – აკადემიის ნამდვილი წევრი
მედიცინის განყოფილების რედაქტორი: ნაირა უგულავა – ექიმი, პოეტი.
ეკონომიკის განყოფილების რედაქტორი ვალერი მოსიაშვილი – პროფესორი.

რედკოლეგიის წევრები:
ბრუნო თრიბურგი (საფრანგეთი) – მოგზაური
იური მამედოვი (აზერბაიჯანი) – მოგზაური
მარინე სხირტლაძე-საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული
ბიბლიოთეკის მთავარი სპეციალისტი.
ლამზირა შეყილაძე-პოეტი
კომპიუტერული უზრუნველყოფა – დათო ყანდაშვილი
ჟურნალი გამოდის გამომცემლობა „საარში“.

რედაქციის მისამართი: თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი,
პოლტავას აკადემია, III სართული, მეხუთე ოთახი.
ტელეფონი: 593 65 79 21;
შეგიძლიათ მასალები გადმოგზავნოთ ელექტრონული ფოსტის მისამართზე:
gulnazi5@bk.ru

სიტყვა მადლობა, ცოტაა ასეთი თბილი და კეთილშობილი ადამიანებისათვის

კიევის უნივერსიტეტი, რომელიც განთავსებულია, თბილისში, ძმები ფიფიების თოთხმეტში მესამე სართულზე, (დინამოსთან ახლოს) დაკომპლექტებულია თბილი და განათლებული რექტორისა და მაღალკვალფიციური კადრებისაგან. უფლის რწმენითა და სიყვარულით გაჯერებულმა ბატონმა ოლეგ მელაძემ, ამაღლების წინამძღვარს მამა ამირან ამირანაშვილს და მამა დავითს აკურთხებია, მთლიანად უნივერსიტეტის შენობა რათა ყველა სტუდენტი დაცული იყოს, უფლისაგან. ვუყურებ ამ საოცრად თბილ და მოწესრიგებულ რექტორსა და თანამშრომლებს და გულმა შინაგანად ამომძახა:

უფლის მოყვარულთ კეთილებს, სათნოს...
ცისკრის დილებში ემოგზაურոთ...
უნცროსი უფროსს რა კრძალვით ხათრობს,
ხვალის მომავალს სულ ეხმაუროს!





☎ 597 51 67 19; 599 51 71 31; 599 61 72 59;